ნოდარ ჯანიაშვილი

ჭართული საუბრით

ერთსერთული

•ბავშვთაგამომცემლობის კრებული•

შესავალი

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზა იმ დიდი წარმატებების ერთ-ერთი დადასტურებაა, რომელსაც საქართველომ მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მას შემდეგ, რაც ქვეყნის ეკონომიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში გრანდიოზული გარდაქმნები მოხდა. არქიტექტურა ყოველთვის იყო მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ერთ-ერთი წამყვანი დარგი. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როცა ჩვენმა სოციალურმა საფუძვლებმა პრინციპული ხასიათის ცვლილებანი განიცადა, მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა.

ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში XIX საუკუნემ საფუძვლიანი გარდატეხა შეიტანა — გარდატეხა, რომელიც ანარეკლი იყო იმ ძვრებისა სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთებამ მოუტანა. თურქ და ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის სამსაუკუნოვანი, თითქმის განუწყვეტელი ბრძოლების შემდეგ, რუსეთის იმპერიის ფარგლებში შესვლამ მკვეთრად შეცვალა საქართველოს ისტორიული განვითარების გზები. შეიქმნა მშვიდობიანი ცხოვრების პირობები.

მიუხედავად მძიმე ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრისა, რომელსაც საქართველო განიცდიდა ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკის პირობებში, რუსეთის მოწინავე კულტურასთან დაკავშირებამ დიდი როლი ითამაშა ქვეყნის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. რუსეთთან ერთად კაპიტალისტურ ურთიერთობათა გზაზე დამდგარი ქვეყნის სოციალური ცხოვრების შეცვლამ და ევროპული კულტურის ასპარეზზე დაბრუნებამ ახალი ამოცანები დასახა კულ-

ტურული განვითარების წინაშეც. ამ დროს მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს ქართული ლიტერატურა, თეატრი, მუსიკა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ასულდგმულებს ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის გამოჩენილ მოღვაწეებს, რომლებიც მჭიდრო კავშირს ამყარებენ მოწინავე რუსულ ინტელიგენციასთან. მაგრამ თუ XIX საუკუნემ ქართული კულტურის მრავალ დარგს ძალა შემატა და ახლებურად აამეტყველა, სხვა სურათს ვხედავთ ხუროთმოძღვრებაში. აქ თანდათანობით იკარგება ის ტრადიციული ძარღვი, რომელიც ქართულ არქიტექტურას საუკუნეების მანძილზე აერთიანებდა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართულ არქიტექტურაში შემოდის რუსული კლასიციზმის კომპოზიციური ხერხები და არქიტექტურული ფორმები. თუ საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში ხალხური, ეროვნული ტრადიციები უფრო გამძლე აღმოჩნდა, ოფიციალური მშენებლობა დაემორჩილა რუსული კლასიციზმის ფორმებს. თუ საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში მოხდა ერთგვარი სინთეზი რუსული კლასიციზმისა ადგილობრივ ტრადიციულ ფორმებთან ,საზოგადოებრივი შენობები იმეორებენ რუსული კლასიციზმის ცნობილ ნიმუშებს. XIX საუკ. მეორე ნახევრიდან ქართული არქიტექტურა თანდათან კარგავს ეროვნულ ტრადიციებთან კავშირს და მიჰყვება ეკლექტიზმის ტალღას — აშენებენ ცრუ-რენესანსულ, ცრუ—გუთურ, ცრუ—მავრულ, ფსევდო—რუსულ შენობებს. საუკუნის ბოლოს საქართველოს ქალაქებსაც, ისევე, როგორც რუსეთის თითქმის ყველა სხვა დიდ ქალაქს, ევროპაში გამეფებული „მოდერნი“ მოედო. სტილისტიკური სიჭრელე იმდროინდელი არქიტექტურის მეტად დამახასიათებელი მხარეა. და ამ ფონზე, როგორც გამონაკლისი, XX საუკუნის დასაწყისში ჩნდება ცალკეული ცდები ძველი ქართული არქიტექტურული ფორმების აღორძინებისა (ქვაშვეთის ეკლესია, სათავადაზნაურო ბანკის შენობა), რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ ორგანული განვითარების შედეგი, მაინც თავის დროისათვის პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდათ.

იმდროინდელი ქართული არქიტექტურის საერთო სურათის დაღგენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალაქთა განაშენიანებისა და კომუნალური მეურნეობის მდგომარეობას. კაპიტალისტური ქალაქებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი

მდიდართა ფუშენებელურ კვარტალებსა და მუშათა დასახლებებს შორის, საბინაო კრიზისი, კომუნალური მეურნეობის კატასტროფული მდგომარეობა განსაკუთრებით გამოჩნდა პირველი იმპერიალისტური ომისა და მენშევიკთა ბატონობის შემდეგ.

ყოველივე ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის არ იყო არც ერთი ქართველი არქიტექტორი, ნათლად წარმოგვიდგება ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც საბჭოთა არქიტექტურამ მემკვიდრეობად მიიღო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული ხუროთმოძღვრება აღორძინების გზას დაადგა. მისი შემდგომი განვითარება განუყრელადაა დაკავშირებული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიასთან და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მთელი საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარების პირობები და შესაძლებლობა საერთო იყო, ქართულ საბჭოთა არქიტექტურას მაინც ჰქონდა თავისი დამახასიათებელი, სპეციფიკური მხარეები, რაც მას გარკვეულ ინდივიდუალობას ანიჭებს საბჭოთა არქიტექტურის ისტორიის საერთო ფონზე.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარება სამ ძირითად ეტაპისაგან შედგება. ეს ეტაპები მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა ქვეყნის ისტორიის საერთო განვითარების პირობებთან და მათგან გამომდინარეობს.

პირველი ეტაპი 1921—1932 წლებს მოიცავს და ემთხვევა საბჭოთა საქართველოში სახალხო მეურნეობის აღდგენის, ინდუსტრიალიზაციის დაწყების, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ წარმართვისა და საერთოდ, სოციალიზმის მთლიანი ფრონტით შეტევის პერიოდს.

მეორე ეტაპია 1933 — 1954 წლები. ეს ეტაპი ჩვენი ქვეყნის განვითარების ისეთ მნიშვნელოვან პერიოდს მოიცავს, როგორიცაა სოციალისტური საზოგადოების აგების, მისი განმტკიცებისათვის ბრძოლის, დიდი სამამულო ომისა და სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ომის შემდგომი განვითარების პერიოდები. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა რესპუბლიკებისა თუ საერთოდ, საბჭოთა არქიტექტურის ისტორიის განხილვისას, ხშირად ამ ეტაპს ორ ნაწილად ყოფენ: სამამულო ომამდე და მის შემდეგ. ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების, შემოქმედებითი მიმართულებისა და სტილისტიკური ნიშნების გამოვლენის თვალსაზრისით უფრო სწო-

რია მათი გაერთიანება, რადგან ის ტენდენციები, რომლებიც ომის-შემდგომი პერიოდისათვისაა დამახასიათებელი, სწორედ 30-იან წლებში იჩენენ თავს, ხოლო ომის შემდეგ ნაყოფიერ ნიადაგს პოულობენ შემდგომი განვითარებისათვის.

მესამე ეტაპი 1955 წლიდან იწყება. ჩვენ იგი შემოვფარგლეთ 1968 წლით, თუმცა მისი განვითარება დღესაც მიმდინარეობს. ეს ეტაპი მოიცავს ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალ, მძლავრი აღმავლობის ხანას, როცა სოციალისტური წარმოების მაღალი დონე კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების ამოცანის წარმატებითი განხორციელების ყველა პირობას ქმნის.

ასეთი პერიოდიზაცია ნათლად გვიჩვენებს არქიტექტურის განვითარების ზრდის სიძნელეებისა და შინაგან წინააღმდეგობათა დაძლევის გზას, შემოქმედებითი მიმართულების რთულ პროცესს. ცალკეული ეტაპისათვის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენისათვის და ამდენად, ქართული საბჭოთა არქიტექტურის საერთო განვითარების სურათის დადგენისათვის შერჩეულია ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნაგებობანი თუ საპროექტო მასალა, რომლებშიც, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ის ძირითადი, სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც ყველაზე მეტად გამოხატავენ თავისი დროის არქიტექტურული შემოქმედების არსს. გამოყენებული მასალა შემოფარგლულია არქიტექტურული დარგების თვალსაზრისითაც. წიგნში ნაკლებადაა გამოყენებული სამრეწველო ან საკურორტო ნაგებობათა მშენებლობა, არ არის ნაჩვენები სასოფლო მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხები, რომლებიც არქიტექტურის ისტორიის კურსის შედგენისათვის აუცილებლად საჭიროა, მით უმეტეს, რომ ეს მასალა ქართული არქიტექტურის განვითარების სურათს არ შეცვლის და უფრო განამტკიცებს იმ დებულებებს, რომლებიც ამა თუ იმ ეტაპისათვის დამახასიათებელ თვისებებს გამოხატავენ.

წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდაა, ნაჩვენები იქნას ქართული საბჭოთა არქიტექტურის გზა მისი ჩასახვიდან თითქმის დღევანდელ დღემდე და ავტორს კარგად აქვს შეგნებული, რომ იგი დაზღვეული არ იქნება ცალკეული ხარვეზებისაგან, მით უმეტეს, რომ ბევრი საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი, პროექტი თუ ფოტოგრაფია არ შემორჩენილა და ჯერ ბევრია გასაკეთებელი არსებული მასალის სისტემატიზაციისათვის და ცალკეულ ობიექტთა მონოგრაფიული შესწავლის მხრივაც.

ნაწილი პირველი

1921—1932

I ქართული საბჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბების საერთო პირობები

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში, ძირეული გარდატეხა შეიტანა უწინ ტანჯული ხალხების ცხოვრებაში, გაათავისუფლა ისინი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართველ ხალხს მისი სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ახალი გზა დაუსახა, ყველა პირობა შექმნა ქართული ეროვნული კულტურის ყოველმხრივი განვითარებისათვის. მიწის კერძო საკუთრების ლიკვიდაციამ და მისმა გადაცემამ პროლეტარული სახელმწიფოს გამგებლობაში, მსხვილი უძრავი ადგილ-მამულის ნაციონალიზაციამ — რაც პროლეტარულმა რევოლუციამ და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ მოიტანა საქართველოში — არქიტექტურის წინაშეც ახალი, მანამდე არნახული ამოცანები დასახა და მისი განვითარებისათვის ფრიად ხელსაყრელი პირობები შექმნა. „სამუდამოდ უკუაგდო ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი აზრის დამონება ექსპლუატატორული კლასების მიერ. შეიქმნა პირობები ძველი დასახლებული ადგილების ძირეული გარდაქმნისა და ახალთა გაშენებისა, რაც მთელი ხალხის მოთხოვნილებას პასუხობდა“[1].

ახალმა ცხოვრებამ ახალი არქიტექტურული თემები წამოაყენა, რომელთა სწორად გააზრება და პრაქტიკული განხორციელება, ბუნებრივია, გამოცდილების დაგროვებას, არქიტექტურული აზრის დახვეწასა და განვითარებას მოითხოვდა.

---

1 История советской архитектуры. М. 1962. გვ. 9.

ქართველ ხუროთმოძღვრებს მშრომელი მასებისათვის უნდა შეექმნათ კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, კლუბები, კულტურის სახლები, სკოლები, ადმინისტრაციული თუ საზოგადოებრივი ნაგებობები.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში უმთავრესი საზრუნავი იმ მეტად მძიმე პირობების გამოკეთება-გაუმჯობესება იყო, რომელიც მემკვიდრეობად მიიღო საბჭოთა საქართველომ. მოუწყობელ და მოუწესრიგებელ ქალაქებში, სადაც უწინ მხოლოდ ცენტრის კეთილმოწყობაზე ფიქრობდნენ, დასახლების დიდი ნაწილი მოკლებული იყო ელემენტარულ კეთილმოწყობას — კანალიზაციას, წყალსადენს, ან ელექტროგანათებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გარეუბნები, სადაც მშრომელი მოსახლეობა ცხოვრობდა და რომლებიც ანტისანიტარიის ბუდეს წარმოადგენდა. მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ ქალაქებში, განსაკუთრებით კი თბილისში, რომელშიაც ძალზე საგრძნობია რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან საწარმოებში სამუშაოდ თუ სასწავლებლად ჩამოსულთა რიცხვი, კიდევ უფრო გაართულა საცხოვრებლის პრობლემა და საბოლოოდ საბინაო კრიზისი გამოიწვია.

საბჭოთა ხელისუფლების უპირველესი ღონისძიებანი სრულიად მოშლილი საქალაქო მეურნეობის აღდგენა-მოწესრიგებისა და მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისაკენ წარიმართა. ამაში დიდი როლი ითამაშა დეკრეტებმა, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე იქნა გამოცემული და რომლებიც მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებასა და მის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვას, აგრეთვე მრეწველობისა და საცხოვრებელი სახლების ნაციონალიზაციას შეეხებოდა (1921 წლის 6 აპრილისა; 1921 წლის 15 ივნისისა და სხვ.). საქართველოს რევკომის მიერ გამოცემული ინსტრუქციის — „ბინის განაწილების საქმის მოწესრიგებისათვის“ — თანახმად, შემუშავებული იქნა წესები ბინების აღრიცხვის ნორმებისა და სხვათა შესახებ[2]. მუშათა ოჯახები ყოფილ მემამულეთა თუ ვაჭართა კეთილმოწყობილ ბინებში შეასახლეს. „ბევრი მშრომელი, რომელიც მუშათა უბნების ბნელ სარდაფებში ატარებდა თავის სიცოცხლეს, მზის სხივებზე იქნა ამოყვანილი და სავარგის ბინებში დაბინავებული“[3]. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ბურჟუაზიისაგან ჩამორთმეულ ბინებში ჩასახლებულ მუშათა რიცხვმა რამდენიმე ათასს მიაღწია[4]. ჯერ კიდევ 1921 წლის ნოემბერში პროფსაბ-

---

[2] „კომუნისტი“, 1921, 10.4; № 32.

[3] ი. ბ. შენობათა შეკეთებისათვის. „კომუნისტი“, 1923, 1.8; № 175.

[4] საქართველოს ისტორია. ტ. III. თბ., 1960. გვ. 47.

ჭოს პლენუმი აღნიშნავდა, რომ თბილისში მუშებისათვის გამოიყო ახალი, ან ისეთი სახლები, რომლებიც არ მოითხოვენ შეკეთებას, აქვთ კანალიზაცია და სხვა მოწყობილობა, ბაღები, ეზოები და სხვ. რომ მუშებისათვის გამოიყო 68 სახლი. 2060 ოთახი[5].

ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა საბინაო დარგში მთლიანად ემყარებოდა 1919 წელს მიღებულ პარტიის პროგრამას, რომელიც მშრომელი მასების საბინაო პირობების გაუმჯობესებას, ძველი უბნების სიმჭიდროვის და ანტისანიტარიის მოსპობას, მუშათა მასების ცხოვრების ახალი პირობების შესაფერ ახალი ბინების შექმნასა და ძველთა გადაკეთებას გულისხმობდა.

საქალაქო კომუნალური მეურნეობის მოწესრიგების საქმეში დიდი ადგილი ეთმობოდა განაპირა უბნების კეთილმოწყობას. „ქალაქის გამშვენიერების საქმეს ამ უკანასკნელ წლებში და თვეებში რომ გაუკეთდეს ჯამი, ყველასათვის აშკარა იქნება, რომ 80 პროცენტი ამ სამუშაოებისა მოდის სწორედ განაპირა უბნებზე" — აღნიშნულია თბილისის აღმასკომის ანგარიშში 1923 წლის შემოდგომაზე[6].

თბილისის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება (ავჭალის წყალსადენი მოძველდა), ტრანსპორტის მოწესრიგება (ტრამვაის ვაგონთა მინიმალური რაოდენობა, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას), ქუჩების შეკეთება და გამწვანება (მწვანე ნარგავების, რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებს გარდა, სხვაგან იშვიათად შეხვდებოდით), მტკვრის ნაპირების დაკავშირება (ვერა-დიდუბის ბორანი) და სხვა სამუშაოები პირველი ნაბიჯები იყო დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესების გზაზე. კეთილმოწყობის განყოფილების 1921—1923 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „კეთილმოწყობის განყოფილებას, როგორც ტფილისის აღმასკომის სამშენებლო ფუძეს, წილად ხვდა დიდი და მძიმე ამოცანა. მის მოვალეობას შეადგენდა როგორც ძველი შენობებისა და ანაგებების აღდგენა ქალაქსა და მაზრაში, ისე ახლების აგება. ჩქარის ნაბიჯით წავიდა წინ სახლებისა და გზების აღდგენის და შეკეთების საქმე. ხიდები საფუძვლიანად შეკეთდა და გაფართოვდა, ქუჩებში ამოივსო თხრილები და ორმოები და ქალაქმა სანუგეშო სა-

---

5 ვ. ბერიძე. ქართ. საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. „ქართული ხელოვნება", 4. თბ. 1955. გვ. 67.

6 იქვე, გვ. 69.

ხე მიიღო"[7]. ამგვარად, ქალაქთა კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის საქმეში ყველაფერი „წვრილმანებიდან" იწყებოდა, რომ შექმნილიყო საფუძველი შემდგომი, უფრო დიდი მუშაობისათვის.

უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის იყო ორ ათეულამდე მსხვილი სამრეწველო ობიექტის მშენებლობის დაწყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზემო ავჭალის ჰიდროელექტრო სადგურს (საფუძველი ჩაეყარა 1922 წელს).

სამეურნეო ფრონტზე ამ საკმაოდ რთული მდგომარეობის დროს, როცა მთელი ყურადღება მიქცეულია საბინაო და ქალაქთა კეთილმოწყობის პრობლემათა გადაჭრა-გადაწყვეტისაკენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზრუნვა „მონუმენტური პროპაგანდის" ლენინური გეგმის განხორციელებაზე. რესპუბლიკის პირველივე დღეებიდან ჯეროვნად იყო შეფასებული ის მაღალი იდეური დანიშნულება, რომელიც ქალაქთა ახალ ცხოვრებაში ენიჭებოდა მონუმენტური ხელოვნების ნიმუშებს. ჯერ კიდევ 1921 წლის 16 ივნისს გამოცხადდა ღია კონკურსი „თავისუფალი საქართველოს", კარლ მარქსის, პარიზის კომუნისა და შოთა რუსთაველის ძეგლებზე[8]. აქ დამახასიათებელია არა მარტო თვით „მონუმენტური პროპაგანდის" საკითხებზე ზრუნვა, არამედ ისიც, რომ რევოლუციურ თემატიკასთან ერთად ისმის საკითხი დიდი ეროვნული პოეტის შოთა რუსთაველის ძეგლის შექმნისა. აქამდე ქართული კულტურის არც ერთ მოღვაწეს არ ღირსებია მონუმენტი თავის სამშობლოში.

უკვე 1921 წლის 21 სექტემბერს, თბილისში რუსთაველის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის გადაკვეთაზე დაიდგა ლენინის მონუმენტი (მოქანდაკე ვ. სერგეევი)[9]. ლენინის ძეგლები დაიდგა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიაც: ოზურგეთში (1923), ლიუქსემბურგში (1923), ახალციხეში (1925) და სხვ.[10].

1924 წლის იანვარში გამოცხადდა კონკურსი ლენინის ძეგლის ესკიზზე, პირველი პრემია იაკობ ნიკოლაძემ მოიპოვა, მეორე — ახალგაზრდა მოქანდაკემ — გიორგი სესიაშვილმა. უფრო გვიან, 1927 წელს ზაჰესის კაშხალთან

---

[7] გრ. ქურდიანი. ტფილისისა და მისი მაზრის კეთილმოწყობა. „ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს მოამბე" 1927, № 1—2; გვ. 26.

[8] ვ. ბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. გვ. 70.

[9] გაზ. „Правда Грузии", 1921. 27.9 № 167; „კომუნისტი", 1969, 7.10.69. № 233.

[10] „კომუნისტი" 1923, 28.11, № 274; „Рабочая правда," 1923. 4.10, №. 174; კომუნისტი", 1925, 24.1, № 19.

აღიმართა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი მონუმენტი ვ. ი. ლენინისა (ავტორი — ცნობილი რუსი მოქანდაკე ი. შადრი).

თბილისში რუსთაველის პროსპექტზე დაიდგა იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული აკაკი წერეთლის (1922), ეგნატე ნინოშვილის (1923) ძეგლები, ხოლო პუშკინის სკვერში მისივე კამოს (1925) ძეგლი.

ამდენად, „მონუმენტური პროპაგანდის“ გეგმა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოში რეალურ განხორციელებას პოულობდა. გარდა მაღალი იდეური შინაარსისა, მონუმენტებისა და ქანდაკებათა დადგმა ახლებურ არქიტექტურულ-მხატვრულ იერს ანიჭებდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონული ცენტრების მოედნებსა და ქუჩებს.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბების საქმეში, ბუნებრივია, დიდი როლი ენიჭებოდა ხუროთმოძღვართა კადრებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენში თითქმის არ არსებობდა არქიტექტორთა ეროვნული კადრები. მათი შექმნა კი ქართული არქიტექტურის განვითარების აუცილებელი წანამძღვარი იყო. უკვე 1922 წელს თბილისის ორ უმაღლეს სასწავლებელში — სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამხატვრო აკადემიაში სახუროთმოძღვრო ფაკულტეტები გაიხსნა. ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეს სათავეში ჩაუდგნენ: სამხატვრო აკადემიის პირველი რექტორი, პროფესორი გიორგი ჩუბინაშვილი, არქიტექტორები, პროფესორები: ნიკოლოზ სევეროვი, ანატოლ კალგინი, მიხეილ მაჭავარიანი, ინჟინრები — გიორგი მუხაძე, გრიგოლ ქურდიანი, ივანე თულაშვილი და სხვ. სულ მალე ამ უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულები გვერდში ამოუდგნენ უფროსი თაობის არქიტექტორებს და ქართული საბჭოთა არქიტექტურის შემდგომ განვითარებაში უკვე გადამწყვეტი როლი ითამაშეს. მანამდე კი არქიტექტურული შემოქმედების მთელი სიმძიმე დააწვა უფროსი თაობის ხუროთმოძღვრებს, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ. ესენი იყვნენ: მ. ბუზოღლი, მ. კალაშნიკოვი, ა. კალგინი, კ. ლეონტიევი, ნ. მადათოვი, მ. მაჭავარიანი, მ. ნეპრინცევი, ნ. სევეროვი, გ. ტერ-მიქელოვი, დ. ჩისლიევი და სხვ.

რევოლუციამდელი არქიტექტურული კადრები სერიოზულ სიძნელეებს წააწყდნენ ახალი, სოციალისტური ხუროთმოძღვრების შექმნის გზაზე. თვით ახალი, მანამდე უცნობი არქიტექტურული თემატიკა (მუშათა კლუბები, მასობრივი დასახლება, სახალხო თეატრები, საბავშვო ბაგა და ბაღები და სხვ.) ახლებურ მიდგომას მოითხოვდა. მათი არქიტექტურა პრინციპულად განსხვავდებოდა საშემოსავლო სახლებისა თუ მდიდართა საცხოვრებელის არქიტექტურისაგან, რომელთა დაპროექტებაზე უწევდათ მუშაობა პროფესიონალ არქიტექტორებს მანამდე. ამიტომ პირველ პროექტებში ჯერ კიდევ ჭარბობდა

მოდერნული თუ სხვა ხასიათის ეკლექტიკური არქიტექტურული ფორმები.

რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში ოციანი წლების დასაწყისში არქიტექტორთა არავითარი შემოქმედებითი დაჯგუფება არ არსებობდა. არ იყო თეორიული საფუძვლები რაიმე შემოქმედებითი მიმართულებისათვის. მაგრამ თავიდანვე აშკარად გამოჩნდა არქიტექტურულ ნაწარმოებებში ახალი ეპოქის შესატყვისი ეროვნული ხუროთმოძღვრული ფორმებისა და ელემენტების გამოყენების ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტორები ხშირად მიმართავდნენ „კლასიცისტურ“ თუ მოდერნული არქიტექტურის პრინციპებს, ეროვნული არქიტექტურის შექმნისაკენ სწრაფვა მაინც უმთავრესი იყო. შემდგომი წლების მანძილზე სადისკუსიოდაც სწორედ ეს პრობლემა იყო დასმული.

სახალხო მეურნეობის აღდგენითი სამუშაოების შემდეგ, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ჩატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, საბჭოთა ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას მოასწავებდა. 1925 წელს მოწვეულმა პარტიის XIV ყრილობამ თავის რეზოლუციაში აღნიშნა, რომ „სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლა ჩვენი პარტიის ძირითადი ამოცანაა“[11]. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა ქვეყნის განვითარების გენერალურ ხაზს წარმოადგენდა.

საქართველოში მრეწველობამ ჯერ კიდევ აღდგენით პერიოდში იწყო სწრაფი განვითარება. უკვე 1926—1927 წლებში მისი ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში 25%-ს უდრიდა, რაც ორნახევარჯერ აღემატებოდა ომის წინ არსებულ დონეს[12].

მსხვილი მრეწველობის შექმნა საქართველოში არსებითად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ჯერ კიდევ აღდგენით პერიოდში ხდებოდა ძველი ფაბრიკა-ქარხნების რეკონსტრუქცია, მათი საწარმოო სიმძლავრის მატება ახალი ტექნიკური შეიარაღების საფუძველზე. საქართველოში მრეწველობაში მომხდარი ძვრების აშკარა მაგალითია ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის — ზაჰესის მშენებლობა (1922—27 წწ.), რომლის სიმძლავრე რამდენიმეჯერ აღემატებოდა საქართველოში მანამდე არსებულ ყველა ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრეს[13]. ლენინგრადის ახლოს აგებულ ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურის შემდეგ „ზაჰესი“ ყველაზე დიდი ელსადგური იყო საბჭოთა კავშირში.

---

11 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. II. თბ., 1955, გვ. 253.

12 საქართველოს ისტორია, III. თბ., 1960, გვ. 65.

13 იქვე, გვ. 66.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური დაგროვების რთული პრობლემების წარმატებით გადაჭრის შედეგად შესაძლებელი გახდა იმ დიდი ამოცანების დასახვა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წინაშე, რომლებიც ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული. ხუთწლიანი გეგმა, რომელიც საბჭოთა კავშირის ხუთწლედის საფუძველზე იყო დაფუძნებული, განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ, 1929 წლის ივლისში. ფართოდ გაიშალა მუშაობა სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობისათვის, ელექტროსადგურების ქსელის გაფართოებისათვის, რაშიც გამოირჩეოდა ჰიდროელექტროსადგური მდ. რიონზე, ქუთაისთან; სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების მშენებლობა; დაიწყო მეტალურგიული მრეწველობის მეტად მნიშვნელოვანი საწარმოს — ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის აგება და სხვ. ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მასობრივ საკოლმეურნეო მოძრაობას.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ ,ახალ საწარმოთა აგებამ, ახალი დასახლებული პუნქტებისა და საცხოვრებელი რაიონების გაჩენამ მშენებლობას ფართო მასშტაბები მისცა. მრეწველობას კაპიტალური მშენებლობის მოწესრიგებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სკკპ (ბ) 1927 წლის თებერვლის პლენუმმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა „მშენებლობის გაიაფებას, მის ეფექტურობას, პროექტების ტექნიკურად დამუშავებას, საგეგმო დისციპლინის დაცვას და აგრეთვე გეგმით გათვალისწინებული სახსრების დროულად გაცემას“[14].

1928 წელს ჩამოყალიბდა ა/კ მშენებლობის კომიტეტი, რომელიც, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის გაძლიერების საქმეს ჩაუდგა სათავეში. მეტი ყურადღება მიექცა ადგილობრივი და იაფი მასალების — ტუფების, პემზა-ბეტონის და სხვათა გამოყენებას და დანერგვას მშენებლობაში. წარმოებდა ექსპერიმენტული მშენებლობაც („ზისის“ შენობა ვაკეში და სხვ.).

სამშენებლო საკითხების მოგვარებასთან ერთად, საპროექტო საქმეშიც ჩატარდა ორგანიზაციული ღონისძიებანი, ჩამოყალიბდა საპროექტო კანტორა-სახელოსნოები (საქსახპროექტი, ამიერკავკასიის სახპროექტი, თბილისის საბჭოს საპროექტო კანტორა, ამიერკავკასიის რკინიგზის და სასოფლო-სამეურნეო საპროექტო კანტორები და სხვ.). ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის (შეიქმნა 1928 წ.) არქიტექტურის სექტორში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დაიწყო ქალაქთმშენებლობისა და საბინაო მშენებლობის საკითხებზე.

14 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. II, თბ., 1955, გვ. 444.

მშენებლობის არნახული მასშტაბებით გაშლა დიდი სიძნელეების გადალახვას ითხოვდა. ჯერ არ იყო შექმნილი სამშენებლო ინდუსტრია, მშენებლობა უმთავრესად პრიმიტიული წესებით, ხელის შრომით წარმოებდა. არ იყო დანერგილი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, კედლის ერთადერთ მასალად თითქმის ყველგან მხოლოდ აგური იხმარებოდა. ცოტა იყო სატრანსპორტო საშუალებანი და სხვ. ეს ბუნებრივია, თავის დაღს ასვამდა მშენებლობის მასშტაბსაც და შესაძლებლობებსაც. მაგრამ მაინც, თანდათანობით, მშენებლობამ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი მოიცვა. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე აშენდა ფაბრიკა-ქარხნები ,სამკურნალო და საკურორტო დაწესებულებანი, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სახლები. ეს იყო პირველი შედეგები იმ ფართოდ გაშლილი მშენებლობისა, რომელიც ფაქტიურად საქართველოში 1924-25 წლებიდან დაიწყო, რადგან, მანამდე მთელი ყურადღება და მატერიალური შესაძლებლობები თითქმის მთლიანად გაჩანაგებულ კომუნალური მეურნეობის აღდგენასა და წესრიგში მოყვანას მოხმარდა. ამრიგად, პირველი ხუთწლედის ახალმშენებლობანი უკვე მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა.

თვით არქიტექტურული შემოქმედების განვითარების თვალსაზრისით, საჭირო იყო ბევრი პრინციპული საკითხის გადაჭრა. ამას მოითხოვდა არა მარტო ქალაქთმშენებლობის ამოცანები ან ცალკეულ ობიექტთა დაპროექტების პრობლემები, არამედ ახალი არქიტექტურის შესაფერი ხუროთმოძღვრულ-მხატვრული მიმართულების ძიების აუცილებლობაც.

ქალაქთგეგმარების დარგში ისმის ურბანისტულ თუ დეზურბანისტულ იდეასთან დამოკიდებულების საკითხი, საცხოვრებელ სახლთა არქიტექტურაში — საკითხი ბინათა ინდივიდუალური მოთავსებისა სექციურ სახლებში თუ კომუნა-სახლების აშენების შესახებ. დეზურბანისტული იდეების მიმდევარი არქიტექტორები (მ. ილინა და სხვ.) თვლიდნენ, რომ ქალაქებში, მათ შორის თბილისში, ორსართულიანზე უფრო მაღალი სახლები არ უნდა აშენებულიყო[15]. მიუხედავად იმისა, რომ კომუნა-სახლების იდეას რეალური ხორცშესხმა არ ჰპოვოლია, პრესაში („ზარია ვოსტოკა", „რაბოჩაია პრავდა" და სხვ.) დაიწყო ე. წ. ახალი, სოციალისტური ყოფის, „კომუნა-სახლების" პროპაგანდა. „ბინების ერთ-ერთ ძირითად ტიპს, რომელიც მისაღებია სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, წარმოადგენს კოლექტიური ყოფა-ცხოვრების სახლი... მათ აქვთ საბინაო უჯრედის სექტორი, საზოგადოებრივი კვების და კლუ-

---

15 «Заря Востока», 1930, 28. 3, № 81; Н. Джаши. Архитектура социалистического Тбилиси. Тб., 1963, გვ. 42.

ბის სექტორი, საბავშვო და მომსახურების ოთახები...“[16]. პარტიის მითითებები სოციალისტურ საფუძველზე ყოფის გარდაქმნის შესახებ ზოგიერთმა ავტორმა მცდარად, დამახინჯებულად და გაუბრალოებულად გაიგო. გაისმოდა მოწოდებები „საზოგადოებრივი ყოფის“ დაუყოვნებლივი დამყარებისაკენ, ინდივიდუალურ ბინებიან საცხოვრებელ სახლების მშენებლობის შეჩერების შესახებ და სხვა[17]. ყოველივე ეს არასწორად ასახავდა საბჭოთა არქიტექტურის პრინციპებს, აყალბებდა ყოფის სოციალისტურად გარდაქმნის იდეასაც კი. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ შეხედულებათა პარტიულ შეფასებას, რომელიც სკკპ (ბ) ცკ-ის 1931 წლის ივნისის დადგენილებაში აისახა. მასში აღნიშნული იყო, რომ სოციალისტური ყოფის ორგანიზაციისას აუცილებელია ბრძოლა როგორც „მემარჯვენე“ ოპორტუნიზმთან, რომელიც სოციალისტური მეურნეობის განვითარების ბოლშევიკური ტემპების წინააღმდეგ ილაშქრებს, ისე „მემარცხენე“ ოპორტუნისტთა წინააღმდეგ, რომლებიც ინდივიდუალურ სამზარეულოთა იძულებითი ლიკვიდაციის, საცხოვრებელ კომუნების ხელოვნურად დანერგვისა და სხვა პროექტორული წინადადებებით გამოდიან[18].

20-იანი წლების მეორე ნახევარში არქიტექტურულ პრაქტიკაში სულ უფრო იკიდებს ფეხს კონსტრუქტივიზმი, რომელიც საბჭოთა არქიტექტურაში აკადემიზმსა და ეკლექტიზმს დაუპირისპირდა. შენობათა სადა, ფუნქციურად გამართლებული, გეგმარების საფუძვლები, მშენებლობაში ტიპიზაციის დანერგვა, ახალ სამშენებლო მასალათა და კონსტრუქციათა შესაფერი არქიტექტურული ფორმით გამოყენება კონსტრუქტივიზმს საბჭოთა არქიტექტურაში წარმატებათა საწინდარს უქმნიდა.

საბჭოთა არქიტექტურაში ახალი შემოქმედებითი მიმართულების ძირითადი ტენდენცია იმთავითვე ორი ნაკადით განისაზღვრებოდა — რაციონალიზმით (ნ. ლადოვსკი, 1923 წლიდან „ასნოვას“ ჯგუფი) და კონსტრუქტივიზმით (ძმები ვესნინები, მ. გინზბურგი, 1925 წლიდან — ორგანიზაცია „ოსა“ და სხვ.). თუ რაციონალისტები დიდ ყურადღებას უთმობენ მხატვრული სახის შექმნას, ფართოდ იყენებენ ახალ საშენ მასალებსა და კონსტრუქციებს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არქიტექტურული ფორმის კომპოზიციური აგების ობიექტურ კანონზომიერებათა გათვალისწინებას, კონსტრუქტივისტები ხაზს

---

16 ვ. ი ლ ი ნ ა. ბინა ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქციის პერიოდში. „ტექნიკა და შრომა“ 1932. № 5—6.

17 Н. Д ж а ш и. Архитектура социалистического Тбилиси. Тб., 1963. стр. 40.

18 КПСС в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов ЦК, ч. II. 1953, გვ. 668.

უსვამდენ შენობათა ფუნქციურ-კონსტრუქციული საფუძვლების მნიშვნელობას. საერთოდ კი, მიუხედავად თეორიულ და შემოქმედებითი უთანხმოებისა, საბოლოოდ ეს ორი ნაკადი ერთიან შემოქმედებით მიმართულებად გამოვლინდა[19].

ოციანი წლების დასასრულისათვის ეს ახალი შემოქმედებითი მიმართულება (ან როგორც მას უმთავრესად უწოდებენ — კონსტრუქტივიზმი) საქართველოში უკვე რეალური ძალითაა გამოვლენილი, თუმცა მას დამოუკიდებელი სახე არ მიუღია. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი ქართული არქიტექტურაც ამ ახალი შემოქმედებითი მიმართულების გავლენის ქვეშ მოექცა, (ეს კი გარეგნულ, ფორმალურ მხარეში გამოვლინდა), რაც თავისთავად სტილიზაციას წარმოადგენდა, მთელ რიგ შემთხვევებში იყო ცდა შეეგუებიათ მასთან ეროვნული ტრადიციული ფორმები. ამან შენობათა არქიტექტურას გარკვეული ინდივიდუალობა მიანიჭა.

ოც-ოცდაათიანი წლების მიჯნაზე განსაკუთრებით საგრძნობი ხდება სწრაფვა კონსტრუქტივისტული არქიტექტურისადმი, განსაკუთრებით იმის შემდეგ, როცა დაიწყო ლაშქრობა ქართული ეროვნული ფორმების ეკლექტიკური გამოყენების წინააღმდეგ. არქიტექტორთა ნაწილი ამ შემთხვევაში უფრო იოლ გზას, საბჭოთა არქიტექტურაში უკვე საკმაოდ გამოცდილ და ცნობილი ნიმუშების კომპოზიციური ხერხების გადმოტანის გზას დაადგა.

ეროვნული ტრადიციული ფორმების გამოყენება, რაც „ქართული სტილის“ შექმნის ლოზუნგით მიმდინარეობდა, 20-30-იანი წლების მიჯნაზე შესუსტდა. დამახასიათებელია, რომ კულტურის სასახლის კონკურსზე, რომელიც 1931 წელს ჩატარდა და რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო იმდროინდელ არქიტექტურულ ცხოვრებაში, ყველა პროექტი, ასე თუ ისე, კონსტრუქტივისტული არქიტექტურის გავლენით იყო შედგენილი. ეს აშკარად მეტყველებდა კონსტრუქტივიზმის პოპულარობაზე.

20-იანი წლების მეორე ნახევარში ხუროთმოძღვართა ძველ თაობას გვერდში ამოუდგა ახალგაზრდობა, ჯერ სტუდენტობის, ხოლო შემდეგ არქიტექტურული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სახით. რესპუბლიკაში გამოცოცხლდა არქიტექტურული ცხოვრება. 1927 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის ინიციატივით ჩატარდა არქიტექტორთა საერთო კრება, რომელმაც გამოიტანა დადგენილება, რომ შექმნილიყო ქართველ ხუროთმოძღვრთა საზოგადოება. საორგანიზაციო საკითხების გადასაწყვეტად გამოიყო ჯგუფი

---

19 ნახ. А. Журавлев, С. Хан-Магомедов. Советская архитектура. М., 1968, გვ. 7—15.

მ. მაჭავარიანის, ნ. სევერცოვის, მ. კალაშნიკოვის, ა. კალგინის, ნ. მადათოვისა და გ. ტერ-მიქელოვის შემადგენლობით[20]. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. არქიტექტორთა გაერთიანების შექმნა შემდგომშიც იდგა დღის წესრიგში. 1928 წელს პროფ. ა. კალგინი თავის სადისკუსიო წერილში სამხატვრო აკადემიის რეფორმასთან დაკავშირებით, ხაზგასმით მიუთითებს, რომ უნდა შეიქმნას (სამხატვრო აკადემიასთან) საქართველოს არქიტექტორთა და მხატვართა საზოგადოება[21].

არქიტექტორთა შემოქმედებითი გაერთიანების შექმნაში დიდ როლს თამაშობდნენ ახალგაზდა სპეციალისტები, სახუროთმოძღვრო უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულები. მათი პროფესიული მომზადება შეგნებულად დაექვემდებარა ქართული საბჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბების ამოცანებს. თავიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა კლასიკური და განსაკუთრებით ეროვნული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ქართული ხელოვნების მეცნიერული შესწავლა სწორედ ამ უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობდა და ამ კვლევით სამუშაოებში ხშირად სტუდენტობაც ღებულობდა მონაწილეობას. სამხატვრო აკადემიის პირველი რექტორი პროფესორი გიორგი ჩუბინაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიული არქიტექტურის ნიმუშების ადგილზე შესწავლას — ანაზომების, ჩანახატების შესრულებას და სხვ. „ეს აუცილებელი იყო არა მხოლოდ წარსულის სიმდიდრის გასაცნობად, არამედ ახალი ქართული ხუროთმოძღვრების ფორმირებისათვისაც. ეს სრულიადაც არ გულისხმობდა ისტორიული ფორმების მექანიკურ გადმოღებას ახალი ეროვნული ფორმის მისაღებად — როგორც ამას მართლაც ჰქონდა ადგილი ოციან წლებში. პირიქით, წარსული ეროვნული მემკვიდრეობის ღრმად შესწავლას ხელი უნდა შეეწყო მისი კრიტიკული თვალით დანახვისათვის, შემოქმედებითი აღქმა-ათვისებისათვის"[22].

გარდა თეორიული მომზადებისა, სტუდენტებს გახსნილი ჰქონდათ გზა რეალურ, პრაქტიკულ სარბიელზეც. ისინი მონაწილეობდენ მთელ რიგ კონკურსებში, სადაც აშკარად ჩანდა მათი დიდი პოტენციური შესაძლებლობანი. ამას ადასტურებს ნავთლუღისა და ბაქოს რადიოსადგურების შენობათა, ბაქოს მუშათა ტიპობრივი საცხოვრებელი სახლისა თუ თბილისში, ვაკის დაგეგმარებისათვის გამოცხადებულ კონკურსებში მათი გამარჯვება[23].

---

20 «Заря Востока» 1927, 18. 5, № 1478.

21 К реформе Академии Художеств Грузии. «Заря Востока» 1928, 4. 7, № 153.

22 ვ. ბერიძე. გიორგი ჩუბინაშვილი თბ., 1963, გვ. 74—75.

23 ვ. ბერიძე, ქართ. საბჭ. არქ. ისტორია, გვ. 85.

მიუხედავად წარმატებებისა, რომელი ცუკვე თვალნათლივ ჩანდა, უმაღლესი განათლება მაინც წინააღმდეგობებს აწყდებოდა. ჯერ დაისვა საკითხი ორ სასწავლებელში არსებულ ფაკულტეტთა გაერთიანებისა, ხოლო შემდეგ სამხატვრო აკადემიის რეორგანიზაციისა.

1930 წელს სამხატვრო აკადემია გადაკეთდა „უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკურ ინსტიტუტად“, ხოლო იმავე ზაფხულს იგი გაუქმებული იქნა. ეს იყო თავისებური ანარეკლი იმ დამოკიდებულებისა მხატვრული მემკვიდრეობისადმი ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში, რომელსაც ადგილი ჰქონდა მთელ რიგ შემოქმედებით გაერთიანებებში. ისეთი ორგანიზაციები, როგორიც იყო „რაპი“, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, საქართველოს რევოლუციურ მხატვართა ასოციაცია (სარმა), რომლებმაც თავიდან დადებითი როლი შეასრულეს ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლაში, თანდათან მსოფლიო და ეროვნული კულტურის უარყოფის გზას დაადგნენ. მხატვრული ნაწარმოების იდეური მხარის გახსნისას ღრმა პროფესიული ოსტატობის შეუფასებლობას ემატებოდა ის ვულგარული სოციოლოგიური თეორიები, რომლებიც „საწარმოო ხელოვნების“ შექმნას ღაღადებდნენ და რომლებიც ფაქტიურად უარყოფდნენ მხატვრული სახის როლს ხელოვნებაში, ხოლო იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანები შეცვლილი იყო ტექნიკურ-უტილიტარულით[24]. ყველაფერი ეს გავლენას ახდენდა არქიტექტურის სწავლებაზეც: ინერგებოდა სქემატური პროექტირება, კლასიკური ხუროთმოძღვრული ფორმების შესწავლა უგულებელყოფილი იყო, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებდა ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების დონეზე.

მაგრამ არ იქნება სავსებით სწორი ამ რეფორმით გამოწვეული ზოგიერთი შედეგის სრული უარყოფა. არქიტექტურაში სტუდენტებს ხუროთმოძღვრების ახალი სოციალისტური სტილისაკენ მოუწოდებენ და ასწავლიან კონსტრუქტივიზმის საფუძვლებს. ეს თავისთავად უკვე ახლის ძიებისა და ეკლექტიზმთან ბრძოლის გამოხატულება იყო. იმდროინდელი პრესა აღნიშნავს, რომ სტუდენტ-არქიტექტორთა ნამუშევრების გამოფენაზე, ჩანს „თანამედროვე არქიტექტურის მისწრაფებათა და განვითარების ფორმათა საფუძვლიანი გაცნობა“[25]. თანამედროვე არქიტექტურული მიმართულების ძიებაში კლასიკური მემკვიდრეობის უგულებელყოფა სერიოზული შეცდომა იყო და ახლის ძიე-

---

[24] История советского искусства. Живопись, скульптура, графика. I. М., 1965, გვ. 77.

[25] «Заря Востока», 1929, 8. 10, № 231.

პაც ამ შემთხვევაში ექსპერიმენტის (ხშირად უინტერესო, სქემატურის) იქით არ მიდიოდა.

1933 წელს სამხატვრო აკადემია აღდგენილ იქნა. იგი კვლავ შეუდგა საქმიანობას საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარების ამ ახალ ეტაპზე, თუმცა არქიტექტურის ფაკულტეტი აქ მხოლოდ 1937 წელს აღდგა. 1930 წელს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო-სამშენებლო ფაკულტეტი და უმაღლესი სამხატვრო ტექნიკური ინსტიტუტის საარქიტექტურო-სამშენებლო ფაკულტეტი სამშენებლო-სატექნიკო ინსტიტუტად გაერთიანდა.

უმაღლესი სახუროთმოძღვრო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი თანდათანობით ქმნიან იმ ძირითად ბირთვს, რომელსაც ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების შემდგომ ეტაპზე წამყვანი როლის შესრულება დაეკისრა.

ახალგაზრდა არქიტექტორთა ინიციატივით 1930 წელს შეიქმნა რუსეთის პროლეტარულ არქიტექტორთა საზოგადოების — „ოპრას" მონათესავე „საქართველოს პროლეტარულ არქიტექტორთა ასოციაცია" („საპარა"), რომელმაც პროლეტარული არქიტექტურის შექმნის პროგრამა ჩამოაყალიბა და გამოაქვეყნა დეკლარაციის სახით. დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ პროლეტარიატის კლასობრივმა ინტერესებმა კულტურული რევოლუციის ყოფაცხოვრების პირობებში, არქიტექტორთა წინაშე ახალი ამოცანები დააყენა. „არქიტექტურა კოლექტიური ყოფისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღად იქცა... არქიტექტორი შრომისა და ყოფის ახალი ფორმების პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორია, იგი პროლეტარული მოძრაობის ავანგარდში უნდა იყოს... ჩვენ მომხრენი ვართ პროლეტარული, კლასობრივი არქიტექტურის კონსტრუქციულად თუ ფორმალურად ერთიანი ხელოვნებისა, რომელიც დარაზმავს მასების ნებას ბრძოლისა და შრომისაკენ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ფორმის მოწყვეტისა შინაარსისაგან და ფორმისა კონსტრუქციისაგან, ჩვენ მათი ორგანული მთლიანობის მომხრენი ვართ. ჩვენთვის ფორმა თვითმიზანი კი არა, საშუალებაა. ჩვენ წარსული კულტურის ათვისების, მისი მარქსისტული ანალიზის მეთოდით შესწავლის მომხრენი ვართ, მაგრამ არა მიმბაძველობისა და მექანიკური გადმოღებისათვის, არამედ ისტორიული გამოცდილების კრიტიკული გამოყენებისათვის პროლეტარული არქიტექტურის შექმნის პროცესში. მკვდარ „ეროვნულ" სტილთა, მათ არქიტექტურულ ფორმათა რესტავრირება — ნიშნავს ჩამოაცილო პროლეტარიატი თავის კლასობრივ ამოცანებს. ჩვენ მომხრენი ვართ არქიტექტურულ შემოქმედებაში თანამედროვე მეცნიერების ყველა მიღწევის გამოყენებისა და შესწავლის ფორმის, ფერისა თუ სხვ. შესახებ... პროლეტარული არქიტექტურის გზა ლოზუნგიდან

„ხელოვნება მასებს“ — „მასების ხელოვნებამდე“ — ეს კაბინეტური სწავლულის გზა კი არ არის, არამედ აქტიური საზოგადოებრივი მუშაკისა და მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლის გზაა...“[26].

დეკლარაცია შეიცავდა სწორ დებულებებს შინაარსის და ფორმის ერთიანობის, მემკვიდრეობის ათვისების, რესტავრატორული არქიტექტურის კრიტიკის საკითხებში. მაგრამ სოციალისტური კულტურის წინაშე მდგომი ამოცანების გაშუქებისას, მთელ რიგ საკითხებში ვერ სცდებოდა ვულგარულ გაუბრალოებასა და დამახინჯებას. დეკლარაციაში ადგილი აქვს ყოფის განზოგადოების მავნე ტენდენციას: „არქიტექტორთა წინაშე პრაქტიკული ამოცანების მთელი რიგი დგას: წვრილმესაკუთრული ხასიათის საცხოვრებლის მშენებლობა კი არა, არამედ კომუნალური ტიპისა“ ან „კოლექტივიზაციისაკენ მისწრაფება — უმთავრესი ტენდენცია ჩვენი ყოფისა“ — და სხვ. რაც ყოფის სოციალისტური გარდაქმნის გაყალბებას წარმოადგენდა და დაგმობილ იქნა პარტიის ცკ-ის 1931 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებით. დეკლარაციაში გაუბრალოებული იყო პროფესიული ხელოვნებისა და კადრების საკითხებიცა და სხვ.

1931 წელს „საპარა“ ირჩევს გამგეობას, რომლის შემადგენლობაში შედიან არქიტექტორები — შ. თავაძე (პ/მგ. მდივანი), მ. ჩხიკვაძე, მ. შავიშვილი, ი. ყირქესალი, კ. მერაბიშვილი, ა. კალგინი, ა. ინწკირველი და სხვ. „საპარა“ მონაწილეობს იმ დროის არქიტექტურული ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენაში — საკავშირო კონკურსში თბილისის შრომის სასახლის დაპროექტებაზე (1931 წ.), ამის შემდეგ ამ გაერთიანებას დიდხანს აღარ უარსებია. მან ვერ შეძლო შემოქმედებითი ძალების შეკავშირება. დამახასიათებელია, რომ უფროსი თაობის არქიტექტორები მის მუშაობაში არ მონაწილეობდნენ. პრაქტიკული შემოქმედების თვალსაზრისით, „საპარას“ რაიმე კვალი არ დაუტოვია.

კომუნისტური პარტიის მითითებანი ხელოვნებისა და კულტურის დარგში ამხელდა მემარცხენე პლატფორმების, ეკლექტიზმისა და რესტავრატორული ტენდენციების ნამდვილ არსს, გამოდიოდა დაჯგუფებათა წინააღმდეგ, გზას უკაფავდა ჰეშმარიტად სოციალისტური ხელოვნების შემოქმედებით მიმართულებას. უდიდესი როლი ითამაშა სკპ(ბ) ცკ-ის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ „ლიტერატურულ-მხატვრულ ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“, რომელმაც ერთიან მძლავრ შემოქმედებით კავშირებში გააერთიანა საბჭოთა ხელოვნების მოღვაწენი.

---

[26] От «искусства — массам» к «искусству масс». «Заря Востока» 17. 3. 30. № 70.

სულ მალე ქართველი ხუროთმოძღვრებიც გაერთიანდნენ საქართველოს არქიტექტორთა კავშირში. ეს განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისის მაუწყებელი იყო.

2 ქალაქთა რეკონსტრუქცია. დაგეგმარება და განაშენიანება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას პირველი წლები, როგორც აღინიშნა, რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის აღდგენა-მოწესრიგების საქმეს მოუნდა. უკვე 1921 წელსვე დაისვა საკითხი ქალაქთა გეგმიანი რეკონსტრუქციისა და მასთან დაკავშირებით ახალი დაგეგმარების შედგენის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ღონისძიება ჯერ ვერავითარ რეალურ შედეგებს ვერ მოიტანდა, თვით საკითხის დასმაც, ზრუნვა ქალაქთა კეთილმოწყობაზე და რეკონსტრუქციის წინასწარ შემუშავებულ გეგმის შედგენაზე — მნიშვნელოვანი იყო. 1921 წლის აპრილში გაზეთი „კომუნისტი“ იუწყება, რომ აღძრულია საკითხი „ქალაქების ხელახლა დაგეგმვის შესახებ. პირველყოვლისა, გორის ,შემდეგ განზრახულია ბათუმის“ და ა. შ.[27]. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გატარებამ ქალაქების სწრაფი ზრდა განაპირობა. აღსანიშნავია, რომ თუ 1922 წელს საქართველოში ქალაქებში 502.000 მცხოვრები იყო, 1926 წელს — 594,2 ათასამდე ავიდა. მოსახლეობის ზრდასთან ერთად საქალაქო მეურნეობას ახალი საზრუნავი უჩნდებოდა. უმთავრესი ყურადღება რესპუბლიკის დედაქალაქს დაეთმო. იმ დროინდელი პრესა აღნიშნავდა თბილისის სხვადასხვა რაიონების კეთილმოწყობისათვის ჩატარებულ სამუშაოთა დიდ მნიშვნელობას. „ამ უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში (1922—25 წ. — ნ. ჯ.) მიუხედავად ჩვენი ხელმოკლეობისა, განაპირა უბნების კეთილმოწყობის საქმეზე 4-5 მილიონ მანეთამდე დაიხარჯა. ამჟამად სავსებით გამართული და მოწყობილია ნაძალადევი, ეს აკვანი რევოლუციის: გაყვანილია ახალი მოკირწყლული ქუჩები კანალიზაციით, წყალსადენითა და განათებით. მოწყობილია აგრეთვე ნადიროვკა და საბურთალო, სადაც მხოლოდ მუშები ცხოვრობენ. მუშაობა დაწყებულია მთელ ქალაქში — ავლაბარში, შეითან-ბაზარში, ვერაზე, სომხის ბაზარზე და სხვ.“[28].

---

27 ქალაქების ახლად დაგეგმვა. „კომუნისტი“, 1921, 26.4, № 45.

28 ა. ა ს ა რ ი ე ვ ი. კომუნალური მეურნეობის განვითარების ფართო გზაზე. „ჩვენი აღმშენებლობა“, 1926, № 2, გვ. 8.

1924-25 წლებში საქალაქო მშენებლობა ახალ ქუჩათა, მოედანთა, სკვერების გაყვანის ამოცანებს ისახავს. 1924 წელს გადაწყდა პლეხანოვის პროსპექტის უბნების რეკონსტრუქცია, ე. წ. პასაჟ „კროშკას“ (ვაგზლის ქუჩა) და შუა ბაზრის (ლესელიძის ქ.) გაფართოება. „რაღაც თექვსმეტიოდე თვის განმავლობაში ვიწრო ქუჩის ადგილას გაყვანილია რვა საკენიანი პროსპექტი, რომელიც თავისუფლების მოედანს გოგირდის წყლების რაიონსა და ნაყოფიერ ბორჩალოს ერთად-ერთ საურმე გზას უკავშირებს“. ამ ქუჩის ანუ შუა ბაზრის გაფართოების მიზნით აღებულ იქნა ძველი დუქნები. მათ ადგილას აიგო ორსართულიანი შენობები, რომელთა ქვედა სართული სავაჭრო დაწესებულებებმა დაიკავა. „ჯერჯერობით აგებულია 206 დარაბა და 97 ოთახი (საცხოვრებელი), ნაცვლად 198 დარაბის და 78 ოთახისა“[29]. 1925 წელს გაფართოებული ქუჩა უკვე მოკირწყლულია. ამ ქუჩის გაყვანით ქალაქის ძველი რაიონები ცენტრს კეთილმოწყობილი ქუჩით დაუკავშირდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის მთელი შემდგომი რეკონსტრუქციისათვის.

შუაბაზრის გარდა გაფართოებულ იქნა და გაკეთდა ქუჩა, რომელიც სადგურიდან პირდაპირ პლეხანოვის პროსპექტისაკენ ჩამოდის. გაყვანილ იქნა ახალი ქუჩა ვერის ხიდიდან საქართველოს სამხედრო გზამდე — რაც ელბაქიძის დაღმართსა და ლენინის ქუჩის განტვირთვის საშიროებით იყო ნაკარნახევი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის ტერიტორიის ზრდასა და განაშენიანებას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საბურთალო. აი ამონაწერი 1926 წლის ერთ-ერთ წერილიდან: „ოცი-ოცდახუთი წლის წინათ საბურთალო ერთბაშად გაშენდა. იგი ისე საუცხოო ადგილად მიაჩნდა ყველას, რომ ორსამ წელიწადში უზარმაზარი უბანი გაჩნდა. იგი სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ შემდეგ ეს ზრდა ერთბაშად შეჩერდა და უბანი გაეერანდა კიდეც... ამ უპატრონობის შედეგი იყო საბურთალოს დაჭაობიანება. უბნის დასავლეთ ნაწილში ჩასახლდნენ მებაღეები. მოსარწყავათ ისარგებლეს ლისის ტბით, მაგრამ ნაწრეტ წყალს გასავალი არ მისცეს. ნაწრეტი წყალი წლობით გუბდებოდა დაბლობ ადგილებში, იჭაობებოდა და ჭაობიანდებოდა. 1921 წელს მალარიამ განსაკუთრებული სიმწვავით იფეთქა საბურთალოში.. .საბჭოთა ხელისუფლებას რომ თავის დროზე ყურადღება არ მიექცია ამისათვის, დღეს საბურთალო-

---

[29] გ. ქურდიანი კეთილმოწყობის ამოცანები და ტფილისის აღმასკომის მიღწევები „ჩვენი აღმშენებლობა“, 1926, № 2.

'ში არცერთი სული არ იქნებოდა. მას შემდეგ კვლავ დაიწყო საბურთალოს ნელ-ნელა გამოკეთება, მაგრამ ეს საკმაო არ არის"[30].

საბურთალოს მომავალი დაგეგმვა, რომელიც 1925 წელს დაიწყო[31], შედის საკითხთა იმ წრეში, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით ისმის თბილისის ზრდა-განვითარების პერსპექტივების დადგენისათვის. ასეთ საკითხებს წარმოადგენდა მადათოვის კუნძულისა და მტკვრის მარჯვენა ტოტის კეთილმოწყობა-გაჯანსაღება. აქ დაიწყო სადრენაჟო თხრილის გაყვანა, ზოგის აზრით კუნძულზე დახურული ბაზარი უნდა მოწყობილიყო[32], ზოგს აუცილებლად მიაჩნდა მტკვრის მარჯვენა ტოტის ამოშრობა, ზოგი „საუმჯებესოდ თვლის მადათოვის კუნძულზე ბაღის გაშენებას, ხოლო ტოტში აუზის მოწყობას". ისმის საკითხი აქ მწვანე მასივისა და სპორტული მოედნების მოწყობისა[33]. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის გამწვანებას, მთის ფერდობებზე ტყის გაშენებას, რაც ქალაქის ქუჩების ნიაღვრებისაგან დაცვას უზრუნველყოფდა. ქალაქის მიდამოებში ტყის მოშენებამ დიდი ნაყოფი გამოიღო და ნიაღვრისაგან ზარალი ასეთ რაიონებში შემცირდა. მაგ. ხუდადოვის ტყის გაშენებამ დიდი სარგებლობა მოუტანა მთელ რაიონს — საბჭოს ქუჩაზე შეწყდა ნიაღვრების ნალექი. შეუდგნენ ტყის მოშენებას ვერის რაიონში და სხვ.[34]. მწვანე მასივთა მშენებლობა ქალაქის სხვადასხვა უბნებში სასიცოცხლო ღონისძიებას წარმოადგენდა თბილისისათვის. შენდება „ლენინის სკვერი ოლღის ქუჩის თავში, ჯაფარიძის სახ. სკვერი ყოფ. ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, შაუმიანის — ავლაბარში და სხვ., რომელთა საერთო სივრცე დაახლოებით 7.000 კვ. საჟენს უდრის"[35].

ქალაქის გამწვანებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს თბილისის ზოოლოგიური ბაღის მშენებლობა, რომელიც 1927 წლის 10 ივნისის დადგენილებით გადაწყვიტა აღმასკომმა. მას დაეთმო „ვერის ბაღები" მდ. ვერეს ხეობის გასწვრივ, საქართველოს სამხედრო გზასთან და შენობების ასაგებად უვარგისი ახლო მდებარე ფერდობები. ეს ბაღი „გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ

---

30 ფ. ჩ ხ ე ი ძ ე. ქალაქის გაფართოების საკითხი და საბურთალოს მომავალი, „ტფ. საბჭოს მოამბე", 1926, № 6, გვ. 37.

31 „ჩვენი აღმშენებლობა, 1925, № 4. ქრონიკა.

32 ხ-ლი. „ტფ. საბჭოს მოამბე", 1926, № 7, გვ. 40—41.

33 ე. ა რ დ ი შ ვ ი ლ ი. მომწიფებული საკითხი; გ. ქ უ რ დ ი ა ნ ი. მტკვრის მარჯვენა ტოტის გაჯანსაღებისათვის. „ტფილისის საბჭოს მოამბე", 1927, № 3.

34 „ჩვენი აღმშენებლობა", 1925, № 4, ქრონიკა.

35 გ. ქ უ რ დ ი ა ნ ი. კეთილმოწყობის ამოცანები და ტფილისის აღმასკომის მიღწევები. „ჩვენი აღმშენებლობა". 1926, № 2, გვ. 12.

მდგომარეობას „მწვანე მოედნით“, რომელიც თავის სივრცით ბევრად გადააჭარბებს ქალაქის ერთად აღებულ ბაღებს“[36].

აღმასკომმა გადაწყვიტა აგრეთვე აეგოთ ბალნეოლოგიური სადგური, რომელშიაც ხუთი ახალი შენობა იყო გათვალისწინებული[37]. ესეც ქალაქის ბუნებრივი პირობების მაქსიმალური გამოყენებისაკენ მიმართული მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო.

ყველა ეს ღონისძიება თავისთავად გულისხმობდა ქალაქის დაგეგმარებას, გარკვეული სისტემის შექმნას. ქალაქებისათვის გეგმების შედგენის აუცილებლობა აღნიშნულია თითქმის ყველა წერილში, რომელშიც ქალაქთა კეთილმოწყობაზეა ლაპარაკი. იბეჭდება თეორიული მოსაზრებანი საერთოდ ქალაქთმშენებლობის დარგში[38]. „ჩვენის მოუმზადებლობით ქალაქის ზრდა არ უნდა შევაჩეროთ და ვერც შევაჩერებთ: თუ ქალაქი წინდაწინვე გადაღებული და დაგეგმილი არ იქნება, იგი მახინჯ სახეს მიიღებს და შემდეგ შეცდომის გამოსწორება დიდ ფულს მოითხოვს და ბევრ შემთხვევაში შეუძლებელიც იქნებაო“ — წერდა ქალაქის მთავარი ინჟინერი გ. ქურდიანი[39]. ქალაქის გეგმის შედგენისათვის იგი თხოულობს ტერიტორიის გადაღებას, რითაც ფაქტიურად გამოხატულია იმდროინდელი შეხედულება ქალაქის ტერიტორიულ ზრდაზე. ეს ადგილებია: ვაკე („მთლად“), საბურთალო, ნაწილობრივ დელისი, დიდუბე „გერმანელთა ახალშენამდე და მთელი მოედანი ყეენის გორამდე“, ნაძალადევი, კუკია, არსენალი — მახათამდე, ავლაბარი, კრწანისის ბაღები, ბოტანიკური ბაღის და ზაჰესის რაიონები.

თბილისის გენერალური რეკონსტრუქციის გეგმის შედგენის საკითხი რეალურად დაისვა 1925 წელს. აღმასკომმა გამოყო სათანადო სახსრები და თბილისის ახალი გეგმის შედგენისათვის მიიწვია პროფ. ა. ივანიცკი, რომელიც იმ დროს ბაქოში მუშაობდა.

მოწვეულ იქნენ გეოდეზიის სპეციალისტები პროფ. ბენაშვილის მეთაურობით, შემუშავდა სამუშაო პროგრამა, ხარჯთაღრიცხვა და სხვ.

პროფ. ა. ივანიცკიმ აღმასკომის სხდომაზე გააკეთა სპეციალური მოხსენება და გამოთქვა მთელი რიგი მოსაზრებები, რომლებიც, მისი აზრით, უპირ-

---

36 ე. მ ა რ კ ო ვ ი. ტფილისის ზოოლოგიური ბაღი. „ტფ. საბჭოს მოამბე“, 1927, № 4, გვ. 28—36.

37 „ჩვენი აღმშენებლობა“, 1925, № 7, გვ. 54.

38 „ტექნიკა და ცხოვრება“, 1925; № 3, 1925 № 5—6; 1926; № 8, და სხვ.

39 გ. ქ უ რ დ ი ა ნ ი. ქალაქ ტფილისის ახალი გეგმა. „ჩვენი აღმშენებლობა“ 1926, № 3, გვ. 20.

ველესი მნიშვნელობისა იყო[40]. „ქალაქის ძველს და გაშენებულს ნაწილებში გეგმის შეცვლა მხოლოდ შემდეგი წესით არის შესაძლებელი: ან უნდა გადაკეთდეს შენობები, გაყვანილ იქნას ახალი და გაფართოვდეს ძველი ქუჩები, ან კიდევ „წითელი ხაზებით“ და სხვა საშუალებებით განსაზღვრულ იქნას შენობების ადგილი. აქ მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ქალაქის შენობების თანდათანი გადაკეთება. ხანდახან ქალაქის მშენებლობაში „ქირურგიული“ ჩარევა აუცილებელია. მაგრამ ცხოვრებაში გატარება ხშირად ძნელია, განსაკუთრებით პირველ ხანებში, სანამ ასეთ რეკონსტრუქციის ეკონომიური შედეგები სავსებით გამორკვეული არ იქნება“[41]. თბილისის მოსახლეობა ყოველწლიურად 3% ემატება; ამიტომ ისახება მთელი რიგი გადაუდებელი ამოცანებისა, რომელთაგან იგი უმთავრესად გამოჰყოფდა შემდეგს:

ა) მოწესრიგება და განვითარება განივი მაგისტრალებისა, რადგან ქალაქი სიგრძეზეა გადაჭიმული. ამასთან, თავისთავად წარმოიშვება მდინარის ნაპირად ქუჩების მოწყობის და მადათოვის კუნძულის რაციონალურად გამოყენების საკითხი. ეხლავე უნდა განისაზღვროს მტკვრის ხიდების, რკინიგზის აკვედუკებისა და სხვათა მდებარეობა და მისასვლელი ადგილები.

ბ) საბურთალოს რაიონისა და მტკვრის გაყოლებამდე ნაძალადევის სამოსახლო ადგილების დაგეგმვა. სასაკლაოს მიდამოების დაგეგმვა;

გ) თბილისს არ აქვს მოედნების საკმაო რიცხვი — რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია;

დ) თბილისს თავისი სამკურნალო წყლების წყალობით ბალნეოლოგიური კურორტის მომავალი აქვს. ბოტანიკური ბაღის მიდამოების დაგეგმვის დროს ახლავე უნდა იქნას მხედველობაში მიღებული საკურორტო ქალაქის მომავალი საჭიროებანი[42].

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ პროფ. ივანიცკის მოსაზრებანი გრაფიკულად არ განხორციელებულა, ე. ი. თვით რეკონსტრუქციის პროექტი არ შემდგარა, აღნიშნული დებულებები მაინც სახელმძღვანელოდ იქცა. ისინი ქალაქის ცალკეული რაიონების განაშენიანების საკითხებს მთელი სიგრძე-სიგანით სვამდნენ.

1926 წელს გამოცხადდა კონკურსი ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ახალი რაიონის — ვაკის დასაგეგმარებლად[43]. ვაკე თანდათანობით გადაიქცა ქალაქის ერთ-ერთ ახალ ძირითად საცხოვრებელ რაიონად და სტიქიური განაშენია-

40 თბილისის კეთილმოწყობა. „კომუნისტი“ 1925, 30.10. № 250.

41 თბილისის ახალი გეგმა „ჩვენი აღმშენებლობა“, 1925, № 7, გვ. 62—63.

42 იქვე, გვ. 63.

43 ვაკის დაგეგმვა. „კომუნისტი“, 1926, 24.11, № 269.

ნება მას კარგს არაფერს უქადდა. ამიტომ კონკურსის მიზანს შეადგენდა ძირითადი სქემის შედგენა. კონკურსში გაიმარჯვა უნივერსიტეტის სტუდენტმა არჩილ ქურდიანმა, რომლის პროექტი ითვალისწინებდა ქალაქის ახალ რაიონში, საცხოვრებელ სახლთა გარდა, საზოგადოებრივი, სასწავლო, სასპორტო და. სხვა დანიშნულების შენობათა აგებას, აგრეთვე სკვერებისა და ბაღების შექმნას[44].

პროექტით გათვალისწინებული გეგმარება მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა: გაშენდა მრგვალი მოედანი ერისთავისა და ბარნოვის ქუჩების გადაკვეთაზე და რადიალური ქუჩები მოედნის გარშემო.

ამ დროისათვის თბილისში ფართოდ იშლება მუშაობა ქუჩების გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის. შენდება ახალი საცხოვრებელი კვარტალები. ტრამვაის პარკიდან პლეხანოვის პროსპექტისაკენ გაფართოვდა ქუჩა და გაშენდა რვა საცხოვრებელი სახლი, ეს ფაქტიურად პირველი მაგალითი იყო საცხოვრებელი კვარტალის ერთიანი განაშენიანებისა, როცა ბინების გარდა გათვალისწინებული იყო პირველადი მომსახურების ობიექტებიც[45]. გაფართოვდა ვერის დღმართი, მუშტაიდის ბაღი საზოგადოებრივი დასვენების ადგილად იქცა და სხვ. და სხვ.

1927 წელს ჩატარდა კონკურსი საბურთალოსა და სადგურის შემაერთებელი ხიდის პროექტის შესადგენად. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს არქ. მ. კალაშნიკოვმა, ნ. სეეროვმა, ა. შჩუსევმა და სხვ. ამ კონკურსმა რეალური შედეგები ვერ გამოიღო.

1928 წელს პრაქტიკულად შეუდგნენ მუშაობას მტკვრის სანაპიროს გასამაგრებლად და შემდგომში მაგისტრალის გასაყვანად. „მადათოვის კუნძული" — ანტისანიტარიის ბუდე, რომელსაც მტკვრის ტოტი (ყაფლაანთ შტო) ჩაუდიოდა მარჯვენა მხარეს და წყლის კლების დროს მავნე ტბორად იქცეოდა, — გათავისუფლდა ჭოხმახებისაგან და სამშენებლო მოედნად იქცა. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც მდ. ვერე მტკვარს ერთვის (ამ ადგილს „სატივე" ეწოდებოდა. აქ შლიდნენ ტივებს და ხე-ტყეს ყიდდნენ), აშენდა პირველი საცურაო აუზი[46].

საბურთალოში მტკვარზე ახალი ხიდის აგებასთან დაკავშირებით, 1929 წელს განიხილეს ლენინის ახალი პროსპექტის პროექტი. ინჟ. ფელდტის პრო-

---

44 ვ. ბერიძე, ქართ. საბჭ. არქ. ისტორია, გვ. 77; „Заря Востока". 1926, 20.9, № 1333.

45 იხ. ქვემოთ.

46 გ. ბეჟანიშვილი. 30 წლის წინათ გაზ. „თბილისი", 1959, 21.1, № 17.

ექტი ითვალისწინებდა სადგურისა და ცენტრის დამაკავშირებელ მოხერხებული მაგისტრალისა და საბურთალოსკენ აღმართის კუთხის შერბილებით ქუჩის გაყვანას. ე. ი. დასმული იყო ჩელუსკინელთა, ლენინის, ვარაზისხევის ქუჩების დაგეგმარების საკითხები. აღნიშნავდნენ, რომ თბილისში მასობრივი და შედარებით აჩქარებული მოძრაობა უმთავრესად წარმოებს სადგურის რაიონსა და რუსთაველის პროსპექტის, თავისუფლების მოედნის რაიონში. მაშინ სადგურს ქალაქი უერთდებოდა შედარებით ვიწრო პლეხანოვის პროსპექტით, შემდეგ მეტად ვიწრო ვერის ხიდით და, შემდეგ, ასეთივე ვიწრო და ციცაბო ელბაქიძის აღმართით. ამ მანძილზე, აღნიშნული მიზეზების გამო, ხშირი იყო კატასტროფები. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ მარტოოდენ ელბაქიძის აღმართის გაფართოება ვერ გადაწყვეტდა საკითხს, რადგან იგი კვლავ ციცაბო აღმართად რჩებოდა. საკითხს გადაწყვეტს ვერის ახალი ხიდის აგება — სადგურის ქუჩის გასწვრივ, სახკინმრეწველობის შენობასთანო. თბილისის აღმასკომს განზრახული ჰქონდა ხიდიდან გაეყვანა ქუჩა უნივერსიტეტისაკენ და აგრეთვე გვირაბი საბურთალოს ქვეშ.

ინჟ. ფელდტის აზრით, ასეთი მიმართულება გაადიდებს გადარბენას სადგურის უბნისა და ცენტრს შორის. იგი წინადადებას იძლევა გვირაბის ნაცვლად (რაც უხერხულობას ქმნის მოძრაობისთვის და საფრთხესთან არის დაკავშირებული) გაყვანილ იქნას ახალი ხიდიდან ფართო პროსპექტი, ვერის პარკზე თანდათანი აღმართით, შემდეგ გადაჰკვეთოს ვერის ხრამს და ვერის შესახვევის პარალელურად უერთდება ლენინის ქუჩას"[47].

ეს პროექტი სწორედ განსაზღვრავდა ქალაქისათვის მნიშვნელოვან პრობლემას — სადგურის ცენტრთან დაკავშირებას. ეს სქემა ამ რაიონის დაგეგმარებისა მაშინ ვერ იქნა განხორციელებული (თუმცა ამ რაიონის რეკონსტრუქცია დაიწყო: აშენდა ხიდი მდ. ვერაზე ზოოპარკის მახლობლად)[48], ხოლო შემდეგ კი საფუძვლად დაედო სადგურიდან ფართო ქუჩის გაყვანას, ხიდის აგებას, გმირთა მოედნისა და მისი მიდამოების შექმნა-განაშენიანებას, რაც 30-იანი წლების ერთ-ერთი არსებითი ღონისძიება იყო ქალაქთმშენებლობის დარგში.

1925 წლის 3 სექტემბერს აღმასკომმა განიხილა მცხეთასთან მდ. არაგვზე ხიდის მშენებლობის საკითხი. პროექტი შედგენილი იყო ინჟ. მიქელაძის მიერ. იგი აგრძელებდა თბილის-ზაჰესის გზას და მცხეთის გზას 4—5 კმ-ით

---

47 „Э". ლენინის ახალი პროსპექტი „ტექნიკა და ცხოვრება" 1929, № 3—5.

48 ვ. ფ ე ლ დ ტ ი. ორი ახალი ხიდი ტფილისში. „ტექნიკა და შრომა". 1930, № 16—17. გვ. 3.

შეამოკლებდა (თბილისი-ზაჰესის გზაზე ტრამვაის ხაზის დაგებაც იყო გათვალისწინებული)[49].

თბილისის კეთილმოწყობასთან ერთად, ყურადღება ექცეოდა მასთან მდებარე აგარაკების — კოჯრის, კიკეთის, მანგლისის — ჰოწესრიგების საკითხებსაც. თითქმის ხელახლა იყო გაყვანილი მათკენ მიმავალი გზები[50].

საგარაკო ტერიტორიების ქალაქთან უკეთ დაკავშირებისათვის და კურორტთა შემდგომი გაერთიანებისათვის შედგენილ იქნა პროექტი თბილისიდან კოჯრამდე ელექტრორკინიგზის ხაზისა. რკინიგზის გასწვრივ დაგეგმილ იქნა მუშათა ახალშენების მშენებლობა. პროექტი გზას ასე ითვალისწინებდა: თავისუფლების (ლენინის) მოედანი, წერეთლის ქუჩა, ბოტანიკური ბაღის გვირაბი, შინდისი, ტაბახმელა, წავკისი, კოჯორი. მგზავრობის ხანგრძლივობა 40 წუთით ისაზღვრებოდა[51]. ახლომდებარე სოფლების დაკავშირება ქალაქთან ხელს შეუწყობდა თბილისის პროდუქტებით მომარაგებასაც.

20-იანი წლების მეორე ნახევარში ჩატარებული სამუშაოები აშკარად მოწმობს, რომ ქალაქის დაგეგმარების გენერალური გეგმის შედგენის საკითხი უკვე მაშინ მომწიფდა. ამ მხრივ საინტერესოა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ვრცელი წერილი ფ. მახარაძისა, რომელშიც იგი სწორედ ამ საკითხს ეხება: „უპირველესად ყოვლისა საჭიროა დაჩქარებით შემუშავებულ იქნას მშენებლობის გენერალური გეგმა, ისეთი გეგმა, რომელიც უნდა შეეხოს: 1. ქალაქის ახალ დაგეგმვას, რომელშიც უნდა გაითვალისწინოს ახალი ქუჩების გაყვანა, ახალი მოედნების და ბაღ-სკვერების გაშენება, ძველი ქუჩების და მოედნების გაფართოება; 2. გეგმამ უნდა გაითვალისწინოს, თუ რომელი მიმართულებით უნდა გაიზარდოს ქალაქი... ზუსტად უნდა იქნეს ნაჩვენები, თუ სად, რომელ ადგილას და უბანში და რომელი მიმართულებით უნდა ააგონ საცხოვრებელი სახლები და შენობები. სხვადასხვაგვარ სახელმწიფო, კოოპერატიულ და სამეურნეო დაწესებულებებისთვის და, რომელ ადგილას ქარხანა-ფაბრიკები, საწყობები და სხვ. ასეთი გეგმის და ასეთი მიმართულების უქონლობის გამო მოხდა ის, რომ ტფილისის მაუდის ფაბრიკა აგებულ იქნა ისეთ ადგილას, რაც პირდაპირ დანაშაულს წარმოადგენს... არის განზრახვა აგებულ იქნა ტფილისში მრეწველობის სახლი. უკვე კიდევაც შეუდგნენ ადგილის გამონახვას... სად განუზრახავთ ამ სახლის აგება? რუსთაველის პროს-

---

49 „ჩვენი აღმშენებლობა“; 1925, № 5—6, გვ. 102.

50 გ ქურდიანი. კეთილმოწყობის ამოცანები და ტფილისის აღმასკომის მიღწევები. „ჩვენი აღმშენებლობა“ 1926, № 2, გვ. 14.

51 ჩვენი აღმშენებლობა. „ტექნიკა და შრომა“, 1930, № 13—14.

პექტის რაიონში. აქ უნდა დაანგრიონ რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, და იმათ ადგილას ააგონ... სხვა ქალაქებში ასეთ სახლებს აგებენ განაპირა და თავისუფალ ადგილზე (მაგ. ხარკოვში), და ამნაირად ხელს უწყობენ როგორც ქალაქის, ისე საცხოვრებელი მოედნის გაფართოებას. აქ კი წინააღმდეგ იქცევიან... 3. გეგმამ გაითვალისწინოს აგრეთვე ძველი საბინაო ფონდის მიზანშეწონილად გამოყენება, ძველი შენობების დროზე შეკეთება ან სრულიად გადაკეთება ახალი მოთხოვნილებებთან შესაგუებლად; აქ უნდა ვიგულისხმოთ აგრთვე ზედა სართულების დაშენება. 4. გეგმა უნდა შეეხოს ტფილისის მახლობლად და მის ირგვლივ მთელ რიგ აგარაკების მოწყობის საკითხს"[52].

ამგვარად, რეალურად მზადდებოდა ნიადაგი ქალაქის განვითარების გენერალური პროექტის შესაქმნელად. თბილისის განაშენიანების სხვადასხვა მხარესთან დაკავშირებული ღონისძიებანი უკვე ამ მიმართულებით გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი იყო.

თბილისის რეკონსტრუქციასთან ერთად, მუშაობა კეთილმოწყობის დარგში გაიშალა რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიაც.

1925 წელს დადგინდა ქალაქ ბათუმის ახალი საზღვრები, რამაც დასვა საკითხი ახალი რაიონებისა და ძველი კვარტალების გადანაწილებისა, მოსახლეობის რაციონალური განსახლებისა, ტრანსპორტის, ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, საცხოვრებელი მშენებლობის ორგანიზაციისა. განსაკუთრებით საჭირო იყო ქალაქის სანიტარულ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესება. იმავე წელს, ინჟ. დ. სვიშჩევსკის ხელმძღვანელობით, შედგა ქალაქის განვითარების სქემა, რომელშიც მოცემული იყო სამრეწველო და საცხოვრებელი რაიონების ზონირება, ქალაქის განაშენიანების არსებული კომპაქტურობის დაურღვეველად. სქემა ნავთობის მრეწველობის ობიექტებს აცალკევებდა დასახლებული ტერიტორიისაგან, სწორად ითვალისწინებდა გაბატონებული ქარების მიმართულებას, საცხოვრებელი რაიონების მიკროკლიმატის შექმნის ოპტიმალურ პირობებს, თანაც იძლეოდა შესაძლებლობას ქალაქის შემდგომი გაფართოებისათვის საცხოვრებელი ტერიტორიის მარაგის შესაქმნელად. 1927 წელს, ამ სქემის საფუძველზე, იმავე დ. სვიშჩევსკის ხელმძღვანელობით შეიქმნა ქალაქის განვითარების უფრო დეტალური გეგმა, რომელიც ქალაქის ტერიტორიას 1650 ჰექტარით განსაზღვრავდა. მწვანე მასივს ქალაქში ძველთან შედარებით 80 ჰექტარით მეტი ტერიტორია ეთმობოდა, რაც გაცილებით უკეთეს საცხოვრებელ პირობებს ქმნიდა. ქალაქი იზრდებოდა დაახლოებით 700 ჰექტარით. გეგმა ბევრ საკითხს

---

52 ფ. მახარაძე. ახალი მშენებლობა ტფილისში. „კომუნისტი". 1930, 19.7. № 168.

რაციონალურად წყვეტდა: ასე, მაგ. ქალაქის გაზრდა გათვალისწინებული იყო სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით ყველაზე უკეთეს მხარეს — სამხრეთ-დასავლეთისკენ, რკინიგზის სადგური ცენტრალური ნაწილიდან გატანილი იყო, დარაც მთავარია, უარყოფილი იყო იმ დროს უკვე გამოვლენილი ტენდენცია ნავთობის ახალ საწარმოთა ზღვასთან ახლოს, მდინარე კოროლისწყლის ხაპირებზე გაშენებისა. მაგრამ ეს სწორი აზრი უარყოფილ იქნა და ახალი ქარხნები მაინც აღნიშნულ ტერიტორიაზე გაშენდა, რითაც ქალაქმა კარგი საკურორტო ადგილები დაკარგა, ხოლო ახლომდებარე საცხოვრებელი რაიონები კი იწამლება ნავთობგადამმუშავებელი პროცესების მავნე გამონაყოფით[53].

აღნიშნული გეგმა ქალაქის ახალი დაგეგმარებისა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა იმდროინდელ ქართულ საბჭოთა ქალაქთგეგმარებაში. მის მიხედვით იქნა გაყვანილი ახალი ქუჩები, ამავე გეგმით მოხდა ტერიტორიის დაყოფა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის საცხოვრებელი კვარტალის გაშენება ზღვისპირა ტერიტორიაზე, ქარხანასთან ახლოს (ტაბ. 2). მწვანე ნარგავებში გაშენებულ საცხოვრებელ სახლებთან ერთად გათვალისწინებული იყო პირველადი მომსახურების ობიექტებიც.

ბათუმში და სოხუმში შენდება კანალიზაცია, ქუთაისში გაჰყავთ წყალსადენი; 1924—25 წლებში ფოთში რიონის განშტოებაზე შენდება ხიდი, რომელიც ქალაქს ნავსადგურთან აახლოებს; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიწისძვრით დაზარალებულ გორის მშენებლობას და სხვ.

1930 წელს შედგა ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის დასახელების პროექტი (არქ. ა. ნიკოლაიშვილი), რომლის მიხედვითაც გაშენდა მუშათა კომპლექსი მომსახურე ობიექტებით.

კონკრეტული ნორმების უქონლობამ, საქარხნო და საცხოვრებელ რაიონს შორის დისტანციის არასწორად განსაზღვრამ ადგილის შერჩევისას ხელი შეუშალა სასურველი შედეგების მიღწევას, რადგან საცხოვრებელი კომპლექსი თვით ქარხნის გვერდით აღმოჩნდა. ეს, რა თქმა უნდა, ცუდი იყო ჰიგიენურ-სანიტარული თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებთან შეფარდებული დაგეგმარების ხასიათი მოხერხებული იყო ექსპლოატაციისათვის და თავისუფალ ნაკვეთებზე შემდგომი განვითარებისა და ზრდის შესაძლებლობას იძლეოდა.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების პირველ ეტაპზე განსა-

---

[53] Д. Комахидзе. Батуми. Планировка и застройка города. Тб., 1965. გვ. 28—29.

კუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს, რომლებიც საკურორტო მშენებლობისაკენ იყო წარმართული. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კურორტები, რომლებიც საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიმდიდრეს შეადგენს, ნაციონალიზებულ იქნა. ყველა სამკურნალო ადგილი და კურორტი სახელმწიფოს გადაეცა. პირველი წლებიდან წარმოებს მუშაობა კურორტების სარეკონსტრუქციოდ. ბორჯომი და აბასთუმანი ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა. უკვე 1924 წელს გაიხსნა ახალი სანატორიუმი „არაზინდო“[54], რაჭის შესანიშნავ ბუნებრივ გარემოცვაში შეიქმნა ახალი კურორტი შოვი[55], სადაც ცენტრალური სანატორიუმის (პ. ზურაბიანი) მშენებლობა დაიწყო.

სრულიად შეცვალა ბორჯომის სახე ფიზიო-თერაპევტული ინსტიტუტის (არქ. მ. ბუზოღლი, 1930) და სასტუმროს (არქ. ჟიტკოვსკი და ი. კალგინი) შენობებმა, რომლებმაც ახალი მასშტაბი დაამკვიდრეს საკურორტო ქალაქის განაშენიანებაში. 1927 წელს დამთავრდა ლიბანის სანატორიუმის მშენებლობა (არქ. მ. კალაშნიკოვი), შენობა ქალაქგარე სასახლეების კლასიცისტური არქიტექტურული ფორმებით იყო დამუშავებული და მაღალი პროფესიული ოსტატობით გამოირჩეოდა.

უმთავრესი ყურადღება საკურორტო მშენებლობაში მიექცა წყალტუბოს. მიუხედავად „წყალტუბოს აბანოების“ გასაუმჯობესებლად ჩატარებული მუშაობისა, რომელსაც მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა ეწეოდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კურორტი პრიმიტიული საბლებისაგან შედგებოდა და ყოვლად მოუწყობელი იყო. ოციანი წლების მანძილზე აგებულმა სამკურნალო შენობებმა მკვეთრად გააუმჯობესა პირობები, თუმცა საბოლოო შედეგებზე ჯერ ლაპარაკი ადრე იყო. 1926 წელს „კოდისწყალზე“ აშენდა აბანო და საბაზანო, 1928 წელს 200 ადგილიანი სასტუმრო, ხოლო 1930 წელს პოლიკლინიკა, სანატორიუმი და სხვ. შენობები. ამ მშენებლობებისა და კურორტის ჰიდროგეოლოგიური და სამედიცინო კვლევის პროცესში თანდათანობით მომწიფდა დაგეგმარების ერთიანი გეგმის შექმნის აუცილებლობა. 1931 წლიდან — თბილისისა და მოსკოვის არქიტექტორთა ბრიგადები იწყებენ კიდეც საამისოდ მუშაობას. განსახორციელებლად მიღებულ იქნა თბილისის არქიტექტორთა ჯგუფის (ნ. სეველოვის ხელმძღვანელობით) პროექტი, რომლის საფუძველს ინჟ. თ. მამრაძის მიერ დაგეგმილი ჰიდრო-ტექნიკუ-

---

54 „კომუნისტი“, 1924, 13.8. № 182.

55 საქართველოს კურორტები. კურორტი შოვი. „კომუნისტი“, 1923, 27.6, № 145.

რი სამუშაოები წარმოადგენდა[56]. ამ პროექტით შემუშავებული წრიული დაგეგმარების სქემა წყალტუბოს გენერალური გეგმის შემდგომი დამუშავებისას მთელი სისრულით გამოვლინდა.

საკურორტო მშენებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს 30-იანი წლების დასაწყისიდან, როცა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში (1931 წ. 31 ოქტომბერი) სახავს საკურორტო მშენებლობის განვითარების ღონისძიებებს. ამ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს კპ(ბ) ცკ-მა უნდა განამტკიცოს „საკურორტო მეურნეობის გაერთიანების ხელმძღვანელობა და მოაწყოს ამ გაერთიანების ხელმძღვანელობის ქვეშ სანატორიუმების მშენებელი სააქციო საზოგადოებანი.

კერძოდ, წინადადება მიეცეს საქართველოს სოცდაზღვევის ცენტრალურ სამმართველოსა და ჯანსახკომს — დაიწყონ უკვე 1932 წელს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობა ამიერკავკასიის უფრო მნიშვნელოვან კურორტებში (წყალტუბო, აბასთუმანი, ბორჯომი და შავი ზღვის ნაპირები)“[57].

ამ დადგენილებამ ფართო ასპარეზი გადაუშალა კურორტების მშენებლობას, რისი შედეგიც უახლოეს წლებში გამოჩნდა.

რესპუბლიკის ქალაქებში შენდება საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, რომლებიც სრულიად უცვლიან სახეს მოედნებსა და ქუჩებს. ახალი შენობების აგება გულისხმობს ტერიტორიის კეთილმოწყობას და რეკონსტრუქციაზე ზრუნვას. მუშათა კლუბები, კულტურის სახლები, კინო-თეატრები ქალაქის ცენტრალური ტერიტორიების განაშენიანების მაორგანიზებელი ხდება ,საცხოვრებელი სახლები ახალ მასშტაბს ქმნის ქუჩების განაშენიანებაში, აწესრიგებს წითელი ხაზის მიმართულებას და სხვ. ასეთი ახალი საცხოვრებელი კვარტალები (ტრამვაელთა სახლები თბილისში, ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დასახლება ბათუმში, ბანკის მუშაკთა, სპეციალისტთა სახლები თბილისში და სხვ.) ახლებურ გამომეტყველებას ანიჭებენ ქალაქთა ამ მონაკვეთებს.

ზოგჯერ ისეთი ობიექტებიც კი, რომლებიც თავისი არქიტექტურით ყურადღებას არ იპყრობდნენ, თავის როლს ასრულებდნენ სწორედ ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით, როცა განსაზღვრავდნენ ქუჩის მიმართულებას, სიგანეს, განაშენიანების სიმაღლესა და სხვ. თუ შენობა თავისი არქიტექ-

---

56 ს. კ ი ნ წ უ რ ა შ ვ ი ლ ი. კურორტ წყალტუბოს დაგეგმარება-განაშენიანების ისტორიიდან. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XVII სამეცნიერო სესია. თეზისები. თბ. 1961. გვ. 10.

57 „კომუნისტი“, 1931, 4. 11, № 255.

ტურითაც იმსახურებდა ყურადღებას, მაშინ ხომ ქუჩის გარკვეული მონაკვეთის საერთო არქიტექტურულ-მხატვრულ სახეზედაც მოქმედებდა. თავისი არქიტექტურით განსხვავებული შენობებიც კი, მაგალითად საქართველოს მუზეუმის შენობა, „ზარია ვოსტოკას“ რედაქცია, საცხოვრებელი სახლი ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების გასაყარზე და სხვ. ქალაქთმშენებლობის თვალსაზრისით გარკვეულ როლს თამაშობდა თბილისის ცენტრალური ნაწილის გეგმარებაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფასადის რეკონსტრუქციამ (1929, ნ. სევეროვი) ახალი მასშტაბი შესძინა ქალაქის ცენტრალური მაგისტრალის — რუსთაველის პროსპექტის მომავალ განაშენიანებას.

ნაკვეთის მოხერხებული გეგმარებისას მარტივი არქიტექტურული საშუალებებით ეფექტის მიღწევის კარგი მაგალითია „სტუდენტთა ქალაქი“ ვაკეში (ნ. სევეროვი, 1929—30), რომელიც სტანდარტულ საერთო საცხოვრებელთა სახლებისგანაა შედგენილი. მსუბუქი ტიპის ორსართულიანი სახლები (ხის ჩონჩხი შევსებული ერთი აგურით), კვების, ფიზკულტურისა და კულტურის დაწესებულებანი ემორჩილება საერთო რაციონალურ დაგეგმარებას. სახლების თეთრი, პარტივი მოცულობანი, ხის დიდი აივნებითა და მათში მოთავსებული კიბის უჯრედით უპრეტენზიო და მოხერხებული საცხოვრებელი კომპლექსის სახეს ქმნიდა.

როგორც აღინიშნა, თბილისს დაგეგმარების გენერალური პროექტი არ გააჩნდა — ამიტომ ახალი შენობების დაპროექტებისას ყოველგვარ შესაძლებლობას იყენებდნენ მიმდებარე ტერიტორიის გეგმარებისათვისაც. ასე იყო 1931 წელს, როცა გამოცხადდა კონკურსი კულტურის სასახლის პროექტისთვის. მისი ადგილი შერჩეულ იქნა საბურთალოზე, გეგმით გათვალისწინებული მომავალი კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე, რომელიც, თავისთავადაც, პროექტის შემდგენელთა წინაშე ბევრ წმინდა ქალაქთმშენებლობით ამოცანას სვამდა (საქართველოს სამხედრო გზის წითელი ხაზის განსაზღვრა, მტკვრის ორი ნაპირის — საბურთალოსა და დიდუბის ერთმანეთთან დაკავშირება, მწვანე მასივის მნიშვნელობა ქალაქის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით და სხვ.)[58].

ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან მუშაობა ქალაქთა გენერალური გეგმის შედგენაზე რეალურ სახეს ღებულობს. 1932 წელს იწყება მუშაობა თბილისის გენერალურ გეგმაზე, რომელმაც ფართო მასშტაბი მიიღო. იმავე წელს რუსეთის „გიპროგორი“ ადგენს სოხუმის დაგეგმარების პროექტს (არქ. ა. ზუბინი და ინჟ. ა. სმირნოვი).

---

58 კონკურსის შესახებ იხ. ქვემოთ.

სოხუმის გეგმა ითვალისწინებდა საპორტო და საკურორტო ქალაქის მოსახლეობის ზრდას 15 წლის მანძილზე 90.000 კაცამდე — ამათგან 30.000 დამსვენებელი უნდა ყოფილიყო. ქალაქის ტერიტორია დიფერენცირებული იყო ზონების მიხედვით (ქალაქის ტერიტორია 4.800 ჰექტარი, აქედან კურორტისა — 1800). საცხოვრებელი კვარტალები იკავებენ 400 ჰექტარს, ხოლო მწვანე ნარგავები 120 ჰექტარ ტერიტორიას. პორტისა და სატრანსპორტო ზონა — 200 ჰექტარს, კულტურულ-საზოგადოებრივი ზონა — 300, სასოფლო-სამეურნეო მიწები — 1175. განსაკუთრებული ყურადღება ჭონდა მინიჭებული საკურორტო ზონას, რომელშიც 350 ჰექტარი ეჭირა საცხოვრებელ კვარტალებს, ხოლო 700 — მწვანე ნარგავებს[59]. გეგმა ჯერ სქემატური იყო და სერიოზულ დამუშავებას მოითხოვდა.

ამგვარად, ქალაქთმშენებლობა ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების პირველსავე ეტაპზე იწყებს განვითარებას. ფართოდ გაშლილი სამუშაოები ქალაქთა კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენდა ქალაქთა შემდგომი გეგმაზომიერი განვითარებისათვის. ამ პერიოდის ბოლოს უკვე ყველა პირობაა შექმნილი ქალაქთა გენერალური პროექტის შესადგენად. თანდათანობით ირკვევა ქალაქთა ზონირების, სამრეწველო და სამოსახლო ტერიტორიების ურთიერთდაკავშირების, საზოგადოებრივი ცენტრის მნიშვნელობის საკითხები, საცხოვრებელ კვარტალთა განაშენიანებაში საყოფაცხოვრებო-საზოგადოებრივი მომსახურების ქსელის ფუნქციური დამოკიდებულებისა, მწვანე ნარგავების მნიშვნელობის და სანიტარული ნორმირების საკითხები.

მართალია, ყველაფერი ეს ჯერ ვერ პოულობს სათანადო ხორცშესხმას, ვერც მეცნიერულად დასაბუთებულ დამუშავებას, რასაც არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ ჰქონოდა. მაგრამ ქალაქთმშენებლობის სამუშაოთა მიმართულება მტკიცედ ეყრდნობა ქალაქთა სოციალური გარდაქმნის მოთხოვნილებებს, მთელი მოსახლეობის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისადმი მისწრაფებას, ამ მხრივ გადამწყვეტი როლი ითამაშა საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის მითითებებმა, განსაკუთრებით კი 1931 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებამ „მოსკოვის საქალაქო მეურნეობისა და სსრკ საქალაქო მეურნეობის განვითარების შესახებ“. პლენუმის დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ქალაქთმშენებლობის თეორიისა და პრაქტიკისათ-

---

[59] Реконструкция городов СССР. Изд. «Стандартизация и рационализация». М., 1933.

ვის. მასში დასახული იყო ჩვენი ქალაქების განვითარების გზები. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ, მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა საქალაქო მეურნეობის დარგში, მისი მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს მასების მზარდ მოთხოვნილებებს. აღძრული იყო საკითხი ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობათა დაძლევისა; აღნიშნული იყო, რომ ბოლო უნდა მოეღოს საწარმოთა დიდი რაოდენობით თავმოყრას მსხვილ ქალაქებში; განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მშენებლობაში ახალ მასალათა და მსუბუქ სტანდარტულ კონსტრუქციათა, ადგილობრივ საშენ მასალათა გამოყენების საკითხებს და სხვ.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქალაქო მეურნეობის საკითხებს ჩანს იქიდანაც, რომ 1932 წ. სსრკ ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა თბილისის ქალაქის საბჭოს მოხსენება და მიცემულ იქნა ბევრი კონკრეტული მითითება თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღნიშნული რეზოლუცია საბჭოთა არქიტექტორთა სახელმძღვანელო დოკუმენტი გახდა არა მარტო ქალაქთმშენებლობის, არამედ საერთოდ საბჭოთა არქიტექტურის პრობლემების სწორად გაშუქებისა და გადაწყვეტისათვის. სულ მალე აშკარად გამოჩნდა ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მითითებების პრაქტიკული შედეგები.

3 საბინაო მშენებლობა და საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა

საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესება საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი გახდა და პირველი ღონისძიებები სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. მშრომელი მოსახლეობა ცხოვრობდა ქალაქთა განაპირა რაიონებში, ელემენტარული კეთილმოწყობის გარეშე, სრული ანტისანიტარიის პირობებში. ამ მხრივ, როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა, მდგომარეობა „პირდაპირ კატასტროფული ხდებოდა“[60]. მშრომელი მასების საბინაო პირობების გაუმჯობესება, ძველი უბნების სიმჭიდროვისა და ანტისანიტარიის მოსპობა, ახალი ცხოვრების შესაფერ საცხოვრებელ-

[60] „კომუნისტი“, 1923, 1. 8. № 175. ი. ბ. შენობათა შეკეთებისათვის.

თა შექმნა გათვალისწინებული იყო პარტიის ვ. ი. ლენინის მიერ მომზადებულ პროგრამაში, რომელიც პარტიის VIII ყრილობაზე, 1919 წელს იყო მიღებული. პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ „პარტიის ამოცანა ის არის, რომ... მთელი ძალით ეცადოს გააუმჯობესოს მშრომელი მასების საბინაო პირობები, მოსპოს ძველი უბნების სიმჭიდროვე და ანტისანიტარული მდგომარეობა, მოსპოს უვარგისი, გადააკეთოს ძველი და ააგოს ახალი ბინები, რომლებიც შეეფერება მუშათა მასების ცხოვრების ახალ პირობებს, რაციონალურად დაასახლოს მშრომელნი“[61]. ეს სახელმძღვანელო მითითებანი გადაიქცა საფუძვლად, რომელზედაც აიგო მთელი მუშაობა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

ჯერ კიდევ პირველსავე თვეებში ტარდება ღონისძიებანი მუშათა უვარგის ბინებიდან ამოყვანისა და რიგიან საცხოვრებელ სახლებში შესახლებისა. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ პირველ ღონისძიებას ქალაქების განაპირა რაიონებიდან მუშათა ცენტრალურ უბნებში განსახლება წარმოადგენდა. გამოიცა სპეციალური ინსტრუქცია „ბინის განაწილების საქმის მოწესრიგებისათვის“ (1921, აპრილი)[62] .იქმნება კომისიები, რომლებიც ამ სამუშაოს ხელმძღვანელობენ. ამ საკითხს იხილავს პროფსაბჭოს პლენუმი (1921 წ. ნოემბერი) და სხვ. სახლების მუნიციპალიზაციამ და მუშათა ახალ საცხოვრებლებში შესახლებამ გარკვეული როლი ითამაშა მათი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ არსებითი გარდატეხა საბინაო საკითხის გადაწყვეტაში ვერ მოახდინა. საჭირო იყო საცხოვრებელი ფონდის წესრიგში მოყვანა, ახალი საცხოვრებელი სახლების აგება.

მაშინდელ თბილისში მძიმე მდგომარეობაა საბინაო პირობების მხრივ, რადგან სახლების უმრავლესობა ამორტიზებულია, ახალი სახლების მშენებლობა შეფერხებულია, ქალაქის მოსახლეობა კი სწრაფი ტემპით მატულობს. ბუნებრივ ზრდასთან ერთად, ბევრია ჩამოსული პროვინციებიდან, საიდანაც მრავალ ახლადშექმნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში თუ უმაღლეს სასწავლებლებში მოისწრაფიან[63].

მოსახლეობის დინამიკა რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქში ასეთია[64]:

---

61 სკკპ ყრილობების ,კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I. თბ., 1954. გვ. 545.

62 „კომუნისტი“, 1921, 10.4. № 32.

63 ვ. ბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. ქართული ხელოვნება, 4, 1955, გვ. 68.

64 Материалы по отчету Правительства ССР Грузии к VII съезду Совстов. Тифлис. 1935.

	1917	1926	1930
თბილისი	231141	294044	309866
ქუთაისი	42448	48196	53328
ბათუმი	20020	48474	50992
სოხუმი	9999	21568	24595
ჭიათურა	2030	4359	5995

ცოტა მოგვიანებით პრესა აღნიშნავდა, რომ ყოველწლიურად „ჩვენს ქალაქს 20.000 სული ემატება“ და „ტფილისის მოსახლეობას საერთოდ იმ ნორმაზე ნაკლები მოედანი უჭირავს, რომელსაც „შიმშილობის ნორმა“ ეწოდება“[65].

ახალ საცხოვრებელ სახლთა მშენებლობასთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობა საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის ჩამოყალიბების საკითხებს. 1922 წელს ასეთი კოოპერატივები ყალიბდება. „ცენტრამშენი“ შეუდგა მუშათა საჩვენებელი ახალშენის მოწყობას: ლენინის სახ. ახალშენისა ვერაზე, რომლის საძირკვლის ჩაყრა მოხდა ოქტომბრის რევოლუციის 5 წლისთავზე — 1922 წ. ნოემბერში. აშენდა ხუთოთახიანი სახლი. შემდეგ „ცენტრამშენმა“ 1923 წლის დასაწყისში 5 ამხანაგობა ჩამოაყალიბა სხვადასხვა რაიონებში, ხოლო ლენინის სახ. ახალშენში სამი 12-ოთახიანი სახლი დაასრულა. 1925 წ. დამთავრდა წინა წელს დაწყებული შენობების (56 ბინის) მშენებლობა, რომელშიც მუშები ჩასახლდნენ. იმავე წელს საძირკველი ჩაეყარა 16 ბინიან სამ სახლს. ამხანაგობები ჩამოყალიბდა ხაშურში, გორში, ქუთაისში, სამტრედიაში, ჭიათურასა და ზუგდიდში[66]. 1924 წელს 16 მაისს გამოიცა დეკრეტი „მუშათა ბინების კოოპერატიული მშენებლობისათვის ხელის შეწყობის შესახებ“, დაწესდა საბინაო კოოპერატივებისათვის გრძელვადიანი სესხები, შეღავათები და უპირატესობა“[67]. 1926 წელს საქართველოს საბინაო კოოპერაციაში 40 ამხანაგობა ერთიანდებოდა[68].

მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი ითამაშა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო

---

65 ა. რ. ბინის საკითხი ტფილისში: „ჩვენი აღმშენებლობა“, 1925, № 5—6, გვ. 61.

66 ე. განჯუმოვა-ბერკოვა. საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის ყრილობის შედეგები. „ტფილისის... საბჭოს მოამბე“, 1926, № 4, გვ. 40.

67 ე. განჯუმოვა. საბინაო-საიჯარო კოოპერაციის საკითხები. „ჩვენი აღმშენებლობა“, 1925, № 5—6, გვ. 61.

68 ს. ფიცხელაური. საბინაო მშენებლობა საქართველოში. „ტექნიკა და შრომა“, 1923, № 1, გვ. 19.

კომისიის 1926 წლის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებამ, რომელშიც კონკრეტული ამოცანები იყო დასახული საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის. ამ პლენუმზე დიდი ყურადღება მიექცა საბინაო-კოოპერაციულ მშენებლობას და „კერძო მშენებელთა წახალისებას ბინების მშენებლობაში“. მეტად საინტერესოა დადგენილების ის პროექტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიღებულ იქნას ზომები „ბინების ისეთი ტიპის შესამუშავებლად, რომელიც რაც შეიძლება იაფი დაჯდება და შეფარდებული იქნება მუშების მოთხოვნილებებთან; ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც ადგილობრივი თავისებურებანი, ისე ადგილობრივი სამშენებლო მასალების გამოყენების შესაძლებლობა“[69].

ეს დადგენილება ახალ სტიმულს იძლეოდა და დიდ როლს თამაშობდა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. ჩატარდა რიგი ორგანიზაციული ღონისძიებისა. შემუშავებულ იქნა 4—8 ბინიანი საცხოვრებელი სახლების ტიპები, რომლებიც საფუძვლად დაედო საბინაო-სამშენებლო ამხანაგობათა მშენებლობას. ამხანაგობათა სახლები მოედო ქალაქების სხვადასხვა უბნებს. თბილისში 1922 წ. დაარსებულ ლენინის სახ. ამხანაგობის მუშაობის შედეგად „ერთი წლის შემდეგ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, რამდენიმე პატარა „კოტეჯის“ ტიპის სახლი წამოიზიმა ფიქრის გორის ერთ კუთხეში. ეს იყო პირველი ყვავილი, პირველი ნიშანი ამხანაგობაში გაერთიანებული მუშების თვითმოქმედების და თაოსნობის.

ჭალე ერთბინიან პატარა სახლებს მოყვა ორ და ოთხსართულიანი სახლები, შემდეგ — უფრო დიდი მკვიდრი შენობები და ფიქრის გორა მუშათა სახლებით მოიფინა სავსებით. ამჟამად ამ ახლად გაშენებულ მუშათა უბანში ათი დიდი და პატარა სახლია აგებული, რომლებშიც ცხოვრობს 36 ოჯახი, თითო ოჯახს კი უჭირავს 2—3 ოთახიანი ბინა“[70] — აი ერთი მაგალითი საბინაო-სამშენებლო ამხანაგობათა მუშაობის შედეგისა.

მაგრამ მარტო კოოპერაციულ ამხანაგობათა მშენებლობა, რა თქმა უნდა, ვერ გადაწყვეტდა საცხოვრებელთა პრობლემას. თანდათანობით მატულობს ქალაქებში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ აშენებულ საცხოვრებელ სახლთა ხვედრითი წონა. შენდება არა მარტო ცალკეული სახლები, არამედ საცხოვრებელი კვარტალებიც სათანადო მომსახურების ელემენტებით.

---

69 სკკპ ყრილობების, კონფერენციების და ცკ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. II, თბ., 1955. გვ. 375.

70 გ-ლი. მუშათა თაოსნობისა და თვითმოქმედების უბანი: „დროშა“ 1930. № 4.

პირველ პლანზე იყო წამოწეული მუშათა მაქსიმალური დაკმაყოფილება ბინით და საცხოვრებელი ფართობის მაქსიმალური გაზრდა, მაგრამ, ამასთან ერთად, სახსრების უმკაცრესი ეკონომიაც იყო დაწესებული. რაღა თქმა უნდა, ეს მოქმედებდა თვით ბინის არქიტექტურულ ხარისხზე. ხშირად ერთი ბინის ცალ-ცალკე ოთახებში რამდენიმე ოჯახს ასახლებდნენ, შემცირებული იყო დამხმარე სადგომების ფართობი, არ იყო აბაზანა და სხვ. ჯერ არ იყო შესაძლებლობა მთლიანად გამოვლენილიყო საცხოვრებელის არქიტექტურული ტიპი.

სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ექცევა თვით ბინათა არქიტექტურულ-გეგმარებით მხარეს. პრესაში ხშირია წერილები ამ მიმართებით. „რა პრინციპები აქვს დასახული ახალ მშენებლობას? — ხშირად ისმის ეს საკითხი სხვადასხვა ავტორთა წერილებში. მშენებლობა უნდა იყოს იაფი, ეკონომიური კონსტრუქციისა; უნდა იყოს დაცული ჰიგიენისა და კეთილმოწყობის მოთხოვნები; გამოსადეგი ფართობი უნდა იყოს აყვანილი მაქსიმუმამდე. ყოველგვარი უსარგებლო, გარეგანი „შელამაზება“, უაზრო გაფლანგვად იქნეს ცნობილი. შენობის წინამო იყოს სადა, მხოლოდ შნოიანი და საერთოდ მთელი შენობა წარმოადგენს ერთ მთლიანს, როგორც შიგნით, ისე გარედ. გეგმის რაციონალიზაციისათვის წესად 2—3 ოთახიანი ბინები (16—25 მ²) უნდა შეირჩეს და გამოყენებულ იქნას კედლებში განჯინები, ალკოვები, თახჩები. უნდა ყურადღება მიექცეს კედლის სისქის დაკლებას, და რაც მთავარია, რკინა-ბეტონის კონსტრუქციები უნდა დაინერგოს“. აი, იმ მოთხოვნილებათა ერთი მაგალითი, რომლებიც საცხოვრებელ სახლთა მშენებლობის წინაშე ისახებოდა მაშინ[71]. ის ტიპობრივი პროექტებიც, რომლებიც სხვა პროექტებთან ერთად იყო გამოყენებული საბინაო მშენებლობაში, ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს და იმთავითვე კრიტიკულ შენიშვნებს იმსახურებდა. „სალიანდაგო განყოფილების მიერ საბინაო მშენებლობა წარმოებს 2-3 ტიპიური პროექტის მიხედვით, რომელნიც მორიგი ხასიათისა არიან, მეტად სუსტნი და ნაკლებად მოფიქრებული ბინის ფუნქციების ორგანიზაციის მხრივ. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ფეხისადგილები ერთი პროექტით მოთავსებულია თვით სამზარეულოში, არ ნიავდებიან და უბრალო ამომქაჩავი განიავებითაც კი არ

71 ს. ფიცხელაური. საბინაო მშენებლობა საქართველოში. „ტექნიკა და ცხოვრება“, 1928. № 1. ამავე წერილში ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში პირველი ცდა რკინა-ბეტონის სახლების აგებისა („ჩამოსხმის“ წესით) ეკუთვნის „რუსგერმშენის“ საზოგადოებას, რომელმაც იკისრა სახელმწიფო ბანკის საბინაო კოოპერაციული ამხანაგობების სახლების აშენებაო. სამ-სამ სართულიანი სახლები უნდა აშენებულიყო 6 თვის განმავლობაში და ეს მშენებლობა აგურისაზე 8%-ით იაფი ჯდებაო.

არიან უზრუნველყოფილი; მეორე პროექტით კი ჯგუფურად არიან მოთავსებული ფასადის მთავარ ცენტრში. როგორც ტექნიკის, ისე ხუროთმოძღვრების ახალი გადაჭრანი საბინაო ამოცანებისა, სრულიად არ შეეხებათ ამ პროექტებს. არ არის განრიგებული საბინაო მოწყობილობა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ფართობის ეკონომიისა და კარ-ფანჯრების მიზანშეწონილი განაწილებისას. არ არის მოწყობილი როგორც მაგ. აბაზანები, საკუჭნაოები, კედლის განჯინები და არ არის დაცული ეკონომია შინაკაპიტალურ კედლებში"[72]. როგორც ვხედავთ, სპეციალისტები მკაცრად აკრიტიკებენ საცხოვრებელ სახლთა პროექტებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნილებას. ამოცანის სახელმწიფოებრივი გადაწყვეტა თხოულობდა საბინაო პირობების არა მარტო ფართობის მხრივ გაუმჯობესებას, არამედ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაკმაყოფილებასაც, რასაც საცხოვრებლის არქიტექტურაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს.

არქიტექტურის ფრონტზე იმდროინდელი მდგომარეობის უკეთ ჩვენებისათვის ინტერესსმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ ახალი, სოციალისტური ყოფის გაგების ვულგარიზაცია საბინაო მშენებლობის საკითხებსაც შეეხო. არქიტექტორთა აზრი თანდათანობით იმუშავებდა სწორ პოზიციებს საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ-გეგმარებითი საკითხების გადაწყვეტად. მაგრამ ჯერ კიდევ იყვნენ სპეციალისტები, რომლებიც ილაშქრებდნენ იზოლირებულ ბინათა წინააღმდეგ. „საკუთარი სამზარეულო, საკუთარი აბაზანა, საკუთარი საპირფარეშო, საკუთარი დერეფანი, საკუთარი შესასვლელი და გასასვლელი; არავითარი ურთიერთობა მეზობლებთან, არავითარი საერთო მათში მცხოვრებთან, — აი პრინციპი, რომლის მიხედვითაც აგებულია ყველა სახლი, ყველა ბინა ამხანაგობისა (ლაპარაკია ამხანაგობაზე თბილისში, ფიქრის გორაზე). და ეს იმ დროს, როდესაც იდეა კოლექტივობისა, კოლექტიური შრომისა და ნაშრომის განაწილებისა ხორცს ისხამს და ფეხს იკიდებს"[73].

საცხოვრებელთა განზოგადებულ ტიპებსა და კომუნა-სახლებს, რომლებიც საბჭოთა არქიტექტურაში იყო გავრცელებული და ემყარებოდა ოჯახის უარყოფას და ყოფის სასწრაფო და მთლიან განსაზოგადებას[74], არ ჰქონია წარმატება ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ვერც საერთო საცხოვრებლის სახლე-

---

72 მ. ი ლ ი ნ ა. სამშენებლო ჟურნალები და გამოფენები. „ტექნიკა და ცხოვრება". 1929, № 3—5, გვ. 44—45.

73 გ-ლი. მუშათა თაოსნობის და თვითმოქმედების უბანი. „დროშა", 1930, № 4.

74 История советской архитектуры. М. 1962. გვ. 69.

ბის ტიპებმა—გრძელი დარეფნის გასწვრივ მოთავსებული ბინებით—მიიპყრო ყურადღება. როგორც ჩანს, ადგილობრივი სპეციფიკა და კლიმატური პირობები არ იძლეოდა ნიადაგს ასეთი მშენებლობისათვის. ყოფითი პროცესების მთლიანი განზოგადების იდეა, რომელიც საბჭოთა ხუროთმოძღვრებაში კომუნა-სახლთა ფორმალისტურ პროექტებშიაც აისახა, დაგმობილ იქნა სკპ (ბ) ცკ-ის 1930 წლის მაისის პლენუმის დადგენილებით, რომელიც ყოფის გარდაქმნას ეხებოდა.

ამ მცირე მაგალითებიდანაც აშკარად ჩანს, თუ რა დიდი ადგილი ეჭირა საბინაო მშენებლობის საკითხებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მუშათა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ახალი საზოგადოებრივი წყობის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო. კეთილმოწყობილი ბინები მკვეთრად აუმჯობესებდა ცხოვრების პირობებსა და საერთო დონეს.

1923—33 წლებში თბილისში აშენდა 208.752 კვ. მ. ახალი საცხოვრებელი ფართობი, მათ შორის ოთხ წელიწადში — 1928—31 წლებში 75 000 კვ. მეტრი, ხოლო 1932—1933 წლებში — 94,1 ათასი კვ. მეტრი[75].

მაგრამ საბინაო მშენებლობა მხარს ვერ უბამდა ქალაქების ზრდას. არსებული საცხოვრებელი ფონდების სიძველე და უვარგისობა, ცალკეული კვარტალების რეკონსტრუქციის შედეგად მოძველებული საცხოვრებელი სახლების დანგრევა დიდად ართულებდა საბინაო პრობლემას. ქალაქთა მოსახლეობის ზრდასთან ერთად ეცემოდა საცხოვრებელი ფართობის მაჩვენებლები. 1927 წლიდან 1932 წლის ჩათვლით თბილისის მოსახლეობა 78.091 კაცით მატულობს, საბინაო ფართობის ზრდა კი ჩამორჩა მოსახლეობის ზრდას სამჯერ, რამაც საცხოვრებელი ფართობის ნორმა 6.9 კვ. მეტრიდან 1926 წელს, 1932 წლის ბოლოსათვის 5.9 კვ. მეტრამდის ჩამოიყვანა.

ასეთი სურათი იყო რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიაც, სადაც საცხოვრებელი ფართობი გაიზარდა 3.206.344 მეტრიდან 3.589.457 მეტრამდე, ნაგრამ ქალაქების მოსახლეობის საგრძნობი ზრდის გამო[76] საშუალო ნორმა საცხოვრებელი ფართობისა რამდენადმე შემცირდა[77].

ამრიგად, საბინაო მშენებლობის საკითხები ახალგაზრდა საბჭოთა რეს-

---

75 А. Малхазов и Е. Ганджумова. Жилищный вопрос в Тифлисе. «Социалистическое хозяйство Закавказья». 1934, № 10.

76 საბჭოთა ხელისუფლების 12 წლის მანძილზე ქალაქების მოსახლეობა 1921-დან 1933 წ. გაიზარდა 69.3%, როცა 1897 წლიდან 1921 წლამდე 52. %-ით გაიზარდა.


77 Материалы по отчету Правительства ССР Грузии к VII съезду Советов. Тифлис. 1935.

პუბლიკის წინაშე წამოჭრილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად რჩებოდა.

როგორი იყო თვით საცხოვრებელი სახლების არქიტექტურა?

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა თავიდანვე დაუმორჩილდა ქალაქის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. საცხოვრებელი სახლები აზუსტებენ წითელი ხაზების მდებარეობას; იქმნება კვარტალთა კომპლექსური განაშენიანება (ტრამვაელთა სახლები თბილისში, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დასახლება და სხვ.), შიდაკვარტალური განაშენიანება (სახ. ბანკის სახლები ჯონქაძის ქ. თბილისში) და სხვ. ყოველივე ეს სცილდებოდა მხოლოდ ცალკეულ საცხოვრებელ სახლთა მნიშვნელობას და ქალაქთმშენებლობის თვალსაზრისით იმსახურებდა ყურადღებას. ამ კვარტალებს გარკვეული კორექტივი შეჰქონდათ, აწესრიგებდნენ ქალაქის დაგეგმარებას, რომლის გენერალური გეგმის შედგენამდე ჯერ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი.

ტრამვაის მუშების საცხოვრებელი კვარტალი 1926 წ. გაშენდა პლეხანოვის პროსპექტისა და ტელმანის ქუჩის შორის მოთავსებულ ნაკვეთზე, არქ. დ. ჩისლიევის პროექტით (ტაბ. 1₁-₂). თავდაპირველად, უნდა განლაგებულიყო წყვილ-წყვილად გამწკრივებული 12 კორპუსი, რომლებიც ექვს რიგს შეადგენდა. პროექტით კომპლექსი ოთხ ჯგუფად იყოფოდა ორი მთავარი შესასვლელით. თითოეული ჯგუფის სამი კორპუსიდან განაპირა ორი ოჯახებისათვის



თბილისი. „ტრამვაელთა“ სახლი, ერთერთი კორპუსის გეგმა

იყო განკუთვნილი, ხოლო შუა კორპუსი, რომელსაც გეგმაში „T“-სებრი მოხაზულობა აქვს — მარტოხელა მდგმურთათვის; ეს სახლები სასტუმროს ტიპისაა — დერეფნის ორივე მხარეს დალაგებული ოთახებით და დერეფნის ბოლოში მოთავსებული „სველი წერტილებით“.


მთელი ტერიტორიის შუაგულში ეწყობოდა ორი მოედანი სპორტული თამაშებისათვის. კორპუსებში განლაგებულია აბანოები, სამრეცხაოები, მაღა-

ზიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო. პროექტში გამოყოფილია დიდი, 100 ადგილიანი სასადილო. ამავე კორპუსშია სახლის კანტორა, ექიმის მისაღები ოთახი, საბავშვო ბაღი და სხვ[78].

ეს იყო პირველი მაგალითი საცხოვრებელი კომპლექსის ისეთი დაპროექტებისა, როცა ტიპობრივი სექციებით შედგენილი საცხოვრებელი კორპუსები განლაგებულია პირველადი მომსახურების დაწესებულებებთან ერთად. მართალია, პროექტი ბოლომდე არ განხორციელებულა, მაგრამ 8 კორპუსის აშენებაც, თავისთავად, პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა ,თუმცა ტერიტორიის მოუწყობლობა თვალსაჩინო დაღს ასვამდა კომპლექსის საერთო სახეს.

17.000 კვ. მ. ტერიტორიაზე გაშენებულ სახლთაგან ხუთში — 2, 3 და 4 ოთახიანი ბინებია, ხოლო 3 კორპუსში ბინები ერთოთახიანია, კოლექტიური სადგომებით (სასადილო, სამზარეულო, სამკითხველო, დარბაზი და სხვ.). სარდაფის სართულში აბანო და სამრეცხაოა მოთავსებული. პლეხანოვის პროსპექტზე პირველი სართულები მაღაზიებს უჭირავს. ამ კომპლექსის 120 ბინაში შესახლდნენ საქალაქო ტრამვაის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები.

ოთხსექციიანი სახლები სამსართულიანია და წითელ ხაზზეა დაყენებული. ყოველ სახლში ორი რიგითი და ორი გვერდის სექციაა. რიგითი სექციები



„ტრამვაელთა“ სახლი. ფასადი პროექტი

შეწეულია სიღრმეში, ხოლო გვერდის სექციების კუთხეები ჩაპრილია. რიგით სექციებში ოროთახიანი, ხოლო გვერდის სექციებში 3—4 ოთახიანი ბინებია; ბინათა ნახევარი ოროთახიანია, სამოთახიანი — 37.5%, ხოლო ოთხოთახიანი — 12.57%. ყველა ბინა ორმხრივ გადის, ე. განიავება უზრუნ-

78 დ. ჩ. — მუშათა სახლი პლეხანოვის პროსპექტისა და მუშტაიდის ქუჩის კუთხეში. „ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს მოამბე“, 1926, № 5, გვ. 30—31.

ველყოფილია. ოთახების განლაგება ძირითადად დამაკმაყოფილებელია, ხოლო დამხმარე სათავსოების ბლოკი ერთგვაროვანია, რაც აგრეთვე დაღებითად უნდა შეფასდეს. რიგითი სექციების წინა მხარეს ლოჯიაა მოწყობილი. საცხოვრებელი სახლების ღირსებაა აგრეთვე ის, რომ კიბის უჯრედები ნახევრადღიაა. ბინათა დაგეგმარების ეკონომიურობა მიღწეულია კეთილმოწყობის გაუარესების ხარჯზე (არ არის აბაზანები ,საზაფხულო სამეურნეო-ყოფითი სადგომები, საკუჭნაო, სამ და ოთხოთახიან ბინებში მცირეა წინა დერეფანთა ფართობი და სხვ.). ფასადის ტეხილი ხაზი ზოგი ოთახის მოუხერხებელ მოხაზულობას იწვევს; ფართობიც იკარგება და ავეჯის განლაგებაც გაძნელებულია. ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი ამ სახლებისა ბინების არ სწორი ორიენტაციაა. მთავარ ფასადზე, რომელიც ჩრდილო-დასავლეთისკენაა მიმართული, მოთავსებულია ძირითადი ოთახები, მაშინ როცა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ კიბის უჯრედი, სამზარეულო და მხოლოდ თითო ოთახია[79].

არქიტექტორი გეგმის ტეხილ ხაზებს ფასადებზეც ავლენს. მთავარი აქცენტი ცენტრალური ნაწილის ლოჯიებზეა გადატანილი: მათი ფორმების დამუშავება, სივრცობრივი ელემენტების შეტანა, გვერდის რიზალიტების სისადავე კიდევ უფრო გამოყოფს მათ.

არქიტექტორმა მიზნად დაისახა ფასადისათვის „ეროვნული ფორმა" მიენიჭებინა და ამისთვის ასპარეზად გამოიყენა სწორედ ცენტრალური ნაწილი, რომელიც ლოჯიებით გამოდის ქუჩაზე (ტაბ. 1_1). იგი ხაზგასმულია ქვედა ორი სართულის დიდი ორდერით, რომელიც სამკბილა თაღითაა შეკრული. ზედა, მესამე სართული კი ქართული დარბაზის დედაბოძის მოტივით შთაგონებული, შეწყვილებული სვეტებითა და შეტეხილი არქიტრავითაა აღჭურვილი.

მიუხედავად იმისა, რომ შენობის ამ ნაწილის ფასადზე სამ სართულზე გამოდის აივნები, სიბრტყე ისეა დამუშავებული, რომ მისი პროპორციები ორ რეგისტრს ქმნის: ეს არის დიდი ორდერით შედგენილი ქვედა იარუსი, რომელიც ორ სართულს აერთიანებს, და ზედა, ასე ვთქვათ, ატიკის სართული. ეს განსაკუთრებით იგრძნობა გვერდის ფასადზე, რომელიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან პლეხანოვის პროსპექტზე გამოდის. კედლის სიბრტყე რომ მეტად გამოეკლინა, არქიტექტორს მთავარ ფასადზე ლოჯიის პარაპეტი არ აღუნიშნავს — თაღედის კედლის შუბლი პირდაპირაა გაგრძელებული. მეორე სართულის აივნის ზოლი, თუმცა პარაპეტის დეკორითაა დამუშავებული, დიდი ორდერის აბსოლუტური მასშტაბისა და დამუშავების გამო, ვერ იძენს

---

[79] Д. Гдзелидзе. Опыт проектирования и строительства 4—5 этажных жилых домов в г. Тбилиси. დისერტაცია. М.. 1955. გვ. 50.

წამყვანი აქცენტის მნიშვნელობას და მხოლოდ ზედმეტად „კვეთს“ სვეტებს, თანაც პროპორციულად შეუფარდებელია საერთო დანაწევრებასთან. აქ ნაკლებადაა გათვალისწინებული ქვედა სართულის თავისუფალი, ღრმა სივრცის შეფარდება ზედასთან. პროპორცია დარღვეულია, რაც საერთო შთაბეჭდილებაზეც, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს.

არქიტექტორი დეკორაციულ მოტივებს არა მარტო ცალკეული ელემენტების მოსართავად ხმარობს, არამედ თვით ცალკეულ ფორმათა გადაწყვეტისთვისაც. ხაზგასმული დეკორაციულობა ახასიათებს კოლონადის შემკვრელ სამყურა თაღებს და ზედა რეგისტრის შეწყვილებული სვეტებით შედგენილ ორდერს (დარბაზის დედაბოძი). ორნამენტი, რომელიც კაპიტელებზე და აივანთა პარაპეტებზეა გამოყენებული, ძველი ქართული ისტორიული არქიტექტურის რეპერტუარიდანაა აღებული.

„მონუმენტურობისაკენ“ მისწრაფებამ დაამძიმა არქიტექტურული ფორმები. მასიური პილონები, ქართულ ძეგლებში რომ ბურჯებად გამოდგებოდნენ, აქ აივნის დამშვერადაა გამოყენებული. ხოლო XIX საუკ. ქართული საცხოვრებელი სახლის ხის აივნისათვის დამახასიათებელი სამკბილა თაღები ბეტონის მძიმე მასად დააწვა აივნებს[80].

„ეროვნული არქიტექტურის“ შექმნის სურვილი მარტო ცალკე ორნამენტული მოტივების გამეორებაში კი არ იყო გამოხატული, არამედ ხის აივნებიდან ბეტონში გადმოტანილი არქიტექტურულ ფორმათა თავისებური ინტერპრეტაციითაც. ცხადია, შენობის ფასადთა პრეტენზიული არქიტექტურა ეწინააღმდეგებოდა იმ სიმსუბუქესა და ფორმათა დახვეწილობას, რაც ასე დამახასიათებელია ქართული არქიტექტურისათვის.


საცხოვრებელი სახლების კომპლექსური განაშენიანების კარგ მაგალითებს ვხვდებით ბათუმში. ახალი საცხოვრებელი კვარტალები იქმნება ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დასახლებისათვის (1930), მთავარნავთობმომარაგების ტრესტისათვის მაიაკოვსკის ქუჩაზე, რკინიგზის მუშებისათვის პუშკინის ქუჩაზე (1927) და სხვ.

ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის საცხოვრებელი კვარტალი იყო, რომელიც გარდა თვით საცხოვრებლისა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებებსაც შეიცავდა. ადგილი საცხოვრებელი დასახლებისათვის ზღვის პირას, კოროლის წყალთან გამოიყო, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. კვარტალი იწყებოდა სამი საცხოვ-

---

[80] Б. Лордкипанидзе. Заметки об эволюции национальной формы в архитектуре жилища Советской Грузии. «Советская архитектура», 1953. № 4. გვ. 95.

რებელი კორპუსით, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, ზღვის პირა გზატკეცილის გასწვრივ დგას. მწვანით დაფარულ შიდაკვარტალურ ტერიტორიაზე თავისუფლადაა განლაგებული საცხოვრებელი და სხვა საყოფაცხოვრებო დამხმარე დანიშნულების ნაგებობათა კორპუსები (ტაბ. 2_1).



ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დასახლება. ტიპობრივი სექცია.

თითქმის ყველა საცხოვრებელ კორპუსს საფუძვლად უდევს ტიპობრივი საცხოვრებელი სექცია: რიგითი და გვერდისა. სამი სართულის შვიდსექციანი კორპუსები, კუთხის სექციის გამოყენებისას, ამ ნაწილში ოთხსართულიანია და ამით გარკვეული ნაირფეროვნებაა შეტანილი საერთო განაშენიანებაში.

რიგითი სექციები შედგება ოროთახიანი ბინებისაგან, რომლებიც ორმხრივ ნიავდება. დიდი ოთახი (23,25 მ²) ეზოს მხარესაა მიმართული, ხოლო პატარა (14.5) და სამზარეული (6.3) — ქუჩისაკენ. ოთახები ტამბურით უკავშირდება ერთმანეთს[81]. ქუჩისაკენ ყველა ბინას აივანი აქვს (ტაბ. 2_2).


სამოთახიანი ბინის ოთახების განაივება კუთხურია, ოთახთა საერთო პროპორცია (ოთახების ფართობი ამ შემთხვევაში ასეთია: 24; 20, 66; 10 კვ. მ) სასიამოვნოა, დიდი ოთახები კვადრატს უახლოვდება და სასურველ მხარესაა ორიენტირებული (ოროთახიან ბინებში ქუჩისაკენ მიმართული პატარა ოთახი ზედმეტად წაგრძელებული ფორმისაა), ბინებს აბაზანები არ გააჩნია, არა აქვს არც ლოჯიები, სამეურნეო-ყოფითი მომსახურების ვერანდები.

---

81 ოთახებში შესასვლელის ტამბურში ცალკე გამოტანა საბჭოთა არქიტექტურის ადრინდელ ეტაპისათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო, რადგან მოხერხებული იყო ბინებში ოთახების მიხედვით ოჯახების ჩასახლებისას. ამის შესახებ ნახ. Д. Ахундов. Особенности развития жилых зданий г. Баку в периоде 1920—30 гг. Ученые записки Аз. Политех. Института. Серия X. 1964, № 3, გვ. 50.

შენობათა ფასადები სრულიად სადაა გადაწყვეტილი. არავითარი მორთულობა. ფასადის მთელ ფრონტზე მარტივად პროფილირებული სარტყლებია, რომლებიც ქვედა სართულზე ხვრელობთა ვერტიკალურ გაბარიტებს ფარგლავენ, ხოლო ზევით კარ-სარკმელთა ზედა ხაზთან ფასადის წყნარ ჰორიზონტულ დანაწევრებას ქმნიან. ხვრელობთა პროპორციები კარგად ეხამება შენობის საერთო მასშტაბს, რომელთანაც ასევე კარგადაა შეფარდებული ლითონის მსუბუქი პარაპეტიანი აივნების შეერილი. მზით განათებულ ფასადზე აივნები მუქ დაცემულ ჩრდილს ქმნიან და გარკვეული ცხოველხატულობა შეაქვთ. ზოგ კორპუსზე კუთხის ოთხსართულიან გადაწყვეტას ნაირფეროვნების ელემენტი შეაქვს საერთო განაშენიანებაში. მწვანეში ჩაფლული საცხოვრებელი კვარტალი მთლიანად ახლაც არ კარგავს თავის გამომხატველობას.

ამ საცხოვრებელი კვარტალისაგან განსხვავებით, ბათუმის მთავარნავთმომარაგების სამმართველოს საცხოვრებელი კვარტალის კორპუსებს (1927, მაიაკოვსკის ქუჩა № 15) ზედმეტად „ნაწვალები“ არქიტექტურული ელემენტები აქვს. სახლის ფასადებზე გამოყოფილია სექციებში შესასვლელები. შენობა სამსექციანია, კიბისუჯრედთა ფრონტი წინ არის გამოწეული და მას ორი-



ბათუმი. საცხოვრებელი სახლი მაიაკოვსკის ქუჩაზე. რიგითი სექცია.

ვე მხარეს აივნები ერტყმის. სწორედ ეს ელემენტები — კიბის უჯრედის შესასვლელი, ზედა სართულის შეწყვილებული შეისრულთაღებიანი სარკმლებით, ხის აივნების შეტეხილი ისრული თაღები ქმნიან იმ პრეტენზიულ გაფორმებას, რომელიც ბუტაფორიულ საწეს ანიჭებს ფასადთა არქიტექტურას (ტაბ. 3$_1$). მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ არქიტექტორმა არასწორად შეარჩია მორთუ-

ლობის ელემენტთა მასშტაბი, რამაც ზედმეტად ვიწრო ხვრელობები და სხვა ფორმათა პროპორციული შეუსაბამობა გამოიწვია. საინტერესოა, რომ ქუჩის ფასადზე არსებული ელემენტები ეზოს მხარესაც მეორდება, მაგრამ აქ ხის ნაცვლად ყველაფერი ქვისაა, ხოლო ზოგიერთ კორპუსს კვარტალში აივნები საერთოდ ჩაჭოცილებული აქვს, რაც, რა თქმა უნდა, აუარესებს ბინათა ხარისხს.

სექციები ტიპობრივია. ბინები ოროთახიანია. კიბის უჯრედიდან ჯერ ლოჯია-ტამბურში ხვდებით, ხოლო აქედან ოთახში, სამზარეულოსა და საპირფარეშოში. უკანასკნელი ფაქტიურად კიბის უჯრედის გაბარიტებშია ჩასმული. საცხოვრებელი ოთახები ერთ მხარესაა მიმართული. განიავება სამზარეულოს საშუალებით ხდება, რაც ხშირად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა. საწოლი ოთახი ვიწრო და გრძელია. აივანი სწორედ ამ ოთახთანაა და ამიტომ მას ნაკლებად იყენებენ. ლოჯიები ეზოს მხრივ, თითქოს სამეურნეო დანიშნულების უფრო უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი სადარბაზო შესასვლელის ნაწილს წარმოადგენს.


ამგვარად ეს სახლები არ არის დამაკმაყოფილებელი არც ბინათა დაგეგმარებით და არც ფასადთა არქიტექტურით. აქ ინტერესს იწვევს მხოლოდ კომპლექსური განაშენიანება და ტიპობრივი სექციების გამოყენება.

ბათუმის იმ დროის მშენებლობაში კიდევ ერთი საცხოვრებელი კვარტალი გამოიყოფა — (1927, პუშკინის ქუჩა). იგი ორსართულიანი სახლებისაგან შედგება. სახლების გეგმა თავისებურია: ოთახები ეზოსკენ მიმართული დერეფნის ცალ მხარესაა განლაგებული. სექციის შუა ნაწილში (სადაც სადარბაზოა) ეზოსაკენ ორივე სართულზე ღრმა, განიერი ლოჯიაა. ზედა სართულზე ლოჯიაში ბინები გამოდის, ქვედაზე კი ეს, ფაქტიურად, დაკარგული ფართობია, რადგან ბინებთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული. ბათუმის 20-იანი წლების საცხოვრებელ სახლებში კიდევ არის მაგალითები, სადაც კიბის უჯრედთან შექმნილია საერთო სარგებლობის აივანი, ზოგჯერ საკმაოდ მცირე ფართობისაც კი, ისე, რომ მისი გამოყენება ფაქტიურად არც შეიძლება. (მაგ. საცხოვრებელი სახლი თბილისის ქ. № 2. არქ. დ. კლიმენჩენკო. 1929).

როგორც ვხედავთ, იმ დროისათვის ბათუმში საბინაო მშენებლობა ფართოდაა გაშლილი. გარდა აღნიშნული სცხოვრებელი კვარტალებისა, ქალაქის ცენტრალურ ნაწილშიც შენდება საცხოვრებელი სახლები, უმთავრესად ორსამსართულიანი. მიუხედავად დაგეგმარების სხვაობისა, 20-იანი წლების დასასრულის სახლებისათვის საერთოა ყოველგვარ მორთულობას მოკლებული, კონსტრუქტივისტული არქიტექტურის პრინციპებით აგებული ფასადები. გარ-

და ამისა, თითქმის ყველა სახლში, რომელიც კვარტალთა სიმცირის გამო. ორი ქუჩის გადაკვეთაზეა, ჩვეულებრივ, გამოვლენილია და ხაზგასმულია კუთხე ან მარტივი ჩამოჭრით, ან აივნებით და სხვა სივრცობლივი ელემენტებით. (მაგ. ბარათაშვილისა და კალინინის ქ. კუთხეში, 1929 წ. ეს ტრადიცია 30-იან წლებშიც გრძელდება. მაგ. სახლი გორკისა და კიროვის ქ. გადაკვეთაზე, 1931—32 წ.; ჯაფარიძის და ტელმანის კუთხეში 1935 წ. და სხვ.).

საცხოვრებელი სახლი მარქსისა და კალინინის ქუჩების გადაკვეთაზე 5-სექციიანია (არქ. კლიმენჩენკო, 1930, ტაბ. 3_2), კუთხეებში განსხვავებული სექციაა, ხოლო სხვა სექციები რიგითია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კალინინის ქუჩაზე ბოლო სექციას, რომელიც ნაპირას ჩამოჭრილია. მარქსის ქუჩაზე გამოსულ სექციებში ოთახთა ფართობი გაზრდილია. ბინები რიგით სექციებში სამოთახიანია. დერეფნის სისტემა საშუალებას იძლევა ერთი ოთახი



ბათუმი. საცხოვრებელი სახლი მარქსის ქუჩაზე, რიგითი სექცია.

ცალკე გამოიყოს საერთო მომსახურებით. მაშინ განიავება ირღვევა, რადგან ერთოთახიან ბინაში არ ხერხდება, ოროთახიანში კი ოთახი ნიავდება სამზარეულოთი. ორიენტაცია ქვეყნის მხარეების მიხედვით შენობის ორივე ფრთაში მოხერხებულია (სამხრეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი). ქუჩის მხარეს ბინებს აივნები აქვს, ხოლო სამეურნეო-ყოფითი მომსახურების ვერანდა ან აივანი არ გააჩნია. კუთხის სექციაში დამხმარე სადგომების კონფიგურაცია დამახინჯებულია.

კიბის უჯრედს ამ სექციაში განსაკუთრებული მდებარეობა აქვს. მისი სამი მარში ცოტა ხელოვნურად არის ჩასმული, მაგრამ პასუხობს ფასადზე კუთხის მოცულობით გადაწყვეტას, რომელსაც ქმნის კიბის უჯრედის სიბრტყე-

თა შეტეხვა და გვერდებიდან გამოსული აივნები. ამ კუთხის მოცულობა, კიბის უჯრედის შემოწეული ვერტიკალური სარტყელები ორივე მხარეს, მსუბუქი, ლითონის პარაპეტიანი აივნები ქმნიან აქცენტს სრულიად მარტივი ფასადების არქიტექტურაში. კუთხის კონსტრუქტივისტული იერი ავლენს არქიტექტორის სწრაფვას — შექმნას მარტივი და სადა ფასადები.


კუთხის ხაზგასმულად გამოვლენას ემორჩილება ორსართულიანი სახლის კომპოზიციაც ლენინის ქ. № 33 (ინჟ. ცუკანოვი, 1929) გვერდის ფასადები შეტეხვით ქმნიან კუთხის ქვედა სართულის მოცულობას, რომელზედაც ზევით ტერასაა მოთავსებული (ტაბ. 4_1). გვერდის ფასადებიდან კუთხეზე გადასვლა შემზადებულია შეწყვილებულ პილონთა მოწყობით. გვერდის ფასადები ერთმანეთს კიბის უჯრედის უფრო მაღალ მოცულობასთან ხვდებიან. ფორმათა ასეთი ურთიერთდამოკიდებულება, სიმაღლეთა თუ მოცულობითი სხვაობა დინამიკურ აქცენტს ქმნის ფასადის საერთო არქიტექტურულ გადაწყვეტაში, აქცენტს, რომელიც კუთხეს უსვამს ხაზს. ამ მცირე ობიექტზეც აშკარად ჩანს ცდა, რომ კომპოზიცია გეომეტრიულ ფორმათა ურთიერთფარდობით შეიქმნას.

უმთავრესი ოთახები ქუჩის მხარესაა გატანილი (ცხაკაიას ქუჩისკენ უკეთესი ორიენტაციით), ხოლო დამხმარე სადგომები და კიბის უჯრედი ეზოსაკენ. შენობის გეგმა საკმაოდ რთულდება იმ გარემოებით, რომ სექციაში გამომავალი ბინები სხვადასხვაგვარადაა გადაწყვეტილი (ზოგან დერეფნული სისტემით, ზოგან კი ოთახები მცირე ტამბურითაა დაკავშირებული). დამხმარე სადგომები პრიმიტიულადაა ჩაშენებული ბინათა დაგეგმარებაში. ბინებს არა აქვთ სამეურნეო-ყოფითი აივნები ან ვერანდები.

1931—32 წლებში აშენდა ყველაზე დიდი საცხოვრებელი სახლი გორკის ქუჩაზე (ტაბ. 4_2). ოთხსართულიანი სახლი 80 ბინიანია და მთელ კვარტალს განუწყვეტელი ფრონტით ერტყმის სამი მხრიდან. სექციაში ორი სამოთახიანი ბინაა დაგეგმილი. ორი ოთახი ერთმანეთთან გასასვლელითაა დაკავშირებული, ხოლო მესამე დერეფანში გამოდის და მის ცალკე გამოყენების შესაძლებლობასაც იძლევა. დამხმარე სადგომებიც (სანკვანძი, სამზარეულო) ისეა დაგეგმილი, რომ ორი ოჯახის ჩასახლების შემთხვევაში მოხერხებული იყოს. ბინებში ორი ოთახი ქუჩისაკენ არის ორიენტირებული, ხოლო ერთი ოთახი და დამხმარე სადგომები ეზოსაკენ. კუთხის სექციებში ისევ „ტრადიციული“ შეტეხილი კონფიგურაციაა დამხმარე ოთახებისა, თან აქ ფართობის უქონლობის გამო, სააბაზანო არ არის. აივანი აქვს მხოლოდ ერთ ოთახს, რომელიც ქუჩისაკენ გამოდის. სახლის საკმაოდ დიდი ფრონ-

ტისა და სხვადასხვა მხარეს ორიენტირებულ მხარეთა გამო, ბინათა პირობები თანაბარი არ არის.

ფასადთა სიბრტყე რომ გრძელ ფრონტზე მოსაწყენი არ იყოს, არქიტექტორი შეტეხვას მიმართავს. ამასთან, აივნების განლაგება, კიბის უჯრედის ვერტიკალური მინის ლენტი გარკვევით აცოცხლებს ფასადის არქიტექტურას.



ბათუმი. საცხოვრებელი სახლი გორკის ქუჩაზე. კუთხისა და რიგითი სექციები.

თუმც მთავარი ყურადღება კუთხის დამუშავებას ექცევა, აივნებით ფლანკირებული მინის ვერტიკალურ ლენტიანი შესასვლელი თავიდანვე იოლად შესამჩნევია. მთავარ ფასადზე შესასვლელი ღრმა მაღალი ნიშითაა ხაზგასმული. მაგრამ მთავარი მაინც, როგორც ითქვა, კუთხეა, რომელიც კიბის უჯრედის შეწეული მოცულობითაა გამოყოფილი. გვერდის აივნები ამ მოცულობას გვერდის ფასადებთან აკავშირებს.

ამ სახლს პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით, რადგან იგი აერთიანებდა და წესრიგში მოყავდა დაქუცმაცებული შიდა კვარტალური განაშენიანება, რომელიც ბათუმისათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო. კვარტალების დაწვრილმანებული გაშენება, ხშირ შემთხვევაში, ეზოებს აბნელებდა და განიავების შესაძლებლობასაც სპობდა. მეორე მხრივ, ამ სახლით სწორად წყდებოდა განაშენიანების სიმაღლეც, რომლის უდიდესი ნაწილი ქალაქში (თითქმის 80%) ერთ-ორსართუ-

ლიან სახლებს წარმოადგენდა[82]. სართულიანობის მომატებით მშენებლობა გარკვეულ ეკონომიურობასაც აღწევდა. ამ სახლის არქიტექტურაში თითქმის მთლიანად გამოიხატა მაშინდელი ბათუმის საცხოვრებელი სახლის დამახასიათებელი მხარეები.

იმ დროისათვის კი ეს სახლები საკმაოდ ჩამოყალიბებულ სახეს ატარებდა. აი, რა ნიშნები ახასიათებდა მათ: ოთახების ორმხრივი განლაგება: ყოველი ოთახისათვის დერეფანში ცალკე გამოსასვლელის მოწყობა (სხვადასხვა ოჯახების შესახლებისათვის); ოთახთა მკაფიო ფუნქციური დიფერენციაციის უქონლობა; სანკვანძის პრიმიტიულობა (აბაზანა ჯერ იშვიათადაა); აივნები მხოლოდ ქუჩის მხარეს, სამეურნეო-ყოფითი ვერანდების უქონლობა; ფასადთა სადა არქიტექტურა, ყოველგვარი დეკორაციული მორთულობის გარეშე (თუ არ ჩავთვლით თარიღის აღმნიშვნელ ციფრებს, რომლებიც დეკორის ფუნქციასაც ჩამულობს); შენობის კუთხის აქცენტირება გეომეტრიული მოცულობების საშუალებით, როგორც წამყვანი ელემენტისა საერთო კომპოზიციაში; კიბის უჯრედის ლენტის გამოვლენა და სხვ. ე. ი. ფასადებზე კონსტრუქტივისტული ელემენტებია, ოღონდ სრულიად უპრეტენზიო, ისე რომ ზედმეტ ყურადღებას არ იპყრობს.

20—30-იანი წლების მიჯნაზე თბილისის საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში აშკარად ჩანს ახალი საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ორი ტენდენცია: ერთი მხრივ კონსტრუქტივისტული და მეორე მხრივ — „ეროვნული“ ფორმის ძიება. უპირატესობა, როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით პირველის მხარეზე იყო.


გარდა აღნიშნულ „ტრამვაელთა“ სახლისა, ქართული არქიტექტურულ ფორმათა შექმნის ცდა იყო მოცემული საცხოვრებელ სახლში ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში (არქ. იაკუბოვიჩი, 1928. 1965 წელს ფილარმონიის დარბაზის მშენებლობისას აღებულ იქნა). აქ შეგნებული მისწრაფებაა არქაულობისაკენ, როცა ცალკეული ელემენტები და ფორმები შუასაუკუნეობრივ ქართულ (თუ რომანულ?) ხუროთმოძღვრებას მოგვაგონებენ (ტაბ. 5_2).

შენობის გეგმის V-ს მაგვარი მოხაზულობა ქუჩათა გასაყარითაა გამოწვეული და იგი სამი ნაწილისაგან შედგება: კუთხის, გვერდის და ქუჩების გასწვრივ მიმართული სექციებისაგან. მელიქიშვილის ქუჩისაკენ გამოსულ ფრთაში ორი სექციაა, ხოლო დანარჩენებში — თითო. გეგმარებითი სქემა ერთგ-

---

[82] Д. Х. Комахидзе. Батуми. Планировка и застройка города. Тб., 1968, გვ. 41.

ვარდანია. სამზარეულო ეკვრის კიბის უჯრედის კედელს, საპირფარეშოები პირველი სინათლით ნათდება. ბინებს აქვთ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ღრმა აივნები. ბინები ძირითადად სწორად არის ორიენტირებული (მელიქიშვილის ქ. — სამხრეთი; კუთხე — სამხრეთ-აღმოსავლეთი). დაცულია მათი გამჭოლი განიავების პრინციპი, მაგრამ სექციებში ბინათა ხარისხი თანაბარი არ არის, არ არის დაცული ოთახთა ჰარმონიული დიფერენციაცია (მაგ. ორ-



თბილისი. საცხოვრებელი სახლი ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში. გეგმა.

ოთახიან ბინაში ერთი ოთახის ფართობია 19,7 მ², მეორესი — 7.18 მ²). მელიქიშვილის ქუჩაზე გამომავალი შუა სექციის გადაწყვეტა ნაძალადევია ფართობის განაწილებისა თუ შემადგენლობის მხრივ. სასადილო ოთახი ცუდად უკავშირდება სამზარეულოს, ბინებში არ არის აბაზანები, მცირეა სამზარეულოს ფართობი (3.8 მ²) და სხვ.[83].

ფასადთა გადაწყვეტას არქიტექტორი მოცულობათა გამოვლენაზე აგებს. მთავარი ფასადი, რომელიც მოედანზე გამოდიოდა, ხაზგასმული იყო ორი ვერტიკალური „კოშკური" მოცულობით, რომელსაც ზედა სართულის ღია ნიშაივანი ქმნიდა. ეს შეღრმავება კედლის სიბრტყიდან და კბილანებით დაძთავ-

---

83 შენობა ჯერ დამთავრებულიც არ იყო, როცა უკვე გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები. ნახ. «Заря Востока» 12. 8. 28. № 186.


რებული ელემენტების ამაღლება სახურავს ზემოთ საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფასადზე ვერტიკალურ დანაწევრებას მთავარი მნიშვნელობა მისცემოდა. ამას ხელს უწყობდა ცენტრალური შესასვლელის ღრმა ნიშიც. ჰორიზონტული ელემენტები შემაკავშირებელ ფუნქციას ასრულებდნენ ფასადის საერთო კომპოზიციაში. მესამე სართულის შუა აივანი, კუთხის მომრგვალებული აივნები და ლოჯიები მთავარ ფასადს გვერდის ფასადებთან აკავშირებენ. ზედა სართულის ვიწრო, შეისრული სარკმლები მხედველობით კიდევ უფრო ავიწროვებდნენ ხვრელობთა გაბარიტებს, თითქოს მეტი ფართობი ეთმობოდა კედლის ყრუ სიბრტყეს. მთელი ეს კომპოზიცია, დაკბილული პარაპეტებით დამთავრებული, ქმნიდა ძველებური, შუასაუკუნეობრივი არქიტექტურის უხეირო იმიტაციას. კბილანებიანი პარაპეტები მეორდებოდა გვერდის ფასადის ცენტრალურ ნაწილშიც, რომელიც ხაზგასმული იყო თაღედით გაერთიანებული გადმოკიდებული აივნების მოცულობით. ეს ელემენტი ხაზს უსვამდა საცხოვრებელის თემას ფასადის არქიტექტურაში, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით კიდევ უფრო შესამჩნევს ხდიდა იმ სიჭრელეს, რომელიც ასე იგონებოდა შენობის ფასადთა მთელ არქიტექტურულ გადაწყვეტაში.

რა თქმა უნდა, აქ ეროვნული ფორმის შექმნის ამოცანა ეკლექტიზმისა და უგემოვნობის ზღვარს ვერ გასცდა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ცდილობდა იგი ცალკეული ორნამენტული მორთულობებით კი არა, საერთო იერითა და ხასიათით გადმოეცა.

სრულიად სხვაგვარი მიდგომა ჩანს ბანკის მოსამსახურეთა საცხოვრებელ სახლში ჭონქაძის ქუჩაზე თბილისში (არქ. გ. ტერ-მიქელოვი, 1929). მთაწმინდის ძირას, ქუჩის ხაზიდან სიღრმეში შეწეული კორპუსები კარგად ეხამება მთის ფერდობს (ტაბ. 5_1). მისასვლელები, კორპუსებს შორის გადასასვლელები, ამწვანებული ფერდობი გამოყოფენ მათ ქუჩისაგან და გარკვეულ მომხიბვლელობას ანიჭებენ მათ. ოთხსართულიანი შენობის ტიპობრივი სექცია ოთხ და სამოთახიანი ბინებისაგან შედგება. გეგმარება მოსერხებულია, ოთახთა შორის ურთიერთკავშირი დანიშნულების მიხედვით კარგადაა დაცყარებული. ბინები ღრმა ლოჯიებითაა გამოსული ქუჩის მხარეს. სასიამოვნო პროპორციების საერთო ოთახი, ლოჯიასთან ერთად, გამაერთიანებელია ბინის დაგეგმარების კომპოზიციაში. ოთახები ბინაში ისეა განაწილებული, რომ უკეთესი ორიენტაცია ჰქონდეთ ქვეყნის მხარეების მიხედვით. ამითაა შეპირობებული საცხოვრებელი ოთახების გამოტანა ქუჩის მხარეზე (რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთითაა და უკეთეს პირობებშია), ხოლო კიბის უჯრედისა, დამხმარე სადგომებისა და ერთი ოთახისა — ეზოს მხარეს. ყველა ბინა ორმხრივ ნიავდება. ამრიგად, მიღწეულია გარკვეული კომფორტი, რომელიც სა-

ცხოვრებლის ღირსებას განსაზღვრავს. ეს არის, რომ ეზოს მხარეს არ არის მოწყობილი სამეურნეო ვერანდა, რაც, გარდა საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა, მზისაგან გახურებისგან დაიცავდა ბინას და ამდენად მეტად საჭირო იყო.

ფასადთა არქიტექტურა მთლიანად ემორჩილება ბინათა დაგეგმარებას,



თბილისი. საცხოვრებელი სახლი ჯონჭაძის ქუჩაზე. გვერდის სექცია.

სადა, ერთიან კედლის სიბრტყეზე მახვილს ლოჯიათა და ერკერების ლაქები ქმნიან. არავითარი ზედმეტი ელემენტი. შელესილი ფასადის გლუვ ზედაპირზე მკაფიოდ იკითხება ხვრელობათა მუქი ლაქები. ცენტრალური ნაწილი, შეწყვილებული ლოჯიების გარდა, ამაღლებული პარაპეტითაც არის გამოყოფილი. ფასადზე ჰორიზონტული დანაწევრებით შექმნილი აბზაცები (ცენტრალური და ზედა გვერდის ლოჯიები, მკვეთრად გამოყოფილი კარნიზი ლოჯიათა და ერკერების თავზე) წონასწორდება ვერტიკალური აქცენტებით, რომელთაც ერკერებისა და შეწყვილებულ ლოჯიათა შუა ნაწილის ყრუ პარაპეტების ზოლები ქმნიან. ამ შენობის არქიტექტურაში აშკარად ჩანდა მისწრაფება — ყველაფერი ფუნქციურ შინაარსს დამორჩილებოდა, რისთვისაც კონსტრუქტივისტული გადაწყვეტა უფრო მეტად შესაფერი იყო. თუმცა არქიტექტორი თვითმიზნად არ იყენებს ახალი შემოქმედებითი მიმართულებისათვის დამახასიათებელ ფორმებს. პირიქით, ზოგი ელემენტი ჯერ კიღევ „ტრადიციული“ სახითაა წარმოდგენილი (მაგ. ერკერები).

„საცხოვრებელი სახლების გარეგან გაფორმებას, რომელსაც პირველ ხანებში ეროვნული სტილის ტენდენციები ახასიათებდა, ბოლო წლებში ემჩ-

ნევა „ახალ სტილზე“ გადასვლაო“, აღნიშნავდნენ[84] მაშინ და მართლაც, საცხოვრებელ სახლის არქიტექტურაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს კონსტრუქტივისტული მიმართულება. მაგრამ შენობები მკაცრად ემორჩილებიან კონსტრუქციათა და მასალების რეალურ შესაძლებლობებს. ე. ი. ფორმალური ხერხები კი არ არის გამოყენებული, არამედ პრინციპული შეხედულებანი, რომლებიც არსებულ პირობებთან არის შეფარდებული. მთავარი — ფუნქციური გადაწყვეტაა, რომელიც თანდათანობით სულ უფრო დახვეწილი ხდება.

საცხოვრებელ სახლებში მელიქიშვილის ქუჩაზე № 49 (არქ. შ. თავაძე, 1930), უნივერსიტეტის ქუჩაზე № 2 (არქ. ნ. სევერცვი, 1931) ყველა ბინაში დამხმარე-საყოფაცხოვრებო ვერანდები. ოთახთა ორმხრივი განლაგებისას განიავება ნორმალურია, გათვალისწინებულია ორიენტაცია ქვეყნის მხარეთა მიხედვით, საბაზანოები აუცილებელი ხდება და სხვ. საცხოვრებელი სახლები ქიაჩელისა და საბა-სულხანის ქუჩაზე (არქ. ნ. სევეროვი, 1929—30 წწ. ტაბ. 61), ყველა გეგმარებითი მოთხოვნილების გათვალისწინებით, ფასადთა არქიტექტურაშიც ლაკონიურ, მეტყველ, სადა არქიტექტურულ ფორმებს აღწევს. აქ ავტორის მიდგომა იმ პრინციპებს ემყარება, რომელიც მან უკვე ჩამოაყალიბა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის შენობაში[85]. მაგრამ ჯერ საცხოვრებელი სახლების პროექტები მაინც ვერ არის თავისუფალი მნიშვნელოვან ნაკლოვანებათაგან. ზოგ შემთხვევაში სახლის გეგმა ხელოვნურია, რაც ართულებს ბინათა ნორმალურ დაგეგმარებას. გრიბოედოვის ქუჩაზე № 20 აგებული საცხოვრებელი სახლი (პროექტი 1930 წელს დამტკიცდა) ადგილის მაქსიმალური გამოყენებისათვის სამკუთხა კურდონერს ქმნის, რომლის ორ მხარეს ხუთი სექციაა განლაგებული. კუთხეებისა და ცენტრალური სექციის ბინების გეგმარება გართულებულია და არაბუნებრივი კონფიგურაცია აქვს.

იმ დროის საცხოვრებელ სახლთა არქიტექტურისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მაგალითია სპეციალისტთა საცხოვრებელი კორპუსები საბურთალოში, რომლებიც სპეციალისტთა ყოფა-ცხოვრების გაუჯობესებისათვის, საგანგებო დადგენილების შესაბამისად შენდებოდა[86].

სპეციალისტთა სახლების კორპუსები საბურთალოში (არქ. მ. შავიშვილი,

---


84 მ. ი ლ ი ნ ა. სამშენებლო ჟურნალები და გამოფენები. „ტექნიკა და ცხოვრება“, 1925, № 3—5, გვ. 44—45.

85 იხ. ქვემოთ.

86 მ. ი ლ ი ნ ა. მეტი ყურადღება სპეციალისტების სახლების მშენებლობას. „ტექნიკა და შრომა“, 1932, № 13—14, გვ. 147.

ა. ნიკოლაიშვილი, 1932—35 წწ.) ოთხსექციიან სახლებს წარმოადგენენ (ტაბ. 66).

ტიპობრივი სექცია ოთხოთახიან ბინებს შეიცავს. ყველა ბინას ეზოს მხარეს ლოჯიები აქვს, ხოლო ქუჩისაკენ გამომავალი ოთახს — აივანი. გეგმარება ორიენტაციის მიხედვით მოხერხებული არ არის, რადგან შედარებით უკეთესი მხარე (ჩრდილო-აღმოსავლეთი) უპირავს კიბის უჯრედს, სამზარეუ-



თბილისი. სპეციალისტების სახლი. რიგითი სექცია.

ლოს, სანკვანძსა და მხოლოდ ერთ საცხოვრებელ ოთახს, მაშინ, როცა სხვა ოთახები ქვეყნის მხარეების მიხედვით უარეს პირობებშია. ლოჯია ხელოვნურადაა ჩამჯდარი ბინაში და ძალზე ამცირებს ოთახის ფართობს. ვერც ოთახთა ზონირება და დამხმარე სადგომებთან კავშირია მთლად მოხერხებული. ბინათა ღირსებაა ის, რომ საცხოვრებელ ოთახებს გამჭოლი განიავება აქვთ.

სექციათა ბინებში განაპირა ოთახებს ქუჩისაკენ აივანი აქვთ, რაც მთელ ფასადზე ძირითად მხატვრულ ელემენტს წარმოადგენს. განაპირა აივნები ფასადის წიბოებს გადაცილებულია და გამოწეულია მომრგვალებული პარაპეტით, ხოლო შუა ნაწილში შეწყვილებული აივნებია. ისინი ერთიან სიბრტყედ გადაწყვეტილ ფასადების ძირითად დანაწევრებას ქმნიან. თავისთავად, ერთმანეთის თავზე განლაგებული აივნები მთელ სიმაღლეზე ვერტიკალურ ელემენტად გვევლინება, რაც აწონასწორებს შენობის გრძელი ფრონტის (112 მ.) ჰორიზონტულ დინებას. ფასადის სადა არქიტექტურა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ რიგთა ურთიერთკავშირზეა აგებული. შენობა ქუჩის დინებას კარგად ეხამება, რადგან რაიმე ცალკე გამოყოფილი აქცენტი მის ფასადზე

არ არსებობს. აქ ზედმეტი ელემენტი არ არის. მხოლოდ მარტივი ფორმებია ნახმარი, რომლებიც აუცილებლობითაა შეპირობებული, თუმცა ცნობილი კონსტრუქტივისტული ნიმუშებისაგან გადმოღებული ყრუ პარაპეტის ნაცვლად უფრო „ჰაეროვანი“ გადაწყვეტა გარკვეულ „სიმსუბუქეს“ მიანიჭებდა შენობას.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების პირველი პერიოდის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში აშკარად შეიმჩნევა ის სოციალური ძვრები, რომლებმაც მკვეთრად გააუმჯობესა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები. იმ ჭრაქვალ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებიდან იყო დასახული და განხორციელებული, კარდინალურად შეიცვალა მუშათა საცხოვრებელი პირობები. საცხოვრებელი ფონდის გადანაწილებიდან დაწყებული, საცხოვრებელი კომპლექსების შექმნით, ყველა ამოცანა სწორედ მშრომელთა და, უპირველესად, მუშათა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული.

ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად ამ პერიოდში უნდა ჩაითვალოს საცხოვრებელი კვარტალების კომპლექსური განაშენიანების გააზრება, რეგულარული განაშენიანებისა და შიდაკვარტალური კეთილმოწყობის ელემენტების გათვალისწინებით. თუმცა, ჯერ არ იყო ბოლომდე ხორცშესხმული ის პროგრესული იდეა, რაც ამ მშენებლობას ედო საფუძვლად, ვერ იყო მიღწეული სათანადო მასშტაბები ამგვარი მშენებლობისა, მაინც არსებული მაგალითები („ტრავმაელთა“ საცხოვრებელი კვარტალი თბილისში, ბათუმის ნავთობგადამუშავებელი ქარხნის დასახლება და სხვ.) მეტყველებენ მასობრივი მშენებლობის ამოცანათა სრულიად ახლებურ დასმაზე. ფაქტიურად ამ მაგალითებში გამომჟღავნდა ტიპობრივი მშენებლობის შესაძლებლობანი და მისი პერსპექტიულობა.

ახალი ყოფით გამოწვეული ცვლილებები საზღვრავდნენ როგორც ბინათა დაგეგმარების ორგანიზაციას, ისე საცხოვრებელი სახლის ქალაქთმშენებლობით ფუნქციას — ქუჩასთან კავშირის, ეზოების მოწყობის, სან-ჰიგიენური პირობების აუცილებელი გათვალისწინების თვალსაზრისითაც.

საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მოხერხებულ და ეკონომიურ ბინათა დაგეგმარება, როცა მშენებლობის ძირითად ტიპად მიღებულ იქნა სექციური ტიპი, რომელიც სამშენებლო დეტალების უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის შესაძლებლობებს იძლეოდა. თუმცა სათანადო-საწარმოო ტექნიკური ბაზის უქონლობა აფერხებდა მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე გადასვლას და მშენებლობა ხშირად კუსტარულად წარმოებდა.

საბინაო მშენებლობის ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენდა, აგრეთვე, კლიმატური პირობების გათვალისწინება — ოთახთა ქვეყნის მხარეების მიმართ ორიენტაცია, ბინების ორმხრივი განიავება. მართალია, ეს ამოცანა ჯერ შორს იყო საბოლოო გადაწყვეტისაგან, რადგან ხშირად ბინებში საცხოვრებელი ოთახების ზონირება არ იყო დამაკმაყოფილებელი. სამზარეულოს და საპირფარეშოს მოუხერხებელი გადაწყვეტის დროს, როცა ერთ მხარეს საცხოვრებელი ოთახია, ხოლო მეორე მხარეს — ეს დამხმარე სადგომები, ორმხრივი განიავება საწინააღმდეგო ეფექტს იწვევდა. არ იყო სათანადოდ შეფასებული სამეურნეო-საყოფაცხოვრებო აივნებისა და ვერანდების როლი და სხვ.

მშენებლობის მაქსიმალური გაიაფებისაკენ მისწრაფებას ზოგჯერ ემსხვერპლებოდა ბინის კომფორტი (აბაზანების უქონლობა, სამეურნეო სადგომთათვის მცირე ფართობი და სხვ.).

არქიტექტორები ხშირად აგეგმარებდენ ბინებს, რომელთაც დიდი საცხოვრებელი ფართობი (მაგ. თბილისისათვის საშუალოდ 53 მ²) და ძალზე შემცირებული დამხმარე სადგომები (საშუალოდ 17 მ²) ჰქონდა. დამხმარე და საცხოვრებელი ფართობის შეფარდება ასეთ შემთხვევაში ოპტიმალურზე დაბალი იყო, რაც უარყოფითად მოქმედებდა ბინათა დაგეგმარების ხარისხზე, საყოფაცხოვრებო მოხერხებულობაზე. ეს განსაკუთრებით საგრძნობი იყო მაშინ, როცა ერთ ბინაში რამდენიმე ოჯახს ასახლებდნენ[87].

ექსპლოატაციაში სასწრაფოდ შეყვანის მოთხოვნილებისა და მშენებლობის გაიაფების გამო საცხოვრებელ სახლთა მხატვრული სახის ძიება მრავალ შემთხვევაში დიდადაა დაცილებული სასურველ შედეგს, მაგრამ მაშინ, როცა არც ეს მხარე რჩებოდა ყურადღების გარეშე, საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა აშკარად ატარებდა ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების პირველი ეტაპის საერთო დამახასიათებელ ნიშნებს. ეს იყო ორი მკაფიოდ გამოხატული და განსხვავებული ტენდენცია: ერთი მხრივ ეროვნული არქიტექტურული ფორმების ძიებისა, ხოლო მეორე მხრივ საბჭოთა არქიტექტურის ახალი შემოქმედებითი მიმართულებისა, რომელსაც საფუძვლად კონსტრუქტივიზმი ედო. თუ ეროვნული არქიტექტურის შექმნის ცდა უმთავრესად ვერ სცილდებოდა ცალკეულ ისტორიულ ფორმათა თუ მორთულობის ელემენტთა გადმოღება-გამოყენებას, კონსტრუქტივისტული არქიტექტურის ფორმები, რომლებიც თავისთავად შენობათა ახალ სამშენებლო-ტექნიკურ შესაძლებლობებზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი, აგურით მშენებლობის პირობებში (იმ

87 Д. Гдзелидзе. Опыт проектированія... '33· 58.

დროის მშენებლობა კი თითქმის ყოველთვის აგურისაა) ხშირად ხელოვნურად იყო გადმონერგილი ცნობილი ნიმუშებიდან და ფაქტიურად დეკორაციულ ელემენტებს წარმოადგენდა.

ამრიგად, საცხოვრებელი სახლის არქიტექტურამ, მიუხედავად მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებისა, ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარების პირველსავე ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. მუშათა საცხოვრებლების ფართოდ გაშლილი მშენებლობა ახალი საზოგადოებრივი წყობის უაღრესად მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენდა.

4 სამრეწველო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი

როგორც აღინიშნა, ქალაქთა კეთილმოწყობასა და კომუნალური მეურნეობის მოწესრიგებასთან ერთად იწყება მთელი რიგი ახალი ობიექტების დაპროექტება-აშენება. ბუნებრივია, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აშენებულ ნაგებობათა რაოდენობა დიდი არ არის, მაგრამ იმ დროისათვის დამახასიათებელია არქიტექტურული თემატიკის ფართო დიაპაზონი, რომელიც საცხოვრებელი სახლებიდან დაწყებული — სახალხო კლუბების, თეატრალური შენობებისა და სკოლების, რკინიგზისა თუ სამრეწველო ნაგებობების მშენებლობასა და დაპროექტებას მოიცავდა. რა თქმა უნდა, ყველა პროექტი თანაბარი მნიშვნელობისა როდი იყო. აქ აღსანიშნავია, რომ თავიდანვე, პირველივე წლებიდან ხუროთმოძღვართა წინაშე დაისვა ახალი სოციალისტური ყოფისათვის შესაფერი საბჭოური არქიტექტურის შექმნის პრობლემა, რომლის გადაწყვეტისათვის სხვადასხვა არქიტექტორმა სხვადასხვა გზა აირჩია.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიის პირველ პერიოდში აშენებულ ნაგებობათა მარტო ჩამოთვლაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი გახდეს მშენებლობის მასშტაბი რესპუბლიკაში. დავასახელებთ ზოგიერთს. სამრეწველო ნაგებობებიდან აღსანიშნავია ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსი (1922—27), რიონჰესი (1927 წელს დაიწყო), აბჰესი, მაუდკამვოლის ქარხანა, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა თბილისში, საცივარი ფოთში (1931) და სხვ. საზოგადოებრივი ნაგებობებიდან: პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბი (1923), საქართველოს პავილიონი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მოსკოვში (1923), ტრანსპორტელთა კლუბი ფოთში (1924), რკინიგზის სადგური ოზურგეთში (1923—29), რკინიგზელთა კლუბი ზესტაფონსა (1927) და ხაშურში (1932), კინოთეატრი ლენინის რაიონში (1928), საქართველოს მუზეუმის რეკონსტრუქცია (1923—1929), „ზარია ვოსტოკას“ შენობა (1928), რკ. გზის სამმართველო (1930), ტუბერკულოზის დისპანსერი (1930), ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს სახლი (1930), წყალთა მეურნეობის საცდელი ინსტიტუტი (1929), ვეტერინალური ინსტიტუტი (1929) თბილისში, კულტურის სახლი ცხინვალში (1932), ქართული ტექნიკუმი სოხუმში (1931), სახკინმრეწვის შენობა (1930), კავშირგაბმულობის სახლი თბილისში (1932) და მრავალი სხვ.

სამკურნალო-საკურორტო დაწესებულებანი: აბანო და საბაზანო მესამე წყაროზე წყალტუბოში (1926), იქვე სასტუმრო (1928), № 7 საბაზანო და სანატორიუმი (1930), სანატორიუმი ლიბანსა (1927) და აბასთუმანში (1930), ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი და სასტუმრო ბორჯომში (1930)...

საცხოვრებელ სახლებზე აქ აღარაფერს ვამბობთ, რადგან მათი არქიტექტურის ანალიზი წინა თავშია მოცემული.

ყველა შენობის არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზი შეუძლებელია და არც არის საჭირო. ჩვენ განვიხილავთ ძირითად ნაწარმოებთ, რომლებიც გარკვეულ ინტერესს იწვევენ როგორც თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით, ისე იმ დამახასიათებელი სტილისტიკური ნიშნების გამო, რომლებიც განსაზღვრავენ მაშინდელ შემოქმედებით მიმართულებას, ქართული არქიტექტურის გზას იმ ეტაპზე.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის პირველი წლების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაწარმოებს ვ. ი. ლენინის სახელობის ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგური — ზაჰესი წარმოადგენს (ტაბ. 7—8). მისი მშენებლობა ამიერკავკასიაში ვ. ი. ლენინის იმ მითითებათა რეალური განხორციელების პირველი მაგალითია, რომელიც გულისხმობდა სახალხო მეურნეობის განვითარებას ქვეყნის ელექტროფიკაციაზე დაყრდნობით. იგი განუყოფელი ნაწილი იყო ლენინისეული ცნობილი „გოელროს“ გეგმისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა ქვეყნის პერსპექტიული განვითარებისათვის.

თავდაპირველად განზრახული იყო 10.000 ცხ. ძალის სიმძლავრის ნავთით მომუშავე თბოსადგურის აშენება, შემდეგ კი უპირატესობა მიეცა ჰიდრავლიკურ სადგურს, რომლისთვისაც ადგილი გამოიყო მდინარე მტკვარზე, მცხეთასა და ზემო ავჭალას შუა. საინჟინრო მოსაზრებები მრავალმხრივ იქნა შემოწმებული, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სპეციალისტების მიერ და საბოლოოდ საჭიროდ მიჩნეულ იქნა 40.000 ცხ. ძალის სიმძლავრის ჰიდროსად-

გერის აგება. საინჟინრო პროექტი დეტალურად დამუშავდა სპეციალური კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ინჟ. ნ. ანდრეევი, დამანტოვიჩი, ლ. დიასამიძე, პროფ. ა. დიდებულიძე ა. ვასილიევი, ს. ფირალიშვილი, ო. ჭელიქ-ფაშაევი, ბ. ჭიჭინაძე და სხვ.[88].

1922 წლის მაისში დაიწყო მშენებლობა. იგი სახალხოდ იყო გამოცხადებული: ზაჰესის აშენებაში მონაწილეობდა თბილისისა და ახლომდებარე რაიონების მშრომელი მოსახლეობა. 1927 წელს, 26 ივნისს იგი საზეიმოდ გაიხსნა[89].

ზაჰესის არქიტექტურული პროექტი დამუშავებულია არქ. ა. კალგინის, მ. მაშკარიანისა და კ. ლეონტიევის მიერ. ზაჰესი სხვადასხვა ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც მთის ძირასაა და ვრცელი ტერიტორია უკავია. მდინარეზე და მის პირას მდებარე ნაგებობებიდან დაწყებული, მომსახურე პერსონალის მთის ფერდზე განლაგებულ საცხოვრებელ სახლებამდე — ყველა ნაგებობა ერთიან არქიტექტურულ გადაწყვეტას ემორჩილება.

თუ ტერიტორიის ზონირება შედგენილია ელექტროსადგურის ტექნოლოგიურ საკითხებთან შეფარდებით, თვით ცალკეულ ნაგებობათა განლაგება და მოატკრული იერი უკვე არქიტექტორთა გააზრების შედეგს წარმოადგენს. მთელი კომპლექსი საგენერატორო სადგურისაგან, განშანაწილებელ მოწყობილობათა შენობისა, კამხალის, წყლისგადამყვან არხისა, საწნეო აუზის და კოტეჯის ტიპის საცხოვრებელ შენობათაგან შედგება.

არქიტექტორებმა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახეს ტექნოლოგიის, ტექნიკისა და ეკონომიკის საკითხების გადაწყვეტისათვის, მომუშავეთათვის უკეთესი პირობების შექმნისათვის მიეღწიათ ისე, რომ სამრეწველო ნაგებობათა არქიტექტურულ-მხატვრული გამომსახველობა არ დაზარალებულიყო.

ზაჰესი ფაქტიურად კომპლექსური მშენებლობის პირველი მაგალითი იყო საქართველოში. მისი მშენებლობა ანსამბლურ განაშენიანებას თხოულობდა. არქიტექტორებმა ამოცანა გადაწყვიტეს არა ცალკეული არქიტექტურული ფორმების გამოყენებით, არამედ ბუნებრივ გარემოცვაში ცალკეულ ნაგებობათა ისე მოთავსებით, რომ არ დარღვეულიყო საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სახე აქაური ლანდშაფტისა, რომელიც ბუნებისა და არქიტექტურის ჰარმონიული შერწყმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ახლო მდებარე მთას აგვირგვინებს ქართული ისტორიული ხუროთ-

---

88 ბ. ჭიჭინაძე — მნიშვნელოვანი სიმძლავრის ჰიდროელსადგურების ამშენებლობა საქართველოში. „ტექნიკა და ცხოვრება", 1927, № 10, გვ. 8—9.

89 „კომუნისტი", 1927, 26.6. № 144. ზაჰესმა პირველი დენი თბილისს უფრო ადრე, 9 აპრილს მისცა. იხ. „კომუნისტი", 1927, 10.4, № 80.


მოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ძეგლი — მცხეთის ჯვრის ტაძარი (VI საუკ.), რომელიც ორგანულადაა შეზრდილი გარემომცველ ბუნებასთან (და ამ თვალსაზრისით იგი პირველობას შეეცილება მსოფლიოს ყველაზე სახელმოხვეჭილ ხუროთმოძღვრულ ნიმუშებსაც კი) და საკმაოდ დიდ მანძილზე განსაზღვრავს პეიზაჟის მხატვრულ სახეს (ტაბ. 7_1). ასეთ პირობებში ახალი კომპლექსის აშენება, ისიც ინდუსტრიული ხასიათისა, მეტად დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. არქიტექტორებმა ეს ამოცანა ჩინებულად გადაწყვიტეს.

ბუნებრივი პირობების სწორად გამოყენება, რაც ჰიდროკვანძის შემადგენელი ნაწილების განლაგებაში გამოიხატა, ქმნის დასამახსოვრებელ კომპოზიციას. კაშხალი საკმაოდაა მოცილებული საგენერატორო სადგურს, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შენარჩუნებული იქნეს გარემო ბუნების შესაბამისი მასშტაბი. გზის მოყოლებით ჯერ საგენერატორო სადგური, ხოლო შემდეგ კაშხალი ისეა მოთავსებული, რომ მნახველებს ხედვის უკეთესი წერტილი აქვთ (საგენერატორო სადგური — თითქმის მთლიანი ფასადით ჩანს, კაშხალი — პერსპექტიული აღქმით). ხოლო თვით ცალკეულ შენობათა არქიტექტურაში მთავარია მალებისა და კედლის სიბრტყის ურთიერთშეფარდება და მოცულობათა შეკრული კომპოზიცია.

საგენერატორო სადგური (თავდაპირველი პროექტის მიხედვით იგი განმანაწილებელ მოწყობილობათა შენობასთან ერთად იყო გათვალისწინებული, რაც აგრეთვე დაარღვევდა მასშტაბს, რადგან დონეთა სხვაობა ძალზე საგრძნობი იქნებოდა; იხ. პროექტი) ოთხი ფართო და მაღალი, შეისრული სარკმლით ხაზგასმულ სადა მოცულობისაგან შედგებოდა. შშენებლობის მეორე რიგის შედეგად მას მიედგა კიდევ ერთი ასეთი მოცულობა — ფასადი გაგრძელდა, მაგრამ ვინაიდან სიმაღლე უცვლელი დარჩა, ფასადის ფრონტის გაზრდას საერთო შთაბეჭდილებაზე უარყოფითად არ უმოქმედია (ტაბ. 7_2) მთავარიდან გვერდის ფასადზე გადასვლა მომრგვალებული მოცულობითაა და კუთხე ხაზგასმულია მცირე კოშკის ცილინდრით. თუ მთავარ ფასადზე შთაბეჭდილებას ფართო, მაღალი სარკმლები ქმნის, გვერდისაზე ხვრელობები მცირე ზომისაა და ეს კონტრასტი საგრძნობია. გვერდის ფასადი, რომელსაც აღქმის ძალზე შეზღუდული წერტილები გააჩნია, უფრო უტილიტარულ ხასიათს ატარებს და უშუალოდ ასახავს გეგმის გადაწყვეტას. ამიტომაა იგი სხვადასხვა მოცულობებით დანაწევრებული. კოშკური ნაწილის მომრგვალებული მოცულობა, უკანა პლანზე ისევ ყრუ კედლის სიბრტყით — ქმნის მტკრისკენ გამომავალ ფასადისაგან განსხვავებულ, დინამიკურ კომპოზიციას. ამას ხაზს უსვამს დეტალებიც

(აღნიშნული კიბის მარში, რომელიც გარკვეულ დეკორაციულობასაც არაა მოკლებული, კბილანებიან კრონშტეინებზე შესმული მცირე აივანი კოშკზე და სხვ.).

მთავარი ფასადის სიმეტრიული, წყნარი კომპოზიცია, მიუხედავად აბსოლუტური ზომების სიმცირისა, მონუმენტურია. ამას ხელს უწყობს კედლის



ზაჰესი. საგენერატორო სადგურის და განმანაწილებელ მოწყობილობათა შენობის პირველი პროექტი.

თავისუფალი სიბრტყის გამოვლენა და მასზე სარკმელთა დიდი ლაქების მოთავსება. მათს რიტმში გარკვეული დინამიკურობა შეაქვთ ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ სინამდვილეში მეტყველ დეტალებს — თაღის შეისრულ მოხაზულობას და ფასადის სიბრტყეებთან გამაერთიანებელ თავისებურ არქივოლტს, რომელიც მარტივ კედლისსვეტს ეყრდნობა. ამით მიღწეული შუქჩრდილის ეფექტი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ შეუმჩნეველი პლასტიკური ელემენტი შეეტანა ფასადის საერთო სადა დამუშავებაში.

ხვრელობთა კარგად მოძებნილი მასშტაბითა და მათი შეფარდებით საფასადო სიბრტყესთან, კედლის თავისუფალი, ერთიანი სიბრტყის გამოვლინებით ავტორებმა შენობას ადგილობრივ პირობებთან, ქართული არქიტექტურის ტრადიციებთან შეფარდებული სახე მიანიჭეს. და ეს უფრო მეტყველი აღმოჩნდა ეროვნული ფორმის ძიების გზაზე, ვიდრე ძველი ქართული არქიტექტურის ამა თუ იმ ელემენტთა უშუალოდ გამოყენება შენობის ცალკეულ ნაწილებში (მაგ. მრგვალი კოშკის კარნიზი, რომელიც წვრილთაღებიანი მორთულობითაა შემკული).

კედლის თავისუფალი სიბრტყისა და ხვრელობთა ურთიერთშეფარდებაზეა აგებული განმანაწილებელ მოწყობილობათა შენობაც. ხვრელობთა საერთო

მასშტაბის გადმოსაცემად, ავტორები იქაც კი, სადაც სარკმელს სართულშუა გადახურვა კვეთს, მას ისე აერთიანებენ მთლიან ზოხაზულობაში, რომ შორიდან ერთიანი დიდი ლაქა იქმნება და სართულთა გამყოფი არქიტრავი თვალისათვის შეუმჩნეველი რჩება. მთავარი ფასადის ძველი ქართული არქიტექტურის მოტივებით ნაკარნახევი თაღოვანი ლოჯია ზედა სართულზე, ფართო შესასვლელთან ერთად, გამოყოფს ცენტრს. აქაც ფასადთა არქიტექტურაში მთავარია კარსარკმელთა შეფარდება კედლის სიბრტყესთან, მაგრამ თუ საგენერატორო შენობაში ეს სადადაა გადაწყვეტილი, აქ ხვრელობთა სხვადასხვა გაბარიტები, შეწეული თაღისმაგვარი მოჩარჩოება სარკმლის ზემოთ, ან ჰორიზონტული ხაზებით „შეტეხილი" პარაპეტები — ეკლექტიკურ სურათს ქმნიან. თანაც ისინი მხატვრულად ვერ უკავშირდებიან ლოჯიის თაღედის ან თაღოვანი შესასვლელის თემას (ტაბ. 83).

როგორც თავდაპირველი პროექტიდანაც ჩანს (აქ საგენერატორო სადგური და განმანაწილებელ მოწყობილობათა შენობა გაერთიანებულია) ავტორების მთავარი პრინციპი სადა არქიტექტურული სახის გამოვლენაა. ყოველგვარი ზედმეტი მორთულობის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ავტორები ითვალისწინებენ აღქმის წერტილთა დაშორებას ობიექტისაგან და ამის მიხედვით საზღვრავენ ფასადთა ცალკეულ ელემენტთა აბსოლუტურ მასშტაბს. როცა ფასადთან ახლოს მისასვლელი არ არის, ეფექტი მარტივად — კედლის სიბრტყესა და ხვრელობთა დიდ ლაქებს ეყრდნობა. ხოლო ახლო მისვლის შესაძლებლობისას, ადამიანთან შეფარდებული მასშტაბია მონახული (ლოჯია განმანაწილებელზე, გენერატორის გვერდის ფასადი და სხვ.) ფართო სარკმლები რომ უფრო აზიდული და ნატიფი პროპორციისა იყოს, მათ შეისრული თაღი ამთავრებს. ამით გაზრდილია სარკმლის სიმაღლე, იგი უკეთ ეფარდება კედლის თავისუფალ სიბრტყეს და თან შუქჩრდილის მომცემ თაღოვან არშიას ქმნის (თაღის ასე დამთავრების ხერხი ა. კალგინს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის შენობაშიც აქვს გამოყენებული). აზრი იმის შესახებ, რომ შეისრული თაღები მხოლოდ ეროვნული კოლორიტის მინიშებისთვის არის, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია, მაგრამ არა განმსაზღვრელი[90]. არქიტექტორებისათვის მთავარი იყო სარკმლის პროპორციული შეფარდება კედლის სიბრტყესთან, და რადგან ხვრელობთა სიგანე თავიდან იყო განსაზღვრული, თაღის ასეთი ფორმა უფრო აზიდულ პროპორციებს ქმნიდა (შეადარეთ თავდაპირველი პროექტი, სადაც იმის გამო, რომ კედლის შუბლი პატარაა, თაღები ოდნავაა შეისრული). ეროვნული ხასიათი არქიტექტურისა, სწორედ კედლის რაც შეიძლება მეტი თავი-

---

90 Н. Джапаридзе. Архитектура социалистического Тбилиси. Тб., 1963. გვ. 27

სუფალი სიბრტყის და მასთან შეფარდებული თაღოვანი ხვრელობებითაა მიღწეული. არქიტექტორთა წინაშე რომ ეროვნული ფორმის შექმნის ამოცანა დგას, ამაზე ძველი არქიტექტურიდან თითქმის პირდაპირ გადმოღებული ზოგი ელემენტიც მეტყველებს (ცილინდრული კოშკის კარნიზი, ლოჯია-თაღედი და სხვ.). ქართული ისტორიული არქიტექტურისათვის რომ ნახევარწრიული თაღი უფრო დამახასიათებელი იყო ვიდრე შეისრული, ეს ავტორთათვის, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო (მოიგონეთ არქ. ა. კალგინის ზემოთ ნახსენები საჯარო ბიბლიოთეკის არქიტექტურა; აგრეთვე ზედა ღია ლოჯია განმანაწილებელ მოწყობილობათა შენობის ფასადზე). სხვაა, რომ შეისრულმა თაღმა შემდგომში არქიტექტორთა დიდი მოწონება დაიმსახურა და მართლაც გადაიქცა ფასადთათვის „ქართული კოლორიტის“ მიმნიჭებელ უმთავრეს ელემენტად (ჩვენთვის უკვე ნაცნობი საცხოვრებელი სახლი ლენინის და მელიქიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე და სხვ.)[91].

შენობის ინტერიერი სადადაა გადაწყვეტილი. წაგრძელებული ფორმის საშანქანო დარბაზი ორ დონეზეა, რომელთაგან ზედაზე ერთმანეთის მოყოლებით ძირითადი აგრეგატებია განლაგებული. აქ ყველაფერი სამუშაო სახეს ატარებს, ამიტომ, ერთგვარი სივრცითი სივიწროვეც კი გამართლებულია და უტილიტარულ შინაარსს ემორჩილება (ტაბ. 82).


ფასადთა კედლის თავისუფალი სიბრტყე და თაღოვანი ხვრელობები აერთიანებს კომპლექსის სხვადასხვა დანიშნულების შენობებს. ამ მიმართულებით საცხოვრებელი სახლებიც არ წარმოადგენენ გამონაკლისს. ფასადთა სადა არქიტექტურაში მახვილს თაღოვანი ლოჯიები და სარკმელთა მოხაზულობა ქმნის. სწორკუთხა სარკმელებიც კი ზოგჯერ ერთიანი კედლის თაღითაა გაერთიანებული. თაღის პროპორციები, შენობის დამაგვირგვინებელი კბილანებიანი კარნიზი, სამკუთხა ფრონტონით დამთავრებული კედელი — ქართული არქიტექტურის ტრადიციებთანაა დაკავშირებული.

საცხოვრებელი სახლისათვის ძირითადად ორი ტიპია შემუშავებული: ადმინისტრაციისა და მუშა-მოსამსახურეთა კოტეჯები. პირველი ტიპის შენობები ორსართულიანია, შეიცავს ოთხ ოთახს ყველა დამხმარე სადგომით, სამეურნეო საკუთნაოთი და აივნებით. ოთახების ზონირება არ არის სრულყოფილი (სასადილო მოცილებულია სამზარეულოს, ხელოვნურად ჩამჯდარ კიბის უჯრედს გადამეტებული ფართობი აქვს და სხვ.), მგრამ აშკარად იგრძნობა ზრუნვა მოხერხებული, მყუდრო ბინის შესაქმნელად. მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები ერთსართულიანია, ორ და სამოთახიან ბინებისაგან

---

91 იქვე, გვ. 28.

შედგება, აქვს დამხმარე სადგომები და ღია ლოჯიები. ორივე შემთხვევაში ოთახთა პროპორციები სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, ხოლო შენო-




ზაჰესი. მუშათა და მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი.

ბათა კონფიგურაცია გარემომცველ ბუნებაში ცხოველხატულად ჩაწერის შესაძლებლობას იძლევა (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მაგ., ადმინისტრაციის სახლში იგი ეკონომიურობის საზიანოდაა).

ზაჰესის კომპლექსში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგუბარის ნაგებობებს. თავისი მარტივი და მკაცრი გეომეტრიული ფორმებით გამოირჩევა კაშხალი. ავტორებმა დიდი ტაქტი გამოიჩინეს ნაგებობათა აბსოლუტური ზომების განსაზღვრისას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მტკვრის ფართო ნაპირისა და მთის ბორცვზე გადმომჯდარი ჯვრის ტაძრის მომხიბვლელ პეიზაჟში. აქ თვალისათვის კომპლექსის ეს მონაკვეთი მთლიანადაა გადაშლილი და კარგად მოძებნილი მასშტაბით ერთიან ანსამბლს ქმნის. ძველი არქი-

ტექტურის შესანიშნავი ძეგლი ჰარმონიულად ჩაერთო საერთო კომპოზიციაში. იგი დამაგვირგვინებლის, საერთო ასიმეტრიული კომპოზიციის „ჩამკეტის“ როლში გამოდის. კაშხალის ნაგებობიდან მთისაკენ გარდამავალ თავისებურ აბზაცს ქმნის ვ. ი. ლენინის მონუმენტი; ფართო პოდიუმი; თანდათანობით გა-



ზაჰესი. მუშათა და მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი.

დასვლა კვარცხლბეკის კუბების საფეხუროვან მოცულობებზე და შემდეგ თვით სკულპტურულ ფიგურაზე. საფეხუროვანი კვარცხლბეკი ორგანულადაა შეხამებული მთიან გარემოსთან. მონუმენტი ვერტიკალურ აქცენტს სვამს ჰორიზონტულად გადაჭიმულ საერთო კომპოზიციაში, მაგრამ ისე, რომ მისი სიმაღლე (პოსტამენტთან ერთად 25 მ.) არ არის შეუფერებელი საერთო გარემოცვისათვის.

ვ. ი. ლენინის ძეგლი (მოქანდაკე ი. შადრი, არქიტექტორი ს. ჩერნიშოვი, 1927) — ღია ფერის გრანიტის კვარცხლბეკზე მდგომი ბრინჯაოს ფიგურა, ორ-

განულად ერწყმის ამ ინდუსტრიული პეიზაჟის სილუეტს. კვარცხლბეკისა და გადაშლილი პოდიუმის ღია ტონი გამოჰყოფს ძეგლს მწვანე გარემოცვაში.

ლენინი გამოსახულია ელექტროსადგურისაკენ ხელგაშვერილი. მისი მეტყველი ჟესტი, ტანის ოდნავი გადახრა, გახსნილი პიჯაკი დინამიკურობას ანიჭებს ქანდაკებას.

ძეგლის სკულპტურული ფორმები პლასტიკურობით ხასიათდება, დეტალების დამუშავება არ უშლის ხელს განზოგადებას — ფიგურის სილუეტი მკაფიო და მეტყველია. იგი შორიდანვე მკვეთრად გამოიყოფა და კარგად იკითხება. ეს ძეგლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საბჭოთა ქანდაკებაში გარემო პეიზაჟთან შეხამების ჰარმონიულობით, მონუმენტალობითა და მკაფიო გამომსახველობით[92].

ზაჰესის არქიტექტურულ კომპლექსში შედის ის შენობებიც, რომლებიც ელექტროსადგურს უფრო მოცილებულ ტერიტორიაზე ემსახურება. ესაა თბილისის ქვესადგურები, რომელთა პროექტები არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით ზაჰესის ერთიანი არქიტექტურული კომპლექსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (ავტორები ა. კალგინი და მ. მაჭავარიანი, 1924). არქიტექტორთა პრინციპები, მათი ხელწერა თავიდანვე იგრძნობა. ხოლო მისწრაფება ეროვნული არქიტექტურის ტრადიციებისადმი აქ გამოხატულია არქაული ელემენტებით, რაც ცოტა ბუტაფორიულსაც კი ხდის ამ ნაგებობათა არქიტექტურას. ასეთია, მაგ. თბილისის მთავარი ქვესადგურის პროექტი სვანური კოშკების გარემოცვაში მოქცეულ კარ-სარკმელთა მაღალი თაღებითა და სხვ. (ტაბ. 8₃).

ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის არქიტექტურა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს არა მარტო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაში ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელების, სამრეწველო დანიშნულების კომპლექსის აგების თვალსაზრისით, არამედ სამრეწველო არქიტექტურის მხატვრული ამოცანებისადმი დამორჩილებისა და ესთეტიკური გააზრების თვალსაზრისითაც. ამას ერთვის ისიც, რომ არქიტექტორები ცდილობენ საბჭოთა საქართველოს ეს უზარმაზარი მიღწევა მრეწველობის დარგში, განუყოფელი გახადონ საერთოდ ქართული კულტურისგან და ამისათვის ყველაზე შესაფერ ფორმად ეროვნული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ ელემენტებს მიიჩნევენ. მაგრამ ისინი ცდილობენ უმთავრესად არქიტექტურის საერთო ხასიათით გამოხატონ ეს მისწრაფება და არა დეკორისა და სამკაულე-

---

92 გ. მ ა ს ხ ა რ ა შ ვ ი ლ ი. ლენინის იერსახე ქართულ ქანდაკებაში. „საბჭოთა ხელოვნება", 1967, № 10, გვ. 12.

ბის ხმარებით (თუმცა უამისობაც არ არის). ამ მხრივ ზაჰესის არქიტექტურამ საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ ქართულ ხუროთმოძღვრებაზე. სელი შეუწყო არა მარტო ეროვნული არქიტექტურული ფორმებისადმი მისწრაფებას, არამედ მთელი რიგი ცალკეული ელემენტების გამოყენებას, რომელთაც შემდგომში ხშირად მიმართავენ შენობის „გაქართულებისათვის".

საქართველოს ელექტროფიკაციის საერთო გეგმა ითვალისწინებდა სხვადასხვა ელექტროსადგურების დაპროექტება-აშენებას. 1923 წელს დაიწყო ჰიდროსადგურის მშენებლობა აჭარის წყალზედაც[93], 1923 წელს შედგა აბაშის ჰიდროსადგურის პროექტი[94] (იგი 1928 წელს ამუშავდა), 1927 წ. 28 იანვარს საფუძველი ჩაეყარა „რიონჰესის" მშენებლობას[95].

ამ ჰიდროელექტროსადგურების ნაგებობათა არქიტექტურა „ეროვნული ტრადიციების" გამოყენებას ემყარება. ამ პროექტებში შეხვდებით ღია და კედლის დეკორაციული თაღედის გამოყენებას (ქუთაისის ელსადგური, არქ. მ. კალაშნიკოვი, 1925), შეისრული კედლისსვეტებით დანაწევრებულ ფასადებს (რიცეულის ელსადგური, არქ. მ. კალაშნიკოვი, 1925), კოშკებით ფლანკირებულ თაღოვან შესასვლელს (მექვენის ჰიდროსადგური, არქ. მ. კალაშნიკოვი, 1925) და სხვ.

ზაჰესის გადაწყვეტას გვაგონებს აბაშის ჰიდროსადგურის არქიტექტურა, რომლის პროექტი 1923 წელს შედგა (ჯერ ინჟ. ნ. ზვორიკინის, შემდეგ პ. მამრაძისა, რის შემდეგაც პროექტი დაამუშავა სპეციალისტთა ჯგუფმა. არქიტექტურული ნაწილი ვ. იაკუბოვიჩისა)[96]. საგენერატორო შენობა, მოთავსებულია ბუნებრივ კლდოვან ჭრილში და ქვაკირის მტკიცე საფუძველს ეყრდნობა. შენობის ფასადის არქიტექტურაში გამოყენებულია შეისრული სარკმლები, შეისრულია მინის ვერტიკალური ლენტიც კოშკურ ნაწილზე, ხოლო კარნიზი კბილანა დეკორითაა შემკული და სხვ.

ქართული არქიტექტურის ტრადიციული ფორმების გამოყენების ტენდენცია სულ უფრო მეტად იკიდებდა ფეხს და სრულიად სხვადასხვა დანიშნულების ნაწარმოებებს შეეხო.

1923 წელს არქ. ა. კალგინი და გ. ტერ-მიქელოვი ადგენენ საქართველოს პავილიონის პროექტს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის, ამავე

---

[93] „კომუნისტი", 1923, 13. 9, № 210.

[94] „კომუნისტი", 1928, 1.5, № 100.

[95] „კომუნისტი", 1927, 29.6, № 145; 30.6, № 146.

[96] „ტექნიკა და ცხოვრება", 1928, № 4—5, გვ. 1—11.

წელს ტარდება კონკურსი საქართველოს მუზეუმის ფასადთა პროექტის შესადგენად, არქ. მ. კალაშნიკოვი ადგენს თბილისის რკინიგზის მე-6 სკოლის პროექტს, ი. ნესტეროვი (1926 წ.) მე-40 სკოლის პროექტს რიყის ქუჩაზე[97] და სხვ., რომლებშიაც მოცემულია ცდა შენობისათვის ქართული არქიტექტურის „იერის“ მინიჭებისა. უფრო მოგვიანებით შენდება მთელი რიგი ნაგებობისა (ზოგზე უკვე იყო ლაპარაკი, ზოგიერთს ქვემოთ შევეხებით), რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან ქართული „არქიტექტურული სტილის“ — როგორც მაშინ ამბობდნენ, შექმნის სურვილით.

ვიდრე ამ მხრივ მიღწეულ შედეგებს შევეხებოდეთ, თავშივე უნდა აღინიშნოს, რომ ოციანი წლების დასაწყისში ეროვნული არქიტექტურის შექმნის პრობლემა ყველაზე მნიშვნელოვნადაა მიჩნეული. 1926 წელს თბილისის ქალაქის აღმასკომი ღებულობს დადგენილებას იმის შესახებ, რომ ყველა შენობა აგებულ იქნას ქართული სამოქალაქო ხუროთმოძღვრების სტილზე (sic![98]. ცოტა მოგვიანებით, აღნიშნავენ, რომ „საქართველოს ტექნიკურმა საზოგადოებამ ერთ-ერთ უკანასკნელ კრებაზე გადასწყვიტა შეუდგეს ქართული სტილის დამუშავების საკითხს“[99].

ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ყველა არქიტექტორი ამ მიმართულებით მუშაობდა. გარდა იმისა, რომ ოციანი წლების შუახანიდან და განსაკუთრებით მის ბოლო წლებში თანდათანობით მძლავრდება კონსტრუქტივისტული ტალღა, თავიდანვე დგებოდა პროექტები, რომლებიც ავტორთა რეტროსპექციულ, კონსერვატულ ტენდენციებზე მეტყველებდნენ. უფრო ხშირად ერთი და იგივე ავტორი ხან „ქართულ სტილს“ მიმართავდა, ხან კლასიკის ელემენტებს(მაგ. მ. კალაშნიკოვი, ნ. მადათოვი, დ. ჩისლიევი და სხვ.). ასეთ შემთხვევაში, ცხადია, არქიტექტორის რაიმე პრინციპებსა და შემოქმედებით მრწამსზე ლაპარაკი ძალზე ძნელია.

კლასიციზმის არქიტექტურული ფორმების გამოყენების დამახასიათებელი მაგალითია ა/კ რკინიგზის სამმართველოს შენობის გაფართოების პროექტი (ნ. მადათოვი, მ. კალაშნიკოვი, 1923). სადგომები გეგმაში შიდა ეზოს პრინციპზეა განაწილებული და მოხერხებულადაა განლაგებული. ძველ კორპუსზე მიდგმული შენობის ახალი ნაწილი ფასადს აერთიანებდა. იგი რუსული ამპი-

---

97 შესაძლოა ამ პროექტის ავტორი ი. ნესტეროვი არ იყოს, პროექტზე ხელმოწერაში აღნიშნულია, რომ მან დახაზა პროექტი, მაგრამ არც სხვა ავტორი არ არის მითითებული. თბილისი, საქალ. არქივი, ფ. 5, საქმე № 2241.

98 ქალაქისათვის ეროვნული ელფერის მისაცემად, „კომუნისტი“, 1926, 1.4. № 72.

99 „ტექნიკა და ცხოვრება“, 1928, № 1, გვ. 20.

რის არქიტექტურის ელემენტებით იყო შემკული (ქვედა სართულზე რუსტირება, დორიული დიდი ორდერით შედგენილი ფრონტონიანი პორტიკი და სხვ.) და ავტორის საკმაოდ მაღალ პროფესიულ დონეზე მეტყველებდა, თუმცა თავისთავად უკვე ათასგზის გადამუშავებული თემის ვარიაციას წარმოადგენდა. ასეთივეა არქ. მ. კალაშნიკოვის თეატრის პროექტი ხაშურისათვის. აქაც ტრადიციული ცენტრალური პორტიკი, ორდერული სისტემა, გამოვლენილი არქიტრავითა და კარნიზით. ასეთივეა რკინიგზელთა 8 ბინიანი სახლი ყოფ. ანდრიასქუჩაზე (ინჟ. რ. მარტიროსიანცი, 1925) და სხვ.

მაღალი პროფესიული დონით გამოირჩევა სანატორიუმი ლიბანში (არქ. მ. კალაშნიკოვი, 1927), რომლის ფასადის ორდერული საწყისები, კედლის სიბრტყის დამუშავება, ცალკეული ელემენტები მორთულობისა (სანდრიკები, ბალუსტრადა და სხვ.) აღებულია რუსული კლასიციზმის ნიმუშებიდან, მაგრამ ოსტატურადაა გამოყენებული.

„ზარია ვოსტოკას" რედაქციის შენობის თავდაპირველი პროექტი (არქ. დ. ჩისლიევი, 1926), გარდა იმისა, რომ თავის კომპოზიციით ხაზგასმული კოშკით გამოყოფილი ცენტრალური ნაწილით, სრულიად არ შეეფერებოდა ადგილს, თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით ეკლექტიზმის სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენდა. ხუთსართულიანი შენობა დანაწევრებულია სამი მკვეთრად გამოყოფილი ჰორიზონტული რეგისტრით. ქვედა ორ იარუსს კორინთული ორდერი აერთიანებს. მეორე სართულის ფრონტონებიანი სარკმლები, კედლის სვეტები, ფასადის შუაში მოდერნული გირლანდით შემკული კოშკი და სხვ. ელემენტები XIX საუკ. დასასრულსა და XX საუკ. დასაწყისში აგებულ კომერციულ სახლთა უგემოვნო არქიტექტურის ცუდი გადამღერება იყო.

დავუბრუნდეთ ისევ იმ ნაგებობებს, რომელთა არქიტექტურა ემყარებოდა ეროვნული ფორმის შექმნის გზას.

რა თქმა უნდა, პროექტები და შენობები აქაც გამოირჩეოდა ერთი-მეორისაგან — ავტორის ნიჭის, პრობლემის გაგების და გააზრების მიხედვით.

1927 წელს დაპროექტდა და 1928 წელს ექსპლოატაციაში შევიდა კინო-თეატრი პლეხანოვის სახ. კლუბის ტერიტორიაზე ლენინის რაიონში (ინჟ. გ. დანდუროვი). იმავე 1927 წელს შედგა ლენრაიონის სახალხო თეატრის პროექტი (ნ. მადათოვი, 1927, არ განხორციელებულა), რომელიც 2300 კაცისთვის იყო გათვალისწინებული. მაგრამ თუ უკანასკნელში ქართული ისტორიული არქიტექტურის ელემენტები აქა-იქ არის გამოყენებული და ამ მხრივ ფასადი რაიმე განსაკუთრებულ პრეტენზიას არ იჩემებს, კინოთეატრის შენობაზე ქართული ისტორიული არქიტექტურის ცალკეული მოტივები სრულიად გარეგნულად, გაუაზრებლადაა მოტანილი.

მთავარი ფასადი — სამკუთხა ფრონტონით დაგვირგვინებული ცენტრალური ნაწილი — შედგენილი თაღოვანი სამმალიანი დიდი ორდერით, მოქცეულია კოშკურ რიზალიტებში, რომლებიც კბილანებით დასერილი კარნიზით მთავრდება (ტაბ. 9_1). ორნამენტული კარნიზი ერტყმის როგორც ცენტრალურ, ისე გვერდის სამკუთხა ფრონტონიან ნაწილებს, ცენტრალური დიდი ორდერი მეორდება გვერდის ფასადზედაც. ფასადებზე გამოყენებულია ქართული დეკორაციული კედლის სვეტი, რომელიც სამ მალს აერთიანებს გვერდის ფასადის ორივე სართულზე. კაპიტელები, პარაპეტთა ორნამენტები, სარკმელთა თაღისებრი მოჩარჩოება — თითქოს ყველაფერი ქართული ტრადიციებითაა ნაკარნახევი, მაგრამ ხელოვნურადაა მიდგმული ფასადის ხვადასხვა ადგილას, არ გამომდინარეობს თვით ნაგებობის არქიტექტურული ლოგიკიდან, პროპორციებს ამახინჯებს, კიდევ უფრო უსვამს ხაზს ელემენტთა ურთიერთშეუფარდებლობას (მაგ. აივნის პარაპეტით „გადაჭრილი" დიდი ორდერი და მასიური ორნამენტული კაპიტელი, რომელიც ზედა სართულისათვის ძალიან დიდი ზომისაა და სხვ.).

ფასადის კომპოზიციაში ერთგვარი, თუმც ერთი შეხედვით შეუმჩნეველი მსგავსებაა რკინიგზის სამმართველოს შენობასა დ აღნიშნულ კინოს შორის. რკინიგზის სამმართველოს შენობის მთავარი ფასადის (იგი არქ. ნ. მადათოვის, ახალი პროექტით აშენდა 1930) სამკუთხა ფრონტონიანი ცენტრალური ნაწილიც ფლანკირებულია კოშკური რიზალიტებით, მაგრამ სრულიად სხვაგვარი კომპოზიციაა შედგენილი — იგი ჰორიზონტულადაა გადაშლილი (ტაბ. 9_2). კინოსაგან განსხვავებით, ხვრელობთა და კედლის სიბრტყის შეფარდება ისეთია, რომ ფასადი არავითარი სივიწროვის გრძნობას არ ქმნის და, ამიტომ, ორნამენტული მოჩარჩოებანი თუ კედლის დეკორატიული თაღები შემაწუხებელი არ არის. საერთო შთაბეჭდილებას ისიც უწყობს ხელს, რომ ფასადი მოპირკეთებულია ბუნებრივი ქვით (არტიკის ტუფით). ორნამენტული სამკაულიც, თუმც არქიტექტორი აქაც მზამზარეული ნიმუშებით სარგებლობდა, მაინც უფრო მიმზიდველია. საერთოდაც, ფასადის გადაწყვეტა მორთულობის მხრივ ემორჩილება გარკვეულ ლოგიკას (ქვედა სართულის დეკორაციული თაღედი — მეორე სართულის თაღოვანი სარკმელები — ზევით კი სწორკუთხოვანი მოჩარჩოება; რიზალიტებზე კედლის დეკორაციულ თაღთან შეფარდებული ზემო სართულის შეწყვილებული თაღოვანი სარკმელები; გვერდის ნაწილებზე თაღოვანი მოჩარჩოება ტერასასთან და სხვ., ქვედა სართულის თაღედი ავსებს კედლის თავისუფალ სიბრტყეს სართულებს შუა). ამდენად, ამ შენობის ფასადის გადაწყვეტა ინტერესს არ არის მოკლებული, რადგან დეკორის ხმარება ფასა-

დის კომპოზიციის საერთო აგებას ემორჩილება და მისგან გამომდინარეობს..

1927 წელს დაიწყო მშენებლობა ტუბერკულოზის ინსტიტუტის შენობისა (ამჟამად სამედიცინო ინსტიტუტი), მელიქიშვილის ქუჩაზე (არქ. კ. ლეონტიევი, 1930. ტაბ. 10₁). პროექტით შენობა კლინიკურ და სანიტარულ ნაწილად იყო დაყოფილი. კლინიკურ ნაწილში, რომელიც 50 საწოლისთვის იყო გათვლილი, ოთახების განაწილება სტაციონარული მკურნალობის ფუნქციას ემორჩილება. დიდი ყურადღება ექცევა ღია ტერასებს, ვერანდებს — მზის აბაზანებისათვის და სხვ. ასევეა გამოყოფილი ფართობი დღის განმავლობაში სუფთა ჰაერზე ყოფნისათვის სანიტარულ ნაწილშიც, რომელიც ფაქტიურად დღეღამის სანატორიუმს წარმოადგენდა. აქ. გარდა სამედიცინო-პროფილაქტიკური პროცედურებისათვის გამოყოფილი ოთახებისა, ღია ვერანდები, საზაფხულო სასადილო, სათამაშო მოედნები და სხვ. გამოხატავენ არქიტექტორის სწორ დამოკიდებულებას სამკურნალო დაწესებულების დაპროექტებისადმი[100]. შენობის გეგმა სადად არის გადაწყვეტილი, ოთახები, კაბინეტები, მისაღები თუ მოსაცდელი დარბაზები ვრცელი და ნათელია.

გარედან მთავარი ყურადღება მელიქიშვილის ქუჩის ფასადზეა მიპყრობილი: იგი ასიმეტრულია, მაგრამ ცენტრალური ნაწილის შეწევითა და გვერდის რიზალიტების თითქმის ერთნაირი გაბარიტებით — ქუჩაზე გამველელისათვის ეს შეუმჩნეველი ხდება, ავტორი, გარდა ნახსენები ხერხისა, სხვა მხრივ არც ცდილობს მის მიჩქმალვას. რიზალიტების კედლები სრულიად სხვადასხვაგვარადაა დამუშავებული, გარდა იმისა, რომ მათ სხვადასხვა სიმაღლე აქვთ.

ავტორი ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი თაღედის პროპორციული შეფარდებით, ორნამენტული კაპიტელებითა და სხვა დეტალებით ცდილობს ქართული იერი მიანიჭოს შენობის გარეგნობას (ამისათვის იგი ხვრელობებს ჩვენთვის უკვე ნაცნობი შეისრული თაღითაც ამთავრებს), ეს ხერხი გამოყენებულია როგორც ფასადზე, ისე ინტერიერშიც. მაგრამ ცალკეული ორნამენტული როზეტები დარბაზის პლაფონის კესონებში, თუ თაღედის გამოყენება ვერ ცვლის საერთო ეკლექტიკურ სახეს, რომელსაც ერთმანეთთან შეუთანხმებელი არქიტექტურული ფორმები, მეორე სართულის მოდერნული პარაპეტები, თუ ქვედა თაღედის თემასთან სრულიად შეუსაბამო შეტეხილი კარნიზი ქმნიან.

აქ, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს არა მარტო სტილისტიკური ერთია-

---

100 „ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს მოამბე“. 1927, № 4, გვ. 21.

ნობის დარღვევას ფასადის გადაწყვეტაში. მაგ. ბორჯომის ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტის არქიტექტურა (მ. ბუზოღლი, 1930) თითქოს მთლიანობით ხასიათდება, მაგრამ ქართული ისტორიული არქიტექტურის ცნობილი ფორმებისა და მოტივების გამოყენება იქაც ხელოვნურია, ნაძალადევი და. ამიტომაც, ორივე შემთხვევაში შედეგი ფაქტიურად ერთიდაიგივეა (ტაბ. 10_2).

არქიტექტორი მ. ბუზოღლი ქართული არქიტექტურის „შექმნის“ გზაზე კიდევ უფრო შორს წავიდა კინოსტუდიის შენობაში, რომლის პროექტი 1927 წელსაა შესრულებული (მშენებლობა 1930 წ. დამთავრდა. ტაბ. 11_1). გარდა იმ ელემენტებისა, რომელსაც არქიტექტორები იმ დროისათვის საკმაოდ ხშირად ხმარობენ ძველი ქართული არქიტექტურის რეპერტუარიდან, აქ გამოყენებულია სვანური კოშკის და ფეოდალური ციხე-სიმაგრის გალავნის კბილანებიანი პარაპეტი. პროექტისაგან განსხვავებით, განხორციელებულ შენობას ჩამოცილებული აქვს ძველებური გალავნის ეს მოტივი და ქვედა სართულის ყრუ კედელი (ტაბ. 11_2). ამ კორექტივმა დიდად როდი შეცვალა შენობის არქიტექტურა. ჯერ ერთი, მცდარი იყო თვით აზრი მარტივი დანიშნულების ნაგებობისათვის (შენობა წარმოადგენს კინო-ატელიეს, რომლის ვრცელ პავილიონს ეკვრის დამხმარე ოთახები), ასეთი პოვპეზური ფორმების მიცემისა. იმავე დროს, ისტორიული ნიმუშების მექანიკურმა გადმოღებამ შენობას ბუტაფორიული იერი მიანიჭა, გააყალბა მთელი მისი არქიტექტურა. სხვადასხვა არქიტექტურული თემა არაა გაერთიანებული ერთიან კომპოზიციაში. ღია ლოჯია-გალერეა, პირქუში კოშკი, ორსართულიანი ფასადის ვიწრო ხვრელობები, სადა მაღალსარკმლებიანი ცილინდრული ნაწილი და ჩელუსკინელთა ქუჩაზე გამოსული ფრონტონიანი ნაწილი — მასათა და მოცულობათა კონგლომერატს ქმნის და მათ მხატვრული თავმოყრა ესაჭიროებათ. ამას კიდევ უფრო უსვამს ხაზს დეკორაციულ ელემენტთა კონტრასტი ერთმანეთთან და კედლის საერთო სიბრტყესთან (მაგ. კოშკის დაგვირგვინება თაღოვანი ფორმებით და კედლის დამთავრება თითქოს უკარნიზოდ და სხვ.).

სხვაგვარად მიუდგა საკითხის გადაწყვეტას ხუროთმოძღვარი ნ. სეველოვი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფასადის რეკონსტრუქციის პროექტის შედგენის დროს.

მუზეუმის აშენება ჯერ კიდევ რეეოლუციამდის დაიწყო. 1913 წელს, არქ. მ. ნეპრინცევის პროექტის მიხედვით (მანამდე, 1910 წელს მიღებულ იქნა კ. ტატიშჩევის პროექტი, მაგრამ მშენებლობის საფუძვლად იგი არ აუღიათ). 1917 წლისათვის შენობის მოცულობა უკვე ამოყვანილი იყო. მთავარ ფასადზე კედლის სიბრტყიდან საგრძნობლად გამოწეული, ისრული თაღებით დამუშავებული სამი არე იყო ხაზგასმული. ცენტრალური პორტალი დაგვირგვი-

ნებული იყო მინარეტებით, რომლებიც შენობის არქიტექტურას ირანულ-აღმოსავლური ხასიათის დაღს ასვამდა[101].

შენობის დასამთავრებლად 1923 წელს გამოცხადდა ღია კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არქიტექტორებმა: ა. კალგინმა, მ. ნებრინცევმა, ნ. სევეროვმა და სხვ. 1927 წელს დამტკიცებულ იქნა ნ. სევეროვის პროექტი, რომლის მიხედვით დაიწყო კიდეც მშენებლობა. იგი დამთავრდა 1929 წელს. ვიდრე საბოლოო სახეს მიიღებდა. ამ პროექტმაც განიცადა გარკვეული ცვლილებანი. არსებული შენობის საფუძვლად აღებული კომპოზიციური დაყოფა ნ. სევეროვმა დატოვა, ჩამოაცილა ფასადს „მაირანიზებელი“ მოტივები და სრულიად ახლებური სახე მიანიჭა მას. მუზეუმის ფასადის არქიტექტურა თანდათან იხვეწებოდა პროექტირების სამ ძირითად ეტაპზე (1926—1928 წლები) (ტაბ. 12$_1$).

მუზეუმის გეგმა სრულიად მარტივია: ცენტრალური შესასვლელიდან ორივე მხარეს საგამოფენო დარბაზების წაგრძელებული სწორკუთხედებია. საზეიმო კიბეები, რომლებიც აგრძელებენ ქუჩის მხარეს გამოწეულ სადარბაზო კიბის სვლას, აკავშირებენ სართულებს. დარბაზთა განაპირას, სწორკუთხედის ბოლოებში, დამხმარე სადგომებია.

პირველი ორი სართულის დარბაზები გვერდის ორმხრივი სინათლით ნათდება, ხოლო მესამე სართული — ზედა განათებით (ამას ფასადისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს). ინტერიერთა დამუშავება სადაა. დარბაზთა სასიამოვნო პროპორცია და სიმაღლე, წყვილი სვეტების რიგი — თავისუფალ სივრცეს ქმნის. ბუნებრივია, დარბაზებში არავითარი სამკაული არ არის, სიბრტყეები გლუვია, ნეიტრალური. კიბის უჯრედი, რომელიც ფოიეს როლსაც ასრულებს, ამავე პრინციპს ემორჩილება. უფრო გვიან, მისი კედლები მოხატული იყო ე. ლანსერეს ფრესკებით ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე[102].

შენობის ფასადი სამსართულიანია და ჰორიზონტულადაა გადაჭიმული თითქმის ასი მეტრის ფრონტზე (ტაბ. 12$_2$). ფასადზე სარკმლებით დანაწევრებულია მხოლოდ ქვედა ორი სართული, ხოლო ზედა ყრუ კედელი — მსხვილი თაღებითაა შემკული. ფასადის ცენტრი და განაპირა ორი მხარე ვერტიკალურადაა დანაწევრებული. ფასადის ერთიანი სიბრტყე სამი მძლავრი მახვილითაა

---

101 მუზეუმის შენობის დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ იხ. Н. Джаши, Архитектура социалистического Тбилиси. გვ. 29-32.

102 შემორჩენილია მხოლოდ ერთი — „ბათუმის მუშათა გამოსვლა 1902 წელს“, მეორე კომპოზიცია ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისადმი იყო მიძღვნილი.

აღნიშნული: ცენტრალური პორტალითა და გვერდის რიზალიტებით, რომელთაგან უმთავრესი მნიშვნელობა ცენტრალურს ენიჭება. ეს ხაზგასმულია მისი გაბარიტებითა და უფრო ამაღლებული პარაპეტით. რიზალიტები, გარდა სიმაღლისა, გამოყოფილია ფასადზე თაღედით, სარკმელთა დამუშავებით და განსხვავებული კარნიზით. ცენტრალური პორტალი იმეორებს გვერდის რიზალიტების მხატვრულ კომპოზიციას, მაგრამ აქ ერთის ნაცვლად სამი თაღოვანი მალია.

ეს სამი აქცენტი დამუშავებულია თაღოვანი ნიშით, რომელიც მოჩარჩოებულია კედლის მძლავრი სვეტებით და ორნამენტიანი არშიით შემკული თაღით. ორნამენტული არშია ევლება ზედა სართულის ნახევარწრისებრ სარკმელს, რომელიც სვეტების კაპიტელთა დონეზე, მცირეთაღოვან კრონშტეინებზე შემდგარ თაროს ეყრდნობა.

ფასადის კომპოზიციის ჰორიზონტული დანაწევრება ხაზგასმულია ქვედა სართულის კედლის სხვაგვარი დამუშავებით, მის თავზე გავლებული კარნიზით, მეორე სართულის სარკმელთა თეთრი ქვის საპირეებით, ზედა, ყრუ კედლის თაღოვანი არშიით, დასასრულ სადა, მაგრამ გამოწეული კარნიზით. მას აწონასწორებს ცენტრალური პორტალისა და გვერდის რიზალიტების ვერტიკალური დანაწევრება, რომელშიც განსაკუთრებული როლი ენიჭება სვეტებს: მაშინ, როდესაც სხვა საფასადო სიბრტყეები შელესილია და რუხი-მოთეთრო ტონი აქვს, სვეტები ძეგამის თეთრი ქვითაა მოპირკეთებული და ფერითაც გამოიყოფა.

თაღედის თემა აერთიანებს ფასადის შემადგენელ ნაწილებს. მაგრამ არქიტექტორი მას სხვაგვარად წარმოგვიდგენს ძირითად კედელზე და რიზალიტებზე, სადაც ქართული ორნამენტით შემკული არშიებია გაკეთებული. ძირითად კედელზე თაღებს შუა მოთავსებული როზეტები ავსებენ ზედმეტ თავისუფალ არეს და თავიანთ დონეზე უხილავ ჰორიზონტულ რიგს ავლებენ. აღსანიშნავია, რომ პროექტის ერთ-ერთ ვარიანტში ეს თაღები სვეტებით გრძელდება ფასადის მთელ სიმაღლეზე — მოტივი ძველი ძეგლებიდან პირდაპირაა გადმოტანილი. ეს თაღედი ისევე, როგორც ცენტრალური პორტალის გვერდის თაღებში მოთავსებული აგრეთვე ძველი ძეგლებიდან გადმოღებული მარაოსებრი მორთულობა, განხორციელებულ შენობაში მოხსნილია.

ფასადთა ნაპირები უჭირავს სრულიად ყრუ ეკრანს, რომელიც კარნიზითა და კედლის შეეული შეერილითაა შემოფარგლული. ეს ნაწილები ქუჩის დინებას უერთებენ ფასადის არქიტექტურას და ოდნავ ანელებენ მისი კომპოზიციის ცენტრგამსრბოლ ძალებს.

არქიტექტორმა თაღედის თავისებური ორდერის შექმნით ახალი პროპორციული დანაწევრება შესძინა არა მარტო თვით შენობას, არამედ განაპირობა პროსპექტის შემდგომი განაშენიანების ოპტიმალური სიმაღლეც. შეიქმნა პროსპექტისათვის შესაფერი ნაგებობის მასშტაბი, რასაც მხოლოდ შენობის აბსოლუტური ზომები ვერაფრით ვერ განსაზღვრავდა. თაღედ-არქივოლტის თემით, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება რიზალიტთა თაღისებრ ნიშებს, შეიქმნა ქალაქის ძირითადი მაგისტრალის — რუსთაველის პროსპექტის განმსაზღვრელი არქიტექტურული მასშტაბი.

ხუროთმოძღვარი ნ. სეეროვი, ქართული ისტორიული არქიტექტურის შესანიშნავი მცოდნე, წლების მანძილზე მუშაობდა ძეგლების აზომვა-შესწავლაზე. ბუნებრივია, მუზეუმის არქიტექტურული სახის შექმნისას, მუზეუმისა, რომელიც ხალხის ეროვნული კულტურის საცავია, იგი ქართული ხუროთმოძღვრების პრინციპებს დაეყრდნო. მაგრამ მან კი არ გაიმეორა რაიმე ცნობილი მოტივები (თუ არ ჩავთვლით თაღედის არშიის ორნამენტულ სამკაულს, რომელსაც ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება), არამედ საფუძვლად აიღო ქართული ხუროთმოძღვრების საერთო დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა კედლის სიბრტყის მნიშვნელობა, პროპორციული შეფარდება ცალკეულ ელემენტებს შორის, თაღოვანი დეკორაციული მოტივები, თავისებური კარნიზი და იმპოსტები „ორდერის“ შედგენის დროს და სხვ. მორთულობისადმი მისწრაფება მან არქიტექტურულ ლოგიკას დაუმორჩილა, დეკორი მთლიან ხუროთმოძღვრულ სახეს დაუქვემდებარა. „საქართველოს მუზეუმის ფასადის შექმნისას ხუროთმოძღვარი არ ემყარებოდა ცალკეულ, საერთო იდეით გაუერთიანებელ, „ქართულ“ მოტივებს, რომელთა დანიშნულებაც უნდა ყოფილიყო შენობისათვის მაინცდამაინც „ქართული“ სახის მინიჭება — ყოველგვარი მიზანშეწონილობის გარეშე. ახალი და მნიშვნელოვანი აქ ისაა, რომ არქიტექტორი ხელმძღვანელობდა, უპირველეს ყოვლისა, შენობის იდეური მხარის, მისი შინაარსის შესაბამისი ხუროთმოძღვრული სახის შექმნის აზრით. მნახველი თავიდანვე აღიქვამს შენობის მხატვრულ-იდეურ მხარეს: უპირველეს ყოვლისა, ეს — მუზეუმია, ერის დიდ კულტურულ განძთა საცავი. ეს სახე იმთავითვე ნათელი და დამარწმუნებელია. ამ ძირითად სახელმძღვანელო აზრს, ამ ხუროთმოძღვრული სახის შექმნას, ემსახურება და ექვემდებარება ფასადის ფორმალური ელემენტები — საერთო კომპოზიციაც, ცალკეული ნაწილებიც. სწორედ ამიტომ, ყველა ეს ნაწილი — იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათ ფუნქციურ-კონსტრუქციული დანიშნულება არა აქვთ — გარკვევით მიზანშეწონილია. სწორედ ამიტომვე, აქ სავსებით გამართლებულია ქართული ხუროთმოძღვრული მოტივები, რომლებიც ყალბი ბუტაფორიის.

შთაბეჭდილებას კი არ ქმნიან, არამედ სავსებით გარკვეულ, ეროვნულ სპეციფიკურობას ანიჭებენ შენობას“[103].

ამრიგად, საქართველოს მუზეუმის ფასადის რეკონსტრუქცია გაცდა ერთი ნაგებობის მხატვრული სახის მოწესრიგება-მოგვარების ფარგლებს. ეს ეროვნული არქიტექტურის ძიების გზაზე პრინციპულად სწორი პოზიციის ნიმუში იყო. მართალია, შენობის არქიტექტურას ნაკლიც აქვს: მკაცრი სიმეტრიული კომპოზიცია ასე ხაზგასმული ცენტრითა და სადარბაზო კიბეებით, შესაძლოა უფრო მოედნის, ან, ყოველ შემთხვევაში, ქუჩის უფრო თავისუფალ სივრცეს მოითხოვდეს, ვიდრე რუსთაველის პროსპექტის ეს მონაკვეთია (როგორც აღინიშნა, ეს საფუძველი კომპოზიციისა — ძველი პროექტის მიხედვით არქიტექტორს დახვდა სამუშაოს დაწყებამდე), მთავარი ფასადი ნაკლებადაა დაკავშირებული გვერდის ფასადებთან და შენობაზე ხელოვნურად მიდგმულის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ ეს ნაკლოვანებანი ვერ ჩრდილავენ შენობის დადებით მხარეებს, რომელთაც იმ დროისათვის პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდათ.

როგორც უკვე აღინიშნა, 20-იანი წლების შუახანიდან მოყოლებული ქართულ არქიტექტურაში თანდათანობით ფეხს იკიდებს კონსტრუქტივიზმი. ბუნებრივია, იგი საწარმოო თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა არქიტექტურასაც შეეხო. ზოგიერთ შემთხვევაში იყო ცდა ორი მიმართულების თითქოსდა „მორიგებისა“, ე. ი. როცა კონსტრუქტივიზმის საერთო პრინციპებზე დამყარებულ არქიტექტურას ცდილობენ ეროვნული თავისებურებებით წარმოედგინათ. თითქოსდა ეს იყო ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარების გზა[104].

ამ მხრივ დამახასიათებელია „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა და მის დაპროექტებაზე გამოცხადებული კონკურსი 1926 წ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამ შენობის დაპროექტების ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც აშენებული ნაგებობის ავტორს არქ. დ. ჩისლიევს ეკუთვნოდა და ეკლექტიკური არქიტექტურის აშკარა ნიმუშს წარმოადგენდა (იხ. ზევით). დამახასიათებელია, რომ ასაშენებლად მიღებულ იქნა მეორე ვარიანტი, რომელიც კონსტრუქტივისტული მიმართულების პრინციპზე იყო აგებული. სხვათა შორის, კონკურსში მონაწილე სხვა არქიტექტორებიც ასეთ გზას ადგნენ. მაგ. ნ. სეეროვის პროექ-

---

[103] ვ. ბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. „ქართული ხელოვნება“, 4, 1955, გვ. 98.

[104] Н. Джапаридзе. იქვე. გვ. 38.

ტით (ა. კალგინის მონაწილეობით) შენობა სადა სიბრტყეზე მოთავსებულ კარ-სარკმელთა ბადეს ქმნის. ავტორის სურვილი, რომ ხვრელობთა გადაწყვეტა სადგომთა ფუნქციურ დანიშნულებას დაუმორჩილოს, ძალზე სქემატურ და „თავისუფალ" ფასადებს ქმნის. და თუ ეს მთავარ ფასადზე თითქმის შეუმჩნეველია, რადგან მხოლოდ ზედა სართულის შეწყვილებული სარკმელებია განსხვავებული, გვერდის ფასადზე ხვრელობთა შეუკავშირებელი თანაფარდობაა, რაც არღვევს ფასადის მთლიანობას, როგორც საერთო კომპოზიციის, ისე მასშტაბის თვალსაზრისით.

„ზარია ვოსტოკას" რედაქციის შენობა (მშენებლობა 1929 წ. დამთავრდა) ასიმეტრიულადაა გადაწყვეტილი (ტაბ. 14₁). კუთხის მოცულობა უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენი ნაწილი. იგი გამოირჩევა ზედა სართულის ხვრელობთა განსხვავებული, შეისრული მოხაზულობითაც. ეს ასიმეტრიულობა შენობის ფუნქციურ დანიშნულებიდან გამომდინარეობს. რედაქციის შენობა, ერთი მხრივ, სამუშაო კაბინეტებისაგან და, მეორე მხრივ, სტამბის საწარმოო საამქროებისა და ოთახებისაგან შედგება. სწორედ ამ დიფერენციაციას შეესაბამება ფასადთა ორ ნაწილად გაყოფა. ფასადის ძირითადი მოცულობა ხაზგასმულია ხვრელობთა აშკარად გამოვლენილი ჰორიზონტულობით, ხოლო მაღალი კუბური მოცულობა ხვრელობთა სამი ვერტიკალური ზოლითაა ხაზგასმული: ორი მოცულობით შედგენილი ფასადის კომპოზიცია ვერტიკალური თუ ჰორიზონტული დანაწევრების კონტრასტული შეფარდებითაა გამოვლენილი. როცა დანაწევრებათა ურთიერთშეფარდებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს კედლის ყრუ ზოლი, ჰორიზონტული მოცულობის შუაში, რომელიც ფასადის ამ მონაკვეთს ორ ნაწილად ჰყოფს და ზედმეტ მახვილს სვამს სრულიად შეუფერებელ ადგილას. ხვრელობთა ლენტი განუწყვეტელი რომ ყოფილიყო, მეტად იქნებოდა გამოვლენილი ფასადის დინამიკურობა, რაც შენობის კომპოზიციური გადაწყვეტის ერთ-ერთ საწყისს წარმოადგენს.

კუთხის მოცულობის დანაწევრება ხვრელობთა ვერტიკალური სამი ზოლით ორივე გვერდზე, ამაღლებულ მასშტაბურობას ანიჭებს შენობას და კარგად უფარდებს მას რუსთაველის პროსპექტის საერთო განაშენიანებას.

არქიტექტორმა სწორად განსაზღვრა ქუჩის განაშენიანების სიმაღლე, რომელსაც დაბალი მოცულობის სიმაღლე პასუხობს. კუთხის ამაღლებული ნაწილი კი შენობის შესასვლელ ნაწილზე სვამს მახვილს, მაგრამ ისე, რომ იგი თავისი აბსოლუტური სიმაღლით არ არის „ამოვარდნილი" არც შენობის მოცულობათა შეფარდებიდან, არც პროსპექტის საერთო განაშენიანებიდან. სარკმელთა შეისრული მოხაზულობა და კედლის ყრუ სიბრტყე, რომლითაც შენო-

ბა მთავრდება, გარკვეულ თავისებურებას ანიჭებს ფასადის არქიტექტურას და იგი, მიუხედავად ცნობილი სქემის გამოყენებისა, ინდივიდუალობას იძენს.

რაც შეიძლება მეტი ფართობის მინით შემოსვის სურვილმა კონსტრუქციული შესაძლებლობანი შენობაში ცალმხრივად გამოავლინა. ფასადებზე გადაჭიმულ კარ-სარკმელთა შემინული ფართობები, რომელთაც სადგომის თითქმის მთელი საფასადო კედლის სიბრტყე უჭირავთ, ოთახში არა მარტო ავეჯის განლაგებისას იწვევს უხერხულობას, არამედ ზაფხულის ცხელ დღეებში დილის საათებიდანვე ახურებს ოთახებს და ძალზე აფერხებს იქ მუშაობას. გარდა ამისა, იატაკიდანვე დაწყებული გამჭვირვალე მინის დიდი ზედაპირი ფსიქოლოგიურად უსიამოვნოდ მოქმედებს ადამიანზე.

მიუხედავად ამისა, „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა კარგად მოძებნილი მასშტაბით, მასათა და ხვრელობთა ურთიერთშეფარდებით „ჩაიწერა“ ქუჩის დინებაში, რაც არ ეთქმის „კავშირგაბმულობის სახლის“ შესახებ. (იგი იმავე რუსთაველის პროსპექტზე აშენდა 1932 წელს არქ. კ. სოლომონოვი, ტაბ. 14₂). ეს ნაგებობა თავისი „მოუქნელი“ ფასადით (ამ ადგილას ქუჩის ხაზი რბილად, შეუმჩნეველად უხვევს და აუცილებლად იყო საჭირო ამ მომენტის გათვალისწინება, ისე, როგორც ეს ქუჩის მეორე მხარეზე ათიან წლებში აგებულ სასტუმრო „თბილისის“ ფასადზე იყო), ნაირსიმაღლის მოცულობათა შეუთანხმებლობით თავიდანვე გამოეთიშა ქუჩის საერთო სახეს. შენობის სქემატური, მშრალი არქიტექტურა შეუფერებელი აღმოჩნდა ამ მონაკვეთისთვის. აქ გარკვეულ როლს თამაშობდა ყოველგვარ პლასტიკას მოკლებული საერთო სიბრტყობრიობა, რომელიც არ იფარებოდა არც სხვადასხვა მოცულობებით და არც სარკმელთა თუ კედლის სიბრტყის ჰორიზონტული ზოლებით. ვერტიკალური მოცულობის საკმაოდ დიდი სიმაღლე კიდევ უფრო ხაზგასმული იყო მინის მთლიანი ზოლით, რომელიც არღვევდა ქუჩის საერთო მასშტაბურობას. გარდა იმისა, რომ ამ შენობის არქიტექტურა დაბალ პროფესიულ დონეზე იდგა, ეს იყო ნიმუში კონსტრუქტივიზმის შემოქმედებითი ხერხების ცალმხრივი, მექანიკური გამოყენებისა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მაშინვე დაისვა ამ შენობის რეკონსტრუქციის საკითხი.

ფორმათა დინამიკურ ურთიერთდამოკიდებულებაზეა აგებული თბილისის პურის ქარხნის არქიტექტურა (1928—29. არქ. ი. ნესტეროვი). პროექტში (ტაბ. 13₁) გეომეტრიულ მასათა შეფარდება ფასადთა სიბრტყეს სხვადასხვა პლანებით წარმოადგენს, რაც მოცულობათა სიმაღლეთა სხვაობასთან ერთად,

უმთავრესი კომპოზიციური ხერხია შენობის საერთო არქიტექტურაში. ვერტიკალური და ჰორიზონტული აქცენტების მიუხედავად, ფასადები მთლიანობაშია წარმოდგენილი. აგებულ შენობაში (ტაბ. 13ა) კი მოცულობები დაქუცმაცებულია. სართულიანობის ცვლით გამოწვეული სხვადასხვა სიმაღლის მოცულობები და მათი დამუშავება ხელს უშლის ერთიანი არქიტექტურული სახის შექმნას. არქიტექტორმა კონსტრუქტივისტული არქიტექტურის ფორმალური მონაპოვრები მექანიკურად გადმოიტანა.

ამ შენობის არქიტექტორისათვის უმთავრესი იყო მასათა დინამიკური დამოკიდებულება, ამიტომ იგი არ ერიდება შენობის ზედა ხაზისა თუ ფასადის სიბრტყეთა შეტეხვას[105]. კოშკური ვერტიკალის გათანაბრებისათვის გვერდის მოცულობის მეორე სართულზე ასიმეტრიული აივანია, რომლის ფართო შემინული კარებიც ხაზს უსვამს კუთხეს. გვერდის ფასადზე კიბის უჯრედი საფეხუროვანი ვიწრო სარკმლებითაა გამოვლენილი, რაც თავისი ხასიათით სრულიად არ შეეფერება სარკმელთა ფართო შემინულ ზოლებს.

განსხვავებული მიდგომა ჩანს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელის პროექტში ბაქოსათვის (არქ. ა. კალგინი, გ. ტერ-მიქელოვი და გ. ლეჟავა, 1927. ტაბ. 17ა), რომელიც საინტერესოა ნაგებობათა მთელი კომპლექსის გადაწყვეტის თვალსაზრისითაც. ფართო შიდა ეზოს მთელ პერიმეტრზე ერტყმის საძილე კორპუსები, გაერთიანებული გადასასელელის დაბალი მოცულობით, რომელიც აკავშირებს ამ კორპუსებს პირველადი მომსახურების შენობებთან. კორპუსთა შორის შიდა ეზოები დასვენების ინტიმურ ადგილებს ქმნიან, მთავარი ეზო კი ღია ვესტიბიულის ფუნქციას ასრულებს. დაგეგმარების საერთო ხასიათი ფუნქციურად კარგად ანაწილებს კომპლექსის შემადგენელ ნაწილებს. მაგრამ თვით საძილე კორპუსთა გეგმები განყენებული ექსპერიმენტის ფარგლებს ვერ გასცდა: ეს კორპუსები შედგება შენობის გრძივი ფასადის გარე კედლის ღასწვრივ მოთავსებული დერეფნებისაგან, საიდანაც შესასვლელებია ერთსაწოლიან მცირე ოთახებში, რომლებიც ჯიხურებს უფრო გვანან. მეორადი შუქი და ბუნებრივი განიავების ნაკლებობა, რა თქმა უნდა, მეტად უარყოფითად იმოქმედებდა ამ ოთახებზე.

შენობათა არქიტექტურა სადაა. აქ არავითარი ზედმეტი ელემენტი არაა ნახმარი. არქიტექტორები უმთავრესად სწორედ ფასადთა გადაწყვეტით არიან დაინტერესებულნი, რაც იქიდან ჩანს, რომ ტერასების, კიბის უჯრედების

---

105 შემდგომში შენობას ერთი სართული დააშენეს, რამაც მისი თავდაპირველი სახე, ბუნებრივია, შეცვალა.

მდებარეობა გეგმის სწორ გადაწყვეტას კი არ ეშორჩილება, არამედ ფასადთა კომპოზიციას.

ამ პერიოდის ნამუშევართა შორის გამოირჩევა ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს შენობა (ტაბ. 15—16), რომელშიც ამჟამად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტია მოთავსებული (1930 წ.). შენობის პროექტი მიღებულია კონკურსის შედეგად, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ არქიტექტორები ნიკოლოზ სეევეროვი, მ. კალაშნიკოვი და სტანისლავ ლენტოვსკი. კონკურსის შემდეგ ჟიურის წინადადებით ეს ავტორები უნდა გაერთიანებულიყვნენ და წარმოედგინათ საერთო პროექტი, მაგრამ იგი საბოლოოდ მხოლოდ ნ. სეევეროვმა შეადგინა. შემდგომში ამ პროექტის, განსაკუთრებით კი ინტერიერთა დამუშავებაში, თავისი წვლილი შეიტანა არქიტექტორმა მ. კალაშნიკოვმა, რომელიც ერთდროულად ხელმძღვანელობდა მშენებლობასაც, როგორც მისი სამუშაოთა მწარმოებელი. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შენობა მდებარეობს თბილისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, რუსთაველის პროსპექტის ზევით, ჩიტაძისა და ძერჟინსკის ქუჩების გადაკვეთაზე. ეს მონაკვეთი, გაშენებული მაღალი დანიშნულების საადმინისტრაციო ნაგებობებით, ხალხმრავალია.

საქართველოს კპ ცკ-ის შენობა, რომელსაც ქუჩების გადაკვეთაზე კუთხე უკავია, ჩიტაძის ქუჩაზე ფასადის ერთ სიბრტყეშია მოქცეული და მომრგვალებით უხვევს ზედა ქუჩისკენ. შენობის უკანა, სამხრეთ-დასავლეთი ფასადი გადის დიდ ბაღში, რომლის ხშირი გამწვანება ქუჩიდან თითქმის სრულიად ფარავს ფასადს.

მიუხედავად იმისა, რომ შენობა არც თუ ისე დიდია, მისი კონფიგურაცია გეგმაში საკმაოდ რთულია. ეს ნაკარნახევია, ერთი მხრივ, თვით გეგმის გადაწყვეტით, მეორე მხრივ კონკრეტული ტერიტორიით, სადაც შენობა უნდა აეგოთ. ეს ადგილი პარკს ეჭირა და არქიტექტორი შენობის დაგეგმარებისას ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლები მწვანე ნარგავი ემსხვერპლა, თანაც ისე ჩაედგა შენობა, რომ იგი უკეთ დაკავშირებოდა ამ პარკს. ეს მით უმეტეს აუცილებელი იყო, რომ პარკში სამხრეთის ფასადი გადის.


ამიტომ ბუნებრივია, რომ მთავარ ფასადს ერთი უწყვეტი ფრონტი აქვს, ხოლო პარკისაკენ გამავალს — მცირე კურდონერებით შეტეხილი ფრონტი.

პარკში, მრავალწლიან ხეებს შორის, მოწყობილია აუზი, მწვანით დაბურული პარკი შესანიშნავი დასასვენებელი ადგილია.

არქიტექტორმა თავის მთავარ ამოცანად შენობის შინაარსიდან გამომდინარე ფუნქციურ-უტილიტარული საკითხი დააყენა. უნდა შექმნილიყო სამუ-

შაო ოთახთა და კაბინეტთა ისეთი კომპლექსი, რომელიც რაც შეიძლება მეტად შეუწყობდა ხელს ამ შენობაში ჩასატარებელ სპეციფიკურ მუშაობას.

შენობის გეგმა გადაწყვეტილია სრულიად მარტივად. იგი შემსვლელისათვის თავიდანვე ადვილად აღსაქმელია. სამუშაო ოთახები მოხერხებულად უკავშირდება როგორც ერთმანეთს, ისე დამხმარე სადგომებსაც.



საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შენობა. გეგმა.

გეგმის საფუძვლად შერჩეულია დერეფნული სისტემა, ოთახების ცალმხრივი განლაგებით.

შენობის გეგმის ორგანიზაცია ემყარება ოთახების მკაფიო დაჯგუფებას „ბლოკებად", დანიშნულებისდა მიხედვით. ეს ძირითადი ფუნქციური ჯგუფებია: სამუშაო ოთახები, ხელმძღვანელ მუშაკთა კაბინეტთა ჯგუფები და სხდომათა დარბაზები. მთელ გეგმაში რაციონალური განლაგებისათვის და მუშაობის გაადვილებისათვის, განსაკუთრებით კი მოძრაობის გრაფიკის უკეთესად შედგენისათვის ამ ცალკეულ „ბლოკებს" ცალ-ცალკე შესასვლელები აქვთ გამოყოფილი. ჩიტაძის ქუჩიდან მოწყობილია ორი შესასვლელი: ერთი — სხდომათა დარბაზისა და კაბინეტებისა (ეს პარადული შესასვლელია), ხოლო მეორე, ქვედა — სამუშაო ოთახთა ჯგუფისათვის. მესამე შესასვლელი — ძერჟინსკის ქუჩიდანაა, მას წმინდა სამსახურებრივი დანიშნულება აქვს.

ამრიგად, კიბეების განლაგება უკვე ქმნის შენობის შიდა ორგანიზაციის

მტკიცე საფუძველს. სამი შესასვლელი, რომელთაც კიბის უჯრედები მიჰყვება, მკაფიოდ ანაწილებს შენობის გეგმის უმთავრეს ჯგუფებს.

მთავარ შესასვლელთან ერცელი ვესტიბიულია (ტაბ. 16_2), საიდანაც სადარბაზო კიბეებს სხდომათა დარბაზებისა და კაბინეტებისაკენ მივყავართ. ეს კიბეები, ძირითადად, მომსახურების მხოლოდ ამ სადგომებს უწევს.

ოთახებს შორის კავშირი კარგადაა დამყარებული. მოხერხებულადაა გადაწყვეტილი მთავარი კაბინეტებისა და სხდომათა დარბაზის დაკავშირება, დამხმარე სადგომებისა და, განსაკუთრებით, ლოჯიებისა და ტერასების გამოყენება.

შესასვლელიდანვე, რომელიც ვესტიბიულის თითქმის მთელი კედლის სიგანეზე გაშლილი მინის განივი პორტალითაა წარმოდგენილი, ზედ სართულების ოთახებამდე მომსვლელს თან სდევს თავისუფალი სივრცის გრძნობა. ფართო სარკმელებიდან შემოსული მზის უხვი შუქი განსაკუთრებულ ცხოველხატულობას აძლევს ვესტიბიულისა და კიბის უჯრედის ერთიან სივრცეს (ტაბ. 16_1). აქ ავტორს კიბის პარაპეტებიც მსუბუქი, ჰაეროვანი გაუკეთებია (წინაღმდეგ ცოკოლის სართულზე ჩასასვლელი მარშისა, სადაც ყრუ მოაჯირია).

ვესტიბიულის, ასე ვთქვათ, სივრცითს თავისუფლებას ხელს უწყობს მისი ფერადოვანი გადაწყვეტაც, რომელიც ღია, ნათელ ტონებს ემყარება. თეთრი მარმარილოს კიბეები და თეთრი და შავი კვადრიებისაგან შედგენილი იატაკი ქმნის ღია, ნათელ კოლორიტს, კიბის უჯრედის კედლების მოთეთრო ფონი და ხის კარების მოკრიალებული ზედაპირი კი მას საზეიმო ელერადობას მატებს.

ზედა სართულზე კედლის სიბრტყე გაცოცხლებულია თაბაშირის ბარელიეფით (მოქანდაკე ნ. კანდელაკი. ტაბ. 16_1), რომელიც აგრეთვე თეთრია და კარგად ეხამება ამ სივრცის საერთო ფერადოვან გამას.

პლასტიკური მახვილი კედლის სიბრტყეზე, ინტერიერის სადად, მარტივად, მაგრამ საზეიმო სახით გადაწყვეტის ერთიან აზრს ემორჩილება. მოქანდაკემ თითქოს რაღაც ფრიზის ფრაგმენტი მოგვცა. რელიეფთა დამუშავების სიღრმე, ფიგურების შეფარდება რელიეფის გაბარიტებთან და თვით რელიეფის მასშტაბი კარგად ეფარდება ინტერიერის საერთო არქიტექტურას.

სამუშაო ოთახები ანფილადური სისტემით ლაგდება. მათი პროპორციები შეთანხმებულია ცალკეულ ოთახთა დანიშნულებასთან და ფართობიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სამუშაოსათვისაა და რამდენი კაცისათვისაა ნავარაუდევი. ოთახების გვერდების ურთიერთშეფარდება კარგ პირობებს ქმნის როგორც ფართობის ათვისებისათვის, ისე ავეჯის განლაგებისათვის.

დერეფნებშიაც და ოთახებშიაც, საერთო განწყობილების ტონუსს ქმნის სინათლის შუქი, რომელიც უხვად იფრქვევა განიერი სარკმლებიდან.

ინტერიერები მთელ შენობაში სადაა. მათ „საქმიან“ სახეს მხოლოდ მცირე აქცენტები აცოცხლებს. ასეთია როგორც ხსენებული რელიეფი კიბის უჯრედში. ისე სხდომათა დარბაზში მხატვრების ე. ლანსერესა და კ. ზდანევიჩის მიერ მოხატული ცალკეული ადგილები.

შენობაში ორი სხდომათა დარბაზია, ერთმანეთის თავზე მოთავსებული. ორივე დამსწრეთა მცირე რიცხვისათვისაა განსაზღვრული.

დარბაზის არქიტექტურა ასევე სადაა. მთავარი ყურადღება კედლის დამუშავებას ეკცევა.

დარბაზში მახვილებს სვამს, ერთი მხრივ, გასანათებელი არმატურა, მეორე მხრივ — კარების თავზე მოთავსებული კედლის მხატვრობა (ინდუსტრიულსა და სოფლის მეურნეობის თემებზე).

მთავარი მახვილია ლენინის სკულპტურული პორტრეტი ცენტრალურ კედელზე. კერამიკული ფილების წითელ ფონზე. ფილები მოჩარჩოებული იყო კედლის მოხატულობით. ამრიგად, შექმნილი იყო მთლიანი პანო, შედგენილი კერამიკული, სკულპტურული და ფერწერული ელემენტებისაგან[106].

არქიტექტორი ინტერიერის დამუშავებაში დიდ ყურადღებას უთმობს ყოველ დეტალს. რომელიც ყოველთვის ემორჩილება საერთო არქიტექტურულ ჩანაფიქრს.

ამრიგად, არქიტექტორმა ინტერიერის სისადავე შენობის დანიშნულებას შეუფარდა, მარტივი ხერხებით შექმნა მისი გამომსახველობა. ინტერიერის საერთო დამუშავებაში იგრძნობა არქიტექტურულ ფორმათა სიბრტყობრიობა და ფორმათა მკვეთრი, მოხაზული კონტური. ასეა გადაწყვეტილი როგორც მთლიანად კედლის სიბრტყე, ისე ცალკეული დეტალებიც.

სწორედ ამით შეძლო ავტორმა ინტერიერის არქიტექტურა ერთიანი მხატვრული ენით აემეტყველებინა. რომელ ოთახშიც არ უნდა შეხვიდეთ, ვესტიბიულიდანვე გრძნობთ ერთიან არქიტექტურულ-მხატვრულ მიდგომას, რომელსაც არქიტექტორი არასდროს არ ღალატობს. შენობაში მყოფს ყოველთვის თან სდევს ნათელი განწყობილება შექმნილი სადა და მკაცრი, ზედმეტ სამკაულს მოკლებული არქიტექტურისაგან.

სადა და მარტივია ფასადებიც, რომლებიც ქუჩის განაშენიანებაში არავითარ ზედმეტ მნიშვნელობას არ იჩემებს.

ფასადთაგან ყველას თანაბარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ყურადღე-

---

106 ეს პანო არ შემორჩენილა, და ამიტომ მის მხატვრულ ღირსებაზე ლაპარაკი დღეისათვის ძნელია. ფოტოს მიხედვით კი იგი ზედმეტი სქემატიზმისა და მოდერნიზაციის სახეს ატარებს.

ბა მინიჭებული აქვს ორს: უპირველესად — ჩიტაძის ქუჩაზე გამომავალს, ხოლო შემდეგ — ძერჟინსკის ქუჩის ფასადს.

ცალკეულ ფასადთა კომპოზიცია სხვადასხვაგვარად წყდება, რადგანაც აქ არცერთი ფასადი არ იმეორებს მეორეს. სხვადასხვაგვარად აგებულ ფასადთა კომპოზიციას შენობის მასათა და კარ-სარკმელთა განლაგება და ურთიერთფარდობა განსაზღვრავს.

ჩიტაძის ქუჩის ფასადი ძირითადად ერთ სიბრტყეშია მოქცეული (ტაბ. 15_2).

ქუჩის ციცაბო ქანობი გარკვეულად მოქმედებდა ფასადის კომპოზიციაზე. ამითაა გამოწვეული მასში ცოკოლის ხაზისა და ზედა სართულების „საფეხურები". ფასადის გრძელ ფრონტს პასუხობს სარკმელთა ჰორიზონტული რიგები. მთავარი შესასვლელი ფასადზე მკაფიოდაა ხაზგასმული, მაგრამ ისე, რომ ერთიანი სიბრტყე არ დაირღვეს. შესასვლელი შეღრმავებულია, იგივე მეორდება მის თავზე, ზედა სართულებზე: მეორე და მესამე სართულებზე განიერი და ღრმა ლოჯიებია ქუჩისაკენ წამოწეული, ყრუ პარაპეტიანი აივნებით, ხოლო მეოთხე და მეხუთე სართულებზე ამ ადგილას სარკმლის ერთიანი შემინული ზედაპირია.

ფასადის შემადგენელი ორი ნაწილი, რომელიც სიმაღლის მიხედვითაა დაყოფილი, არქიტექტორმა სხვა საშუალებებითაც განასხვავა (ფასადის განაპირას მოთავსებული აივნები ქვევით სამ, ხოლო ზევით ორ სართულზე; სართულშუა სარტყლები ფასადის ქვედა ნაწილზე და სხვ.). ამით თავიდანაა აცილებული მონოტონურობა, რომელიც ასეთი დიდი ფრონტის სადა ფასადისათვის ადვილი მოსალოდნელი იყო.

ფასადი თანდათანობით, თითქოს შეუმჩნევლად უხვევს ზედა ქუჩისაკენ: ქვედა სართულისათვის არქიტექტორმა ცილინდრული ფორმა აირჩია, ზევით ღია ლოჯია-აივანი მოათავსა, ასე რომ, ჩიტაძის ქუჩიდან ძერჟინსკის ქუჩისაკენ ფასადების გადასვლა ხაზის მშვიდი დინებით ხდება.

ძერჟინსკის ქუჩის ფასადი ორ პლანადაა გადაწყვეტილი, რომელსაც წინ გამოწეული ცილინდრული ნაწილი და მის უკან კოშკის ვერტიკალი ქმნის. მათ ღია მომრგვალებული ტერასა აერთიანებთ.

კოშკის ვერტიკალი ხაზგასმულია კიბის უჯრედის ზოლით თითქმის მთელ სიმაღლეზე. მაგრამ ვერტიკალური სწრაფვის გაწონასწორებისათვის კოშკის გარშემო აივანია, ხოლო მის თავზე ბრტყელი, გამოწეული კარნიზი.

ამგვარად, თუ ჩიტაძის ქუჩის ფასადზე ავტორი წყნარ, ერთიან სიბრტყეს ქმნის, აქ იგი ფასადს გარკვეულ საფეხურებად ყოფს (შესასვლელის თავისე-

ბური პორტიკი, გადმოზნექილი გადახურვით, ღია ტერასა ცილინდრული ნაწილის თავზე და შემდეგ კოშკის დანაწევრება).

ეზოს მხარეს შენობის შემადგენელი ნაწილები (სხდომათა დარბაზები და მდივანთა კაბინეტები) ქმნის ცალკეულ ფრთას, რომელიც მარტივ პარალელეპიპედს წარმოადგენს. აქ ძირითად მოტივს შეადგენს ლოჯია-აივანთა ვერტიკალური რიტმი, რომელსაც ამთავრებს მხოლოდ აივნის თავზე მოთავსებული, კედლის სიბრტყიდან გამოწეული გადახურვა.

სადაა გადაწყვეტილი ქვედა, აღმოსავლეთის ფასადიც, რომელიც რუსთაველის პროსპექტისაკენ იხედება. შუა ნაწილში მთელი სიმაღლე ერკერის ვერტიკალურ მომრგვალებულ ზოლს უჭირავს[107].

შენობის გარეგნულ სახეში მთავარია მოცულობით ელემენტთა და მასათა ჰარმონული შერწყმა ფასადთა სიბრტყობრივ ხასიათთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიღწეულია არა გეომეტრიული მოცულობათა კონტრასტებით, არამედ ფასადთა ხაზის ჰარმონული, ლოგიკური გადასვლებით.

ამის საილუსტრაციოდ ორი მთავარი ფასადი გამოგვადგება. ჩიტაძის ქუჩის ფასადის ერთიანი სიბრტყე ჯერ შუაში ჰქმნის სივრცობლივ აქცენტს, ქუჩის ზედა ნაწილში კუთხის ლოჯიები ჰქმნიან — „გარდამავალ საფეხურს“, ხოლო შემდეგ, ქვედა სართულებში ფასადის სიბრტყე თითქოს შეუმჩნეველად გადადის ნახევარწრისებრი გეგმის მქონე მოცულობაზე, რომელიც ზევით ღია ტერასით მთავრდება. კოშკურ ნაწილზე გადასვლა აივნის საშუალებით ასევე შეუმჩნეველად ხდება. ის, რომ ჩიტაძის ქუჩის ფასადის მშვიდი სიბრტყე აქ მოცულობითაა შეცვლილი, ნაკარნახევია შენობის კონკრეტული ადგილმდებარეობით.

როცა ცხაკაიას ქუჩიდან ჩიტაძის ქუჩით ვეშვებით — ამ ვიწრო გასასვლელიდან უცბად იხსნება შენობაზე ხედი კუთხიდან, ამიტომ აქ ჯერ დაბალი მოცულობაა (ნახევარცილინდრული) და შემდეგ თანდათან გადავდივართ შენობის ერთიან მასშტაბზე, ე. ი. თვალი უცბად კი არ აღიქვამს მაღალ შენობას, რაც კიდევ უფრო მეტ ოპტიკურ სივიწროვეს შესძენდა თვით ქუჩასაც, არამედ თანდათანობით გადადის შენობის საერთო მოცულობაზე.

ჩიტაძის ქუჩის ფასადზე მთავარ მომენტად შეიძლება ჰორიზონტული სვლა ჩაითვალოს; ამ შთაბეჭდილებას ქმნის სარკმელთა რიგები (კერძოდ, მათი გაბარიტების „დაწოლილი“ სწორკუთხედების ჰორიზონტულობაც), ცოკოლის ხაზი, ქვედა სიბრტყეზე ჰორიზონტული სარტყელებით, აივანთა რი–

---


107 ეს ფასადი შემდგომში პარტიის თბილისის კომიტეტის ახალმა შენობამ დაფარა.

გები და სხვ. ქვედა და ზედა ლოჯიათა ვერტიკალური ზოლი და ცენტრალური შესასვლელის ღრმა ნიშა სამი სართულის სიმაღლეზე მათ გარკვეულად აწონასწორებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც ჰორიზონტულ და ვერტიკალურ ელემენტთა რიტმის გრაფიკული ანალიზი გვიჩვენებს, წამყვანი ჰორიზონტული დანაწევრებაა[108].

ძერჟინსკის ქუჩის ფასადზე კი ვერტიკალური და ჰორიზონტალური მასები თუ ელემენტები სრულ წონასწორობაშია, მაგრამ, რაკი ფასადის ფრონტი ერთ სიბრტყეზე არაა მოცემული, სინამდვილეში იკითხება ქუჩისკენ წინგამოწეული ნაწილი, სადაც კოშკი სარკმლის ზოლზე იმდენად მძლავრია, რომ ვერტიკალს უპირატესობას ანიჭებს.

ფასადები ყოველგვარ მორთულობათა გარეშეა. მხოლოდ კარნიზთა და სარტყელთა ზოლები, გამჭოლ თუ ყრუ პარაპეტიან აივანთა რიგები ჰქმნიან ცალკეულ მახვილებს.

არქიტექტორი დიდ ყურადღებას აქცევს მასათა ჰარმონიულ ურთიერთობასა და მთლიანობას, შენობის ფასადთა პროპორციულ გადაწყვეტას. ნახაზ-



საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შენობა. მთავარი ფასადის პროპორციული აგების სქემა.

ზე ნაჩვენებია მთავარი ფასადის პროპორციული აგების სქემა. როგორც ნახაზიდან ჩანს, დიდი ყურადღება ექცევა ფასადის ნაწილთა ურთიერთკავშირს და ეს პირდაპირი ფარდობითაა მიღწეული. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მასათა ვერტიკალური დანაწევრება, „ოქროს კვეთის“ ჰარმონულ მწკრივს ეფარდება.

---

108 ნ. ჯანბერიძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის არქიტექტურა. „ქართული ხელოვნება“ 6—B, გვ. 110.

მიუხედავად ყოველივე ამისა, შენობის ფასადთა არქიტექტურა ზოგან ზედმეტად სქემატურია (ცოშკის მინის ვერტიკალური ზოლები, სარტყელზე შეკიდებული სარკმელები ცილინდრულ ნაწილზე, გვერდის ფასადის ერკერები და სხვ.). მაგრამ ეს ვერ ცვლის საერთო შთაბეჭდილებას. შენობის არქიტექტურის რაციონალური საწყისები მტკიცედაა დაკავშირებული კონკრეტულ ამოცანებთან. შენობაში ყოველი არქიტექტურული ფორმა და ელემენტი ემორჩილება მის ფუნქციურ შინაარსს.

არქიტექტორ გიორგი ლეჟავას პროექტი ვაჭრობის მუშაკთა კლუბისა (ა. კალგინის ხელმძღვანელობით, 1929—30. ტაბ. 17₁) სხვადასხვა მოცულობათა თავისუფალი განლაგებით აღწევს გეგმაში საკლუბო, თეატრალური დარბაზისა და სასადილოს ბლოკის ისეთ განცალკევებას, როცა ისინი მაინც ერთი მთლიანი ნაგებობის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. სვეტებზე შემდგარი გადასასვლელებით დაკავშირებული მოცულობები სხვადასხვა გეომეტრიულ ფორმებს წარმოადგენენ. გადასასვლელებს საერთო კომპოზიციაში „სივრცითი გარღვევები“ შეაქვთ და აერთიანებენ კურდონერსა და გვერდის ქუჩებს. შენობა მარჯანიშვილის ქუჩის და სანაპიროს კუთხეში უნდა აეგოთ (ახლანდელ წიგნის სასახლის ადგილზე). ორი ფასადი არ იმეორებს ერთმანეთს. ფასადების მოცულობა განსხვავებულია. ჰხოლოდ კედლის გლუვი ზედაპირი და სარკმელთა ჰორიზონტული ლენტებია საერთო. ეს პროექტიც ჯერ დასახვეწი იყო, განსაკუთრებით მთელი ნაგებობის ერთიანი არქიტექტურული სახის გამოვლენის თვალსაზრისით.

საკლუბო-თეატრალური ნაგებობის არქიტექტურული თემის განვითარების მხრივ და შემოქმედებითი მიმართულების ძიების თვალსაზრისით, მეტად საინტერესო იყო საკავშირო კონკურსი კულტურის სახლის დასაპროექტებლად თბილისში (ტაბ. 18—20). ეს ოცდაათიანი წლების დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ არქიტექტურაში. კონკურსი საქართველოს პროფსაბჭომ გამოაცხადა 1931 წელს. კონკურსი ორი იყო: დახურული და ღია. დახურულ კონკურსში მონაწილეობდა 3 პროექტი, ღიაში — 17. ჟიურის გადაწყვეტილებით დახურული კონკურსიდან გამარჯვება ხვდა „საპარას“ ბრიგადას, რომლის შემადგენლობაში არქ. შ. თავაძე და კ. მერაბიშვილი შედიოდნენ, ხოლო ღია კონკურსში წარმოდგენილ პროექტებიდან უპირატესობა მოსკოველ არქიტექტორთა ჯგუფს მიეკუთვნა (ვასილიევის, მურზავეცკისა და კრილოვის შემადგენლობით). ორივე პროექტის საბოლოო დამუშავება ჟიურიმ მიანდო „საპარას“[109].

---

[109] თბილისს ეძნება კულტურის სასახლე. „დროშა“, 1932, № 7—8.

კონკურსის მნიშვნელობა მხოლოდ კულტურის სასახლის დაპროექტებით როდი ისაზღვრებოდა. იგი უკავშირდებოდა იმ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელსაც ქალაქის საბჭო ატარებდა გამწვანებისა და ქალაქის სხვადასხვა რაიონებში კულტურის და დასვენების პარკების შექმნისათვის. იმ დროისათვის ვარაუდობდნენ გაშენებულიყო ასეთი პარკები საბურთალოში, დიდუბეში, ნავთლუღში, ავლაბარსა და ორთაჭალაში. მათთან ერთად უნდა გაშენებულიყო პარკი ყოფ. მადათოვის კუნძულზე, შიგ ქალაქის ცენტრში. ეს პარკები მწვანე ზოლებითა და მაგისტრალებით დაუკავშირდებოდნენ ერთმანეთს და შექმნიდნენ მძლავრ მწვანე მასივს[100].

პირველ ნაბიჯს ამ მიმართებით წარმოადგენდა სწორედ საბურთალო-დიდუბის პარკი, რომელშიც უნდა აგებულიყო კულტურის სასახლე. ტერიტორია მტკვრის ორივე ნაპირზე, მარჯვენაზე — ვერის პარკიდან საქ.-სამხედრო გზის გასწვრივ, ხოლო მარცხენაზე — მუშტაიდიდან დიდუბის ბაღების ჩათვლით, 200 ჰექტარს მოიცავდა. კულტურის სასახლისათვის ნაკვეთი საბურთალოზე უნდა შერჩეულიყო (იმ ადგილას, სადაც ახლა პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატია), ისე, რომ საბოლოოდ იგი პარკის ცენტრში მოქცეულიყო.

წარმოდგენილ პროექტთაგან უმრავლესობა კულტურის სახლის მთელ შემადგენლობას (მაყურებელთა დარბაზი 2.000 კაცისათვის, მცირე დარბაზი 800 მაყურებლისთვის, ბიბლიოთეკა, საწრეო და სხვ. სადგომები) ერთიან კომპლექსში აერთიანებდა, ისე, რომ დერეფნებითა და გადასასვლელებით მყარდებოდა კავშირი მათ შორის. ასეთებია პროექტები, რომელთა დევიზი იყო: „საპარა", „26", „კომბინატი", „კულტფრონტი", „ნტო", „14", „A³", „შავი კვადრატი", მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთში პიონერთა და ბავშვთა დაწესებულებანი ცალკე იყო გატანილი. ზოგ ავტორს მთელ კომპლექსში კორპუსების ცალკე განლაგებით მკვეთრი დიფერენციაცია შეჰქონდა (მაგ. „სატურნი"). თუ ავტორთა ნაწილი ყურადღებას სამხედრო გზისაკენ ამახვილებდა („სატურნი", „14", ნაწილობრივ „საპარა" და სხვ.), მეორენი ცდილობდენ შენობა ორგანულად დაეკავშირებინათ მტკვრისაკენ მიმართულ ბორცვთან და ამით შენობაზე ყურადღება მდინარის მეორე ნაპირიდანაც გაემახვილებინათ („26", „ნტო", „კომბინატი").

მაგრამ უმთავრესი ნიშანთვისება, რაც კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებს აერთიანებდა, იყო ცდა წარმოედგინათ შენობა ახალი არქიტექტუ-

---

100 Программа открытого конкурса на проект Дворца Культуры в Тифлисе. Тифлис. 1931, გვ. 22.

რული მიმართების ათვისებით; ყველა ავტორი შენობას კონსტრუქტივისტულ პრინციპებს უმორჩილებს. ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში ფაქტიურად ამ კონკურსმა პირველად შექმნა მტკიცე ნიადაგი კონსტრუქტივიზმის ასე ფართოდ წარმოდგენისა. ამ მხრივ, როგორც ჩანს, მცირე როლი როდი ითამაშა კონკურსის გამოცხადების საკავშირო მასშტაბმა და მონაწილეთა კონტინგენტმა (უფროსი თაობა არქიტექტორებისა, რამდენადაც ცნობილია ავტორთა ვინაობა, კონკურსში არ მონაწილეობდა). ეს სტილისტიკური „ერთიანობა“ მთელ კონკურსს ერთგვარი ერთფეროვნების დაღსაც ასვამდა, რასაც მაშინდელი პრესა საგანგებოდ აღნიშნავდა კიდეც: „ნაკლოვან მხარედ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ვერც ერთმა ავტორმა ვერ მოძებნა არქიტექტურული ფორმები, რომლებიც სწორედ უპასუხებდა ადგილმდებარეობას. კოლორიტი ვერ არის გამოცნობილი. ამასთან ერთად, არცერთი პროექტი არ არის ორიგინალური, ახლებური, სპეციფიკური. ყველა გადაწყვეტა უკვე ჩატარებულ კონკურსთა განმეორებაა“[111]. მიუხედავად იმისა, რომ ეს შენიშვნა არ იყო მოკლებული სამართლიანობას, რამდენიმე პროექტი მაინც იმსახურებს ყურადღებას.

„საპარას“ პროექტში (შ. თავაძე, კ. მერაბიშვილი ტაბ. 18₃) ცალკეული კორპუსები გადასასვლელებითაა დაკავშირებული და მთელი კომპლექსი საქართველოს სამხედრო გზასთან, სწორ რელიეფზე დგას. მტკვრისკენ დაქანებული ბორცვი გამოყენებულია დასასვენებელი მოედნებისათვის, იგი თავისუფალია მუდმივი ნაგებობებისაგან და ცალკეულ ზონებადაა დაყოფილი. თეატრი ღრმადაა პარკში შეწეული, მაშინ, როცა დაბალ, გამაერთიანებელ კორპუსზე ვერტიკალურად მიდგმულ წრეთა და საკლუბო მუშაობისათვის განკუთვნილი სამი კორპუსი მაგისტრალისაკენ გამოდის. შენობა „ერთვება“ მწვანე გარემოში. ფასადთა არქიტექტურა ცალკეულ კორპუსთა მოცულობათა კონტრასტზეა აგებული, სადაც თავისი აბსოლუტური ზომებითა და ნახევარცილინდრული მოცულობით თეატრი წამყვან როლს იჩემებს.

თეატრისათვის იგივე ადგილია შერჩეული პროექტზე დევიზით „14“ (არქ. მ. შავიშვილი და ა. ნიკოლაიშვილი ტაბ. 19₂), ხოლო სხვა სადგომები დაპროექტებულია მტკვრისაკენ მიმართულ ჰორიზონტულად გადაჭიმულ კორპუსში. თეატრის ტრაპეციული ფორმის მაყურებელთა დარბაზში უკეთესი ევაკუაციისათვის რიგებში სკამები ცალ-ცალკეა დადგმული (?). თუ გეომეტრულ მოცულობათა ურთიერთშეფარდება მთლიან კომპლექსში გარკვეულ ჰარმონიუ-

---

111 Г. Даниелян. Дворец Культуры в Тифлисе. «Заря Востока», 1931, 19. 11, № 313.

ლობას ემყარება, ფასადთა დამუშავებაში აშკარად ჩანს ახალგაზრდა ხუროთმოძღვართა გამოუცდელობა; ფასადებს ინდივიდუალობა აკლია.

„სსი" — ის ბრიგადა (ი. ყირქესალი, ი. ზაალიშვილი, ს. სატუნცი, ვ. ქორქაშვილი, ქ. დგებუაძე ტაბ. 20_3) თეატრს ბორცვზე დგამდა, ხოლო საკლუბო კორპუსები საქართველოს სამხედრო გზის პარალელურად სამი კუბური მოცულობით იყო აღმართული და თეატრთან გეგმაში რკალისებრი მოხაზულობის ვრცელი ვესტიბიულით ერთიანდებოდა. თეატრის დარბაზის კვერცხისებრი მოცულობა არაფრით არ უკავშირდებოდა ქუჩისაკენ მიმართულ კორპუსებს, რომლებიც თავისი აღმოსავლური პაგოდისებრი გადახურვით სადა პარალელეპიპედისთვის სრულიად შეუფერებელ ფორმებს ქმნიდნენ. ამ პროექტში საინტერესოა თეატრის გეგმა, რომელიც იმ დროისათვის მოდური პისკატორის თეატრის გავლენით იყო შედგენილი და სცენისა და დარბაზის ტრანსფორმაციის რამდენიმე ვარიანტს იძლეოდა.

საკლუბო და წრეების კორპუსის ფლიგელები მტკვრისაკენ ჩამავალ ბორცვზე ტერასებად იყო შეფენილი პროექტში „კომბინატი" (ტაბ. 18_2). მთელი კომპლექსის გეგმა კომპაქტურია და შემადგენელ ნაწილთა დიფერენციაცია იოლად წასაკითხი. შენობები კარგად უკავშირდება პარკს. ფასადთა სადა არქიტექტურა ორგანულად ჩაერთვებოდა საერთო გამწვანებაში. ქალაქიდან კი მხოლოდ საკლუბო კორპუსთა ფრაგმენტები გამოჩნდებოდა. თეატრის დარბაზის ცილინდრისა და სასცენო ნაწილის პარალელეპიპედის კონტრასტი გეომეტრიულ ფორმათა საერთო დინამიკურ გადაწყვეტას პასუხობს.

პროექტ „სატურნში" (ტაბ. 19_1) ცალ-ცალკე კორპუსებად გადაწყვეტილი ნაგებობები ხაზს უსვამენ პარკის ტერიტორიაზე მოედნის მაორგანიზებელ მნიშვნელობას. მაგრამ ეს მოედანი პრიმიტიულად მის გარშემო განლაგებული შენობებისგან კი არ შედგება, არამედ „გახსნილ" სივრცეს ქმნის, რითაც მთელი პარკის ორგანულ ელემენტადაა ქცეული. ცალკეულ კორპუსთა გეგმები მარტივია და უმთავრესად დერეფნულ სისტემას ემყარება, ხოლო ფასადები ჰორიზონტულ და ვერტიკალურ ხვრელობთა ზოლების ურთიერთდაკავშირებაზეა აგებული. თეატრის არქიტექტურული ფორმები დიდი გეომეტრიული მოცულობებითაა შედგენილი, რომელთა ბრტყელი ზედაპირი ფართო მინის ეკრანებს უკავიათ. ავტორს რელიეფის სპეციფიკა არა აქვს გამოყენებული და სწორ რელიეფზე დადგმული კორპუსები ამ პროექტზეც აკადემიური პროექტირების მაგალითს წარმოადგენს.

პრიმიტიულობამდე დასული გამარტივების შედეგია პროექტ „შავი კვადრატის" გეგმა და შენობათა კორპუსები, რომელნიც ერთ, საკმაოდ რთულ კონფიგურაციის მოცულობაშია გაერთიანებული და ნებისმიერი გეომეტრიული

ფორმებითაა შედგენილი. ავტორი გეგმით გამოწვეულ მოცულობით ფორმას ხელუხლებლად ტოვებს, რაც არეულობას იწვევს ფასადთა არქიტექტურაში, რომელთა დამუშავება მეტად სქემატურია.

ადგილობრივ ტრადიციათა გამოყენების ცდაა მოცემული პროექტ „ნტო"-ში. ბორცვზე გადმოშვერილი კორპუსის სასადილო დარბაზი თითქოს თბილისური სახლების აივნებითაა ნაკარნახევი. მაგრამ მისი დამუშავება ვერავითარ ანარეკლს ვერ პოულობს მთელი კომპლექსის არქიტექტურაში და ამიტომ შემთხვევითი ხასიათი აქვს.

თავისებური თეატრის კორპუსი პროექტში „A^3" (ტაბ. 18)[1]. იგი ოვალშია ჩასმული (დარბაზი შუაგულში ,მის გარშემო ფოე, დიდი ღერძის თავში ვესტიბული, ხოლო მის საწინააღმდეგო მხარეს სცენა). და გამოირჩევა სხვა კორპუსთა სწორხაზოვანი გადაწყვეტით.

მტკვრის ორივე ნაპირის გაერთიანებაზე აგებს კომპოზიციას „კულტფრონტის" დევიზით წარმოდგენილი პროექტის ავტორი. ხიდის გაყოლებით ბორცვის რელიეფს მიყვება საპარადო კიბის მარში, რომელიც კომპლექსის ცენტრალურ შესასვლელისაკენ მიემართება. შენობათა ოთხსართულიანი მოცულობანი ორივე მხარეს თავისებურ კურდონერს ქმნის შორი წერტილებიდან. ფასადთა არქიტექტურაში მოცულობათა, გეომეტრულ ფორმათა, ხვრელობთა, ტერასების ნაირსახეობა გვხვდება, რაც ხელს უშლის კომპლექსის მხატვრულ ერთიანობას. ამ მხრივ განსაკუთრებით ხვდება კაცს თვალში თეატრის სრულიად განსხვავებული ფორმები კომპლექსის სხვა ნაწილებთან შედარებით.

პროექტი „26" (ტაბ. 20_2) რელიეფთან დაკავშირების საინტერესო იდეას იძლეოდა. თეატრის კორპუსის ცილინდრის წინ, ბორცვზე, რკალისებრი ხუთი ტერასა, რომლებიც გვერდის კორპუსებს შორისაა მომწყვდეული. ტერასებად გადაშლილი თითო სართულიანი მოცულობანი მთელი კომპლექსის ფუნქციური გადაწყვეტის შემადგენელი ნაწილებია.

განხილულ პროექტთა ასეთი მიმოხილვაც საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ ის საერთო თუ განმასხვავებელი, რაც ამ პროექტებს გააჩნდათ ტექნოლოგიურ-ფუნქციური გადაწყვეტისა თუ საერთო არქიტექტურული მიდგომის თვალსაზრისით. ამ მხრივ პროექტები რაიმე სიახლით არ გამოირჩევიან.

კონკურსი კიდევ ერთი გამოვლენა იყო იმ მნიშვნელობისა, რაც საბჭოთა არქიტექტურაში სრულიად ახალმა თემამ, შრომისა და კულტურის სასახლეებმა შემოიტანეს. ამ დროისათვის საბჭოთა ხუროთმოძღვრებას საკმაო გამოცდილებაც ჰქონდა ამ მხრივ. ოციანი წლების დასასრულისათვის კულ-

ტურის სასახლეებისა და კლუბების დიდი რაოდენობა შენდებოდა[112]. თუ ამ დრომდე კულტურის სასახლეების დაპროექტებაში წამყვანი მნიშვნელობა სანახაობით ნაგებობებს ენიჭებოდათ, პირველი ხუთწლედის წლებში კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოთა შინაარსისა და ფორმათა დახვეწამ ფუნქციურად დანაწევრებული საკლუბო კომპლექსიც წამოწია წინ[113]. ამის ერთერთი მაგალითი იყო თბილისის კულტურის სახლის კონკურსიც. მიუხედავად იმისა, რომ კომპლექსის გეგმარებაში უმთავრესი ადგილი თეატრს ეჭირა და მის მოცულობას ყველა პროექტში დომინანტის მნიშვნელობა ენიჭება, საკლუბო-წრეებისათვის განკუთვნილი კორპუსები და სადგომები მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ და მათ მოხერხებულ გადაწყვეტასაც დიდი როლი აკისრია.

მიუხედავად სხვადასხვა კონკრეტული გეგმარებითი თუ მოცულობითი გადაწყვეტისა, მთელ კონკურსში აისახა კონსტრუქტივიზმის შემოქმედებითი ძიებანი. ყველა ავტორი ცდილობს, რომ კომპლექსის მოცულობითი-სივრცობრივი კომპოზიცია ფუნქციური დანიშნულებისაგან გამომდინარეობდეს, შეიქმნას სადა გეომეტრიული ფორმები, რომლებიც ყოველგვარი მორთულობის გარეშე, თავისი ლაკონიურობით, სიმარტივით ქმნიან მხატვრულ გამომსახველობას. მაგრამ ნამდვილი ნოვატორობა, საინტერესო სიახლე ამ თვალსაზრისით კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებში არ ჩანდა. უფრო მეტიც, იგრძნობოდა თითქოს დაკანონებული კონსტრუქტივისტული ფორმალური პრინციპების გამოყენების „ნაძალადევი" ხასიათიც. მაგრამ კონკურსის მონაწილეთა ასეთი შემოქმედებითი ერთსულოვნება თავისთავადაც მეტყველებდა კონსტრუქტივიზმის ფუნქციური მეთოდის პოპულარულობაზე, მოწმობდა, რომ საბჭოთა ხუროთმოძღვრების ახალი შემოქმედებითი მიმდინარეობა საქართველოში მოგვიანებით, თანდათანობით, მაგრამ დაბეჯითებით იკიდებდა ფეხს.

5 შემოქმედებითი მიმართულება

ამრიგად, როგორც გაცნობილი მასალა გვიჩვენებს, ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების პირველ ეტაპზე ორი მიმართულება გამომჟღავნდა. ეს იყო, ერთი მხრივ, ცდა თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში ეროვნული

[112] 1929—32 წწ. სსრკ-ში აშენებული იყო 480 კლუბი. იხ. История Советской архитектуры. გვ. 74.
[113] იქვე.

არქიტექტურული ფორმების გამოვლენისა, ან. როგორც მაშინ ამბობდნენ, „ქართული სტილის“ შექმნისა, ხოლო მეორე მხრივ — რაციონალიზმისა და კონსტრუქტივისტული არქიტექტურის პრინციპების შეთვისება.

გზადაგზა ჩვენ აღვნიშნეთ რეტროსპექციული მიმართულების ზოგიერთი რეციდივიც, როცა არქიტექტორები რევოლუციამდელ, უკვე „ნაცნობ“, რუსული კლასიციზმისა ან მოდერნული ხუროთმოძღვრებიდან ნასესხებ თემებს იყენებენ. ამ შემთხვევაში საქმე სტილიზაციის და ეკლექტიკური არქიტექტურის ფარგლებს ვერ სცდებოდა; თანაც, ამ „მიმართულებას“ არც მოუპოვებია რაიმე მნიშვნელოვანი ადგილი პრაქტიკულ მოღვაწეობაში, იგი მხოლოდ რამდენიმე პროექტით შემოიფარგლა.

საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხალხის შემოქმედებითი პოტენციის გაშლის ფართო შესაძლებლობა შეიქმნა. ეს თანაბრად ეხებოდა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგს. გაჩნდა „ისტორიულად გარდუვალი მისწრაფება თავისი თვითმყოფადი მემკვიდრეობის გადააზრებისა“[114]. ეროვნული ჩაგვრისაგან გათავისუფლებული ხალხის ცხოვრებაში ეროვნული ტრადიციული ხელოვნებისა და არქიტექტურის ნიმუშებმა წამყვანი მნიშვნელობა მოიპოვა. ამაში ხუროთმოძღვრებამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. თავის შემოქმედებით ძიებაში სწორედ არქიტექტურამ გამოხატა ყველაზე მეტად მისწრაფება ეროვნული თვითგამორკვევისადმი. ეროვნულ რესპუბლიკებში ეროვნული ფორმის ძიებისადმი დიდი ინტერესი ჩნდება (ამის მაგალითია საბჭოთა სომხეთი, აზერბაიჯანი და სხვ. აკად. თამანიანის მოღვაწეობაც ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივი იყო).

ბუნებრივია, რომ ეს მისწრაფება ქართულ საბჭოთა ხუროთმოძღვრებაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში აშენებულ საზოგადოებრივ თუ საცხოვრებელ სახლებში გამოიხატა. ამას დიდად უწყობდა ხელს მეცნიერული შესწავლა ქართული ხელოვნების ნიმუშებისა, რამაც არა მარტო ბევრი ახალი მნიშვნელოვანი ძეგლი გამოამზეურა, არამედ საქვეყნოდ დასანახი გახადა ქართული ხელოვნების თვითმყოფადობა, გამოავლინა მისი ევოლუციის ისტორიული გზა.

თავდაპირველად ქართული ხუროთმოძღვრების დასანერგავად „ორგანიზაციულ“ ზომებსაც კი ღებულობდნენ (მოიგონეთ ზევით აღნიშნული დადგენილება თბილისის ქალაქის საბჭოსი 1926 წელს, ან საქართველოს ტექნიკური საზოგადოებისა 1928 წ., რომლებიც ქართული სამოქალაქო ხუროთმოძღვრე-

---

114 История советской архитектуры, М., 1962, გვ. 19.

ბის სტილით მშენებლობასა და მისი პრინციპების დამუშავებას შეეხებოდა)[115], რაც იმის აშკარა მაჩვენებელია თუ რა გადაჭარბებას ჰქონდა ადგილი „ქართული სტილის“ შექმნის გზაზე.

მაგრამ ამოცანები, რომლებიც ახალი ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების წინაშე ისმოდა, დეკლარაციებითა და ძველი არქიტექტურის რეპერტუარიდან აღებულ ცალკეული ელემენტების გამოყენებით როდი გადაწყდებოდა. ახალი არქიტექტურისათვის ეროვნული პრობლემის გადაჭრა გაცილებით რთული საკითხი იყო, ვიდრე შუასაუკუნეობრივი არქიტექტურული ფორმების გადმოტანა, როგორც დამახასიათებელიც არ უნდა ყოფილიყო ეს ფორმები თავის დროის ქართული ხუროთმოძღვრებისათვის.

თუ ნაგებობის შინაარსი, მისი ფუნქციური მხარე არ იყო გააზრებული ერთიან, მართალ მხატვრულ სახეში, მას ვერაფერს შემატებდა ძველი არქიტექტურიდან ნასესხები თაღებისა და დეკორაციული სამკაულების გამოყენება. თუ თანამედროვე არქიტექტურა მთლიანად იყო მოფიქრებული, როგორც ფუნქციური და დეკორაციული კომპონენტების ორგანული ერთიანობა, მაშინ ძველი ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ფორმები ან ორნამენტული მორთულობისადმი მისწრაფება გარკვეულ სპეციფიკურობას ანიჭებდა მას, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ფორმის საკითხის გადაწყვეტა არც ამ შემთხვევაში იყო მიღწეული.

შეცდომა იყო დაშვებული თვით „ქართული სტილის“ განსაზღვრაშიაც. სამართლიანად მიუთითებს პროფ. ვ. ბერიძე, რომ სტილი ისტორიული კატეგორიაა და არ შეიძლება არსებობდეს უცვლელი „ქართული სტილი“. რომ არსებობს ქართული ხუროთმოძღვრება, რომელიც თავის ისტორიის მანძილზე ინარჩუნებდა გარკვეულ ეროვნულ თავისებურებებს, მაგრამ სხვადასხვა ისტორიულ ეტაპებზე განსხვავებული, ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი სტილის სახით გვევლინებოდა. „ქართული ისტორიული არქიტექტურის მაგალითიც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ახალი საბჭოთა ქართული არქიტექტურის ჩამოყალიბება ვერ წავიდოდა წარსულის ხუროთმოძღვრული სახეების გარეგნული გადმოღების გზით, რომ საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა, უპირველეს ყოვლისა, თავისი ეპოქის ე. ი. საბჭოთა ეპოქის არქიტექტურა უნდა ყოფილიყო თვით თავისი არსით, თავისი შინაგანი თვისებებით“[116].

---

115 „კომუნისტი“ 1.4.26, № 72 და „ტექნიკა და ცხოვრება“, № 1. 1928 წ., გვ. 20.

116 ვ. ბ ე რ ი ძ ე, ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. „ქართული ხელოვნება“ 4. 1955. გვ. 89.

საინტერესოა, რომ ოციან წლებში, როცა ქართული არქიტექტურის ტრადიციების გამოყენების ცდა უფრო ხშირად ვერ სცილდებოდა შუა საუკუნეების არქიტექტურული ელემენტების მექანიკური გადმოღების ფარგლებს (საცხოვრებელი სახლები ტრამვაელთათვის პლეხანოვის პროსპექტზე, აგრეთვე მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების გასაყარზე, კინოთეატრი პლეხანოვის კლუბში, კონსტუდიის შენობა, ტუბდისპანსერი და სხვ.), გაისმოდა მოწოდებანი ქართული არქიტექტურის ღრმა შესწავლისა და თანამედროვე მოთხოვნილებათა გათვალისწინების შესახებ. „ხელისუფლება ყოველმხრივ დაგვეხმარა, რომ აღორძინებულიყო ქართული ხუროთმოძღვრების ორიგინალური სახე — წერდა ინჟ. ს. ფიცხელაური, — დღეს სრულიად უდავო დებულებად უნდა ჩაითვალოს, რომ ქართული სტილი ხუროთმოძღვრების სხვა სახეებთან სრულუფლებიანი და თანაბარი წარმომადგენელია.

საჭიროა მხოლოდ მისი შესწავლა და დამუშავება ისე, რომ ძველ ფორმებს, რომელთა სილამაზე და თავისებურება იშვიათია — შეუფარდო თანამედროვე ^შენებლობის მოთხოვნილებანი. ამ მხრივ პირველხარისხოვან საკითხს წარმოადგენს სინათლისა და ჰაერის პრობლემის სათანადო გადაჭრა. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს ციხესიმაგრეების მსგავსი შენობების აგებას — ვიწრო ფანჯრებით და ეს არც ისე დამახასიათებელია ქართული სტილისათვის, როგორც ბევრსა ჰგონია... ბოლო დროს... რაღაც ჩუქურთმის მსგავსს ^იაკრავენ შენობას, გარეთ „შეალამაზებენ", უფრო შეთითხნიან შიგნით, შეჰკრავენ ვიწრო თაღიან ფანჯრებს და მზად არის „ქართული სტილის" შენობა"[117].

ზაჰესის კომპლექსის ერთ-ერთი ავტორი მ. მაჭავარიანი აღნიშნავდა, რომ საკითხი ძალზე რთულდება იმით, რომ ძველი არქიტექტურიდან მხოლოდ საეკლესიო ნაგებობანი დაგვრჩაო, რომლებიც „მრავალ მოტივებს იძლევა კომპოზიციისათვის, მაგრამ არ შეიძლება ფორმების ბრმად გადმოღება და ხმარება ან მათთვის ბრმად მიბაძვა. საჭიროა გარდაქმნა და ახალი ასახვა, რომ თავისი არსებით და სულით კომპოზიციას ექნეს ნამდვილი ქართული ხასიათი, წარმოადგენდეს ნამდვილს ქართულს ნაწარმოებს და ამასთანავე არ ემსგავსებოდეს ეკლესიას". იგი აღნიშნავს, რომ „არამც და არამც არ უნდა მივცეთ დავიწყებას ჩუქურთმები, ხოლო მათი ხმარებისას გავარჩიოთ, თუ რა დანიშნულებისაა შენობა, რამდენად ის ატარებს საზეიმო ხასიათს და აგრეთვე რა მასალაა განზრახული სახმარებლად შენობის აგებისათვის... ზოგნი მთავარ

---

117 ს. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი. საბინაო მშენებლობა საქართველოში. „ტექნიკა და ცხოვრება", 1928, № 1, გვ. 20.

ყურადღებას ჩუქურთმას აძლევენ და ვერ წარმოუდგენიათ ქართულ სტილში უჩუქურთმოთ აგებული შენობა. ეს არ შეიძლება ჩაითვალოს სწორ და სამართლიან წარმოდგენად... ეკონომიური თვალსაზრისით კი ჩუქურთმის დამუშავებას უნდა ვერიდოთ, ვინაიდან იგი მოითხოვს საუკეთესო ძვირფასი მასალის ხმარებას (ქვას) და მისი დამუშავება მეტად ძვირია"[118].

ეს ვრცელი ამონაწერები ავსებენ იმ სურათს, რომელიც პრაქტიკულ ნამუშევრებთან ერთად გვესახება. მათში ბევრი მართებული დებულებაა წამოყენებული, მაგრამ მათი ხორცშესხმა, მშენებლობაში განხორციელება თავისთავადაც რთულ საქმეს წარმოადგენდა. თუნდაც ის გარემოება, რომ ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლები თავისი დანიშნულებით სრულიად განსხვავდებიან ახალი არქიტექტურის თემატიკისაგან, რომ საკულტო და სათავდაცვო ნაგებობების სპეციფიკის გამო ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების ფორმები და საერთო ხასიათი არ გამოდგებოდა მრავალსართულიანი, ხვრელობებით დაცხრილული თანამედროვე შენობებისათვის (როგორც ცნობილია, სამოქალაქო არქიტექტურის ნიმუშებმა ჩვენამდე ძალზე ნაკლებად, და ისიც გაპარტახებული სახით მოაღწია), უკვე შეუძლებელს ხდიდა მათ გამოყენებას თანამედროვე შენობებში. ხოლო მათი მზამზარეული, მექანიკური გადმოტანა სტილიზაციისკენ იყო მიმართული და ეროვნული სპეციფიკის პრიმიტიული გაგების გზას ვერ სცილდებოდა.

ეროვნული ფორმა გაგებული იყო, როგორც „გაფორმება", გარეგანი სახე და არა მთლიანი ორგანიზმი ნაგებობისა, რომელიც კლიმატურ-გეოგრაფიული თუ მხატვრული ტრადიციების ჰარმონული შეკავშირებით მიღწეულ კომპოზიციურ პრინციპებს დაეყრდნობოდა.

ამიტომ გასაგებია ის რეაქცია, რომელსაც „ქართული სტილით" ნაგები შენობების ხუროთმოძღვრება იწვევდა. „დიდი ნაკლი მშენებლობის დარგში იყო ახლად აგებული შენობების უმსგავსო სტილი. ჩვენ მოგვახვიეს თავზე ქართული სტილის სახელწოდებით ძველი ეკლესიებისა და ციხე-კოშკების სტილი რომელიც ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი იყო საბჭოთა მშენებლობაში. ამ სტილმა დაამახინჯა მუშების საცხოვრებელი ბინები და ნახევრად შეზღუდა იმათი გამოყენება... შეუძლებელია იმის თქმა, რომ ჩვენი მშენებლობა სავსებით გათავისუფლდა ამ უვარგისი სტილიდან, რომლის წინააღმდეგ კიდევ საჭიროა ბრძოლა"[119]. მთელი რიგი შენობების არქიტექტურის მიმართ

---

118 მ. მაჭავარიანი. ქართული ხუროთმოძღვრება და მისი პერსპექტივების შესახებ. „ტექნიკა და ცხოვრება", 1927, № 11—12. გვ. 45—47.

119 ფ. მახარაძე. ახალი მშენებლობა ტფილისში, 1930, „კომუნისტი", 19.7, № 168.

გამოთქმულ ამ სამართლიან შენიშვნებს ხშირად ავტორები მეორე უკიდურესობამდე მიჰყავდა. ცალკეულმა შეცდომებმა საწინააღმდეგო ტენდენცია გამოიწვია, თავი იჩინა მემკვიდრეობის უარყოფამ, მემკვიდრეობისადმი ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ, რაც, რა თქმა უნდა, მცდარი იყო და ფაქტიურად „ფსევდოეროვნული“ არქიტექტურის მიმდევართა შეცდომების მეორე მხარეს წარმოადგენდა.

ეროვნული ტრადიციებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გავრცელებას ხელი შეუწყო საქართველოში ოციანი წლების შუახანიდან რაციონალისტთა და კონსტრუქტივისტთა არქიტექტურული კონცეპციის შემოჭრამ.

რევოლუციის პირველი წლებიდან საბჭოთა რუსეთის არქიტექტურაში, ეკლექტიზმისა და კონსერვატიზმის შეხედულებებთან ბრძოლაში თანდათანობით ისახებოდა ახალი შემოქმედებითი მიმართულება, რომელიც ქვეყანაში მომხდარ გრანდიოზული სოციალ-ეკონომიური თუ პოლიტიკური ცვლილებების პასუხს ეძებდა ხელოვნებაში. საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნები ძველი არქიტექტურის შემოქმედებითი პოზიციებით ვერ გამოიხატებოდა. ამიტომ, არქიტექტორთა საკმაოდ მძლავრი რაზმი წავიდა ძიების ახალი გზით, რომელიც კონსტრუქტივისტული ხელოვნებისა და არქიტექტურის საფუძვლებს ემყარებოდა. საბჭოთა რუსეთის ოციანი წლების არქიტექტურაში ჩნდება სხვადასხვა დაჯგუფებანი. მაგრამ მათი ერთიან სოციალურ წინაპირობაზე აღმოცენებული, ერთი შეხედვით ურთიერთსაწინააღმდეგო პოლემიკური გამოსვლები, ფაქტიურად, უფრო მეტ საერთოს გამოხატავდა, ვიდრე განსხვავებულს და ეს იყო მისწრაფება ახალი პერსპექტიული არქიტექტურული სახეებისაკენ, რომლებიც ემყარებოდა რაციონალურ ფუნქციურ გადაწყვეტას, სადა, ლაკონიური არქიტექტურული ფორმებისა და ტექნიკის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას.

კონსტრუქტივიზმი ახალ მიმართულებათა იმ ძირითად ბირთვს წარმოადგენდა, რომელიც წინ აღუდგა არქიტექტურულ შტამპს, კონსერვატიზმსა და ეკლექტიზმს, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმდევართა თეორიული მოსაზრებები ხშირად წინააღმდეგობით იყო გამსჭვალული. ისინი სწორად აფასებდენ არქიტექტურის სოციალურ მნიშვნელობას, იცავდნენ რაციონალურობას, ახალი სოციალისტური სინამდვილის შესაფერი გარემოს — ყოფის, შრომისა და დასვენების პროცესისათვის გამოსადეგ გარემოს შექმნისაკენ მოუწოდებდენ.

მთავარი ყურადღება ეთმობოდა ახალი არქიტექტურული ფორმის ფუნქციურ მიზანშეწონილობას — ეს იყო სტილიზაციასთან ბრძოლის საშუალებაც.

სახელმძღვანელო პრინციპი ფუნქციური შემოქმედების მეთოდი იყო. შენობის მოცულობით-სივრცობრივი კომპოზიციის შექმნისას აუცილებლად ითვლებოდა მისი ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინება. ფუნქციური პროცესის (ცალკეულ სადგომთა ურთიერთგანლაგება, მოძრაობის გრაფიკი და სხვ.) გამოვლენა, რაციონალური გეგმარებისა და შენობათა მოწყობილობის დამუშავება წარმოადგენდა ფუნქციური მეთოდის საფუძველს. ეს მეთოდი საბჭოთა არქიტექტურისგან მოითხოვდა შენობათა ახალი ტიპების გამომუშავებას, არქიტექტურაში ახალ სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვას, მშენებლობის ინდუსტრიალიზაციას, ტიპიზაციას, ჭარხნული წესით დამზადებულ ელემენტთა გამოყენებას და სხვ. როცა კონსტრუქტივისტები არქიტექტურულ შემოქმედებით პროცესში პროექტირების მეცნიერულ მეთოდების დასაცავად გამოდიოდნენ, ხშირად აუბრალოებდნენ შენობათა ფუნქციურ დანიშნულებათა და მოცულობითი-სივრცითი კომპოზიციის ურთიერთკავშირის საკითხს, გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ წმინდა რაციონალურ მომენტებს არქიტექტურულ შემოქმედებაში[120].

ოციანი წლების მეორე ნახევარში კონსტრუქტივისტული მიმდინარეობა ფაქტიურად ერთიანდება რაციონალისტურთან, რომელიც მხატვრული სახის ძიებაში ფართოდ იყენებდა ახალ საშენ მასალებს, ახალი კონსტრუქციების წყალობით შექმნილ არქიტექტურულ ფორმათა კომპოზიციურ შესაძლებლობას. ამგვარად, დღის წესრიგში დაისვა იმ მიღწევათა ორგანული სინთეზი, რომელიც ფუნქციურ მეთოდისა (კონსტრუქტივისტები) და ფორმალურ-ესთეტიკურ ძიებათა (რაციონალისტები) საფუძვლებზე იყო დამყარებული[121]. ეს ქმნიდა სწორედ იმ ახალ შემოქმედებით მიმართულებას, რომელსაც უდიდესი რეზონანსი ჰქონდა საბჭოთა ქვეყნის ფარგლებს გარეთაც (უმთავრესად მას კონსტრუქტივიზმს ეძახიან).

ოციანი წლების ექსპერიმენტები თამამად ამტკიცებდნენ ახალი ესთეტიკის პრინციპებს: ლაკონიური, სადა ფორმები შენობათა საზოგადოებრივ დანიშნულებას, მათი კონსტრუქციული აღნაგობის გახსნას ემსახურებოდნენ. მაგრამ ამ მთავარი ამოცანის გადაწყვეტის შედეგი ხშირად სქემატიზმს ვერ ცილდებოდა. კომპრომისი მომავლისკენ მიმართულ ჩანაფიქრსა და მის რეალიზაციას შორის არქიტექტურული ფორმების გაუბრალოებასა და გაუხეშებას იწვევდა[122].

---

120 А. Журавлев, С. Хан-Магомедов. Советская архитектура. М., 1968. გვ. 14.

121 იქვე, გვ. 14.

122 А. Иконников. Путь советской архитектуры: კრებული Путь Советского искусства. М., 1968. გვ. 206.

ეს ახალი შემოქმედებითი მიმართულება საქართველოშიც იკიდებს ფეხს და მისი გავლენა თანდათან სულ უფრო ძლიერდება. მაგრამ საქართველოში იგი მოვიდა უკვე როგორც მზამზარეული მიმართულება, რომელსაც აქ არც თეორეტიკოსები ჰყავდა და არც თანამოაზრეთა რაიმე დაჯგუფება. ამიტომ იგი უმთავრესად ვერც გაცდა გარეგნულ „კონსტრუქტივისტული სტილის“ მნიშვნელობას.

სამშენებლო და კონსტრუქციული შესაძლებლობანი არ იძლეოდნენ გასაქანს ახალი არქიტექტურის მრწამსის სრული გაშლისათვის. კონსტრუქტივისტთა მთელი რიგი პროგრესიული პრინციპები, რომელთათვის საჭირო იყო სამშენებლო ტექნიკისა და ინდუსტრიის ფართო გასაქანი, განუხორციელებელი რჩებოდა და, აგურის ჩვეულებრივ კონსტრუქციებში გამოსახული, ხშირად მხოლოდ მოდურ „კოლოფებისა“ და ცალკეული დამახასიათებელი ელემენტების (სარკმელთა ჰორიზონტული ლენტები, აივნების გრძელი, ყრუ პარაპეტები და სხვ.) სტილიზაციის სახეს ატარებდა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ზოგი ავტორი ამ ახალ არქიტექტურას არ ღებულობდა, რადგან მაშინდელი ძირითადი საშენი მასალა — აგური და ქვა, — რომელიც მაშინ რკინა-ბეტონზე იაფი ჯდებოდა, „თხოულობდა შესაფერ ფორმას, კერძოდ კი თაღსა და კამარებს, რომლებიც სრულიად არ არის საეკლესიო სტილის სპეციფიკაო“[123] (იმდროინდელი კონსტრუქტივისტული შენობები თითქმის ყველა აგურისგან იყო ნაგები).

მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, მაინც შეიქმნა ზოგი ნაწარმოები, რომლებშიც გააზრებულად, შემოქმედებითად იყო გამოყენებული საბჭოთა არქიტექტურის ახალი შემოქმედებითი მიმართულების პრინციპები და სასურველი შედეგებიც იყო მიღწეული (მაგ. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შენობა).

მაგრამ, ერთი მხრივ კონსტრუქტივიზმი თუ რაციონალიზმი, რომელმაც, რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში ვერ მიაღწია დამოუკიდებლივ განვითარებას, მეორე მხრივ — ქართული არქიტექტურული მემკვიდრეობის გამოყენებისადმი მისწრაფება — უპირისპირდებოდა ერთმანეთს; ისინი წარმოდგენილი იყვნენ როგორც ერთმანეთის გამომრიცხველი ტენდენციები, რაც ხელს უშლიდა ეროვნული ფორმების გარდაქმნას თანამედროვე „სამუზეუმო“ ხასიათისგან თავისუფალ საფუძველზე[124].

ამგვარი სინთეზის ტენდენცია კი არსებობდა. ამის მაჩვენებელია „ზარია

---

123 Г. Гришевский. «Заря Востока» 1928, 4. 7. № 153.

124 В. Беридзе. Изобразительное искусство и архитектура Грузии. კრებული Путь советского искусства. М., 1968, გვ. 227.

უოსტოკას“ რედაქციის შენობა, ან „ნტო“ კულტურის სასახლის საკონკურსო პროექტი და სხვ. ის არქიტექტორებიც, რომლებიც სადა და მარტივი არქიტექტურის პოზიციებზე დგანან, სხვა შემთხვევაში (ე. ი. მაშინ, როცა მათ მიაჩნიათ, რომ კონკრეტული პირობები სხვაგვარ მოთხოვნილებებს სვამენ) უარს არ ამბობენ არც დეკორის გამოყენებაზე. ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ იქნება არქ. ნ. სეეროვის ორი ნამუშევრის გახსენება: საქართველოს მუზეუმის ფასადისა და საქართველოს კპ ცკ-ის შენობისა. ორივეს აკავშირებს შინაარსისა და დანიშნულების შესაფერი ხუროთმოძღვრული სახის შექმნის ცდა. ის რომ ერთში არის, ხოლო მეორეში არ არის ნახმარი არქიტექტურული სამკაულები, იმაზე მეტყველებს, რომ არქიტექტორი დეკორის წინააღმდეგი კი არ იყო, როგორც ამას კონსტრუქტივიზმის ზოგი თეორეტიკოსი თხოულობდა[125], არამედ ორნამენტს იყენებდა მაშინ, როდესაც ამას არქიტექტურული ლოგიკა, კონკრეტული ამოცანა კარნახობდა. მუზეუმის შენობაში, გარდა შინაარსობრივი მხარისა, თვით ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე გამომავალი კედლის სიბრტყე მოითხოვდა დეკორს; ამას გარდა, აქ უნდა შექმნილიყო პროსპექტისათვის შესაფერი ნაგებობის მასშტაბი, რასაც მხოლოდ შენობის აბსოლუტური ზომები ვერაფრით ვერ განსაზღვრავდნენ. დეკორაციული არქიტექტის თემით, რომელიც უკავშირდება რიზალიტთა თაღისებრ ნიშნებს, შეიქმნა რუსთაველის პროსპექტის შესაფერი არქიტექტურული მასშტაბი.

მაშასადამე, როცა ასეთი ფასადის ავტორი თითქმის იმავე დროს აპროექტებს და აშენებს სახლებს, რომელთა ხუროთმოძღვრული სახის ზემოქმედება სისადავეს, ფუნქციური გადაწყვეტის რაციონალურობასა და გეომეტრიულ ფორმათა ლაკონიურ ხმარებას ემყარება—ამ მოვლენის მხოლოდ „მოდური“ გატაცებებით ახსნა იოლი გზა იქნებოდა. ძიების ამ პერიოდში კონსტრუქტივიზმის რაციონალური საწყისები, ბუნებრივია, თავის გავლენას ახდენდა, მაგრამ

---

125 მაგ., ადოლფ ლოოსის ცნობილი ლოზუნგი — „ძირს ორნამენტი“, ან აუდის გალაშქრება ორნამენტებისა და საერთო მორთულობის წინააღმდეგ... „ხელოვნებაში ყოველგვარი მორთულობა მეორეხარისხოვანია: — იგი შინაგანი დეფიციტის გარეგნული ექვივალენტია, ორგანო კი არა, დანამატია, სამშენებლო ხელოვნებაში მორთულობა აუცილებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არ შესწევთ უნარი გაფორმებაში ესთეტიკურ შედეგს მიაღწიონ საკუთარი საშუალებებით.

საერთო არქიტექტურულ ორგანიზმთან შეფარდებით მორთულობა ყოველთვის გამოსახავს არა გარეგნულ ჰარმონიას, არა შინაგან ენერგიას, არამედ მხოლოდ კავშირს .ეს კავშირი შეიძლება იყოს ზერელე — როგორც რენესანსის დროს იყო, ან უფრო ღრმა, როგორც გოთიკაში, მაგრამ იგი ვერასოდეს ვერ წარმოგვიდგება კონტრასტად და დაძაბულობად“ (იხ. «Архитектура современного Запада», М.. 1932, გვ. 79).

ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებაც ბევრისათვის არ იყო მეორადი მნიშვნელობისა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია მ. მაჭავარიანის 1927 წელს გამოქვეყნებული წერილი: „ეჭვს გარეშეა, რომ კონსტრუქტივიზმის მიმართულება თავის დადებით, საღ შედეგს მოიტანს, სახელდობრ, მას, რომ ის გასწმენდს კომპოზიციას იმ გადამეტებულ, ცრუ წარმოდგენისაგან, რომლის მიხედვით კომპოზიცია თითქმის მარტო ფასადის ღირსებით ფასდებოდა, ისეთი ფასადის, რომელიც ორგანულად არ იყო დაკავშირებული გეგმასთან, არ გამომდინარეობდა მისგან და არამც თუ სრულებით არ ამჟღავნებდა კონსტრუქციას და შენობის შინაგან მოცულობის ხასიათს, არამედ ზოგჯერ განზრახ მალავდა მას..., თუ მასალასა და კონსტრუქციას ვარგუნეთ გადამწყვეტი მნიშვნელობა, მომავალი ფასადისა და შენობის გარეგან შესაძლო გამოსახვის წინასწარ წარმოუდგენლად და მის შეუფარდებლად ჩვენ გვექნება უსულო, თუმცა კი გამძლე ჩონჩხი, მასალა პრაქტიკულად გამოყენებული იქნება—ნამდვილი ქართული სტილის სულსა და ხასიათის გადმოცემას მეტად დავშორდებით და შეიძლება, სრულებითაც ვერ შევქმნათ ქართული სტილის მომავონებელი რამ. მაშასადამე ჩვენს სტილში არ უნდა ჰქონდეს ადგილი ფეტიშიზმს და კონსტრუქტივიზმის უაღრესად განხორციელება-გაღმერთებას... საჭიროა წლები, საჭიროა მრავალი შენობის აგება, რომ სიმრავლეში და სხვადასხვაობაში გამოისახოს ქართული სტილის სხვადასხვა მიდრეკილებანი, რომ შესრულებულ ნაშენთა და პარალელურად ამასთან მეცნიერულ და სხვა მუშაობის გაღრმავებასთან ერთად, თანდათანობით ჩამოყალიბდეს ქართული სტილი, შეიძლება ბევრი შეცდომაც მოგვივიდეს, მაგრამ შეცდომების არ უნდა შეგვეშინდეს“ [126]. აქ აშკარად ჩანს, რომ საკითხი ეხებოდა ახალი არქიტექტურის შემოქმედებით მიმართულებას და მის განვითარებას მემკვიდრეობის ათვისების ასპექტში: არა განყენებული ნოვატორობა[127], არამედ ადგილობრივი პირობების გათვალისწინება, რომელიც მხატვრულ ტრადიციებსაც გულისხმობდა.

ეროვნული ტრადიციების გამოყენების საკითხი არქიტექტურაში უკავშირდებოდა ცნობილ მითითებებს შინაარსით პროლეტარული და ფორმით ეროვნული კულტურის შესახებ. ამ დროს პირველად იქნა განსაზღვრული სოციალისტური რეალიზმის არსი, როგორც საბჭოთა ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდისა. საბჭოთა არქიტექტურის შემდგომი განვითარებისათვის ამ

---

126 მ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი — ქართული ხუროთმოძღვრება და მისი პერსპექტივების შესახებ. „ტექნიკა და ცხოვრება“. № 11—12. 1927. გვ. 46—47.

127 იმის შესახებ, რომ ჩვენში კონსტრუქტივიზმმა ზედმეტად, გადაჭარბებით შეაფასა. ნოვატორობა იხ. Э. Гр. шка. Разви.ие градос.рои:ельс.ва. Брагислава. 1953. გვ. 212.

მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოების სასახლის მშენებლობის საბჭოს 1932 წ. 28 თებერვლის დადგენილებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „გარკვეული სტილის წინასწარ განსაზღვრის გარეშე, მშენებლობის საბჭო თვლის, რომ ძიებანი თანამედროვე არქიტექტურულ-სამშენებლო ტექნიკის მიღწევებთან ერთად მიმართული უნდა იყოს როგორც ახალ, ისე კლასიკური არქიტექტურის საუკეთესო ხერხების გამოყენებისაკენ“[128].

ამრიგად, ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების პირველი ეტაპი შემოქმედებით მიმართულებათა შინაგანად დაძაბულ ძიებათა პერიოდი იყო. თანდათან ისახებოდა ახალი არქიტექტურის გზა.

* * *

ქართულმა არქიტექტურამ, რომლის ისტორია განუყოფლადაა დაკავშირებული საბჭოთა არქიტექტურის მთელ მსვლელობასთან, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და ეს გამოხატულობას პოულობდა ქალაქთმშენებლობის თუ ცალკეულ ნაგებობათა არქიტექტურაში.

სოციალისტურმა საზოგადოებრივმა წყობილებამ არქიტექტურას სრულიად ახალი გზები დაუსახა. საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებიდან, როცა დაიწყო ქალაქთა მეურნეობის მოწესრიგება, ხოლო შემდეგ ქალაქთა რეკონსტრუქცია და ახალი განაშენიანება, ჩნდება მრავალი ახალი ნაგებობა, რომელთა დანიშნულება ძველ შენობათაგან განსხვავებულია თავისი სოციალური მნიშვნელობითა და ხასიათით. იქმნება შენობათა ახალი ტიპები — საწარმოო, საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი დანიშნულებისა, რომელთა არქიტექტურის გადაწყვეტაში უმთავრესი — საბჭოთა ადამიანზე ზრუნვაა. საბჭოთა არქიტექტურა მოწოდებულია დააკმაყოფილოს ხალხის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი.

ახალი საცხოვრებელი კომპლექსები პირველადი მომსახურების ობიექტებით, ტიპობრივი სექციებისა და სახლების გამოყენება, კლუბებისა თუ შრომის სასახლის დაპროექტება ,საკურორტო ნაგებობები, სკოლები ,ადმინისტრაციული თუ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები — როცა ყველაფერი გამიზნულია ცხოვრების, შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისაკენ, არა მარტო ახალი ყოფის შესაფერ პირობებს ქმნიდა, არამედ თვით არქიტექტურულ შემოქმედებასაც ახლებურად წარმოადგენდა.

---

128 За социалистическую архитектуру. М., 1937, стр. 10.

მართალია, ჯერ კიდევ ხშირი იყო მცდარი გადახრები ამა თუ იმ არქი-ტექტურული ნაგებობის ტიპის შემუშავებაში (საცხოვრებელი სახლების და-გეგმარებაში, კულტურის სახლის პროექტირებაში და სხვ.). მშენებლობა ჯერ კიდევ ხშირად პრიმიტიული წესით წარმოებდა ტექნიკურ-საწარმოო ბაზის უქონლობის გამო, მაგრამ ძირითადი ტენდენციები თანდათან მტკიცდებოდა და შემდგომი განვითარების საფუძველს ქმნიდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზრუნვა ეროვნულ არქიტექტურულ კადრებზე რაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის შემოქმედებითი მიმართულების, სტილის ჩამოყალიბების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერთი მხრივ რაციონალისტურ და კონსტრუქტივისტულ არქიტექტურაზე დაფუძნებულ საბჭოთა არქიტექტურის ახალი მიმართულების დანერგვას, ხოლო მეორე მხრივ — ეროვნული ტრადიციების გამოვლენისადმი მისწრაფებას. განვითარების ეს ორი ხაზი, მიუხედავად ზოგიერთი ცდისა, ძირითადად პარალელურად მიემართებოდა, ვერ პოულობდა ორგანულ შერწყმას. აღსანიშნავია, რომ ეროვნული არქიტექტურისადმი მისწრაფება, მიუხედავად მიღებული შედეგებისა, ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ერთ-ერთი სპეციფიკური მხარეა. მართალი მხატვრული სახეების მიღწევა სადა, ლაკონიურ, ფუნქციურად გამართლებულ არქიტექტურული ფორმებით, რაც ახალ ნაგებობათა პრაქტიკულ დანიშნულებას ემსახურებოდა — ფაქტიურად სოციალისტური არქიტექტურის შემოქმედებითი პრინციპების ძიების მაჩვენებელი იყო, ძიებისა, რომელიც შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევით მიემართებოდა წინ.

დასასრულ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ქართული არქიტექტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამ მონაკვეთზე ქართული არქიტექტურა კვლავ იბრუნებს თავის შემოქმედებითი სახის გამოვლენის შესაძლებლობას, რაც მას რევოლუციამდელ პერიოდში ფაქტიურად დაკარგული ჰქონდა. ქართული არქიტექტურა თავისი განვითარების ახალ, საბჭოურ პერიოდს შეუდგა, რომელიც სრულიად ახალ, მანამდე არნახულ ამოცანებს ისახავდა თავის წინაშე და რომელიც ჭეშმარიტად მაღალ პროფესიულ ხელოვნებას მოითხოვდა ხუროთმოძღვრების რთული პროფესიის ყველა დარგში. ეს კი ქართული არქიტექტურის ევოლუციის მთელ მანძილზე ახალი საფეხურის მაჩვენებელი და დიდმნიშვნელოვანი მიღწევების მაუწყებელი იყო.

ნაწილი მეორე

1933—1954

1 არქიტექტურის განვითარების საერთო პირობები

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების მეორე პერიოდი მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა არქიტექტურის მთელს მსვლელობასთან და ორი ეტაპისაგან შედგება: ომამდელი და ომისშემდგომი ეტაპებისაგან. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მეორე და მესამე ხუთწლედები, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომი ხუთწლედები — უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენებია, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაზე. ამ პერიოდში არქიტექტურა, მისი შემოქმედებითი მიმართულების სტილისტიკური ნიშნები ერთ დამახასიათებელ სურათს ქმნიან. ეს ნიშნები თანდათანობით ვლინდება 30-იანი წლების დასაწყისიდან 50-იანი წლების შუამიჯნამდე და ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების საერთო ფონზე ერთიან მონაკვეთს წარმოადგენს. შემოქმედებითი მიმართულების, სტილის განვითარების თვალსაზრისით, ქართული საბჭოთა არქიტექტურის ეს მეორე პერიოდი აერთიანებს ომამდელ და ომისშემდგომ ეტაპებს, რომლებიც, ფაქტიურად, ერთისა და იმავე არქიტექტურული ტენდენციის სხვადასხვა საფეხურებია. თუ ქართული საბჭოთა არქიტექტურის პირველ პერიოდში (1921—1932) აშკარა იყო ერთი მხრივ რაციონალისტური და კონსტრუქტივისტული არქიტექტურის საფუძველზე აგებული ახალი შემოქმედებითი მიმართულების ძიებანი, ხოლო, მეორე მხრივ, ძიებანი, მიმართული ეროვნული ფორმების გამოყენებისაკენ, ახლა არქიტექტურა მემკვიდრეობის ათვისების გზას დაადგა. ამ გზაზე, ამ პერიოდის ორივე ეტაპზე, მას თავისი დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა, მაგრამ საერთო ტენდენცია არ შეცვლილა, ვიდრე პარტიისა და მთავრობის 1954 და 1955 წლების ცნობილმა მითითებებმა საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში პრინციპული მნიშვნელობის გარდატეხა არ შეიტანა.

მეორე და მესამე ხუთწლედების მანძილზე ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში, ისევე, როგორც მთელს საბჭოთა ხუროთმოძღვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება. ოცდაათიანი წლების პირველი ხანა — ეს არის საბჭოთა

არქიტექტურის შემოქმედებითი მიმართულების გარდაქმნის წლები. კონსტრუქტივისტების ძირითადი შეცდომა, რომელიც ნაწარმოების კონკრეტულ სოციალურ გარემოსაგან მოწყვეტაში, ან ე. წ. „კოსმოპოლიტურ აბსტრაქტულობაში“[1] იყო, ბუნებრივად იწვევდა ბრძოლას მის წინააღმდეგ. კონსტრუქტივიზმს აკრიტიკებდნენ იმის გამოც, რომ იგი მოკლებულია მონუმენტურობას, არქიტექტურულ ფორმათა საზეიმო ხასიათს. ეს ის წლებია, როცა თადნათანობით ვრცელდება რაციონალიზმისა და კონსტრუქტივიზმის კრიტიკითა და არქიტექტურულ ფორმათა „მონუმენტალობით“ გამოწვეული ნიშნები. როცა კონსტრუქტივიზმის უარყოფასთან ერთად, ახალ ნაგებობათა არქიტექტურაში ჩნდება ძველ, ტრადიციულ ფორმათა გამოყენება და მისწრაფება მონუმენტურობისაკენ და როცა მემკვიდრეობის ათვისების პრობლემა პირველ პლანზე გადმოდის. არქიტექტურა თანდათანობით იძენს იმ სტილისტიკურ ნიშნებს, რომლებიც მთელი ძალით გამოვლინდა ომის შემდგომ პერიოდში.

არქიტექტურის განვითარება, ისევე როგორც წინა პერიოდში, განუყოფლადაა დაკავშირებული საბჭოთა ქვეყნის მიღწევებთან სამეურნეო და კულტურულ დარგში. მეორე და მესამე ხუთწლედების პერიოდი არის გრანდიოზული მშენებლობის ხანა; რომელიც უშუალო შედეგი იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზმის შედეგად მოპოვებული მიღწევებისა.

სახალხო მეურნეობის განვითარებაში დიდ წარმატებებს მიაღწია საქართველომაც. ეს აშკარად იყო გამოხატული საკ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მოლოცვაში 1936 წელს: „თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე საბჭოთა საქართველო სანიმუშო საბჭოთა რესპუბლიკად გადაიქცა. მისი მზარდი მრეწველობა, მისი მზარდი სოფლის მეურნეობა იძლევიან ისეთ ძვირფას პროდუქტებს, როგორიცაა: მარგანეცი, იშვიათი ლითონები, ციტრუსოვანი კულტურები, ჩაი, ღვინო, თამბაქო, ბამბა, სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს მუშათა, კოლმეურნეთა, ყველა მშრომელის კულტურული დონე და კეთილდღეობა“[2]. მაღალი იყო მრეწველობის განვითარების ტემპი — უფრო სწრაფიც კი ვიდრე საბჭოთა კავშირში საერთოდ. 1913 წელთან შედარებით, 1936 წლისათვის საქართველოს მრეწველობა 19-ჯერ გაიზარდა. აგებული ან მთლიანად რეკონსტრუირებული იყო 117 დიდი საწარმო, რომელთა ხვედრითი წონა საქართველოს მრეწველობის ძირითადი ფონდის 96,7 პროცენტს შეადგენდა[3]. ასეთივე მიღწევები იყო სოფლის მეურნეობის დარგშიც.

[1] Э. Грушка. Развитие градостроительства. Братислава. გვ. 214.

[2] XV лет Грузинской ССР. Партиздат ЦК ВКП(б). 1936. გვ. 6.

[3] საქართველოს ისტორია, ტ. III, თბ., 1969, გვ. 143.

მშენებლობამ მოიცვა საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. მიმდინარეობს გეგმაზომიერი მუშაობა ქალაქთა სოციალისტური რეკონსტრუქციისა და გენერალური დაგეგმარების მხრივ, რომელშიც განსაკუთრებული როლი ითამაშა მოსკოვის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შედგენამ. სკპ(ბ) ცკ-სა და სსრკ სახკომსაბჭოს 1935 წ. 10 ივლისის დადგენილება „მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესახებ“ სახელმძღვანელო დოკუმენტი გახდა ქალაქთა სოციალისტური გარდაქმნისა და განაშენიანებისათვის.

საბჭოთა ქალაქების რეკონსტრუქციასთან იყო დაკავშირებული მრავალი სამრეწველო, საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობა. შენდება ისეთი რთული არქიტექტურულ-სამშენებლო ობიექტები, როგორიცაა მოსკოვის მეტროპოლიტენი და მოსკოვ-ვოლგის არხი. 1934 წელს დამტკიცდა საბჭოების სასახლის პროექტი. აშენდა მთელი რიგი ნაგებობების, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა ხუროთმოძღვრების მთელს განვითარებაში. კონკურსმა საბჭოების სახლის პროექტზე (1932—33) მთელი ძალით წამოსწია წინა პლანზე არქიტექტურაში მონუმენტური ფორმებისა და ძველი ტრადიციების განვითარების ტენდენცია.

1935 წლის დეკემბერში სკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია სპეციალური თათბირი მშენებლობის საკითხებზე, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაზე.

უკვე მაშინ აღინიშნა, რომ ზოგი არქიტექტორი გართულია საქმის გარეგნული მხარით და ხშირად ნაცვლად იმისა, რომ შენობათა შიდა დაგეგმარებასა და კონსტრუქციებზე იზრუნოს, პირველ პლანზე წამოწეული აქვს ლამაზი ფასადი, „ლამაზი ნახატი“. ისტორიამ დაასაბუთა ამ გაფრთხილების სამართლიანობა, მაგრამ წლების მანძილზე მისი მნიშვნელობა საკმარისად ვერ იყო დაფასებული[4]. ამ თათბირის მასალები საფუძვლად დაედო სკპ(ბ) ცკ-ის და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას „სამშენებლო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის გაიაფების შესახებ“ (11.2.1936), რომელიც ძირითად ამოცანად სახავდა საშენი მასალების მრეწველობის მნიშვნელოვან საწარმოთა რეკონსტრუქციას და იმას, რომ წარმოების მოწინავე ინდუსტრიული მეთოდებით მიღწეული ყოფილიყო შრომის მაღალი ნაყოფიერება, ხარისხის ამაღლება და პროდუქციის თვითღირებულების მკვეთრი შემცირება.

მთელმა რიგმა ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა მკვეთრად გააუმჯობესეს სამშენებლო საქმე. მაღალკვალიფიციურმა ტექნიკურმა კადრებმა ამაში გარ-

---

4 Архитектура гражданских и промышленных зданий. М., 1962. გვ. 245.

კვეული როლი ითამაშეს. თანდათანობით უფრო მეტ ადგილს იკავებს შრომის პროცესების მექანიზაცია და მშენებლობის პროგრესული მეთოდების დანერგვა.

პროექტების ტიპიზაციისა და სამშენებლო ელემენტების სტანდარტიზაცია დაუკავშირდა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციას, თუმცა ამ მხრივ ჩამორჩენილობა მაინც საგრძნობი დარჩა. საშენი მასალების წარმოება, მექანიზმების რაოდენობა ჯერ კიდევ ვერ წვდებოდა მოთხოვნილებებს. მშენებლობის მასშტაბები და ტემპები წინ უსწრებდა მათ.

1932 წელს სკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება არქიტექტურული განათლების გაუმჯობესების შესახებ[5]. პარტიის XVII ყრილობაზე აღნიშნულ იქნა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ხარისხი ჯერ კიდევ მოიკოჭლებს და რომ ეს ეხება არქიტექტურული კადრების მომზადებასაც. 1934 წელს შეიქმნა სსრკ არქიტექტურის აკადემია, რომელსაც საბჭოთა არქიტექტურის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების დამუშავების მრავალფეროვანი ფუნქციები დაეკისრა. 1934 წლის თებერვალში ჩატარდა საკავშირო თათბირი არქიტექტურული განათლების საკითხებზე[6]. ყველაფერი ეს აშკარად მეტყველებდა, რომ საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ არქიტექტურას.

ამის კიდევ ერთი დადასტურება იყო არქიტექტურული ძალების შეკავშირება. ჯერ კიდევ 1932 წელს სკპ (ბ) ცკ-ის 23 აპრილის აღნიშნული დადგენილების საფუძველზე გაუქმდა ყველა შემოქმედებითი დაჯგუფება. საბჭოთა არქიტექტურის წინაშე მდგომი საერთო ამოცანები აუცილებლად ხდიდა საბჭოთა კავშირის არქიტექტურული ძალების გაერთიანებას, მუდმივ შემოქმედებით კონტაქტებს, გამოცდილების გაზიარებასა და სხვ. ამ ამოცანებს ემსახურებოდა 1937 წლის ივნისში მოწვეული საბჭოთა არქიტექტორების I საკავშირო ყრილობა. ყრილობამ განიხილა საბჭოთა ხუროთმოძღვრების წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი შემოქმედებითი თუ ორგანიზაციული საკითხები და მიიღო არქიტექტორთა კავშირის წესდება. მასში აღნიშნულია, რომ „საბჭოთა არქიტექტურის ძირითად მეთოდს სოციალისტური რეალიზმი წარმოადგენს. არქიტექტურის დარგში სოციალისტური რეალიზმი ნიშნავს მხატვრული სახის იდეურობისა და სიმართლის შერწყმას ყოველი ნაგებობის მეტი სრულყოფილებით შეთავსებისას ტექნიკურ, კულტურულ და ყოფით მოთხოვნილებებთან, რაც მშენებლობის მაქსიმალურ ეკონომიურობასთან და ტექნიკურ სრულყოფასთან არის დაკავშირებული. საბჭოთა არქიტექტურა უნდა მიისწრაფოდეს ტექნიკურად სრულყოფილ, ეკონომიურ, მოხერხებულ

[5] Советская архитектура, 1969, № 18, გვ. 60.

[6] «Архитектура СССР», 1936, № 4, გვ. 72.

და ლამაზ ნაგებობათა შექმნისაკენ, რომლებიც სოციალისტური ცხოვრების სიხარულს, ჩვენი ეპოქის იდეების სიდიადეს და მისწრაფებებს უნდა ასახავდეს"[7]. ეს ფორმულირება, როგორც შემდგომმა არქიტექტურულმა პრაქტიკამ დაგვისაბუთა, სწორად აღნიშნავდა არქიტექტურულ ამოცანათა კომპლექსურ გადაწყვეტას, მაგრამ აქ ნაკლებად იყო აღნიშნული ფუნქციური და ტექნიკურ-ეკონომიური საფუძვლები არქიტექტურული შემოქმედებისა[8].

არქიტექტურის ფართო ასპარეზზე გამოსვლა აღინიშნებოდა საბჭოთა კავშირის ცალკეულ რესპუბლიკებში და, ბუნებრივია, საქართველოშიც. ამ დროისათვის თავის ნაყოფს იღებს არქიტექტურულ კადრებზე ზრუნვა, რასაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მიექცა ყურადღება[9]. უფროსი თაობის არქიტექტორებთან ერთად ფართო ასპარეზი ეძლევა ახალგაზრდებს, რომლებიც ძირითადად თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილნი არიან და უკვე საკმაო ძალას წარმოადგენენ. ამის დამადასტურებელია როგორც ცალკეული ობიექტების დაპროექტება, ისე კონკურსებში გამარჯვება და სხვ.

ქართული არქიტექტურის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი ითამაშა საქართველოს კპ(ბ) თბილისის კომიტეტისა და თბილისის საბჭოს გაერთიანებული პლენუმის დადგენილებამ თბილისის კომუნალური მეურნეობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების შესახებ (22—23.9. 1933). პლენუმის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ უზრუნველყოფილი უნდა იქნას თბილისის გენერალური გეგმის სასწრაფო დამთავრება, შეიქმნას თბილისის საბჭოში გეგმარებითი-არქიტექტურული ბიურო ქალაქის ცალკეული ნაკვეთების დეტალური დაგეგმარებისათვის; გაუმჯობესდეს ხარისხი და ტიპები საცხოვრებელი სახლისა; გაშენდეს მტკვრის სანაპიროები, როგორც ქალაქის უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო მაგისტრალები; მოწესრიგდეს ფასადთა არქიტექტურა ცენტრალურ მაგისტრალებზე; დიდი ყურადღება მიექცეს გამწვანებას, ტრანსპორტს და სხვ. ე. ი. დასახულ იქნა კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებანი ქალაქის შემდგომი განვითარებისა და რეკონსტრუქციისათვის[10].

1934 წლის 15 თებერვალს შედგა საქართველოს არქიტექტორთა ყრილობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს არქიტექტორთა კავშირს. ეს იყო, ფაქტიურად, პირველი სერიოზული ნაბიჯი ქართველ არქიტექტორთა შემოქმედებითი გაერთიანებისა. წლის დასასრულისათვის კავშირის წევრთა

---

7 Устав Союза Советских Архитекторов СССР. 1937, გვ. 10.

8 ამაზე სამართლიანად მიუთითებს „История Советской архитектуры" М., 1962, გვ. 100.

9 იხ. I თავი

10. „ბოლშევიკი", 1933, № 9.

რიცხვი უკვე 160 კაცს შეადგენდა[11]. რესპუბლიკაში თანდათანობით იზრდება პროფესიონალ არქიტექტორთა რიცხვი და 1936 წლისათვის თბილისში 187 არქიტექტორი მუშაობს, ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებში 57[12].

საქართველოს არქიტექტორთა შემოქმედებითმა კავშირმა დიდი მუშაობა გაშალა. აღსანიშნავია თბილისის არქიტექტორთა კონფერენცია (25—27.12. 1934), რომელზედაც ფართო დისკუსია გაიშალა თბილისის დაგეგმარების საკითხებზე. კონფერენციამ განიხილა თბილისის დაგეგმარების და განაშენიანების გენერალური პროექტი, რომლის დამუშავება მნიშვნელოვან მოვლენად იყო აღიარებული. ამ პროექტთან ერთად განხილულ იქნა ისეთი ახალშენებლობანი, როგორიც იყო მთავრობის სახლი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობა, „დინამოს“ სტადიონი და ბევრი სხვა.

დედაქალაქის გენერალური გეგმის შედგენამ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსახლეობის ფართო ფენებში. ეწყობოდა საქმიანი განხილვა პროექტისა, რომელშიც მონაწილეობდნენ თითქმის ყველა დარგის სპეციალისტები. 1935 წლის მარტში თბილისის რეკონსტრუქციის გენერალური პროექტი კომუნალური მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მოსკოვში განიხილა და მაღალი შეფასება მისცა მას[13].

1935 წელს თბილისში მოეწყო ორი გამოფენა: ერთზე წარმოდგენილი იყო იმდროინდელი არქიტექტურის უმთავრესი შენობები და საპროექტო მასალა, ხოლო მეორე გამოფენა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს მიეძღვნა. ამ გამოფენათა მნიშვნელობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი აჯამებდენ განვლილი მუშაობის შედეგებს, უჩვენებდენ იმ დიდ წარმატებებს, რომლებსაც ქართულმა საბჭოთა ხუროთმოძღვრებამ მიაღწია ერთი მხრივ პრაქტიკულ მოღვაწეობაში, ხოლო მეორე მხრივ ქართული ისტორიული არქიტექტურის შესწავლის საქმეში. არსებითად ეს პირველი ანგარიში იყო ჩატარებული მუშაობისა. ნიშანდობლივია, რომ როგორც მაშინ იყო აღნიშნული, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენას „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ მეტად დიდი ყურადღების გამო, რომელიც დღეს მთელ საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში ექცევა კლასიკური მემკვიდრეობის საფუძვლიანად შესწავლასა და კრიტიკულად ათვისებას“[14]. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გამოფენას წინ უძღვოდა პროფ. გ. ჩუბინაშვილის ლექ-

[11] „კომუნისტი“, 1934. 20.2, № 43.

[12] „კომუნისტი“, 1936 18.2, №.40.

[13] Большой Тифлис. «Архитектурная газета», 1935, 23. 3, № 17.

[14] ვ. ბერიძე. ხუროთმოძღვრის დღიური. „საბჭოთა ხელოვნება“, 1935, № 5. გვ. 80. იხ. აგრეთვე, მისივე, საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა. „მნათობი“, 1936, № 5.

ციების ციკლი ქართული არქიტექტურის ისტორიიდან, რომელიც არქიტექტურული საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა.

1936 წელს ჩატარდა საქართველოს არქიტექტორთა ყრილობა, რომელსაც ფართო რეზონანსი ჰქონდა რესპუბლიკაში[15]. ყრილობის წინაშე დასმულია მეტად პასუხსაგები და საპატიო ამოცანები, რომლებიც შეეხება მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს. ყრილობამ პასუხი უნდა გასცეს სოციალისტური ქალაქების მრეწველობის, საკოლმეურნეო სოფლის, კულტურული მშენებლობის მზარდ მოთხოვნილებებს. ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არქიტექტურული აზრის თვითგამორკვევისა და შემდგომი ზრდისათვის..."[16]. ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებათა თემატიკა თავისებური გამოხატულება იყო იმ პრობლემებისა, რომლებიც მთელი სიგრძე-სიგანით იყო დასმული არქიტექტურის წინაშე. გარდა ძირითადი მოხსენებისა (ი. ყირქესალი და ნ. სეველოვი — „საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების ამოცანების შესახებ") მოსმენილ იქნა მოხსენება თბილისის სოციალისტური რეკონსტრუქციის შესახებ, საქართველოს კურორტების დაგეგმარების შესახებ, მოხსენებები საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და სამრეწველო ნაგებობათა არქიტექტურაზე, სპორტულ ნაგებობათა არქიტექტურის შესახებ. ყრილობამ მოისმინა აგრეთვე ვრცელი მოხსენება პროფ. გ. ჩუბინაშვილისა, რომელშიც ქართული არქიტექტურის ისტორიის ევოლუციის გზები იყო ნაჩვენები.

ყრილობის გარშემო გამოქვეყნებულ მასალებს წითელ ზოლად გასდევს აზრი მემკვიდრეობასთან დამოკიდებულების შესახებ. „ჩვენი პარტია მუდამ მიუთითებდა მეცნიერების და ხელოვნების კლასიკურ მემკვიდრეობის გულდასმით შესწავლისა და კრიტიკული ათვისების აუცილებლობაზე, თანამედროვე მიღწევების კაცობრიობის განვლილ ისტორიულ პერიოდის მიღწევებთან სათანადოდ შეზავების აუცილებლობაზე. აი, რატომ აქვს ყრილობის მუშაობას აქტუალური მნიშვნელობა. იგი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს ბრძოლის აუცილებლობას საბჭოთა არქიტექტურისათვის ყველა მიუღებელ ტენდენციის წინააღმდეგ, არა მარტო „კონსტრუქტივიზმის" და ძველქართულ არქიტექტურის არაკრიტიკულ ათვისების წინააღმდეგ, არამედ ეკლექტიზმისა და არქიტექტურისადმი მეშჩანურ დამოკიდებულებების წინააღმდეგ"[17].

ოცდაათიანი წლების შუა ხანისათვის კონსტრუქტივიზმის გავლენა თითქ-

---

15 «Заря Востока». 1936, 8, 2, № 31.

16 საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების ყრილობა. საქ. საბჭოთა არქიტექტორების კავშირის ერთდროული გაზეთი. 1936. თებერვალი.

17 იქვე.

მის სრულიად მოისპო. საქართველოში ამას წინააღმდეგობა არც შეხვედრია, ალბათ იმის გამო, რომ იგი ორგანული არ იყო, შედარებით გვიან შემოვიდა და ვერ მოასწრო შესისხლხორცებოდა ქართულ არქიტექტურას. დამახასიათებელია, რომ იმ დროისათვის მთელი რიგი პროექტებისა და მშენებარე კონსტრუქტივისტული ნაგებობანი გადაკეთებულ იქნა. სამკურნალო სამმართველოს საავადმყოფო (1932), წიგნის სახლის (1932), სამედიცინო ინსტიტუტის კორპუსები (1934), სომხური დრამის თეატრი და სხვათა პროექტები შეცვლილ იქნა. 1935 წელს გამოცხადდა კონკურსი კავშირგაბმულობის სახლის ფასადის შეცვლაზეც[18].

მაგრამ კონსტრუქტივიზმის ასე, შედარებით იოლი ჩამოცილება როდი ნიშნავდა იმ საკითხთა გადაჭრას, რომლებიც მთელი სიგრძე-სიგანით იდგა ქართული ხუროთმოძღვრების წინაშე.

ეს პერიოდი მდიდარია სხვადასხვა დისკუსიებით არქიტექტურის საკითხების ირგვლივ, რომელთა შორის უმთავრესად კულტურული მემკვიდრეობის ათვისების საკითხი ისმის. ეს პრობლემა მარტო არქიტექტურას როდი შეეხებოდა. სკპ(ბ) ცკ-ის 1932 წ. 23 აპრილის დადგენილების შემდეგ სრულიად ახლებურად იქნა შეფასებული ეროვნული მემკვიდრეობა ლიტერატურასა თუ ხელოვნების დარგებში. შეიცვალა დამოკიდებულება კლასიკური ხელოვნების ძეგლებისადმი.

კლასიკური არქიტექტურის კომპოზიციური ხერხებისა და მოტივების გამოყენება შესაძლებლობას იძლეოდა დასრულებული არქიტექტურული ნაგებობის შექმნისა, როცა მასათა ურთიერთშეფარდება თუ დეკორაციული მორთულობა უკვე შემუშავებულ ნიმუშებს ემყარებოდა. ამის მაგალითს რენესანსული არქიტექტურა იძლეოდა, რომლის მემკვიდრეობასაც მიაშურა მთელმა რიგმა არქიტექტორებისა. მეორე მხრივ, მემკვიდრეობის ათვისების თვალსაზრისით დიდ მასალას იძლეოდა ქართული ხუროთმოძღვრება.

ეროვნული მემკვიდრეობისადმი ინტერესს აღვივებდნენ მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც, რომლებიც ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების იუბილეებთან იყო დაკავშირებული: 1937 წელს საზეიმოდ იქნა აღნიშნული ილია ჭავჭავაძის იუბილე, 1934 წლიდან დაიწყო დიდი სამზადისი შოთა რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავად, რომელიც 1937 წელს ჩატარდა, 1940 წელს აღინიშნა აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავი და სხვ. ეს ღონისძიებები, რომლებშიც მთელი საბჭოთა ქვეყანა მონაწილეობდა, ნაყოფიერი იყო საბჭოთა საქართველოს კულტურული ცხოვრებისათვის, სოციალისტურ ერთა განვითა-

---

[18] ვ. ბ ე რ ი ძ ე. ხუროთმოძღვრის დღიური. „საბჭოთა ხელოვნება", 1935, № 5.

რებაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა. რუსთაველის დღეებთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, არქეოლოგიური გათხრები და ხელოვნების და ლიტერატურის ძეგლთა შესწავლა, გამოფენების მოწყობა, კონკურსების მოწყობა მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა ეროვნული მემკვიდრეობის გამოვლენისა და ახლებურად გააზრების თვალსაზრისით.

მაგრამ ხუროთმოძღვრებაში ძალზე ძნელი აღმოჩნდა ეროვნული არქიტექტურის პრობლემის გადაჭრა. ამას ხელს უშლიდა ისიც, რომ არქიტექტორების უმრავლესობა ჯეროვნად არ იცნობდა არქიტექტურის თეორიასა და ისტორიას, და მემკვიდრეობის ათვისების ამოცანაზე მხოლოდ ზერელე წარმოდგენა ჰქონდა. აქედან გამომდინარეობდა ის არქაიზაცია და ეკლექტიზმი, რომელიც არა მარტო ეროვნული არქიტექტურის, არამედ „კლასიკური“, „რენესანსული“ არქიტექტურის ფორმების გამოყენებაში იჩენდა თავს.

კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების ლოზუნგი მხოლოდ მაშინ გამოიღებდა ნაყოფს, როცა შემოქმედებითად, ორგანულად გამომდინარეობდა ნაწარმოების არსიდან. ხოლო ნაძალადევად ნახმარი რომელიმე ცნობილი ელემენტი ან ფორმა, რა რიგ მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყო იგი კლასიკური არქიტექტურის გარკვეულ ეტაპზე, ეკლექტიზმის ფარგლებს ვერ გასცილდებოდა. როცა ქართული არქიტექტურის მემკვიდრეობის გამოყენებაზე ვლაპარაკობთ, აღსანიშნავია, რომ თუ ოციანი წლების არქიტექტურაში ქართული არქიტექტურისადმი მისწრაფება ციხე-სიმაგრეთა, კოშკებისა და სხვა ამგვარი საშუალებებით ისხამდა ხორცს, ახლა წინა პლანზეა ხაზგასმული დეკორაციულობა, სამკაულის მოძალება, ორნამენტებით მორთვა ფასადებისა და სხვ. ასეთი „გაფორმება“ შენობებისა, როცა ქართული ისტორიული არქიტექტურის რეპერტუარიდან აღებული ორნამენტების ყოფნა-არყოფნა ფაქტიურად არაფერს არ ცვლის შენობის არქიტექტურაში, რაღა თქმა უნდა, მოკლებული იყო ლოგიკას და „ეროვნული ფორმის“ ნაძალადევი პრეტენზია ჰქონდა.

ვიდრე გარკვეულ წარმატებებს მიაღწევდა, იმ შენობებში, რომლებშიაც ეროვნული მოტივები ორგანულად გამომდინარეობდა არქიტექტურულ ჩანაფიქრიდან („დინამოს“ სტადიონი, საქართველოს პავილიონი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში და სხვ.) ეროვნული ფორმის ძიების მთელი სირთულე განსაკუთრებით გამოჩნდა მთავრობის სახლის დაპროექტების კონკურსში (1932—35), რომელზედაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა „სტილისა“ და არქიტექტურული სახის შენობები, აღმოსავლური თუ ევროპული ხუროთმოძღვრების ელემენტებით, ქართული მოტივებითა და სხვ. პროფესიული ოსტატობისა, კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისა და გააზრების თვალ-

საზრისით: ამ კონკურსისაგან განირჩეოდა კონკურსი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის „მეტეხის“ პროექტის შესადგენად (1939).

უნიკალური არქიტექტურული ობიექტების მშენებლობა დიდ როლს თამაშობდა როგორც ქალაქთმშენებლობისათვის, ისე შემოქმედებითი მიმართულების გამოვლენის თვალსაზრისით: ეს ობიექტები საპროგრამო მოცემულობითვე განსაზღვრული იყო, როგორც ეპოქის მონუმენტური ძეგლები და თავიანთი არქიტექტურით სხვადასხვაგვარად გამოხატავდნენ ამას.

ომისწინანდელი წლები დიდი მასშტაბის მშენებლობას მოიცავს. დიდი ყურადღება ექცევა ისეთი საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობას, როგორიცაა სკოლები, სამკურნალო-პროფილაქტიკური, კულტ-საგანმანათლებლო, სანახაობითი და სხვ. დანიშნულების შენობები. პარტიისა და მთავრობის 1935 წ. 28 თებერვლის დადგენილების — „დაწყებითი და საშუალო სკოლების შესახებ“ — შემდეგ ფართოდ გაიშალა სასკოლო მშენებლობა. ძირითადად სასკოლო შენობების მშენებლობა რსფსრ განსახკომის ტიპობრივი პროექტებით წარმოებს. შემდეგ ისინი შეცვლილი იქნენ ტიპობრივი პროექტებით, რომლებიც დამუშავებული იყო საქართველოს განსახკომის არქიტექტურულ სახელოსნოში.

რესპუბლიკის ქალაქებში — ბათუმში, ქუთაისში, გორში, ფოთსა და სოხუმში ძირითადად 2 ტიპის სკოლა შენდებოდა: 400 და 280 მოსწავლისთვის. თუ 1933 წელს თბილისში არცერთი სასკოლო შენობა არ აგებულა, 1936—38 წლებში 30 აშენდა. 1938 წელს საქართველოს არქიტექტორთა II ყრილობამ საგანგებო ყურადღება მიაქცია სასკოლო მშენებლობას და სკოლების შენების ხარისხს[19]. 1937 წელს არქიტექტორთა კავშირმა გამოაცხადა კონკურსი სასკოლო შენობის დაპროექტებაზე.

განსაკუთრებულ მასშტაბს აღწევს საკურორტო მშენებლობა, რომელიც მთელი ძალით გაიშალა სკპ(ბ) ცკ-ის 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილების შემდეგ და ა/კ სამხარეო კომიტეტის (10.12.31) და საქართველოს კომპარტიის VIII ყრილობის მიერ დასახული ღონისძიებების შედეგად. ამას დიდად შეუწყო ხელი 1931 წ. საქკურორტმშენის ჩამოყალიბებამაც. გარდა საკონსტრუქციო და ქალაქთმშენებლობითი სამუშაოებისა, რაც ერთი მხრივ დაგეგმარების გენერალური პროექტების შედგენაში გამოიხატა, ხოლო მეორე მხრივ, მათ მიხედვით პრაქტიკულ მშენებლობაში, კურორტებზე შენდება მრავალი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და სასტუმრო. საკურორტო მშენებლობას აწარმოებენ სხვადასხვა რესპუბლიკის ორგანიზაციები: საქართველო გა-

19 იხ. საქართველოს არქიტექტორთა II ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში. 1938.

დაიქცა ჭეშმარიტად საკავშირო კურორტად. 1928 წლიდან 1940 წლამდე საკურორტო მშენებლობას 230 მილიონი მანეთი მოხმარდა. 1939 წელს საქართველოში 132 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი იყო[20].

ინტენსიური მშენებლობა წარმოებს წყალტუბოში, აბასთუმანში, გაგრაში, ბორჯომში და სხვ., იქმნება თავისი არქიტექტურული ღირსებებით სხვადასხვაგვარი შენობები, მაგრამ ყველა ისინი ატარებენ თავისი დროის სტილისტიკურ ნიშნებს. როგორც აღინიშნა, დიდი ყურადღება ექცევა კურორტთა დაგეგმარების საკითხებს, გენერალური გეგმების შედგენას. მაგრამ ეს გეგმები ვერ უსწორდებიან ცალკეულ ობიექტთა მშენებლობის ტემპებს. თვით წყალტუბოს მშენებლობის დროსაც, რომლის გენერალურ პროექტზე მუშაობა 1932 წლიდან დაიწყო, კეთილმოწყობის ცალკეული სამუშაოები წინ უსწრებს გენერალური პროექტის დამუშავებას (რაც, ბუნებრივია, ცუდ გავლენას ახდენდა საბოლოო შედეგზე), „რადგან გენერალური პროექტი დაგეგმარებისა მზად იქნება კეთილმოწყობის და ცალკეულ შენობათა მშენებლობის ძირითადი სამუშაოების დამთავრების შემდეგო" — აღნიშნავდა იმდროინდელი პრესა[21].

ქვეყნის ინდუსტრიული გარდაქმნის შედეგად დიდად იცვალა სახე რესპუბლიკის ქალაქებმა. განსაკუთრებით იზრდება და ვითარდება თბილისი. წინათ ქალაქს მოწყვეტილი განაპირა რაიონები მნიშვნელოვან სამრეწველო უბნებად იქცა. ღრმაღელეში აშენდა კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა და სატრიკოტაჟო კომბინატი. აშენდა ლითონსამსხმელო ქარხანა, მაუდ-კამეოლის დიდი ფაბრიკა, ჩაის საწონი ფაბრიკა, შამპანური ღვინოების კომბინატი და სხვ. ფეხსაცმლის დიდმა ფაბრიკამ, ხორცკომბინატმა, წისქვილის კომბინატმა, მარგარინის და მაკარონის ფაბრიკებმა, ბეტონიტის ქარხანამ და სხვა საწარმომ სრულიად უცვალა შინაარსიცა და იერიც ნავთლუღს. სრული რეკონსტრუქცია განიცადა ორთქმავალვაგონების სარემონტო, მანქანათმშენებელმა და სხვა ქარხნებმა.

ქალაქის რეკონსტრუქციამ, მრავლად აშენებულმა საცხოვრებელმა თუ საზოგადოებრივმა ნაგებობებმა ახლებური იერი მიანიჭეს რესპუბლიკის დედაქალაქს.

დიდი მშენებლობაა რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც. საწარმოო და საშრეწველო ნაგებობებმა განაპირობეს ახალდასახლებულ რაიონთა კეთილმოწყობა.

---

20 საქართველოს ისტორია. ტ. III. თბ., 1960, გვ. 178.

21 Б. Карбин. Курортные стройки Грузии. «Архитектурная газета» 1936, 18. 12, № 70.

ქალაქების მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა. 1926 წლიდან 1939 წლამდე ქალაქში მცხოვრებთა რიცხვმა 79,5%-ით იმატა და 594,2 ათასიდან 1066,6 ათასამდე გაიზარდა[22].

ქალაქთა რეკონსტრუქციის დროს, ახალ მშენებლობათა შორის დიდი ადგილი დაიკავა საცხოვრებელმა სახლებმა. მართალია, ახალი საცხოვრებელი ფართობი ჯერ ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას, საბინაო მშენებლობა მაინც ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარეა ომამდელი პერიოდისა. საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში საფუძვლად ცალკე ბინებისაგან შედგენილი სექციები იყო მიჩნეული. დიდი ყურადღება ექცევა ბინათა დაგეგმარებას, ოთახთა ზონირებას, ადგილობრივ ყოფით და კლიმატურ პირობებს. მშენებლობა, განსაკუთრებით მსხვილ ქალაქებში, ინდივიდუალური პროექტებით წარმოებდა, თან ძირითადი ყურადღება ხშირად საკონსტრუქტორო-დაგეგმარებით საკითხებს კი არა, უფრო გარეგნულ გაფორმებას ეთმობოდა. ეს ტენდენცია თანდათანობით ღრმავდებოდა და ომის შემდგომ პერიოდში საქმე სერიოზულ შეცდომებამდე მივიდა.

სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებამ, სოფლის სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ საბჭოთა არქიტექტორების წინაშე ახალი ამოცანები დასახა სასოფლო დასახლებებისა და სამეურნეო, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ობიექტების მშენებლობაში. ამ სამუშაოთა მოცულობამ განაპირობა სპეციალურ საპროექტო დაწესებულებათა შექმნა, რომელთა შორის უმთავრესი იყო 1935 წელს ჩამოყალიბებული საქსოფლპროექტი. საკოლმეურნეო სოფლის სოციალურმა, ეკონომიურმა და კულტურულმა გარდაქმნამ ახალი ობიექტების მშენებლობა გამოიწვია. კულტურის სახლები, კლუბები, სამედიცინო-სანიტარული, კავშირგაბმულობის დაწესებულებები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩნდება სოფლებში, ახლა დიდ გავრცელებას პოულობს.

საინტერესოა სოფლის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა, რომელიც ძველ ტრადიციებზე დაყრდნობით, ახალი საშენი მასალის გამოყენებითაა შექმნილი. მიუხედავად არქიტექტორთა კავშირისა და სხვა დაწესებულებათა მიერ ჩატარებული კონკურსებისა[23], პროფესიულ არქიტექტორთა სახლები არ იკიდებს ფეხს სოფლად, და მშენებლობას ძირითადად ხალხური ოსტატები აწარმოებდნენ. საბჭოთა მეურნეობის, სატრაქტორო-სამანქანო სადგურთა პროექტებით ახალი დასახლებული პუნქტები იქმნება რესპუბლიკის სხვადა-

22 საქართველოს ისტორია. III. თბ., 1960, გვ. 173.

23 დ. ა ჭ ი რ ა ნ ი ძ ე. ახალი სახლები კოლმეურნეებს. „კომუნისტი", 1940, 13.7, № 160.

სხვა რაიონებში. მაგრამ აქაც, ისევე როგორც საკოლმეურნეო მშენებლობაში, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ჯერ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი.

ასე ფართოდ გაშლილი მშენებლობა, მისი მასშტაბები, ბუნებრივია, საშენ მასალათა და კონსტრუქციათა გაუმჯობესება-გაიაფების საკითხებს ხვამდა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა სკპ(ბ) ცკ-ისა და სსრკ სახკომსაბჭოს 1936 წლის 11 თებერვლის დადგენილებამ „მშენებლობის გაუმჯობესებისა და გაიაფების“ შესახებ. მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი, კონსტრუქციების დაგეგმარებისას, განსაკუთრებით დიდი ობიექტების მშენებლობაზე, მუშავდება სპეციალური ტექნიკური პირობები. სეისმური პირობები, რელიეფისა და ყამირის გეოლოგიური აღნაგობის სირთულე, მთელ რიგ ამოცანებს სვამენ მშენებელთა წინაშე.

საქართველოში მთელ რიგ ობიექტებზე (მთავრობის სახლი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი, „დინამოს“ სტადიონი და სხვ.) წარმატებით იქნა გამოყენებული მსუბუქი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, რომლებიც საგრძნობ უპირატესობას იძლეოდა და თან მნიშვნელოვნად აიაფებდა მშენებლობას. პემზის — ადგილობრივი მასალის გამოყენება ამცირებდა დეფიციტური აგურისა და ცემენტის ხარჯვას. მაგ., მისი გამოყენებით მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მშენებლობის თვითღირებულება 15-20%-ით შემცირდა. მსუბუქი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს სხვადასხვა სახით იყენებდნენ. მაგ., პემზა რკინა-ბეტონის გადახურვებთან ერთად გამოყენებული იყო ხშირწიბოვანი გადახურვა პემზა-ბეტონის სადებით, კესონური და წიბოვან კონტურზე დაყრდნობილი ფილებით, გამოყენებული იყო პემზა-რკინა-ბეტონის ჩარჩოები. მსუბუქი რკინა-ბეტონი ასეთი მასშტაბით საბჭოთა კავშირში პირველად იქნა გამოყენებული. ამას მნიშვნელობა ენიჭებოდა მშენებლობის ეკონომიურობის თვალსაზრისით[24].

ამ მშენებლობათა გამოცდილება შემდგომში ფართოდ დაინერგა (ტრიკოტაჟის და ფეხსაცმლის ფაბრიკა, № 31 ფაბრიკა თბილისში, სამკერვალო ფაბრიკა ბათუმში და სხვ.).

---

[24] Якубович М. О. — Пемзожелезобетонные сооружения в Грузии «Строительная промышленность», 1936 № 7, და მისივე „Легкожелезобетонные конструкции. Тб., 1944; Обобщение опыта применения легкого ж/бетона на строительстве Дворца Правительства Грузии სამშ. საქმის ინსტიტ-ტი 1950; А. Самойлов-Груздворецстрой. Т. 1934. Лёгкий армированный бетон на строительстве ИМЭЛ и стадиона «Динамо» в Тифлисе. Т. 1935 და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მშენებელთა ეს მიღწევები განზოგადებულ იქნა და საბჭოთა კავშირში პირველად შეიქმნა მსუბუქი რკინაბეტონის თეორია (პროფ. ი. შტაერმანი, პროფ. მ. იაკუბოვიჩი)[25].

30-იან წლებში ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტში დამუშავდა ბეტონის, შედგენილობის შერჩევის ორიგინალური მეთოდი, რომელიც, უცხოეთში გავრცელებულ მეთოდებთან შედარებით ცემენტის საგრძნობ ეკონომიას იძლეოდა. ამ მეთოდმა, რომელიც შემდგომ ლიტერატურაში ცნობილი გახდა „ამიერკავკასიის მეთოდის“ სახელით, ფართო გავრცელება ჰპოვა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკაში შეიქმნა ანალოგიური მეთოდი — „აბსოლუტურ მოცულობათა მეთოდი“[26].

რესპუბლიკაში აშენებულ იქნა ცემენტის და შიფერის ქარხნები, კერამიკული კომბინატი, ცეცხლგაძძლე მასალათა ქარხანა. თუ 1932 წ. საშენი აგურის გამოშვება 48,1 მილიონი ცალით განისაზღვრებოდა, 1940 წ. იგი 91,0 მილიონამდე ავიდა. ოთხჯერ გაიზარდა კირის წარმოება, ექვსჯერ კრამიტისა და ა. შ.[27]. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ადგილობრივი საშენი მასალის, განსაკუთრებით მოსაპირკეთებელი ქვების წარმოებას. ლოპოტის, შროშის, სვანეთის მარმარილოები, ბოლნისის ტუფი, ეკლარის ქვა და კურსების ტეშენიტი — ფართო გამოყენებას პოულობენ მშენებლობაზე.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, სამშენებლო მანქანათმშენებლობისა და საერთო ინდუსტრიალიზაციის ჩამორჩენა არ იძლეოდა შესაძლებლობას მშენებლობის მეთოდების ხარისხობრივი გაუმჯობესებისა, რაც საგრძნობლად მოქმედებდა არა მარტო მშენებლობის ტემპებზე, არამედ არქიტექტურული შემოქმედების მიმართულებაზეც.

დიდმა სამამულო ომმა დროებით შეაჩერა საბჭოთა არქიტექტურის ნორმალური განვითარება. ქართველი არქიტექტორები, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის ხუროთმოძღვრები, ფრონტზე და ზურგში დაუღალავი ბრძოლითა და მუშაობით მთელ თავის ძალას ახმარდენ სამშობლოს დაცვისა და მტერზე გამარჯვების კეთილშობილურ საქმეს. ფრონტზე გმირობისა და მამაცობისათვის ოთხ ქართველ არქიტექტორს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

---

25 Скрамтаев, Попов, Герливанов и Мудров. Строительные материалы. М., 1950, стр. 246.

26 ო. ონიაშვილი, ზ. წილოსანი — სამშენებლო მეცნიერების მიღწევები საქართველოში. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1961, № 5, გვ. 16.

27 Г. Гвелесиани, Г. Клопотовский—Грузинская ССР. М., 1955. стр. 104.

ჯერ კიდევ ომის მძიმე წლებში საბჭოთა არქიტექტორები დაძაბულ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან. 1943 წლიდან დაიწყო ომით დანგრეულ ქალაქთა და სოფლების რეკონსტრუქციის პროექტის შედგენა და მშენებლობა. პარტია და მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ არქიტექტურის როლს სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში. ამის დასაბუთებაა ის ფაქტი, რომ 1943 წელს სსრკ სახკომსაბჭოსთან იქმნება არქიტექტურის კომიტეტი. ჯერ კიდევ მაშინ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მ. კალინინი განსაზღვრავდა საბჭოთა არქიტექტურის ამოცანებს, აღნიშნავდა, რომ ახალი მშენებლობა დიდ შესაძლებლობას იძლევა იმისათვის, რომ შეიქმნას ჭეშმარიტად სოციალისტური ქალაქები დიდი მხატვრული ანსამბლებითა და ღრმად გააზრებული საცხოვრებელი ნაგებობებით, რომლებიც სავსებით უპასუხებდნენ თანამედროვე მოთხოვნილებებს. სახლები უნდა იყოს არა მარტო გარედან მომხიბლავი, არამედ მოხერხებული ცხოვრებისათვის. და რომ „სოციალისტური მშენებლობა უნდა იყოს მიზანდასახული, ლამაზი, ახარებდეს თვალს, მაგრამ არ უნდა იყო ღვლარჭნილი, პრეტენზიული"[28].

განთავისუფლებული რაიონების მეურნეობის აღდგენაში მთელი ჩვენი ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველოს სამეცნიერო-ინჟენერ-ტექნიკური საზოგადოება მონაწილეობდა როსტოვის, პოლტავის და სხვა ქალაქების აღდგენაში.

საქართველოს არ განუცდია ფაშისტური ოკუპაცია. ქართველ არქიტექტორთა წინაშე მდგომ ძირითად ამოცანას კვლავ ახალი ობიექტების მშენებლობა წარმოადგენდა, ობიექტებისა, რომლებიც ფრონტზე გამარჯვებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის საერთო საქმეს ემსახურებოდა თავიანთი სამრეწველო, საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი დანიშნულებით. მშენებლობის გამარტივებითა და მუშაობის ჩქაროსნული მეთოდების გამოყენებით მშენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა. აშენდა 200-ზე მეტი სამრეწველო საწარმო. აიგო ქვანახშირის ახალი შახტები. აშენდა ტყვარჩელის ელექტროსადგურის მეორე აგრეგატი. განახლდა ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, დაიწყო ჩითახევისა და ტყვარჩელის ელექტროსადგურების მშენებლობა და სხვ. 1942 წ. შედგა პროექტები კვების მრეწველობის საწარმოთათვის (ღვინის ქარხნები ხირსაში და ზესტაფონში); 1944 წელს ჩატარდა კონკურსი კავკასიის დამცველთა მონუმენტის პროექტზე, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია; იმავე წელს დაიწყო თეატრის მშენებლობა ჭიათურაში და სხვ.

---

[28] «Архитектура СССР», Сб., № 6, 1947. 7.

ომის წლებში დაჩქარდა შავი ზღვის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა. რკინიგზის შტომ დააკავშირა ბორჯომი და ახალციხე. 1944 წელს დაიწყო ქუთაისის სამთო მოწყობილობის ქარხნის მშენებლობა. დაიწყო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა რუსთავში, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალი სოციალისტური ქალაქის მშენებლობას და განვითარებას.

1941 წლის ივლისიდან 1946 წლის იანვრამდე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებისა და ადგილობრივი საბჭოების მიერ საქართველოში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 207 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები[29].

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ქართულ საბჭოთა არქიტექტურას შემოქმედების ფართო ასპარეზი გადაეშალა. ქართველი არქიტექტორები, რესპუბლიკის მთელი მშრომელი მოსახლეობის მხარდამხარ ენერგიულად ჩაებნენ ომის შემდგომი მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანი (1946—1950) და შემდეგ — 1951—55 წლების რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. ეს გეგმები მშენებლობის დიდ პროგრამას სახავდა ქალაქებსა და სოფლებში. მეოთხე ხუთწლედის უდიდესი მშენებლობები — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა რუსთავში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ხრამჰესი, გორის საფეიქრო კომბინატი მიმდებარე დასახლებებით და სხვ., ბუნებრივია, არქიტექტორებისათვისაც დიდმნიშვნელოვან სამუშაოებს შეიცავდა, როგორც ქალაქთგეგმარების, ისე ცალკეული ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში.

1948 წელს სახალხო მშენებლობად გამოცხადდა სამგორის სარწყავი სისტემა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს გვალვიანი რაიონებისათვის.

ომის შემდგომი ხუთწლედები ითვალისწინებდნენ ქალაქთა კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის შემდგომ განვითარებას, დიდი მნიშვნელობა მიენიჭა საკურორტო მშენებლობას. ქალაქთა რეკონსტრუქციასთან ერთად, დიდი მუშაობა გაიშალა სოფლისა და საბჭოთა მეურნეობების დაპროექტება-გაშენებისათვის. რესპუბლიკაში აშენდა მრავალი საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ნაგებობა. ომის წინა წლებში დაწყებულმა სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა ახლა ფართო მასშტაბი მიიღო. რეკონსტრუირებულ და გაყვანილ იქნა მრავალი ქუჩა და მოედანი. აშენდა ადმინისტრაციული ნაგებობანი, წინა კორპუსის აგებით დამთავრდა საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშე-

---

29 საქართველოს ისტორია, III, თბ., 1960, გვ. 240.

ნებლობა. რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში შენდება თეატრალური ნაგებობანი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო მშენებლობას. მეოთხე და მეხუთე ხუთწლედების მანძილზე რესპუბლიკაში 131 ახალი სკოლა აიგო 44,063 მოსწავლისათვის. შენდება უმაღლესი სასწავლებლების კორპუსები.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობას დიდი ყურადღება ექცევა. 1951 წელს თბილისის XX პარტიულ კონფერენციამ აღნიშნა, რომ საბინაო მშენებლობამ უმთავრესი ადგილი უნდა დაიჭიროს. 1949—51 წლებში თბილისში სახელმწიფო ორგანიზაციებმა 62 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ააგეს: მათი სასარგებლო ფართობი 78.000 კვ. მეტრზე მეტი იყო[30]. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ჯერ ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

დიდი გამოცოცხლებაა არქიტექტურულ ცხოვრებაში. ეწყობა კონკურსები, რომლებიც შემოქმედების თითქმის ყველა დარგს მოიცავს. 1947 წლის ოქტომბერში შედგა საქართველოს არქიტექტორთა მესამე ყრილობა[31]. გაიზარდა არქიტექტორთა კავშირის წევრთა რიცხვი: თუ მასში 1945 წელს 165 წევრი იყო, ათი წლის მანძილზე მათი რაოდენობა 220-მდე ავიდა.

მშენებლობას ფართო მასშტაბი ჰქონდა, მაგრამ ძირითადად ცალკეული ობიექტების მშენებლობა წარმოებდა ისე, რომ ყველა მათგანს, მიუხედავად დანიშნულებისა, გარემოცვაში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია საბინაო მშენებლობაში, სადაც ფასადთა მორთულობა ზოგჯერ მეტ ყურადღებას იპყრობდა, ვიდრე ბინების დაგეგმარება; ინდივიდუალური პროექტით მშენებლობა დაღს ასვამდა მის ეკონომიურობას. სკპ(ბ) XIX ყრილობამ 1952 წელს აღნიშნა, რომ შრომის ორაზაკმარისი წარმადობისა და მექანიზაციის საშუალებათა გამოუყენებლობის გამო, ქვეყანამ ვერ მიიღო მრავალი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობისა, რომ მშენებლობა ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს.

მშენობათა არქიტექტურაში ძირითადი ამოცანა კვლავ მემკვიდრეობის ათვისება იყო. მაგრამ თუ ოცდაათიან წლებში არქიტექტორები იყენებდენ ერთი მხრივ კლასიკურ, ხოლო მეორე მხრივ ეროვნულ არქიტექტურულ ფორმებს, ახლა უმთავრესი ეს უკანასკნელი გახდა. შემდგომ პერიოდში ფაქტიურად გრძელდება არქიტექტურის განვითარების ის ხაზი, რომელიც ოცდაათიან წლებში იყო. მაგრამ გერმანელ ფაშისტებზე საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებით მიღებულმა სახალხო საზეიმო განწყობამ, რომელიც ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგებშიაც იწვევდა ბუნებრივ სურვილს ამაღლებუ-

30 «Заря Востока», 1951, 14. 1, № 12.

31 «Заря Востока», 1947, 19. 10, № 208.

ლი მხატვრული სახეები შექმნილიყო, არქიტექტურა პომპეზურობის, მონუმენტურობის, მორთულობის გზით წაიყვანა. არქიტექტურული შემოქმედება ხშირ შემთხვევაში დაყვანილ იქნა მხოლოდ ფასადების მორთვისა და საერთო დეკორაციულ გადაწყვეტამდე. ამ მხრივ ქართული ისტორიული არქიტექტურის ნიმუშებიც — თუ მათ ზერელედ, გარეგნულად „აითვისებდნენ", ფართო შესაძლებლობას სახავდა. მისწრაფება შექმნილიყო ეროვნული არქიტექტურა, ძველი ხუროთმოძღვრების ცნობილი რეპერტუარის გამოყენებას ემსახურებოდა და ფასადები ირთვებოდა ქართული ორნამენტებითა თუ სხვა სამკაულით, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ეკლექტიზმსა და არქაიზაციას ვერ სცილდებოდა.

მემკვიდრეობისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება, ფუნქციურ, ტექნიკურ და ეკონომიურ მხარეთა უგულებელყოფა, არქიტექტურაში მხატვრულ-ესთეტიკური საკითხების ცალმხრივი, გადაჭარბებული შეფასება იწვევდა მშენებლობის გაძვირებას და მხატვრულად ყალბ ნაწარმოებთა შექმნას. არქიტექტურის პომპეზურობა მოედო სხვადასხვა დანიშნულების შენობებს. მასობრივი მშენებლობა მთავარი ყურადღების მიღმა რჩებოდა, წამყვანი არქიტექტორები „უნიკალურ" ნაგებობებს აპროექტებდნენ. არქიტექტურული ზედმეტობა ახასიათებდა არა მარტო თბილისს, არამედ კურორტების — წყალტუბოს, გაგრისა და სხვათა მშენებლობას. შეიქმნა დაუშვებელი გათიშვა, მაგალითად, სანატორიუმებისა და მასობრივი ხასიათის კულტურულ-საგანმანათლებლო შენობების (სკოლების, საავადმყოფოთა, საბავშვო დაწესებულებების) მოწყობილობისა და გაწყობის დანახარჯთა შორის. საკმარისია ითქვას, რომ სანატორიუმის შენობის 1 მ³ ღირებულება 2,5—3-ჯერ მეტი იყო საავადმყოფოსა და 1,5—2-ჯერ მეტი სასკოლო შენობასთან შედარებით[32].

არქიტექტურის ასეთი მიმართულება სახელმწიფო სახსრების გაუმართლებელ ხარჯვას, ფუნქციური დანიშნულებისა და ესთეტიკური ამოცანების არასწორ გადაწყვეტას იწვევდა, რაც აფერხებდა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციას და მშრომელთა ბინებითა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობებით უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს.

1954 წლის დასასრულს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ მინისტრთა საბჭომ მოიწვიეს მშენებელთა, არქიტექტორთა, სამშენებლო ინდუსტრიისა და საპროექტო-სამეცნიერო დარგების მუშაკთა საკავშირო თათბირი, რო-

---

[32] Н. Щетинин. Проблема формирования видов и типов общественных зданий. Сб. Вопросы теории архитектуры. 3. М. 1958, გვ. 235.

მელზედაც მკაცრად იყო გაკრიტიკებული სამშენებლო საქმისა და არქიტექტურის პრაქტიკისა და თეორიის ნაკლოვანებანი. პარტიამ მოუწოდა მშენებლებსა და არქიტექტორებს თავიდან აეცილებინათ არსებული სერიოზული შეცდომები და საბჭოთა არქიტექტურა ესთეტიკური ფორმალიზმიდან შემოებრუნებინათ ჭეშმარიტად საღი შემოქმედებითი გზისაკენ. არსებული შეცდომების წარმოშობის მიზეზების ღრმა ანალიზი და მათი გამოსწორების გზა იყო დასახული სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის ნოემბრის დადგენილებაში „პროექტირებასა და მშენებლობაში ზედმეტობათა აღმოფხვრის შესახებ".

საბჭოთა არქიტექტურაში ახალი ეტაპი დიწყო.

2 1933—41 წლები. ქალაქთა დაგეგმარება და განაშენიანება

ამ თავს შეიძლებოდა ეპიგრაფად გამოჩენილი საბჭოთა ხუროთმოძღვრის ა. შჩუსევის სიტყვები წამძღვარებოდა: „ბრუნელესკოს გენიამ შექმნა გუბერნიები ფლორენციაში, აშშ-ში შექმნილია ცათამბჯენი, ჩვენ კი ვქმნით ქალაქებს"[33]. და მართლაც, 30-იანი წლების მშენებლობასა და არქიტექტურაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალაქთმშენებლობას, ქალაქების ახალ დაპროექტებას, მათ რეკონსტრუქციას, განაშენიანებას. სოციალისტური ინდუსტრიის მზარდმა განვითარებამ გამოიწვია ქალაქების რიცხვისა და მოსახლეობის ზრდა, დაბებისა და რაიონული ცენტრების ქალაქებად გარდაქმნა. ჯერ კიდევ 1931 წელს სკპ(ბ) ცკ-ის ივნისის პლენუმმა დასახა ამოცანად მოსკოვის განვითარების და განაშენიანების გეგმის შედგენა, რაც ჰაგალითი იყო სხვა მსხვილი ქალაქებისთვისაც. სკპ(ბ) ცკ-ის და სსრკ სახკომსაბჭოს 1935 წლის 10 ივლისის დადგენილება „მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესახებ" სახელმძღვანელო დოკუმენტი გახდა საბჭოთა ხუროთმოძღვრებისათვის.

ქალაქთა დაგეგმარების პროექტების შედგენა იწყება საქართველოშიც, სადაც ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკებში, ქალაქის მოსახლეობის რიცხვი

---

[33] А. Щ у с е в. Что мы создали, чего нам не хватает. «Арх. СССР», 1937, № 6, 23.

მკვეთრად იზრდება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თბილისის მოსახლეობა აღნიშნულ წლებთან შედარებით 294 ათასიდან 519 ათასამდე გაიზარდა[34].

მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩატარებული სამუშაოებისა ქალაქის კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის დარგში, 30-იანი წლების დასაწყისისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი.

1933 წლის მარტში საქართველოს კპ(ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება თბილისის საქალაქო მეურნეობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა საბინაო მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა ზრდას, ქალაქის ტრანსპორტის, ქუჩების რეკონსტრუქციას, ახალმშენებლობათა ვადების დაჩქარებას და სხვ.[35]. განსაკუთრებული მნიშვნელობა ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის ჰქონდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს გაფართოებულ პლენუმს, რომელიც იმავე წლის სექტემბერში შედგა. პლენუმმა აღნიშნა თბილისის კეთილმოწყობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ჩამორჩენა საცხოვრებელ სახლთა მშენებლობაში, გამწვანებაში და სხვ. თავის დადგენილებაში „საქალაქო მეურნეობის შესახებ" პლენუმმა აღნიშნა ქალაქის დაგეგმარების სქემის სასწრაფო შედგენის აუცილებლობა, ქალაქის ცალკეული რაიონების დეტალური გეგმარებითი პროექტების შედგენისათვის გათვალისწინებული იყო სპეციალური არქიტექტურული სახელოსნოს შექმნა ქალაქის საბჭოსთან[36].

თბილისის გენერალური გეგმის შედგენაზე მუშაობა ჯერ კიდევ 1932 წელს დაიწყო, როცა თბილისის საქალაქო საბჭოში შედგა სქემა ქალაქის ვანვითარებისა. ეს, რა თქმა უნდა, ჯერ საერთო მონახაზი იყო და სერიოზულ დამუშავებას მოითხოვდა. იმავე წელს თბილისის გენერალური პროექტის შედგენისათვის მოწვეულ იქნა ხარკოვის ქალაქთა დაგეგმარების ინსტიტუტი, რომელიც გეგმას ამუშავებდა თბილისის საბჭოს ტექნიკურ განყოფილებასთან ერთად. 1933 წლის აპრილში პროექტს გაეცნო საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელმაც ზოგიერთი შენიშვნა გააკეთა[37], ხოლო 1934 წლის 1 აპრილს პროექტზე მუშაობა სრულიად დამ-

---

34 Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции. Тб., 1967, 13—14.

35 „კომუნისტი", 1933, 23.3, № 68.

36 «О городском хозяйстве» — резолюция объединенного Пленума ТК КП(б) Грузии и Тбилсовета. 23. 9. 1933. «Заря Востока», 1933, 2. 10.

37 დ. ლ-ძე. თბილისი 25 წლის შემდეგ. „კომუნისტი", 1933, 16.4, № 88.

თავრდა. პროექტის განხილვა შედგა როგორც თბილისში, ისე მოსკოვში და ფართო საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია[38].

ქალაქის დაგეგმარების პროექტის ავტორები არიან: ი. მალოზემოვი, ზ. ქურდიანი, გ. გოგავა და ეკონომისტი გ. შელეხოვსკი (მეორე ვარიანტის დამუშავებაში მონაწილეობდნენ ბ. პრიიმაკი და ე. იაკოვლევი[39]).

საუკუნეების მანძილზე სტიქიურად გაშენებულ ქალაქს, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი ისტორიის მანძილზე არავითარ წინასწარ განსაზღვრულ გეგმარების პროექტს არ ემორჩილებოდა, XIX საუკუნეში მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინდივიდუალური სახე ჰქონდა. მაგრამ ეს სპეციფიკურობა არსებულ რელიეფს მიეწერებოდა და არა რაიმე არქიტექტურულ-გეგმარებით პრინციპებს. ძალზე მჭიდროდ დასახლებული უბნები, ვიწრო შუკებითა და გასასვლელებით ქალაქის კომფორტის ელემენტარულ პირობებსაც კი არ ქმნიდა. ყველაფერი ეს მეტად ართულებდა ქალაქის რეკონსტრუქციის ჩატარებას და რაღა თქმა უნდა, გენერალური დაგეგმარების პროექტის შედგენასაც.

თბილისი ისეთ ქალაქებს მიეკუთვნებოდა, სადაც განაშენიანების საშუალო საქალაქო პროცენტი მაღალი იყო .საცხოვრებელი ფართობის საშუალო ნორმა 1932 წლისათვის 6 კვ .მეტრს ითვლიდა. 1933 წელს მცხოვრებთა რიცხვი თბილისში 78.091 კაცით გაიზარდა 1926 წელთან შედარებით. საცხოვრებელი ფართობი გაიზარდა 9%-ით, რაც არ შეესაბამებოდა მოსახლეობის ზრდას და საცხოვრებელი ფართობის შემცირებას იწვევდა.

შედარებით მაღალი სართულიანობის, მოსახლეობის მჭიდროდ დასახლების, ნაკვეთთა ინტენსიური განაშენიანების შედეგად კვარტალის ჰექტარ ფართობზე მცხოვრებთა რიცხვი, მოსახლეობის სიმჭიდროვე — ნეტტო 278 კაცს უდრიდა. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქალაქებში ცენტრში მოსახლეობის სიმჭიდროვე — ნეტტო რამდენიმეჯერ მეტია, ვიდრე განაპირა რაიონებში; თბილისში, მთებით შეზღუდულ ვიწრო ტერიტორიის ბუნებრივი პირობების გამო, რაიონების მიხედვით მოსახლეობის სიმჭიდროვის მერყეობის ამპლიტუდა შედარებით უმნიშვნელოა, მაინც ზოგიერთ კვარტალში (ჩუღურეთსა და სოლოლაკში) დასახლების სიმჭიდროვე 1000-მდე აღწევდა. დასახლების სიმჭიდროვე — ბრუტტო საშუალოდ 300 კაცს უდრის ჰექტარზე, რაც აგრეთვე მაღალია.

---

38 Большой Тифлис. «Архитектурная газета», 1935, 23. 3. № 17.

39 პროექტის შესახებ იხ. „За социалистическую реконструкцию Тифлиса. Т., 1934 რომელიც სპეციალურად იყო გამოცემული პროექტის განხილვასთან დაკავშირებით.

ქალაქში იმდროისათვის სადგომთა საერთო ფართობის 70% საცხოვრებელს ეკავა, ხოლო მთელი საცხოვრებელი ფართობის 75% ერთ და ორსართულიან სახლებში იყო განთავსებული. თბილისის განაშენიანების 62% — ერთსართულიან სახლებს წარმოადგენდა, 29% კი — ორსართულიანებს. განაშენიანების საერთო საქალაქო პროცენტი 21,7 შეადგენდა, რაც გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სხვა ქალაქებში. (მაგ. ხარკოვში — 10,8% იყო).

ისეთი ქალაქის რეკონსტრუქცია, როგორიც თავისი გეოგრაფიული პირობებით და ისტორიულად ჩამოყალიბებული სახით თბილისი იყო, ძალზე რთულ ამოცანას წარმოადგენდა .საუკუნეების მანძილზე სტიქიურად, ყოველგვარი წინასწარ შემუშავებული ქალაქთმშენებლობითი იდეის გარეშე გაშენებული, ვიწრო ქუჩებიანი ინტენსიურად განაშენიანებული ქალაქი რადიკალურ გადაკეთებას თხოულობდა. ქალაქის კვარტალები, რომელთაც მრუდი მოხაზულობა ჰქონდათ, საშუალოდ 0,85 ჰექტარს შეადგენდნენ. ქუჩების საშუალო სიგანე 10 მეტრს არ აღემატებოდა, ტროტუარებისა — 1,5 მ-ს. ქალაქის ქუჩების 35% არ იყო მოშანდაკებული, ხოლო ასფალტით დაფარული იყო მოშანდაკებულ ქუჩათა მხოლოდ 1,7%. გამწვანების მხრივ თბილისი საგრძნობლად ჩამორჩებოდა მოსკოვს, როსტოვს, ბაქოსა და სხვ. ქალაქებს — ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 3,1 კვ. მეტრი მწვანე ნარგავებისა. გამწვანების ნაკლებობა კი ძალზე აუარესებდა ქალაქის ჰავას პაპანაქება სიცხეში, რომ აღარაფერი ითქვას ქარების გაძლიერებაზე და ჰაერის კვამლით, მტვერითა და გაზებით გაჭუჭყიანებაზე.

ეს ციფრობრივი მაჩვენებლები საკმაოდ ნათლად გვიხატავს იმ უღიმღამო სურათს, რომელსაც ქალაქის მაშინდელი განაშენიანება და სამეურნეო მდგომარეობა ქმნიდა. ქალაქის დაგეგმარებისათვის გამოვლენილი ტექნიკურ-ეკონომიური საფუძვლები წარმოადგენდნენ საყრდენს განვითარების პერსპექტიული პროექტისათვის, რომელიც უახლოესი 25—30 წლით იფარგლებოდა.

პროექტი მოსახლეობის რიცხვს 725.000 კაცით საზღვრავდა, საცხოვრებელი ფართობის ნორმას — სულზე 11 კვ. მეტრით[40]. ტერიტორიის ფართობი, რომელიც ქალაქის ზრდისათვის იყო გამოყოფილი, თითქმის 2,5-ჯერ აღემატებოდა არსებულ ტერიტორიას (3.700 ჰექტარიდან ქალაქი 10.000 ჰექტარამდე უნდა გაზრდილიყო). საინტერესოა აღინიშნოს, რომ გენერალური პროექტის ავტორები საპროექტო ვადის შემდეგ ქალაქის ზრდას გულისხმობენ ან

---

40 თბილისის მოსახლეობა 1960 წელს 715.000 კაცს შეადგენდა, რაც პროექტის სწორ გაანგარიშებაზე მეტყველებს.

სატელიტების შექმნით, ან ე. წ. „ზედა თბილისის“ გაშენებით, რომელიც კოჯრის, კიკეთისა და მანგლისის მიდამოების ათვისებას ემყარებოდა. ეს ერთადერთი თანამგზავრი, ახლომდებარე მთებზე გაშენებული, პროექტში მხოლოდ იდეის სახით იყო წარმოდგენილი (ჩვენ პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ ამ რაიონების ქალაქთან „მოახლოებისათვის“ შედგენილ იქნა პროექტი მათი სატრანსპორტო დაკავშირებისა. პროექტი არ განხორციელებულა).

სწორედ ტერიტორიების ათვისებას ემყარება განსხვავება, რომელიც პროექტის ორ ვარიანტს შორის იყო: პირველი ვარიანტი ეყრდნობოდა ძირითადად ქალაქის ზრდის უკვე გამოვლენილ შესაძლებლობას და ახალი დასახლების მთავარ რაიონად დიღომს თვლიდა, ხოლო მეორე ვარიანტი კუკიისა და ავჭალის შემოერთებას გულისხმობდა.

ტოპოგრაფიული ჰიდროგეოლოგიური თუ სანიტარული პირობები საშუალებას იძლეოდა ქალაქის განვითარებისა მტკვრის მიმართულებით, მთებით შემოფარგლულ ტერიტორიაზე: ვაკეზე, საბურთალოზე, დიღომში — მარჯვენა ნაპირზე და ავჭალის მახლობლად, ღრმა-ღელე-დიდუბე-ნავთლუღის ვიწრო ზოლზე—მარცხენა ნაპირზე. ამას ემატებოდა მახათას მთისა და მლაშე ტბების ტერიტორია — სამგორის წყალსაცავის შემდეგ.

თბილისთან მიმდებარე გვალვიანი რაიონების მორწყვის პრობლემა (მდ. იორის ველზე), რომელსაც პროექტი გულისხმობდა ,მნიშვნელოვანია ერთი მხრივ სოფლის მეურნეობის ზონისა და მეორე მხრივ — ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ეს საკითხი პროექტში დასმულია მთელი სიგრძე-სიგანით და თბილისის შემდგომ განაშენიანებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქალაქის სოფლის პროდუქტებით მომარაგების, ისე დასვენების ზონის შექმნის თვალსაზრისით, რომელიც შემდგომში დასახლების ადგილადაც იქნება გამოყენებული.

პროექტი ითვალისწინებს თბილისის ბუნებრივ სამკურნალო-პროფილაქტიკური რესურსების ათვისებას და ბოტანიკური ბაღის რაიონში, ძველი ქალაქის მიდამოებში, ბალნეოლოგიური კურორტის შექმნას, რაც ქალაქისათვის დიდ ღირებულებას შეადგენდა.

ტერიტორიის ზონირების დროს, ბუნებრივია, სამრეწველო ზონებს დიდი როლი ენიჭებოდათ. თბილისი უნდა გადაქცეულიყო მრეწველობის მსხვილ ცენტრად და ახალი მშენებლობა და ძველის რეკონსტრუქცია ამ მხრივ ქალაქის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. თბილისის მიმდებარე რაიონებში ნედლეულის მდიდარი ბაზებისა და ენერგეტიკული რესურსების არსებობა, ტრანსპორტის საშუალებანი და სხვა. პირობები საშუალებას იძლეოდნენ მრეწველობის ეფექტური განვითარებისათვის. მრეწველობა პროექტით 10-ჯერ

იზრდებოდა არსებულთან შედარებით და მისი დარგების განლაგებისათვის უპირატესად ქალაქის განაპირა რაიონები იყო გამოყოფილი, ხოლო თვით ქალაქში ტერიტორია რკინიგზის ხაზთან ან მტკვრის (ტექნიკური წყლით მომარაგებისათვის) სიახლოვეს. ძირითად სამრეწველო ზონებს ნავთლუღის, ღრმა-ღელესა და ქვემო-ავჭალის რაიონები შეადგენდნენ (მეორე ვარიანტში გამოყენებულია დიღმის და კუკიის ნაკვეთიც), რომლებსაც რკინისგზასთან და მდინარესთან სიახლოვით, სწორი რელიეფით უპირატესობა ენიჭებოდა. ქალაქში დარჩენილ საწარმოთათვის ფართობის მომატებით და გამწვანების დასაცავი ზოლის დაპროექტებით გაცილებით უმჯობესდებოდა მათი პირობებიც. წლის ცხელ პერიოდში ტემპერატურული რეჟიმის შესაძლებელი შერბილების, წყლის სივრცეთა მაქსიმალური გაერთიანების ,მწვანე ნარგავთა ფართო გავრცელების გზით პროექტი საზღვრავდა ქალაქის განსახლების სისტემას. იქმნებოდა ტერიტორიის ზონირება სხვადასხვა დანიშნულების მიხედვით.

ქალაქის სამოსახლო ტერიტორიისთვის ძველ რაიონებთან ერთად (მტკვრის ორივე ნაპირას), შერჩეულია ახალიც: ნავთლუღი, ვაკე, საბურთალო, დიღომი (მეორე ვარიანტში კუკია და ავჭალა). საცხოვრებელი კვარტალები დადგენილია 6—9 ჰექტარის ფართობით, 2.300 მცხოვრებით. კვარტალები ითვალისწინებენ, საცხოვრებელი სახლების გარდა, საზოგადოებრივ და საყოფაცხოვრებო შენობებს. ტერიტორიის მხოლოდ 22,5%-ია დაკავებული საცხოვრებელი სახლებით, დანარჩენი მწვანე ნარგავებს, სპორტულ და საბავშვო მოედნებს, შიდაკვარტალურ ქუჩებს უკავიათ. არსებულ კვარტალთა რეკონსტრუქცია ტარდება მათი გამსხვილების გზით.

კვარტალების განაშენიანება თავისუფალია—შენობათა პერიმეტრული განლაგებითაა და ამით ისინი იმ დროის სხვა პროექტებისაგან არ განსხვავდებიან.

პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გამწვანების საკითხებს. იგი ქალაქის ტერიტორიის თითქმის ნახევარს (4. 800 ჰექტარი) უთმობს მწვანე ნარგავებს და ნორმას ერთ სულ მოსახლეზე 66,5 კვ. მეტრამდე ზრდის ეს მიღებული უნდა ყოფილიყო არსებული პარკების გაფართოებით და ახლების გაშენებით, თბილისის გარშემო მთების ფერდობთა გამწვანებით, ქუჩების, კვარტალების მწვანე სამოსელში მოქცევით.

როგორც აღინიშნა, პროექტი ორ ვარიანტად იყო წარმოდგენილი. ვარიანტები ტერიტორიის სხვადასხვანაირ ათვისებას გულისხმობდა. პირველი ვარიანტი, რომელიც მიღებული იქნა, ემყარება ქალაქის ბუნებრივ ზრდას მცხეთისა და ნავთლუღის მხარეს. ისეთი რაიონები, როგორიცაა საბურთალო, შედის ამ ტერიტორიაში. მეორე ვარიანტი დასახლებისათვის იყენებს კუკიის ტერიტორიასაც, რომლის მიკროკლიმატი შესანიშნავ პირობებს ქმნის, მაგრამ მისი ათ-

ვისება დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ასევე არაეკონომიური იყო ამ პროექტით რკინიგზის მაგისტრალის გადატანაც. პირველი ვარიანტი კუკიის მიდამოებს იყენებს საავარაკო დასახლებისათვის, პარკისა და ფიზკულტურული ბაზის გასაშენებლად. სხვა მხრივ პრინციპული სხვაობა ვარიანტებს შორის არ ყოფილა.

განვითარების გენერალური პროექტი ქალაქის კვანძების არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის წინადადებებსაც სახავდა. ძირითადი მოედნები, ქუჩები წარმოდგენილი იყო ერთიანი ანსამბლური განაშენიანებით, მაგრამ იგი დაცილებული იყო რეალურ ვითარებას. ეს უფრო არქიტექტურული თემის აბსტრაგირებული ვარიაციები იყო, რომლებიც არ ითვალისწინებდა თბილისის სპეციფიკას .არ იყო გამოყოფილი ზონები რელიეფისა და კონკრეტული მდებარეობის მიხედვით ,არ იყო დიფერენცირებული წამყვანი და მეორე ხარისხოვანი კვანძები, არ იყო გათვალისწინებული ქალაქის იმ რაიონების მხატვრული სახე, რომლებიც ისტორიულ ბირთვს შეადგენდა და სხვ. კრიტიკა აღნიშნავდა ამას: „ქალაქის სილუეტის შექმნის მდიდარი შესაძლებლობა დამგეგმარებელთა მხედველობის არის მიღმა დარჩა და ვერ აისახა ვერც ტექსტში და ვერც პროექტის გრაფიკულ ნაწილში. იმ მრავალრიცხოვან პერსპექტივებს. რომლებითაც დასურათებულია გეგმარების არქიტექტურული ნაწილი, არაფერი საერთო არა აქვთ არქიტექტურულ იდეასთან და მხოლოდ ნიღბავს ჰეშმარიტი არქიტექტურული ჩანაფიქრის უქონლობას“[41]. ეს მკაცრი შეფასება ცალკეული კვანძების მხატვრული გადაწყვეტისა სამართლიანად მიუთითებდა ზემოთ აღნიშნულ ნაკლოვანებებზე, მაგრამ როდი ჩრდილავდა იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც თბილისის გენერალურ გეგმას ენიჭებოდა. პროექტმა მაღალი შეფასება მიიღო, საექსპერტო კომისიის დასკვნით იგი ერთ-ერთ საუკეთესო გეგმარებით პროექტად იყო მიჩნეული[42]. მართლაც, მიუხედავად ნაკლოვანი მხარეებისა, ეს იყო საკითხის ყოველმხრივ გამოკვლევაზე დაყრდნობილი პროექტი, რომელმაც ძირითადად სრულიად სწორად დასახა ქალაქის განვითარების გზები, ამას ადასტურებს ქალაქ თბილისის მთელი შემდგომი განაშენიანება-რეკონსტრუქცია.

30-იან წლებში წარმოებს ქალაქის ცალკეული რაიონების დაგეგმარებაც. ასე, მაგ. 1933 წელს შედგა საბურთალოს რაიონის დაგეგმარების პროექტი. რომლის მიხედვითაც კომპოზიციურ ცენტრს სპეციალისტების სახლის უკან მოთავსებული ადმინისტრაციული ბირთვი ქმნის, აქედან სამხრივ რადიალუ-

---

41 Л. Сумбадзе, Б. Лордкипанидзе. Реконструкция Тбилиси. «Архитектурная газета», 1936, 18, 12. № 70.

42 Большой Тифлис, «Арх. газета», 1935, 23, 3. № 17.

რაც მოემართება ქუჩები. პერპენდიკულარული ქუჩა (ამჟამად პავლოვის ქ.) თანასწორი კვარტალებითაა დაყოფილი. მაგისტრალის ორივე მხარეს მოთავსებულია სამედიცინო ინსტიტუტის კომპლექსი(ქუჩის ერთ მხარეს — სასწავლო, ხოლო მის პირდაპირ — სტუდენტთა საცხოვრებელი). ეს რაიონი ითვალისწინებს თეატრის, სტადიონის, სატყეო ინსტიტუტის შენობებს, ტრამვაისა და ავტოპარკებს და სხვ., ჩრდილოეთიდან მას ტყეპარკი აკრავს.

1933—34 წლებიდან იწყება სამედიცინო ინსტიტუტის კომპლექსის დაგეგმარება (არქ. მ. შავიშვილი) ამ ტერიტორიაზე. შედგა საცხოვრებელი კორპუსების პროექტი (მ. შავიშვილი, ლ. რჩეულიშვილისა და ვ. ქორქაშვილის მონაწილეობით)[43], ხოლო უფრო მოგვიანებით შედგა მთელი კომპლექსის ახალი გეგმარება (1937), რომელიც იმავე პრინციპს ემყარებოდა, რასაც ძველი: სასწავლო და საცხოვრებელ-საზოგადოებრივი ნაგებობების ქუჩის სხვადასხვა მხარეს მოთავსებას.

ქალაქის განვითარების და რეკონსტრუქციის გენერალური პროექტი თბილისის შემდგომი განაშენიანების საფუძველი გახდა. ამ განაშენიანების პროცესში მეტად მნიშვნელოვანი იყო ახალი მაგისტრალებისა და მოედნების შექმნა და არსებულთა საფუძვლიანი რეკონსტრუქცია.

თბილისის მდებარეობის სპეციფიკა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მდინარის გასწვრივ გაწოლილი ქალაქი მთებშია მომწყვდეული და განვითარების შესაძლებლობა უმთავრესად გრძივი მიმართულებით აქვს, მეტად ართულებს სხვადასხვა რაიონების ტრანსპორტით დაკავშირებას. არსებული მაგისტრალები მტკვრის პარალელურადაა განლაგებული. მარჯვენა ნაპირზე, სადაც საადმინისტრაციო და საზოგადოებრივი ნაგებობათა უმრავლესობაა მოთავსებული, თითქმის ერთადერთ სატრანსპორტო მაგისტრალს წარმოადგენდა რუსთაველის პროსპექტი. იგი აკავშირებდა ქალაქის სხვადასხვა რაიონებს ერთმანეთთან. საკითხი პარალელური მაგისტრალის გატარების შესახებ ქალაქის სატრანსპორტო ქსელების მოწესრიგებაზე ზრუნვის პირველივე წლებიდან დაისვა. ახლა მისი განხორციელებისათვის რეალური საფუძვლები შეიქმნა.

1933 წელს დაიწყო მარჯვენა სანაპიროს გაყვანა. სამი კილომეტრის სიგრძის სანაპირო სამ მონაკვეთად იყო გაყოფილი და რიგ-რიგობით შენდებოდა: მარქსისა და ელბაქიძის ხიდებს შორის — 1935 წელს დამთავრდა[44], ელბაქიძის ხიდიდან გმირთა მოედნამდე — 1938 წ., ხოლო მარქსისა და ბარა-

---

43 თბილისის საქალაქო არქივი. ფ. 14, ანაწერი № 1, საქმე 111.

44 მოძრაობა გაიხსნა 1935 წლის 6 ნოემბერს. „კომუნისტი", 1935, 6. 11, № 259; „Заря Востока", 1935, 7. 11, № 259.

თაშვილის ხიდებს შორის — 1939 წ. (უკანასკნელი ორ ჰონაკვეთის არქიტექტურული ნაწილის ავტორი — ა. კოჩინაშვილი).

სანაპიროს გაყვანამ მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციაც გამოიწვია. ამოშრობილი იქნა მტკვრის მარჯვენა დაჭაობებული ტოტი ყოფ. მადათოვის კუნძულზე, რომელზედაც ნაცვლად ძველი ქოხმახებისა, გაშენდა პარკი (არქ. ზ. და ნ. ქურდიანი), ხოლო სანაპიროს ქუჩა ხიდის ქვეშ მდინარის ამოშრობილი ტოტის კალაპოტს გაჰყვა.

სანაპირომ ქალაქის ცენტრალური პროსპექტი ტრანსპორტისაგან განტვირთა და ნავთლუღიდან საბურთალომდე სატრანსპორტო მაგისტრალის საშუალებით ამ რაიონების დაკავშირებაში დიდი როლი შეასრულა. გარდა ამისა, მისი მშენებლობა აღსანიშნავია წმინდა არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისითაც.

ქალაქმა თავისი ბუნებრივი კომპოზიციის ღერძის — მტკვრის ნაპირას მიიღო კეთილმოწყობილი სანაპირო. გამწვანებულმა მაგისტრალმა მოსპო ანტისანიტარიის ძველი ბუდე და ქალაქის არქიტექტურულ სახეში ახალი ელემენტი შეიტანა, რაც ბუნებისა და ასფალტით მოსილი მაგისტრალის ერთიანობაშია. მიუხედავად ზუსტი გაბარიტებისა, სანაპირო კლდის ფერდობს ორგანულად შეეხამა და იგი მდინარესთან დაიკავშირა. ამგვარად, მტკვრის მნიშვნელობა ქალაქისათვის არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისითაც გამოვლინდა. სანაპიროდან ქალაქის ხედი სხვადასხვაგვარად აღიქმება, ხან შორეულ პერსპექტივაში, ხან კი ცალკეული ფრაგმენტების სახით. სანაპირო მტკვარს ზიგზაგისებრ მიჰყვება და ეს განსაკუთრებულ ცხოველხატულობას, „თბილისურ“ ხასიათს ანიჭებს მას. მთელი ტრასის მანძილზე შთაბეჭდილება მუდამ იცვლება. მწვანეში ჩაფლულ პარკს ხიდის თაღი ცვლის, შემდეგ ჩრდილოვანი კლდის ნაპირია, უფრო შორს ცირკის შენობით დამთავრებული მწვანე ბორცვი და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ სანაპიროს კედლის გაფორმება, მისი პარაპეტი, მტკვარზე ჩასასვლელები და ლამპიონები მაღალი მხატვრული ღირსებებით არ გამოირჩევა, სანაპირო ქუჩის — ამ მნიშვნელოვანი არტერიის საერთო იერი მეტად მომხიბვლელია.

ქალაქის მნიშვნელოვანი რაიონის — საბურთალოს სადგურთან უმოკლესი გზით დაკავშირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ხიდის მშენებლობას 1932—35 წლებში. მან აღნიშნული მანძილი 7 კმ-დან 1—2 კმ-მდე დაიყვანა. ეს ხიდი, ჩელუსკინელების სახელობისა (ინჟ. სლოვინსკი, არქ. ნ. სეეროვი), სარეკონსტრუქციო კომპლექსის ერთ ნაწილს წარმოადგენდა. ხიდის გაგრძელებაზე გაჭრილ იქნა ბორცვი და ახალი ქუჩა ლენინის ქუჩის გაგრძელებაზე. მათი შეხვედრის ადგილას კი შეიქმნა ახალი მოედანი (გმირთა მოედანი). მტკვ-

რის მეორე მხარეს ხიდი შეუერთდა სადგურის ქუჩას. ამით ქალაქმა მიიღო მეტად მნიშვნელოვანი განივი არტერია, რომელიც ქალაქის ორ ნაპირს აკავშირებდა.

ჩელუსკინელთა ხიდი მტკვარზე ორი მალითაა გადადებული, ხოლო განაპირას უფრო გვიან გაყვანილი სანაპიროს თავზე თითო გვერდის მალია, უფრო მცირე, ვიდრე შუა მალები (ხიდის საერთო სიგრძეა — 131 მ., სიგანე — 26 მ). ხიდის არქიტექტურა მკაცრია, ნათლად გამოვლენილი კონსტრუქციით. არავითარი ზედმეტი საფარი მას არა აქვს. ქვის კვადრატებით მოპირკეთებული ბურჯები, მსუბუქ, ჰაეროვან თაღებზე შემდგარი სავალი ნაწილი თუჯის სადა პარაპეტით ქმნის ხიდის სადა არქიტექტურულ სახეს, რომელიც საინჟენერო ნაგებობის მოთხოვნილებას ეფარდება. მისი არქიტექტურა თითქოს გმირთა მოედნის განაშენიანების საერთო გადაწყვეტას ეთანაბრება, მას ეკუთვნის მხატვრული დამუშავების ხასიათით.

გმირთა მოედნის არქიტექტურულ-მხატვრულ გამოხატულებაში უმთავრესია 100-ბინიანი საცხოვრებელი სახლი და ბორცვზე აგებული ცირკის შენობა. მოედნის ერთიანი სივრცე ჩელუსკინელთა და ლენინის ქუჩების კუთხეში საცხოვრებელი სახლის ერთიანი ფრონტით იყო შემოფარგლული, რომელიც მომრგვალებით მიყვებოდა ქუჩის დინებას. ხიდისაკენ ეს სახლი თეთრმეტსართულიანი კოშკური ნაწილითაა გამოყოფილი, მის პირდაპირ კი ბორცვზე ცირკის როტონდაა შემდგარი. მოედანი (იგი გეგმაში თავისებურ სამკუთხედს ქმნის) ფაქტიურად გახსნილია, რადგან ერთ მხარეს ზოოპარკია, ხოლო საცხოვრებელი სახლის პირდაპირ, ლენინის ქუჩისაკენ, მდინარე ვერეზე აგებული ხიდის მიდამოცღია ხეობას გადასცქერის. რელიეფის თავისებურების გამო სივრცობრივი კომპოზიცია იქმნება სხვადასხვა დონეზე განლაგებული შენობებით — საცხოვრებელი სახლითა და ცირკით. აქ შექმნილ საერთო პანორამაში, რომელიც ქალაქის ბევრი წერტილებიდან ჩანს, ყურადღებას იპყრობს მწვანე ბორცვზე მდებარე ცირკი. იგი დომინანტია მოედნის არქიტექტურულ-სივრცით გადაწყვეტაში. მაგრამ მას თითქოს პირველობას ეცილება საცხოვრებელი სახლის კოშკური მოცულობა, რომელიც თავიდან ნავარაუდევი მეორე ვერტიკალის უქონლობის გამო, ხელოვნურადაა ჩადგმული მოედანზე, გაუმართლებელ მახვილს სვამს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შენობების არქიტექტურა ერთგვარად ენათესავება ერთმანეთს, მთლიანობა მაინც ვერ არის მიღწეული. „თავმოუყრელობის“ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ბორცვზე შეფენილი ფართო კიბე, რომელიც ცირკის ღერძისადმი ირიბადაა მიმართული. პორტიკით ხაზგასმული შესასვლელი ცირკისა კიბის ამგვარი გადახრას კიდევ უფრო გამოყოფს და გაუ-

გებარს ხდის. მიუხედავად ამისა, მოედნის ადგილმდებარეობა, რთული გარემომცველი რელიეფი, თავისებური სივრცე და აქედან გადაშლილი მრავალფეროვანი ხედები ქალაქის სხვადასხვა მონაკვეთზე — განსაკუთრებულ გამომეტყველებას ანიჭებენ მას.

ქალაქის კეთილმოწყობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი ადმინისტრაციული ცენტრის, ფედერაციის, (ამჟამად ლენინის სახ.) მოედნის რეკონსტრუქციას, რომელიც 1934 წელს დაიწყო და ერთი წლის შემდეგ დამთავრდა[45]. ეს მოედანი ქალაქში ძველი და ახალი რაიონების დამაკავშირებელი იყო. იგი XIX საუკუნეში შეიქმნა და ვერც სატრანსპორტო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა და ვერც მხატვრულ-ხუროთმოძღვრულს. მთავარი ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქცია კიდევ უფრო მწვავედ სვამდა მისი რეკონსტრუქციის საკითხს. ქალაქს ესაჭიროებოდა ვრცელი მოედანი დემონსტრაციებისა და მანიფესტაციებისათვის, მოედანი, რომელიც ხალხის მრავალრიცხოვან ნაკადს დაიტევდა.

მოედნის რეკონსტრუქციისათვის დანგრეულ იქნა XIX საუკუნის ძველი ქარვასლის შენობა, რომელიც მოედანსა და პუშკინის ბაღს შორის იყო. ამით მოედანმა საგრძნობი ფართობი შეიმატა. მოედანზე მოიხსნა ტრამვაის ხაზები; იქ, სადაც შემდგომში ლენინის მონუმენტი უნდა დაედგათ, ტრიბუნა აიგო, რომელიც გააზრებული იყო, როგორც ძეგლის კვარცხლბეკი (ტაბ. 25_1). მოედანზე გამომავალ რამდენიმე სახლს სართულები დააშენეს და სიმაღლე მოუმატეს. ამგვარად, თითქოს მოედანმა მიიღო თავისუფალი სივრცე, მაგრამ მისი არქიტექტურული ორგანიზაცია ამით თითქმის არ შეცვლილა. თვით განაშენიანების სხვადასხვა სიმაღლე და ფასადთა განსხვავებული ხასიათი, ქალაქის საბჭოს ცრუმავრული არქიტექტურა ძალზე ჭრელ სურათს ქმნიდა და მხატვრული მოწესრიგების საკითხს სრულიად გადაუწყვეტლად ტოვებდა.

უფრო მოგვიანებით, სასახლის ვიწრო ქუჩის გაგანიერებით მოედანს უშუალოდ დაუკავშირდა რუსთაველის პროსპექტი; ამით ქალაქის ცენტრალური მოედანი უკვე ორგანულად ჩაერთო მისი ცენტრის გრძივ კომპლექსში.

ამ დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ქალაქთმშენებლობის დარგში იყო ბარათაშვილის აღმართის რეკონსტრუქცია, რომელიც 1935 წელს დამთავრდა. რეკონსტრუქციამ რთული საინჟინრო სამუშაოები მოითხოვა. ბარათაშვილის აღმართს ქალაქისათვის დიდი როლი ეკისრებოდა, როგორც ცენ-

---

[45] „კომუნისტი", 1934, 16. 3, № 63, Материалы к отчету депутатов Тифлисского совета IX созыва. Т. 1935, გვ. 37.

ტრისა და მნიშვნელოვანი სამრეწველო რაიონების დამაკავშირებელს. უწინ არსებული ვიწრო 8 მეტრიანი ქუჩა ვეღარ აკმაყოფილებდა სატრანსპორტო მოთხოვნილებებს და იგი სამჯერ იქნა გაფართოვებული, რისთვისაც ამოშენებულ იქნა მაღალი თაღოვანი საყრდენი კედელი თითქმის კილომეტრის სიგრძეზე (ტაბ. 25₂). ქუჩა, რომელსაც ცალ მხარეს კლდე ფარგლავს, ხოლო მეორე მხარეს ქალაქისკენაა გახსნილი და გადაჰყურებს მას, გადაიქცა ერთერთ ულამაზეს ადგილად. იგი გადმოსცქერის მტკვართან მიმდებარე ძველ რაიონს („რიყეს)" და თვითონაც ქალაქის მრავალი წერტილიდან მოჩანს. მძლავრი თაღედით დანაწევრებული ყრუ საყრდენი კედელი, მასზე აღმართული, მწვანე ხვიარა მცენარეებით გაცოცხლებული კლდე, გადმოკიდებულ აივნებიანი სახლები კლდის თავზე განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებენ ქუჩას. აქედან კი ქალაქზე გადაშლილი ხედი თითქმის მთლიანად წარმოგვისახავს თბილისის პანორამას, რომელიც მამა-დავითის მთის სილუეტითაა შემოფარგლული. ერთი მხრივ, ძველი ქალაქის საერთო დაბალი განაშენიანება აქა-იქ ჩართული ტაძრების ვერტიკალებით, ხოლო მეორე მხრივ, ქუჩის მეორე მხარეს აზიდული კლდე თავიდანვე გვაგრძნობინებს მთაზე გაშენებული ქალაქის კონტრასტებსა და ცხოველხატულობას.

ქალაქის სხვადასხვა უბნებში გაფართოვდა და იცვალა სახე მოედნებმა, ქუჩებმა: გაფართოვდა მარქსისა და ელბაქიძის (ამჟამად რუსთაველის) მოედნები, საქალაქო მაგისტრალის სახე მიიღეს საბჭოს, ბრძოლის, შაუმიანისა და სხვ. ქუჩებმა. ამათგან გამოირჩეოდა უნივერსიტეტის ქუჩა, რომელიც ვაკის განაშენიანებასთან დაკავშირებით სწრაფად იცვლიდა სახეს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ქალაქის გამწვანებას. ქუჩების გასწვრივ დაირგა ხეები, შეიქმნა ახალი პარკები (კიროვის, ხოჯავანქის) ქალაქის სხვადასხვა რაიონებში, ფუნიკულორის გარშემო 23 ჰექტარზე მთა დაიფარა მწვანე ნარგავებით, გაიხსნა კომკავშირის ხეივანი (1935), რომელიც გადმოსახედი მოედნებით, შადრევნებით, ვერანდებით მოირთო. მაგრამ უმთავრესი ღონისძიება ამ მხრივ, რა თქმა უნდა, დიდი პარკის მოწყობა იყო მთაწმინდის ზედა პლატოზე.

მთაწმინდა ყველაზე მაღალი მთაა, რომელიც თბილისს საზღვრავს და მისი მოხაზულობა ფონს უქმნის ქალაქის ცენტრალური რაიონის მთელს განაშენიანებას. მის კალთებზე ამფითეატრად გადაშლილი მარჯვენა ნაპირი მდინარისა, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს და განუმეორებელ სახეს ანიჭებს ქალაქს. მთის მწვერვალიდან, რომელიც თითქმის 300 მეტრით მაღლაა ქალაქის საერთო დონესთან შედარებით, ხელისგულზეა გადაშლილი თითქმის მთელი ტერი-

ტორია, აქედან ყველაზე უკეთ იკითხება ქალაქის რთული ორგანიზმი, მისი არქიტექტურული სახე[46].

ჯერ კიდევ 1905 წელს აქ გაიხსნა სამთო რკინიგზა საბაგირო წევით—ფუნიკულიორი. იგი ერთ-ერთი ყველაზე გრძელი (501 მ) და ციცაბოა არსებულთაგან. მაგრამ მთის ზედა პლატო სრულიად მოუწყობელი იყო. მზით გადარუჯულ მის ტერიტორიაზე დუქნების გარდა არაფერი არ იყო, ხოლო მის კეთილმოწყობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. თვით ფუნიკულიორის ზედა სადგურიც თავისი აბსოლუტური ზომებითა და არქიტექტურით ვერავითარ ყურადღებას ვერ იმსახურებდა. აქ კი ყველა შესაძლებლობა იყო დიდი პარკის შესაქმნელად, რასაც ქალაქის განვითარების გენერალური გეგმაც ითვალისწინებდა. წყალსადენის ამოყვანის შემდეგ უკვე რეალური პირობები შეიქმნა პარკის გასაშენებლად[47].

თავდაპირველი პროექტი მთაწმინდის პლატოზე პარკის გასაშენებლად 1935 წელს შეადგინა პროფ. მ. გინზბურგმა[48]. პროექტის მიხედვით აქ უნდა აშენებულიყო საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა მთელი კომპლექსი: ფუნიკულიორის ზედა სადგურის გარდა—რესტორანი, ღია თეატრი, სპორტული ბირთვი, საბავშვო კინო და სხვ. (ტაბ. 26₂). პროექტის თანახმად, ბორცვის ნაპირას, ვრცელ ტერასაზე, ზედა სადგურის შენობის მცირე ჰოცულობა დგას, მეორე მხარეს კი ტერასის ქვევით ჩადგმული რესტორნის მოცულობაა, ღია კოლონადით ქალაქის მხარეს. მათ შორის რუსთაველის ძეგლის ვერტიკალია აღმართული. ქალაქის მხარეს კომპოზიციის ასიმეტრული გადაწყვეტა და შენობათა განლაგება დონეთა სხვაობით ნაკარნახევი იყო მთასთან შეფარდებული მასშტაბით, რომელიც, უნდა ითქვას, ვერ იყო ბოლომდე გააზრებული. ფუნიკულიორის ზედა სადგურის მეტად მცირე მოცულობა და რუსთაველის ძეგლის ვერტიკალი დაიკარგებოდა ქალაქის პერსპექტიულ განაშენიანებაში, თუმცა თვით მთას, შესაძლოა მეტად გამოავლენდა. კომპლექსის შემადგენელი ცალკეული შენობები შეჯგუფული იყო და სივრცით სივიწროვეს გამოიწვევდა. პროექტში საინტერესოა რესტორნის ტერასებად შეფენა ბორცვზე; შენობის მოცულობა ორგანულად ერთვის რელიეფს და თავისებურ პოდიუმს წარმოადგენს მთელი კომპლექსისათვის. მიუხედავად ცალკეული საინტერესო მო-

---

46 Н. Джанберидзе, М. Карбелашвили, С. Кицурашвили. Архитектура Тбилиси. Путеводитель. Тб., 1967. стр. 31 и др.

47 „კომუნისტი", 1934, 27.3, № 198.

48 М. Гинзбург. Проект парка культуры и отдыха в Тифлисе. «Арх. СССР», 1935. № 9, вв. 35.

მენტებისა, პროექტი მთლიანად დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ახდენდა, იგი მეტად სქემატური იყო. ამიტომ მშენებლობა კი დაიწყო მ. გინზბურგის პროექტის მიხედვით, მაგრამ მის პროცესშივე პროექტი შეიცვალა და საბოლოოდ განხორციელდა ზ. და ნ. ჭურდიანების პროექტი, რომელიც სრულიად სხვაგვარად წყვეტდა თვით პარკის დაგეგმარებას თუ შენობათა არქიტექტურას (დენდროლოგი ე. ციციშვილი).

პარკის გეგმარება ახალი პროექტით დაემორჩილა გრძივ კომპოზიციურ ღერძს, რომელიც ფუნიკულორის ზედა სადგურის ღერძს ემთხვევა (ტაბ. 27[1]). გიზბურგისეული დაჯგუფება საპარკო შენობებისა შეცვლილი იქნა, ისინი გაფანტული იქნა პარკის მთელ ტერიტორიაზე, ოღონდ აღნიშნული ღერძისადმი გარკვეული დამოკიდებულებით ამან შესაძლებლობა მისცა ავტორებს მთელი პარკი დაემორჩილებინათ ერთიანი არქიტექტურული იდეისათვის და საერთო კომპოზიციაში მეტად გამოეკვლინათ გეომეტრიული გრძივი ღერძის მნიშვნელობა .ისეთი დაწესებულებები, როგორიცაა რესტორანი, ბიბლიოთეკა, საბილიარდო ოთახი და სხვ. მათ გააერთიანეს ერთ ნაგებობაში და საკუთრივ ფუნიკულიორის ზედა სადგურთან ერთად ღია თაღოვან პავილიონში მოაქციეს[49].

პარკის მწვანე ნარგავებს დიდი ფართობი უჭირავთ. მარტო 1935 წელს გამწვანებული იყო 35 ჰექტარი ტერიტორია, ოციან წლებში ჩატარებული ღონისძიებანიც თავის ნაყოფს იძლეოდა და მთელი ფართობი, მამადავითის კალთებთან ერთად, მწვანე მასივით დაიფარა. პარკის ნაწილი რეგულარულ დაგეგმარებას ემორჩილება — ცენტრალური ხეივნების გარშემო, ხოლო სიღრმეში გამწვანება ტყე-პარკში გადადის.

ხეივანი აერთიანებს რელიეფთან ორგანულად დაკავშირებულ ბილიკებს, რომლებიც თითქმის მთელ ტერიტორიას სერავენ. ცენტრალური ღერძის გაყოლებული მთავარი ხეივანი, რომელიც დანაწევრებულია გარკვეული ინტერვალებით დაშორებული კიბის სექციებით, ღრმა პერსპექტიულ ხედს ქმნის (ტაბ. 27[2]).

პარკის გაშენებისა (მშენებლობა 1938 წელს დამთავრდა)[50] და ზედა სადგურის აგების შედეგად მამადავითის მთამ აქტიური როლი დაიმკვიდრა ქალაქის საერთო მხატვრულ სახეში. მთა „ჩაება“ ქალაქის ცხოვრებაში და მარტო მხატვრულ ფონს აღარ ქმნიდა. ფუნიკულორმა ზედა სადგურით დომინანტის

---

49 შენობის არქიტექტურის შესახებ იხ. ქვემოთ.

50 იგი 1938 წლის 24 ივლისს გაიხსნა. „კომუნისტი“, 1938, 20—22—24.7, № 164—166—168.

მნიშვნელობა მოიპოვა, რომელსაც ორმხრივი ხედი გაეხსნა: ქალაქიდან და ქალაქისაკენ. ამ ორივე შემთხვევაში ერთნაირი ძალით იგრძნობა მთაწმინდის მნიშვნელობა ქალაქის საერთო პანორამაში.

ოცდაათიან წლებში ჩატარებულმა სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა, მთელი რიგი უბნების, მოედნების, ქუჩების კეთილმოწყობამ სრულიად უცვალა სახე რესპუბლიკის დედაქალაქს. თბილისში გამოიკვეთა საკმაოდ ჩამოყალიბებული ქალაქთმშენებლობითი საწყისები, რომლებიც ჩასახული იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, მაგრამ თავისი განვითარება მაშინ ვერ ჰპოვა. მტკვრის ორივე ნაპირას მომწყვდეული ქალაქი მხოლოდ მის სიგრძივ მიმართულებით უნდა განვითარებულიყო და ამ სიგრძეზე გადაჭიმულ ქალაქში ცენტრს რაიმე ერთი მოედანი კი არ ქმნიდა, არამედ ორი პარალელური მაგისტრალი მტკვრის ორივე მხარეს. ამათგან წამყვანი როლი ენიჭებოდა რუსთაველის პროსპექტს, რომელზედაც დგას ყველაზე მნიშვნელოვანი საადმინისტრაციო-საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები. ძველი თუ ახლად შექმნილი ქუჩების, მოედნებისა და ხიდების საშუალებით ერთმანეთთან დაკავშირებული ეს ორი მაგისტრალი და მათი შიმდებარე ქუჩებისა და კვარტალების რთული სისტემა — ქალაქის ძირითად ბირთვს ქმნიდა[51].

აღსანიშნავია ამ პერიოდის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი: მონუმენტების როლის გაძლიერება ქალაქის სხვადასხვა კვანძების არქიტექტურულ-მხატვრული სახის გადაწყვეტისას. მათში გამოირჩეოდა რუსთაველის ძეგლი მისივე სახელობის მოედანზე (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი, არქიტ. შ. თულაშვილი). იგი მოფიქრებული იყო, როგორც არქიტექტურულ-დეკორაციული კომპოზიცია, რომელშიც ქანდაკებას წამყვანი როლი ეკავა (ქანდაკება მიღებულ იქნა კონკურსის შედეგად და ომის წლებში, 1942 წელს დაიდგა). მოედნის არქიტექტურული ორგანიზაციისათვის პროექტი ქანდაკებას ფონს უქმნიდა კოლონადით, რომელიც კვარცხლბეკთან ერთად იყო გადაწყვეტილი (ტაბ. 26₁). მიუხედავად იმისა, რომ ეს კოლონადა არ განხორციელებულა, ცოკოლში ჩართული წყარო, კიბეები და კვარცხლბეკის რელიეფები „ვეფხისტყაოსნის“ თემებზე ძალზე აქუცმაცებენ საერთო კომპოზიციას, რასაც „თეატრალური“ კოლონადის თემა, რა თქმა უნდა, ვერაფერს უშველიდა. თვით ქანდაკების ადგილიც, რომელიც მხოლოდ რუსთაველის პროსპექტიდან აღქმას გაითვალისწინებდა და სხვა შემთხვევაში მხოლოდ მიახლოებისას გამოჩნდებოდა, ნაკლებ მომგებიანი იყო. ამიტომ ძეგლი მოედანზე შემთხვევითი აქცენტის მნიშვნელობას ვერ ცილდებოდა.

---

51 ნ. ჯანბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება. „ცისკარი“, 1959, № 7. გვ. 137.

თბილისთან ერთად ფართოდ გაიშალა მუშაობა რესპუბლიკის სხვა ქალაქთა კეთილმოწყობისათვის. მიმდინარეობდა მათი რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმების შედგენა. 1933 წელს დაიწყეს ბათუმის დაგეგმარების პროექტის შედგენა (არქ. ი. ყირქესალი, ბ. ლორთქიფანიძე, ლ. სუმბაძე), რომელიც იმ წლებში რამდენჯერმე გადაკეთდა (ტაბ. 28_3). პროექტმა განსაზღვრა ქალაქის მაგისტრალების ურთიერთკავშირი და ქალაქის ზრდის შემდგომი შესაძლებლობანი. ზღვის პარალელურად ქალაქის მთელ სიგრძეზე მიემართება მთავარი მაგისტრალური ქუჩა ჰავჰავაძის სახელობისა, რომელიც ძირითადად სატვირთო ტრანსპორტისაგან ათავისუფლებს სხვა ქუჩებს. სამგზავრო მოძრაობისათვის შერჩეულია ტელმანის ქუჩა, რომელიც კვეთდა ქალაქის საბჭოს წინ დაგეგმარებულ მოედანს და აკავშირებდა კულტურისა და დასვენების პარკს ბათუმ-ხულოს გზატკეცილთან.

ქალაქის ცენტრისათვის პროექტი გამოყოფდა ადგილს არსებულ მჭიდროდ დასახლებულ საცხოვრებელ კვარტალებში (ტურგენევის და ენგელსის ქუჩებს შუა), რისთვისაც უნდა აღებულიყო სახლები ორი კვარტალის ტერიტორიაზე. ასეთი გადაწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრის ადგილი ემთხვეოდა ქალაქის გეომეტრიულ ცენტრს, უგულებელყოფდა ქალაქში ზღვის მნიშვნელობას და ეკონომიურობისა და არქიტექტურული თვალსაზრისითაც ეჭვს იწვევდა[52].

ბათუმის კეთილმოწყობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭაობების ამოშრობას, რომელიც იმ დროს წარმოებს. ბარცხანის სამრეწველო ზონაში გამწვანდა ორკილომეტრიანი მაგისტრალი, რომელიც ქალაქს უერთდებოდა. ქალაქში ირგვება სხვადასხვა ჯიშის დეკორაციული ნარგავები. გაფართოვდა ლენინის მოედანი, სანაპირო თავისუფლდება ძველი ამორტიზებული სახლებისაგან. 1935 წელს დამთავრდა წყალსადენის პირველი რიგის სამუშაოები[53].

30-იანი წლების დასაწყისშივე შედგა ცხინვალის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის პროექტიც (არქ. რ. აღაბაბიანი, ლ. ვართანოვი, ი. ყირქესალი, 1933). კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ძირში, ლიახვის მარჯვენა მხარეს მდებარე ქალაქისათვის განვითარების მიმართულებას პროექტი ჩრდილოეთ და სამხრეთის ტერიტორიებზე სახავდა (ტაბ. 29_1). ძირითადი ნაწილი ქალაქისა — სამოსახლო ზონა ემორჩილება რეგულარულ დაგეგმარებას, რომელშიც

---

52 Д. Комахидзе. Батуми. Тб., 1968. გვ. 146.

53 „კომუნისტი“, 1936, 4. 1. № 3.

ძირითადია გრძივი მიმართულების მაგისტრალები. ქალაქის საზოგადოებრივი ცენტრი მის გეომეტრულ ცენტრს ემთხვევა და მწვანეში მოქცეულ მთავარ მოედანს გამოყოფს, როგორც მდებარეობით, ისე აბსოლუტური ზომებითაც. ცენტრალური მოედანი უმოკლესი გზით უკავშირდება სატრანსპორტო კვანძებს, რითაც თავიდან აცილებულია საცხოვრებელი კვარტალების გადაკვეთა სამრეწველო ზონა შეყურსულია სამხრეთ ნაწილში — ერთი მხრივ რკინიგზის მომავალ კვანძთან, ხოლო მეორე მხრივ ლიახვის სიახლოვეს[54]. მდინარის პირას მდებარე მწვანე მასივი გამოყენებულია ქალაქის ცენტრალური პარკის მოსაწყობად. ამრიგად, გეგმა მეტად მარტივად, მაგრამ რაციონალურად წყვეტს რესპუბლიკის ამ პატარა ქალაქის დაგეგმარებას, რომელიც მის ბუნებრივ ადგილმდებარეობას კარგად ეფარდება.

1934—35 წლებში დამუშავდა ქალაქ ფოთის გენერალური პროექტი (ა. ნიკოლაიშვილი, ვ. კედია), რომელიც ითვალისწინებდა ფოთის ცენტრის არსებულ რადიალურ-რგოლურ გეგმარების პრინციპს და მას ავითარებდა (ტაბ. 28_1). პროექტი უფრო მოგვიანებით (1938) კიდევ გადაკეთდა, მაგრამ მისი დაგეგმარების პრინციპული საფუძველი არ შეცვლილა. ქალაქის ცენტრის გეგმარების ხასიათი თითქმის მთლიანად შენარჩუნებულია. ქალაქი სამხრეთისაკენ იზრდება და უერთდება ზღვისპირა საკურორტო ზონას — მალთაყვას. აქ დაპროექტდა საბავშვო კურორტი, რომელიც გრძივი მაგისტრალით უკავშირდებოდა ქალაქის ცენტრის ერთ-ერთ რგოლურ ქუჩას.

დაგეგმარებულია დიდი კუნძულის ტერიტორიაც, რომელიც აგრეთვე მკაცრად რეგულარულ ქუჩების ქსელით იფარება. ნიკო ნიკოლაძის სახ. კუნძული პარკისთვისაა განკუთვნილი, ხოლო კავშირი მათ შორის ხიდების საშუალებით მყარდება. ქალაქის მთავარი ნაწილი გამსხვილებული კვარტალების სამოსახლო ტერიტორიას უკავია, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა მწვანე ზონას. წესრიგდება ზღვის სანაპირო.

1936 წელს დაიწყო გორის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის პროექტის შედგენა (არქ. ლ. სუმბაძე, ბ. ლორთქიფანიძის მონაწილეობით)[55], რომელიც 1039 წელს დამთავრდა[56]. პროექტი ფართოდ იყო ჩაფიქრებული (ტაბ. 29_2).

---

54 გორი-ცხინვალის რკინიგზა გაიხსნა 1940 წელს. „კომუნისტი", 1940, 27—30, № 172—174.

55 ლ. სუმბაძე. გორის დაგეგმარების ხუროთმოძღვრული იდეა. „საბჭოთა ხელოვნება", 1936, № 9—,10 გვ. 39.

56 Л. Сумбадзе. Проект планировки и реконструкции г. Горн. «Арх. СССР». 1939, № 12,33. 12.

ქალაქის ტერიტორიული განვითარება ძირითადად ჩრდილოეთისაკენ, ცხინვალის გზატკეცილის გასწვრივ არის მიმართული. მრეწველობა თავსდება რკინიგზის გადაღმა ტერიტორიაზე. რკინიგზის სადგური გადატანილია მეორე ნაპირზე, ფართო მოედანი მის წინ და ახალი ხიდი (მტკვარზე) ჩართულია ერთიან კომპოზიციურ ღერძში. რკინიგზის კვანძის გაფართოება ხდება აკვატორიის ხარჯზე, მტკვრის კალაპოტის ათვისებით.

საცხოვრებელი კვარტალები შედგება 2—3 სართულიან, 2 სართულიან და ინდივიდუალური (ერთსართულიანი) მშენებლობის ზონებისაგან, რომლებიც სეისმური რაიონირებითაა დიფერენცირებული. გათვალისწინებულია მომსახურე ქსელის ოპტიმალური განლაგება.

დიდი ყურადღება ექცევა გამწვანებას. გარდა ქარსაცავი ზოლისა აღმოსავლეთ და დასავლეთ საზღვრებისაკენ, ქალაქში ეწყობა რამდენიმე საზოგადოებრივი მწვანე მასივი.

პროექტის კომპოზიციურ ცენტრს სტალინის პროსპექტი და ციხით დაგვირგვინებული მთა შეადგენს. მთავარი პროსპექტი გადაჭიმულია სადგურიდან ახალი ხიდის გაყოლებით და განივ მაგისტრალთან შეხვედრისას ვრცელ მოედანს ქმნის, იგი სადგურს სტალინის სახლთან აკავშირებს. მთა, რომელიც 60—70 მეტრითაა ამაღლებული, მთავარ სივრცობლივ ელემენტს წარმოადგენს. იგი იმორჩილებს მაგისტრალთა დინებას, თავისკენ იზიდავს ქუჩების მთელს სისტემას. ლენინის და ჭავჭავაძის ქუჩები სწორდება, ეს უკანასკნელი ლიახვის ხიდს უკავშირდება. ამ პროექტში მთა გამოყენებულია ქალაქის ისტორიულ-რევოლუციური შინაარსის გასახსნელად, იგია ამ კომპლექსის ცენტრი, რომელიც შეიცავს მუზეუმს, ღია თეატრს და სხვ. მხატვრული გაფორმებისათვის გამოყენებულია მონუმენტური ფორმები კიბეების, პანდუსების, შადრევნების, კასკადების სახით.

ამრიგად, ამ პროექტში ის იდეური დატვირთვა, რომელიც გორის ისტორიული მნიშვნელობით იყო გამოწვეული, ავტორებმა ადგილობრივ რელიეფს, ქალაქის ისტორიულ სახეს შეუფარდეს და გამოხატეს ქალაქის ერთიან კომპოზიციაში, რომელშიც კარგადაა გამოვლენილი მთავარი აქცენტები.

30-იან წლების განმავლობაში გორში დიდი მშენებლობაა. გარდა ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება-რეკონსტრუქციისა, ფართოვდება ქუჩები, იქმნება ახალი კვანძები ქალაქის განაშენიანებაში. ამას ხელს უწყობს ახალი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების აგება: თეატრისა (მ. ჩხიკვაძე, შ. თავაძე, 1939), პედაგოგიური ინსტიტუტის შენობისა (მ. ნებრინცევი, ნ. ფარემუზოვა, 1937), სკოლისა (ი. ვაჩნაძე, 1939) და სხვ. მდინარე ლიახვზე 1938 წელს აშენდა ახალი ხიდი (ს. სატუნცი).

ოცდაათიანი წლების ბოლოს მუშავდება სოხუმისა და ქუთაისის გენერალური პროექტები. ქუთაისის დაგეგმარების პროექტის დამუშავება 1937—38 წლებში დაიწყო (არქ. ა. ნიკოლაიშვილი, შ. თულაშვილის მონაწილეობით). მაგრამ უკვე მაშინვე წარმოიშვა ახალ სამრეწველო საწარმოთა განვითარების პერსპექტივები, რამაც გამოიწვია მიღებული საპროექტო საფუძვლების გადახალისება. 1940 წელს შედგა ტერიტორიის განაწილების სქემა, ხოლო პროექტმა საბოლოო სახე მხოლოდ ომის შემდგომ პერიოდში მიიღო[57].

ქალაქის სწრაფი ზრდა გადაუდებელ ამოცანად სახავდა გენერალური გეგმის შედგენას. საჭირო იყო სამშენებლო ზონირებისა და დასახლების სიმჭიდროვის მიხედვით ტერიტორიის დაჯგუფება. დასახლების სიმჭიდროვე მოსაზღვრე კვარტალებში დიდი განსხვავებით ხასიათდებოდა და ჰექტარზე 25-დან 300 კაცამდე მერყეობდა. უსწორმასწორო ჩიხებითა და ქუჩებით გადაკვეთილი კვარტალების მოხაზულობა ნებისმიერი იყო. რაიონის მარჯვენა ნაპირიც უსწორმასწორო ქუჩებითა და გასასვლელებით იყო დასერილი. ყველაფერი ეს წესრიგში იყო მოსაყვანი, რომ აღარაფერი ითქვას ქალაქის პერსპექტიულ განვითარებაზე. ქალაქის გენერალურ გეგმაზე მუშაობის პარალელურად წარმოებდა სხვადასხვა საკვანძო რაიონების დეტალური დაპროექტება. ასე, მაგ. წყალტუბოს და წულუკიძის გზატკეცილის შუა მდებარე ნაკვეთზე დაპროექტდა ავტოქარხანა და მისი დასახლება (ავტორი ა. ნიკოლაიშვილი), აგრეთვე ბროწეულასთან აზოტ-ტუკის ქარხანა (ბ. ლორთქიფანიძე, ლ. სუმბაძე)—ეს, ფაქტიურად, ქალაქის გენერალური გეგმის ფრაგმენტები იყო.

ქალაქის რეკონსტრუქციაში დიდი ადგილი ეჭირა ცენტრალური კვარტალების მოწესრიგებას. მთავარი ქუჩები იფარება ასფალტით. გაყვანილია წყალსადენი (1934)[58]. 1936 წელს დაიწყო ახალი ხიდის მშენებლობა მდ. რიონზე. ქალაქის ცენტრში აღებულ იქნა გასული საუკუნის 70-იან წლებში აგებული სამხედრო ტაძარი და პატარა შენობები, — შეიქმნა ფართო მოედანი, სადაც დაიწყო თეატრის მშენებლობა. აშენდა სასტუმრო (არქ. მ. ჩხიკვაძე) — ეს იყო ერთ-ერთი პირველ საზოგადოებრივი შენობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციას. გაყვანილ იქნა ლენინის პროსპექტი რაიონის ახალი ხიდის გაგრძელებაზე, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქალაქის ომის შემდგომ განვითარებაში.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში მოსკოვის ქალაქთა დაგეგმარების ინსტიტუტის მიერ დამუშავებული გეგმის მიხედვით, 1939 წელს ახალი დაგეგმა-

---

57 იხ. ქვემოთ, თავი 5.

58 ახალი ქუთაისი, „კომუნისტი“ 1934, 5. 7. № 154.

რების პროექტი დამუშავდა ქალაქ სოხუმისთვის (ა. ნიკოლაიშვილი, შ. გოგოლაშვილის მონაწილეობით), რომელიც მაშინ დამტკიცებული არ ყოფილა შემდგომ მუშაობა გაგრძელდა უკვე 50-იან წლებში[59]. 1939 წლის პროექტი საინტერესო იყო იმით, რომ ცენტრალური რაიონის სწორ დაგეგმარებას იძლეოდა და გარდა ამისა, დამუშავებული იყო შავი ზღვის ნაპირის რკინიგზის დასახლების დეტალური დაგეგმარებაც, რომელიც დაყოფილი იყო მცხვილ კვარტალებად პირველადი მომსახურების ყველა ობიექტითა და სხვ. აქ გამოყენებული იყო შიდაკვარტალური ჩიხური ქუჩები. მაგისტრალური ქუჩები გადაკვეთის გარეშე ქმნიან სატრანსპორტო კვანძებს, ე. ი. აქ დაგეგმარების მთელი რიგი პროგრესული მომენტებია გამოყენებული.

ამ პერიოდში კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ შედგენილი იყო საქართველოს კურორტების დაპროექტება. 1935 წლისათვის დამთავრებული იყო ბორჯომის, აბასთუმნის, ქობულეთის, ჯავის გენერალური გეგმები[60]. ა. შჩუსევმა შეადგინა ახალი ათონის რეკონსტრუქციის პროექტი[61]. 1932 წელს შედგენილი სქემა წყალტუბოს დაგეგმარებისა დაზუსტებულ იქნა და შედგა კურორტის დაგეგმარების გენერალური გეგმის ტექნიკური პროექტი (ნ. სევეროვი, თ. ბეიერის და ს. სატუნცის თანაავტორობით, 1941), რომელიც საფუძვლად დაედო მის მშენებლობას.

კურორტი დაიყო სანატორიულ და საცხოვრებელ ზონებად, ადგილმდებარეობის ხასიათმა — ცენტრში მოთავსებულია ვრცელი ველი, რომელიც ბორცვებითაა შემოფარგლული — არქიტექტორებს უკარნახა გეგმარების რგოლური სქემა. პირველი რგოლური ქუჩა ბორცვთა ძირში გადის. პროექტის მიხედვით სააბაზანო შენობები და პოლიკლინიკა ველზე პარკშია განლაგებული, ხოლო ბორცვიანი რელიეფი გამოყენებულია სანატორიუმების მშენებლობისათვის. საცხოვრებელ რაიონს ძირითადად ეთმობა კურორტის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია. იქვეა რკინიგზის სადგურიც[62].

გაყვანილ იქნა რგოლური პროსპექტი, გაშენდა არხები და დაირგა ევკალიპტები, რამაც ველის ამოშრობას დიდად შეუწყო ხელი. საკურორტო შენობათა აგებასთან ერთად წარმოებს მუშაობა ქუჩების, სკვერების კეთილმოწყობისათვის. ცენტრში შეიქმნა დიდ პარკი. აშენდა ჯანდაცვის სამინისტროს სანატო-

---

59 იხ. ნაწილი III.

60 «Арх. газета», 1935, 13. I, № 3.

61 «Арх. газета». прилож. 1935, № 36.

62 Н. Джанберидзе, С. Кицурашвили. «Архитектура Советской Грузии» М.-Тб 1958. გვ. 233.

რიუმი, პროფკავშირების სანატორიუმის მთელი კომპლექსი, სასტუმრო, სააბაზანო შენობები, ქალაქის საბჭოს შენობა, საცხოვრებელი სახლები და სხვ.[63].

საკურორტო მშენებლობაში გარკვეული ერთფეროვნება გაჩნდა. ერთნაირი შენობებით ივსებოდა რესპუბლიკის სხვადასხვა კურორტები, მიუხედავად კონკრეტული ადგილისა და განსხვავებული ბუნებრივი ანტურაჟისა. დაიშტამპა გეგმის გადაწყვეტაც. სანატორიუმები მონუმენტური ფორმებით წარმოგვიდგება, დიდია საერთო მოცულობაში სამეურნეო და მომსახურების ნაგებობათა ადგილი და სხვ.[64]. პროექტირებას აფერხებდა ნორმების უქონლობა, რის გამოც ყველა თავისებურად წყვეტდა „თავის" ობიექტს[65]. მაგრამ მიუხედავად ამისა, ფართოდ გაშლილი გეგმაზომიერი მუშაობა საკურორტო მშენებლობაზე დიდ შედეგებს აღწევდა მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობის გაუმჯობესებისათვის.

სოფლის მეურნეობის დარგების მზარდი განვითარების შედეგად, დაისვა საკითხი ფაბრიკებთან საცხოვრებელ დასახლებათა მშენებლობისა. დაიწყო მახარაძის, დიდი-ჯყონის, სუფსის, ნატანების, გომის საბჭოთა მეურნეობის დაპროექტება. ყოველ საბჭოთა მეურნეობაში, საკარმიდამო ნაკვეთისა და ინდივიდუალური სახლების გარდა, იყო პირველადი და ყოველდღიური მომსახურების ობიექტები ,ფიზკულტურელი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გათვალისწინებით.

ამრიგად, 30-იანი წლები ქალაქთმშენებლობის დარგში დაძაბული მუშაობის წლებია. ქალაქთა შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გენერალური გეგმების შედგენას. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალური გადაწყვეტის მიუხედავად, ქალაქთა გენერალური დაგეგმარების პროექტები არსებულ მცირეგაბარიტიან კვარტალთა სტრუქტურას ემყარებოდა. პროექტების დამახასიათებელ მხარეს შეადგენდა კვარტალთა ხაზოვანი განაშენიანება; მოსახლეობის მომსახურების ქსელი ჯერ არ იყო სათანადოდ განვითარებული. მაგრამ ქალაქის ტერიტორიის მკაფიო ზონირების გზით, წვრილ-წვრილი კვარტალების გამსხვილების, შიდაკვარტალური გასასვლელების მოწყობით და ქალაქთა გეგმარების სხვა ხერხების გამოყენებით ქალაქები ქუჩებისა და მოედნების მოწესრიგებულ ქსელთა სისტემაში ერთიანდებოდა.

---

63 А. Инцкирвели. Ансамбль курорта Цхалтубо. კრებული «Советская архитектура», № 3. 1952. გვ. 58.

64 Н. Несис. Об архитектуре наших курортов. «Арх. СССР», 1937, № 6, გვ. 70.

65 Б. Карбин. Курортные стройки Грузии. «Арх. газета», 1937, 18. 12, № 70.

რესპუბლიკის თითქმის ყველა მთავარი ქალაქის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის პროექტი მუშავდება. თითქმის ყველა ქალაქში მშენებლობა დაემორჩილა რეკონსტრუქციის ერთიან გეგმას. მართალია, ამათგან უმრავლესობა არ იყო დამტკიცებული და სავალდებულო დოკუმენტის ძალა არ ჰქონდა, ბევრს შემდგომი დამუშავება ესაჭიროებოდა და ამიტომ, მშენებლობა ქალაქებში ყოველთვის არ შეესაბამებოდა წინასწარ შემუშავებულ გეგმიან საწყისს, რაც უარყოფითად მოქმედება საერთო შედეგებზე. მაგრამ განვითარების რეალურ, კონკრეტულ პირობებზე დამყარებული ქალაქთა რეკონსტრუქციის პროექტების შედგენა და პრაქტიკული სარეკონსტრუქციო ღონისძიებანი ქალაქთმშენებლობის დარგში ჩატარებული მუშაობის დიდ მასშტაბებზე მეტყველებდა.

3 1933—1941. საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა

30-იანი წლები საბინაო მშენებლობაში მნიშვნელოვანია არა მარტო საცხოვრებელი ფართობის რაოდენობის ზრდით, არამედ თვით ბინის ტიპის გასაუმჯობესებლად წარმოებული მუშაობის თვალსაზრისითაც. მრეწველობის განვითარებასთან და, კერძოდ, სამშენებლო სანტექნიკურ მოწყობილობის წარმოების გაზრდასთან დაკავშირებით, შეიქნა შესაძლებლობა ყველა ახლად ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში გათვალისწინებული ყოფილიყო სანიტარული კვანძები, რომელთა რიცხვი წინა პერიოდში ჯერ სრულიად არასაკმარისი იყო. ბინებში ჩნდება ჩაშენებული მოწყობილობა: განჯინები, კარადები და სხვ., მაგრამ მთავარი მაინც ბინის ფუნქციური გადაწყვეტის გაუმჯობესება იყო. ადგილობრივი პირობების გათვალისწინება, ოთახთა რაციონალური ზონირება, დამხმარე სადგომების როლი, აივნებისა და სამეურნეო-ყოფითი ვერანდების გამოყენება საკმარის კომფორტს უქმნიდა საცხოვრებელ სახლებს. სახლების სართულიანობის გაზრდა, გარდა ეკონომიურობისა, ამაღლებდა საცხოვრებელი სახლების ქალაქთმშენებლობითს როლს და მნიშვნელობას.

მაგრამ ამასთან ერთად, ბინების დაგეგმარებას ნაკლიც ახლდა. ჯერ ერთი, თუ წინა პერიოდში დამხმარე სადგომების ფართობი ძალზე მცირე იყო, ახლა იგი ზედმეტად გაიზარდა, გადიდდა კიბის უჯრედის ფართობიც. თბილისში ბინების თითქმის 80%-ზე მეტი სამ და ოთხოთახიანი შენდება, მათი საშუალო ფართობი 70 მ² აღწევს. გაძნელებული იყო დიდი ბინების გამოყენება სხვადასხვა ოჯახების შესასახლებლად, რაც იმ დროს დაშვებულ დროებით ღონისძიებას წარმოადგენდა, მაგრამ ბინებზე დიდი მოთხოვნილების გამო გარდუვალი გახდა.

საბინაო მშენებლობას აძვირებდა და აფერხებდა ისიც, რომ, ჩვეულებრივ, საცხოვრებელი სახლები ინდივიდუალური პროექტებით შენდებოდა. წინა ეტაპზე კვარტალების კომპლექსური დაგეგმარებისა და გაშენების პრინციპი აღარ განვითარდა. სახლები მუშავდებოდა თითოეული ცალცალკე. შიდა ეზოები, ბავშვთა და ფიზკულტურული მოედნები ყურადღებას მიღმა რჩებოდა.

საბინაო მშენებლობა დიდ ყურადღებას იქცევდა პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობისაგან. 1935 წ. სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეულ მშენებელთა I საკავშირო თათბირზე დიდი ადგილი დაეთმო საბინაო მშენებლობის საკითხებს. სკპ (ბ) ცკ-ისა და სსრკ სახკომსაბჭოს 1936 წლის 11 თებერვლის დადგენილება „სამშენებლო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის გაიაფების შესახებ“ მოუწოდებდა მშენებლობის გამსხვილების, საპროექტო საქმის მოწესრიგების, ტიპიზაციისა და სტანდარტიზაციის დანერგვისაკენ.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული საქართველოს კპ(ბ) თბილისის კომიტეტის V პლენუმისა (1933 წ. მარტი) და პარტიის თბილისის კომიტეტის და ქალაქის საბჭოს გაერთიანებული პლენუმის (1933 წ. სექტემბერი) დადგენილებებში.

1934 წელს საკავშირო მთავრობის დადგენილების თანახმად. საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი პროფკავშირებთან ერთად ივლისის თვეში ატარებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დათვალიერების ერთთვიურს, რომლის მიზანს ნაკლოვანი მხარეების გამომზეურება და მათი აღმოფხვრა შეადგენს, რაც „მშენებლებისთვის პრაქტიკულ დახმარებაში“ უნდა გამომჟღავნებულიყო[66]. ეწყობა არქიტექტორთა და მშენებელთა შეხვედრები ახალი საცხოვრებელი სახლების მობინადრეებთან.

1936 წლის დეკემბერში საქართველოს არქიტექტორთა კავშირის პლენუმი იხილავს არქ. ა. ნიკოლაიშვილის მოხსენებას „საქართველოს პირობებში საცხოვრებელის არქიტექტურის შესახებ“. პლენუმზე აღნიშნული იყო, რომ ბინათა გეგმების რაციონალური გადაწყვეტის მხრივ ჯერ ბევრი ნაკლია, რომ მშენებლები არ უწევენ ანგარიშს ადგილობრივ პირობებს, რელიეფს, გარემოს და სხვ.

ქალაქის მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად (1926 წლიდან 1939 წლამდე ქალაქის მცხოვრებთა რიცხვმა 79,5 პროცენტით იმატა და 594,2 ათა-

---

66 „კომუნისტი“. 1934, 18.6, № 140.

სიდან 1.066.6 ათასს მიაღწია)[67], ქალაქად მშენებლობის მასშტაბი სულ უფრო იზრდებოდა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო წინა წლებთან შედარებით. ასე, მაგ., თუ 1927 წლიდან 1932 წლამდე თბილისში 118.300 კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი იყო აშენებული, მომდევნო ოთხი წლის მანძილზე 164.639 კვ მეტრი აშენდა[68]. მაგრამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მაინც ბევრი აკლდა.

ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებულია ის მოთხოვნილებანი, რომლებიც საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში ადგილობრივ პირობებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, თბილისის გენერალური გეგმის დამუშავებისას დიდი ყურადღება ექცეოდა საცხოვრებელ შენობათა ქვეყნის მხარეების მიხედვით ორიენტაციის საკითხს[69]. ამაში დიდი როლი ითამაშა გენგეგმის ერთ-ერთი ავტორის პროფ. გ. შელეიხოვსკის გამოკვლევებმა[70], რომლებმაც დაასაბუთეს სამხრეთის ქვეყნებში ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით შენობების სასურველი ორიენტაცია, ქარის გავლენის მნიშვნელობა და სხვ.

პროფ. გ. შელეიხოვსკის დაკვირვებებით, სამხრეთისკენ მიქცეული ოთახი ხურდება დღის პირველ ნახევარში და მისი ტემპერატურა ამ დროს ჩრდილოეთ მხარეს მოქცეულ ოთახის ტემპერატურას 3°-ით ჭარბობს. ოთახი, რომელიც აღმოსავლეთის ორიენტაციითაა, ხურდება დილით, და მისი ტემპერატურა ჰაერის გარე ტემპერატურას 5°-ით ჭარბობს. დასავლეთით გამოსული ოთახი ხურდება დღის მეორე ნახევარში და სამხრეთის ორიენტაციის ოთახთან შედარებით მასში 4°-ით მეტი ტემპერატურაა, ხოლო ქუჩასთან შედარებით 10°-ითაც კი. ასე რომ, ასეთი დაკვირვებების შედეგად მიღებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი სადგომებისათვის საუკეთესო ორიენტაციად ჩაითვალოს სამხრეთ-აღმოსავლეთი. ასევე მნიშვნელობა ენიჭება ქალაქებში გაბატონებულ ქართა მიმართულებას, რომელიც, მაგალითად, თბილისისათვის მტკვრის გაყოლებითაა.

კლიმატური პირობების გათვალისწინება არქიტექტორებს კარნახობდა ბინის დაგეგმარებაში შენობის ორიენტაციის გარდა, სხვა აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებასაც — ასე, მაგალითად, საზაფხულო სადგომების — აივნის აუცილებლობას, ორმხრივ განიავებას და სხვ.

---

67 საქართველოს ისტორია. III, თბ. 1960, გვ. 173.

68 Столица орденосной Грузии. Тб., 1937, გვ. 28.

69 Проект реконструкции Тифлиса. 1934, გვ. 112—114.

70 Г. Шелейховский. «Микроклимат южных городов». Акад. мед. наук СССР. М. 1948, გვ. 61

საცხოვრებელ შენობათა არქიტექტურა, მათი ფასადების გადაწყვეტა ემორჩილებოდა იმ საერთო მიმართულებას, რომელიც განსაზღვრავდა იმდროინდელი არქიტექტურის შემოქმედებით სახეს. საცხოვრებელი შენობები, როგორც აღინიშნა, ინდივიდუალურად პროექტდებოდა და არქიტექტორები არ იშურებდნენ დროსა და ენერგიას მათთვის „მონუმენტურობის“ მინიჭებისათვის, ძველი არქიტექტურული ფორმებითა და ელემენტებით მორთვისათვის და სხვ. საცხოვრებელი სახლების არქიტექტურა არ წარმოადგენს გამონაკლისს მემკვიდრეობის ათვისების ტენდენციის საერთო სურათში. ისევე როგორც სხვა დანიშნულების შენობების არქიტექტურული გადაწყვეტა, საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაც კლასიკური ან ქართული ისტორიული არქიტექტურის ფორმების გამოყენებას ეყრდნობა.

1936 წელს თბილისის მარქსის სახელობის მოდანზე, მის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს აშენდა დიდი საცხოვრებელი სახლი (არქ. გ. ხიმშიაშვილი) რომლის მშენებლობამ სრულიად უცვალა სახე მოედანს — ეს იყო მისი რეკონსტრუქციის ძირითადი კვანძი (ტაბ. 31₂). მოედანი გაფართოვდა თითქმის ხუთჯერ. ახალი საცხოვრებელი სახლი გვერდის ფასადებით პლეხანოვის პროსპექტზე და სანაპიროზე გამოდის. გეგმაში იგი „П“ მაგვარი მოხაზულობისაა და ნაკვეთზე ისე დგას, რომ გახსნილი მხარე სანაპიროსკენაა მოქცეული. სახლი თავისი დანიშნულებით კომბინირებულია. თავიდან ქვედა სართულები განსაზღვრული იყო უნივერსალური მაღაზიისათვის. მის სახურავზე ეწყობოდა ბაღი, რომელიც საცხოვრებელი ნაწილის ღია ეზოს წარმოადგენდა[71].


სახლის მდებარეობას ორი ქუჩის გასაყარზე უნდა გამოეწვია ამ შიდა ეზოს გარშემო სექციების ორმხრივ განლაგება, ან მხოლოდ ცალმხრივი განაშენიანება — ტერიტორიის სივიწროვის გამო. არჩეული სექციის გაბარიტები ორმხრივ განაშენიანებას გამორიცხავდა. ამიტომ მთლიანი ფრონტი მარქსის მოედნისა და პლეხანოვის პროსპექტისკენაა მიმართული, ხოლო მტკვრისაკენ სახლი კურდონერით გამოდის, ისე რომ ქვედა სართული მთელი შენობის პერიმეტრზე ერთიან სტილობატს ქმნის, რომლის ტერასაზე მტკვრისაკენ გახსნილი სივრცე გამოყენებულია გადასასვლელი ღია აივნებისათვის.

შენობა სამსექციიანია, ბინების ნახევარი 3—4 ოთახიანია, 34,4% ოთხოთახიანი. შიდა ეზოს გახსნა სანაპიროსაკენ აცილებს ბინებს ქუჩის ხმაურს, მაგრამ აქეთ ძირითადად დამხმარე სათავსოები გამოდის. პლეხანოვის პროსპექტის მიმართულების გათვალისწინებამ დახრილი ფრთა გამოიწვია, რაც კუთხის

---

71 გ. ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ი. შეექმნათ მონუმენტალური ნაგებობანი: „კომუნისტი“. 1936. 18.II, № 40.

ბინების განლაგებაში, გარკვეულ უხერხულობას იწვევს, მოქმედებს ოთახთა კონფიგურაციაზე. გარდა დერეფნული სისტემისა, ოთახები ანფილადურ განლაგებას ემორჩილება. ბინების ორიენტაცია დამაკმაყოფილებელია, განიავება კი, უმრავლეს შემთხვევაში, ხორციელდება დამხმარე სადგომების საშუალებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ბინების ნაწილს არა აქვს სააბაზანო. ამრიგად, მიუხედავად ზოგი საინტერესო მომენტისა, ყველა საკითხი ვერ არის ბოლომდე გადაწყვეტილი. უმთავრესი ყურადღება, როგორც ჩანს, ფასადის გაფორმებაზე იყო გადატანილი.



თბილისი. საცხოვრებელი სახლი მარქსის მოედანზე. გეგმა.

ამ სახლის არქიტექტურამ თავიდანვე მიიპყრო ყურადღება და კრიტიკული შენიშვნები გამოიწვია[72].


მთელი შენობის ფასადი ჰორიზონტულად სამ ნაწილადაა დაყოფილი. ამ დანაწევრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აივანთა ზოლები, რომელთა ბალუსტრადი შორიდანვე მოჩანს. კედლის თავისუფალ სიბრტყეთა ჰორიზონტულ ზოლებსაც თავისი წვლილი შეაქვს საერთო დანაწევრებაში.

[72] Н. Северов. Архитектуры Грузии. «Арх. газета», 1936, 18. XII, № 70; Л. Ремпель. Архитектурная практика Грузии: «Арх. газета», прилож. к № 8, 1936;

ატიკის სართულის დაბალი სწორკუთხედი პილასტრებითაა დაყოფილი, ხოლო მეორე „აბზაცის“ ცენტრალური ფართობი სანაპიროს მხარეს სარკმლებიანი მაღალი ორდერითაა ფლანკირებული. მოედნის მხარეს ასევე კედლისსვეტებია სამი სართულის სიმაღლეზე. ასე რომ, შენობის საფასადო სიბრტყე თითქმის მთლიანადაა შევსებული არქიტექტურული ელემენტებით. ფასადის გადატვირთვა ელემენტებით, რომელთა მასშტაბი და ფორმები უხეშია, ყრუ პარაპეტები, პორტიკის დამუშავება თაღოვანი გადახურვით, დიდი ორდერის „ეგვიპტური“ ხასიათი, კლასიკური კარნიზი და სხვ., სიჯრელისა და ეკლექტიზმის დაღს ასვამს ფასადებს (ეს პროექტში კიდევ უფრო იგრძნობოდა კუთხის სიბრტყეებზე რელიეფური პანოების მოთავსების გამო. მშენებლობის დროს ეს პანოები მოხსნეს).

1935 წელს პლეხანოვის პროსპექტზე აშენდა საცხოვრებელი სახლი, რომელიც წითელი ხაზიდან 8 მეტრითაა შეწეული და ითვალისწინებს პროსპექტის მომავალ გაფართოებას (არქ. მ. კალაშნიკოვი. ტაბ. 31). თავშივე უნდა აღინიშნოს ამ სახლის ღირსება: მას აქვს ეზო ბავშვთა მოედნით, სამეურნეო სადგომები, გარაჟი და სხვ.

სახლი ოთხსექციიანია და 32 ბინას აერთიანებს. ბინები მკაფიოდაა დიფერენცირებული, არ არის გასასვლელი ოთახები. სამეურნეო ვერანდები,



თბილისი. საცხოვრებელი სახლი პლეხანოვის პროსპექტზე. რიგითი სექცია.

რომლებიც ყველა ბინას აქვს, შეუმინავია, რაც აგრეთვე მათს ღირსებას შეადგენს. სამზარეულო მასთანაა დაკავშირებული. ბინებს აქვთ ორმხრივი განიავება, აივანი ქუჩის მხარესაც, მაგრამ ორიენტაცია უვარგისია, რადგან მთავარი ფა-

სადი, საითაც საცხოვრებელი ოთახების უმრავლესობა გამოდის, სამხრეთ-დასავლეთისკენაა ორიენტირებული, ხოლო უკეთეს მხარეს გადის კიბის უჯრედი, დამხმარე სადგომები და მხოლოდ თითო ოთახი.


ფასადის არქიტექტურა ცენტრალურ კომპოზიციურ ღერძზეა დაფუძნებული. შენობა სამი ნაწილისგან შედგება, რომელთაგან ცენტრალური შეწეულია საერთო სიბრტყიდან და ხაზგასმულია დამუშავების ხასიათით. ჯერ თაღოვანი გასასვლელი, შემდეგ სამი სართულის იონიური ორდერი განაპირა მხარეებში და შემდეგ ატიკის სართული თავიდანვე გამოყოფს ცენტრალურ არეს, რომელშიაც ცენტრი თავისთავადაცაა თაღისა და აივნების საშუალებით გამოყოფილი. გვერდის ფრთების სწორკუთხედები სამ ჰორიზონტალურ რეგისტრს ქმნის, რომელთა შორის მთავარი შუა ნაწილია. იგი სრულიად სადაა გადაწყვეტილი, მხოლოდ აივანთა (რომლებიც აგრეთვე ჰორიზონტულ ხაზებს ქმნიან ფასადზე) ჰადრაკულად განლაგება ქმნის გარკვეულ „მოძრაობას“. ფასადის ეს გვერდის ნაწილები შენობაში თითქოს დამოუკიდებელ მნიშვნელობას იჩემებენ; ამისათვის ავტორი გვერდებს კედლისსვეტებით ფარგლავს. არქიტექტურის მთელი გადაწყვეტა კლასიკურ პრინციპებს ეყრდნობა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არქიტექტურული ფორმები მოდერნულ იერსაც (მაგ., კუთხისსვეტები) ატარებს.

კიდევ უფრო „იმპოზანტურია“ ფასადთა არქიტექტურით საცხოვრებელი სახლი რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში (ს. ყუბანეიშვილი, ა. ქურდიანი, მ. ჭელია; 1939 ტაბ. 32₂), რომლის აგებით გაფართოვდა ყოფ. კომინტერნის ქუჩა და ლენინის მოედანი უშუალოდ რუსთაველის პროსპექტს შეუერთდა. 13 მეტრიანი ქუჩის ნაცვლად 40 მეტრიანი გაკეთდა, რამაც შესაძლებელი გახადა ამ მონაკვეთზე მრავალსართულიანი სახლის აგება.

შენობა ექვსსართულიანია და პროსპექტის წითელ ხაზზე გამოდის. სულ 55 ბინაა, რომლებიც 6 სექციად არის განაწილებული. 2 და 3 ოთახიანი ბინები მკაფიოდაა დაყოფილი საცხოვრებელ და დამხმარე სადგომებად. ორივე შემთხვევაში ოთახების ორმხრივი განლაგება განიავების კარგ შესაძლებლობას ქმნის. ოთახთა პროპორციები სასიამოვნოა. კიბის უჯრედი ისეა ჩადგმული, რომ ოროთახიან ბინებს ფასადის მხარესაც ლოჯია აქვს. ეზოს მხარეს ყველა ბინას აქვს ლოჯია, რომელიც მხოლოდ ოთახს უკავშირდება და სამზარეულოსთან კავშირი არა აქვს, რის გამოც სამეურნეო დანიშნულებას ვერ ასრულებს. სანკვანძი (სამოთახიან ბინებში აბაზანით, ოროთახიანში — შხაპით) კომპაქტურად არის ჩამჯდარი. ქვედა სართული მთლიანად სავაჭრო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებისათვის არის განკუთვნილი.

შენობის დიდი ფრონტის გამო ავტორებს ფასადზე დანაწევრების ორი.

ხერხი აქვთ ნახმარი: დიდი კორინთული ორდერი შენობის იმ ნაწილზე, რომელიც ატიკის სართულითაა დაგვირგვინებული, ლოჯიებს ფარგლავს და გარ-



თბილისი. საცხოვრებელი სახლი რუსთაველის პროსპექტზე. რიგითი სექცია.

კვეული ინტერვალის შემდეგ მეორდება. მოედნისაკენ მდებარე ნაწილში კი იგივე ორდერი სარკმელთა შორისაა გამოყენებული. ამდენად, ეს დიდი ორდერი, რომელიც პილასტრების სახითაა წარმოდგენილი, შენობის მთელ ფასადს მთლიანად ჰკრავს კიდეც და, იმავე დროს (რაკი სხვადასხვა რიტმითაა ნახმარი), მას ორ ნაწილად ჰყოფს[73]. ეს განსხვავება იმისთვისაა, რომ გრძელი ფასადი მოსაწყენი არ იყოს. ცოკოლის სართულის დამუშავება და ერთიანი რუხი ფერის ზოლი, ისევე, როგორც მთელ ფასადის მოყვითალო ტონი, ერთიანი ორდერის ხმარებისას საკმარისი აღმოჩნდა, რომ ეს გადასვლა თითქმის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მაგრამ ავტორებმა ფასადის „მონუმენტურობისათვის“, გარდა დიდი ორდერისა, გამოიყენეს სარკმელთა მოჩარჩოება რუსტიკით, ბალუსტრადიანი პარაპეტები და სხვ. განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ პროსპექტისაკენ მიმართული მომრგვალებული ნაწილი. შენობის ფასადის არქიტექტურა კლასიკურ ელემენტებზეა დამყარებული. რუსტირება და ორდერული სისტემა ეკონტრასტება მის გვერდით მდებარე მუზეუმის შენობასთან. ფასადის დეკორაციული მორთულობა ზედმეტად ტვირთავს შენობას, კუთხის გადაწყვეტა კი ნაკლებად შეეფერება საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ სახეს.


იმ პერიოდში აშენებულ საცხოვრებელ სახლებს შორის თავისი მოცულო-

---

73 Н. Селеров. Архитектура Тбилиси. «Арх. СССР», 1941, № 1. 11. ამ წერილში ავტორი ნაკლად სთვლის ფასადის ორ ნაწილად დაყოფას.

ბითა და არქიტექტურული გადაწყვეტით გამოირჩევა ასბინიანი სახლი გმირთა მოედანზე (1938). დახურული კონკურსის შემდეგ გაერთიანებულ იქნა მ. კალაშნიკოვისა და ნ. სეველროვის პროექტები, საბოლოოდ კი იგი დაამუშავა მ. კალაშნიკოვმა. თავდაპირველად შენობა 200 ბინისათვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ შემდეგ ბინების რიცხვი 100-მდე შემცირდა (ტაბ. 33_1)[74].

შენობას ჩელუსკინელთა ქუჩიდან ლენინის ქუჩამდე მდებარე დიდი ბონაკვეთი უკირავს. იგი აშენებულია ბორცვის წინ და 160 მეტრის მანძილზე რკალს ფარგლავს (ტაბ. 33_2).



თბილისი. საცხოვრებელი სახლი გმირთა მოედანზე. მეორე სართულის გეგმა.

შენობაში 2, 3 და 4 ოთახიანი ბინებია, რომლებიც სექციების მიხედვით რაციონალურადაა დანაწილებული. ოთახების განლაგება ორმხრივია, მათი პროპორციები კარგადაა შერჩეული. ოთახები ნათელი და ფართოა (ერთი სექციის სამოთახიან ბინაში—30,4; 30,4; 13,2 ან 30,4; 28,1; 11,5 კვ. მეტრის ფართობით), ბინათა გადაწყვეტა მკაფიოა და ოთახთა ზონირება თავიდანვე იოლად გასაგებია. სამზარეულო და სანკვანძი ერთ ბლოკს ქმნის, ეზოსაკენ არის მიმართული და დაკავშირებულია სამეურნეო აივანთან და დამხმარე კიბის უჯრედთან. ოთახები გამჭოლი განიავებითაა, მათი ორიენტაციაც დამაკმაყოფილებულია (ლენინის ქუჩისკენ — სამხრეთის მხარეა). აივნები ქუჩის მხარეს ყველა ბინას აქვს.


შენობა შედგება სამი მკაფიოდ გამოყოფილი ნაწილისაგან, რომლებიც განირჩევიან სექციების მიხედვითაც და ფასადის გადაწყვეტითაც. პირველი, მარცხენა ნაწილი მთლიანად საცხოვრებელ კორპუსს უჭირავს; მეორე, შუა ნაწილში, ქვედა სართულში მაღაზიებია მოთავსებული, მათ თავზე ამჟამად დაწესებულებებია (პროექტით ეს სასტუმროს ნაწილია, და კარგა ხანს მეორე

---

[74] М. Чхиквадзе. Жилой комбинат в Тбилиси. «Арх. СССР», 1939, № 3, გვ. 56.

სართულზე რესტორნის ბლოკი იყო), ხოლო ზევით ბინები; მესამე ნაწილი თერთმეტსართულიან კოშკში მოთავსებულ ბინებს უჭირავთ (ტაბ. 33₃).

შენობის გრძელი ფრონტის გამო, თან ისეთ ვითარებაში, როცა მთავარი ფასადი შორი წერტილებიდან დაუფარავად იკითხება, ფასადი დაყოფილია



თბილისი. საცხოვრებელი სახლი გმირთა მოედანზე. რიგითი სექცია.

აღნიშნულ მონაკვეთებად მათი აღქმის შესაძლებლობის ფარგლებში. ე. ი. სამივე ნაწილი თავის დამთავრებულ კომპოზიციას ემორჩილება იმ ფარგლებში, როცა მაყურებლისთვის მხოლოდ იგი ჩანს. როგორც აღინიშნა, აქ ქუჩა უხვევს და სხვადასხვა ადგილებიდან მთლიანად მოჩანს სწორედ ის მონაკვეთები, რომლებიც გამოცალკევებულია ფასადის საერთო კომპოზიციაში. ამიტომ, არქიტექტორი არ დაერიდა სამივე ნაწილის თითქმის სრულიად სხვადასხვაგვარ კომპოზიციას, მაგრამ ისე კი, რომ ისინი ემორჩილებიან შენობის საერთო არქიტექტურულ გადაწყვეტას. ასე რომ, თავიდანვე იგრძნობა, რომ თქვენს წინ ერთი შენობაა, მაგრამ მკაცრად დიფერენცირებული სამ ნაწილად. მარცხენა ნაწილი, თავისი ფასადის გადაწყვეტით, მოგაგონებთ მ. კალაშნიკოვის ზემოთ მოხსენებულ საცხოვრებელ სახლს პლეხანოვის პროსპექტზე. აქაც ცენტრული კომპოზიციაა, მკაფიოდ გამოყოფილი ცენტრი, გამჭოლი თაღი შუა ნაწილში, სართულთა რაოდენობაც მეტია. გვერდის ფრთებზე აქ, აივნებისა და კედლის-სვეტების ზოლების საშუალებით ვერტიკალური დანაწევრებაა შეტანილი. შენობის ცენტრალური ნაწილი აგრძელებს მარცხენის სიმაღლეს, მაგრამ აქ ფასადის ძირითადი მასა შეწეულია სიღრმეში, ხოლო ქვედა სართული მაღაზიების გასწვრივ განიერ ჩრდილოვან გალერეას ქმნის, რომელიც მეორე სართულისათვის ღია ტერასას წარმოადგენს. ეს მოცულობითი გადაწყვეტა საკმარისი აღმოჩნდა ამ ნაწილის გამოსაყოფად ხოლო თვით კედელი შენობისა მხოლოდ აივნებითაა გაცოცხლებული. შენობის მესამე კოშკური ნაწილი განს-

ხვავებულია პირველი ორისაგან თავისი აბსოლუტური ზომებით და გეომეტრიული მოცულობით. მისი მთავარი ფასადი ისეა დამუშავებული, რომ კოშკის ვერტიკალობა კიდევ უფრო ხაზგასმული იყოს. ამისათვის ცენტრალური სამი ხვრელობის გასწვრივ აივნების რიგია. აივანთა ორივე მხარეს დატოვებული თითო-თითო სარკმელი აგრეთვე ვერტიკალურ ზოლს ქმნის მთელ სიმაღლეზე. არქიტექტორი მაინც საზღვრავს ვერტიკალურ სწრაფვას და წონასწორობისათვის ქვემოთ პირველ და მეორე-მესამე სართულებზე კედლებს რუსტიკით მოსავს, რომელიც ისევე. როგორც ზედა სართული, კარნიზითა და დამავირგვინებელი პარაპეტითაა გამოყოფილი. ყველაფერი ეს ჰორიზონტული აბზაცების როლს თამაშობს კოშკის საერთო ვერტიკალურ გადაწყვეტაში. აღნიშნული სამი ნაწილი თავისი აქცენტებით გამოიყოფა. მარცხნივ ეს თაღედიანი მონაკვეთია, შუაში ქვედა გალერეა, ხოლო მარჯვნივ—აივნებისაგან შედგენილი კოშკის ვერტიკალური ზოლი. მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა ყველაფერი ეს ერთიანდება ქვედა სართულის მასიური რუსტიკით, ძირითადი მასის შელესილი კედლის ფაქტურით და ზედა სართულის გამოყოფით ცენტრალურ და მარცხენა ნაწილებში. მთელი შენობის არქიტექტურული დეტალები კლასიკური ხუროთმოძღვრების რეპერტუარიდანაა. ამაზე მეტყველებს კედლის დამუშავება, თაღის არქიტექტურა, კარნიზები, ბალუსტრადა, კრონშტეინები და სხვ.

მაგრამ ქვედა ღია გალერეა მის თავზე მოწყობილი ტერასა, თითქოს შეკიდებული აივნები, რომლებიც კედლების წყნარ სიბრტყეს რთავენ, ამ აივნების დამჭერი სვეტების ორდერი—თბილისურ საცხოვრებელ სახლებს მოგვაგონებენ. მათ კარგად მოეძებნათ ადგილი დიდი სახლის ფასადებზე[75].

საერთოდ, შენობის არქიტექტურა კარგად გამოხატავს საცხოვრებელი სახლის სახეს. სხვა სახლებისაგან, მაგალითად, რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში აგებულ ზევით აღნიშნულ სახლისაგან განსხვავებით, აქ შენობის საერთო მასშტაბური გადაწყვეტა, დანაწევრება, დეტალები შეფარდებულია საცხოვრებელი სახლის ბუნებასთან, ხოლო საერთო კომპოზიციური გადაწყვეტა, როგორც აღინიშნა, საინტერესოს ხდის მას.


ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან პროექტით გათვალისწინებული მეორე კოშკი არ აშენდა, რომელიც ვერტიკალთა ანსამბლურ განაშენიანებაზე იყო დამყარებული, შთაბეჭდილება დაუმთავრებლობისა მოედნის საერთო

---

75 Б. Лордкипанидзе. Заметки об эволюции национальной формы в архитектуре жилища Советской Грузии. «Советская архитектура», 1953, № 4, გვ. 97.

იერში მაინც რჩება. ვერტიკალური აქცენტი მოედნის სივრცობლივ გადაწყვეტაში ბოლომდე დამაჯერებელი არ არის.

მეორე დიდი სახლი, რომელიც მაშინ თბილისში აშენდა, იყო ბარათაშვილის რეკონსტრუირებულ ქუჩაზე, ძველი რაიონის მისადგომებზე აგებული 84-ბინიანი სახლი (ს. დემჩინელი, ა. ჭურდიანი, გ. ჯანდიერი, (1940, ტაბ. 32_1), ექვსი სექცია ერთ, ორ, სამ და ოთხოთახიან ბინებს მოიცავდა. თუ გვერდის ფრთებზე ტიპობრივი სექცია იყო გამოყენებული, ცენტრალურ ნაწილში იგი შეცვლილი იყო. ბინათა უმრავლესობა ოროთახიანია, 4-ოთახიანი ბინა ძალიან ცოტაა. ბინები გეგმარების მხრივ ტოლფასოვანი ვერ არის. არის ორმხრივ განლაგებული ბინები და ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ ერთ ფასადზე გადის. უკანასკნელებს გამჭოლი განიავება არა აქვთ. სხვადასხვაგვარია სანკვანძის და სამზარეულოს ბლოკის გადაწყვეტა. სანკვანძი უმეტესად ბნელია. ბინებს არ აქვთ სამეურნეო ვერანდები და სხვ.



თბილისი. საცხოვრებელი სახლი ბარათაშვილის ქუჩაზე. რიგითი სექცია.

ოთახები მთავარ ფასადზე სამხრეთ-აღმოსავლეთის ორიენტაციით არიან, მაგრამ ზოგი ოთახი ჩრდილო-დასავლეთისკენაც გადის. ოთახებს ყველა ბინაში სასურველი პროპორციები არა აქვს. ამგვარად, ბინებს შორის საკმაო განსხვავებაა როგორც ოთახთა განლაგების, ორიენტაციისა თუ მოხერხებულობის მხრივ.

ფასადთა არქიტექტურა ემყარება სახლის სპეციფიკურ მდებარეობას: აქ მაგისტრალს (ბარათაშვილის ქუჩას), რომლისკენაც მთავარი ფასადია გამოსული, პერპენდიკულარული ქუჩა ერთვის. ამის გამო ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია თაღოვანი გასასვლელი. ამან არქიტექტორებს უკარნახა შენო-

ბის კომპოზიციის ცენტრული, სიმეტრიული ხასიათი, რომელშიაც წამყვანია შემომავალი ქუჩის თავზე გადაყვანილი დიდი თაღი.


შენობის მთელ ფრონტზე სიმაღლეთა მიხედვით შექმნილია ჰორიზონტული რიტმი (პირველი სართულის ფართო სარკმლები, მძიმე სარტყელი, აივანთა რიგი და დაბალი, თაღოვანი კარ-სარკმლები მესამე სართულისა, დამაგვირგვინებელი კარნიზი და სხვ.), რომელსაც აწონასწორებს ვიწრო სვეტებით გაერთიანებული დაკიდულ აივანთა მეტრი,—ცენტრი ვერტიკალური ერთაანი აქცენტითაა ხაზგასმული. ეს ზედმეტ მნიშვნელობას არ იჩემებს და ფასადის საერთო კომპოზიცია მშვიდია. ცენტრალური თაღი, მის ქვეშ გამავალი ქუჩითა და ხედით (რომელშიაც შესანიშნავადაა „ჩამჯდარი" ვანქის ტაძრის სამრეკლოს ხედი) ცხოველხატულ სურათს ქმნის ქუჩის ამ მონაკვეთზე. ამგვარად, ფუნქციურად სრულიად გამართლებული დიდი თაღი მხატვრულ მახვილს სვამს საერთო კომპოზიციაში.

მაგრამ ფასადის არქიტექტურულ დამუშავებას ემსხვერპლა ბინათა კომფორტი. მაგ., მესამე სართულის მთელი ზოლი „ფრანგული" აივნებითაა, მაშინ, როცა ყველა შესაძლებლობა იყო ფართო აივნების გაკეთებისა. ეს მცირედ გამოწეული აივნები პრაქტიკულად თითქმის არავითარ როლს არ თამაშობს, თუმცა ფასადზე საერთო დანაწევრებას ემსახურება და გარკვეულ ჰორიზონტულ აბზაცებს ქმნის.

ფასადის არქიტექტურაში მორთულობას საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა. არქიტექტურული დეტალები და მორთულობის მოტივები ძირითადად ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებს უკავშირდება. ცოკოლის სართულის კარნიზი ხეზე კვეთის მოტივებს იმეორებს, თაღის კესონირებული ზედაპირი გირჩებითაა შევსებული. ცენტრალური არის დეკორაციული კრონშტეინი თბილისური საცხოვრებელი სახლის მოტივებითაა შთაგონებული და სხვ. მაგრამ დეკორის გამოყენება ზედმეტად ტვირთავს ფასადს. ეს განსაკუთრებით ეხება აღნიშნულ კრონშტეინს, რომელიც ყალბია და მძიმე დეკორაციულ ლაქას ქმნის; ეხება აივნის დამშერ თაღებს, რომლებიც, გარდა იმისა, რომ უხეში ფორმა აქვთ, სარკმელიდან გადმოხედვის არეს ზღუდავს; აგრეთვე ცენტრთან ახლოს მდებარე სვეტზე დაყრდნობილ გვერდის ვერტიკალურ ნიშას და სხვ. ნაკლები ყურადღება ეთმობა უკანა ფასადს, რომელიც, მართალია, მეორეხარისხოვან ქუჩას დასცქერის, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევია. ამ შენობის დიდი ნაკლია უეზოობა. ამრიგად, ამ სახლის არქიტექტურაში ძირითადი ყურადღება გადატანილია ფასადის გადაწყვეტაზე. შენობის არქიტექტურის ეროვნულ სახეს ეძიებენ დეკორში და არა სპეციფიკური საყოფაცხოვრებო მოთხოვ-

ნილებების გათვალისწინებაში (ლოჯია-ვერანდების, ღია აივნების უქონლობა და სხვ.).

გეგმის რაციონალური გადაწყვეტით გამოირჩევა საცხოვრებელი სახლი ჰავჰავაძის პროსპექტზე, № 17 (არქ. მ. ქოჩაკიძე, 1940), რომელიც წითელ ხაზზე გამოდის და ოთხსექციანია. ყველა ბინა სამოთახიანია და ორმხრივ განლაგებული. ორი ოთახი გამოდის ფასადის მხარეს, სამხრეთისკენ, ერთი ოთახი და დამხმარე სადგომები — ეზოს მხარეს. ორმხრივი განიავება ყველა ბინაში ოთახების საშუალებითაა. ვერანდები დაკავშირებულია სასადილოსთან და სამზარეულოსთან. სასადილო ოთახიდან ვერანდაზე გასახსნელი კარებია თითქმის მთელს სიგანეზე, რაც ფართობის გაზრდისა და ოთახის ვერანდასთან გაერთიანების შესაძლებლობას იძლევა. ოთახთა პროპორციები მოხდენილია და კარგად ეფარდება მათ დანიშნულებას. საცხოვრებელ და დამხმარე ოთახთა ბლოკირება მკაფიოა. ყველა ბინისათვის სამზარეულოსა და სანკვანძის ერთი ტიპია, რაც იმ დროისათვის არც თუ ხშირად კეთდებოდა[76].




თბილისი. საცხოვრებელი სახლი ჰავჰავაძის პროსპექტზე. რიგითი სექცია.

შენობის ფასადი ერთ სიბრტყეშია მოქცეული და ორ ძირითად ნაწილად იყოფა. ქვედას ორი სართული უკავია და „რუსტიკითაა“ დამუშავებული, ხოლო ზედა სამი სართული შელესილი სიბრტყეა, რომელიც დაცილებული აივნების გარკვეული მეტრით არის გაცოცხლებული. შენობის მარტივ, სრულიად სადა ფასადზე განაპირა სექციების შესასვლელი გამოყოფილია მთელ სიმაღლეზე. ოდნავ შეტეხილი კედელი, კიბის უჯრედის ზოლი, რომელიც ფლან-

76 Д. Гдзелидзе. Опыт проектирования и строительства 4—5 этажных жилых домов в гор. Тбилиси. დისერტაცია. მ., 1955. გვ. 77.

კირებულია დიდი იონიური ორდერით, გამსხვავებული პარაპეტი გამოყოფს შენობის ამ ნაწილებს. მესამე სართულზე ფრანგული აივნების ზოლი ქმნის თავისებურ სარტყელს, რომელიც ქვედადან ზედა რეგისტრზე გადასვლისთვისაა გამოყენებული. მაგრამ აქ ნორმალური აივანი არა მარტო ბინას შეუქმნიდა უკეთეს პირობებს, არამედ თვით ფასადსაც მეტ ოპტიკურ სიმდგრადეს მიანიჭებდა, რადგან უკეთ შეეგუებოდა ზედა, გამოწეული აივნების დანაწევრებას.


რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში აშენებული საცხოვრებელი სახლები უფრო სადა არქიტექტურით გამოირჩევა, ვიდრე ზევით აღნიშნული შენობები. ზოგან ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისისათვის დამახასიათებელ ფორმებს ვხვდებით, მაგრამ კონსტრუქტივისტულ ფასადებზე, რომელთაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს სისადავე, მორთულობაც ჩნდება: ფასადებმა დაკარგეს გეომეტრიულ მოცულობათა ორგანიზებული წყობა, რაც ხშირად უღიმღამო შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთია, მაგ., ბათუმში 1935 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი ტელმანისა და ჯაფარიძის ქუჩების კუთხეში. შენობას



ჭიათურა. საცხოვრებელი სახლი. რიგითი სექცია.

მთელი კვარტალი უკავია. გეგმის გადაწყვეტის მხრივაც ახალი მასში არაფერია. ხშირად სახლები ითვალისწინებენ სადგომთა ზონირების, ორიენტაციის, აივნების და დამხმარე ვერანდების მნიშვნელობას. ამ მხრივ გარკვეული მსგავსებაა ჭიათურაში (არქ. მინდორაშვილი, 1936) და ფოთში (ლ. სუმბაძე, 1938) აგებული საცხოვრებელი სახლების სექციების დამუშავებაში. საცხოვრე-


ბელ ოთახებთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა სანკვანძისა და სამზარეულოს ბლოკის გადაწყვეტას. მაგრამ ბინები მოკლებულია განიავების შესაძლე-



ფოთი საცხოვრებელი სახლი ლენინის პროსპექტზე. რიგითი სექცია.

ბლობას, ან მხოლოდ სამზარეულოთი ნიავდება. ამ ბინებში გამოიყოფა ლოჯიები და სამეურნეო აივნები.

საინტერესოა საცხოვრებელი სახლი სოხუმში ჭავჭავაძისა და ლენინის



სოხუმი. საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის ქუჩაზე. გეგმა.

ქუჩების გადაკვეთაზე (არქ. ა. მიმინოშვილი, 1937, ტაბ. 34₁). ორსექციიანი, სამსართულიანი სახლი სამ და ოთხოთახიან ბინებს აერთიანებს. ბინები მცირე

ფართობის ოთახებისაგან შედგება, რომლებიც კომპაქტურ გეგმას ქმნიან. ცენტრალურ ნაწილში გამოსული ბინები ორმხრივია, აქვთ გამჭოლი განიავება, სამეურნეო ვერანდები. კუთხის ბინები კი მოკლებული არიან სამეურნეო აივნებს, თუმცა ქუჩის მხარეს ჩრდილოვანი ლოჯიები აქვთ. შენობის შეტეხილი ფრონტი, რომელიც მცირე კურდონერს ქმნის, სიმყუდროეს ანიჭებს სახლს. ფასადზე მთავარ აქცენტებს ლოჯიათა მუქი ლაქები და აივნების მოცულობანი ქმნიან. განსაკუთრებული ყურადღება გვერდის ნაწილებზეა—სადაც შიდა კუთხისკენ ორივე მხრიდან მიმართული ლოჯიები ხაზს უსვამენ ცენტრულ კომპოზიციას. ლოჯიათა პილასტრები, კარნიზი, ქვედა სართულის რუსტიკით დაყოფა და სხვა—კლასიკური კომპოზიციის ხერხებზე მიუთითებენ.

ასევე კლასიკური არქიტექტურის ფორმებია გამოყენებული „სოხუმჰესის“ საცხოვრებელ სახლზე კიროვის ქუჩაზე (1940), რომლის რუსტირებულ ქვედა სართულზე შემდგარი ორსართულიანი იონიური ორდერი მთავარი ელემენტია ფასადის არქიტექტურაში (ტაბ. 34_2). ქუჩების გადაკვეთაზე შენობის კუთხე შეტეხილია და ფასადს წინა ეზო ექმნება. ფასადთა შეტეხილი ფრონტი გაერთიანებულია მთელი შენობის ერთნაირი დამუშავებით, ცენტრი კი საგანგებოდაა ხაზგასმული ყრუ პარაპეტით. იონიური ორდერი, მეორე სართულის ხვრელობთა არქივოლტების, ქვედა სართულის კედლის სიბრტყის და კარნიზის დამუშავება კლასიციზმის ნაგებობებთანაა დაკავშირებული.

ოთახთა განლაგება ბინებში გეგმის შეტეხვით გამოწვეულ წინასწარ აღებულ სქემას ემორჩილება და პრიმიტიულ სახეს ატარებს. შემთხვევითია სანკვანძის მდებარეობა, ცენტრალური ნაწილის კუთხის ოთახების მოხაზულობა, ოთახთა ანფილადური განლაგება და სხვ. წინა სახლისაგან განსხვავებით, გეგმა დაუმუშავებელია.

ამრიგად, ოცდაათიან წლებში აგებულ საცხოვრებელ სახლებში, ბინის დაგეგმარების თვალსაზრისით, გარკვეული ევოლუცია ჩანს. ბინა უფრო კომფორტული ხდება. აბაზანები ან შხაპები აუცილებელი კომპონენტია, სამეურნეო სადგომები, დამხმარე სათავსოების ფართობი გადიდდა, სანკვანძი და სამზარეულოს ბლოკი კიბის უჯრედს ედგმება. გათვალისწინებულია ადგილობრივი პირობები, ორმხრივი განიავება, მხარეთა ორიენტაცია. ღია ვერანდები და აივნები აუმჯობესებენ საბინაო პირობებს. მაგრამ არ განვითარდა კვარტალების კომპლექსური დაგეგმარება — განაშენიანების ის პრინციპი, რომელიც წინა ეტაპზე ჩაისახა. დაპროექტების ინდივიდუალურ პრინციპს, თითქმის ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის ახალი სექციის დამუშავებას, თითქოს მეტი შესაძლებლობები უნდა შეექმნა საბინაო კომფორტის და ბინების უკეთესი დაგეგმარებისათვის, მაგრამ ყველა სახლის თავისებური, „ინდი-

ვიდუალური“ გადაწყვეტა არ ემყარებოდა უკვე გაწეული მუშაობის ანალიზს. ეს გეგმარებაში სიჭრელეს იწვევდა და უკვე მოძებნილი დადებითი მხარეები თითქოს ახალ აღმოჩენას ელოდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, აფერხებდა შემდგომ განვითარებას და არქიტექტურულ ორგანიზაციათა სუსტი მუშაობის შედეგი იყო. შენობათა არქიტექტურაში ფასადებს დიდი ყურადღება ექცევა, ხოლო ისეთი აუცილებელი კომპონენტი საცხოვრებელი სახლისა, როგორიც ეზოა,— საბავშვო, ფიზკულტურული მოედნებით — ყურადღების მიღმაა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ბინათა ფართობების გაზრდის ტენდენციაც, რაც გამოიხატებოდა როგორც საცხოვრებელი ფართობის, ისე დამხმარე ფართობის გაზრდაშიც. თუ წინა პერიოდში დამხმარე ფართობი ძალზე შემცირებული იყო, ახლა იგი ზედმეტად გაზრდილია და Кп (დამხმარე ფართობის შეფარდება საცხოვრებელ ფართობთან) კოეფიციენტის გაზრდას იწვევს. ამას ემატება კიბის უჯრედის გაზრდაც, რაც სახლის მოცულობის შეფარდებას საცხოვრებელ ფართობთან (K_2) აუარესებს და ბუნებრივია, აძვირებს სახლის ღირებულებას[77].

საცხოვრებელი სახლების არქიტექტურა იმ პრინციპებს ემორჩილება, რაც საერთოდაა დამახასიათებელი იმ დროისათვის, ე. ი. მემკვიდრეობის ათვისებას — კლასიკური იქნება იგი თუ ეროვნული. საზოგადოებრივი ნაგებობის მონუმენტურობა საცხოვრებელ სახლების არქიტექტურაშიც არის გადმოტანილი. 1940 წელს თბილისში წარმოთქმულ სიტყვაში მ. კალინინმა აღნიშნა, რომ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისადმი მეტი ყურადღებაა საჭირო, რომ... „საცხოვრებელი სახლები, თავის მხრივ, უნდა იყვნენ არქიტექტურის უკანასკნელი სიტყვის გამომხატველი, რომ ისინი არ უნდა უფუჭებდნენ მცხოვრებლებს სამსახურიდან დაბრუნებისას ხასიათს, არ აჩლუნგებდნენ მათს მხატვრულ გემოვნებას, და პირიქით, კიდევ უფრო უნდა ამაღლებდნენ მათს განწყობილებას, ამაღლებდნენ და სრულყოფდნენ მათს მხატვრულ გემოვნებას, რომ, ამასთან ერთად, შეფარდებული უნდა იყვნენ მცხოვრებთა ყველა პრაქტიკულ მოთხოვნილებასთან. ჩვენ ვამბობთ რომ ვაშენებთ კომუნიზმს... ეს კი ნიშნავს, რომ შევქმნათ მოხერხებულობა, დავნერგოთ კულტურა, შევიტანოთ სილამაზე ყოველი საბჭოთა მოქალაქის ყოფაცხოვრებაში. ბევრი კი გავაკეთეთ ჩვენ ამ მხრივ? შეიძლება ითქვას, რომ ამ გაგებით მხოლოდ წინასწარი მუშაობა ისახება“[78]. და მართლაც, საკითხი მასობრივი, მოხერხებული, ეკონომიუ-

---

77 Д. Гдзелидзе. Опыт проектирования и строительства 4—5 этожных жилых домов в г. Тбилиси. დისერტაცია. М., 1955, გვ. 79—80.

78 М. И. Калинин. Вопросы коммунистического воспитания. М., 1940. გვ. 16.

რი საცხოვრებელი სახლების გადაწყვეტისა ჯერ კიდევ მთელი სიგრძე-სიგანით იდგა არქიტექტორების წინაშე.

4 1933—1941. საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი

რესპუბლიკის ეკონომიურმა და კულტურულმა განვითარებამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობას, რაც ქალაქთა რეკონსტრუქციისა და შემდგომი ზრდის პირდაპირი შედეგიც იყო. საზოგადოებრივი შენობების მრავალფეროვნება — სკოლები და საბავშვო დაწესებულებანი, კულტურულ-საგანმანათლებლო შენობები, სამკურნალო, საკურორტო და ადმინისტრაციული ნაგებობანი გამოხატავდენ ქვეყნის პოლიტიკური. ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განვითარების მაღალ დონეს.

თანდათანობით იხვეწებოდა იმ საზოგადოებრივ ნაგებობათა დანიშნულება და სადგომთა შემადგენლობა, რომლებიც საბჭოთა არქიტექტურის ახალმა შინაარსმა წამოაყენა. საბავშვო დაწესებულებანი, უმაღლეს სასწავლებელთა, კლუბებისა და თეატრების, მთავრობის სახლისა და სხვ. შენობათა დაპროექტება მიუახლოვდა რეალურ პირობებს.

საზოგადოებრივ ნაგებობათა მშენებლობამ ფართო მასშტაბი მიიღო. შესავალ ნაწილში აღნიშნული იყო სასკოლო მშენებლობის მასშტაბები. 1936 წელს შეიქმნა სპეციალური საარქიტექტურო სახელოსნო საქართველოს განსახკომთან, რომელიც რესპუბლიკისათვის შესაფერი სასკოლო შენობების ტიპობრივი პროექტების შედგენას შეუდგა. პროექტები მშენებლობის პრაქტიკაზე დამყარებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებდა. 1935—38 წლებში საქართველოში 500-ზე მეტი ახალი სასკოლო შენობა აიგო. 30-იან წლებში შენდება შენობები უმაღლესი სასწავლებლებისათვის: უნივერსიტეტის ფიზიკურ-ქიმიური კორპუსი (არქ. მ. შავიშვილი, 1934—40), რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის შენობის ნაწილი (მ. ნეპრინცევი, დამთავრდა 1941), სამედიცინო ინსტიტუტის კორპუსები (მ. შავიშვილი, 1934—1940), რომლებიც სამედიცინო ქალაქის კომპლექსში შედიოდნენ, დაიწყო მშენებლობა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსისა, გორში შენდება პედაგოგიური ინსტიტუტის შენობა (მ. ნეპრინცევი, 1934—37) და სხვ.

ინტენსიური მშენებლობა წარმოებს საქართველოს კურორტებზე. ახალი სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, საბაზანო შენობების აგება მშრო-

მელთა ჯანმრთელობისა და დასვენებისათვის ზრუნვის გამოხატულებაა. თბილისში შენდება ბალნეოლოგიური კურორტის შენობა (ი. ჟიტკოვსკი, ბ. კარბინა, მ. კალაშნიკოვი, 1937), წყალტუბოში — კლინიკური სანატორიუმი (ი. კოლჩინი, 1939), პანსიონატი № 3 (მ. ბუზოღლი, 1936), საბავშვო № 5 (არქ. სევეროვი, 1936), პროფკავშირთა სანატორიუმი № 1 (ს. ლენტოვსკი, 1936), სასტუმრო (მ. ბუზოღლი, 1935—38); ლიკანში აშენდა პროფკავშირთა სანატორიუმის კორპუსები (დ. ფომინი, ნ. სევეროვი, 1935—38), პროფკავშირთა სანატორიუმი მწვანე კონცხზე (ი. ჟიტკოვსკი, 1934), სანატორიუმი „უკრაინა" (ი. შტეინბერგი, 1936) და სხვ.

კულტურულ-საგანმანათლებლო ნაგებობათა შორის აღსანიშნავია მარქსიზმ-ლენინიზმის ფილიალის შენობა თბილისში (ა. შჩუსევი, 1938). მიმდინარეობს თეატრალურ-სანახაობრივ და სპორტულ შენობათა დაპროექტება და მშენებლობა სხვადასხვა ქალაქში. ფოთში ყოფილი ტაძრის რეკონსტრუქციის შედეგად შეიქმნა კულტურის სასახლე (ა. კალგინი და ტერ-სტეპანოვი, 1933—36), გორში — თეატრი (შ. თავაძე, მ. ჩხიკვაძე, 1939), ბათუმში დაიწყო თეატრის მშენებლობა (არქ. ტეპლიცკი, დამთავრდა 1953), თბილისში აიგო ცირკის (მ. ნეპრინცევი, ს. სატუნცი, ვ. ურუშაძე, 1940), კინოთეატრ „რუსთაველის" (ნ. სევეროვი, 1939) და სხვა. შენობები. აიგო „დინამოს" სტადიონი (ა. ქურდიანი, 1935—36), ფუნიკულორის პლატოზე—ზედა სადგურის შენობა (არქ. ზ. და ნ. ქურდიანები, არქ. ა. ვოლობუევის მონაწილეობით, 1938) და სხვ.

სხვა დანიშნულების ნაგებობათაგან აღსანიშნავია სასტუმრო ქუთაისში (მ. ჩხიკვაძე, 1937—40), სამკურნალო სამმართველოს საავადმყოფო თბილისში (არქ. ზურაბიანი და უშენინი, 1935) და სხვ.

ამ პერიოდში შენდება მრავალი საადმინისტრაციო შენობა, რომელთა შორის გამოირჩევა საქართველოს სსრ მთავრობის სახლი (არქ. ვ. კოკორინი, გ. ლეჟავას მონაწილეობით, 1938). შენდება მთავრობის სახლი სოხუმსა (ვ. შჩუკო და ვ. გელფრეიხი, 1933—39) და ცხინვალში (მ. შავიშვილი, 1937), კვების მრეწველობის სამინისტრო (მ. ნეპრინცევი, 1941), პარტიის ლენინის რაიკომი (მ. ჭოჩაკიძე, 1937) და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივი შენობების დაპროექტებაზე ცხადდება შემოქმედებითი კონკურსები.

ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობაა საქართველოს სსრ მთავრობის სახლი, რომლის დაპროექტება, მშენებლობა და კონკურ-

სი სცილდება ერთი ობიექტის მნიშვნელობის ფარგლებს და მთელ რიგ, თავისი დროისათვის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს[79].

1932 წელს გადაწყდა მთავრობის სახლის აგება, გამოიყო ადგილი ქალაქის ცენტრში რუსთაველის პროსპექტზე და გამოცხადდა კონკურსი. შენობას ერთ არქიტექტურულ ორგანიზმში უნდა გაეერთიანებინა რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი. გარდა მუშაობის პირობების გაუმჯობესებისა, ახალი შენობის აგებით ქალაქში თავისუფლდებოდა დიდი ფართობი საცხოვრებელსა თუ საზოგადოებრივ შენობებში, ამას კი იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

კონკურსი მთავრობის სახლის პროექტის შესადგენად გრძელდებოდა 1932 წლიდან 1935 წლამდე, ამ წელს კონკურსის უკანასკნელი ტური მოეწყო, იგი ხუთი ძირითადი ეტაპისაგან შედგებოდა. ეს კონკურსი რესპუბლიკის არქიტექტურული ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან მოვლენად გადაიქცა. მასში, გარდა არქიტექტორებისა მონაწილეობდნენ მხატვრებიც. პროექტთა განხილვა ფართო მასშტაბით ეწყობოდა. ეწყობოდა სპეციალური ლექციები თანამედროვე მშენებლობის, ეროვნული ფორმისა და სხვა საკითხების შესახებ. პროექტების განხილვისა და მონაწილეთა დახმარებისათვის შეიქმნა მუდმივი კონსულტაცია, რომელშიც შედიოდნენ კულტურის სხვადასხვა დარგის მოღვაწენი არქიტექტორები: პროფ. ა. კალგინი, მ. შავიშვილი, ა. ქურდიანი, პროფ. ნ. სევეროვი, გ. ტერ-მიქელოვი, ი. დერიაბინი, მხატვრები: პროფ. დ. კაკაბაძე, პროფ. ლ. გუდიაშვილი, პროფ. ვ. სიდამონ-ერისთავი, მოქანდაკე პროფ. ი. ნიკოლაძე, ხელოვნების ისტორიკოსი პროფ. გ. ჩუბინაშვილი და სხვანი. აღსანიშნავია, რომ საკონკურსო მოცემულობა თხოულობდა, რათა ნაგებობის დიდებულ სისადავესთან, სიმშვიდესა და მონუმენტალობასთან ერთად, შენობის შინაარსი „ეროვნული კოლორიტით“ გამოსახულიყო.

კონკურსის პირველ ეტაპში მონაწილეობდნენ მოსკოვის ცნობილი არქიტექტურული ძალები: პროფ. ვ. კოკორინი, პროფ. ს. ჩერნიშოვი და არქ. კოჟინი, გ. გოლცი, მ. პარუსნიკოვი და ი. სობოლევი (აკად. ი. ჟოლტოვსკის ჯგუფი). სამიეე პროექტში ამოცანა სრულიად სხვადასხვაგვარად წყდებოდა. ყველა ავტორს აქვს გამოყენებული შიდა ეზოს პრინციპი, მაგრამ კოკორინის პროექტში შიდა ეზო ღიაა, დანარჩენებში კი „ჩაკეტილი“. ვ. კოკორინის პროექტში კორპუსები ნათლადაა ერთმანეთისგან გამოყოფილი, დანარჩენებში კი წარმოდგენილია ერთ მთლიან მასივად.

---

79 მთავრობის სახლის დაპროექტების, მშენებლობისა და არქიტექტურის შესახებ დაწვრილებით იხ. ნ. ჯანბერიძე, საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურა, თბ., 1967.

აკად. ი. ჟოლტოვსკის ჯგუფმა ნაგებობის არქიტექტურული სახის გადაწყვეტისათვის რენესანსული ფორმები აირჩია, პროფ. ს. ჩერნიშოვმა კი კლასიციზმის პრინციპები გამოიყენა (ტაბ. 35_1). ვ. კოკორინის პროექტი მკვეთრად განირჩევა მათგან გენერალური გეგმის გადაწყვეტითვე (შენობა ერთმანეთთან გადასასვლელებით დაკავშირებული კორპუსებისაგან შედგებოდა), მაგრამ შენობისათვის „აღმოსავლური“ იერის მინიჭების სურვილმა ავტორი ეკლექტიზმამდე მიიყვანა, ფასადების გაფორმება თეატრალურ-დეკორაციულია.

მიუხედავად პროექტის მოუმწიფებლობისა, ყიური ვ. კოკორინის პროექტზე შეჩერდა.

1933 წლის დასაწყისში პროფ. ვ. კოკორინმა მეორე პროექტი წარმოადგინა, რომელიც ტერიტორიის ახალ საზღვრებს გულისხმობდა (თუ უწინ მისთვის მხოლოდ ყოფილი სამხედრო ტაძრის ტერიტორია იყო გამოყოფილი, ახლა პირველი სკოლის ნაკვეთიც დაემატა). ახალ პროექტში მეტი ყურადღება ეთმობოდა შენობის ფუნქციურ ორგანიზაციას. მთავარი აქცენტი ყრილობათა დარბაზზეა. ფასადთა არქიტექტურა წინა პროექტთან შედარებით უფრო სადაა, მაგრამ მაინც სქემატურია. ცოტა მოგვიანებით არქ. მ. ჩხიკვაძემ შეადგინა მთავრობის სახლის პროექტი, რომელშიც მოცემული იყო ცდა ეროვნული ტრადიციების გამოყენებისა (ტაბ. 35_2). მიუხედავად იმისა, რომ პროექტში ჯერ არ იყო გახსნილი მთავრობის სახლის არქიტექტურული სახე, იგი სწორედ ეროვნულ ფორმათა ძიების თვალსაზრისით იყო საინტერესო. მ. ჩხიკვაძემ ქართული ისტორიული არქიტექტურის ტრადიციული ფორმა — თაღედი — ახალ, თანამედროვე ნაგებობის მასშტაბს დაუკავშირა და შექმნა ოთხი სართულის სიმაღლის თაღედის თავისებური ორდერი.

ამ პროექტმა კიდევ უფრო გაამახვილა ყურადღება ეროვნულ ფორმათა გამოყენების პრობლემაზე და ამით გარკვეული როლი ითამაშა კონკურსის შემდგომ მსვლელობაში.

ე. კოკორინმა კვლავ გადაამუშავა პროექტი და საინტერესო გახადა იგი იმ არქიტექტურულ-მხატვრული თვისებებით, რომლებმაც შემდგომში საბოლოო გადაწყვეტა მიიღეს: მკაფიო გენერალური გეგმა, შენობის სადგომთა მოხერხებული დაკავშირება, გამჭოლი ღერძის—პროპილეების — შექმნა, ადგილობრივ პირობებთან დაკავშირებული ღია გალერეების, ლოჯიათა გამოყენება.

ეს პროექტი 1933 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა. გადაწყდა დაეწყოთ ერთ-ერთი კორპუსის (შენობა ოთხი კორპუსისაგან შედგებოდა) მშენებლობა, ხოლო ფასადთა დამუშავებაზე მუშაობა გაეგრძელებინათ. ამის შემდეგ არქ. მ. ჩხიკვაძემ წარმოადგინა არქ. გ. ხიმშიაშვილთან და მხატვრებთან ლ. გუდიაშვილთან და დ. კაკაბაძესთან ერთად დამუშავებული მეორე პრო-

ექტი, რომელშიაც კვლავ იყო წამოჭრილი ეროვნულ ფორმათა გამოყენების საკითხი.

ამ ეტაპზე უკვე აშკარა გახდა, რომ შემდგომი მუშაობა საერთო ძალებით უნდა წარმართულიყო და მშენებლობის კომიტეტმა მოუწოდა არქიტექტურულ-მხატვრულ საზოგადოებრიობას, ხელოვნების მოღვაწეებს მონაწილეობა მიეღოთ ფასადთა დამუშავებაში, ვ. კოკორინის დამტკიცებული პროექტის საფუძველზე.

ამის შემდეგ პროექტები წარმოადგინეს არქ. მ. ჩხიკვაძემ, ლ. ჯანელიძემ და ვ. ურუშაძემ (ერთად), შ. თავაძემ, ა. კალგინმა, ი. დერიაბინმა, მხატვარმა ვ. სიდამონ-ერისთავმა, ჰ. ჰრინევსკიმ, მხატვართა კავშირმა (არქ. მ. ჩხიკვაძე და მხატვრები ს. ნადარეიშვილი და ვ. კეშელავა), არქიტექტორთა კავშირმა (არქ. ი. ზაალიშვილის მიერ შესრულებული) და არქიტექტორთა ჯგუფმა (მ. ნეპრინცევი, მ. კალაშნიკოვი, ნ. თოიძე, შ. თულაშვილი).

პროექტები განხილულ იქნა 1934 წლის აპრილში.

ავტორთა ნაწილი იცავდა ვ. კოკორინის პროექტის საერთო კომპოზიციასა და გეგმას და მხოლოდ მთავარი ფასადის გადამუშავებას იძლეოდა (ა. კალგინი, ვ. სიდამონ-ერისთავი, ჰ. ჰრინევსკი, ი. დერიაბინი), სხვები კი სრულიად ახალ წინადადებებს აყენებდნენ, მაგრამ პროექტები მაინც სქემატური და მშრალი იყო თავისი არქიტექტურით. თითქმის ყველა ავტორი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მოტივებს მექანიკურად, რესტავრატორულად იყენებს. ადრინდელ პროექტებში წამოყენებულ პრინციპებს გადაუხვია მ. ჩხიკვაძემაც, რომლის პროექტში თაღედის ერთიანი რიტმი სხვადასხვა მოცულობათა და მასების „თავისუფალმა“ განაწილებამ შეცვალა.

ლ. ჯანელიძის და ვ. ურუშაძის პროექტი თანამედროვე კონსტრუქციულ საფუძვლებზე მაღლივ შენობას იძლეოდა, მაგრამ იგი ნაკლებ შეეფერებოდა კონკრეტულ პირობებს.

ამ ეტაპის შედეგად შემდგომი დამუშავებისათვის შეირჩა ვ. კოკორინის, ლ. ჯანელიძის და ვ. ურუშაძის და არქიტექტორთა ჯგუფის (მ. ნეპრინცევი, მ. კალაშნიკოვი) პროექტები.

კონკურსის IV ეტაპზე 1934 წლის ოქტომბერში 8 პროექტი იყო წარმოდგენილი: პროფ. ვ. კოკორინის, არქ. მ. კალაშნიკოვის, მ. ნეპრინცევის, ლ. ჯანელიძის, მ. ჩხიკვაძის და შ. თავაძის, „ახალგაზრდათა ჯგუფის“ (ჯაფარიძის, მამრაძის, ნ. თოიძის და შ. თულაშვილის შემადგენლობით), ვ. ურუშაძისა და ჯანაშიასი.

ვ. კოკორინმა შეცვალა ძველი ფასადი და კოშკური კომპოზიცია წარმოადგინა (ტაბ. 35_3). მაგრამ ერთიანობა დაირღვა, კოშკი „ამოვარდა“ საერთო

სახიდან. თუ სხვა ავტორებიც (ლ. ჯანელიძე, მ. ჩხიკვაძე—შ. თავაძე) აქცენტს ვერტიკალურ ნაწილზე სვამდნენ, არქ. მ. კალაშნიკოვმა ჰორიზონტალური კომპოზიცია არჩია, ღია გახსნილი ეზოთი ფასადის მხრივ. ნეპრინცევი უარყოფდა გამჭოლი ღერძის იდეას. მაგრამ ეს განსხვავებანი ხარისხობრივად წინა ეტაპს არაფერს მატებდნენ, რადგან პროექტებს იგივე ნაკლი ჰქონდა.

კონკურსის ბოლო ეტაპზე წარმოდგენილ ვ. კოკორინის (გ. ლეჟავას მონაწილეობით), მ. ნეპრინცევის, ლ. ჯანელიძის, ვ. ურუშაძის და ინჟ. ს. ლენტოვსკის პროექტთაგან უპირატესობა პირველს მიენიჭა. ამ პროექტში მთავარი ფასადის სიმეტრიული გადაწყვეტა ორი კოშკით იყო ხაზგასმული. მაგრამ კოშკები ბუტაფორიულს ჰგავდა, უცხო მოდერნისტული „ეგზოტიკით“ ნაკარნახევი ფორმები არღვევდნენ შთაბეჭდილებას. ამ პროექტში ქართული არქიტექტურის თავისებურებანი უფრო ფართოდაა გამოყენებული — ამ მხრივ საინტერესოა ინტერიერთა დამუშავება. მაგრამ პროექტი ჯერ შორს იყო საბოლოო გადაწყვეტისაგან და შემდგომ დამუშავებას მოითხოვდა.

კონკურსის ამ ეტაპის შემდეგ გადაწყდა, რომ მთავარი კორპუსის მშენებლობა გადაედოთ და გაგრძელებულიყო ზედა კორპუსის დაწყებული მშენებლობა.


ეს კონკურსი ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში აშკარად აისახა ძიების რთული გზა, დამახასიათებელი მეორე პერიოდის დასაწყისისათვის. კონკურსის ეტაპების შედარებისას ჩანს, რომ არქიტექტორები თანდათანობით უარყოფენ კონსტრუქტივისტულ ფორმებს და უფრო მემკვიდრეობის ათვისების გზას ადგებიან. მემკვიდრეობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების კრიტიკამ არქიტექტორთა ნაწილი მეორე უკიდერესობაში — მემკვიდრეობის ბრმად „გამოყენებაში“ ჩააგდო. „ეროვნული ფორმები“ უმეტესად შემთხვევითი ხასიათისა იყო, პროექტებში ადგილი ჰქონდა რეტროსპექტივიზმს, მაგრამ მაინც აშკარად ჩანდა ცდა, ძიება ქართული არქიტექტურული ფორმების ახლებურად ამეტყველებისა.

ამ კონკურსმა გამოავლინა ახალგაზრდა არქიტექტურული ძალები (არქ. მ. ჩხიკვაძე, შ. თავაძე, ლ. ჯანელიძე, ვ. ურუშაძე, ი. ზაალიშვილი და სხვ.). ძველ, უკვე ცნობილ არქიტექტორთა გვერდით ასპარეზზე გამოდის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელსაც განათლება ადგილობრივ ჰქონდა მიღებული და რომლისთვისაც კონკურსი თავისებურ სკოლას წარმოადგენდა.

როგორც აღინიშნა, პროექტების განხილვაში მონაწილეობდა ფართო საზოგადოებრიობა. მთავრობის სახლის დაპროექტება და მშენებლობა სახალხო საქმედ იქცა.

მთავრობის სახლის ზედა კორპუსის მშენებლობა, რომელიც 1933 წელს დაიწყო, დამთავრდა 1938 წელს (არქ. ვ. კოკორინი, გ. ლეჟავას მონაწილეობით). ეს კორპუსი პროექტით გათვალისწინებული მთელი კომპლექსის ნაწილი იყო და წინა კორპუსის მშენებლობის შეჩერების გამო, იგი ძალაუნებურად „გამოვიდა" რუსთაველის პროსპექტზე[80].

იგი კურდონერის სახით გამოდიოდა რუსთაველის პროსპექტზე (ტაბ. 36₁) მისი „П"-სებრი გეგმა სამი მხრიდან ერტყმოდა შიდა ეზოს, რომლის ცენტრიც პროსპექტიდან პროპილეების ღერძზე მიმავალმა საზეიმო კიბემ დაიკავა. შენობის წინ. ქუჩის წითელ ხაზამდე, მთელი მონაკვეთი დანაწევრებული იყო



თბილისი. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ზედა კორპუსი. პირველი სართულის გეგმა.

მწვანე პარტერითა და მოასფალტებული მისასვლელებით, როგორც ცენტრალური კიბისაკენ, ისე გარაჟში შესასვლელად. პროსპექტის მხარეს თუჯის გამჭოლი ჰიშკარი კეტავდა შენობის წინა მოედანს.

თვით შენობა, მონაკვეთის რთული რელიეფის გამო, ტერასებად იყო გადაშლილი, რვასართულიანი ფრთებით სამი მხრიდან გარშემორტყმულ ეზოში შენობის ცენტრი მკაფიოდ გამოიყოფა გამოწეული მოცულობით. მისი სამი თაღი და განსხვავებული დანაწევრება თავიდანვე იპყრობს ყურადღებას, გვერდის ფრთების ქვემო სართულები ეზოს ღია თაღოვანი გალერიით ფარგლავენ.

80 წინა, მთავარი კორპუსი აშენებულ იქნა 1946—53 წლებში; იხ. ქვემოთ.

ფართო კიბეები აკავშირებენ პროსპექტს მის პარალელურად მდებარე ათარბეგოვის ქუჩასთან (მათ შორის ნიშნულთა სხვაობა 15 მ-ია).

ქუჩისაკენ გამომავალ სამ დანარჩენ ფასადს ანაწევრებს კედლის სვეტთა დიდი ორდერი. თუ ათარბეგოვის ქუჩაზე შენობა ერთი მთლიანი მოცულობითაა წარმოდგენილი, გვერდის ფასადებზე იგი ძირითადად, ორი ნაწილისაგან შედგება: ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად გადაჭიმულ მოცულობათაგან.

მთელი შენობა მტკიცედ დგას ტეშენიტის რუხი ფერის ცოკოლზე.

პროპილეების მხრიდან, შენობის ორ მხარეს გაკეთებული შესასვლელები აადვილებს მომსვლელთა რეგულირებას: ამით თავიდან აცილებულია ვესტიბიულის გადატვირთვა ხალხის ნაკადით. ბუნებრივია, რომ ასეთი დიდი მოცულობის ადმინისტრაციულ ნაგებობაში ხალხის დიდი მოძრაობაა. ამიტომ, ვესტიბიულების ცალ-ცალკე მოთავსება თავისი შესასვლელებით კარგად ანაწილებს მომსვლელებს მთელ შენობაში.

ვესტიბიულებს გეგმაში წაგრძელებული ფორმა აქვთ: მომსვლელი თავიდანვე მიმართულია შენობის ცენტრალური ნაწილის განაპირა მხარეებისაკენ, სადაც სადარბაზო კიბეებია მოთავსებული (ტაბ. 36_2).

როგორც ითქვა, რთულმა რელიეფმა შენობის განსხვავებული სართულიანობა გამოიწვია: თუ ათარბეგოვის ქუჩიდან პირდაპირ შენობაში, პირველ სართულზე შევდივართ, ეზოს მხარეს მას ცოკოლის ორი სართულიც ემატება.

გეგმათა რაციონალური ორგანიზაციისათვის ავტორმა შესასვლელები გვერდის ფრთებში, ეზოს მხარესაც მოათავსა. აქ, მეორე ცოკოლის სართულზე, ორივე ფრთაში კიბის უჯრედთან დაკავშირებული ფართო ვესტიბიულებია.


ავტორმა ამ კორპუსის დაგეგმარებისათვის დერეფნული სისტემა აირჩია, ძირითადად ოთახების ორმხრივი განლაგებით. შენობის გეგმა პროპილეების ღერძის მიმართ სიმეტრიულადაა გადაწყვეტილი. პირველ ცოკოლის სართულში შესვლა შეიძლება როგორც ვესტიბიულის, ისე შიდა ეზოს მწვანე ნარგავებია ტერასაზე გამომავალი ღია დერეფნის საშუალებით. აქ ტერასისაკენ დაგეგმილია სამუშაო ოთახები, ხოლო მათ უკან კი დამხმარე სადგომები. ძირითადი სამუშაო ოთახები ამ სართულზე განლაგებულია გვერდის ფრთებში, სადაც ისინი ნაწილდებიან დერეფნის მხარეებზე. აქვეა. დამატებითი კიბის უჯრედიც, ცოკოლის სართულებს ერთმანეთს რომ უკავშირებს.

თუ ქვედა სართულის გვერდის ფრთებში ეზოს ღია გალერეის გამო ოთახები დერეფნის ცალ მხარესაა, პირველ სართულზე ოთახები მთელ დერეფანს ორივე მხარეს ერტყმის. უმთავრესი მნიშვნელობის სადგომები — მინისტრთა კაბინეტები — მდებარეობს შენობის ცენტრალური და გვერდის ნაწილების გადაკვეთაზე, კუთხეში. აქ დაგეგმილია კაბინეტები, მისაღები, სამუ-

შაო, მდივნისა და სხვათა ოთახები (თავისი სანკვანძით). ჩიტაძის ქუჩის ფრთაში სამუშაო ოთახები გადის ორი სართულის სიმაღლის გრძელ ღია ლოჯიაში,

შენობის ზედა სართულები ძირითადად ამავე გეგმას იმეორებენ.

შენობის მესამე სართულზე, რომელიც აგრეთვე იმეორებს ქვედა სართულის დაგეგმარების პრინციპს, ცენტრალური ნაწილის შუაში მოთავსებულია ორსართულიანი სხდომათა დარბაზი, ეზოს მხარეს ცენტრალური ნაწილის



საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ზედა კორპუსი. მესამე სართულის გეგმა.

ოთახები ღია აივანზე გამოდიან. გვერდის ფრთებში დერეფნის ნახევარს ოთახები ცალ მხარეს აქვს: ეზოს მხარეს აქ ტერასებია.

მეხუთე სართულზე, დარბაზის თავზე, ისევ ორსინათლიანი სხდომათა დარბაზია, ზუსტად ქვედა დარბაზის ზომისა.

მეშვიდე სართული მხოლოდ შენობის ცენტრალურ ნაწილშია. იგიც ასევე იმეორებს ქვედა სართულთა გეგმას. ამ სართულიდან გასვლა შეიძლება გვერდის ფრთების გადახურვის ტერასიან ნაწილზე.

ამრიგად, არქიტექტორმა მთელი შენობის დაგეგმარება ძირითადად ერთი სართულის გეგმას დაუმორჩილა, სართულები ძირითადად იმეორებენ ერთი სართულის დამახასიათებელ გეგმას.

ამ კორპუსს ავტორმა წმინდა „სამუშაო“ სახე მისცა. იგი მოკლებულია

საზეიმო, პარადულ დამუშავებას, ფუნქციურად კი კარგადაა გადაწყვეტილი. ინტერიერში დაცულია შენობის კონსტრუქციული სიცხადე. ყოველგვარი ზედმეტი მორთულობის გარეშე. თვით სამუშაო ოთახებს, სხდომათა დარბაზებს, კაბინეტებს შენარჩუნებული აქვთ მკაცრი საქმიანი იერი.

ათარბეგოვის ქუჩაზე ფასადის სიბრტყე ჰორიზონტალურად წაგრძელებულ სწორკუთხედშია მოქცეული.

ცენტრში სამი სართულის სიმაღლის პორტალი ხაზს უსვამს შესასვლელს. ფასადის ცენტრალური ნაწილი დანაწევრებულია დიდი ორდერით, რომელსაც მეხუთე სართულზე ანტაბლემენტი კრავს. მძლავრი სარტყელითაა დაგვირგვინებული მეექვსე სართულიც. შენობის ეს ცენტრალური ნაწილი, რომელსაც ფასადის დიდი ფართობი უჭირავს, ორივე მხრიდან ჩაკეტილია კიბის უჯრედის მთელ სიმაღლეზე აყოლებული ვერტიკალური ზოლებით. ფასადის განაპირა მხარეები დაყოფილია შეწყვილებული კვადრატული ფანჯრებით, რომლებიც მესამე, მეხუთე და მეშვიდე სართულზე კუთხის ლოჯიებს ქმნიან. შენობას აგვირგვინებს მცირე კრონშტეინებზე დაყრდნობილი სადა პროფილის კარნიზი.

კედლის ძირითადი სიბრტყე შელესილია. მხოლოდ სვეტები და სარტყლები, პორტალისა და კიბის უჯრედის ზოლის საპირეები და აივანია ბუნებრივი ქვით მოპირკეთებული. ფასადის მარჯვენა, განაპირა ნაწილი დაფარულია ბოლნისის ტუფით (მისი სიმეტრიული მარცხენა მხარე ფასადზე დღემდე მოუპირკეთებელია).

ფასადის საერთო კომპოზიცია მარტივია. იგი ფრონტალურია და სიმეტრიულადაა გადაწყვეტილი. ავტორი მას ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დანაწევრებათა გაწონასწორებაზე აგებს — თუ დიდ ორდერს და კიბის უჯრედთა ზოლს ვერტიკალური აზიდულობა შეაქვთ ფასადში, ორი მძლავრი სარტყელი, გვერდის ლოჯიები, ფასადის შუაში აივნის თარაზული ზოლი და ორნამენტული მოჩარჩოება, კედლის ძირითად სიბრტყეზე კვადრატული ფანჯრების შეწყვილება — აწონასწორებს ამ მოძრაობას.

კედლის სიბრტყის დანაწევრებაში ერთ-ერთ მთავარ ელემენტს პილასტრების დიდი ორდერი შეადგენს. მისი საშუალებით კედელი ხუთი სართულის სიმაღლეზე ვერტიკალურ არეებად იყოფა. არქიტექტორს აღებული აქვს შეწყვილებული ნახევარწრიული კვეთის სვეტები, რომლებიც ბრტყელ პილასტრზეა მიყრდნობილი. სვეტის დიამეტრი განსაზღვრული იყო ფანჯრებს შორის დატოვებული არეებით. ავტორმა შეწყვილებული ნახევარსვეტები აირჩია, რადგან თითო ნახევარსვეტი რომ აეღო, გაიზრდებოდა სვეტის დიამეტრი და დაირღვეოდა ფასადის საერთო მასშტაბურობა. შეწყვილებული

ნახევარსვეტები საშუალებას იძლევა დიდ სიმაღლეზე ნაკლები შეერილით მოცემულ იქნას მაღალი ორდერი. მთელი ხუთი სართულის სიმაღლისათვის იგი მაინც საკმარისი არ არის, დაეკარგება ძალა. ამიტომ მესამე სართულის დონეზე შეწყვილებული სვეტები გადაკვეთილია სარტყლით — აბაკით, რომლის ზემოთაც გრძელდება უკვე მხოლოდ ერთი ნახევარსვეტი, იმავე დიამეტრისა, რაც ქვევითა სვეტებია. ამრიგად, მთელი ორდერი ორი, მკვეთრად გამოვლენილი იარუსისაგან შედგება. მაგრამ ამ შეწყვილებულ, გაუბრალოებულ სვეტებს დეკორაციულ ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული. ამიტომ, მათი ასე გადაწყვეტა აუბრალოებდა საერთო არქიტექტურულ სახეს და სიმშრალესა და სქემატურობას ანიჭებდა მას.

ფასადის სიმეტრიულ კომპოზიციაში ცენტრს განსაკუთრებული როლი ეკისრება. აქ გამოდის პროპილეების გამჭოლი ღერძი და შენობაში შესასვლელებიც აქედან არის. კარგად არის შერჩეული პორტალის ზომები. ავტორმა სამი სართულის სიმაღლის ხვრელობი შეწია კედლის სიღრმეში, ხოლო თვით გამჭოლი ღერძი — გასასვლელი ერთი სართულის სიმაღლისა გააკეთა. ამით თავიდანაა აცილებული ორ სართულზე ფართობის ზედმეტი კარგვა და დაცულია გეგმის ერთიანობა მთელ შენობაში.


პორტალის ნიშა პროპილეების წინა სივრცეს ქმნის და მის პირველ საფეხურს წარმოადგენს. პროპილეების ღერძი ორ „საფეხურადაა“ გადაწყვეტილი, რომლებიც ორივე მხრიდან — ზევიდან ქვევით ჩასვლისას, თუ პირიქით, ამოსვლისას, მკაფიოდ იკითხება. ათარბეგოვის ქუჩიდან, საიდანაც შენობაში შესასვლელებია, პორტალის ნიშის სივრცე ერთგვარ პაუზას იწვევს. აქ მახვილია დასმული, რასაც ზევით უკვე აღნიშნულ ხერხებთან ერთად, თვით იატაკის გადაწყვეტაც კი უსვამს ხაზს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი გასასვლელი ერთ დონეზეა, იატაკი შესასვლელთა წინ სხვაგვარი ნახატისაა, ვიდრე სვეტებიან გასასვლელში, სადაც ხვრელობის სიგანეც შემცირებულია. ამრიგად, პორტალის ნიშა პროპილეების სივრცობლივ გადაწყვეტაში ერთ-ერთი საფეხურია, რომელიც შენობაში შემსვლელთა განაწილების კონკრეტულ ამოცანას პასუხობს.

პორტალის დიდი მასშტაბი გასასვლელში დაყვანილია ადამიანის სიმაღლის შესაფერი ზომამდე, ბოლნისის ოქროსფერი ტუფის ფონზე, სადახლოს მარმარილოთი მოპირკეთებული მრგვალი სვეტები, ორიგინალური სვეტისთავებით, მეტად ეფექტურია. ეს საზღვრავს გასასვლელის მხატვრულ სახეს. სვეტები კედელთან ახლოს დგას, მაგრამ კედლის სიბრტყეზე არ არის მიდგმული. ესეც სივრცობლივი ამოცანის გადაწყვეტას პასუხობს: ჰაერით გარშემორტყმული სვეტები, შუაში ფართო თავისუფალი გასასვლელით, ჰერის

სწორკუთხედებად დაყოფა, მიუხედავად იმისა, რომ გასასვლელის სიმაღლე დაბალია, თავისუფალ სივრცეს ქმნის — შენობის სიმძიმე არ აწვება ადამიანს. თავისებური, კარგი ნახატის მქონე სვეტისთავები თავიდანვე იპყრობს ყურადღებას და ხაზს უსვამს პროპილეების ღერძს.

არქიტექტორს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია შენობის ცენტრალური ნაწილის პროპორციებისათვის.

ფასადის ცენტრის არე, პორტალის ხვრელობის მსგავს სწორკუთხედს წარმოადგენს. თვით სწორკუთხედები აგებულია მათ ფუძეთა კვადრატების



საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ზედა კორპუსი. ათარბეგოვის ქუჩის ფასადის ცენტრალური ნაწილის პროპორციული აგების სქემა.

დიაგონალებზე. ცენტრალური არის სწორკუთხედში პორტალის სიმაღლე ოქროს კვეთის მწკრივის დიდ მონაკვეთს შეადგენს.

ფასადი სავსებით ფრონტალურად ვერც ერთი წერტილიდან ვერ აღიქმება, ამიტომ მთელი ყურადღება ცენტრზეა კონცენტრირებული. ფასადზე ძუნწად გამოყენებული ორნამენტულ-დეკორატიული ელემენტები მხოლოდ ცენტრალურ ნაწილშია აქცენტირებული. ორნამენტული არშიები პორტალისა და აივნის გარშემო კიდევ უფრო უსვამენ ხაზს ცენტრს.

ფასადის აღქმისას მაყურებელს თავიდანვე თვალში ეცემა განაპირა, მინის ვერტიკალური ზოლები, თითქმის მთელი შენობის სიმაღლეზე. ისინი აწონასწორებენ ფასადის ჰორიზონტულ ელემენტებს. მართალია, ფასადზე მიღწეულია არქიტექტურულ ელემენტთა წონასწორობა, მაგრამ არ არის

დაცული მხატვრული ენის ერთიანობა. დეკორიც შემთხვევით ხასიათს ატარებს, არ ემორჩილება ერთ მთლიან სისტემას: კუთხის კედლის სვეტები, დიდი ორდერის ზედა რეგისტრის ბურთობიანი კაპიტელები და ხის ორნამენტული ჩანადგარები კიბის უჯრედის ზოლებში ვერ ახდენენ გავლენას არქიტექტურულ კომპოზიციაზე და მხოლოდ თავისთავადი მნიშვნელობა აქვთ. დაუსაბუთებელია ფასადის ცენტრალურ არეზე კარნიზების შეწყვეტა. მეექვსე სართულის სარტყლის შემდეგ, დამაგვირგვინებელი კარნიზი მეტად უმნიშვნელოა ასეთი შენობისათვის. თუ გვერდის ფასადისათვის მისი შვერილი და სიმაღლე საკმარისია, ამ ფასადის გრძელი ფრონტისათვის იგი სუსტად გამოიყურება.

გვერდის ფასადები, როგორც უკვე ითქვა, ორი მასისაგან შედგება, რომელთაგან ერთი — შვერილი — ვერტიკალურადაა აღმართული ქუჩის ფერდის ზედა მხარეს, ხოლო მეორე — ჰორიზონტულადაა გადაწოლილი გვერდის ფასადის თითქმის მთელ ფრონტზე. ამ ნაწილების შეხვედრის ადგილას ფასადის ხაზი შეტეხილია და სიბრტყეთა სხვაობა მკაფიოდ ჩანს. ჰიჰინაძის ქუჩის ფასადზე კედლის ძირითად სიბრტყეს (შვერილი ნაწილის გამოკლებით) ყოფს პილასტრების დიდი ორდერი, რომელიც აქაც, ათარბეგოვის ქუჩის ფასადის მსგავსად, ხუთ სართულს სწვდება და კედელს ვერტიკალურად ანაწევრებს. ცოკოლის სართული, ქუჩის ციცაბო აღმართის გამო, ქვევით ორი სართულის სიმაღლისაა და ზევითკენ თანდათანობით კლებულობს. კედელი შელესილია (მხოლოდ გრანიტის ცოკოლზე დაყრდნობილი პილასტრები და არქიტრავია ბუნებრივი ქვით მოპირკეთებული). ფასადის შვერილი ნაწილის შუა ღერძზე, მთელ სიმაღლეზე აყოლებული ფართო ბუნებრივი ქვის საპირე ერთ გრძივ ზოლში აერთიანებს ლოჯიებს. მისი განაპირა ყრუ კედელი კარგად ამთავრებს ფასადს, ხოლო მეორე მხარეს ფანჯრების ქსელით უკავშირდება მთავარ მოცულობას. ამ კავშირისათვის ავტორი აივნებსაც იყენებს — ეს აივნები კუთხეში „კრავენ" შენობის ორ ნაწილს. ფასადის ძირითადი მასის კომპოზიცია ჩაკეტილია კიბის უჯრედის ვერტიკალური ზოლით, რომელიც მეტი სიმკვეთრით გამოვლენისათვის — ავტორს ერკერის სახით გადაუწყვეტია.

თუ ჰიჰინაძის ქუჩაზე ფასადის მასა ორიარუსიანი ორდერის საშუალებით ვერტიკალურადაა დანაწევრებული, ჩიტაძის ქუჩაზე ცოკოლის სართულზე დაყრდნობილია ორსართულიანი ღია თაღოვანი გალერეა და იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს ფასადის არქიტექტურულ კომპოზიციაში. მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულები ისევ ვერტიკალურ უჯრედებადაა დაყოფილი პილასტრებით, მაგრამ ამ ფასადის კომპოზიცია ჰორიზონტული დანაწევრებით

განისაზღვრება და არა ვერტიკალურით, როგორც, მაგალითად, ჭიჭინაძის ქუჩის ფასადზეა.

ლოჯიის თაღედის ელემენტის შეტანა ფასადს აცოცხლებს და მიმზიდველს ხდის.


ჭიჭინაძის ქუჩა მეტად ვიწროა, თვალი ნორმალურად ვერც აღიქვამს შენობას, ამიტომ ავტორმა ამ ფასადს ნაკლები ყურადღება დაუთმო, ხოლო ჩიტაძის ქუჩაზე გამომავალ ფასადს ერთ-ერთი მთავარი როლი მიანიჭა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სრულიად სწორი იყო, რადგან ჩიტაძის ქუჩის ფასადი ქალაქის მრავალი წერტილიდან ჩანს. გარდა ამისა, თვით ქუჩაც, მასზე მოთავსებული საადმინისტრაციო შენობებით, მნიშვნელოვანია და ხალხმრავალი.

ჩიტაძის ქუჩის ძლიერი დაქანების გამო (ფასადის ფრონტზე—8 მ.) ავტორმა შენობისათვის საფეხუროვანი კომპოზიცია აირჩია, რამაც შენობა ქუჩის რთულ რელიეფთან დააკავშირა: შენობა კარგად დგას აღმართზე. არქიტექტორმა ფასადი ისე დაანაწევრა, რომ მთლიან კომპოზიციაში, მიუხედავად ასიმეტრიულობისა, წონასწორობისათვის მიეღწია. კედლის სიბრტყის პილასტრებით დანაწევრება და ვერტიკალური მასის სწორკუთხედი საერთო პროპორციათა ხასიათის ერთიანობას ქმნის. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი ფასადის მარჯვენა კუთხეში გამოჰყოფს კიბის უჯრედის ვერტიკალურ ზოლს ერკერით, ე. ი. მოცულობით, თანაც ცოკოლის ხაზის ქვემოთ აგრძელებს მას. ამით ეს ნაწილი, რომელიც გარკვეულ როლს თამაშობს მასათა გათანაბრებაში, ხაზს უსვამს კომპოზიციის ასიმეტრიულობას და დინამიკურობა შეაქვს მასში.

ფასადის პროპორციების შერჩევისას ავტორი გარკვეულ კანონზომიერებას იცავს. ფასადის ვერტიკალური და ჰორიზონტული მასები ერთმანეთს აწონასწორებენ, რაც მიღწეულია სწორკუთხედთან პროპორციული უკუფარდობით.

კომპოზიციაში წამყვანი მაინც მარჯვენა — „ჰორიზონტული“ ნაწილია, რომლის დანაწევრება სიმაღლეზე, „ოქროს კვეთის“ ჰარმონიულ მწკრივს ემყარება (რა თქმა უნდა, არა აბსოლუტური სიზუსტით). ასეთი გადაწყვეტით ხუროთმოძღვარი სასიამოვნო პროპორციულ დანაწევრებას ქმნის. ამასთან ერთად, ჰორიზონტულ და ვერტიკალურ მასათა ურთიერთთანაფარდობა საერთო შთაბეჭდილების მთლიანობას იძლევა. ფასადის ძირითად არქიტექტურულ მოტივს, როგორც ვთქვით, თაღედი წარმოადგენს. მისი პროპორციები დახვეწილი და სასიამოვნოა. თაღედის თითოეული რგოლი ჩაწერილია სწორკუთხედში, რომელთა გვერდების თანაფარდობაა 1:2: კარგადაა განსაზღვრული სვეტის, თაღის, მოაჯირის სიმაღლეები და მათი თანაფარდობა. თაღი

შეისრულია, რაც გარეგნულად მეტ სიმწყობრეს ანიჭებს მის პროპორციებს. თავისუფალი ინტერკოლუმნიუმი (სვეტშორისი) (5, 6 მ) და ქვის მოჯირის გამჭოლი ელემენტებით შედგენა ლოჯიის სივრცეს გარე სივრცესთან აერთიანებს.



საართველოს სსრ მთავრობის სახლის ზედა კორპუსი. ჩიტაძის ქუჩის ფასადი პროპორციული აგების სქემა.

არქიტექტორი თაღედის ცხრა სვეტს ერთსა და იმავე კაპიტელს კი არ ადგამს, არამედ შემუშავებული აქვს სამი ძირითადი სახე კაპიტელისა, რომელთაგან ორს ერთი და იგივე კომპოზიციური საფუძველი აქვს. თაღედზე ნახატის მიხედვით კაპიტელების განაწილებისას არქიტექტორი გარკვეულ კანონზომიერებას იცავს. ამით იგი მეტი ნაირფეროვნების ეფექტს აღწევს.

ეს ფასადი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა მიმართული და თითქმის მთელი დღის განმავლობაში მზითაა განათებული. ამიტომ ლოჯია მეტად აცოცხლებს ფასადს. ავტორი ითვალისწინებს ფასადის ორიენტაციას და პროფილთა გამოწვევასაც ამით საზღვრავს.

ფასადის კოლორიტი ნათელი და მაჟორულია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრული სახის გახსნისათვის. ფასადის შვერილი ნაწილისა და ძირითადი ელემენტების — თაღედის, პილიასტრებისა და სხვათა — ბუნებრივი ქვით მოპირკეთება კარგად ეხმაება კედლის შელესილ ზედაპირს და გამოყოფს

ფასადის არქიტექტურის წამყვან მოტივებს. ფასადის კოლორიტს საზღვრავს ბოლნისის ოქროსფერი ტუფი, რომელიც მზის სხივების მეშვეობით კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ფასადს.

ფასადის ორი შემადგენელი ნაწილი უფრო კარგად დაუკავშირდებოდა ერთმანეთს, მათი ცოკოლი რომ ერთგვაროვანი ყოფილიყო. ახლა კი, როცა მთავარი მასის ცოკოლი მოპირკეთებულია რუსტიკით, ხოლო შვერილისა — გლუვი წყობით, ეს ნაწილები ერთმანეთს წყდება. უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს კიბის უჯრედის ვერტიკალური ზოლი და კუთხის ყრუ, სქემატური აივნები.

მიუხედავად ამ ნაკლისა, ფასადი, თავისი მხატვრული გადაწყვეტით, აშკარად გამოირჩევა მთელ შენობაში.

რუსთაველის პროსპექტზე გამოსული ფასადი, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ეზოს ფასადს წარმოადგენდა. მან მხოლოდ შემთხვევით მოიპოვა მთავარი მნიშვნელობა, წინა კორპუსის მშენებლობის შეჩერების გამო. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენ მას არ განვიხილავთ პროსპექტის განაშენიანებაში.

მდებარეობის მხრივ, ნაგებობა მეტად მომგებიანად იდგა. ტერასებად გადაშლილი შიდა ეზო, ფართო მისასვლელები, პარადულ იერს ანიჭებდა შენობას.

მთავარი არქიტექტურული მოტივი აქ პროპილეების გამჭოლი ღერძია. ფართო საზეიმო კიბეები ტერასებად მიემართება პროსპექტიდან შენობისაკენ.

ავტორმა, ფასადთა დანაწევრებისას, აქაც დიდი ყურადღება მიაქცია მასათა პროპორციულ გადაწყვეტას. ქვედა სართული (მწვანე ნარგავებიან ტერასის დონეზე) ქვევიდან არ ჩანს: მას ფარავს ცოკოლის სართული, რომელიც საკმაო მანძილითაა გამოწეული ფასადის სიბრტყიდან. ქუჩიდან, რთული რელიეფის გამო, ჩანს ფასადის მხოლოდ ზედა შვიდი სართული, ამიტომ არქიტექტორი ეზოს საფასადო კედლის სიბრტყის გადაწყვეტისას მთავარ ყურადღებას აქცევს შენობის სიმაღლეს, კიბეების ზედა ნიშნულის ზევით.

ცხადია, მარტო პროპორციული გადაწყვეტით ამოცანა გადაჭრილი. ვერ იქნებოდა. მხატვრული ენის სიჭრელემ, რამაც ეზოს ფასადებზე განსაკუთრებით იჩინა თავი, თავისი დაღი დაასვა სწორედ არქიტექტურულ მთლიანობას.

გვერდის ფრთების ღია გალერეა სასიამოვნო პროპორციებისაა და ისევე, როგორც ღია დერეფნები მის ზედა სართულებზე, კარგად აკავშირებს შე-

ნობას გარე სივრცესთან. ზედა ორი სართული, დანარჩენებისაგან ქვის ყრუ პარაპეტით რომ გამოიყოფა, მოპირკეთებულია ბოლნისის მოვარდისფრო-მოყვითალო ტუფისა და მოთეთრო ბუნებრივი ქვის კომბინაციით: წყობაში შექმნილია რომბული ნახატი. ამით, როგორც ჩანს, ავტორს შენობის არქიტექტურისათვის „აღმოსავლური“ იერი უნდოდა მიენიჭებინა. ნამდვილად კი კედელს დაეკარგა დამჯერებლობა, დეკორაციულ ბუტაფორიად გადაიქცა. მისი მასალა — ქვა — სავსებით დაიკარგა: შორიდან შეხედვისას ძნელი მისახვედრია, რომ ეს ზოლები ქვისგან არის, ფერად შელესვას უფრო ჰგავს. ქვის კვადრები ჰორიზონტული რიგების შექმნის ნაცვლად, რასაც კონსტრუქციული ლოგიკა მოითხოვს, აყირავებულია რომბული ნახატის შესადგენად. ამგვარად, დარღვეულია კედლის ტექტონიკურობა, ქვის წყობა არაბუნებრივია.

მთავრობის სახლის ამ კორპუსის არქიტექტურაში არ არის ერთიანი, მთლიანი მხატვრული სახე. მისი არქიტექტურა აჭრელებულია სხვადასხვა არქიტექტურული მოტივითა და ელემენტით. ფასადების არქიტექტურა არ არის შეკრული ერთ მთლიან ორგანიზმში. შენობაში დეკორაციულ-მხატვრულ ელემენტთა გამოყენებაც ასეთსავე სახეს ატარებს. ბევრი მათგანი შემთხვევითაა მოტანილი და მოდერნისტული იერი დაჰკრავს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც შენობის მთელ არქიტექტურაში, დეკორაციული ამოცანების გადაწყვეტისასაც, შემოქმედებითი ძიებისას არის გარკვეული მიღწევებიც. შენობის მორთულობის ძიებისას ავტორმა ზოგიერთი ამოცანა სავსებით სწორად გადაწყვიტა, მაგრამ ვერ შეძლო მთლიანად გაჰყოლოდა ამ გზას, ე. ი. იგი პრინციპად გადაექცია. სწორედ ამან გამოიწვია დეკორაციულ-მხატვრული ელემენტების გამოყენებისას ეკლექტიზმი და მთლიანობის დარღვევა, მათი უსისტემობა.

ხუროთმოძღვარი ფასადების არქიტექტურაში ორნამენტულ სამკაულს თავშეკავებულად მიმართავს. მისი ადგილი ძირითადად სწორად არის მოძებნილი. შესასვლელების ხაზგასასმელად, ცენტრის გასაძლიერებლად, თუ სხვა რაიმე აქცენტისათვის იგი ორნამენტულ მოტივებს იყენებს. ასეთია, მაგალითად, პორტალის მოჩარჩოება, ერკერის დამუშავება, მცენარეულ ორნამენტისაგან შემდგარი კარნიზი, კაპიტელები, ხის ორნამენტული ჩანადგარები კიბის უჯრედზე და ა. შ. მაგრამ თუ მათი არსებობა აქ გასაგებია, არაფრით არ არის გამართლებული ათარბეგოვის ქუჩის ფასადზე კუთხის ლოჯიებთან დეკორაციული სვეტის დაყენება, ან კიდევ პროსპექტისაკენ გამომავალი ფასადის გვერდის ფრთებზე კუთხეების ხაზგასასმელად ორნამენტული სარტყლის მიდგმა, ათარბეგოვის შუჩაზე გამოსული აივნის ორნამენტული მოჩარჩოება და სხვ.

რაც შეეხება თვით დეკორაციულ მოტივთა დამუშავებას, არქიტექტორი მარტივი ნახატის დაცვით შუქ-ჩრდილით აღწევს ეფექტს. მაგრამ დეკორაციულ-მხატვრულ ელემენტთაგან თუ ზოგიერთი კარგად არის დამუშავებული და მათი მხატვრული სახეც დამთავრებულია, დანარჩენი შემთხვევით ხასიათს ატარებს, რაც დისჰარმონიას იწვევს და არღვევს აღქმის მთლიანობას.

როგორც არქიტექტურულმა ანალიზმა დაგვანახა, საქართველოს მთავრობის სახლის ზედა, ე. წ. კორპუსი „ბ“, მიუხედავად იმისა, რომ მის არქიტექტურულ კომპოზიციაში ბევრი საინტერესო მომენტი იყო (რაციონალური გეგმა, პროპილეების გამჭოლი ღერძი-ცენტრი კომპოზიციისა, ტერასებად გადაშლილი შიდა ეზო, მასათა პროპორციული თანაფარდობა, ლოჯია — თაღედი ფასადზე და სხვ), არ წარმოადგენდა მხატვრულად დამთავრებულ ნაწარმოებს. მას აკლდა სტილისტიკური ერთიანობა, ორგანულობა, ზოგიერთ კარგად დამუშავებულ და გააზრებულ არქიტექტურულ მოტივთა გვერდით, ვხვდებით შემთხვევით მოტანილ ფორმებსა და ელემენტებს. ავტორს დაძლეული არა აქვს სქემატიზმი, რომლის გამოძახილი ამ კორპუსის არქიტექტურაში (კუთხის აივნები, კიბის უჯრედთა ვერტიკალები, უსაპირო ფანჯრებით დაცხრილული შიშველი კედლები და სხვ.) არღვევს მის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრსა და ერთიანობას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მთავრობის სახლის დაპროექტების დროს არქ. ვ. კოკორინი ცდილობდა ეროვნული ფორმებით ამეტყველებული ნაგებობა შეექმნა. ისიც აღინიშნა, რომ ეს მოთხოვნილება კონკურსის მონაწილეთათვის თვით პროგრამით იყო განსაზღვრული. მაგრამ ამ მიზნის მხატვრულ ხორცშესხმას ისიც უშლიდა ხელს, რომ ქართული ისტორიული არქიტექტურა ვ. კოკორინმა ვერ გაიგო სწორად. ეროვნული ფორმისა და სტილის პრობლემა არქიტექტორს ზერელედ წარმოედგინა, მის ასახსნელად იგი გარეგნული „კოლორიტით“ კმაყოფილდებოდა[81]. ამ „კოლორიტის“ ძიებაში ვ. კოკორინი გავლენებსაც ეძებდა: „განსაკუთრებით საინტერესოა საკითხი ქართულ კულტურაზე სპარსული გავლენებისა. მთავრობის სახლის თავდაპირველი ესკიზების შედგენისას მე ყურადღებით ვსწავლობდი სპარსულ ხუროთმოძღვრებას. მე მინდოდა, მსგავსად იმისა, როგორც სპარსულმა ძველმა არქიტექტურამ აიტაცა ასურულ ნაგებობათა მიღწევანი,... ასევე განვითარებულიყო თანამედროვე ქართულ ეროვნულ ნაგებობაში სპარსული ხუროთმოძღვრების ზოგიერთი საინტერესო თავისებური ნიშნები“[82]. ამის შედეგი იყო სწორედ ის, რომ

---

[81] В. Кокорин. Дворец Правительства СССР Грузии; «Арх. СССР», 1934 № 8, გვ. 11.

[82] იქვე.

ვ. კოკორინის საკონკურსო ვარიანტები „აღმოსავლურია“ და ეგზოტიკური ხასიათით გამოირჩეოდა.

მაგრამ თანდათანობით, ზედა კორპუსის მშენებლობისას მისი პროექტი ამ მხრივაც დაიხვეწა. ტოპოგრაფია და კლიმატური პირობები მოქმედებენ შენობის კომპოზიციურ გადაწყვეტაზე, ადგილობრივი ტრადიციები ამ მხრივაც ბევრის მთქმელი იყო, და მართლაც, შინა ეზოს შექმის იდეა მას ჩაესახა ქართული ისტორიული არქიტექტურულ ანსამბლების გაცნობის შემდეგ[83]. შიდა ეზო — მთელი კომპლექსის კომპოზიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, ჩრდილოვანი გადასასვლელებითა და გახსნილი ღერძის პერსპექტიული ეფექტით — მეტად მიმზიდველია ლოჯიები, ღია გალერეები, ტერასები — თბილისური შენობის შესატყვისია.

როგორც აღვნიშნეთ ავტორი ორნამენტულ მორთულობას თავშეკავებულად მიმართავს. ქართული ორნამენტიდან სულ რამდენიმე ნიმუში აქვს გამოყენებული. აღსანიშნავია აგრეთვე არქიტექტორის ალღო მათ გამოყენებაში. ქართული არქიტექტურული ფორმების მათთვის ორგანული მასალით — ადგილობრივი ბუნებრივი ქვით წარმოდგენაც კარგადაა გააზრებული.

ამგვარად, საქართველოს მთავრობის სახლის არქიტექტურაში ჩანს არქიტექტორის მისწრაფება, რომ თანამედროვე ნაგებობა შეიქმნას არა ცალკეულ მორთულობათა სტილიზაციით და გამეორებით, არამედ ქართული ხუროთმოძღვრების მთლიანი გააზრებით, რაც თანდათანობით, წლების მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგად ისახებოდა და ის თავდაპირველი მცდარი შეხედულება ეროვნულ „კოლორიტზე“ და თვით ქართულ არქიტექტურაზეც, რომელზედაც ზევით იყო ლაპარაკი, სწორ გზას ადგებოდა, თუმცა, აგებულ შენობაში ეს საბოლოო განხორციელებას ვერ პოულობდა.

მთავრობის სახლის მშენებლობა მარტო მისი მხატვრული ღირსებებით როდი ამოიწურება. იგი ისევე, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ფილიალის და „დინამოს“ სტადიონის მშენებლობა — მოწინავე სამშენებლო ტექნიკის და მეთოდების დანერგვის ფართო ასპარეზი იყო. ახალ კონსტრუქციათა და სამშენი მასალების გამოყენებამ დიდად წასწია საქართველოში სამშენებლო საქმისა და მეცნიერების საქმე და არქიტექტორთა წინაშე ახალი შესაძლებლობანი გამოავლინა.

მთავრობის სახლის მშენებლობაში მონაწილეობდნენ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი: საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „გიპროორგსტროი“, ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტი (ზის) და სხვ.

---

[83] იქვე, გვ. 12.

მთავრობის სახლი ერთ-ერთი პირველი ობიექტია საბჭოთა კავშირში, რომელშიაც ფართო მასშტაბითაა გამოყენებული მსუბუქი რკინა-ბეტონი[84].

აქ რკინა-ბეტონის კარკასი შევსებულია პემზა-ბეტონის ბლოკებით. პემზის გამოყენება მრავალ უპირატესობას იძლეოდა. ამით მიღწეული იყო დეფიციტური მასალის — აგურის შეცვლაც, რაც რა თქმა უნდა, რენტაბელური იყო.

„ბ“ კორპუსის მშენებლობაზე ჩვეულებრივ რკინა-ბეტონის ჩარჩოსთან ერთად გამოყენებული იყო პემზა-რკინა-ბეტონის ჩარჩოებიც (გვერდის ფრთების ზედა სართულებზე). ეს ჩვენს პრაქტიკაში მსუბუქი რკინა-ბეტონის პირველი საცდელი ჩარჩოები იყო, რომლებიც დიდი ეკონომიური მაჩვენებლებით ხასიათდება.

საერთოდ მშენებლობაზე მსუბუქ ჩარჩოთა გამოყენებამ მშენებლებს საშუალოდ ლითონის ხარჯვაში 37,5%, ცემენტში — 36% და წონაში — 52% ეკონომია მისცა.

მშენებლების ყურადღება განსაკუთრებით იყო გამახვილებული სართულშუა გადახურვის კონსტრუქციაზე.

„საქსასახლემშენის“ საპროექტო განყოფილების მიერ შემუშავებულ იქნა ახალი სისტემა ხშირწიბოვანი გადახურვისა პემზა-ბეტონის სადებით, ე. წ. „გრუზდვორეცსტროი“. იგი წარმოადგენს რემის ცნობილ სისტემის გადახურვის გაუმჯობესებულ კონსტრუქციას.

მშენებლობაზე ფართოდ იქნა დანერგილი ახალი კონსტრუქცია, როგორც კესონური, ისე წიბოვან კონტურზე დაყრდნობილ ფილებიან გადახურვისა, რომლებიც ჩვენში პირველად იქნა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ პემზა-რკინა-ბეტონის წიბოვან კონტურზე დაყრდნობილი ფილებიანი გადახურვა, „გრუზდვორეცსტროის“ ხშირწიბოვან სისტემასთან შედარებით, ბეტონის იმავე კუბატურის ხარჯვისას იძლეოდა ლითონის 30%, ცემენტის 10% და წონაში 30% ეკონომიას.

ასევე ეკონომიურია კესონური გადახურვა (მაგ., შიდა ეზოში გამომავალი გვერდის ფრთების გალერეის გადახურვა). მსუბუქი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენებაში მთავრობის სახლის მშენებლობაზე მიღწეულმა მნი-

---

84 მთავრობის სახლის კონსტრუქციებზე და მსუბუქი რკინა-ბეტონის გამოყენების შესახებ იხ. მშენებლობის მთავარი კონსტრუქტორის პროფ. იაკუბოვიჩის შრომები, კერძოდ «Обобщение опыта применения легкого ж/б на строительстве Дома Правительства ГССР», ИСД АН ГССР, Тб., 1950.

შვნელოვანმა შედეგებმა შემდგომში დიდი გავრცელება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის სხვა მშენებლობებზე.

ქვების ფიზიკურ-მექანიკური და მხატვრული თვისებების შესწავლის შემდეგ მშენებლობისათვის შერჩეულ იქნა სხვადასხვა სახის ბუნებრივი მასალები, უპირატესად ადგილობრივი წარმოშობისა, რაც მშენებლობის ეკონომიურობის თვალსაზრისით სრულიად მიზანშეწონილი იყო.

ამრიგად, საქართველოს მთავრობის სახლი სამშენებლო საქმის დიდ წარმატებაზეც მეტყველებდა, ისევე, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მშენებლობა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობა თბილისში აიგო გამოჩენილი საბჭოთა ხუროთმოძღვრის ა. შჩუსევის პროექტის მიხედვით 1933—38 წლებში. მშენებლობას წინ უძღოდა კონკურსი, რომელიც 1933 წელს გამოცხადდა და ორ ტურად ჩატარდა. პირველ კონკურსში მონაწილეობდენ მხოლოდ თბილისელი არქიტექტორები — ა. კალგინი, ნ. სეეროვი, ა. ქურდიანი, უ. მელეგი, ი. ჟიტკოვსკი, ს. სატუნცი. მაგრამ რაკი სამშენებლო ადგილის ზომები შეიცვალა და არც პროექტები გამოირჩეოდა არქიტექტურულ-მხატვრული ღირსებებით, ჩატარდა კონკურსის მეორე ტური. პროექტები წარმოადგინეს თბილისელთაგან მხოლოდ მ. კალაშნიკოვმა და ნ. სეეროვმა, სამაგიეროდ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის ცნობილმა არქიტექტურულმა ძალებმა — ი. ფომინმა, ა. შჩუსევმა, ვ. კოკორინმა და ვ. ვლადიმიროვმა; ა. ვლასოვმა და პოლიაკოვმა[85].

წარმოდგენილი პროექტები საკმაოდ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, დაგეგმარებითაც — კომპოზიციური ხასიათით და არქიტექტურის საერთო ხასიათითა და იერითაც. როგორც მოსალოდნელი იყო არქ. ა. კალგინმა თავის პროექტში კვლავ სცადა თანამედროვე ნაგებობა ეროვნული ტრადიციული ფორმებით წარმოედგინა, ასეთსავე ამოცანას ისახავდა ა. ქურდიანიც. ლ. მელეგი და ი. ჟიტკოვსკი კონსტრუქტივისტულად წყვეტდენ ნაგებობას. მაგრამ აქ შემოქმედებითი მიმართულების თვალსაზრისით განსხვავებულ მიდგომას კი არ ჰქონდა იმდენად მნიშვნელობა, რამდენადაც საერთო პროფესიულ დონეს, და არქიტექტურული ნაგებობის გადაწყვეტის სისწორითაც ეს პროექტები არ გამოირჩეოდნენ.

ამ მხრივ მეორე ტურის პროექტები უფრო მაღალ დონეზე იყო, თუმცა სტილისტიკური სხვადასხვაობა აქაც შეინიშნებოდა. არქ. ი. ფომინი თავის

---

[85] რ. ლ ე ჟ ა ვ ა. სტალინის ინსტიტუტის პროექტების გამოფენა; „კომუნისტი", 1934, 2.ნ, № 126.


პროექტში იმეორებდა მის მიერ უკვე შემუშავებული ორდერის თემას, რომელიც შეწყვილებულ, უკაპიტელო და უბაზო სვეტებისა და ყრუ კედლის სიბტყეთა შეფარდებაში გამოიხატებოდა. (ტაბ. 37_1). შენობა ასიმეტრულად იყო გადაწყვეტილი და კუთხე რუსთაველის პროსპექტისაკენ ვერტიკალური მოცულობით იყო ფლანკირებული. შენობის ჰორიზონტული დანაწევრების რიტმიც კუთხის გამოვლენას ემსახურებოდა. კუთხური, ასიმეტრიული კომპოზიცია ჰქონდა შენობას სხვა (ვ. კოკორინის, ა. ვლასოვის, მ. კალაშნიკოვის) პროექტებშიც, რაც თავისთავად ვერ უპასუხებდა რუსთაველის პროსპექტის ამ მონაკვეთზე შენობის სწორად დაყენების საკითხს. ამასთან ერთად, ვ. კოკორინისა და ვლადიმიროვის, აგრეთვე ა. ვლასოვისა და პოლიაკოვის პროექტები საკმაოდ ეკლექტიკური იყო არქიტექტურული ფორმებითა და ელემენტებით. მ. კალაშნიკოვის პროექტში იყო ცდა ეროვნული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ფორმების ხმარებისა. ამას მოწმობდნენ შესასვლელში და გვერდის ფასადზე ლოჯიის მაღალი თაღედი, ცალკეული ორნამენტული როზეტები და სხვ. მაგრამ ეს მაინც ვერ ცვლიდა ფორმათა სიჭრელით (შეისრული და მრგვალი სარკმლები, რომბული დამუშავება კედლის სიბრტყეზე და ზედა დეკორაციული თაღედი და ა. შ.). წარმოშობილ ეკლექტიზმს (37_2).

ა. შჩუსევის პროექტიც თავდაპირველად სქემატურად გამოიყურებოდა და მთლიანად იყო დამყარებული „მონუმენტური“ ნაგებობის შექმნის იდეაზე, რომელშიაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სკულპტურას. ჰორიზონტულად გადაჭიმული ცენტრალური ნაწილები ფლანკირებული იყო ორივე მხარეს რიზალიტებით, რომლებიც ქანდაკებათა ჯგუფებისათვის ფონს წარმოადგენდა, ხოლო ცენტრალურ ნაწილზე, კუბურ მოცულობაზე, რომელიც შემთხვევით ხასიათს ატარებდა, აღმართული იყო მრგვალი სკულპტურა (ეს ალბათ საბჭოების სასახლის პროექტის გავლენა იყო), თუმცა შენობიდან ქანდაკებაზე გადასვლა მეტად ხელოვნური იყო.

ჟიურის გადაწყვეტილებით მშენებლობას საფუძვლად დაედო ა. შჩუსევის პროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი და დახვეწილი, ვიდრე საბოლოო სახეს მიიღებდა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობა დგას რუსთაველის პროსპექტზე და მთელი კვარტალი უჭირავს. შენობაში მოთავსებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი და ვ. ლენინის მუზეუმის ფილიალი (იგი დაპროექტების დროს იყო ჩართული მოცემულობაში, რამაც გარკვეული სიძნელეები წამოჭრა გეგმის გადაწყვეტაში, ვინაიდან ინსტიტუტი და მუზეუმი ორ დამოუკიდებელ დაწესებულებას წარმოადგენდა.

შენობის გეგმა სიმეტრიულია. ცენტრალური ნაწილი და მასზე მიდგმული ორი ფრთა ქმნიან „П“ მაგვარ კონფიგურაციას, რომლის ცენტრში ნახევარწრიული მოცულობაა. ცენტრალური ნაწილი, რუსთაველის პროსპექტის მხრიდან, ვრცელ ორსინათლიან ვესტიბიულსა და გარდერობს უკავია. ამ ნაწილში




თბილისი. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობა. პირველი სართულის გეგმა.

ინსტიტუტია. ბიბლიოთეკითა და წიგნთსაცავით. მათ აერთიანებთ სამკითხველოსა და სააქტო დარბაზის ნახევარწრიული დარბაზები. გვერდის ფრთებში მარცხნივ — არქივია, მარჯვნივ — მუზეუმი.

ცენტრალურ ნაწილში მეორე და მეოთხე სართულებზე ცალმხრივი დერეფნები მეცნიერ მუშაკთა კაბინეტებს აერთიანებს. დერეფნის მეორე მხარეს, ეზოსაკენ ღია ლოჯიებია, რომლებიც თანამშრომელთა დასვენებისათვის შესანიშნავ პირობებს ქმნის. მეორე სართულზე, ნახევარწრიულ ნაწილში, მოთავსებულია ბიბლიოთეკა, ხოლო მის თავზე ორი სართულის სიმაღლის სააქტო დარბაზი. წინ ვრცელი ფოიეა, ხოლო მის გვერდებზე კი — მცირე აუდიტორიები. მეხუთე სართულზე მოთავსებულია ორიარუსიანი წიგნთსაცავი.

გვერდის ფრთები საარქივო სადგომებითა და სამუზეუმო დარბაზებით იოლად უკავშირდება ერთმანეთს ცალკე კიბეების საშუალებით. ზედა სართულზე, გვერდის ფრთებში, ღია ტერასებიდან ქალაქის შესანიშნავი პანორამა იშლება.

შენობის გეგმა მარტივია და მისი არქიტექტურული ორგანიზაცია მკაფიოდ გამოყოფს შემადგენელ ნაწილებს მათი დანიშნულების მიხედვით. ოთახებს შორის დაკავშირება სართულზე თუ სართულებს შორის მოხერხებულია დერეფნებისა და კიბის უჯრედთა განლაგების წყალობით. მაგრამ, ამასთან ერთად, იგრძნობა ზოგიერთი სადგომის ნაძალადევი ჩასმა გეგმის წინასწარ შერჩეულ მოხაზულობაში, როგორც ერთმანეთთან დაკავშირების, ისე მხარეთა ორიენტაციის მიხედვით. ზოგიერთი სადგომი იძულებითაა გადაწყვე-



თბილისი. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობა. მესამე სართულის გეგმა.

ტილი. ასეა, მაგ. სამკითხველოს დაცილება წიგნთსაცავიდან (მესამე და მეხუთე სართულები) და წიგნთსაცავის მოთავსება სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, სადაც ტემპერატურა +35° აღწევს დასაშვები +16—18C°-ის ნაცვლად, ხოლო სინოტივე 30—40%-ია ნაცვლად 60%-ისა[86].


შენობის იმტერიერში ყველაფერი ემორჩილება მთავარისა და მეორე ხარისხოვანის გამოვლენას და მათ ურთიერთდაკავშირებას. მთავარი ყურადღე-

---

86 Е. В. Кавин. Развитие объемно-пространственной композиции общественных сооружений и влияние на нее новых материалов. Автореферат диссертации. М., 1962, გვ. 13.

ბა ექცევა ხალხმრავალ სადგომებს. ვესტიბიულიდან დაწყებული, სააქტო დარბაზი, ფოიე, სამკითხველო დარბაზი წარმოადგენენ ძირითად ჯგუფს, რომელიც განსაზღვრავს ინტერიერის არქიტექტურულ-მხატვრულ მხარეს. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ სადგომის დამუშავებისას ავტორმა მკაცრი არქიტექტურული ფორმებით, სივრცობლივი თავისუფლებითა და მოსაპირკეთებელი მასალის მოხდენილი გამოყენებით სტილისტიკურ ერთიანობას მიაღწია. ინტერიერი მოკლებულია ყოველგვარ ზედმეტ „მოსართავ“ ელემენტს, ყველაფერი დამყარებულია არქიტექტურულ ფორმათა ტექტონიკურ გამოყენებაზე. ფორმები ლაკონიურია, მკაცრი. მხოლოდ სვეტების კაპიტელების ნახატი და კესონირებული პლაფონები წარმოადგენენ დეკორაციულ ელემენტებს.

ვესტიბიულშივე შექმნილია ამაღლებული განწყობა, არქიტექტორი ხაზს უსვამს, რომ ვესტიბიული შენობის კომპოზიციური ცენტრია, საიდანაც იწყება გეგმის ორგანიზაცია. მიუხედავად ანტრესოლის სართულისა და ნახევარწრისებრი ნაკვეთისა, ვესტიბიულის სივრცე „ჩაკეტილია“, ამიტომ კიბის უჯრედები მარცხნივ და მარჯვნივაა კედლებში ჩასმული, რომ არ დაირღვეს ვესტიბიულის სივრცობლივი ფარგლები. მაგრამ მთავარი ეფექტი აქ მიღწეულია



თბილისი. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობა. ჭრილი.

მოსაპირკეთებელი ქვების პოლიქრომული გამოყენებით; კედლები შროშის მოშვინდისფრო-მოწითალო მარმარილოთია მოპირკეთებული, სვეტები და ანტრესოლის პარაპეტი ღია ნაცრისფერი და თეთრია. ყველაფერს ამას მტკიცე

ფერადოვან საფუძველს უქმნის მუქი მარმარილოს იატაკი, რომელშიაც არეკლილი სვეტები თითქოს მეტ სიმაღლეს ანიჭებენ ვესტიბიულს.

ამ საზეიმო განწყობილებიდან ინტერიერი თანდათანობით „საქმიანი“ იერს ღებულობს, მაგრამ ეს ამაღლებული ტონუსი მომსვლელს მუდამ თან სდევს და კულმინაციას აღწევს საპატო დარბაზში, რომელსაც ნახევარწრისებრი მოცულობის ზედა ნაწილი უჭირავს და ორი სართულის სიმაღლისაა. აუდიტორიის კომპოზიცია ისეა მოფიქრებული, რომ რაც შეიძლება მეტი თავისუფალი სივრცე იყოს. ამას ემორჩილება დარბაზში პიუპიტრების განლაგება რომლებიც საკმაოდ მოცილებულია კათედრისაგან, ღრმა ნიში პრეზიდიუმისათვის კედლის სიბრტყეში, ამფითეატრის გარშემოსავლელი და სარკმელთა განლაგება თითქმის მთელი კედლის სიბრტყის გასწვრივ. ფაქტიურად, აქ კედელი თითქოს არც არის, იგი სამ-სამად შეჯგუფული სარკმლებითაა დაცხრილული (ტაბ. 38_1).

აუდიტორიის ერთიანი მოცულობა განსაზღვრულია გვერდების ჰარმონული შეფარდებით. მისი რადიუსისა და სიმაღლის შეფარდება „ოქროს კვეთის“ რიგს ემორჩილება, რაც შენობის ფასადთა გადაწყვეტაშიც წამყვანის როლს ასრულებს[87].

პრეზიდიუმის ნიშა წარმოადგენს კომპოზიციის რადიალური სხივების ცენტრს. მისკენაა მიმართული ამფითეატრის რიგები, ხის პლაფონის ნახევარწრიული კესონები, სარკმელთაგან მოფენილი უხვი შუქი. აქ მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავეჯის და პლაფონის ნახატს. თუ ქვედა სართულზე ქვის მასალა იყო უმთავრესი, აქ ყველაფერი ხეშია ამოკვეთილი, რაც განსხვავებულ, ნათელ კოლორიტს ანიჭებს ინტერიერს. აქ ყველაფერი შუქითა და სინათლითაა გაჟღენთილი.

დარბაზის ინტერიერში გარკვეულ როლს თამაშობს კედელი. იგი ა. შჩუსევის მიერ გადაწყვეტილი იყო მთელ სიგრძეზე მოხატული ფრიზით, რომელიც უნდა გადაჭიმულიყო მთელ სიბრტყეზე (პრეზიდიუმის ნიშის ჩათვლით). ამჟამად მოხატულია მხოლოდ ერთი ნაკვეთი მარცხენა ნაწილში. მას ფარავს უჩა ჯაფარიძის მიერ შესრულებული 1905 წლის საპირველმაისო დემონსტრაციისადმი მიძღვნილი პანო. პანოს მრავალფიგურიანი კომპოზიცია შეფარდებულია დარბაზის საერთო მასშტაბთან, მისი მაჟორული ფერადოვანი ჟღერადობაც კარგად ეხამება ინტერიერის საერთო ხასიათს, და, იდეურ მნიშვნელობასთან ერთად, არქიტექტურასთან მხატვრულ ერთიანობას აღწევს.

---

87 იხ. ვ. კულაგას სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის არქიტექტურას ეხება და ცალკე წიგნად გამოიცა 1951 წელს.

ფოიე გაშლილია დარბაზის წინ შენობის მთელ სიგრძეზე. მის ერთიან სივრცეში ჩართული ოთხკუთხა სვეტები აგრძელებს დერეფნის მიმართულებას, მაგრამ ცენტრში თავისუფალ არეს ქმნის. ამ არეზე ჰერი დიაგონალურად ურთიერთგადაკვეთილი კოჭებითაა დანაწევრებული. აღნიშნულ კონსტრუქციულ გადაწყვეტას ესთეტიკური ღირსებებიც აქვს ჰერის მხატვრული დამუშავების პრინციპის თვალსაზრისით, თუმცა ნახატით, მასალითა და მასშტაბით იგი განსხვავებულია, მაინც დარბაზის პლაფონს ენათესავება. ამას ხელს უწყობს ფოიეს საერთო ოქროსფერ-მოყვითალო კოლორიტიც, რაც კიდევ უფრო ძლიერდება რუსთაველის პორსპექტის მხრიდან მრავალრიცხოვან სარკმელთაგან შემოსული შუქით.

მუზეუმის დარბაზები სადაა, ექსპოზიცია პირველიდან მეხუთე სართულამდე გრძელდება. დარბაზებს ვერტიკალურად აკავშირებს ვრცელი სამმარშიანი კიბეები. მუზეუმის ფრთა გრძივი მიმართულებით ორადაა დაყოფილი და მეტ საექსპოზიციო სიბრტყეს ქმნის. ამის გამო, დარბაზები სიღრმესაა მოკლებული, მაგრამ ეს მაინც უკეთესი გამოსავალი იყო, რადგან სარკმლებიანი კედლები ნაკლებ თავისუფალ კედელს ტოვებს. ნაკლია ისიც, რომ კედლები დაყოფილია პილასტრებით, რაც ისედაც მცირე თავისუფალ არეს კიდევ უფრო ამცირებს.

ინტერიერში დეკორაციული სამკაული ძირითადად გამოყენებულია სვეტისთავებზე, რომელთა ნახატი ქართული არქიტექტურის დეკორის რეპერტუარიდანაა აღებული.

სხვა სადგომების დამუშავებაც შენობის არქიტექტურის საერთო ხასიათს შეესატყვისება. ყველა ოთახი, კაბინეტი, აუდიტორია სადად და მარტივადაა დამუშავებული და მუშაობისათვის კარგ პირობებს ქმნის.

შენობას მთელი კვარტალი უჭირავს, ამიტომ დამუშავებულია ყველა ფასადი, თუმც მათი დიფერენცირება დანიშნულების მიხედვით ერთი შეხედვისთანავე იგრძნობა. არქიტექტორმა შენობა ერთ მთლიან მოცულობად გადაწყვიტა. ვინაიდან მთავარი ფასადის გარდა, ყველა სხვა ფასადი ვიწრო ქუჩებზე გადის, შენობა სხვადასხვა რაკურსიდან აღიქმება. ერთიანი მოცულობა კი მხოლოდ შორი წერტილებიდან აღქმისთვისაა გათვალისწინებული, საიდანაც ფასადები შეიძლება ფრონტალურად იქნეს წაკითხული. შენობის არქიტექტურა გულისხმობს შემადგენელი ნაწილებისა და მთელის ისეთ ურთიერთშეფარდებას, რომ შენობა ერთბაშად კი არ აღიქმებოდეს, არამედ თანდათანობით. „შენობა, კომპლექსი, ანსამბლი წარმოიქმნება, წამოიზრდება იმის მიხედვით, თუ როგორ გადაიშლება მაყურებლის წინ. ისინი იცვლებიან და მდიდრდებიან ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ ერთიან მთლიან ორგანიზმად რჩე-

ბიან. არქიტექტურული სახე, მუსიკალურის მსგავსად, კანონზომიერი მიყოლებით ხორციელდება, ეს — ერთი მოვლენაა, დროში გაშლილი"[88].

ფასადთა შორის მთავარია რუსთაველის პროსპექტზე გამომავალი, რომლის ძირითადი ნაწილი, გვერდის რიზალიტებში მომწყვდეული დიდი, ათსვეტიანი პორტიკი თავიდანვე იპყრობს ყურადღებას (ტაბ. 37₃). წახნაგოვანი მაღალი სვეტები, გარდა განაპირა სვეტებისა, შეწყვილებულია; ამით გაზრდილია ინტერკოლუმნიუმი და ამასთან ერთად კოლონებს მეტი „მდგრადობა" და მონუმენტურობა ემატება. პორტიკის თავზე გადაჭიმული რელიეფური ფრიზი ხუთი მონაკვეთისაგან შედგება (მოქანდაკე თამარ აბაკელია) და ქართველი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას და სოციალიზმის მშენებლობას გამოხატავს. ვერდის რიზალიტები ორივე მხარეს პილასტრებითა და სარტყლით ოთხ მონაკვეთად იყოფა რომელთაგან ზედა, პორტიკთან ახლო მდებარე, ჰორელიეფებითაა დაფარული (მოქანდაკე ი. ნიკოლაძე) ატიკის სართული ამთავრებს ფასადის კომპოზიციას და ხაზს უსვამს მის ცენტრალურ გადაწყვეტას.

ფასადის კომპოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ გეომეტრიული ცენტრი ცალკე ხაზგასმული არ არის — ცენტრულია. პორტიკის გამოყოფა, ჰორელიეფების მოთავსება მისკენ, ატიკის სართული და კიბეები პორტიკის წინ — ამ ამოცანის გადაწყვეტას ემორჩილება. რუსთაველის პროსპექტთან შეხამების, ქუჩის დინებაში „ჩაწერის" თვალსაზრისით, მართებულია შენობის გაშლა ჰორიზონტალურ მასივად, ისე, რომ რაიმე ვერტიკალი არ იპყრობდეს ყურადღებას.

მაგრამ აქ ავტორი იმდენად გაიტაცა მონუმენტურობის იდეამ, რომ თვით არქიტექტურული ფორმების ხაზგასმამ (პირველ რიგში პორტიკისა) შინაგანი წინააღმდეგობა წარმოქმნა ქუჩის დინებასთან. ავტორს სამართლიანად მიუთითებს, რომ შენობა თავისი კომპოზიციით და სილუეტით, ფართო მისასვლელებითა და ფრონტალური აღქმის ეფექტით უფრო მოედანს შეეფერებოდა, ვიდრე ქუჩას[89].


შენობა თავისი არქიტექტურით ეთანხმება საქართველოს მუზეუმის რეკონსტრუქციით შექმნილ ახალ მასშტაბს რუსთაველის პროსპექტის განაშენიანებაში. პორტიკის (რომელიც უმთავრესია ფასადის კომპოზიციაში) სვეტე-

---

88 А. Щ у с е в, Советская архитектура и классическое наследство. «Архитектурная газета», 1937, № 41.

89 М. Ч х и к в а д з е, Здание филиала Института Маркса-Энгельса-Ленина в Тбилиси. «Архитектура СССР», 1938, № 4, გვ. 47.

ბის სიმაღლე (16 მ.) კარგად პასუხობს რუსთაველის პროსპექტის გაბარიტებსა და სივრცობლივი აღქმის შესაძლებლობას. თვით ცალკეული თანაფარდობა პროპორციული აგების ჰარმონიულ მწკრივს ემყარება (0,382:0,618 და



თბილისი. მარჯანიშვილის ინსტიტუტის ფილიალის შენობა. მთავარი ფასადის პროპორციული აგების სქემა. (ვ. კულაგას მიხედვით).

0.528:0,472) და მსგავსი სწორკუთხედების აგებას ემყარება[90], რაც ნაგებობას მთლიანობასა და ჰარმონიულობას ანიჭებს.

ფასადის არქიტექტურისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსაპირკეთებელ მასალას. კედლები შემოსილია ბოლნისის მოყვითალო ტუფით, ცოკოლი და სვეტები — მუქი რუხი გაკრიალებული ტეშენიტითა და ანდეზიტ — ბაზალტით. ამ ფერთა ურთიერთშეფარდება გამოყოფს ცალკეულ ელემენტებს და ამავე დროს ერთიან მაჟორულ ჟღერადობას, დიდებულებას ანიჭებს შენობას.

პორტიკის სიღრმეში მდებარე კედელი, რომელიც ოთხი სართულის სარკმლებითაა დაცხრილული, მარტივადაა დამუშავებული. სარკმლები ყოველგვარი მოჩარჩოების გარეშეა, მხოლოდ რიტმია მათ განაწილებაში შეცვლილი (ქვედა სართულში ყოველი სარკმელი ცალკეა, ზემოთ — შეწყვილებულია). ასევე „შეუმჩნევლადაა“ გამოყოფილი შესასვლელი, რომელსაც წრიული ორნამენტით შედგენილი არშია შემოუყვება.

მთავარი ფასადის კომპოზიცია დამთავრებულია, ყოველგვარი დეტალი გამიზნულია და ერთიან ამოცანას ემორჩილება. შენობის იდეური მნიშვნელობის ხაზგასმისათვის არქიტექტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქანდა-

90 იხ. ვ. კულაგას დასახ. ნაშრომი.

კებას, რომელიც, როგორც აღინიშნა, ფრიზზე და გვერდის რიზალიტებზეა. ფრიზზე მოთავსებული ქანდაკება უფრო დაბალი რელიეფითაა შესრულებული, ხოლო რიზალიტებისა — ჰორელიეფის სახით. შეცვლილია გამოსახულ ფიგურათა მასშტაბიც, რაც მათი მდებარეობით და არქიტექტურაში მათთვის მიკუთვნებული ადგილითაა განსაზღვრული. ფრიზზე ბარელიეფები ყოფს მთელ ზედაპირს ხუთ სიუჟეტურ სცენად, რომელთა შორის მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის პორტრეტული გამოსახულებებია. სცენები გამოსახავენ ბათუმის დემონსტრაციას, საქართველოს მშრომელთა შეიარაღებულ აჯანყებას, საქართველოს ინდუსტრიალიზაციას, სოციალისტურ მიწათმოქმედებას და გამარჯვებული სოციალიზმის ხალხთა ბედნიერ ცხოვრებას. ყველა აღნიშნული სცენა თანაბარი ზომის ვიწრო სწორკუთხედშია მოქცეული. მთავარი ყურადღება ადამიანთა ფიგურებს ექცევა, ფონი უმთავრესად თავისუფალია მოქმედ პირთა სილუეტების უფრო მკვეთრად გამოსაყოფად. მხოლოდ აქა-იქ მოჩანს სოფლისა თუ ინდუსტრიული პეიზაჟის ფრაგმენტები.

რელიეფური პანოები კომპოზიციურ მთლიანობას ემორჩილება. ეს სამოთხ ფიგურიანი ჯგუფები ერთიანი კომპოზიციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, მიუხედავად საგრძნობი გამოყოფისა, არ აქუცმაცებენ მას. ყველა კომპოზიციაში ყურადღება გამახვილებულია ცენტრზე, რასაც ხაზს უსვამს ფიგურათა მისკენ მიმართვა მარჯვენა და მარცხენა მხრიდან. ამით მოქანდაკე გარკვეულ დამოუკიდებლობას ანიჭებს ყოველ ცალკეულ სცენას, ხაზს უსვამს ყოველი სცენის დამოუკიდებელ მნიშვნელობას სოციალისტური საქართველოს შესახებ პლასტიკური თხრობის ერთიანობაში. ფიგურათა მიძრაობით, ჟესტიკულაციით საერთო წუნარ კომპოზიციაში შეტანილია დინამიკურობა, რაც გამოხატულია, გარდა ნახატის ხაზის დინებისა, მოცულობათა მეტნაკლები გამოვლენითაც, იგი შუქ-ჩრდილების ეფექტზეა დამყარებული.

ყველა რელიეფისათვის, ერთი მხრივ, საერთოა კომპოზიციის განვითარება არა ერთ სიბრტყეში, არამედ სიღრმეში, რომელშიც მოცემულია ორი და სამი პლანი, ხოლო, მეორე მხრივ, — ვერტიკალურ სიბრტყეში ფიგურებითა და საგნებით შევსებული ორი სამი რიტმული სარტყელი[91].

სცენები გამოხატავენ საბჭოთა საქართველოს ახალი ცხოვრების სახეს, მის ისტორიულ თუ თანამედროვე ასპექტში, რაც შეესაბამება შენობის დანიშნულებას, როგორც კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრისა და მუზეუმისა. აქ არის წითელარმიელთა და გლეხთა, ინტელიგენციის, სპორტსმენთა და ხელოვანთა მხატვრული სახეები, რაც სიმ-

---

91 Н. Чубинашвили, Рельефный фриз на фасаде ИМЭЛ-а в Тбилиси. „ქართული ხელოვნება". № 4. 1955. გვ. 56.

ბოლურად ასახავს ახალი საქართველოს ცხოვრებას. ტიპაჟი ქართულია, ყველაფერი საქართველოს კონკრეტულ პირობებს ეფარდება[92].

ბარელიეფთა სადა, იოლად წასაკითხი კომპოზიცია, პლასტიკური დამუშავება, შუქ-ჩრდილების გათვალისწინება და კარგად შერჩეული მასშტაბი ორგანულად ჩაერთო ფასადის არქიტექტურაში, ლაკონიური მეტყველი აქცენტი შეიტანა მასში.

გვერდის რიზალიტთა ქანდაკების ჯგუფები უფრო სტატიკურია და, თუმცა ჰორელიეფის სახითაა გადაწყვეტილი, ნაკლებად პლასტიკურია. ფიგურათა თეატრალური პოზები, კომპოზიციის შემთხვევითი ხასიათი (განსაკუთრებით მარცხენა პანოსი, რომლისგანაც ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს რაღაც სხვა კომპოზიციის ფრაგმენტია) და ორივე კომპოზიციის სრულიად განსხვავებული დამუშავება ვერ აღწევს სასურველ შედეგს. თუ მარცხენა პანოში გამოიყოფა სტალინის ფიგურა, მარჯვენაში — ყველა ფიგურა მთელ სიმაღლეზე ერთნაირადაა დამუშავებული, რაც პლასტიკური მიდგომის სხვადასხვა ხერხებზე მიგვითითებს. განსხვავებულია ფონიც: მარცხენაში იგი სრულიად სადაა, თუ არ ჩავთვლით აფრიალებულ დროშას, რომელსაც ცენტრალური ნაწილი უჭირავს, მარჯვენაზე კი—ინდუსტრიული პეიზაჟია ლენინის ქანდაკებით და სხვ.

მონუმენტურობასა და პლასტიკურობას მოკლებული ჰორელიეფური პანოები, მათი პრიმიტიული კომპოზიციები ვერ ამდიდრებენ შენობის არქიტექტურას იდეური შინაარსით.

---

92 გაუგებარია ე. კავინის განცხადება ამ შენობაში გამოყენებული ფერწერისა და ქანდაკების შესახებ, რომ „სამწუხაროდ, სკულპტურა და ფერწერა თავისი სიუჟეტით ვიწროეროვნული (узконациональны) და ვერ მოიცავს მთელი მოცულობით მარქსიზმ-ლენინიზმის ჰუმანისტურ იღეებს, არ გამოხატავს მათ ინტერნაციონალურ ხასიათს". იხ. Е. Кавин, Развитие объемно-пространственной композиции общественных сооружений и влияние на них новых материалов, დისერტაციის ავტორეფერატი, М, 1962, გვ. 14. რომ არაფერი ითქვას იმაზე, რომ ინტერნაციონალური სრულიადაც არ გამორიცხავს ეროვნულს, ეს მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. შჩუსევს, მისივე თქმით, სურდა არქიტექტურული ფორმებით გამოეხატა იდეა ქართველი ხალხის ბრძოლისა თავისუფლებისათვის. А. Шусев. Национальные черты в советской архитектуре („Строит. газета," 1940, 22. VI, № 84). და ამისათვის მან სკულპტურული თხრობაც გამოიყენა, ხოლო თვით პანოების შესახებ იგი ამბობდა, რომ „სკულპტურული პანო და ფრიზები კოლონადის თავზე ამთავრებენ და ამდიდრებენ შენობის არქიტექტურულ ფორმებს," (А. Шусев. Архитектура и строительство ИМЭЛ в Тбилиси, М., 1940, გვ. 5. ამას იზიარებს თვით ე. კავინიც ამ შენობისადმი მიძღვნილ თავის წერილში („საბჭოთა ხელოვნება„ № 6. 1958. გვ. 40) და აღნიშნავს: „ქანდაკება და ფერწერა... ჰარმონიულად გამდიდრებენ თვით არქიტექტურული სახიდან, ეკვემდებარებიან მას... გარკვეულ როლს თამაშობენ შენობის შინაარსის გახსნაში".

მიუხედავად ამისა, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობაში გამოყენებული ხელოვნებათა სინთეზი მეტად მნიშვნელოვანი იყო საერთო ამოცანების გადაწყვეტის თვალსაზრისით, რასაც ასეთი არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა შენობის შინაარსის გამოსახატავად. თემატიკური ფერწერული თუ სკულპტურული პანოები იდეურად ღრმა შინაარსის გამომხატველია, ხოლო მათი შესრულების რეალისტური მანერა შეეფარდება არქიტექტურის მკაცრ, „კლასიკურ“ ფორმებს. ა. შჩუსევი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სინთეზს, რომელიც „სინთეზია — ამ სიტყვის ჰეშმარიტი მნიშვნელობით: ქანდაკება და ფერწერა არქიტექტურული სახიდან იბადებიან და არ წარმოადგენენ მის მომრთველ მეორად დანამატს“[93]. ამის განხორციელების ცდა წარმოდგენილ იქნა მარქსიზმ-ლენინიზმის ფილიალის შენობაზეც.

შენობის არქიტექტურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი ბუნებრივი საშენი მასალების გამოყენებას, რაც არა მარტო ფერადოვან გამომხატველობას ანიჭებს მას, არამედ მონუმენტალური სახის შექმნაშიც გარკვეულ მნიშვნელობას იძენს. ბოლნისის მოყვითალო—ოქროსფერი ტუფის მთელი კედელი, კურსების პოლირებული ტეშენიტით მოპირკეთებული ცოკოლი და ამავე მასალის სვეტები ნათელ მაჟორულ კოლორიტს ქმნიან, რომელზედაც თეთრი ეკლარის ქვისაგან ნათალ ქანდაკებათა პანოები ფერითაცაა გამოყოფილი.

ქვის პერანგით მთლიანად მხოლოდ რუსთაველის პროსპექტზე გამოსული ფასადია შემოსილი (ტაბ. 38₁). გვერდისა და უკანა ფასადები შელესილია, მხოლოდ ცოკოლი, პილასტრები, პორტალებია იმავე მასალით მოპირკეთებული. ეს ფასადები სადაა. ფასადის ხასიათს განაპირობებს ამა თუ იმ მხარეს გამოსულ სადგომთა შემადგენლობა. ამიტომ ფასადები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გვერდის ფასადზე სიმაღლეთა სხვაობა საფეხუროვან გადაწყვეტას იწვევს. ეს შესაძლებელს ხდის ფრთების მხარეს განაპირა ტერასები მოეწყოს და, ამას გარდა, ფასადები ვიწრო ქუჩების შესაფერი მასშტაბისა გაკეთდეს. (თუ რუსთაველის პროსპექტისაკენ შენობა ხუთსართულიანია, ქვედა მხარეს—კვალის ქუჩისაკენ სამი სართულის სიმაღლით გამოდის). ფასადთა გადაწყვეტაში ძირითადი ჰორიზონტული დანაწევრებაა: ცოკოლს სართული, თავისებური ფრიზითა და სარტყელით გამოყოფილი ორი სართული

---

93 А. Щусев. Доклад на I съезде советских архитекторов: «Архитектурная газета», 1937, № 41.

და შემდეგ—კარნიზით დაგვირგვინებული ზედა სიბრტყე. შეწყვილებული სარკმელები და მათ შორის მოთავსებული იმპოსტები, ისევე, როგორც ქვედა ორი სართულის სიბრტყეზე ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული კედლის სვეტების დიდი ორდერი, აწონასწორებენ ფასადთა ამ მონაკვეთების ჰორიზონტალურ გადაწყვეტას. გვერდის ორი ფასადი ერთმანეთისაგან განსხვავდება გეგმით გამოწვეული სხვადასხვაობის გამო. თუ ჰერცენის ქუჩაზე მხოლოდ მუზეუმის პოლირებული ტუშენიტით მორთული სადა პროფილის პორტალია გამოყოფილი, მეორე ფასადზე ქუჩის რელიეფით გამოწვეული კიბეები და სამსახურებრივი დანიშნულების შესასვლელი მაღალი პორტიკითაა ხაზგასმული.

სხვა ფასადებთან შედარებით კონტრასტს ქმნის უკანა ფასადი, რომელიც სხვადასხვა მოცულობათა ურთიერთშეფარდებაზეა აგებული. დარბაზის ნახევარცილინდრი, „ჩაწერილი“ გვერდის ფრთების პარალელეპიპედში, თვით ამ გეომეტრიულ ფორმებში ლოჯიათა და სვეტებზე „შესმული“ დარბაზით შექმნილი სივრცობლივი შეღრმავებანი დინამიკურობას ანიჭებენ ამ ფასადს და საგრძნობლად განასხვავებენ მას მთავარი ფასადის სტატიკური კომპოზიციისაგან (ტაბ. 38₂). ფასადის მასები მთლიანად იმეორებენ გეგმის მოხაზულობას, რამაც მოცულობათა და სიბრტყეთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ფასადთა დამუშავება აქაც სადაა, გვერდის ფასადების მსგავსი. პილასტრების, ლოჯიათა სვეტების, სარკმელთაშორისი იმპოსტები მორთულია ქართული ორნამენტით შეძკული კაპიტელებით.

დეკორი შენობის არქიტექტურაში მეტად ზომიერადაა გამოყენებული. ქართული დეკორაციული მოტივებით შექმნილი სვეტისთავები, მთავარი ფასადის კარების მოჩარჩოება, სარტყელი ფასადზე და სხვ. გემოვნებითაა შერჩეული. ა. შჩუსევი სრული სერიოზულობით ეკიდებოდა დეტალების დამუშავებას. ასე, მაგალითად. მთავარი შესასვლელის კარების სახელურთათვის მან ხალხური შემოქმედების ოსტატები მიიწვია, ქართული დეკორაციული ჰედურობის ახალი ნიმუშები შექმნა, რომლებიც ორგანულად შეერწყა საერთო არქიტექტურას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მშენებლობის მაღალი ხარისხი და ახალ საშენ მასალათა და კონსტრუქციათა გამოყენება. პემზა-ბეტონის კედლებისა და არმირებული პემზა-ბეტონის გადახურვების გამოყენება ეკონომიური იყო. იმავე დროს, კონსტრუქციათა შემსუბუქებული წონა, სივრცობლივი ხისტი სისტემის შექმნა, დრეკადობის დიდი მოდული, ცეცხლგამძლეობა, არმირებული პემზა-ბეტონის სიმჭიდროვე, რაც რკინის ჟანგვას თავიდან იცილებდა, სამუშაოთა სწრაფი წარმოება — ბევრ უპირატესო-

ბას შეიცავდა. იაფი და რენტაბელური ადგილობრივი მასალა წარმატებით ცვლიდა დეფიციტურ აგურსა და ცემენტს, რაც მშენებლობის თვითღირებულებას 15—20% ამცირებდა.

წარმატებით იყო გამოყენებული ადგილობრივი მოსაპირკეთებელი მასალები. ახლად იქნა აღმოჩენილი და დამუშავებული ძველთაგან ცნობილი ბოლნისის ტუფის კარიერები. სხვადასხვა სახის მარმარილო შნოსა და ლაზათს მატებდა შენობას.

სამშენებლო სამუშაოები სამეცნიერო კოლექტივებისა და სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ წარმოებდა. მშენებლობას დიდ დახმარებას უწევდა იმდროინდელი მოწინავე საინჟინრო გამოცდილება.

ამდენად, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობა მრავალმხრივაა საინტერესო. ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ახალ ეტაპზე, როცა შემოქმედებითი მიმართულება მემკვიდრეობის ათვისების გზით წავიდა, ეს შენობა იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც თავისი არქიტექტურით ამ ახალ მოთხოვნილებას უპასუხებდა. „მე დიდი ინტერესით ვმუშაობ თბილისში — წერდა აკად. ა. შჩუსევი — ვცდილობ დიადი კლასიკური კულტურის განგრძობა ვიპოვო ქართულ ხელოვნებაში და ამ საფუძველზე შევქმნა თანამედროვე არქიტექტურის ახალი სახეები“[94]. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადგილობრივ პირობებს და თავისებურებებს. „არქიტექტორმა, რომელსაც სურს პროექტირება ეროვნული რესპუბლიკისათვის ამა თუ იმ მოცემულობით, თავდაპირველად ძირითადი იდეა უნდა მოიფიქროს: როგორ ააგებს კომპოზიციას, რომ იგი საბჭოთა არქიტექტურის წინამძღვრებს გამოხატავდეს; და ამ ძირითადი წინამძღვრის დამუშავების შემდეგ, არქიტექტორმა უნდა გაითვალისწინოს გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული პირობები მოცემული ადგილისა, ჰავა, ყოფის თავისებურებანი, როგორც გეოგრაფია, ისე ჰავაც უცბად მოგეცემს ნაგებობის გეგმაში რიგ თავისებურებას...[95] ეს ციტატი კარგად გამოხატავს არქიტექტორის შემოქმედებით კრედოს იმ დროისათვის. მასში გამოხატული გაორება არქიტექტურის ბუნებაში მეტად დამახასიათებელი იყო და კარგად ჩანს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობაშიც. არქიტექტურული ნაგებობის, შესაძლოა მოხდენილი, მაგრამ „ქრესტომათიული“ სქემა — გეგმის გადაწყვეტა იქნება ეს თუ ფასადისა, დამყარებული კლასიკური არქიტექტურის პრინციპზე — საფუძველია, რომელზედაც იგება ეროვნული ნაწარმოები. კლასიკურ კომპოზიციურ

[94] А. Щусев. Что мы создали, чего нам не хватает: «Арх. СССР», 1937, № 6, გვ. 22.
[95] А. Щусев, Архитектура советского Востока, «Арх. СССР», 1934 № 8, გვ. 8.

საფუძველზე ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი თვისებების გამოვლენა (ლოჯიებისა და ტერასების როლი, კედლის მნიშვნელობა, რელიეფთა ადგილი არქიტექტურული სახის გახსნაში, ცალკეულ ორნამენტულ სამკაულთა გამოყენება და სხვა) საკმარისად იყო მიჩნეული „ფორმით ეროვნული“ არქიტექტურული ნაწარმოების შესაქმნელად[96]. სინამდვილეში კი ყველაფერი ემორჩილება მონუმენტური ნაგებობის წინასწარ შემუშავებულ სქემას, რის გამო მთელი რიგი არქიტექტურული მოტივებისა ფორმალურ ფუნქციას ვერ სცილდება. ამიტომ მაგალითად, მთავარი ფასადის პორტიკი ვერ ფარავს სადგომებს აუტანელი სიცხისაგან მთელი დღის განმავლობაში, სამაგიეროდ იმპოზანტურობას ანიჭებს ფასადს, თორემ ლოჯიებს, ტერასებს, ადგილობრივ მასალებს, დეკორს ხუროთმოძღვარი მართლაც, ტაქტით და მოხდენილად მიმართავს. შინაგანი წინააღმდეგობანი, ერთი მხრივ, წინასწარ შემუშავებულ სქემას, ეროვნული არქიტექტურის შექმნის შესახებ თეორიულ მოსაზრებებსა და, მეორე მხრივ განხორციელებულ ნაგებობათა შორის ვერ არის ჯერ დაძლეული.

მიუხედავად ამისა, მაღალი პროფესიონალიზმი და ოსტატობა, სამშენებლო ხარისხი, ხელოვნებათა სინთეზი განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს ამ ნაგებობას ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში.

1932 წელს გამოცხადდა დახურული კონკურსი თბილისის სტადიონის დაპროექტებაზე. სტადიონის ადგილი დიდუბეში, სასელექციო ველის ადგილზე გამოიყო. არქიტექტორებმა — ა. ქურდიანმა, დ. ფომინმა და ლ. მელეგიმ ი. ჟიტკოვსკისთან ერთად, ორი პროექტი წარადგინეს. 1933 წელს კი ა. ქურდიანისა და დ. ფომინის პროექტის მიხედვით უკვე მშენებლობაც დაიწყო[97].

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დაისვა ამ პროექტის დახვეწა-გაუმჯობესების საკითხი, მისი რამდენადმე სქემატური ხასიათის გამო.

1933 წელს შედგა კონკურსის მეორე ტური. პროექტები წარადგინეს ა. ქურდიანმა, მ. კალაშნიკოვმა და დ. ფომინმა, გ. ტერ-მიქელოვმა, ი. ჟიტკოვსკიმ, ინჟ. პლეშკოვმა და არქიტექტორ შახოვის ჯგუფმა. კონკურსში წარმოდგენილი პროექტები განსხვავდებოდა როგორც ჩანაფიქრის, ისე შესრულების თვალსაზრისითაც. თუ ი. ჟიტკოვსკისა და გ. ტერ-მიქელოვის, ლ. მე-

---

96 ამ შენობის დახასიათებისათვის თითქმის სავალდებულო გახდა ფორმულირება, რომ მასში კლასიკური არქიტექტურული თემა შერწყმულია ეროვნულ მოტივებთან. О. Великорецкий, Творческий путь мастера. „Сов Архитектура“, 1951, № 1, გვ. 178.

97 „კომუნისტი“, 1933, 28.IX, № 273; ნ. ჯანბერიძე. ხუროთმოძღვარი არჩილ ქურდიანი, თბ., 1963, გვ. 8—22.

ლეგის პროექტები (ტაბ. 39_2) კონსტრუქტივისტულად იყო დამუშავებული, მ. კალაშნიკოვისა და დ. ფომინის პროექტი რუსული კლასიციზმის ფორმების გადამღერებას წარმოადგენდა, შახოვის ჯგუფის და პლეშკოვის პროექტები კი მეტად სქემატური იყო. ყველა ამ პროექტს მკვეთრად უპირისპირდებოდა არჩილ ქურდიანის პროექტი (მხატვარ ჰ. ჰრინევსკის მონაწილეობით), რომელიც პრინციპულად სხვა პოზიციებზე იდგა: ავტორმა სტადიონის არქიტექტურისათვის ეროვნული ხუროთმოძღვრების ფორმათა გამოყენება სცადა. ჟიურიმ სწორედ ეს პროექტი მიიღო.

სტადიონის თემა სრულიად ახალი იყო ქართული არქიტექტურისათვის. თბილისს არავითარი დამთავრებული სპორტული ნაგებობა არ გააჩნდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა ფართო სარბიელი ჰპოვა. მან ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. ამის შემდეგ ბუნებრივად დაისვა სპორტული ბაზის მშენებლობის საკითხი. ყველაფერს ამას ემატებოდა თბილისური ჰავა, რომელიც სპორტსმენებს შესაძლებლობას აძლევს თითქმის მთელი წლის განმავლობაში ჰაერზე ივარჯიშონ.

კონკურსის შედეგად მიღებული არჩილ ქურდიანის პროექტი თანდათანობით იხვეწებოდა. პროექტის კონსულტანტი პროფესორი ა. კალგინი ახალგაზრდა არქიტექტორის ყურადღებას სწორედ ეროვნული ხუროთმოძღვრული მოტივების გამოყენებისაკენ წარმართავდა.


„დინამოს“ სტადიონი საექსპლოატაციოდ გადაეცა 1935 წელს, მთლიანად კი მისი მშენებლობა 1937 წელს დამთავრდა.

სტადიონისათვის გამოყოფილი იყო განაშენიანებისაგან თავისუფალი ნაკვეთი 10 ჰექტარის ფართობით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკთან. მართალია, ნაკვეთი ვრცელი სპორტული კომპლექსისათვის საკმარისი არ იყო, მაგრამ სტადიონისა და ერთი სავარჯიშო მოედნის მოთავსების საშუალებას მაინც იძლეოდა. ამ ადგილს ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ კარგად უკავშირდებოდა ქალაქის სხვადასხვა რაიონს.

სტადიონის გრძივი ღერძის ორიენტაცია შერჩეულია სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით (აღმოსავლეთისაკენ 5°-იანი გადახრით, გაბატონებული ქარების გამო), რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჩაკეტილი ტიპის ტრიბუნებზე მაყურებელთა მაქსიმალური რაოდენობის მოთავსებისათვის.

სტადიონის ოვალს ირგვლივ ტრიბუნები ეკვრის; ეს ტრიბუნები გრძივი ღერძის მიმართულებით სამიარუსიანი იყო, ხოლო დანარჩენ ორ მხარეს

ორიარუსიანი (ტაბ. 39$_4$). ტრიბუნებზე 23.000 მაყურებელი ეტევა. გარდა ამისა, სტადიონზე არის ფეხზე დასადგომი ადგილებიც. (1963 წელს მოხდა ტრი-



თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. გეგმა.

ბუნების დროებითი რეკონსტრუქცია, რამაც დასაჯდომ ადგილთა რიცხვი 36.000-მდე გაზარდა. 1967 წელს კი დაიწყო მისი გენერალური რეკონსტრუქცია, რომელიც ფაქტიურად ახალ შენობას გულისხმობს).

გრძივი ღერძის მიმართულებით, ე. ი. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ტრიბუნებზე პარტერია, რომლის რიგების რიცხვი მოგვიანებით გაზარდეს. ამან თავისი კვალი დაამჩნია ხედვის პირობებს: მოედანი ყველა ადგილიდან კარგად არ ჩანს.

ტრიბუნებზე ოთხივე მხრიდანაა შესასვლელი. ყოველ მხარეს რამდენიმე შესასვლელია. ოვალის კუთხეებში შესასვლელები ღია მიშენებული კიბის სახითაა, ხოლო სხვაგან კიბე ჩადგმულია ღია თაღოვან გალერეაში. სამხრეთის.

მხარეს გაკეთებული დიდი სატრიუმფო თაღი (16 მ) სასპორტო მინდორს გარე სივრცესთან აკავშირებს. ეს საზეიმო შესასვლელი დემონსტრაციათა თუ სხვა ხალხმრავალ კოლონათა გასასვლელადაა გამიზნული (ტაბ. 40_1).

თვით მოედნის ზომაა 105×70 მ, გარდა ფეხბურთის მინდვრისა, მოედანზე მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობისთვის განკუთვნილი სექტორებია. მწვანე მინდორს გარს ეკვრის 7,5 მ სიგანის სარბენი ბილიკი, რომლის ფორმა კარგადაა ჩაწერილი ტრიბუნების კონტურში[98].

თვით ტრიბუნები, როგორც უკვე ითქვა, აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს სამიარუსიანია, ხოლო სამხრეთითა და ჩრდილოეთით—ორიარუსიანი. რიგთა ამაღლება ისეა გათვალისწინებული (I იარუსზე—32,5 სმ; II-ზე—36,0 სმ; ხოლო III იარუსზე 44,0 სმ), რომ ხედვის კარგი პირობები იქმნება[99]. იარუსები ერთმანეთან შედარებით 2,6 მეტრითაა ამაღლებული, რაც შესაძლებლობას იძლევა მათ ქვევით მოეწყოს გარშემოსავალი გალერეები, რომლებიც, გარდა მოძრაობის უკეთესი გრაფიკის შექმნისა, ფოიეს ფუნქციებსაც ასრულებენ (დასვენების ადგილი, წვიმის დროს თავშესაფარი, ბუფეტი და სხვ.).

დასავლეთის მხარეს, შუაში, ორიარუსიანი ლოჯიაა, აქ განლაგებულია მთავრობის ლოჟები, ტრიბუნების მხრიდან ისინი გამოირჩევიან კონსოლური გადახურვით. ლოჟაში შესასვლელიდან, რომელიც ცალკეა გამოყოფილი, მომსვლელი ხვდება ვესტიბიულში. მას უკავშირდება ფოიე ბუფეტით და ღია ლოჯია — ვერანდა.

ეს შესასვლელი ტრიბუნებს ქვეშაა. აქვეა აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების სადგომი, მათ შორის მაყურებელთა მომსახურების ოთახები (ბუფეტები, საპირფარეშო და სხვ.). სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, I სართულზე, მოთავსებულია შეჯიბრების მონაწილეთათვის განკუთვნილი სადგომები (ვესტიბიული, გარდერობი, გასახდელები, შხაპი, ბუფეტი და სხვა). აქვეა მსაჯის, პრესის მუშაკთა ოთახები და ორი გასასვლელი მინდორზე. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, II სართულზე კლუბია. გარდა ამისა, აქ არის საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერიც.

სტადიონის ტრიბუნებქვეშ განლაგებულია აგრეთვე სპორტული დარბაზები, ჩრდილო დასავლეთ მონაკვეთში — ტანვარჯიშისა და ფარიკაობის დარბაზები, აღმოსავლეთ ტრიბუნებს ქვეშ სპორტულ თამაშობათა და ძალოსნო-

---

98 М. Гречина, Стадионы. Киев, 1957. გვ. 199.

99 Проф. Ю. Я. Штаерман, инж. И. П. Кутателадзе, инж. Н. Н. Спицын, Что такое легкий армобетон, Тб., 1936, გვ. 34.

ბისა, ჩრდილოეთ მხარეს — მოტოსექციისა. სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ზამთრის საცურაო აუზს და მის დამხმარე სადგომებს უჭირავს (აუზის ზომა— 10×25 მ).

დასასრულ, ტრიბუნების ქვეშ, სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, მოთავსებულია საადმინისტრაციო ჯგუფი და სასტუმრო ჩამოსულ სპორტსმენთათვის.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ „დინამოს“ სტადიონი ძირითადად ფეხბურთისთვისაა გამიზნული, მასში მაინცაა გათვალისწინებული სხვადასხვა სახეობის სპორტული დარბაზები, რაც მას სპორტული ბაზის მნიშვნელობას ანიჭებს.

სტადიონის ფასადები ძირითადად შელესილი ყრუ კედლის სიბრტყითაა წარმოდგენილი. ფასადთა ფრონტი, რომელიც ოვალს მიჰყვება, შეტეხილია დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამიარუსიანი ტრიბუნების გასწვრივ, ხოლო სამხრეთისა და ჩრდილოეთის ტრიბუნებთან — ცენტრალურ ნაწილში. ამ ჰორიზონტალურად გაწოლილ სხვადასხვა მოცულობათა შორის, გამოყოფილია ცენტრალური ნაწილი თაღედით, ან თაღოვანი ლოჯიით. გრძივი ღერძის მიმართულებით ორივე მხარეს განლაგებულია კიბეებით ფლანკირებული სამსართულიანი მოცულობა.

სამხრეთის ტრიუმფალური თაღით დაგვირგვინებული შესასვლელი ფლანკირებულია ყრუ რიზალიტებით, ხოლო თაღს თავზე, ცენტრალური ნაწილის გაყოლებით, გამჭოლი ლოჯიის ზოლი გასდევს.

ფასადები ღია ოქროსფრადაა შელესილი, მხოლოდ სვეტებია მოთეთროდ მოყვითალო ტონის ძეგმის ქვით მოპირკეთებული. ორნამენტები, სვეტისთავები, კრონშტეინები, კარნიზი—ხელოვნური ქვისაგანაა ჩამოსხმული. ცოკოლი ალგეთის ბაზალტისაა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის გალერიის თაღედის სვეტები განჯის ნაცრისფერი მარმარილოთია მოპირკეთებული.

სტადიონის მშენებლობაზე დიდი ყურადღება ექცეოდა მის კონსტრუქციულ გადაწყვეტას, ახალი საშენი მასალების გამოყენებას, რითაც შენების ეკონომიურობა იყო მიღწეული[100].

გამოყენებული იქნა მსუბუქი არმირებული ბეტონი. პროექტით გათვალისწინებული იყო სტადიონის მშენებლობა ქარხნული წესით, ე. ი. ასაწყობ-მონოლითური მშენებლობა ცალკეული რკინა-ბეტონის ჩარჩოებისაგან, მაგ-

---

100 პროფ. შტაერმანის, ინჟ. ი. პ ქუთათელაძის და ინჟ. ნ. ნ. სპიცინის დასახ. ნაშრომის გარდა, იხ. კრებული «Легкий армированный бетон на строительстве ИМЭЛ и стадиона «Динамо» в Тифлисе, Т., 1935.

რამ საჭირო მექანიზაციის უქონლობამ შეცვალა პროექტი. კონსტრუქციებს ადგილზევე აგებდნენ. ერთმანეთისაგან ხუთი მეტრით დაცილებულ რკინა-ბეტონის მონოლითურ ჩარჩოებზე დაყრდნობილია ტრიბუნები — პემზა-ბეტონის ანაკრები საფეხურები, ასე რომ, ძირითად კონსტრუქციას შეადგენს რკინა-ბეტონის ჩონჩხი პემზა ბეტონის შევსებით. რკინა-ბეტონის ჩარჩოებს შორის სივრცე უმთავრესად არტიკის ტუფითაა შევსებული. ამ მიზნისათვის აგურსა და პემზის ბლოკებსაც მიმართავდნენ. კედლები მზიდავ კონსტრუქციებს არ წარმოადგენენ, ისინი მხოლოდ თერმოსაიზოლაციო ტიხარს ქმნიან.

მთელი ჩრდილოეთ ნაწილის კედლების ტრიბუნები სამივე იარუსზე, II და III იარუსის გალერეა და ბრტყელ გადახურვათა თითქმის ნახევარი აღგილზევეა ჩამოსხმული ტუფ-ბეტონისაგან.

ტუფ-ბეტონის გამოყენება დიდად აიაფებდა მშენებლობას, რადგან კედლის ქვის თლის დროს წარმოქმნილი ტუფის ნაფშვენის დიდი რაოდენობა, ისევე როგორც ანისის პემზა, ძალზე იაფი ჯდებოდა.

ეს რაციონალიზაცია სტადიონის მშენებლობაზე იგრძნობოდა დიდსა თუ პატარა საქმეში, რთულ კონსტრუქციებში თუ მოსარწყავ სისტემაში.

მაგ., კიბეები (მათ ირიბანა არა აქვთ), რომლებიც II და III იარუსებს აკავშირებს, იმითაა საინტერესო, რომ მათ იატაკში ჩამალულია დაძაბული შემკვრელები, რომლებიც გათვლილ ძალვას ორჯერ ამცირებენ და სხვ.

ავტორმა გაითვალისწინა თბილისური ცხელი ზაფხული და მინდვრის მორწყვის მიწისქვეშა სისტემა დაამუშავა, 40 სმ-ის სიღრმეზე, ყოველ 2,5 მეტრზე. თუნის მილძაბრა მილებია ჩადგმული, რომელთა მეშვეობით წყალი ნიადაგში შედის. სპეციალური საფენი იყო შემუშავებული სარბენი ბილიკისათვისაც, რომლის შემადგენლობამ ბილიკის მაღალი ხარისხი უზრუნველყო.

„დინამოს“ სტადიონის არქიტექტურა მარტივი და სადაა. მისი არქიტექტურული კომპოზიცია — ტრიბუნებით შემოფარგლული, ჩაკეტილი ასპარეზი, ეყრდნობა ვენის ცნობილი სტადიონის ტიპს, მაგრამ აქ იგი თავისებურ სახეს ატარებს[101].

ტერიტორიაზე სტადიონი თითქმის მაქსიმალური შესაძლებლობითაა „ჩასმული“. მისასვლელი ქუჩები მაყურებელთა დატვირთვა-ევაკუაციის კარგ

---

101 „ვენის სტადიონის ტიპის მიხედვით, მისი შეცდომების გამეორების გარეშე, ჩვენში 1934 წ. აგებულია სტადიონი „დინამო“ თბილისში“, С. Зверинцев, С. Нестеров, Физкультурные сооружения М., 1935, გვ. 304. შეცდომად ავტორები გულისხმობენ იმას, რომ ტრიბუნების 2/3 ფეხზე მდგომ მაყურებელთათვისაა გათვალისწინებული — ნ. ჯ.

პირობებს იძლევა, თუმცა ტრანსპორტისათვის ახლო მისვლა შეუძლებელია.

სტადიონის გაბარიტები ეთანხმება ტერიტორიის სივიწროვეს. სამხრეთისა და ჩრდილოეთის ორი იარუსი მცირე ადგილს იკავებს ვიწრო მხარეზე, ხოლო გრძივი ღერძის მიმართულებით სამ-სამი იარუსი თავისუფლად თავსდება.

სტადიონის დაგეგმარება ისეა გადაწყვეტილი, რომ სხვადასხვა ადგილიდან ტრიბუნების მაყურებლით შევსების შესაძლებლობა შეიქმნას. ამიტომაა შესასვლელთა ასეთი რაოდენობა (უნდა ითქვას, რომ დასავლეთის მხარეს, ცენტრალურ ნაწილში ექსპლოატაციის დროს შესასვლელთა გაუქმებამ საკმაოდ გააუარესა შევსება-ევაკუაციის პირობები).

იარუსები — გარშემოსავლელი გალერიებით და სექციებში ჩასასვლელებით — ადვილად ივსება (რა თქმა უნდა, მათი ნორმალურად დატვირთვის დროს). იარუსებად გადაშლილი ტრიბუნები ხედვის კარგ პირობებს ქმნის და აახლოებს ზედა რიგებში მჯდომ მაყურებელს მინდორთან. გალერეები ჩრდილოვან გადასასვლელებს ქმნიან და როგორც ფეხზე მდგომი მაყურებლისათვის, ისე საერთო მოძრაობისათვის მოხერხებულ დამაკავშირებელ რგოლებს წარმოადგენენ. სტადიონზე მხოლოდ მესამე იარუსის განაპირა მხარეებში არის რამდენიმე ადგილი, საიდანაც მინდორი კარგად არ ჩანს, სხვა ადგილებიდან კი ხედვა სავსებით ნორმალურია. აქ უნდა მოვიხსენიოთ პარტერი, რომელიც მშენებლობის დროს გაიზარდა. მისი მცირე ამაღლება აღარ კმარა რიგებისათვის და მხედველობის კუთხე აქედან ურიგოა.

სტადიონის შიდა ხედი დამყარებულია საფეხუროვან გადასვლაზე და მისგან გამოწვეულ შუქ-ჩრდილის ეფექტზე. აქ ყველაფერი მარტივადაა დამუშავებული. იარუსთა ჰორიზონტალურად გადაჭიმული ზოლები და ზედა გალერეათა ღია ლუნეტები ქმნიან მოძრაობის რიტმს, რომელიც სატრიუმფო თაღთან სტატიკური მახვილით იწყება და მთელი ოვალის შემოვლით აქვე მთავრდება კიდეც.

მთავარი პორტიკის სატრიუმფო თაღი ძირითადი აქცენტია სტადიონის არქიტექტურაში, იგი თავიდანვე საზეიმოდ განგვაწყობს; თაღის ხაზგასმული მასშტაბურობა ავლენს მის შინაარსობლივ დატვირთვასაც: სტადიონი მარტო სპორტულ თამაშობათათვის კი არ არის განკუთვნილი, იგი ხალხის მასობრივი თავმოყრის, საზეიმო დემონსტრაციების ჩატარების ადგილიცაა. ეს თაღი სტადიონის შიდა შემოფარგლულ სივრცეს ხსნის, აკავშირებს გარე სივრცესთან (ტაბ. 40$_1$).

შიგნიდან ამ პორტიკის კედლის დამუშავება ეკონტრასტება ტრიბუნათა შეკრული ოვალის სრულიად სადა, „უკედლო“ გადაწყვეტას და ამითაც იპ-

ყრობს ყურადღებას. აქ ავტორმა არქიტექტურული სამკაულიც შეიტანა და ამით ტრიბუნების მხარეს მიანიჭა ის დეკორაციულობა, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ექსტერიერის არქიტექტურულ გადაწყვეტაში. ზედა გამჭოლი გალერეა, ღია თაღედის ორნამენტული პლაფონი, მთელი შემკვრელი დამაგვირგვინებელი კარნიზი, ერთგვარი გადასასვლელი, დამაკავშირებელი მომენტებია გარე და შიდა არქიტექტურისა.

ეს ერთადერთი, ფუნქციით ნაკარნახევი დეკორაციული მახვილია სტადიონის სრულიად სადა შიდა არქიტექტურაში, რომელსაც კარგად ეხამება, ასევე ფუნქციურად გამართლებული ლუნეტები ზედა იარუსებისა (კედლები ჰაერის მოძრაობისათვისაა დაცრხრილული). სატრიუმფო თაღიანი მთავარი პორტიკი წამყვანია ფასადთა გადაწყვეტაშიც. იგი „მთავარ ფასადს“ წარმოადგენს სტადიონის მთელ მოცულობაში და თავიდანვე ავლენს ნაგებობის დანიშნულებას. მხატვრულად ეს პორტიკი ყრუ კედლისა და გახსნილი სივრცის დაპირისპირებაზეა აგებული. ჯერ ღია თაღი, ხოლო შემდეგ გამჭოლი ლოჯია-გალერია, ქმნის სივრცობრივ აბზაცებს, რომლებიც გაწონასწორებულია კედლის თავისუფალი ყრუ სიბრტყით.

არქიტექტორი საზეიმო განწყობის გადმოსაცემად აქ მორთულობასაც ხმარობს, რომელიც ტონს აძლევს დეკორს ფასადთა მთელ არქიტექტურაში. ორნამენტული მორთულობა გამოყენებულია როგორც თაღედის პლაფონზე, ისე გალერიისა და კუთხის სვეტების კაპიტელებზე და დამაგვირგვინებელ კარნიზზე. მაგრამ ეს სამკაული ნაძალადევი არ არის, იგი ორგანულად ზის ფასადის არქიტექტურაში.

არქიტექტორი ფასადთა დამუშავებისას ძირითადად მოცულობით ფორმებს იყენებს. ტრიბუნები გარედან, ყოველ მხარეს ქმნიან სხვადასხვაგვარ მოცულობებს, რომლებიც სიმეტრიულად არიან განლაგებულნი (თუ არ ჩავთვლით დასავლეთის ლოჟების პორტიკს). ფასადს გრძივი ღერძის მიმართულებით, მკვეთრად გამოყოფილი ცენტრი და ორივე მხარეს დამამთავრებელი ფრთები აქვს. დასავლეთ მხარეს ასეთ ცენტრს ლოჟებში შესასვლელი პორტიკი შეადგენს, ხოლო ფრთებს—ღია მიდგმული კიბეები. ეს ფასადი თითქოს უკვე თავისთავად დამთავრებულია, იგი ცალკე „ჩაკეტილ“ მონაკვეთს წარმოადგენს, მაგრამ, იმავე დროს, არ არის „ამოვარდნილი“ საერთო მოცულობიდან.

ფასადის კედლის დამუშავებაში მთავარია თაღედის თემა, რომელიც ცენტრალური პორტიკიდან ვრცელდება გვერდებზე და აქ მხოლოდ დეკორაციულ მოტივს წარმოადგენს. ფასადის შემდეგი მონაკვეთი ისევ ცენტრში გამოყოფილი მოცულობითაა გადაწყვეტილი და ა. შ. ამგვარად, სტადიონის ცილინდ-

რის გარე სიბრტყეზე ეს მოცულობები გარკვეულ აქცენტებს სვამენ, გამოყოფენ ტრიბუნების სხვადასხვა მონაკვეთს, ხაზს უსვამენ შესასვლელებს, ემსახურებიან საერთო ფუნქციურ გადაწყვეტას. თვით კედელი ძირითადად თავისუფალ არეს წარმოადგენს ისე, რომ კარ-სარკმლები თუ ლუნეტები კედელს არ „ასუსტებენ“. ზედა სართულის ღია ლუნეტები ზედა „შემკვრელი რგოლის“ ფუნქციასაც ასრულებენ. ასევე გამაერთიანებელია თაღედის თემა, რომელიც სტადიონის ცილინდრის სხვადასხვა მონაკვეთზე ხან დაბალი, ხან კი აზიდული პროპორციებისაა, ზოგან სივრცობრივი, ზოგან კი კედლის სიბრტყეზეა მიდგმული.

ავტორმა კარგად შეძლო ცენტრალური თაღიდან გვერდის სიბრტყეზე გადასვლა, (კედელი ღია თაღედზეა შემდგარი. თაღედის პროპორცია დამჯდარია ტაბ. 40_2), სვეტები და კაპიტელები მძლავრად გამოიყურება (პროპორციების შერჩევას არქიტექტორს, რა თქმა უნდა, ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლებიც კარნახობდნენ). ასეთი პროპორციის თაღედი სხვაგანაც არის გამოყენებული (მაგალითად, ლოჟებისაკენ, გვერდის შესასვლელში), მაგრამ თუ სხვაგან მისი დეკორაციულობა ზედმეტადაა ხაზგასმული კიბის ორნამენტული პარაპეტით, ან თაღის ორნამენტული არშიით, აქ თაღედს სრული გამართლება აქვს; იგი ჩრდილოვან გალერეასაც ქმნის და, თან, ერთიან არქიტექტურულ დამუშავებას უპასუხებს. სხვაა, რომ კაპიტელებს მოდერნული იერი დაჰკრავთ, მშრალია ორნამენტის ნახატი და შესრულება. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ თაღედი, თავისი მოხაზულობით, არ შეესაბამება ფორმათა საერთო სახეს (ასეთია, მაგალითად, შეისრული თაღედი მეორე იარუსზე. ასასვლელ ღია, მიდგმულ კიბეებზე და სხვ.). ფასადთა დეკორი ძირითადად თავშეკავებულადაა გამოყენებული და გამიზნულია ცალკეულ ელემენტთა ხაზგასასმელად. მისი მიზანი ისაა, რომ ამაღლდეს განწყობილება, რომ სპორტული ზეიმისათვის განკუთვნილი ნაგებობა უფრო მიმზიდველი გახდეს, და მაინც, ზოგ შემთხვევაში სამკაული ზედმეტია. მაგალითად, კედლის დეკორაციული სვეტები, ლოჟის პორტიკის დამუშავება — თაღის არშია, პლაფონი და სხვ.

ამ ნაწარმოებში არქიტექტორი არჩილ ჭურდიანი მიზნად ისახავს შექმნას თანამედროვე ნაგებობა, რომელიც ეროვნული არქიტექტურული ფორმებით იქნება ამეტყველებული[102] და ამისათვის მარტო ძველი ქართული ძეგლებიდან აღებულ არქიტექტურულ მორთულობას კი არ მიმართავს, არამედ ნაგებობას მთლიანად ანიჭებს ჩვენი სამხრეთის პირობებისათვის შესაფერ სახეს (სტადი-

[102] А. Курдиани. Стадион «Динамо», К съезду архитекторов, Газета Союза архитекторов Грузии. Февраль, 1936.

ონი გახსნილია, შექმნილია ჩრდილოვანი გადასასვლელები, გამშოლი სივრცობლივი ელემენტები და სხვა).

რაც შეეხება ფასადთა მხატვრულ დამუშავებას, უკვე აღინიშნა, რომ დეკორის გამოყენებას ამ ობიექტზე საერთო გამართლება აქვს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში მათ დახვეწა ესაჭიროებათ. კონკრეტული ორნამენტული მორთულობანი უმთავრესად ძველი არქიტექტურის რეპერტუარიდანაა. ნაკლებია სიახლე, რაც, თუნდაც, მასალის სხვაობასაც უნდა გამოეწვია.

ეროვნული ტრადიციების გამოყენებას ემყარება საქართველოს სსრ პავილიონი მოსკოვში, მაშინდელ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე[103].

ეს გამოფენა გააზრებული იყო, როგორც სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევათა და საბჭოთა ხალხთა მეგობრობის მკაფიო დემონსტრაცია. გამოფენა გულისხმობდა მიღწევების ჩვენებას ცალკეული რესპუბლიკების მიხედვით.

თავდაპირველად პავილიონი ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკისათვის იყო განკუთვნილი და იგი არქ. მ. შავიშვილის, ი. ჩხენკელისა და გ. ჩაჩანიძის პროექტის მიხედვით შენდებოდა (ტაბ. 41$_1$) 1938 წლისათვის მშენებლობის დამთავრებას ბევრი აღარაფერი აკლდა.

ეს პავილიონი გეგმაში „П"—მაგვარი იყო. გვერდის ფრთები 20—25 მეტრით წინ იყო გამოწეული და ცენტრალური ნაწილი კურდონერის შიდა ფრონტს ქმნიდა. ფრთების პორტიკებიდან შესასვლელები იყო ცალ მხარეს სომხეთისა და მეორე მხარეს აზერბაიჯანის დარბაზებში. ცენტრში — საქართველოს დარბაზია. ფაქტიურად ეს სამი დარბაზი განსაზღვრავდა მთელ გეგმას. ცენტრში, უკანა მხარეს, პავილიონს მწვანე ორანჟერეა ემატებოდა.

მოცულობათა კომპოზიციაში მთავარ აქცენტს ცენტრალური ნაწილის 25 მეტრიანი სიმაღლის კოშკი წარმოადგენს. გვერდის ფლიგელებში შესასვლელები ორივე მხარეს ხაზგასმულია სამმალიანი თაღედით, ცენტრალური პავილიონის შესასვლელი კი ყრუ კედლის ფონზე გამოყოფილი, ორნამენტული მოჩარჩოებით შექმნილი, პორტალის სიგანეზე გაშლილი სწორკუთხედით.

ფასადთა არქიტექტურა, მათი საერთო არქიტექტურული თემა (პორტიკი, თაღედი და სხვა). სხვადასხვა დარბაზისათვის სხვადასხვაგვარად მუშავდებოდა. აზერბაიჯანის დარბაზისათვის აზერბაიჯანული არქიტექტურის, სომხეთის — სომხური, საქართველოსი—ქართული არქიტექტურული მოტივებითა და მორთულობით. ამას ემატებოდა მომრგვალებული მოხაზულობის შეწყვილებული

---

103 ნ. ჯანბერიძე, ხუროთმოძღვარი არჩილ ქურდიანი, თბ., 1963, გვ. 23—31.

სვეტების მწკრივი, რომელიც გვერდის ფლიგელებს ცენტრთან აერთებდა და ამით კიდევ უფრო ართულებდა ფასადთა საერთო არქიტექტურას.

რაღა თქმა უნდა, საფუძველშივე მცდარი მიდგომა ერთიანი შენობის განსხვავებული არქიტექტურული მოტივებით დამუშავებისა, მეტად ხელოვნური, ეკლექტიკური კონგლომერატის სურათს ქმნიდა. ავტორთა სურვილი, რომ შენობა შეეკავშირებინათ ერთიანი არქიტექტურული თემით, მიუღწეველი რჩებოდა კარდინალურად განსხვავებულ არქიტექტურულ მოტივთა (სამი რესპუბლიკის შესაფერ არქიტექტურის მიხედვით) გამოყენების გამო.

შემდგომში გადაწყდა რესპუბლიკებისათვის ცალ-ცალკე აშენებულიყო პავილიონები, ხოლო ეს, ჯერ დაუმთავრებელი პავილიონი მთლიანად საქართველოს დაეთმო.

1938 წლის ნოემბერში, პროექტის შედგენა არქიტექტორ არჩილ ქურდიანს დაევალა. პროექტი შედგა არქიტექტორ გიორგი ლეჟავას მონაწილეობით. იმის გამო, რომ ვადა ძალზე მცირე იყო(გამოფენა 1939 წლის ზაფხულში გაიხსნა) არქიტექტორის აზრი არსებული ნაგებობის გამოყენებისაკენ წარიმართა არჩილ ქურდიანის მიერ წარმოდგენილი რეკონსტრუქციის პროექტი ინარჩუნებდა არსებულ სადგომებს, შენობის ძირითად კონფიგურაციას, რითაც მისი საფუძვლიანი ნგრევა თავიდან იქნა აცილებული.

ახალი პროექტით პავილიონი კვლავ სამი ძირითადი დარბაზისაგან შედგებოდა, რომლებიც „П“-ს მაგვარად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. არჩილ ქურდიანის პროექტში ცენტრალური ნაწილის კოშკი მოიხსნა. კურდონერი წინა მხრიდან სვეტებით შემოიფარგლა და ამით შიდა ეზო-ვესტიბიული შეიქმნა (ტაბ. 41_2).


გვერდის ფრთებზე შენობას მიედგა გალერეა—სტოა, რომელსაც პავილიონის სამხრეთ ნაწილში შენობასთან მიშენებული ორანჟერეისკენ მივყავართ. ორანჟერიის ფართობი—700 მ²-ია.

გვერდის ფრთების წინ ადრინდელი პროექტით გათვალისწინებული პორტიკები მოიხსნა. მთავარი ფასადის მხარეს დარჩა განაპირა თაღით ფლანკირებული ყრუ კედლები.

ცენტრალურ დარბაზში, კოშკის მოხსნასთან დაკავშირებით, მოიხსნა მისი დამჭერი სვეტებიც და დარბაზს თავისუფალი სივრცე შეემატა.

ამრიგად, პავილიონში შემსვლელი ცენტრალურ ღია ეზო-ვესტიბიულის გავლის შემდეგ ხვდება მთავარ, წახნაგოვან დარბაზში, რომელსაც ორივე მხრიდან დარბაზები ერტყმის. გვერდის დარბაზები ორ-ორი სადგომისაგან შედგება. დარბაზები სამმხრივ გარს უვლის ხსენებულ ორანჟერეას, რომელიც შესასვლელის პირდაპირ, მთავარი დარბაზის ღერძის გაგრძელებაზე მდებარეობს.

პავილიონის ინტერიერში კედლები ექსპოზიციისთვისაა განკუთვნილი. შესასვლელები მოჩარჩოებულია მდიდრული ორნამენტული მორთულობით. კა-



საქართველოს პავილიონი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში. გეგმა.

რები გაფორმებულია ქართული დარბაზის მოტივებით. ქართული დარბაზის ერდოს მოტივია გამოყენებული დარბაზების პლაფონთა დამუშავებაშიც.

მთავარი დარბაზიდან ორანჟერეისაკენ მიმართული კედლის დიდი ფართობი მინის ვიტრინას უჭირავს, ისე რომ, შემსვლელი მას თავიდანვე ხედავს (ორანჟერეა მინის საბურავშია ჩადგმული).

მთავარი ფასადის წინ, ცენტრალური ღერძიდან მარჯვნივ, დაბალ კვარცხლბეკზე დგას სკულპტურული კომპოზიცია — კოლმეურნე ქალ-ვაჟისა და ბავშვის ფიგურები.

მოძრაობის გრაფიკი ისეა შერჩეული, რომ დამთვალიერებელი შეუფერხებლივ ეცნობა ექსპონატებს. შუა დარბაზი და მის ორსავ მხარეს პერპენდიკულარულად მიდგმული დარბაზები ერთგვარი ჩარჩოა ორანჟერეისათვის. უკა-

ნასკნელს კი პავილიონში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეთმობა. ეს ციტრუსოვან, მარადმწვანე ექსპონატებით სავსე „ცოცხალი“ დარბაზია, რომელიც სახვით ან ბუტაფორიულ ექსპონირებას ნამდვილ ბუნებას უპირისპირებს.

როგორც აღვნიშნეთ, მთავარ დარბაზში კედელი ორანჟერეისაკენ მინის ვიტრინითაა „გახსნილი“. ამით კომპოზიციურად გამოძებნილია გამაწონასწორებელი მომენტი ძირითადი დარბაზის ღერძის მიმართულებისა (დარბაზისა და ორანჟერეის გრძივი ღერძები ურთიერთპერპენდიკულარულია).

წწვანე ნარგავთა ღრმა პერსპექტივი, რომელიც შენობაში შემსვლელს თავიდანვე ხვდება თვალში, ადიდებს მთავარი დარბაზის სივრცეს. იმავე დროს, თვით ნარგავთა ცხოველხატულობა, რომელსაც სტენდების ანტურაჟში საჭართველოს ცოცხალი ბუნება შეაქვს — აგრეთვე მეტად ეფექტურია.

პავილიონის არქიტექტურა მარტივი, მაგრამ მეტად მეტყველია. იგი ამაღლებულ, საზეიმო განწყობას ქმნის. მისი სისადავე კარგად გამოხატავს საგამოფენო ნაგებობის დანიშნულებას, ხოლო მსუბუქი, ლაკონიური ფორმები, მათი საღი დეკორატიულობა მიმზიდველობას ანიჭებს მას.

პავილიონის არქიტექტურაში მთავარ მხატვრულ მახვილს მისი კომპოზიციური ბირთვი — ეზო-ვესტიბიული ქმნის. იგი თავიდანვე იწვევს იმ ამაღლებულ, საზეიმო განწყობას, რომელიც დამთვალიერებელს სულ თან სდევს. ერთსა და იმავე დროს იგი აერთებს შიდა სადგომებს, ეპატიჟება მომსვლელს და გარე და შიდა სივრცეებსაც აკავშირებს ერთმანეთთან.

მთავარი ფასადის პორტიკის აზიდული პროპორციები, მისი გამოყოფა გვერდის მოცულობებისაგან თავიდანვე იპყრობს ყურადღებას. აქ გარკვეულ როლს ასრულებს წინ დადგმული ქანდაკებაც (მოქანდაკე ვ. თოფურიძე), რომელიც შენობისაგან განცალკევებულია, მაგრამ მხატვრულად დაკავშირებულია მასთან. ქანდაკება ფასადის მიმართ ირიბად დგას. ამით ქუჩის დინებაში იქმნება პაუზა, რომელიც შენობისაკენ მიმართავს ყურადღებას. გამვლელის ზერა ჩერდება ქანდაკებაზე, შემდეგ გადადის შენობაზე. აქ ქანდაკება მარტო საკოლმეურნეო თემის ილუსტრაცია კი არაა, არამედ მთლიანი არქიტექტურული ორგანიზმის აღქმისათვის გამიზნული ელემენტი.

ეზო-ვესტიბიული პორტიკის საერთო საფასადო ხაზიდან წინ არის გამოსული. მისი სიმაღლე სჭარბობს გვერდის ფრთებს. მსუბუქი კოლონადაც კონტრასტულად გამოიყოფა უკანასკნელის კედლის ყრუ, დაბალ სიბრტყესა და თაღედთან შეფარდებით. პორტიკის თაღედი შედგმულია მსუბუქი, მომრგვალებული სვეტებისაგან შედგენილ კოლონებზე. ეს კოლონები ზევიდან ქვევით ვიწროვდება, რაც ცხოველხატულ კაპიტელებთან ერთად, განსაკუთრებულ დეკორაციულობას ანიჭებს მას.

კაპიტელები ერთი შეხედვით ძალზე რთულსა ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ასე არაა. ფაქტიურად, მისი ფასადური, თავისუფალი სიბრტყეები შევსებულია ერთი ფოთლოვანი ნახატით. ფონს დიდი არე აქვს, მაგრამ შემადგენელ მოცულობათა დინამიკურობა და ამით გამოწვეული შუქ-ჩრდილი არაჩვეულებრივ დეკორაციულობას ანიჭებს კაპიტელს. ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს კაპიტელის ძირს შემოყოლებულ მსხვილ გრეხილს და ბრტყელ სწორკუთხა აბაკს, ვიწრო ტანიდან ვოლიუტებზე გადასვლას და სხვ.

კოლონადა აჟურულია, ჰაეროვანი და რაკი გვერდის ფრთები დაბალია, ამ კოლონადიდან ყოველთვის ჩანს მზის შუქი. იგი შუქ ჩრდილის საინტერესო ეფექტს იძლევა, პავილიონს „სამხრეთულობას“ ანიჭებს. მზის შუქი მთელი დღე ეფინება ეზოს, მაგრამ ისე, რომ ამ ეზო-ვესტიბიულში ჩრდილიც არის და სიგრილეც.

ეზოს მარმარილოს ხალიჩა საერთო დეკორაციული გადაწყვეტის საფუძველია. მასზეა „აღმოცენებული“ ეზოს კედლები მთლიანად დაფარული რელიეფური გეომეტრიული ორნამენტით, რომელიც დიაგონალურ კვადრატებს ქმნის. ამ კვადრატებში ჰადრაკული რიგით განლაგებულია აჟურული გირჩები, რომლებშიც სარკის ნატეხებია ჩადგმული (შიგნიდან ხელოვნური მინათებით).

ნაძერწი ორნამენტისაგან შემდგარი ეს ხალიჩა კიდევ უფრო მიმზიდველი ხდება სარკის ნატეხთაგან ანარეკლი შუქის მეოხებით, რომლებიც ერთგვარ სიმსუბუქეს მატებენ კედლებს (ამდენად, შენობასაც). მიუხედავად იმისა, რომ თვით კვადრატების მასშტაბი ზედმეტად გადიდებულია, რაც გაუმართლებელ „მონუმენტურობას“ ანიჭებს კედელს, ამ ხალიჩით გამოწვეული ეფექტი მეტად მეტყველია.

მსუბუქი კედლების შექმნის მიზანი თავის გაგრძელებას პოულობს კუთხის ბურჯებშიაც. აქ კედელი „გამოღებულია“, შექმნილია რამდენიმე სართულად განლაგებული ნიშები, რაც სიმსუბუქესთან ერთად შუქ-ჩრდილით გამოწვეულ ეფექტსაც აძლიერებს. ამ ნიშებში ჩადგმული ტორშერები მათ კიდევ უფრო დეკორაციულს ხდის, ხოლო აუზებთან დადგმული ტორშერები, მთელ ეზოს ინტიმურობას მატებს, გადაუხურავ სივრცეში ისეთი განწყობა იქმნება, თითქოს ინტერიერში ხართ. ეს კი ქმნის გარე სივრციდან შიდაზე გადასვლის ჰარმონიულ საფეხურს.

ამრიგად, ეზო-ვესტიბიულის მნიშვნელობა პავილიონის არქიტექტურულ კომპოზიციაში ძალიან დიდია, ხოლო საერთო მხატვრულ ეფექტში მას მთავარი, გადამწყვეტი როლიც კი უჭირავს.

ეზოს თემა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სხვა პავილიონებშიაც გვხვდება. მაგალითად უზბეკეთის სსრ პავილიონში, მაგრამ საქართველოს პავილი-

ონისაგან განსხვავებით, იქ ეზო გახსნილია, უფრო კურდონერს წარმოადგენს. ცალკე ელემენტია, შენობა კი შემდეგ იწყება, მაშინ, როცა საქართველოს პავილიონში იგი არქიტექტურული ორგანიზმის განუყოფელი ნაწილია და საზეიმო ვესტიბიულის როლს ასრულებს.

დიდი ყურადღება აქვს დათმობილი პავილიონის საერთო იერისათვის ღამის განათებასაც, რომელიც კარგად გამოყოფს მთავარს მეორეხარისხოვანისაგან.

გვერდის ფასადები, ცენტრალურ პორტიკთან შედარებით, სრულიად სადაა დამუშავებული. მთელ სიგრძეზე მათ სტოა-გალერეა მიჰყვება, რომელიც მოხერხებული გადასასვლელია ორანჟერეისა და სუბტროპიკული ბაღისაკენ. ამავე დროს, იგი შუქ-ჩრდილით აცოცხლებს გვერდის ფრთების ყრუ სიბრტყეებს. ამ კედლის სიბრტყეებზე ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს ორნამენტული ჩანადგარიანი წვიმსადენი ხვრელები, მათ შორის მოთავსებული დროშების ჩასამაგრებელი კრონშტეინები და მოჩუქურთმებული კარნიზი დეკორაციულ მახვილებს ქმნიან ფასადის საერთო სადა არქიტექტურაში.

დეკორაციულობა გრძელდება შენობის ინტერიერშიც. დარბაზებში შესასვლელები მოჩარჩოებულია ხეზე კვეთილი ორნამენტით, რომელიც „დარბაზის“ დედაბოძის მოტივებს ემყარება. „დარბაზის“ გვირგვინის პრინციპითაა აგებული ცრუგუმბათები, მორთული ფრიზიც და სხვ. ინტერიერთა გაფორმებაში ავტორს ქართული ხალხური არქიტექტურიდან ერთი თემა აქვს აღებული და მას ამუშავებს. ეს არის გლეხის „დარბაზის“ გაფორმება. იგია ინტერიერში დეკორაციულ მოტივთა გამოყენების მთავარი წყარო.

ამრიგად, პავილიონის არქიტექტურაში არჩილ ჭურდიანი დიდ ყურადღებას უთმობს დეკორაციულობას, რომელიც საერთო იდეას (პავილიონი საზეიმო, ხალისიანი, სიმდიდრის გამომხატველი უნდა იყოს) ემორჩილება.

პავილიონისათვის ძირითად საშენ მასალად ხეა გამოყენებული. კონსტრუქციებიც ხისაა. პორტიკის მზიდავი კონსტრუქციები, — პილონთა გვერდებზე მოთავსებული, შედგენილი კვეთის დგარებია. პორტიკის სვეტებიც — ხის, შედგენილი კვეთის ძელებია. ცენტრალური დარბაზი 14 მ მალის ხის ფერმებით იხურება. მხოლოდ ორანჟერეაშია გამოყენებული რკინის კონსტრუქცია, ქვა და მინა. ბუნებრივი ქვით — ქართული მარმარილოთი მოპირკეთებულია ეატაკები და შადრევნები. ფასადები ღია-მოყვითალო ფერადაა შელესილი.

პავილიონის არქიტექტურას ნაკლიც აქვს. მაგალითად, თუმცა ინტერიერში „დარბაზის“ თემის გამოყენების გამო დაცულია მხატვრული ტაქტი და ჩანს ავტორს მისწრაფება მთლიანობისადმი, მაინც ჭარბადაა გამოყენებული დეკორი. საგამოფენო დარბაზებისათვის იგი ზედმეტ მნიშვნელობას იჩემებს,

ასეთ შემთხვევაში ხომ ნეიტრალური ფონი უნდა შეიქმნას, იმისათვის, რომ ყურადღება თვით ექსპონატებზე გამახვილდეს. ეზო-ვესტიბიულის შიდა კედელზე სვეტები თითქოს ამომძვრალან კედლიდან. აქ არ არის ორგანული შერწყმა ორი არქიტექტურული ელემენტისა. მთავარი ფასადის აზიდული სვეტები აქ „მოჩეხილია“, ირღვევა პროპორცია, რასაც, ბუნებრივია, დისონანსი შეაქვს არქიტექტურულ სახეში[104]. უფრო წვრილი ზომის კვადრატებს თხოულობს თვალი. კედლის ხალიჩაზე. დიდი ზომის უჯრედები ოდნავ ამძიმებენ კედლის დეკორაციულ ფონს.

მაგრამ ეს ნაკლოვანებანი ვერ ჩრდილავენ პავილიონის ღირსებებს.

საქართველოს სსრ პავილიონში ძირითადად სწორადაა გადაწყვეტილი ეროვნული პავილიონის შექმნის საკითხი[105]. აქ ავტორმა ცალკეული დეტალით კი არა, არამედ საერთო არქიტექტურული სახით გადაწყვიტა მისი ეროვნული იერი. მკაფიო, სადა ნათელი კოლორიტის მქონე კომპოზიცია ამეტყველებულია გამომსახველი, მსუბუქი არქიტექტურული ფორმებით, იმავე დროს მიღწეულია გარკვეული მონუმენტურობაც. შენობის დეკორაციულობა საზეიმო განწყობილებას ქმნის და შეესაბამება ნაგებობის „პავილიონურ“ დანიშნულებას. დეკორაციული გადაწყვეტა ემყარება ქართულ არქიტექტურაში ღრმად გამჯდარ მისწრაფებას საღი მორთულობისადმი, აგებულია ერთ თემაზე, ხოლო დეკორი ძირითადად თავშეკავებულადაა ნახმარი.

აქ გადამწყვეტი თვით ქართული სამკაულის გამოყენება კი არ არის, არამედ საერთო მიდგომა, რომელიც ასოციაციას იწვევს არა ცალკეულ ძეგლებთან, არამედ ქართული არქიტექტურის პრინციპებთან (მაგალითად, პორტიკის სვეტები აშკარად დედაბოძიდან გამომდინარეობენ, მაგრამ მის პირს კი არ წარმოადგენენ, არამედ შემოქმედებით ტრანსფორმაციას და ა. შ.)

როგორც აღინიშნა, მამადავითის პლატოზე პარკის მშენებლობამ გამოიწვია ფუნიკულორის ზედა სადგურის შენობის შეცვლა. ამ შენობის დაპროექტებისას არქიტექტორთა წინაშე წამოიჭრა რიგი უჩვეულო საკითხებისა, რომელთა შორის უმთავრესი იყო ის, რომ სხვა ნაგებობებისაგან განსხვავებით შენობა მთაწმინდის პარკს, მთას კი არ „ეკუთვნოდა“, არამედ მთელ ქალაქს. საერთო განაშენიანების ზევით თითქმის სამი ასეული მეტრის სიმაღლიდან იგი გადმოჰყურებს ქალაქს და უნდა შერჩეულიყო მისი მასშტაბი მთის სილუეტთან

104 Н. Уманский, Павильоны Грузии и Армении: «Архитектура СССР», 1939, № 3, стр. 52.

105 ს. კინწურაშვილი, საქართველოს სსრ პავილიონის არქიტექტურა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გამოფენაზე მოსკოვში: ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესია. თეზისები თბ., 1962, გვ. 7.

შეფარდებითაც და თვით შენობასთან მდგომი ადამიანისთვისაც. ამ შენობის როლი განისაზღვრებოდა მთელი ქალაქის მასშტაბით. თბილისის ბუნებრივი რელიეფის სპეციფიკის გამო, იგი ქალაქის უმთავრესი დომინანტი უნდა გამხდარიყო და ამ თვალსაზრისით მას, რა თქმა უნდა, ვერც ერთი სხვა ნაგებობა ვერ შეედრებოდა.


ერთი მხრივ, ბუნებრივი მონაცემი — მთა და, მეორე მხრივ, შენობის ფუნქციური დანიშნულება, რომელიც ფუნიკულორის ზედა სადგურის პავილიონს, რესტორანს და გასართობ ოთახებს გულისხმობდა — იყო ამოსავალი წერტილი შენობის არქიტექტურული სახის გადაწყვეტისას. შესაძლოა, პარადოქსულად მოგვეჩვენოს, მაგრამ ამ შენობაში მთავარი სწორედ ქალაქთმშენებლობითი მნიშვნელობა იყო —კავშირი მამადავითის მთასთან, მის სილუეტში „ჩაწერა“ და, აქედან გამომდინარე მასშტაბი. ფუნქციური გადაწყვეტის თვალსაზრისით იგი დიდ სირთულეს არც კი წარმოადგენდა.

არქიტექტორებმა ზ. და ნ. ჭურდიანებმა (ა. ვოლობუევის მონაწილეობით. შენებლობა დამთავრდა 1938 წელს) შენობა გადაწყვიტეს პავილიონის სახით, რომელიც მიუხედავად თავისი აბსოლუტური ზომებისა, მსუბუქი და ჰაეროვანი უნდა ყოფილიყო (ტაბ. 42). ამიტომ შენობას, რომელშიაც მოცემულობით განსაზღვრული სადგომები უნდა ყოფილიყო, წინა სამი მხარე, ე. ი. ქალაქიდან გამოსაჩენი ფასადები, ღია, მაღალი თაღედით შემოუფარგლეს. ამით შენობას შეექმნა აღნიშნული თაღედით შემოსაზღვრული საკმაოდ დიდ ფართობის ღია ტერასები, რომლებიც სართულების მიხედვით სხვადასხვა დანიშნულების სადგომებს ემსახურებიან.

შენობა სამსართულიანია. ქვედა სართული ფუნიკულორის სადგურის სამანქანო განყოფილებას უჭირავს. ბაქანიდან პირდაპირ პარკში გადიხართ, ხოლო სადარბაზო კიბიანი გვერდის ვესტიბიულიდან გასასვლელია კაფე-რესტორანში, საბავშვო ოთახებსა, სამკითხველო და საბილიარდო ოთახებში. შენობის საერთო მოცულობა დაყოფილია იარუსებად და ზედა ორი საფეხური ზევით აღნიშნულ ტერასებს უჭირავს. ტერასების დიდი ფართობი გამართლებულია, რადგანაც ეს გადმოსახედი ბაქნებია, რომლებიც თავს უყრის მრავალრიცხოვან მომსვლელთა ჯგუფებს — აქედან ქალაქის ულამაზესი პანორამა იშლება (ქვევით მწვანე ნარგავები ზღუდავენ ამის შესაძლებლობას). შენობის ჰაეროვანი, გამჭოლი მაღალი თაღედი ქმნის არქიტექტურულ გარემოს, რომელიც სრულიადაც არ უშლის ხელს პანორამის აღქმას: მას არავითარი საბურავი არა აქვს, ზედა გადახურვა — დიაგონალურად ურთიერთ გადამკვეთი რკინა-ბეტონის კოჭების ბადეა. იგი თავისი სიმსუბუქით შეფარდებულია თაღედთან და კარგად ეხამება შენობის პავილიონურ ხასიათს. მაყურებელი ორმაგ გრძნობას.

განიცდის: თან არქიტექტურული ნაგებობის გაელენის ქვეშ იმყოფება, თან გარემოს თავისუფალ სივრცეს „ერთვის“. შენობის საფეხუროვანი ტერასები კიდევ უფრო უსვამენ ხაზს ამ გარემოებას და აძლიერებენ შთაბეჭდილებას. (ტაბ. 42$_1$).

შენობის გეგმა ფუნქციურად კარგი მოფიქრებულია. ვესტიბიული, ყველა დარბაზი, კიბის უჯრედი, ოთახები ვრცელია და კარგად უკავშირდება ერთმანეთს. ინტერიერი სადადაა დამუშავებული (თუმცა ზოგიერთი დეტალი აძოვარდნილია საერთო ხასიათიდან. ასე, მაგალითად, კიბის „მძიმე“ პარაპეტი, საბანკეტო დარბაზის გვიანდელი მოხატულობა და სხვ.) სადგომთა ტერასებთან



თბილისი. პავილიონი ფუნიკულიორის პლატოზე. გეგმა.

დაკავშირება ისევ და ისევ ტერასების ზემოთაღნიშნულ ფუნქციას ავლენს.

თუ თვით შენობაში ყოფნისას ღია თაღედი თავისი სიმსუბუქით და მასშტაბით სასურველ შთაბეჭდილებას ტოვებს, შენობიდან დაშორების დროს იგი იცვლება. ფასადთა გადაწყვეტაში თავი იჩინა იმ სირთულემ, რომელზედაც თავში ვლაპარაკობდით — აღქმის მრავალი წერტილის არსებობამ, რაც მთის შენობით დაგვირგვინებასაც გულისხმობდა.

ჯერ ერთი შენობის ფასადები სხვადასხვა „ძალისაა“. აქ აშკარადაა გამოხატული მთავარი და მეორეხარისხოვანი ფასადები. თითქოს მთელი შესაძლებლობა ქალაქისაკენ მიმართულ ფასადს მოახმარესო, გვერდის და უკანა ფასადებს ნაკლები დამუშავება ეტყობათ. (რა თქმა უნდა „დამუშავებაში“ დეკორაციული მორთულობა არ იგულისხმება). მთავარი ფასადის თაღედის მეტრი, რომელიც ქვედა სართულის ღია გალერეის კოლონადას ეყრდნობა, გულის-

ხმობდა სვეტებისა და ინტერკოლუმნიუმის ისეთ შეფარდებას, რომ თაღედს მსუბუქი, ნატიფი სახე ჰქონოდა. სივრცეში შენობა ყოველთვის რაკურსში აღიქმება (ფასადსა და საყრდენი კედლის მოაჯირს შორის მანძილი არ არის, საკმარისი მისი სრული „წაკითხვისათვის“), ამიტომ ქვედა სართული ფაქტიურად არ ჩანს და შენობის საფუძველს წარმოადგენს საყრდენი კედელი სამანქანო სადგურის გვირაბით, რომელიც შენობისათვის თავისებური პოდიუმია (ტაბ. 42)$_3$). აქ თაღედის დეკორაციულობა ხაზგასმულია როგორც გადახურვით (გამჭოლი დიაგონალები კოჭებისა), ისე, თვით სვეტის ოთხლილვა კვეთითა და კაპიტელის ორნამენტული ნახატით. მაგრამ ამ თაღედის მალი გვერდის ფასადებზე არ აღმოჩნდა საკმარისი მთელი სიგრძის შესავსებად და არქიტექტორებმა დაურიდებლად შეისრული სამკბილა თაღით შეაწყვილეს შუა მალი, რაც ამახინჯებს და გაუგებარს ხდის თაღედის რიტმს (ტაბ. 43$_2$) აქ საგრძნობია კონტრასტი ქვედა სართულის სარკმლების დაყოფილ „საქმიან“ სახესთან, ისევე, როგორც უკანა ფასადზე გვერდის კედლების პორტიკთან. ამ ფასადზე შენობამ თითქოს დაკარგა ის სიმსუბუქე, რაც საფუძველია მისი არქიტექტურული სახისა. იგი ქუჩაში მდგომ შენობას ჰგავს და არა საპარკო ნაგებობას, მიუხედავად იმისა, რომ აქაც იგივე ელემენტებია გამოყენებული, რაც მთავარ ფასადზე. ამ ფასადს კი მეტი ყურადღება ესაჭიროებოდა, რადგან იგი პარკის ცენტრალური ხედვის პერსპექტიულ ხედს ამთავრებს, აქ მარტო ცენტრალური პორტიკის გამოყოფა საკმარისი არ არის.

შენობაში დეკორაციული საწყისი თვით მის კომპოზიციაშია, რაც მოცულობათა ურთიერთშეფარდებასა და მთავარი არქიტექტურული თემის გადაწყვეტაში მოჩანს. მორთულობა გამოყენებულია ძალზე ძუნწად, მას მხოლოდ ცალკეულ ფორმათა ხაზგასასმელად მიმართავენ. კაპიტელები, თაღედის მოაჯირი, დამაგვირგვინებელი კარნიზი თავისთავად არ იქცევენ ყურადღებას, თითქოს შეუმჩნევლად აძლიერებენ მახვილებს ცალკეულ დეტალზე. მორთულობა ყოველთვის ქართული დეკორის ხასიათს ემორჩილება, მაგრამ ეს ნაძალადევი არ არის, რადგან შენობისათვის ორგანულია. ეს ნაგებობის არქიტექტურის ერთ-ერთი საინტერესო მხარეა. (ამ საერთო შთაბეჭდილებიდან ამოვარდნილია შიდა კიბეების „S“—სებრი ორნამენტი, რომელიც, უადგილოდ გამოყენების გამო, უმასშტაბოა, თანაც, პირდაპირ გადმოღებულია ძველი ნიმუშებიდან ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი „ქართულია“ მთელი თავისი ბუნებით, ვერავითარ ეფექტს ვერ აღწევს).

შენობის მთელი მოცულობა ახლოდან მთისგან დამოუკიდებლად აღიქმება, როგორც განცალკევებული ნაგებობა და მისი ტერასებით სივრცობლივი დანაწევრება, ჰაეროვანი თაღედი და გადახურვა კარგად ეხამება გარემომცველ

ბუნებას. შორი წერტილებიდან ცალკეულ მოცულობებად დაყოფა ქრება და შენობა წარმოგვიდგება, როგორც პარალელეპიპედი, რომლის ფარგლებს თაღედი განსაზღვრავს. ამრიგად, შორიდან მზერისას მასშტაბისათვის მოცულობათა ხელსაყრელი საფეხუროვნება იკარგება და მთას მთელი შენობის „სიმძიმე“ აწვება. ამან ერთგვარი დისონანსი გამოიწვია მთისა და შენობის შეფარდებაში. ეს კი, შენობის არქიტექტურის განსაზღვრაში, როგორც უკვე ითქვა, ერთ-ერთი უმთავრესი იყო: შენობა ორგანულად უნდა ჩართულიყო მთის მოხაზულობაში, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ასეთი გადაწყვეტის მაგალითები ქართულ არქიტექტურაში მეტად შთამბეჭდავია, ფუნიკულორის ზედა სადგურის პავილიონი ვერ მიუახლოვდა ქართული ხუროთმოძღვრების ამ მწვერვალებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ სატელევიზიო კოშკის აშენების შემდეგ (1956), შენობის არქიტექტურამ სხვა გამომეტყველება მიიღო. კოშკი საკმარისი მნიშვნელობის გამაწონასწორებელი მომენტია ამ საერთო ასიმეტრიულ კომპლექსში და შესაძლოა, სწორედ ასეთი ერთი მოცულობის მქონე ჰორიზონტალი უფრო მეტყველი იყოს, ვიდრე საფეხუროვანი ან სხვაგვარი კომპოზიცია, რაც საერთო ანსამბლში დამატებით მოცულობას მოითხოვდა.

იმ შენობათაგან, რომლებიც თავისი სპეციფიკით თბილისური იყო, აღსანიშნავია ბალნეოლოგიური კურორტის შენობა (არქ. ბ. კარბინი, ი. ჟიტკოვსკი, მ. კალაშნიკოვი ;1937 ტაბ. 44₁), რომელიც ქალაქის ძველი რაიონის ცენტრალურ ნაწილში აშენდა, იქ, სადაც გოგირდოვანი წყლებია, ფუნიკულორის ზედა სადგურისაგან განსხვავებით, ამ შენობის სპეციფიკურობა ძველი ქალაქის განაშენიანებაში ჩადგმით იყო გამოწვეული, მის გარშემო ძველი პატარა მოცულობის სახლებია, პირდაპირ — მტკვრის პირას კლდეზე გადმომდგარი აივნიანი სახლები და, იქვე, მეტეხის დიდებული ტაძარი. შენობის მთავარი ფასადი გამოდის მტკვრის მარჯვენა ფართო სანაპიროზე, რომელმაც დამთავრებული სახე მოგვიანებით მიიღო, ხოლო მის უკან მთაზე შეფენილია თბილისური აივნიანი სახლები, ვიწრო შუკებში რომ გამოდიან თავისი ფასადებით. იქვე, სულ ახლო, მთაზე აღმართულია ნარიყალას ნანგრევები.

ძველი ქალაქის ეს მკვეთრად ჩამოყალიბებული სახე არქიტექტორებს შენობის მასშტაბსა და ხასიათს უკარნახებდა. შენობა, სიმაღლეში რომ არ წასულიყო და ამით განაშენიანების სახე არ დარღვეულიყო, ავტორებმა იგი გრძივი მიმართულებით განავითარეს. გრძელი, მოსაწყენი ფრონტის თავიდან ასაცილებლად, გამოყოფილია ცენტრალური და განაპირა ნაწილები, მაგრამ უმთავრესი აქცენტი პირველზეა დასმული.

შენობის გეგმის საფუძველია სადგომთა განლაგება ორ სართულად ვესტიბიულის გარშემო. ვესტიბიული მთელი ნაგებობის კომპოზიციურ ბირთვს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო ხაზგასმულია მის ორივე გრძივ მხარეს კურდონერების მოთავსებით. ფასადისაკენ გამოსული ცენტრალური კურდონერი წინ ორ რიგად შეწყვილებული სვეტებიანი პორტიკით ღია ეზო-ვესტიბიულს ქმნის, საიდანაც სადარბაზო შესასვლელია. უკანა კურდონერი ზედა ბუნებრივ ტერასაზე გამოდის, ორსინათლიანი ვესტიბიულის ორივე მხარეს შექმნილია შიდა ეზოები, რომელთა პერიმეტრზე განლაგებულია სააბაზანო და სამკურნალო სადგომები. ამგვარად, შენობის გეგმა სივრცობლივი შიდა თუ გარე ეზოების დაკავშირებას და მათ გარშემო სადგომთა განლაგებას ემყარება. იგი მკაფიოა და ექსპლოატაციისათვის მოხერხებული. ვრცელი ვესტიბიული და შიდა გამწვანებული ეზოები შიდა და გარე სივრცეს, შენობას ბუნებრივ გარემოსთან აკავშირებენ. სხვადასხვა ოთახისა და სააბაზანოს განლაგება, სამკურნალო პროცედურისათვის გამიზნულ სადგომთა ურთიერთკავშირი ერთიან ორგანიზმში აერთიანებს გეგმაში დიფერენცირებულ მონაკვეთებს. ინტერიერთა დამუშავება სადაა და სამკურნალო დაწესებულების მოთხოვნილებებს ექვემდებარება. ვესტიბიულის მაღალი სივრცე ზედა სინათლით ნათდება და თანაბარი, გაფანტული შუქი აქვს. ბუნებრივი თუ ხელოვნური განათების დროს. ანტრესოლის ყრუ პარაპეტი საერთო სისადავეს ეფარდება. მხოლოდ ფოთლოვანი ნახატით შედგენილი კაპიტელები გამოყოფენ დარბაზის ორდერს, სხვა შემთხვევაში არქიტექტორები ერიდებიან სამკაულს — იქაც კი, სადაც თითქოს თვით არქიტექტურული ფორმა თხოულობდა დეკორაციულ დამუშავებას (მაგალითად, პლაფონი, პარაპეტი და სხვ.).

შენობის მთავარი ფასადი გადაჭიმულია ქუჩის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე, მაგრამ იმის გამო, რომ იგი დაყოფილია ცალკეულ ნაწილებად, მოსაწყენი არ არის, თანაც კარგადაა ქუჩის დინებაში ჩართული. აქ მთავარი ყურადღება ექცევა შესასვლელს, რომელიც გამოყოფილია, როგორც მოცულობით, ისე არქიტექტურული დამუშავებით. ცენტრალური პორტიკი, რომელიც ეზო-ვესტიბიულის კურდონერს ქუჩის მხრიდან კეტავს, ყრუ კედლის სიბრტყეთა შორის მოქცეულ ღია, სივრცით გასასვლელს წარმოადგენს. იგი მაღალი და განიერია. რიზალიტებზე შედგმული ცენტრალური, აგრეთვე ყრუ ანტაბლემენტი, რომელიც ამაღლებულია გვერდის ფრთებთან შედარებით, შეწყვილებული სვეტების ორ რიგს ეყრდნობა. შესასვლელი გამოყოფილია იმით, რომ ცენტრალური სვეტებსშორისი მალი გაცილებით ფართოა, ვიდრე სხვა მალები. თანაც, განაპირა მალებში ბალუსტრადაა ჩადგმული, ცენტრალური კი ღიადაა დატოვებული — განიერი კიბის მარში მხოლოდ მის წინ არის. ცენტრალური შესასვლე-

ლის სივრცობრივი გამოყოფა კიდევ უფრო ხაზგასმულია მთელი პორტიკის სადა გადაწყვეტით. კედლის მთელი სიბრტყე სადაა, მხოლოდ დიდი ორდერის კაპიტელის თემა მეორდება რიზალიტთა კუთხეებში და შეტეხილი კარნიზია პროფილირებული. დამახასიათებელია, რომ კაპიტელის დონეზე, რიზალიტთა კუთხეებში არქიტექტორები არ იმეორებენ კაპიტელის ნახატს, მხოლოდ მასებში გამოხატავენ მის ძირითად გაბარიტებს. ეს თითქოს ამზადებს გვერდის ფრთების ფასადების სრულიად სადა დამუშავებაზე გადასვლას.

ცენტრალური შესასვლელის „საზეიმო“ ხასიათი ღია ეზო-ვესტიბიულში შესვლისთანავე მთავრდება.

გვერდის ფრთები დაბალია, ორი სართულის სიმაღლისაა. ზევით, სარკმლების ჰორიზონტული რიგია მთელ სიგანეზე, ხოლო პირველ სართულზე ხვრელობებია თითო სარკმელის გამოშვებით. ზედა სართულს გარკვეული „საფუძველი“ ექმნება, რაც უფრო მეტად ავლენს კედლის სიბრტყეს, — ამით იგი უკავშირდება ცენტრალური პორტიკის ყრუ კედლის გადაწყვეტას. გვერდის ფრთები ფლანკირებულია კუთხის ტოსკანური ორდერიანი პორტიკებით, რომლებზედაც მეორე სართულის ღია ტერასები გამოდის. ეს პორტიკები ამთავრებენ შენობის ფასადთა კომპოზიციას.

შენობის არქიტექტურა, მისი გეგმისა და ფასადების საერთო კომპოზიცია დამყარებულია კლასიციზმის საფუძვლებზე (შიდა ეზო, კურდონერები პორტიკით და ორმაგი კოლონადით, გვერდის ფრთები და სხვა). ცალკეული დეტალიც ამ ხასიათისაა, თუმცა გადამუშავებულია თავისუფალი ნახატით. ასეთია თითქმის ერთადერთი სამკაული შენობის არქიტექტურაში — კაპიტელები, რომლებიც კომპოზიტის თავისუფალ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. არქიტექტურული სახის ეს სიმკაცრე ზოგჯერ სქემატიზმამდე მიდის: ცენტრალური პორტიკი, სქემატურია რიზალიტების გვერდის ფასადთა კბილანებიანი ფრიზი, გვერდის ფრთების ზედა სარკმელთა ზოლის დამუშავება, ვესტიბიულის ინტერიერის დეტალები და სხვა. შელესილ ფასადთა ფერი (ნაცრისფერი) უღიმღამოა და საერთო შთაბეჭდილებას აფუჭებს.

არქიტექტორთა წინაშე წამოჭრილი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა — შენობის „ჩაწერა“ ძველი ქალაქის ანსამბლში — ძირითადად გადაწყდა. თუმცა შენობას საკმაოდ დიდი მოცულობა აქვს, იგი თავისი მასშტაბით მოერგო ძველი უბნების განაშენიანებას. ამ მხრივ მთავარ როლს ასრულებენ გვერდის პორტიკები და ფრთები, რომელთა ორსართულიანი სიმაღლე შეეფერება საერთო ანტურაჟს. ამაღლებული ცენტრალური ნაწილი (პორტიკი), გვერდის ფრთების საკმაოდ გრძელი ფრონტის გამო თითქოს მოწყვეტილია გარემოს და მხოლოდ შენობას განეკუთვნება. ის რომ ცალკე მდგარიყო, ამოვარდნილი იქ-

ნებოდა საერთო ფონიდან, ახლა კი, შეუმჩნეველია და ამ მხრივ აქცენტები გვერდის ფრთებზეა გადატანილი. შენობის პერსპექტივში აღქმისას პორტიკი არ ფარავს ქალაქის პეიზაჟს და ნარიყალასა და მეტეხის ტაძრის ფონზე ქუჩის ახალ განაშენიანებას ქმნის. უნდა გავიხსენოთ, რომ კლასიცისტური ფორმები უკვე „ნაცნობია“ ძველი თბილისის არქიტექტურისათვის (XIX საუკუნემ ამ მხრივ საკმაო კვალი დატოვა) და შენობაც ალბათ ამიტომაც მოერგო მის გარშემო მიმოფანტულ თბილისური საცხოვრებელი სახლების საერთო იერს. ეს ძველი ქალაქის ისტორიული უბნების რეკონსტრუქციაში ერთერთი პირველი სერიოზული ნაბიჯი იყო.


კლასიკურ ხუროთმოძღვრულ საფუძვლებზეა აგებული კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაც, რომელიც 1939 წელს აშენდა (არქ. ნ. სეველოვი)[106]. შენობა დედაქალაქის ცენტრალური მაგისტრალის, რუსთაველის პროსპექტის ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე დგას. მის პირდაპირ მთავრობის სახლია, მარცხნივ მუზეუმის შენობა, ხოლო მარჯვნივ — სასტუმრო „ინტურისტი“.

განაშენიანებაში ჩაჯედილი შენობა, თავისუფალი ფასადებით ორ მხრივ გამოდის: რუსთაველის პროსპექტზე და ფურცელაძის ქუჩაზე. ამ მონაკვეთში ჩაწერილი სწორკუთხედი მაქსიმალურადაა გამოყენებული კომპაქტური გეგმის შესადგენად. პროსპექტიდან მოწყობილია შესასვლელი ჯერ სალაროების ვესტიბიულში, ხოლო შემდეგ თეატრის ფოიეში. ორივე დარბაზი ვრცელია, კინოთეატრი 1200 მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული და ყველა სათავსი იცავს ამ რიცხვთან შეფარდებულ ნორმებს. ფოიე ორივე მხარეს ფართო კიბეებით უკავშირდება ზედა სამ სართულს, სადაც მაყურებელთა დარბაზს აგრეთვე ფოიეები ებჯინება. ამრიგად, გეგმის სწორკუთხედის წინა ნახევარი ვესტიბულს, კიბის უჯრედებსა და სართულებზე განლაგებულ ფოიეებს უჭირავს, ხოლო სიღრმეში მაყურებელთა დარბაზის მაღალი სივრცეა პარტერითა და ორი იარუსით დარბაზი სამი სართულის სიმაღლისაა. დარბაზს იქით. ყველა იარუსის გამოსასვლელთან დაკავშირებული კიბეთა ბლოკებია. ქვედა ფოიეს განცალკევებული მონაკვეთი აერთიანებს დარბაზის სხვადასხვა სართულიდან გამოსულ მაყურებელთა ნაკადებს, რომლებიც შენობიდან ერთი განიერი გამოსასვლელით გამოდიან. გეგმის ასეთი გადაწყვეტით აცილებულია სეანსზე შემსვლელ და სეანსიდან გამოსულ მაყურებელთა შეხვედრა. შენობაში მოძრაო-

---

[106] ახალი კინოთეატრი თბილისში, „კომუნისტი“, 1936, 24. 12, № 296. В. Коркашвили, Кинотеатр «Руставели» в Тбилиси, «Арх. СССР», 1939, № 10, გვ. 29.

ბის გრაფიკი, დარბაზის დატვირთვა-ევაკუაციის საკითხები მეტად მოხერხებულად არის გადაწყვეტილი — ეს არის შენობის უმთავრესი ღირსება.



თბილისი. რკინთაველის სახელობის კინოთეატრი. პირველი და მეორე სართულის გეგმები.

ვესტიბიულები, ფოიეები და ყველა დამხმარე ოთახი ვრცელი და ნათელია. მაყურებელთა დარბაზის მაღალი სივრცე თავისუფლად იტევს იარუსებს.

ინტერიერთა დამუშავება კლასიკური ორდერული სისტემის თავისებურ ინტერპრეტაციას ემყარება. კიბის უჯრედიდან ფოიე გამოყოფილია მრგვალი სვეტებით, რომლებიც სივრცეს „ღობავენ“, კონსტრუქციული დანიშნულება კი არ გააჩნიათ, რადგან კედლებთან არიან მიდგმული. კიბის უჯრედის სივრცეს ოპტიკურად კიდევ უფრო აფართოებს სქელი მინებითა და ლითონის გამპოლი ელემენტებით შედგენილი მოაჯირი. დარბაზთა კოლორიტი ნათელია, ღია ტონის ფერებში გამოიყოფა თეთრი სვეტები და ჭერი.

მაყურებელთა დარბაზი მაღალ, ერთიან სივრცეს წარმოადგენს. მის სიღრმეში იარუსებია. მაგრამ სივრცე აქაც თავისუფალია. გვერდის კედლები ორ ჰორიზონტულ რეგისტრადაა გაყოფილი: ქვედა დაბალი ნაწილი დამუშავებულია რუსტიკით, ხოლო ზედა პროფილირებული მოჩარჩოებით შემოფარგლული ვერტიკალური სწორკუთხედებით. მარტივი პლაფონი და კედლების სადა დამუშავება მთელს ყურადღებას ეკრანისაკენ მიმართავს მაგრამ თავის-

თავად მოსაწყენია. ამას ემატება უბრალო საკარძელთა რიგები, რაც აგრეთვე აკლებს ინტერიერს მომხიბვლელობას. დარბაზის ზედმეტი სიმაღლე მასშტაბს უკარგავს მას, ადამიანი თითქოს იკარგება მის სივრცეში.

არქიტექტორმა შენობის ფასადები გადაწყვიტა ისე, რომ პირველი პროექტისაგან (ტაბ. 44₂) განსხვავებით რომელშიაც მთავარი იყო ფასადის საერთო დეკორაციული ხასიათი, ახლა ფორმათა აბსოლუტური ზომები გახდა გადამწყვეტი. მთავარი ფასადი მკვეთრად იყოფა ცენტრალურ და გვერდის არებად — მათ მხოლოდ დიდი ორდერი (ცენტრში ნახევარცილინდრული კვეთის, ხოლო გვერდებზე ბრტყელი პილიასტრის სახით) და ანტაბლემენტი აერთიანებთ. ქვედა სართული გამოყოფილია რუსტირებული კედლით, შუაში სივრცობლივი შესასვლელით და მძლავრი კარნიზით. მის ზემოთ სამი სართულის სიმაღლის დიდი ორდერია. მაგრამ, თუ ცენტრალური არე შეესაბამება სინამდვილეში არსებულ სართულიანობას, გვერდის არეები ორ რეგისტრად იყოფა. ცენტრალური ნაწილის ხვრელობებით დაფარული არე კონტრასტს ქმნის გვერდის სიბრტყეებთან, რომელთა ქვედა ნაწილი ყრუა და ბრტყელ ნიშში მდგომ ქანდაკებებითაა წარმოდგენილი[107]. ზევით —ორდერით დაყოფილ ყოველ მონაკვეთში ვიწრო მაღალი სარკმელებია (დიდი ორდერი ცენტრს სამ, ხოლო გვერდის ნაწილებს ორ-ორ ვერტიკალურ მონაკვეთად ჰყოფს). გვერდის ფასადზე ზოგი ცვლილებით იგივე სქემა მეორდება. აქ ცენტრის ორდერი აღარ არის, მხოლოდ გვერდის კედლის სვეტებია გამოყენებულ, თან ქანდაკებაც მხოლოდ ერთ — პროსპექტიდან პირველ მონაკვეთშია. ამით ავტორმა, შენობის პერსპექტივში აღქმისას, ფასადები მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს და უფრო დაშორებული მხარე გვერდის ფასადისა, რომელიც პროსპექტიდან მხოლოდ ძლიერ რაკურსში ჩანს, აღარ გადატვირთა.

შენობის არქიტექტურა პროფესიული ოსტატობის თვალსაზრისით მაღალ დონეზეა. პროპორციები, ცალკეული დეტალები, ქანდაკებები და მათი ადგილი, კლასიკური ნიმუშის ორდერი (კაპიტელის, კარნიზის ნახატები), რკინის ვიტრაჟი და სხვ. დახვეწილი გემოვნებითაა აღბეჭდილი. შენობა ქვედა სარტყელით ქუჩის საერთო განაშენიანებას ეფარდება. მაგრამ ყველაფერი ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ იგი ორგანულად ჩართულიყო პროსპექტის არქიტექტურაში. მთავარი ის არის, რომ იგი უარყოფს თვით ნ. სეევეროვის მიერ ათი წლით ადრე შემუშავებულ მასშტაბს და არქიტექტურის ხა-

107 რუსთაველის პროსპექტზე გამოდის ვ. თოფურიძის ქანდაკებები: კოლმეურნე, მუშა, სპორტსმენი ვაჟი და ქალი; ფურცელაძის ქუჩაზე — მოქ. შ. მიქატაძისა — ალპინისტი.

სიათს, რომელიც მის მეზობლად მუზეუმის ფასადზე იყო მიღწეული[108]. შენობა ამოვარდნილია პროსპექტიდან და ზედმეტ ყურადღებას იპყრობს. დიდი ორდერის აბსოლუტური ზომები არღვევს მუზეუმის შენობით ნაკარნახევ მასშტაბურობას. ხოლო ფასადის მძლავრი არქიტექტურული ფორმებით დამუშავება და მათი ხასიათი არც „ინტურისტის“ შენობასთანაა შეხამებული (რომლის დატოვება პროსპექტზე, ყოველ შემთხვევაში არსებული სახით, ეჭვს იწვევს) და მუზეუმთან ხომ სრულიად განსხვავებულია[109].

თბილისში აგებულ სანახაობრივ ნაგებობათაგან აღსანიშნავია ცირკის შენობა, რომლის მშენებლობის საკითხი ჯერ კიდევ 1932 წელს დაისვა.

ადგილი გამოიყო პლეხანოვის პროსპექტზე ობსერვატორიის გვერდით. მშენებლობას საფუძვლად უნდა დასდებოდა ივანოვო-ვოზნესენსკის ცირკის პროექტი 3.000 მაყურებლისთვის[110]. ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია და 1935 წელს გამოცხადდა კონკურსი, რომელიც სამ ტურად ჩატარდა. ახლა ტერიტორია ცირკის ასაშენებლად გამოიყო ყოფ. მადათოვის კუნძულზე, მტკვრის ნაპირას, ხოლო შემდეგ უკვე გამარჯვებული პროექტის ავტორებს ს. სატუნცსა და ნ. ნეპრინცევს, ვ. ურუშაძესთან ერთად, დაევალათ პროექტის შედგენა იმ შენობისათვის, რომელიც დაიდგა გმირთა მოედანთან მდებარე ბორცვზე. ტერიტორიის გარდა განსხვავება იყო ცირკის მოცულობაშიც: თუ პირველად იგი გათვალისწინებული იყო 3.000 მაყურებლისთვის, საბოლოო პროექტში მაყურებელთა რიცხვი 2.000-მდე შემცირდა.

ცირკის შენობის დაპროექტებამ დიდი ინტერესი გამოიწვია[111], ვინაიდან ქალაქს საცირკო შენობა არ გააჩნდა და წარმოდგენებისათვის დროებითი ნაგებობანი ქალაქის სხვადასხვა ადგილას (ახლანდელი მთავრობის სახლის და „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის ადგილზე, პლეხანოვის პროსპექტზე, ელბაქიძის დაღმართის ბოლოს), მოუხერხებელი და შეუფერებელი იყო[112].

---

108 წინა თავში აღინიშნა, რომ მუზეუმის ფასადის რეკონსტრუქცია ეროვნული არქიტექტურის ტრადიციების გამოყენებას ემყარება. ავტორის განცხადება, რომ კინო „რუსთაველის“ შენობას „თავის არქიტექტურაში ეროვნული მემკვიდრეობის გაელენას ასახავს Н. Северов, Архитектура Тбилиси, «Арх. СССР,» 1941, № 1, გვ. 9. როგორც ზემოთ ვნახეთ, საფუძველს მოკლებულია.

109 ეს კიდევ უფრო საგრძნობი გახდა მთავრობის სახლის წინა კორპუსის აშენების შემდეგ.

110 თბილისის საქალაქო არქივი. ფონდი № 5. საქმე 2699.

111 „კომუნისტი“ 1935, 22.9, № 222; 1937; 14.10, 1940, 14.2. № 36; „საბჭოთა ხელოვნება“, 1939, № 9.

112 Г. Бежанишвили. Дворец ловких, сильных веселых. «Заря Востока», 1965, 3. 3., № 51.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები (ტაბ. 46—47) არქიტექტურული გადაწყვეტის მრავალფეროვანებით არ გამოირჩეოდა, ავტორთა მიდგომაში ჩანდა, ერთი მხრივ, თეატრალურ-მონუმენტური შენობის შექმნის სურვილი (ს. სატუნცი და დ. ფომინი, გ. ხიმშიაშვილი), მეორე მხრივ, ადგილთან შეფარდებული მასშტაბის გამოვლენა და დაცვა) გ. ტერ-მიქელოვი, მ. ჩხიკვაძის მონაწილეობით, ა. კალგინი, ნ. მადათოვი და ვ. ურუშაძე, ვოლკოვიჩი. (ტაბ. 46). ამ ამოცანასთან იყო დაკავშირებული შენობის არქიტექტურის საერთო იერიც, თუმცა მიღებული შედეგები მიზანს ვერ აღწევდა, იმპოზანტური „კლასიცისტური" პორტიკები (ს. სატუნცი, დ. ფომინი), სხვადასხვა ფორმების ეკლექტიკური დახვავება (გ. ხიმშიაშვილი. ტაბ. 47₁) თუ ქართული არქიტექტურისათვის შესაფერი თაღოვანი გალერეა (ა. კალგინი, ნ. მადათოვი, ვ. ურუშაძე — პირველი პროექტი, გ. ტერ-მიქელოვი, მ. ჩხიკვაძის მონაწილეობით ტაბ. 46) განასხვავებდა პროექტებს მხატვრული ხარისხის მიხედვითაც.

ცირკის დაგეგმარების თვალსაზრისით განსხვავებულ გადაწყვეტას ემყარებოდა ს. სატუნცის და დ. ფომინის, გ. ტერ-მიქელოვის (მ. ჩხიკვაძის მონაწილეობით) და გუსმანისა და ვართანესოვის პროექტები. პირველ პროექტში ძირითადი მოცულობა ხუთკუთხა კონფიგურაციას ქმნის. საწარმოო დაწესებულებათა კორპუსი მთავარ მოცულობას უკანა მხრიდან აქვს მიდგმული, მაგრამ სხვადასხვაგვარადაა გადაწყვეტილი (გუსმანის და ვართანესოვის პროექტში მისი ცენტრალური ნაწილი ნალისებრ ერტყმის შიდა ეზოს). ხუთკუთხა წახნაგებით შეპირობებული კომპოზიცია თავისთავად ქმნიდა რიგ უარყოფით მხარეებს: გვერდითი შესასვლელები, ბუნებრივ სინათლეს მოკლებული მსახიობთა საპირფარეშოები და სხვ). მოცულობის გადამეტება აშკარად იგრძნობოდა შენობის გეგმაში თუ ფასადთა გადაწყვეტაში, რომელშიაც არ იყო გამოყოფილი მთავარი და მეორადი მნიშვნელობის კომპონენტები.

გ. ტერ-მიქელოვის (მ. ჩხიკვაძის მონაწილეობით) პროექტის საინტერესო მხარეს შეადგენდა ძირითადი მოცულობის სივრცობლივი დიფერენციაცია რგოლური ვესტიბიულების, ფოიეთა, გარდერობთა და სხვა სადგომთა განლაგებისას. მაგრამ აქ კიბის უჯრედთა მოწყობა შიდა კედლის დიამეტრზე განათებისა და ექსპლოატაციის მხრივ მოუხერხებელი იყო.

გუსმანისა და ვართანესოვის პროექტი სხვებისგან ასიმეტრიულად განლაგებული მანეჟით გამოირჩეოდა. მანეჟის გარშემო მაყურებლები თეატრალური დარბაზის ყაიდაზე, სამ მხრივ იყვნენ მოთავსებული. ოვოიდური ფორმის გუმბათი ამაღლებული იყო დარბაზის თავზე და არა მანეჟზე. ნახევარ-

წრისებრ შემორტყმული ვესტიბიულები, ფოიე და სხვა სადგომები ზედმეტად თავისუფალ ფართობს ქმნიდნენ, რაც გამოწვეული იყო კომპოზიციის წინასწარაღებული სქემით.

საბოლოო პროექტი შედგა ს. სატუნცისა და ნ. ნეპრინცევის და ვ. ურუშაძის პროექტთა საფუძველზე — მათი დახვეწა უკვე ავტორთა სამეულს დაეკისრა (ტაბ. 47_3).


თავისი განსაკუთრებული მდებარეობის გამო ცირკის შენობამ თბილისის ცენტრალური ნაწილის ანსამბლურ განაშენიანებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა (ტაბ. 24_1). ბორცვზე მდებარე და აღქმისათვის ყოველმხრივ გახსნილი როტონდა შორი წერტილებიდან იპყრობს ყურადღებას. გმირთა მოედნის ანსამბლში იგი ჩართულია მოედნიდან მისკენ მიმართული დიდი კუთხეებით. იგი ამთავრებს სანაპირო ქუჩის პანორამას, რომელიც ელბაქიძის ხიდიდან იწყება. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტთაგანია, როცა ლენინის ქუჩიდან თუ ვარაზისხევიდან გმირთა მოედნისაკენ ეშვებით. მისი მკაფიო მოცულობა კარგად გამოიხატება ქალაქის განაშენიანების (შორი წერტილებიდან), თუ ცის (ახლო წერტილებიდან) ფონზე.

ცირკის გეგმა კარგად ესიტყვება მის ფუნქციურ დანიშნულებას და ითვალისწინებს ტექნოლოგიური სპეციფიკის ყველა მხარეს. საზეიმო პორტიკით მაყურებელი შედის სალაროთა ვესტიბიულში, ხოლო შემდეგ ვრცელ ფოიეში, რომელიც გარს ერტყმის არენის ირგვლივ განლაგებულ ამფითეატრს. გასასვლელი თითქმის მთელ სიგრძეზე მიჰყვება ფოიეს და ამ მხრივ მოხერხებულია მომსვლელთა მომსახურებისათვის, ევაკუაციის დროისა და ადგილის დაკავების თვალსაზრისით. ოთხი ფართო კიბის უჯრედი ორგანულადა ჩართული როტონდის მოხაზულობაში და არავითარ ზედმეტ გამონაშვერს არ ქმნის კედლის სიბრტყეში. ეს კიბეები მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ამფითეატრის სექციათა და ორ სართულზე მოწყობილი ფოიეების შევსება-ევაკუაციას.

მაყურებელთა დარბაზი ამფითეატრად ერტყმის გარს მანეჟის წრეს. ყველა ადგილი საყურებლად მოხერხებულია. დარბაზი კარგად უკავშირდება ორივე სართულზე მდებარე ფოიეს. გრძივი ღერძის გასწვრივ ერთ მხარეს ლოჟაა, მხოლო მსახიობთა შემოსასვლელის თავზე — ესტრადა ორკესტრისათვის (ალბათ, უფრო მოხერხებული იქნებოდა ესტრადის საწინააღმდეგო მხარეს მოწყობა იქ, სადაც ლოჟაა). გრძივი ღერძის მიმართულებით წრის უკანა სეგმენტი დაკავებულია მსახიობთა საპირფარეშოებითა და სხვ. სადგომებით. აქედან ცირკის ძირითადი მოცულობა უერთდება ერთსართულიან საწარმოო კორპუსს, რომელიც საცირკო წარმოდგენებისათვის საჭირო ყველა დამხმარე

სადგომს შეიცავს. აქ არის მსახიობთა საცხოვრებელი ოთახები, სამედიცინო პერსონალის ოთახები, ცხოველთათვის განკუთვნილი სადგომები და სხვ.

ტექნოლოგიის მხრივ, გეგმაში ასეთი კონფიგურაციის (როცა საწარმოო კორპუსი მიდგმულია მთავარ მოცულობასთან) მქონე საცირკო ნაგებობანი მეტად ხელსაყრელია, თუმცა ნაკლებ ეკონომიურია, ვიდრე ერთ მასივში გაერთიანებული დამხმარე და ძირითადი სადგომები (ქედლების პერიმეტრი, სა-



თბილისი. ცირკი. გეგმა.

ძირკვლების გადახურვის ფართობი და სხვა იზრდება), თან ფასადთა გადაბმაში ერთიანობის მიღწევა მხატვრული თვალსაზრისითაც უფრო ძნელია (სხვადასხვა მასშტაბი და ა. შ.). ეკონომიურობის თვალსაზრისით გეგმისათვის ზედმეტია იზოლირებული რგოლური გარშემოსავლელი მსახიობთა დაკავშირებისათვის მანეჟთან, რადგან, ფაქტიურად, გამოუყენებელ დიდ ფართობს იკავებს

მაშინ როცა მის ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ფოიეს სალტე, წარმოდგენის დროს ასევე თავისუფალი[113].

კომპოზიციის მთავარი ბირთვი მანეჟის და ამფითეატრის ერთიანი სივრცეა. დარბაზი საყრდენი სვეტების გარეშეა აგებული: 44 მეტრის დიამეტრისა და 23 მეტრის სიმაღლეზე ატყორცნილი გუმბათი გარე კედელს ეყრდნობა, ეს მაყურებელთათვის ხედვის შესანიშნავ პირობებს ქმნის და ხელს უწყობს დარბაზის სივრცის მთლიანობის გადმოცემას. ინტერიერი სადაა. ყველაფერი ემორჩილება 13-მეტრიანი დიამეტრის მქონე მანეჟის გარშემო შექმნილ ხაზთა კონცენტრულ დინებას. ამფითეატრის რიგები, ლოჟების ზოლი, დარბაზში დიდ და მცირე შემოსასვლელთა მასშტაბი შეფარდებულია საერთო არქიტექტურასთან. დარბაზის კედლებს თავისებური კარნიზივით ერტყმის გასანათებელი გალერიის უწყვეტი წრე, რომელიც გუმბათისაკენ გადასვლის საფეხურს ქმნის.

დარბაზის კედლები აგურით შევსებულ რკინა-ბეტონის ჩონჩხს წარმოადგენს, ხოლო მისი გადახურვა ლითონისაა: წაკვეთილი კონუსის ფორმის გუმბათი ზედა და ქვედა საყრდენ რგოლებში ჩასმულ რადიალურად განლაგებულ დახრილ ფერმებს ეყრდნობა. რგოლების მეტი მდგრადობისათვის გათვალისწინებულია წრიული ფერმები წრიული პლაფონის ფარგლებში საცირკო მოწყობილობის შეკიდვის წყვილ-წყვილად ერთმანეთის გადამკვეთი ოთხი ფერმაა[114]. ასეთმა კონსტრუქციამ გააუმჯობესა წარმოდგენისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობის შეკიდვა გუმბათზე, თუმცა ცენტრალური წერტილი ცარიელი აღმოჩნდა, რაც ტექნოლოგიურ შეცდომას წარმოადგენდა და შემდგომში დამატებითი კონსტრუქციული კოჭის დადგმა გამოიწვია[115].

შენობის გარეგანი სახე გეგმისა და შიდა სივრცის გადაწყვეტისაგან გამომდინარეობს. ორი ცილინდრული მოცულობა, რომელთაგან ქვედა უფრო მაღალი და ფართოა, ხელს უწყობს საცირკო შენობის სახის შექმნას (ტაბ. 48$_1$). დიდი ორდერით შედგენილი პორტიკი თავიდანვე ხაზს უსვამს შესასვლელს. კორინთული ორდერის თემა მეორდება ფასადის ცილინდრზე, რომელიც ორ სართულზე სხვადასხვა ზომის სარკმელთა რიტმს ქმნის. კლასიკური არქიტექტურული ფორმების პირდაპირ გადმოტანა, როცა დანაწევრების ელემენტად ორდერის თემაა გამოყენებული (გუმბათის ცილინდრულ ნაწილზეც

---

113 С. Сатунц, «Архитектура советского цирка», დისერტაცია. М., 1952 გვ. 149.

114 Ю. Яралов, Новый цирк в Тбилиси; «Архитектура СССР», 1940, № 10 გვ. 30.

115 იხ. ს. სატუნცის დასახ. ნაშრომი. გვ. 128.

პილასტრებით შექმნილი პრიმიტიული დანაწევრებაა) არაფერს ახალს არ მატებს ფასადთა არქიტექტურას, რიგითი შენობის სახეს უქმნის მას (ტაბ. 48ე). ბორცვზე აღმართული ნაგებობა, თუმცა მისი საერთო მასშტაბი კარგადაა მოძებნილი და კონფიგურაციაც შეეფერება ადგილს[116], თვით მასათა დაშუშავების, კედლის სიბრტყის, ერთიანი მოსაწყენი გაფორმების წყალობით, მომხიბვლელობას მოკლებულია. რაც შეეხება ბორცვიდან გმირთა მოედნისაკენ დაშვებული კიბეების გადაწყვეტას, იგი გაუგებრობას იწვევს, რადგან მათი ღერძი აცდენილია ცირკის შენობის ღერძს[117].

ამრიგად, მიუხედავად მთელი რიგი საინტერესო გეგმარებითი მომენტებისა, ქალაქთმშენებლობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი როლისა, ცირკის არქიტექტურა თავისთავად ვერ გასცდა ორდინარული ნაგებობების ფარგლებს, რადგან არ იქნა ბოლომდე გამოყენებული ის მდიდარი შესაძლებლობა, რომელთაც ბუნებრივი გარემოცვა იძლეოდა.

ოცდაათიან წლებში მიმდინარეობს თეატრების დაპროექტება რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისათვის. მათი მშენებლობა უმრავლეს შემთხვევაში, ძალზე დიდხანს გრძელდებოდა, რის გამო პროექტებიც თანდათანობით იცვლიდნენ სახეს. მიუხედავად სხვადასხვაობისა, თეატრალურ ნაგებობათა პროექტებს აერთიანებდა დეკორაციული მორ.ულობისაკენ განსაკუთრებული მისწრაფება და ამ მხრივ ბევრი რამ აქვთ საერთო.

1935 წელს დაიწყო გორის თეატრის შენობის მშენებლობა (დამთავრდა 1939 წ. არქ. შ. თავაძე, მ. ჩხიკვაძე, ტაბ. 49). თეატრის ადგილი ქალაქის ცენტრში გამოიყო[118]. მთავარი მოედნის ახლოს, სტალინის პროსპექტისადმი პერპენდიკულარულად მიმართულ ჰავჰავაძის ქუჩაზე, 40 მეტრით სიღრმეში დგას თეთრი ეკლარით მოპირკეთებული მოცულობა, რომელიც კარგადაა შეთანხმებული ქალაქის საერთო განაშენიანებასთან.

შენობის გეგმა, რომელიც თავისი უმთავრესი გაბარიტებით სცენისაკენ წაგრძელებულ სწორკუთხედშია მოქცეული, მარტივად წყდება. მაღალი პორტიკის გავლის შემდეგ მაყურებელი ხვდება მცირე სიღრმის სასალარო ვესტიბულში, რომლიდანაც მთავარ ვესტიბულში შედიხართ. აქ კედლის მთელ სიგანეზე გარდერობია, ხოლო განაპირა ორივე მხარეს გასასვლელი — გვერ-


---

116 ვერ დავეთანხმებით აზრს, თითქოს ამ ადგილზე შენობის კომპოზიციას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ვერტიკალი. იხ. Н. Северов, Архитектура Тбилиси; «Арх. СССР», 1941, № 1, გვ. 5.

117 ამის შესახებ იხ. ზევით.

118 გორის თეატრი, „საბჭოთა ხელოვნება", 1939, № 12, გვ. 48—49.

დის ფოიესა და კიბეებისაკენ. გვერდის ფოიედან, რომელიც მაყურებელთა დარბაზს ერტყმის ორივე მხრივ, გასასვლელია ტერასაზე. ფოიე უკავშირდება საკვანძებს, სცენისაკენ გასასვლელსა და ლოჟებს.



გორი. თეატრი. გეგმა.

მეორე სართულზე მთავარი ფასადის მხარეს ვრცელი ფოიეა, რომელიც ვიწრო მხარეებზე ანტრესოლით დამატებით სივრცეს ქმნის ბუფეტში და მოსაწევ ოთახებში გასასვლელად.

მაყურებელთა დარბაზის გეგმაში კვადრატს უახლოვდება და თვალში გეცემათ მისი დიდი სიმაღლე. მაყურებელთა ადგილები პარტერსა და მკვეთრად ამაღლებულ ამფითეატრზეა განაწილებული. გვერდის შესასვლელთა თავზე გადმოკიდებულია ლოჟის პარაპეტი.

ასევე მარტივადაა გადაწყვეტილი სასცენო ნაწილიც. სცენას ორივე მხარეს ჯიბეები ერთვის, რომელთაც სიღრმეში დამხმარე სადგომები აქვს. სცე-

ნის უკან დერეფანი აერთიანებს მსახიობთა ოთახებსა და ფოიეს. აქედანაა თანამშრომელთა შესასვლელიც. დერეფნის ორივე მხარეს კიბის უჯრედები სასცენო ნაწილის სამივე სართულს აკავშირებს.

არქიტექტორებმა შენობის გეგმა და მოცულობა მკაცრად დაუქვემდებარეს პატარა ქალაქის მასშტაბებსა და მაყურებელთა რიცხვს (500 კაცი). გეგმა მარტივ სქემას ემორჩილება, არავითარი ზედმეტი სათავსი არ არის. დატვირთვა და ევაკუაცია სამხრივია და დონეთა სხვაობა კარგად ანაწილებს მაყურებელთა ნაკადს. დარბაზის სწორკუთხა ფორმა მცირე თეატრისათვის სრულიად შესაფერია[119].

ინტერიერთა დამუშავება ემორჩილება შენობის საერთო არქიტექტურას, რომელიც ქართული არქიტექტურის ტრადიციული ფორმების გამოყენებას გულისხმობს. ინტერიერში ეს ყველაზე მეტად გამოჩნდა ფოიეს არქიტექტურაში სადაც პლაფონი დარბაზული „გვირგვინის“ მოტივებითაა დამუშავებული[120]. (ტაბ. 49[2]). სწორკუთხედიდან მზადდება „გვირგვინის“ წახნაგებზე გადასვლა, სოლო მის ცენტრში შეკიდულია ჭაღი. არქიტექტორებმა თითქმის არ დატოვეს თავისუფალი არე, რომელიც ორნამენტული ნახატით არ იყოს შემკული. წახნაგთა ოქროსფერი რელიეფური გრეხილები ისევე, როგორც ჭაღის თოკისებრი საფუძველი და დიდი ორდერის თეთრი კაპიტელების დეტალების ოქროთი დაფერვა, გამოყოფს მათ. ანტრესოლის პარაპეტი ყრუა და მასზე ორნამენტული გრეხილია მთელ სიბრტყეზე. ქართული ორნამენტითვე დამძიმებული თავისებური კაპიტელი არ გამოდის სვეტის ჭრილიდან, რომ არ შეამციროს სვეტებს შორის მანძილი. ფოიეს მხატვრული დამუშავება სხვა სადგომებისაგან სამკაულის ჭარბი ხმარებით გამოირჩევა.

დარბაზის ერთიან სივრცეში თვალში გხვდებათ ამფითეატრის მკვეთრი დაქანება და კედლის სიმაღლე. იმისათვის, რომ ამფითეატრის ზედა ხაზი ჩაიწეროს კედლის დამუშავებაში, დარბაზის კედლები ორ რეგისტრადაა წარმოდგენილი, რომელთა გამყოფი სარტყელი ამფითეატრის ზედა ხაზს უერთდება. კედლები სწორკუთხედებითა და ზედა პილასტრებით ვიწრო და მაღალ მონაკვეთებად ჰყოფს მთელ სიბრტყეს. ქვედა სადა დამუშავება პლაფონის ვიტრაჟით დაფარულ სავენტილაციო ხვრელზე გადადის. პლაფონის კუთხეებში წრეზე შეკიდული ნათურებიანი ჭაღები ეხმაურებიან სვეტებს შორის კედლის სიბრტყეში მოთავსებულ მრგვალ სარკმლებს. დარბაზის არქიტექტურა, განსაკუთრებით ფოიეს შემდეგ, სადად გამოიყურება. პორტალიც კი, რომე-

---

119 Г. Бархин Архитектура театра, М., 1947, გვ. 171.

120 შემდგომში ეს მოტივი ფართო გავრცელებას პოულობს ინტერიერთა დამუშავებაში.

ლიც თეატრალურ დარბაზებში თითქოს აუცილებელ ორნამენტულ მოჩარჩოებაშია ჩამჯდარი, აქ მხოლოდ სადა პროფილირებული საფეხუროვანი არშიებითაა დაკავშირებული კედლის სიბრტყესთან. მას დარბაზის დეკორთან მოოქროვილი ლილვი აკავშირებს. დარბაზის საერთო მოცისფრო-ნაცრისფერი კოლორიტი აქა-იქ ოქროთია გაცოცხლებული (კაპიტალები, სარტყლის არშია ჭერზე, პორტალის ლილვი და სხვ.).

როგორც აღინიშნა, სხვა სადგომებიდან დარბაზში შესვლისას საგრძნობია მკვეთრი კონტრასტი. დარბაზის სიმაღლის გამო, რომელიც პროპორციულად ვერ ეფარდება საერთო მოცულობას. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ძლიერ დაქანებული ამფითეატრი, რომელიც ხედვისათვის კარგ პირობებს ქმნის, მაგრამ დარბაზის ასეთი მოცულობა ვერ უზრუნველყოფს ნორმალურ აკუსტიკურ პირობებს: ამფითეატრისაგან განსხვავებით, პარტერში ცუდი სმენადობაა.

ფასადთა არქიტექტურაში ძირითადი მთავარ და გვერდის ფასადებზე სხვადასხვაგვარად წარმოდგენილი დიდი ორდერის თემაა. მთავარი ფასადის მაღალ სვეტებს ნახევარწრისებრი ჰორიზონტალური ნაკვეთებისაგან შედგენილი არქიტრავი ეყრდნობა. სვეტების გასწვრივ, ფასადის თავზე ოთხი ფიგურა დგას: ალპინისტის, კოლმეურნე ქალის, მუშისა და სპორტსმენი ქალისა. პორტიკი ორივე მხრიდან მოქცეულია ყრუ რიზალიტებში, რომელთა ზედა სიბრტყე გრეხილი თოკის მოტივითაა ორნამენტირებული კაპიტელის ზოლიდან ზევით, მთელ სიმაღლეზე. გვერდის ფასადები ერთნაირია და დამუშავებულია თაღედით, რომელიც თავში სარკმლებს აჩარჩოებს, ხოლო შემდეგ სიერცობლივადაა წარმოდგენილი და ტერასებზე ჩრდილოვან ლოჯიებს ქმნის.

არქიტექტორები ორნამენტით მოსავენ ფასადთა ელემენტებს. შესასვლელთა თუ სარკმელთა მოჩარჩოება, ატიკის და გვერდის ფრთების ზედა სიბრტყეები, სვეტების კაპიტელები და ბაზები, კარნიზი შენობის გარშემო — ხაზგასმულია დეკორაციული მოტივებით. ეკლარის თეთრი ქვით შემოსილი შენობა ფონს უქმნის ქვაში ამოკვეთილ ორნამენტულ ძორთულობას. ავტორები იყენებენ ქართული ისტორიული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ ორნამენტებსა და დეკორის ხასიათს. მაგრამ ეს დეკორი ყოველთვის არ ემორჩილება შენობის ტექნიკურ საფუძველს, შინაგან კანონზომიერებას, სამშენებლო ლოგიკას. ამის მაგალითია პორტიკის წმინდა დეკორაციული ხასიათის ანტაბლემენტი. არქიტექტორები ვერ იკავებენ თავს მორთულობის გამოყენებაში (ეს განსაკუთრებით იგრძნობა ფოიეს პლაფონზე), რაც ზედმეტობას და სიჭრელეს იწვევს. მათი აშკარად გამოხატული სურვილი ქართული არქიტექტურის ტრადიციების გამოყენებისა, ვერ არის ბო-

ლომდე მიყვანილი და ცალკეული მორთულობის ფარგლებს ვერ სცილდება.

ეს იგრძნობა არქ. მ. ჩხიკვაძის პროექტით აშენებულ სასტუმროს შენობაშიც ქ. ქუთაისში (1937-40). რომელიც ფაქტიურად ამ ქალაქში აგებული პირველი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა იყო. ამ შენობამ განაპირობა ქალაქის ცენტრის ახალი არქიტექტურული სახე.

სასტუმრო დგას ქალაქის ცენტრში მნიშვნელოვან ჭუჩათა გასაყარზე, ბულვარის კუთხეში. თეთრი ეკლარის ქვით მოპირკეთებული ოთხსართულიანი შენობა ერთ-ერთი უმთავრესია ქალაქის მთავარ ჭუჩაზე (ტაბ. 50_1). სასტუმროს გეგმა ეხამება მის კუთხურ მდებარეობას. ორი ფრთა მისდევს ჭუჩებს და ნახევარწრისებრია. კუთხეშში მოთავსებულია შესასვლელი. მცირე ვესტიბიულის ქვედა სართულზე რესტორანი და კაფეა, ხოლო ზედა სართულები დერეფნის ორივე მხარეს განლაგებულ ნომრებს უჭირავს. ოროთახიანი ლუქსი და ერთოთახიანი ნომრები საზღვრავენ სარკმელთა ღერძებს. ნომერთა უმრავლესობა ბუნებრივი განათების გარეშეა დატოვებული და მცირე ზომების საერთო სანქვანძით სარგებლობს ოთახებს აკლიათ აივნები, ტერასები, ლოჯიები — რაც ასე საჭიროა სამხრეთის პირობებისათვის. მეორე სართულის აივნები ქვის ერთიან მასაშია ამოჭრილი, ვიწროა და მოუხერხებელი.

ფასადთა გადაწყვეტაში დეკორაციული მოტივები დიდ როლს თამაშობს, რაზედაც უკვე შესასვლელი პორტიკის სვეტების ფორმა მეტყველებს (სვეტები ზევიდან ქვემოთ ვიწროვდება). ცენტრალური ნაწილის სამკუთხა ნიშები, გვერდის ფასადთა თაღოვანი დანაწევრება, შეწყვილებულ სარკმელთა მოჩარჩოება ფესტონებით და ა. შ. პირდაპირ მიუთითებენ ქართული ისტორიული არქიტექტურის ცნობილ მოტივებზე. მიუხედავად შერჩეული ნახატისა და ქვაში ოსტატური კვეთისა, დეკორი მაინც ზედმეტად ტვირთავს ფასადთა სიბრტყეს და „ზედმეტობას" იწვევს შენობის არქიტექტურაში.

ადმინისტრაციული შენობები იგება რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში. ცხინვალში 1937 წ. დამთავრდა სამხრ.-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავრობის სახლის მშენებლობა (არქ. მ. შავიშვილი)[121]. მისთვის ადგილი შეარჩიეს ქალაქის ცენტრში, ბუნებრივ ამაღლებაზე. თავისუფლად აღმართული სახლი ბატონობს არა მარტო ახლომდებარე ჭუჩების განაშენიანებაში, არამედ ქალაქის საერთო პანორამაშიც, რომელიც თითქმის მთლიანად იკითხება საავტომობილო ტრასით ქალაქში შესვლის დროს (ტაბ. 49_3).

შენობის ფასადები, მიუხედავად მკვეთრად გამოვლენილი აქცენტებისა (ცენტრი, გვერდის ფასადზე გადასვლა და სხვ.) ერთიან სახეს ატარებს. ჰორი-

---

121 ომის შემდეგ მას დარბაზი მიაშენეს.

ზონტალური მასები ვერტიკალური მოჩარჩოებითაა დანაწევრებული, რაც საერთო კომპოზიციას აწონასწორებს, თუმცა ფასადები მშრალი და სქემატურია თავისი დამუშავებით.

1933 წელს აკად. გ. შჩუკოსა და ვ. გელფრეიხის მიერ შედგენილ იქნა პროექტი აფხაზეთის ასსრ მთავრობის სახლისა სოხუმში. შენობა მთავარ მოედანზე სამი კორპუსით გამოდიოდა. შიდა 6 სართულიანი მაღალი მოცულობა, რომლის გეგმასაც ცენტრიდან შეზნექილი ნახევარწრისებრი მოხაზულობა ჰქონდა და გვერდის ორი ფრთის უფრო დაბალი მოცულობები მთავრობის სახლის ერთიან კომპლექსს ქმნიდნენ. ცენტრალური ნაწილი მომრგვალებულ კურდონერს წარმოადგენს მესამე სართულზე მას მთელ ფრონტზე თაღოვანი გალერეა ერტყმის, რომლის თაღებში ქანდაკებებია მოთავსებული. შუაში ნაგებობას აგვირგვინებს ჰერალდიკური რელიეფი. შენობას ამთავრებს ღია პარაპეტი-ბალუსტრადა შპილებით. განხორციელდა მხოლოდ გვერდის ფლიგელები (1939 ტაბ. 50_2). და ამიტომ შენობაზე მსჯელობა თითქმის შეუძლებელია, თუმცა სწორედ ამ ფლიგელების მიხედვით აშკარად ჩანს, რომ პროექტი ჰიპერტროფირებული მასშტაბისა და სოხუმის რეალური პირობებისა და მოთხოვნილებისათვის შეუფერებელი იყო. აშენებულ კორპუსთა არქიტექტურა არ გამოირჩევა საბჭოთა კავშირში აშენებულ იმ ნაგებობათაგან, რომლებიც რუსული კლასიციზმის ფორმებს ეყრდნობოდა და რომელთა დამოუკიდებლობა მხოლოდ ფორმათა ურთიერთკავშირისა და მასშტაბის შეცვლით გამოიხატებოდა[122].

30-იანი წლების ქართულ არქიტექტურაში დიდ ადგილს იკავებს უმაღლეს სასწავლებელთა დაპროექტება. შედგა პროექტები მთელი კომპლექსებისა, მაგრამ რეალურად მაშინ მხოლოდ ცალკეული კორპუსები განხორციელდა. სამედიცინო ინსტიტუტის მთელი კომპლექსისაგან, რომლის პროექტი შეადგინა 1934 წ. არქ. მ. შავიშვილმა, აშენდა მთავარი შენობის მარჯვენა ფრთა, რომლის არქიტექტურის კლასიკურ კომპოზიციურ სქემაში ცალკეულ დეტალების სახით გამოყენებულია ქართული დეკორის მოტივები. კლასიკური ხუროთმოძღვრების პრინციპებზეა დამყარებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურ-ქიმიური კორპუსის არქიტექტურაც, რომელიც მ. შავიშვილის პროექტით განხორციელდა (1940). ვიდრე საბოლოო იერს მიიღებდა, ამ შენობამ სახე იცვალა. მისი ფასადები ვერ იყო დახვეწილი და მხოლოდ ფორმალური ხერხებით ემსგავსებოდა კონსტრუქტივისტულს (განსაკუთრებით მისი ცენტრალური ნაწილი ზედა ტერასითა და სხვ.)[123]. შენობის განხორციე-

122 «Арх. СССР», 1939, № 1. გვ. 42.

ლებულ ვარიანტში არქიტექტორმა შეძლო თავი დაეღწია ამ სქემატიზმისათვის.

უნივერსიტეტის ახალი კორპუსი დგას ძველი, ჩვენი საუკუნის დასაწყისში აგებული შენობის გვერდით. მისი არქიტექტურის კლასიკური ფორმები ახალი კორპუსის ფასადებშიც აირეკლა, რამაც ხელი შეუწყო იმას, რომ მიუხედავად კომპოზიციური განსხვავებისა, ახალმა და ძველმა კორპუსებმა შექმნა[124].

არქიტექტორმა შენობის გეგმა ორგანულად ჩაწერა ქუჩის დინებაში, შენობა ქუჩის ხაზის შეზნექილ მრუდს მისდევს. ამ კორპუსში მოთავსებულია აუდიტორიები, ლაბორატორიები, აუდიტორია ამფითეატრით და სასწავლო პლანეტარიუმი ზედა სართულზე. ოთახთა განლაგება დერეფნულ სისტემას ემორჩილება. გეგმაში ვერ არის მკაფიოდ გამოხატული სართულთა ვერტიკალური კავშირი, რადგან საზეიმო პორტიკის გავლის შემდეგ მომსვლელს არა აქვს სწრაფი ორიენტაციის შესაძლებლობა: კიბეები დერეფნის ბოლოებშია (მარცხნივ და მარჯვნივ), ხოლო შესასვლელიდან პირდაპირ დერეფნის სივრცე იშლება, თითქოს ვესტიბულის გარეშე (არსებული ვესტიბიული ძალზე მცირეა). ინტერიერები სრულიად სადაა.

უნივერსიტეტის ეს კორპუსი ქალაქის მნიშვნელოვანი რაიონის — ვაკის დასაწყისშია. ფასადის შეზნექილ სიბრტყეს ცენტრში იონიური პორტიკით გამოყოფილი შესასვლელი აქვს, რომლისკენაც განიერ კიბეებსა და გვერდის პანდუსებს მივყავართ. ეს პორტიკი შენობის არქიტექტურაში მთავარი აქცენტია, რომელიც ხაზს უსვამს პლანეტარიუმის მცირე გუმბათით დამთავრებულ ვერტიკალურ ცენტრალურ ღერძს. ფასადის საფუძველს შეადგენს რუხი ქვის ცოკოლი. მასზე ვერტიკალური დანაწევრებით შედგენილი ორი სართული და ანტაბლემენტით გამოყოფილი ატიკის სართულია, რომელიც მძლავრი კარნიზით გამოიყოფა, შენობის ფასადთა დანაწევრება, კედელთა ფერი და დამუშავება შეფარდებულია ძველ კორპუსთან.

1941 წელს დამთავრდა ერთი ნაწილი თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უზარმაზარი კორპუსისა, რომელიც ლენინის ქუჩაზე დგას, საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისში, გმირთა მოედნის ზევით (არქ. მ. ნეპრინცევი. ტან. 51₂). არქიტექტორმა დააპროექტა ქუჩის მთელი განაშენიანება ზოოპარკის ზევით, მოედნამდე. ზედა, საკმაოდ დიდი კვარტალი

---

123 თბილისის საქალაქო არქივი, № 14, საქმე 115.

124 მშენებლობა დამთავრდა ომის შემდეგ, როცა ეზოსაკენ მიმართული ფლიგელი იქნა აშენებული.

მთლიანად მიეკუთვნა ინსტიტუტის შენობას (იგი ომის შემდგომ 1954 წელს დამთავრდა). ქვედა მონაყვეთი კი — ხილიანის ქუჩიდან ზოოპარკამდე — საცხოვრებელი სახლით იყო დაკავებული. ეს ორივე შენობა, ისევე, როგორც მათი მოპირდაპირე საცხოვრებელი სახლი, ერთიან გადაწყვეტას ემორჩილებოდა.

ინსტიტუტის შენობას, რაკი იგი ქუჩიდან მოედნამდე აღწევდა, ორივე განაპირა მხარე განსაკუთრებით ჰქონდა დამუშავებული. თუ ზევით მაღალი ცილინდრული ნაწილი იყო აქცენტირებული (ეს მეორე რიგის მშენებლობაა), ქვემოთ, ქუჩისაკენ, შესასვლელის წინ ნახევარწრიული ბაქნის გარშემო ორმხრივი კიბეებით გამოყოფილია შენობის კუთხე. აქ სამი სიბრტყეა. ამათგან შუა, საიდანაც შესასვლელია, ხაზგასმულია პორტიკით. შენობა მიჰყვება ქუჩის წითელ ხაზს და შეუმჩნეველად უხვევს. გრანიტის რუსტიკით დამუშავებული ქვედა სართული მტკიცე საფუძველს უქმნის პილასტრებით დანაწევრებულ, მოყვითალოდ შელესილ ზედა ოთხ სართულს.

ქუჩის დონეთა სხვაობა საკმაოდ დაეტყო გეგმას და გაართულა მისი ისედაც დაუხვეწავი ორგანიზაცია, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა შენობის მთლიანად დამთავრების შემდეგ.

შენობის ფასადთა ფორმები, კლასიკურ არქიტექტურულ საფუძვლებზე აგებული, ზედმეტად დანაწევრებულია და ნაკლებ მიმზიდველი, ხოლო ქვედა კუთხის დატეხილი ფასადი ხელოვნურია (საცხოვრებელ სახლის პროექტი ზუსტად იმეორებდა ამ კუთხეს და ქუჩების შესაყართან იქმნებოდა სრულიად ზედმეტი სივრცობლივი აქცენტი, დაქუცმაცებული კიბეებით და მისასვლელებით).

ოცდაათიანი წლების მანძილზე საქართველოს კურორტებზე მრავალი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და სააბაზანო აშენდა. არქიტექტურული ხარისხით განსხვავებულნი, ისინი მაინც ატარებენ იმ საერთო ნიშნებს, რომლებიც იმდროინდელი არქიტექტურული მიმართულების ძირითად ტენდენციას გამოხატავდა. ამ ნაგებობათა შორის უნდა გამოიყოს საკურორტო მშენებლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, — საქართველოს სახკომსაბჭოს დასასვენებელი სახლი გაგრაში (ნ. სეეროვი, 1936 ტაბ. 52)[125], რომელშიაც აშკარად ჩანს ოციანი წლების კონსტრუქტივისტული არქიტექტურის პრინციპები. შენობას ავტორი კლასიკური არქიტექტურის მოტივებით მოსავს. აქ, მთელი შენობის სადა გეომეტრიულ ფორმათა დინამიკურ დაკავშირებისას, მოცემუ-

[125] Н. Северов. Архитектурная практика Зак. строительного треста. «Академия Архитектуры», № 1, 1936, стр. 70.

ლია რუსტიკით მოპირკეთებული კედლის სიბრტყეები და სვეტები. ინტერიერთა გაფორმებაში კედლების დამუშავებას ქართული ორნამენტული მოტივები უდევს საფუძვლად (სასადილო).

არქიტექტორმა შენობა ორგანულად ჩართო ბუნებაში. ზღვის პირას კლდოვან ბორცვზე, ტყეში ტერასებად გადაშლილი შენობა კარგად ეხამება გარემომცველ ბუნებას. გეგმა ოთახთა განლაგების თავისუფალ პრინციპს ემორჩილება. საყრდენი კედლიდან ამოზრდილი ქვის ცოკოლის სართული ზედა ტერასით, გადახურული გრძივი გასასვლელით საფუძველს უქმნის შენობის „მსუბუქ“ ზედა სართულებს. ეს სართულები — ასიმეტრიულად განლაგებული ჩრდილოვანი ლოჯიებით, ღია ფართო ტერასებითა და შემინული კედლებით — შენობის ცხოველხატულ მოცულობას ქმნის.

შენობის ბუნებრივ რელიეფთან დასაკავშირებლად გარკვეულ როლს თამაშობს კიბეები, შადრევნები, ნიშები კედლებში და სხვა, ერთიანი არქიტექტურულ-მხატვრული კომპლექსის შემადგენელი, მცირე ფორმები.

ოცდაათიანი წლების არქიტექტურის ერთ-ერთ საინტერესო მოვლენას, რომელიც აშკარად გვიჩვენებდა იმ დროის შემოქმედებით სიძნელეებსა და წინააღმდეგობებს მემკვიდრეობის ათვისების გზაზე, წარმოადგენდა კონკურსი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის „მეტეხის“ დასაპროექტებლად. რომელიც 1939 წელს ჩატარდა.

ამოცანა, რომელიც დამპროექტებელთა წინაშე იდგა, მეტად რთული იყო. მუზეუმისათვის ტერიტორია გამოიყო ძველი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ ადგილას, მეტეხის ტაძრის ირგვლივ. ეს ადგილი ქალაქთმშენებლობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ძველი ქალაქის განაშენიანებაში. კონცხზე აღმართული მეტეხის ტაძარი და მის მიყოლებით კლდეზე გადმომდგარი, მტკვარზე გადმოკიდებული საცხოვრებელი სახლები, მდინარის მეორე მხარეს აღმართულ ნარიყალას ნანგრევებთან ერთად, თბილისის ძალზე დამახასიათებელ და დასამახსოვრებელ სახეს ქმნიან.

მუზეუმისათვის, რომელშიც შედიოდა ძველი და ახალი ხელოვნების, კულტურულ-საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო-სამეურნეო და თანამშრომელთა საცხოვრებელი კორპუსები, ტერიტორია გულისხმობდა მეტეხის აღმოსავლეთით მტკვრის ნაპირას კლდის მონაკვეთს, დასავლეთითა და ჩრდილოეთით მეტეხის ბორცვის მიყოლებით აღმართს და მეტეხსა და დარეჯანის სასახლეს შორის მდებარე ნაგებობათაგან (მეტეხის ყოფილი ციხე და ამორტიზებული პატარა საცხოვრებელი სახლები) გასათავისუფლებელ ფართობს. მეტეხის ტაძარი და დარეჯანის კლდეზე შეკიდული მომრგვალებულ აივნიანი სასა-

ხლე, როგორც ისტორიული ძეგლები, დაცული უნდა ყოფილიყო და სამუზეუმო ანსამბლში მოქცეულიყო.

ამდენად, გარდა ახლად ასაშენებელი რთული სამუზეუმო კომპლექსისა, ფაქტიურად, პირველად დაისვა საკითხი ძველი ქალაქის მნიშვნელოვანი ისტორიული უბნის რეკონსტრუქცია-განაშენიანებისა. არქიტექტორთა წინაშე დაისვა ამოცანა, შექმნილიყო ფუნქციურად გამართული საექსპოზიციო და დამხმარე ნაგებობათა რთული ორგანიზმი, რომელსაც უნდა შეენარჩუნებინა ძველი ძეგლების არქიტექტურულ-მხატვრული ხასიათი. ამოცანა რთულდებოდა არსებული რელიეფითა და ქალაქზე გადაშლილი ხედების სიმრავლით: მაღალი კლდის, მდინარის, აღმართებისა და სხვათა მნიშვნელობით.

კონკურსზე წარმოდგენილ იქნა პროფ. ნ. სევეროვის, ვ. ქორქაშვილის, ლ. სუმბაძისა და დ. ლექთაძის, გ. ლეჟავას, მ. ჩხიკვაძის, ი. ჩხენკელისა და კ. ჯავახიშვილის, მ. კალაშნიკოვისა და ს. სატუნცის პროექტები (ტაბ. 53—54).

ბუნებრივია, ასეთი რთული მოცემულობის პირობებში ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა შემადგენელ სათავსების განაწილება კორპუსებში და თვით ამ კორპუსთა განაწილება-დაჯგუფება მოცემულ ტერიტორიაზე. ავტორები კულტ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საადმინისტრაციო-სამეურნეო და საცხოვრებელ სადგომებს ცალკე გამოყოფდნენ, თვით საგამოფენო დარბაზებს კი, განურჩევლად ექსპოზიციაში წარმოდგენილი ქვეყნებისა და ეპოქებისა, ერთ კორპუსში აქცევდნენ. მხოლოდ ნ. სევეროვმა მოახდინა საგამოფენო კორპუსების დიფერენციაციაც (ტაბ. 53_1). მან ძველი ხელოვნების საგამოფენო კორპუსი, რომელიც მეტეხის აღმოსავლეთით, შიდა ეზოს პერიმეტრზე განლაგებულ შენობაშია, გამოყო ახალი ხელოვნების კორპუსისაგან. თუმცა, მათ გადასასვლელი — გალერეა აერთიანებს. ამ კორპუსებში ცალ-ცალკე შესასვლელებია, რაც ხელს შეუწყობდა მუზეუმის ამ განსხვავებული ნაწილების უკეთ ათვისებასა და აუმჯობესებდა მოძრაობის გრაფიკს. სხვა პროექტებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ნ. სევეროვისა და მ. კალაშნიკოვისა და ს. სატუნცის ვარიანტები ათავსებდნენ შენობათა მთელ კომპლექსს მარტო მეტეხის აღმართსა და მტკვარს შორის მდებარე მონაკვეთზე, ისე, რომ ხელს არ ახლებდნენ დარეჯანის სასახლის ირგვლივ დარჩენილ ტერიტორიას.

სხვა ავტორები მაქსიმალურად იყენებდნენ გამოყოფილ ნაკვეთს და მუზეუმის გაშენებისას დარეჯანის სასახლის გარემომცველ ტერიტორიას არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე მეტეხის ბორცვს (ტაბ. 54_3). არქ. გ. ლეჟავას პროექტში მთავარი კორპუსი სწორედ ამ ადგილასაა. მის წინ რელიეფზე მოყოლებული ტერასები საზეიმო შესასვლელს უმზადებს შენობას. შენობის შეზნექილი ფრონტი მთლიანად დაფარულია მაღალი თაღედით, რო-

მელიც დარეჯანის სასახლისაკენ კოშკური მოცულობის ვერტიკალითაა ჩაკეტილი. მეტეხისაკენ მიემართება დაბალი თაღედის გალერეა, რომლის სიმაღლე შეფარდებულია ტაძართან ისე, რომ ეკლესია ქალაქიდან არ დაიფაროს. მეტეხის ბორცვზე აშენებულია სვანური კოშკი, როგორც სამუზეუმო ექსპონატი. კომპლექსის არქიტექტურა მთლიანია, თაღედის თემა წამყვანია და გამაერთიანებელიც (აღსანიშნავია, რომ შენობის ფასადის მთელი ფრონტით თაღედის თავისებური ორდერით გაერთიანებას გ. ლეჟავა შემდგომში მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის ფასადზე განახორციელებს).

დარეჯანის სასახლესთან მომიჯნავე ტერიტორიას იყენებენ: მ. ჩხიკვაძე; ვ. ქორქაშვილი; ლ. სუმბაძე და დ. ლევქთაძე. უკანასკნელი პროექტი სამუზეუმო კორპუსთა პერპენდიკულარული გაშენებით აქ ვრცელ მოედანს ქმნის, რომელზედაც საზეიმო კიბეები და პორტიკი ხაზს უსვამს შენობაში შესასვლელებს. გ. ლეჟავას პროექტსა და ამ პროექტს შორის მსგავსებაა სასახლისაკენ ვერტიკალური მოცულობისა და მეტეხის ბორცვზე დაბალი თაღედის გამოყენების მხრივაც. მაინც, თაღედი გ. ლეჟავას პროექტში ღია გალერეის სახითაა და ნაკლებ ფარავს მეტეხის ტაძარს. გ. ლეჟავა მეტეხის ტაძარს მეტ სივრცეს უტოვებს, ვიდრე სხვა ავტორები, შენობათა კორპუსებს რაც შეიძლება მეტად აცილებს მისგან.

არქ. მ. ჩხიკვაძე კლდის კონცხზე — სადაც ტაძარია — ჩრდილოეთ და დასავლეთ მხრიდან მაღალ კორპუსს დგამს. ამ კორპუსსაც აგრეთვე ქვედა სართულზე თაღედი აქვს მთელ სიგრძეზე. ეს შენობა კონცხის წვერზე ფონს უქმნის რუსთაველის მაღალ მონუმენტს. ასე რომ მეტეხის ტაძარი აქედან დაფარულია. იგი ღიადაა დატოვებული მხოლოდ მტკვრის ნაპირისაკენ. ასევეა დაფარული მეტეხის ტაძარი მ. კალაშნიკოვისა და ს. სატუნცის პროექტში, რომელშიც მას შენობის მძიმე (თუმცა დარეჯანის სასახლის თაღოვანი გალერეით ნაკარნახევი) მასა ედგმის.

კიდევ უფრო მეტად არის უგულებელყოფილი ტაძარი ნ. სეველოვის პროექტში, რომელშიც მას შენობის კორპუსის კოშკური ნაწილი სრულიად ფარავს და პირველობას ეცილება მტკვრის მხრიდანაც (ტაბ. 53_1).

მ. კალაშნიკოვის და ს. სატუნცის (ტაბ. 53_2) და ნ. სეველოვის (ტაბ. 53_1) პროექტებში, როგორც აღინიშნა, ტერიტორია შეზღუდულია, რამაც კომპლექსის განაშენიანებაში საგრძნობი სივიწროვე შეიტანა. ამ პროექტებში დაიკარგა მეტეხის კლდის მასშტაბი, მრავალსართულიანი შენობების სიბრტყეები უხეშად აწვება მდინარის ნაპირს.

ავტორები ფართოდ იყენებენ რელიეფის შესაძლებლობას: აკეთებენ ტერასებს, ღია კიბეებს, განიერ მისასვლელებს, რაც მეტ საზეიმო ხასიათს ანი-

ჰებს შენობებს. ამით გამოირჩევა ი. ჩხენკელისა და კ. ჯავახიშვილის პროექტები (ტაბ. 54_1).

საინტერესოდაა დაკავშირებული მეტეხის კონცხი ქუჩის აღმართთან მ. კალაშნიკოვის და ს. სატუნცის პროექტში კლდის პირას განლაგებული კიბეთა მარშით (ტაბ. 53_2)).

მასათა ნაირფეროვნებით გამოირჩევა მ. ჩხიკვაძის პროექტი, რომელზეც სხვადასხვა მოცულობით შედგენილი კორპუსები (ექვსწახნაგა კორპუსი, კოშკური ნაგებობა, ნახევარცილინდრული კორპუსი, ქუჩაზე გადატყორცნილი თაღოვანი გადასასვლელები და სხვ.) გამოწვეულია რთული რელიეფის სხვადასხვაგვარად ათვისების სურვილით. მაგრამ ყველა ეს მოცულობა გეომეტრიულ ფორმათა სიმრავლესა და დახვავებას იწვევს და, მიუხედავად გამაერთიანებლად გამოყენებული თაღედისა და სხვა არქიტექტურული თემებისა, მთლიანობა მიღწეული ვერ არის.

შენობათა არქიტექტურა თითქმის ყველა პროექტში მკაცრადაა გადაწყვეტილი, რაც ზოგჯერ გარკვეული სქემატურობის კვალსაც ტოვებს (ქორქაშვილი სუმბაძე, ლეკთაძე) ან ზედმეტი „სიმშრალე“ შეაქვს მასში (ნ. სეეროვი). არქიტექტურული სახე იქმნება მასათა და მოცულობათა ურთიერთშეფარდებით ადგილობრივ პირობებთან და რელიეფთან შეფარდებით. მოცემულია ცდა, რომ, არქიტექტურული ორგანიზმის მთლიანი გააზრებით შეიქმნას ეროვნული არქიტექტურული სახე. ისტორიული არქიტექტურიდან აღებულ, ცალკეულ ორნამენტულ თუ სხვა დეკორაციულ მოტივთა გამოყენებას აღარ ენიჭება უმთავრესი მნიშვნელობა (მაშინაც კი, როცა ავტორები ამას მიმართავენ, დაცულია მხატვრული ტაქტი. მაგ. ი. ჩხენკელისა და კ. ჯავახიშვილის პროექტში). მ. კალაშნიკოვის და ს. სატუნცის პროექტშიც კი, რომელიც რუსული კლასიციზმის პრინციპებს ემყარება, დიდი ადგილი ეთმობა ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ ფორმებსა და მათს ხასიათს (ღია თაღედებით დაწყებული და კრამიტის გადახურვით დამთავრებული და სხვ.).

სწორედ ამითაა მნიშვნელოვანი ეს კონკურსი. მიუხედავად იმისა, რომ თვით სამუზეუმო კომპლექსის გადაწყვეტის თვალსაზრისით ფაქტიურად ჯერ კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი (ეს შეეხება როგორც დაგეგმარებას, ისე ისტორიულ ძეგლთა და ძველი ქალაქის საერთო არქიტექტურული სახის შენარჩუნებას), აქ აშკარად გამოჩნდა, რომ არქიტექტორები ეროვნული ტრადიციების ათვისებისას წმინდა გარეგნული სახით კი არ კმაყოფილდებოდნენ (რაც ძირითადად ქართული ხუროთმოძღვრების დეკორაციული მორთულობის და ორნამენტების ცალკეული მოტივების ხმარებას გულისხმობდა), არამედ ცდილობდნენ გაეაზრებინათ ნაგებობის არქიტექტურა მთლიანად, ფუნქცი-

ური გადაწყვეტის კონკრეტულ პირობებთან, რელიეფთან, ბუნებასთან, შენობის დანიშნულების ერთიან მხატვრულ სახესთან კავშირში.

5 1941—1954. ქალაქთა დაგეგმარება და განაშენიანება

დიდი სამამულო ომის შემდეგ საბჭოთა არქიტექტურაში ქალაქთმშენებლობამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. ომით დანგრეულ ქალაქთა აღდგენა მოითხოვდა ახალ გენერალურ გეგმათა შედგენას, რომლებიც ქალაქთა ისტორიული ბირთვის აღდგენა-შენარჩუნებასთან ერთად გეგმარებითი სტრუქტურის ახლებურ, გაუმჯობესებულ გადაკეთებას გულისხმობდა. ქალაქთა აღდგენასთან ერთად, ომის შემდგომ პერიოდში დიდი როლი ენიჭებოდა ახალ ქალაქთა გაშენებას, ხოლო არსებულ ქალაქებში მათ რეკონსტრუქციასა და ახალ ტერიტორიათა ათვისებას.

ამ სამუშაოთა დიდმა მასშტაბმა (1945—50 წლებში მხოლოდ რსფსრში 250 ქალაქის გენერალური გეგმა შედგა), დაგროვილმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ ხელი შეუწყო ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი პრინციპების ჩამოყალიბებას. ეს პრინციპები იყო: ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურის შენარჩუნება მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და ქალაქის მეურნეობის ახალი ტექნიკის შესაძლებლობებთან დაკავშირებით; ქალაქის ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარებით მოსახლეობის რაოდენობის რეგულირება; ქალაქის გაჯანსაღება და სატრანსპორტო საშუალებათა გაუმჯობესება; მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის რაციონალური განლაგება. შემდგომ კონკრეტულ სახეს ღებულობდა ქალაქის ტერიტორიის ზონირების პრინციპი და სხვ.[126].

საბჭოთა ქალაქთმშენებელთა დიდი გამოცდილება, ბუნებრივია, თავის გავლენას ახდენდა იმ რესპუბლიკების არქიტექტორებზეც, რომლებსაც ომით დანგრეული ქალაქების რეკონსტრუქცია არ ჰქონდათ ამოცანად, მაგრამ ქალაქთა შემდგომი განვითარების დაგეგმვაზე ზრუნვა მათთვისაც გადაუდებელი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ ომის წლებში დაიწყო მშენებლობა საქართველოს მძლავრი სამრეწველო ცენტრის ქალაქ რუსთავისა, რომლის აგება ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობასთან იყო დაკავშირებული.

---

[126] История советской архитектуры, М., 1962 გვ. 208.

თავდაპირველად, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა სადგურ ველთან, თბილისიდან 9 კმ-ის დაცილებით მდებარე ტერიტორიაზე დაიწყო 1940 წელს. სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით მშენებლობა დროებით შეწყდა, ხოლო 1944 წელს იგი განახლებული იქნა ახალ ტერიტორიაზე რუსთავში, რომელიც მეტად იყო დაცილებული თბილისიდან (27 კმ) და ამდენად, სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭებოდა. რუსთავის შერჩევა ახალი სამრეწველო ცენტრისა და ქალაქის მშენებლობისათვის შეპირობებული იყო ამ პუნქტის სიახლოვით როგორც ნედლეულისა და სათბობ ბაზასთან, ისე ქარხნის ძირითადი პროდუქციის მომხმარებელ რაიონებთან. ამას ემატებოდა ხელსაყრელი მდებარეობა საზღვაო გზებთან დაკავშირების, რკინიგზის მაგისტრალურ ხაზთან, მტკვართან უშუალო საზღვრის თვალსაზრისით და თბილისთან მეზობლობა, რაც უზრუნველჰყოფდა მომავალი ქალაქის ეკონომიური და კულტურული განვითარების დაჩქარებას[127].

არქიტექტორების ზ. და ნ. ქურდიანების მიერ (ა. ქურდიანის მონაწილეობით) შედგა გეგმარებითი სქემა ქალაქის განლაგებისა, რომელიც ოთხ ვარიანტს გულისხმობდა: სოღანლუღისას, ქარხანასთან მიმდებარეს, ჩათმის მთასთან და ქვედა ჩათმისას.

პირველ ვარიანტში ქალაქი განლაგებულია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რაც თბილისთან დაკავშირების და თავისუფალი განვითარების პირობებს ქმნის. მრეწველობასთან დაცილებულ ტერიტორიას (მრეწველობა მარცხენა ნაპირზეა) სანიტარული პირობები უკეთესი აქვს. მაგრამ ამ ადგილის უარყოფითი მხარეა მწვანე მასივის უქონლობა, რადგან მთლიანად ახლის გაშენება არაეკონომიურია.

მეორე ვარიანტით (ტაბ. 55_1) ქალაქი სამრეწველო ზონასთან ახლოსაა, ამით აცილებულია მშენებლობის დაწყებისთანავე ხიდის აგება. თანაც, მტკვრის ზოლი გამოყენებულია სანაპიროდ, რასაც მწვანე ნარგავებიც უწყობს ხელს. მაგრამ პერსპექტიული განვითარებისათვის ტერიტორია შეზღუდულია, თან მასზე სანიტარულ-ჰიგიენური ზონა ვერ თავსდება.

მესამე და მეოთხე ვარიანტებში (ტაბ. 55_2) გართულებულია კავშირი ქარხანასთან: რკინიგზის მაგისტრალის არსებობა სხვადასხვა დონეებზე გადასასვლელის მოწყობის აუცილებლობას იწვევს. ამ შემთხვევაში ქალაქს მტკვარზე გასასვლელი არა აქვს და არც გამწვანებისთვისაა კარგი პირობები.

ამ ვარიანტთაგან არჩეულ იქნა პირველი ორი და ეს ტერიტორია დაედო კიდეც შემდგომ დამუშავებას საფუძვლად — ე. ი. მტკვრის ორივე მხა-

[127] ჭ. თ ო ფ უ რ ი ძ ე. რუსთავი. თბ., 1965, გვ. 40—41; «Закавказский металлургический завод. Под ред. Н. Г. Гомелаури. М., 1959, გვ. 18.

რე შეირჩა, პირველი რიგის მშენებლობისათვის კი — მარცხენა ნაპირი. (ტაბ. 55ვ) ამ პროექტში ადმინისტრაციული ცენტრი მარჯვენა ნაპირზე, მთავარ მაგისტრალზეა, რომელიც ხიდის საშუალებით ორივე ნაპირს აერთებს და ფართო გამწვანებულ პროსპექტს წარმოადგენს. ეს საქალაქო მაგისტრალი იწყება ქარხნის სამმართველოსთან და ჰკვეთს მთელ ქალაქს. ეს პროექტი (ზ. და ნ. ქურდიანები, ეკონომისტი—ლ. ასათიანი) მიღებულ იქნა[128].

შემდგომში პროექტი დეტალურად მუშავდება. მეტალურგიული ქარხნისა და ქალაქის მშენებლობა ერთდროულად დაიწყო ძველი ნაქალაქარის სრულიად უკაცრიელ, ადგილზე, რომელიც XIII საუკუნეში მთლიანად იყო დანგრეული.

ქალაქ რუსთავისათვის გამოყოფილი ტერიტორია ვრცელ ველს წარმოადგენს, რომელსაც მტკვარი შუაზე ჰყოფს. მარცხენა ნაპირი გათვალისწინებული იყო სამრეწველო ნაგებობათა და ნაწილობრივ საცხოვრებელ სახლებისათვის, ხოლო მარჯვენა ნაპირი ძირითადად საცხოვრებელ კვარტალებს დაეთმო. ქალაქის დაპროექტება ცალ-ცალკე მიმდინარეობდა. ჯერ დამუშავდა მარცხენა ნაპირის დაგეგმარება, ხოლო შემდეგ, ქალაქის ზრდის მიხედვით, მარჯვენა ნაპირის პროექტიც შედგა[129]. მარცხენა ნაპირის დაგეგმარების ავტორები არიან მ. ნეპრინცევი, ლ. კობალაძე, ზ. ქურდიანი, ნ. ქურდიანი, დ. მელიქიშვილი; მარჯვენა ნაპირისა — მ. ნეპრინცევი, დ. მელიქიშვილი, ი. ჩხენკელი (მოგვიანებით შედგა მარჯვენა ნაპირის დეტალური დაგეგმარებისა და მიკრორაიონების განაშენიანების პროექტი. არქ. ლ. სუმბაძე).

ქალაქი 1945 წლის პროექტით 30.000 კაცისთვისაა გაანგარიშებული. შემდგომმა მუშაობამ დაგეგმარებაზე შეცვალა ეს რიცხვი 50.000-ით. მაგრამ უკვე 1953 წელს 25.000 მოსახლე ცხოვრობდა, 1956 წელს — 50.000. მოსახლეობის ასეთი ცვალებადობა და პროექტთან შეუსაბამობა გამოწვეული იყო იმით, რომ თუ თავდაპირველად განზრახული იყო მხოლოდ მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, თანდათანობით მას მიემატა სხვა მსხვილი სამრეწველო წარმოებანიც[130].

რუსთავი შედგება ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან, რომელთაც მტკვარი ჰყოფს. გენერალური გეგმა ესიტყვება ამ ბუნებრივ დანაწილებას: გამოყოფილია ქალაქის ორი ნაწილი, რომელთაც მთელ სიგრძეზე ერთიანი მაგის-

---

128 Город металлургов: «Советское искусство», 1945, 8. 3, № 10; Город металлургов на берегу Куры: «Боец РККА», 1945, 10.3, III, № 58.

129 Ш. Багашвили, Л. Кулага. Рустави. М., 1958. стр. 2.

130 იქვე.

ტრალი აერთიანებს. იგი მარჯვენა ნაპირიდან შემოხვევით გადის ქალაქის მთელ სიგრძეზე, გადადის ხიდზე, აქედან ლარივითაა გადაჭიმული და წარმოქმნის ცენტრალურ პროსპექტს, რომელიც კომპოზიციური ღერძია მარცხენა ნაპირისა. ასევე დამაკავშირებელ ძარღვს წარმოადგენს 12 კმ-ის სიგრძის მაგისტრალი, რომელიც მთავარი პროსპექტიდან შემოუვლის მარჯვენა ნაპირს, მეორე ხიდით გადადის მარცხენა ნაპირზე და ქარხნის წინა მოედანზე კვლავ ხვდება მთავარ პროსპექტს. მთავარი პროსპექტისადმი პერპენდიკულარულად მიმართული მეორე მაგისტრალი სადგურის მოედანს უერთდება. ამ მაგისტრალების გადაკვეთაზე კი შექმნილია ვრცელი მოედანი 1.8 ჰექტარი ფართობისა, რომელზედაც დგას მთავარი ადმინისტრაციული შენობა, (მის პირდაპირ აგებულია ლენინის მონუმენტი, ტაბ. 56ბ).

ქალაქის ფუნქციური ზონირება მკაფიოა. სამრეწველო, საცხოვრებელი და დასასვენებელი ზონები მკვეთრადაა გამოყოფილი, მაგრამ ერთმანეთთან კავშირშია.

როგორც აღინიშნა, ძირითადად სამრეწველო ზონას მარცხენა ნაპირი წარმოადგენს. საცხოვრებელ რაიონებისაგან მრეწველობა დაცილებულია ორი კილომეტრით და სანიტარულ-დამცველი მწვანე ზოლით, რომელიც 300 მეტრის სიგანეზეა გადაჭიმული. ერთი კმ-ის სიგრძეზე მტკვრის სანაპიროზე მოწყობილია დასასვენებელი ზონა — დაბურული მწვანე მასივი, რომელიც ვრცელ პარკს ქმნის.

აქ საცხოვრებელი ტერიტორია სამოსახლო ზონის საერთო ბალანსში 40,2% შეადგენდა. მოსახლეობის დაახლოებით 10% კოტეჯური ტიპის სახლებშია განთავსებული, ხოლო დანარჩენი მრავალბინიან, ქალაქური ტიპის სახლებში, რომელთაგან 40% ორ-სამსართულიანია, 60% კი ოთხ-ხუთსართულიანი. კოტეჯის ტიპის სახლებს აქვთ საკარმიდამო ნაკვეთი 600—800 კვ. მეტრის ფართობით.

ზონირების იმავე პრინციპს ემყარება მარჯვენა ნაპირის დაგეგმარებაც. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები განლაგებულია ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც აგრეთვე მწვანე ნარგავებითაა გამოყოფილი ძირითადი საცხოვრებელ მასივისაგან.

ამრიგად, რუსთავი ორ საწარმოო ზონას მოიცავს. ისინი ქალაქის საზღვარზეა მოთავსებული, ორივე ნაპირის საცხოვრებელი რაიონები კი მტკვრის მწვანე მასივითაა გაყოფილი. გეგმის კომპოზიცია კომპაქტურია და ორ, აშკარად გამოყოფილ ნაწილადაა წარმოდგენილი. ორივე ნაწილს თავისი დამოუკიდებელი ორგანიზაცია აქვს, რასაც ბუნებრივი მდებარეობა განსაზღვრავს, მაგრამ მაინც საჭირო იყო უფრო მკაფიო მახვილის დასმა და საქალაქო ცენ-

ტრის თავიდანვე გამოყოფა, როგორც დაგეგმარების ძირითადი ბირთვისა ორი ნაწილისაგან შედგენილ, მაგრამ ერთიანი ქალაქის სტრუქტურაში.

მაგისტრალების, ქუჩებისა და შიდაკვარტალური გასასვლელების განლაგება მოხერხებულ სქემას ქმნის. მთავარი პროსპექტის, ვაგზლისა და კომკავშირის ქუჩის მიდამოები ქმნიან მარცხენა ნაპირის ცენტრალურ რაიონს, რომლის ურთიერთგადამკვეთი ქუჩები მოხერხებულად აერთებენ სხვადასხვა უბნებს. ქუჩათა გაბარიტები შეესაბამება მათს როლსა და მნიშვნელობას ქალაქში (მთავარი პროსპექტის სიგანე — 40 მეტრია. მასობრივი ტრანსპორტისათვის განკუთვნილი ქუჩებისა 26 — 27 მეტრი, საცხოვრებელი ქუჩებისა—15—18 მეტრი, ხოლო შიდაკვარტალური გასასვლელების 3—8 მეტრია)[131].

ცენტრალური მოედანი გამოყოფილია თავისუფალი სივრცობლივი გადაწყვეტით, რასაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს და თითქოს მოედნის ფარგლებს აგრძელებს სკვერი, რომელიც ადმინისტრაციული სახლის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ლენინის ძეგლის უკანაა.

მოედანთან ახლო მდებარეობს კულტურის სახლი, რომელიც მწვანე ნარგავებშია ჩაფლული. ეს პარკი სტადიონისაკენ მიემართება და ფაქტიურად დიდი მწვანე მასივის ნაწილს წარმოადგენს. ამრიგად, ეს მწვანე ლაქა, თითქოს უნებურად, სოლივითაა შეჭრილი ცენტრში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის დაგეგმარებაში.

მოედნის სკვერისა და მიმდებარე ქუჩების რკალისებრი მიმართულება, გარდა ცხოველხატულობისა, საუკეთესო შესაძლებლობას ქმნის მომდევნო კვარტალების ცენტრთან დაკავშირებისათვის.

ცენტრალური, საზოგადოებრივი მოედანი ისეა გადაწყვეტილი, რომ (მიუხედავად კოშკური ნაწილებით ფლანკირებული შენობებისა და ისეთი იდეურ-მხატვრული აქცენტებისა, როგორიცაა ლენინის ძეგლი და ადმინისტრაციული შენობა) ქუჩის დინება შენელებულია, მაგრამ მოძრაობის გაგრძელებას გულისხმობს. ქარხნის სამმართველოს წინამდებარე მოედანი კი ჰკეტავს პერსპექტივს, ქუჩის მოძრაობას. ფართობით თითქმის იმოდენავე მოედანი (1,7 ჰექტარი) გვერდებზე სიმეტრიულად განლაგებული შენობებითა და მკვეთრად გამოვლენილი ცენტრითაა აქცენტირებული. ამ მოედანს ქალაქის გეგმაში საცხოვრებელი და სამრეწველო ზონების შემაერთებელი ფუნქცია ეკისრება.

ხიდიდან ამ მოედნისკენ მიმართულ ღერძზე მდებარე მთავარი პროსპექ-

---

131 Ш. Багашвили, Л. Кулага. Рустави. М., 1958, გვ. 17.

ტი მკვეთრად გამოვლენილ სამ აბზაცს მოიცავს (მოედნებს შორის მონაკვეთები). ვინაიდან პროსპექტი მწვანეშია ჩაფლული, მისი განაშენიანება მწკრივს ემორჩილება და აქცენტები მოედნებზეა გადატანილი. აქ გამოყენებულია შენობათა განმეორების პრინციპი, (მოედანი ხიდთან, ცენტრალური მოედანი და სხვ.) ეს დაპროექტების ეკონომიურობას აღწევდა და, თანაც, იმდროინდელ ქალაქთმშენებლობაში საკმაოდ გავრცელებულ ხერხს ემყარებოდა. მხატვრული თვალსაზრისით ასეთი განაშენიანება ხშირად ზედმეტ სიმეტრიას და აქცენტებს იწვევს. მაგალითად, ცენტრალურ მოედანზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ მაგისტრალი კი არ გრძელდება, არამედ ახალი ქუჩა იწყება, თან, ქუჩის პერსპექტიული აღქმის დროს, კოშკური ნაწილებით ფლანკირებული სახლები ზედმეტ ყურადღებას იქცევენ, რადგან იდეურ-მხატვრული და ფუნქციური დომინანტის როლი მოედანზე აშკარადაა გამოყოფილი (ლენინის ქანდაკება და ადმინისტრაციული სახლი). მოედნის ნაპირებში შექმნილი მეტ-ნაკლებად გამოვლენილი მახვილები კი ყურადღებას ფანტავს, ზედმეტად ანაწევრებს განაშენიანებას და მასში მოუსვენარ ზედა ხაზს ქმნის.

ქალაქის საცხოვრებელი რაიონების საფუძველს კვარტალები და მათი ჯგუფები შეადგენენ. 3—4 კვარტალისაგან შედგენილი ჯგუფი 12—15 ჰექტარ ტერიტორიაზე თავსდება, სადაც საცხოვრებელ სახლებთან ერთად გათვალისწინებულია ყოველდღიური მომსახურების დაწესებულებანი — სკოლა, საბავშვო ბაღი, ბაგა და სხვ. ძირითადი დაგეგმარება ემყარება მათი სატრანსპორტო ქუჩებისაგან აცილების ხერხს[132].

საცხოვრებელ კვარტალთა განაშენიანება გარკვეულ სისტემას ემყარება. მთავარი ქუჩები 3—4 სართულიანია, ხოლო მეორეხარისხოვანი შვიდსართულიანი, აქ ე. წ. შერეული განაშენიანებაა, როცა კვარტალში სხვადასხვა ტიპის სახლებია. ქალაქის ტიპის სახლებთან ერთად გამოყენებულია კოტეჯური სახლებით გაშენებული კვარტალები. დიფერენციაცია გენერალურ გეგმაზევე მკვეთრადაა გამოვლენილი.

ბუნებრივია, რომ მცირესართულიანობის დროს საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებანი უფრო ვრცელ ტერიტორიას ემსახურებიან, ვიდრე მაშინ, როცა კვარტალებში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებია.

---

132 ეს ყოველთვის არ არის დაცული. თვით გენერალური პროექტის ერთ-ერთი ავტორი და ხელმძღვანელი მ. ნეპრინცევი წერდა, რომ ზოგჯერ საბავშვო დაწესებულებანი და სკოლები ქუჩების პერიმეტრულ განაშენიანებაშია ჩართული, რაც ამ ქუჩათა კომპოზიციის ცხოველხატულობას უწყობდა ხელს (იხ. М. Непринцев. Планировка и благоустройство городов и населенных пунктов, კრებული „Грузгоспроект", Тб. 1955, გვ. 19 უსაფრთხოების ხარჯზე „ცხოველხატულობის" გაძლიერება დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

მაგ., კომკავშირელთა ქუჩაზე სკოლა ემსახურება ცხრა კვარტალის ბავშვებს[133], რაც არც თუ ისე სასურველია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად უპირატესობა ენიჭებოდა ინდივიდუალურ ნაკვეთებში განთავსებულ მცირესართულიან განაშენიანებას, მაგრამ შემდეგ ინდივიდუალური განაშენიანება მინიმუმდე (10%) იყო დაყვანილი. რა თქმა უნდა, როცა ქალაქი ისეთი ტემპით იზრდებოდა, როგორც რუსთავში ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, თუმცა, მცირესართულიანი სახლები კლიმატურ პირობებთან უკეთაა „შეგუებული“.

საცხოვრებელი კვარტალების განაშენიანებაში დიდი როლი ენიჭებოდა ტიპობრივი პროექტების გამოყენებას, რამაც განსაზღვრა მშენებლობის მასშტაბების ზრდაც. თუ 1946 წ. წარმოებაში იყო 18.000 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობისა, 1951 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 29.000, ხოლო 1953 წელს — 36.610 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობისა[134].

რუსთავის ჯანსაღი ჰავის შექმნისათვის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია გამწვანება. სანიტარულ-დამცველი ზონიდან მოყოლებული, ქარის საცავისა და ქუჩების გამწვანების ჩათვლით, დიდი სამუშაოები იქნა ჩატარებული. რუსთავი ქარიანი ქალაქია. წელიწადის ნახევარზე მეტი ქარიანი დღეებია. მართალია, ჩრდილოეთისა და ჩრდილო დასავლეთის ქარს ზაფხულში სიგრილე მოაქვს, მაგრამ ზამთარში მკაცრი სიცივე იცის, ამიტომ, ქარსაცავ ზონას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ქალაქის მარცხენა ნაპირი ქარხნისაგან დაცულია 40 ჰექტარზე გაშენებულ მწვანე მასივით. დაახლოებით ასეთივე ფართობი უკავია მტკვრის ნაპირიდან შემოჭრილ მწვანე მასივს, რომელიც საცხოვრებელ კვარტალებს კვეთს და ქარისაგან იფარავს მათ.

ქალაქში რამდენიმე სკვერია გაშენებული, რომელთაგან უმთავრესია ცენტრალურ მოედნისა. იგი, ფაქტიურად, მტკვრის ნაპირას მდებარე კულტურის და დასვენების პარკის განშტოებას წარმოადგენს. შიგ ქალაქის ცენტრში ასე შემოჭრილი მწვანე მასივი გენგეგმის ერთ-ერთ ღირსებას წარმოადგენს. თვით პარკი მტკვრის ნაპირას არსებულ ტყის მასივს იყენებს; 30 ჰექტარ ტერიტორიაზე ხეივნები, ბილიკები, ხელოვნური ტბა, სპორტული მოედნები დასვენების კარგ პირობებს ქმნიან. ამ მწვანე მასივის შემდეგ მონაკვეთს კულტურის სასახლის პარკი შეადგენს, რომელიც თავისთავად ქალაქის ცენტრალურ სკვერშია გადაზრდილი.

---

[133] Ш. Багашвили, Л. Кулага. Рустави, М., 1958. стр. 6.

[134] ჯ. თოფურიძე, რუსთავი. თბ., 1963, გვ. 114, 117, 86.

ქალაქის ქუჩებს მთელ სიგრძეზე მწვანე ნარგავები მისდევს, ზოგან ბულვარებია გაშენებული.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული შენობა ატარებს იმ დროისათვის დამახასიათებელ ზედმეტობათა კვალს, რუსთავის დაგეგმარება და მშენებლობა ქართული არქიტექტურის გამარჯვება იყო.

1947 წელს დაიწყო გორის ბამბეულის კომბინატის დასახლების გაშენება, გორის დასავლეთით, ლიახვის მარჯვენა სანაპიროზე[135]. მისი ტერიტორია 40 ჰექტარს სწვდება და უშუალოდ კომბინატთანაა დაახლოებული.

დასახლების დაგეგმარება (არქ. ლ. სუმბაძე) დაკავშირებულია ქალაქ გორის რეკონსტრუქციის გენერალურ პროექტთან. მთავარი ქუჩა იწყება ლიახვზე გადებული ხიდიდან და ემთხვევა თბილისი-გორი-ხაშურის გზატკეცილს. იგი აერთებს დაბას ქალაქთან. ხიდთან მოწყობილია მოედანი, ხოლო გზატკეცილისა და ჭარხნის სამმართველოსთან მიმავალი ქუჩის გადაკვეთაზე შექმნილია მთავარი მოედანი დასახლებისა.

18 ჰექტარზე მოთავსებული საცხოვრებელი კვარტალები წითელი ხაზიდან 5—7 მეტრითაა შეღრმავებული. ინდივიდუალური პროექტებით აგებულია მხოლოდ მომსახურე ნაგებობათა ნაწილი და მოედანზე გამოსული სახლები, სხვა სახლები ტიპობრივია.

საშენ მასალად სუფთად ნათალი არტიკის ტუფია გამოყენებული. ერთ სართულიანი სახლები განლაგებულია შიდაკვარტალურ ქუჩებზე.

თავდაპირველად ტიპობრივი მშენებლობა წარმოებდა ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის 151-ე სერიის მიხედვით (ს. რევიშვილი, ნ. სოლოვიოვა, გ. თელია, მ. ჭკადუა, ინჟ. ი. ჯაფარიძე). საცხოვრებელ სახლთა უმრავლესობა აშენებულია 209-ე ტიპობრივი პროექტით, რომელიც უფრო გვიან დიდად გავრცელდა (არქ. ლ. სუმბაძე, ინჟ. ი. ჯაფარიძე), ამ პროექტით მშენებლობა წარმოებდა რუსთავშიც.

1949 წელს შედგა ქალაქ გორის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის პროექტი (არქ. ლ. სუმბაძე და ბ. ლორთქიფანიძე, მ. გაჩეჩილაძის მონაწილეობით), რომელიც არსებული პროექტის შემდგომ დამუშავება-განვითარებას წარმოადგენდა. ამ პროექტით ქალაქის საცხოვრებელი ტერიტორია თავისუფლდება სამრეწველო საწარმოთაგან, თავისუფლდება მეტიდრო დასახლებული კვარტალებიც ქალაქის ცენტრში, ხდება არსებული თუ ახლად ათვისებუ-

---

[135] Н. Джанберидзе, С. Кинцурашвили. Архитектура Советской Грузии. Тб.—М., 1958. გვ. 231.

ლი ტერიტორიების კეთილმოწყობა, ეწყობა სანაპიროები, მწვანე ნარგავთა რიცხვი თითქმის ორჯერ იზრდება.

გენერალური გეგმის კომპოზიციის წამყვან ელემენტს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული ცენტრალური პროსპექტი წარმოადგენს, რომელიც ცენტრალურ მოედანსა და მუზეუმის კვარტალს სადგურთან აერთებს... რკინიგზის კვანძი ახალ ადგილზე გადადის და ახალი ხიდით მთავარ მაგისტრალს უერთდება.

პროექტი კარგად ითვალისწინებს გორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სპეციფიკას. ისევე, როგორც ძველ ვარიანტში, დომინანტს წარმოადგენს ციხით დაგვირგვინებული ბორცვი. ქალაქი სეისმური მოსაზრებების გამო, ინარჩუნებს მცირესართულიან განაშენიანებას.

ფართოდ გაშლილი მშენებლობა სახეს უცვლის ქალაქს. ქალაქის ცენტრალური ნაწილი, რომელიც მკაცრად დაემორჩილა გენერალურ გეგმას, თითქმის მთლიანად გაშენდა. მუზეუმის შენობა (ა. ქურდიანი, 1947—1955), სასტუმრო (ქ. სოკოლოვა-ფორაქიშვილი, 1947—1955), კვლევითი ინსტიტუტის შენობა (მ. შავიშვილი, 1956) ქმნიან ახალ მასშტაბსა და იერს განაშენიანებაში, თუმცა, მათი არქიტექტურა არ წარმოადგენს გამონაკლისს მორთულობით ზედმეტად გატაცების საერთო სურათში. დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის გამწვანებას. ქალაქის 8 ბაღს 29.666 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია, დაირგა 60.000 მარადმწვანე ნარგავი და სხვ.[136].

ახალი საცხოვრებელი დასახლება შენდება ქუთაისის საავტომობილო ქარხანასთან (მ. შავიშვილი, გ. ჩიგოგიძე). იგი შეფარდებულია ქუთაისის რეკონსტრუქციის გენერალურ გეგმასთან რომელიც 1947 წელს შედგა (ა. ნიკოლაიშვილი, თანაავტორი შ. გოგოლაშვილი).

ქუთაისი რიონის ორივე მხარეს მდებარეობს. მდინარე ქალაქს გრძივი მიმართულებით ჰყოფს. მარჯვენა ნაწილი სამხრეთ აღმოსავლეთით ვაკე და დაბლობია, ჩრდილოეთი კი მაღლობი, რომელიც თანდათან მთაგორიან რელიეფში გადადის. ქალაქის მარცხენა ნაწილი უფრო მაღალი რელიეფით ხასიათდება. ჩრდილოეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით ქალაქს საკმაოდ მაღალი მთები არტყია. სამხრეთ-დასავლეთით კი ქალაქი მიმართულია კოლხიდის დაბლობისაკენ და იშლება მარაოს მსგავსად, რის გამოც ქალაქის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მზის ცხელი მხარისაკენ არის მიმართული[137].

ქუთაისი — ამჟამად რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრი, წი-

136 «Заря Востока». 1951, 24. 5, № 120.

137 ქუთაისის რეკონსტრუქციის და დაგეგმარების პროექტი. განმარტებითი ბარათი, გვ. 5.

ნათ წარმოადგენდა წვრილი ბურჟუაზიისა და მოხელეთა ქალაქს, რომელშიაც მრეწველობა უმნიშვნელო როლს თამაშობდა. საწარმოები კუსტარული ხასიათისა იყო და გამოშვებულ პროდუქციას ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მრეწველობაში ჩაბმული მუშათა რიცხვი სულ რამდენიმე ასეულ კაცს ითვლიდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მსხვილი სამრეწველო ობიექტების აშენებამ სრულიად შეცვალა ქუთაისის ცხოვრება და ტერიტორიული განლაგება. დიდი სამამულო ომის ხუთწლედების მანძილზე რიონის მარცხენა მხარეს ქუთაისის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ნაგებობები აშენდა. აიგო აბრეშუმის კომბინატი, ლითოფონის ქარხანა, კირის ქარხნები და სხვ., რის გამოც იმ წლებში რიონის მარცხენა ნაპირი უფრო სწრაფად იზრდებოდა. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა ომის შემდეგ, როცა ქუთაისის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ განაპირა უბნებში აშენდა საავტომობილო, ელექტრომექანიკური, მინის ჭურჭლის ქარხნები, ხისდასამუშავებელი და კვების მრეწველობის საწარმოები. ამის შედეგად მარჯვენა ნაპირმა მნიშვნელოვნად გაუსწრო სამეურნეო ფუნქციითა თუ ხალხმრავლობით მარცხენა ნაპირს (ტაბ. 58)[138].

ქალაქის შემდგომი განვითარებისა და ზრდის ფაქტორებს წარმოადგენდა რკინიგზის ახალ შტოთა მშენებლობა. ეს შტოები იყო რიონ-ქუთაისისა და შემდეგ მისი გაგრძელება ტყიბულისაკენ. ბროწეულა-წყალტუბოს განშტოების გაყვანამ ქალაქის მარჯვენა ნაპირს განვითარების კონკრეტული ამოცანები დაუსახა. დაიწყო ახალი ტერიტორიის ათვისება ახალი სადგურის ქუთაისი—II-ის ირგვლივ.

ქუთაისი დასავლეთ საქართველოს მჭიდროდ დასახლებულ რაიონში მდებარეობს და მის გარშემო მიმოფანტულ რაიონულ ცენტრებსა და სოფლებს შორის მეტად ინტენსიური მოძრაობაა. ამასთან ერთად, მუშახელის მოძრაობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქალაქის ცხოვრებაში საავტომობილო გზებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქუთაისის შემდგომ განაშენიანებაში არის ახლომდებარე კურორტების არსებობა, რომელთაგან წყალტუბოს სიახლოვე ქალაქთან განსაკუთრებით მოქმედებს მის ზრდაზე.

ყველაფერს ამას ემატებოდა ადმინისტრაციულ-სამეურნეო და კულტურული ცენტრის ფუნქცია. ყოველივე ამის გაანგარიშებამ პროექტში მოსახლეობის რიცხვი 190.000 კაცამდე აიყვანა.

ქალაქში სამშენებლო ზონირება და დასახლების სიმჭიდროვის მიხედვით

---

138 ვ. ჯაოშვილი, ქუთაისი, თბ., 1962. გვ. 277.

ტერიტორიის დაჯგუფება მკაფიო არ არის. სხვადასხვა სართულიანი განაშენიანება ქალაქის ტერიტორიაზე შერეულია და მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთმანეთთან ახლო მდებარე კვარტალებშიაც კი დიდად განსხვავებულია. ეს მერყეობა 25-დან 300 კაცამდე აღწევს ჰექტარზე. მაღალი ციფრი, როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურ და ძველ რაიონებშია.

სამამულო ომის დამთავრების პირველ წლებში ქუთაისში ერთსართულიანი სახლების ხვედრითი წონა 75%-ს შეადგენდა. ძირითადი განაშენიანება მას ეჭირა, ხოლო ორსართულიან სახლებს, რომლებშიაც მთელი საცხოვრებელი ფართობის 38,27% იყო მოთავსებული—23%.

საცხოვრებელი ტერიტორიები უსწორმასწორო ჩიხებითა და ქუჩებითაა დასერილი, კვარტალების მოხაზულობაც შემთხვევითი ხასიათისაა. პროექტი არსებულ საცხოვრებელ ფონდს ეკონომიური საცხოვრებელი სახლებით და დასახლების საშუალო სიმჭიდროვეს 28%-ით ზრდის, რაც საცხოვრებელი ფართობის რეკონსტრუქციისა და ახალი საცხოვრებელი რაიონების დაგეგმარებით სრულდება. პროექტი არსებულ კვარტალებს აწესრიგებს, მცირე კვარტალები ერთიანდება და მსხვილდება, იხურება სატრანსპორტო ქუჩები და იქმნება შიდაკვარტალური გასასვლელები. ეწყობა შიდაკვარტალური განსაზოგადებული სექტორები. კვარტალების ფართობი უკვე 10 — 12 ჰექტარამდე ადის.

ახალი საცხოვრებელი რაიონები ავტოქარხნისა და ქუთაის—II მდებარე ტერიტორიაზე რეგულარული კვარტალებითაა შედგენილი, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებდნენ იმდროინდელ ნორმებს. ქალაქის რეალური პირობებიდან გამომდინარე (არსებული საცხოვრებელი ფონდი, მიუხედავად მცირესართულიანობისა და არაეკონომიურობისა, სახლების კაპიტალური გაშენებისა და საკმარისი ფართობის არსებობისას მისაღებია), საცხოვრებელი ფონდი იყოფა შუაზე. ნახევარი მოსახლეობისა თავსდება ინდივიდუალურ კვარტალებში. ცალკე ნაკვეთებზე, ხოლო ნახევარი კი ქალაქის ტიპის განსაზოგადებულ კვარტალებში.

სამრეწველო ზონა პროექტში იზოლირებულია საცხოვრებელი კვარტალებისაგან მწვანე ნარგავებით და ითვალისწინებს გაბატონებული ქარების მიმართულებას — მისთვის გამოყოფილია ტერიტორია ქუთაის-II-ის მიდამოებში და მაშველი არხის შუა.

რკინიგზის სადგურებიდან აქცენტი ქუთაის-II-ზე ინაცვლებს, თუმცა ძველიც არ კარგავს მნიშვნელობას. ზევით აღინიშნა ქალაქის სამხრეთისაკენ განვითარების შესახებ, რაც მნიშვნელობას იძენს ქუთაისის რკინიგზის

საერთო ქსელში ჩართვის თვალსაზრისითაც, რადგან ჩიხში მოქცეული ქალაქი სადგურ ბროწეულასთან შეუერთდება მაგისტრალურ ხაზს.

მწვანე ნარგავებით მდიდარი ქალაქი, პროექტით კიდევ უფრო მდიდარ გამწვანებას მიიღებს, თანაც იგი ორგანიზებული ხდება. აღმოსავლეთით, წყალწითელას გასწვრივ, პროექტი ქარ-დამცველ ზონას გულისხმობს. მწვანე ნარგავებითაა შემოფარგლული სამრეწველო ზონა და ა. შ. მერიდიანული მიმართულებით განვითარებული მწვანე ნარგავები ზოლებად იჭრება ქალაქის სიღრმეში.

ძველი ადმინისტრაციული ცენტრი დაცულია. თუ ქუჩების არსებული ქსელი არაორგანიზებულია და რეკონსტრუქციისათვის დიდ სიძნელეებს იწვევს შენობათა დიდი ნაწილის კაპიტალური ხასიათის გამო, მოედნები გადაწყვეტილია თავისუფალი სივრცითა და განაშენიანებით.


პროექტი დიდ ყურადღებას უთმობს ქუთაისისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხს — ქალაქის ფარგლებში ორივე ნაპირის მოხერხებულ დაკავშირებას, რაც ახალი ხიდების საშუალებით წყდება. მათ შორის ერთი — ქალაქის სამრეწველო ნაწილს მარცხენა ნაპირთან (ავტოქარხნის ტერიტორიას უშუალოდ რიონის სადგურთან) აკავშირებს.

მდინარის კალაპოტი სანაპიროებში ემწყვდევა, რომელთაც, გარდა სანჰიგიენური და სატრანსპორტო მნიშვნელობისა, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისითაც დიდი როლი აკისრია. არსებული კლდოვანი რელიეფის გამოყენებით სანაპიროს გზა უკეთ ეგუება რიონის ნაპირებს და მთელი ქალაქის საერთო ხასიათსაც.

აღსანიშნავია პროექტში კულტურის ძეგლთა მნიშვნელობის განსაზღვრა ქალაქის განაშენიანებაში. გამოვლენილია ბაგრატის ტაძრისა და უქიმერიონის როლი, როგორც დომინანტისა მთის სილუეტში, რადგან პროექტი ითვალისწინებს მათ წინ მოთავსებულ ნაგებობათა აღებას და კოლორიტული ასასვლელი კიბეების ხაზგასმას.

ცენტრის პერსპექტიულ სურათს მხატვრულად ამთავრებს მთაზე მდებარე ღასვენების პარკის მისასვლელები.

ქუთაისი — ბუნებრივი ლანდშაფტის მკვეთრი ინდივიდუალობის გამო, რომელიც რთული რელიეფის, მდიდარი გამწვანებისა და რიონის თავისებური კლდოვანი ნაპირებითაა შეპირობებული, სრულიად თავისებურ სახეს ატარებს. ქალაქის უსისტემო განაშენიანება ძველი ქუჩების ლაბირინთებით, მთების ციცაბო ფერდობებზე შეფენილი საცხოვრებელი კვარტალებით — რომანტიკულ სახეს ანიჭებს მას, მაგრამ ძალზე ართულებს მის გეგმარებას. არქიტექტორები გენერალურ გეგმაზე ინარჩუნებენ ქუთაისისათვის დამახასიათებელ



ქუთაისი. ქალაქის ცენტრი 1944 და 1954 წლებში (ადმინისტრაციული შენობა მოედანზე არ აშენებულა).

მთა-გორიან რელიეფზე სახლების განლაგების ტრადიციულ ხერხს. რჩება ქუჩის დონიდან ამაღლებული ეზოები, ქუჩის გასწვრივ საყრდენი კედელი ჰიშკრით და მაღლობზე კიბეებით მისასვლელები სიღრმეში შეწეული სახლისაკენ.

ამდენად, ქუთაისის რეკონსტრუქციის გენერალური პროექტი მაქსიმალურად ეყრდნობოდა ადგილობრივ პირობებს. ამას მოწმობს არა მარტო გეოგრაფიული პირობების გათვალისწინება, არამედ ადგილობრივი მშპატვრული ტრადიციების ათვისებაც.

ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის თანმიმდევრული განხორციელება იმთავითვე დაიწყო[139]. ქალაქის საბინაო მეურნეობა მკვეთრად იზრდება. თუ 1930 წელს საცხოვრებელი ფართობი 298.225 კვ მეტრს შეადგენდა, 1950 წელს 555.100-მდე ავიდა[140].

დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა ქალაქის ცენტრში, რომელიც სწორკუთხა მოედნისა და ბაღის გარეშემოა ჩამოყალიბებული. ძველი სახლებისაგან გათავისუფლებული მოედანი გაფართოვდა, ახალმა განაშენიანებამ შეცვალა მისი სახე. მთავარი მნიშვნელობა მოიპოვა თეატრის შენობამ (მ. შავიშვილი, შ. თავაძე, 1955) მოედნის ცენტრში დაიდგა მონუმენტი, ქალაქის ბაღში შესასვლელი გაფორმდა კოლონადით (1948).

ახალმა ადმინისტრაციულმა შენობამ (მ. შავიშვილი, 1947) გააგრძელა მთავარი ქუჩის რეკონსტრუქცია, რომელიც სასტუმროს შენობის აგებით დაიწყო. 1949 წელს დასრულდა რკინიგზის სადგურის წინა მოედნის რეკონსტრუქცია. მოედანი ტერასებად ეშვება დაბლა და ფართო კიბეებით უერთდება ლენინის პროსპექტს, რომელიც უმთავრესად საცხოვრებელი სახლებითაა განაშენიანებული. ეს ფართო პროსპექტი სადგურს ავტოქარხნის დასახლებასთან აკავშირებს. გაიხსნა მოძრაობა მაგისტრალურ ქუჩებზე სადგურ № 2-საკენ და ნინოშვილის ქუჩიდან ახალი სტადიონისაკენ. 1949 წელს ქუთაისში დაიწყო მოძრაობა ტროლეიბუსმა[141], რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა.

სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა და ახლად აგებულმა მნიშვნელოვანმა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებმა დიდი როლი ითამაშეს ქალაქთა საერთო არქიტექტურულ-მშპატვრული სახის განსაზღვრაში. ომის შემდგომ პერიოდში მშენებლობის დარგში განსაკუთრებული გამოცოცხლებაა ქალაქ

---

139 ბ. ლომიძე. ახალი წარმატებებით ვეგებებით არჩევნებს, „კომუნისტი" 1951, 8.2. № 32.

140 ვ. ჯაოშვილი. ქუთაისი, თბ., 1962, გვ. 207.

141 Г. Самхарадзе. Кутаиси наших дней. «Заря Востока» 1951, 15.9, № 218.

სოხუმში. გარდა ისეთი მნიშვნელოვანი ნაგებობებისა, როგორიცაა თეატრი (არქ. მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძის მონაწილეობით 1952), რკინიგზის სადგური (ლ. და ლ. მუშკუდიანები, 1951), ხიდი მდინარე ბესლეთზე და სხვ. რომლებმაც ახლებური იერი მისცეს მიმდებარე რაიონებს, ყურადღების ცენტრშია საბინაო მშენებლობა. შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები ქალაქის მნიშვნელოვან კვანძებზე — ამიტომ ისინი მეორეხარისხოვან როლს როდი ასრულებენ განაშენიანების მხატვრული სახის შექმნაში.

სოხუმის მთაზე, ზღვის დონიდან თითქმის 200 მეტრის სიმაღლეზე, სულ მოკლე ხანში გაშენდა კულტურისა და დასვენების პარკი (ო. ლითანიშვილი, თ. მაჭარაშვილი, ლ. მუშკუდიანი, თ. თელია, ს. ცინცაბაძე, 1951—52), რომელიც 32 ჰექტარზეა გადაშლილი[142], იგი საპარკო ნაგებობათა ანსამბლს მოიცავს. თუმცა შესასვლელი კოლონადის, საპარადო კიბისა და პავილიონთა არქიტექტურა ვერ სცილდება დეკორაციულ ზედმეტობათა ფარგლებს, ორგანიზებული სისტემა შეაქვს პარკის საერთო არქიტექტურაში.

თეატრის მშენებლობა დამთავრდა ბათუმშიც (არქ. ტეპლიცკი, 1952), ამან მის წინ მდებარე მოედნის რეკონსტრუქცია გამოიწვია. რევოლუციის მუზეუმის შენობამ (არქ. კ. ჯავახიშვილი, 1954) ახალი იერი მიანიჭა ქალაქის ცენტრალურ კვარტალებს. მუშავდება ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტი. არქ. კ. ჯავახიშვილის პროექტით (1947) ქალაქის მომავალი ცენტრისათვის ადგილი ირჩევა ქალაქის საბჭოს წინ. მაგრამ ეს პროექტი არსებულ შენობათა ნგრევის დიდ პროცენტს მოიცავს და, გარდა ამისა, ნაკლებად იყენებს ბათუმისათვის, როგორც ზღვისპირა ქალაქისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას. ამიტომ მუშაობა ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტზე ჯერ კიდევ გრძელდება.

დიდი ყურადღება ექცევა ზღვისპირა პარკის გაფართოებას. პარკი პედაგოგიური ინსტიტუტიდან სპორტულ კომპლექსამდეა გადაჭიმული და მწვანეში ჩაფლული ფართო ხეივნებითაა დასერილი. 1949—51 წლებში მისი ტერიტორია 90.000 კვ. მეტრით იზრდება. პარკსა და ნაპირს შორის გაკეთდა ასფალტით მოფენილი გზა. პარკის ტერიტორიაზე, მცირე არქიტექტურულ ნაგებობათა გარდა, შენდება საზაფხულო თეატრი (კ. ჯავახიშვილი, ბ. კირაკოსიანი, 1940), რომლის ხის მსუბუქი ფორმები ნამდვილად საპარკო ხასიათისაა.

ბათუმთან ახლომდებარე კურორტთა შორის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის გეგმა შედგა ქობულეთისათვის (არქ. მ. ნიკოლაიშვილი, ე. ბაგრა-

---

142 Е. Разумовский, Г. Мисабишвили. Город-курорт: «Заря Востока», 1951, 9.9. № 213. ს. შონია, ტყე-პარკი სოხუმის მთაზე. „კომუნისტი“ 1951, 1. 5. № 102.

ტიონისა და ი. ზაალიშვილის მონაწილეობით, 1953), პროექტი ემყარება კურორტის უკვე ჩამოყალიბებულ გეგმარებით პრინციპს — ზღვის ნაპირას ხაზობრივ განლაგებას. ათკილომეტრიანი მთავარი ქუჩა აერთიანებს. როგორც საკურორტო, ისე ადმინისტრაციულ ნაგებობებს და, ბოლოს ერთვის მჭიდრო დასახლების ნაწილს, რომელსაც გეგმაში ტრაპეციული მოხაზულობა აქვს.

ფართოდ გაშლილი საკურორტო მშენებლობა და მასშტაბები ახლებურ ამოცანებს სვამს კურორტთა გეგმარების წინაშე — აუცილებელი ხდება არსებულ გენერალურ გეგმათა გადახედვა და შესწორება. 1950—51 წლებში მუშავდება წყალტუბოს დაგეგმარების და განაშენიანების ახალი გენერალური გეგმა (ი. ზაალიშვილი, ვ. კედია), რომელიც არსებითად განირჩევა ძველისაგან, თუმცა იცავს მის მიხედვით გაშენებულ რგოლური პროსპექტის პრინციპს. ამ პროექტის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს საცხოვრებელი ზონის გატანა არსებული კურორტის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, თერნალში, რომელიც წყალტუბოს სამხრეთით მდებარეობს. იქ გადადის რკინიგზის სადგურიც. ეს ტერიტორია დაგეგმილია კვარტალთა შორის პარალელური და გადამკვეთი ქუჩების ქსელით, რომელიც მთავარ მაგისტრალურ ქუჩასთანაა დაკავშირებული. მომავალ სადგურთან დაკავშირებული ეს მაგისტრალი სამხრეთის მხრიდან შედის საკურორტო ზონაში და უერთდება რგოლურ პროსპექტს.

ცენტრალური ველი გადაქცეულია საერთო-საკურორტო პარკად, რომელშიაც განლაგებულია სააბაზანო შენობები. ხოლო ველის გარშემო ამფითეატრად შემოკრული ბორცვები სანატორიუმთა კორპუსებისთვისაა განკუთვნილი.

გეგმაში მკაფიოდაა გადაწყვეტილი კურორტის ზონირება და კავშირი ბალნეოლოგიურ, სანატორიუმთა თუ ქალაქის დასახლებულ რაიონებს შორის. კურორტზე აშენდა მრავალი ახალი საბანაო შენობა, სანატორიუმი და სხვ. 1950 წ. დამთავრდა მშენებლობა № 6 სააბაზანო შენობისა (მ. ტარასოვი, გ. ხიმშიაშვილი), სასტუმროსი (ვ. ოლტარჟევსკი, ვ. სობოლევსკი). 50-იან წლების დასაწყისში დაპროექტდა და დაიწყო მშენებლობა რამდენიმე სანატორიუმისა, რომლებიც საექსპლოატაციოდ ცოტა მოგვიანებით გადაეცა, მაგრამ ყველა აშკარად ატარებს აღნიშნული პერიოდის არქიტექტურის კვალს („მეტალურგი“, არქ. ვ. კედია, თანაავტორი ნ. სოლოვიოვა, 1957; ნახშირის მრეწველობის სამინისტროსი, არქ. მ. მელეგი, გ. ხიმშიაშვილი, 1953; თავდაცვის სამინისტროსი, არქ. ა. ინწკირველი, ვ. ჩანტლაძე, ვ. ნასარაიძის მონაწილეობით, 1956; „გრუზპრომსოიუზკას“-ისა, ვლ. მესხიშვილი, ლ. ჯანელიძე, 1957), რაც ფასადებზე და შიდა გაფორმებაში არქიტექტურული მორთულობის ზედმეტობითაა გამოხატული.

რესპუბლიკის ქალაქთმშენებლები ინტენსიურად მუშაობენ ქალაქთა რეკონსტრუქციაზე. ყურადღების ცენტრშია დედაქალაქი — თბილისი.

ცხოვრებამ ზოგი კორექტივი შეიტანა ქალაქის გენერალური გეგმის ძველ პროექტში. მარცხენა ნაპირის ტერიტორია ქვემო ავჭალის რაიონში პროექტით მხოლოდ სამრეწველო ზონისათვის იყო განკუთვნილი, რადგან გათვალისწინებული ხიდი არ გაშენებულა, ახლა აქვე აშენდა აქ მდებარე შამპანურ, ჩაის გაღმწონ. კონიაკისა და სხვ. ქარხნების საცხოვრებელი სახლებიც, რომლებიც პროექტით მარჯვენა ნაპირზე უნდა მოთავსებულიყო; მტკვრის გაყოლებით, მარჯვენა მაღალ ნაპირას მდებარე ტერიტორია, რომელიც პარკისათვის იყო განკუთვნილი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომპლექსისათვის გამოიყო, ასევე სხვა დანიშნულებისათვის იქნა გამოყენებული ტერიტორიები საბურთალოს სიღრმეში. სწრაფად მზარდი ქალაქის განვითარება ახალ მოთხოვნილებებს უსახავდა გენერალურ გეგმას. სწორედ ამ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით შედგა თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების ახალი გენერალური პროექტი (ზ. ქურდიანი და ვ. ზოლოტუხინი; ეკონომისტი — ვ. ნეფედოვი; თანაავტორები: გ. ანდრიაძე, ნ. კოჩინაშვილი, ბ. მამინაშვილი, ნ. მიქაძე, ნ. ნუცუბიძე, მ. ჯაფარიძე, 1948—52), რომელიც ქალაქის პერსპექტიულ განვითარებას 1950—70 წლებისათვის საზღვრავდა. ამ გეგმის საფუძველს 1934 წლის გენერალური გეგმა შეადგენს[143]. პროექტი ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიის ზრდას ზაჰესამდე, დიღმის ველის, ზემო და ქვემო ავჭალის, ღრმაღელეს ათვისებას. აღმოსავლეთით ქალაქი იძენს ახალ ტერიტორიას კახეთის გზატკეცილის გაყოლებით მდინარე ლოჭინამდე. ამრიგად, სიგრძით ქალაქი 35 კილომეტრს აღწევს, ხოლო სიგანით — 3—4 კილომეტრს.

განაპირა რაიონები — დიღმისა და სამგორისა, ემორჩილება ცენტრალური პროსპექტის ღერძებს. დიღმის რაიონში განლაგებულია ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, კინოსტუდია, აქვეა დიდი ტყე-პარკი.

პროექტი ცენტრალური რაიონების მაგისტრალების გაფართოება-რეკონსტრუქციასაც გულისხმობს. ლენინის ქუჩის გაფართოება, საქართველოს-სამხედრო გზა, კლარა ცეტკინის და საბჭოს ქუჩები — მიმდებარე რაიონების წამყვან მაგისტრალებად იქცევიან. ზაჰესამდე, ღრმაღელეზე გავლით, გრძელდება ახალი მაგისტრალი. ხოლო შაუმიანის ქუჩა მიყვანილია სამგორის რაიონამდე. პროექტდება ახალი მოედნები. თუ მაშინ თბილისს 7 მოედანი ჰქონდა, პროექტით მათი რიცხვი 29-მდე იზრდებოდა. იცვლება გარე და შიდა სა-

---

143 Архитектурный облик столицы Грузии. Обсуждение проекта генерального плана реконструкции и развития Тбилиси. «Заря Востока» 1952, 30.5, № 127.

ტრანსპორტო კვანძები. გეგმა ითვალისწინებს თბილისისათვის ახალი და მეტად მნიშვნელოვანი სატრანსპორტო საშუალების — მეტროპოლიტენის გაყვანას[144].

ქალაქის არქიტექტურულ-მხატვრული სახის გადაწყვეტის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ პროექტი ცენტრალურ მოედნებზე და კვანძებზე მაღლივი სახლების აშენებას გულისხმობდა. ამ სახლების ასაშენებლად შერჩეული იყო ლენინის მოედანი, ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩის კუთხე, სანაპირო კარლ მარქსის სიდთან, საბურთალოს მოედანი, შაუმიანის მოედანი და სხვა.

როგორც დავინახეთ, ახალი პროექტი — ძველისაგან განსხვავებით რაიმე ახალ პრინციპულ გეგმარებითს იდეას არ შეიცავდა. იგი ითვალისწინებდა ძველი გენერალური გეგმის საფუძვლებს და კორექტივი შეჰქონდა მის კონკრეტულ გადაწყვეტაში. ცალკეული არქიტექტურული კვანძები. ქალაქის მაგისტრალები და მოედნები შემდგომ დამუშავებას მოითხოვდნენ, ხოლო საერთო არქიტექტურულ-მხატვრული სახე მაღლივი სახლების აშენებისა ჯერ მოუმწიფებელ იდეას ემყარებოდა. გენერალური გეგმის პროექტში იგრძნობა ის საერთო „პარადული" მიმართულება, რომელიც ცალკეული ობიექტების არქიტექტურაში იჩენდა თავს.

ამ პერიოდში მუშავდება ქალაქის ცალკეული რაიონების რეკონსტრუქციის პროექტებიც. 1952 წელს არქიტექტორები გ. გალდავა და ო. კალანდარიშვილი ადგენენ რუსთაველის პროსპექტისა და მოედანთან მიმდებარე ტერიტორიის მეტად საინტერესო პროექტს (არქ. გ. ანდრიაძისა და მ. კალაშნიკოვის მონაწილეობით). იგი მოიცავს ტერიტორიას მარქსიზმ-ლენინიზმის ფილიალის შენობიდან ერთი კილომეტრის მანძილზე, მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების გასაყარამდე (ტაბ. 57ე).

რუსთაველის პროსპექტი, „საქნახშირის" შენობის პირდაპირ მდებარე „მოდერნის" სტილით ნაგები საცხოვრებელი სახლის არასწორი მდებარეობის გამო, მკვეთრად იცვლის დინების ხაზს. იმის გამო, რომ „ზარია ვოსტოკას" და „კომუნისტის" რედაქციების შენობები ერთ სწორხაზზე მდებარეობს, აღნიშნული საცხოვრებელი სახლის აღების შემდეგ, შესაძლებლობა იქმნება პროსპექტი გასწორდეს ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების გადაკვეთამდე. მტკვარი ყველაზე ახლოს რუსთაველის პროსპექტთან ამ მიდამოებშია მოაზლოვებული, რასაც ავტორები იყენებენ რუსთაველის მოედანზე მარჯვენა მხარის გასახსნელად. ეს გახსნილი ხედი მტკვრის ნაპირისაკენ, არა მარტო სივრცობლივ-მხატვრული თვალსაზრისითაა ნაკარნახევი, არამედ სატრანსპორტო

[144] Градостроительство СССР. М., 1967. გვ. 51. სსრკ მინისტრთა საბჭომ დადგენილება „ქ. თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობის შესახებ" მიიღო 1951 წ. 29 სექტემბერს. იხ. საბჭოთა საქართველოს მნიშვნელოვან მოვლენათა მატიანე. თბ., 1967, გვ. 234.

საკითხების მოგვარების საჭიროებითაც. ელბაქიძის დაღმართისაკენ ეწყობა ესტაკადა, რომელიც ნაწილობრივ ათავისუფლებს მოედანს ტრანსპორტის მოძრაობისაგან. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს ახალი სატრანზიტო მაგისტრალის გაყვანას (ელბაქიძის დაღმართით — ღვინის ქარხნის ტერიტორია— ლენინის ქუჩა) რაც რუსთაველის მოედანს განტვირთავს ვაკე-საბურთალოსაკენ მიმავალი ტრანსპორტისაგან.

ელბაქიძის ხიდის ღერძზე მოწყობილი კიბეები ქალაქის ზედა ნაწილს მოკლე გზით აერთებს ხიდთან.

თვით რუსთაველის პროსპექტი სწორ მაგისტრალად იქცევა, მოედანი კი გადატანილია მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების გასაყართან.

მართალია, პროექტი განსახორციელებლად რთულ საკითხებს მოიცავს, მაგრამ ქალაქის ცენტრალური ნაწილის ამ უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებულ როგორც ფუნქციურ, ისე მხატვრული ამოცანებს. ამ ქალაქთმშენებლობითი იდეის განხორციელება მომავლისთვის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება.

ახალი შენობების აგებამ რუსთაველის პროსპექტს შეუცვალა საერთო არქიტექტურულ-მხატვრული იერი. მთავრობის სახლის მთავარი კორპუსი (ვ. კოკორინი და გ. ლეჟავა, ვ. ნასარიძის მონაწილეობით, 1953), კავშირგაბმულობის სახლის რეკონსტრუქცია (ი. ჩხენკელი, 1954) და „საქნახშირის" ადმინისტრაციული სახლი (კ. ჩხეიძე და მ. ჩხიკვაძე, 1954) ამჟღავნებენ ჯერ კიდევ მუზეუმის შენობის რეკონსტრუქციით გამოვლენილ მსხვილ მასშტაბურობას, პროსპექტს საზეიმო ხასიათს ანიჭებენ.

ომის შემდგომ პერიოდში, 1947 წლიდან, გრძელდება მუშაობა მტკვრის ნაპირების კეთილმოსაწყობად. მარცხენა ნაპირზე ეწყობა ახალი სატრანსპორტო მაგისტრალი, 1948—49 წლებში დამთავრდა საყრდენი კედლის ამოყვანა ბარათაშვილის ხიდიდან ელბაქიძის ხიდამდე და, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ჩელუსკინელთა ხიდიდან ფიზკულტურის პარკამდე[145]. ორთაჭალჰესის აშენება ამაღლებს წყლის დონეს მტკვარში. მტკვარზე შენდება ახალი ხიდები: მეტეხისა (არქ. ს. დემჩინელი, ინჟ. გ. ჩომახიძე, 1951), დიდუბისა (ა. ქურდიანი, ინჟ. კ. დიდიძე, 1953). ელბაქიძისა (მ. მელია, ინჟ. გ. ჩომახიძე, 1953). ამ სამუშაოებმა არა მარტო სატრანსპორტო პრობლემის გადაჭრას შეუწყეს ხელი, არამედ სრულიად უცვალეს სახე ქალაქის მეტად მნიშვნელოვან მონაკვეთს, რომელიც მტკვარს მიყვება და მრავალი წერტილიდან ჩანს.

---

145 ე. არ ო შ ი ძ ე. სანაპირო — თბილისის მშვენებაა. „კომუნისტი" 1950. 4. 11. № 248.

მიუხედავად ხიდების არქიტექტურული სხვადასხვაობისა, ისინი თავისი მასშტაბითა და არქიტექტურული ფორმებით ორგანულად შეეთვისენ ქალაქის საერთო არქიტექტურულ სახეს. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ითამაშა მოსაპირკეთებულმა ბუნებრივმა ქვამ—ბოლნისის ტუფმა, რომელიც მოსავს სამივე ხიდს. ბოლნისის ტუფი გამოყენებული რამდენიმე უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ნაგებობებისათვის (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი, მთავრობის სახლი, „საქნახშირის“ სახლი, აღნიშნული ხიდები და სხვ), კოლორიტის მხრივ აერთიანებს ქალაქის ახალ განაშენიანებას.

თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით გამოირჩევა დიდუბის ხიდი, რომელიც მოკლე გზით აკავშირებს ქალაქში მცხეთიდან შემოსასვლელს, მტკვრის მარცხენა ნაპირას გაშენებულ დიდ სამრეწველო და საცხოვრებელ რაიონთან.[146]

ხიდის სავალი ნაწილის გაბარიტები სრულიად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებას. იგი 27 მეტრის სიგანისაა და თავისუფლად ატარებს როგორც ტრანსპორტს, ისე ქვეითად მოსიარულეთ.

ხიდი ორმალიანია. მისი კომპოზიცია ასიმეტრიულადაა გადაწყვეტილი: ერთი, 72 მეტრიანი მალი, მდინარეზეა გადაგდებული, ხოლო მეორე — მცირე, სანაპირო ქუჩაზე (მალის სიგრძე 19,2 მეტრია).

კომპოზიციის ასიმეტრიულობა ხაზგასმულია როგორც თვით მალთა მოხაზულობით, ისე მათ შეერთებაზე დასმული მახვილით — დეკორაციული სვეტით.

დიდუბის მხრიდან ხიდი კვარცხლბეკზე მოთავსებული, გაპრიალებული გრანიტის ემბლემით იწყება. მის დამთავრებას კი თავიდანვე გაგრძნობინებთ სვეტები, რომლებიც მდინარის მეორე ნაპირთანაა. მათ შემდეგ ხიდი კვლავ გრძელდება და შეუმჩნევლად გადადის ქუჩის სავალ ნაწილში. დასაწყისში, ქვის პარაპეტის შემდეგ, თუჯის მოაჯირი მხოლოდ მდინარის თავზეა ამურული, მარტივი ორნამენტით შედგენილი. გამველს აქ თან ახლავს მტკვრის წყლის სარკე. შემდეგ ისევ ქვის დახურული პარაპეტია, რომელიც ხიდს ბოლომდე მისდევს.

ხიდი მთლიანად ბოლნისის ოქროსფერი ტუფითაა მოპირკეთებული, კამარის მოსაპირკეთებლად სანაინის გრანიტია ნახმარი.

საფასადო მხრიდან ხიდის აღქმისას, შთავარია მისი ასიმეტრიული კომპოზიცია — სვეტებითა თუ თაღთა სხვადასხვაგვარობით ხაზგასმული. კრონშტე-

---

146 მოძრაობა გაიხსნა 1954 წ. იანვარში. „კომუნისტი“ 1954, 29.1, № 24. ნ. ჯანბერიძე. ხუროთმოძღვარი არჩილ ქურდიანი. თბ. 1963, გვ. 38.

ინებაზე შედგმული თუჯის მოაჯირი თავისი ფერითა და ფაქტურითაც გამოყოფს მდინარის მალს. აქ გარკვეულ როლს თამაშობს ტროტუარის გადმოწევითა და მალის შეტეხვით შექმნილი შუქ-ჩრდილიც.

კარგია ხიდის პროპორციები. დეკორაციული ელემენტების ზომები ჰარმონიულადაა შეფარდებული ხიდის საერთო მასშტაბთან, რომელიც თანამედროვე ქალაქის ერთიან მასშტაბს ეთანაბრება.

დეტალების მხატვრულ დამუშავებაში დახვეწილი გემოვნება ჩანს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ემბლემა ნამგალი და ჩაქუჩის ტრადიციული ნახატით. იგი დამჯდარი პროპორციებისაა, გამოვლენილია ქვის ფაქტურა. მოპრიალებული გრანიტის ემბლემები საზეიმო იერს ანიჭებს ხიდის არქიტექტურას.

ახალი ხიდები, სანაპიროს მთლიანი გაშენება ზრდის სატრანზიტო მაგისტრალის მნიშვნელობას. მაგრამ საცხოვრებელი სახლების ჩამწკრივება ქუჩის პირას მარცხენა ნაპირის დიდ მონაკვეთზე თითქოს უარყოფს მდინარის ანსამბლის სივრცობლივი სტრუქტურის იმ პრინციპებს, რომლებიც ყოფ. მადათოვის კუნძულის რეკონსტრუქციაში იგრძნობოდა. ვინაიდან სანაპირო სატრანსპორტო მაგისტრალია, საცხოვრებელი განაშენიანების იზოლაცია სავალი ნაწილისგან სასურველი იყო.

დიდი სამუშაოები ტარდება ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობისათვის. 1948—50 წლებში მოიკირწყლა 90.000 და ასფალტით დაიფარა 212.000 კვადრატული მეტრი ქუჩების სავალი ნაწილისა, ხოლო 72,5 ათასი კვ მეტრი ტროტუარებისა[147]. ჩელუსკინელების ქუჩა გაფართოვდა სადგურის მოედნის მიმართულებით. ვიწრო, 17 მეტრის სიგანის ქუჩა გადაიქცა 30 მეტრიან მაგისტრალად, რომელზედაც საცხოვრებელი სახლები აშენდა. სადგურის რეკონსტრუირებული შენობა, რომელიც შპილითაა დაგვირგვინებული, ქუჩის პერსპექტივს ჰკეტავს, მაგრამ თავისი უღიმღამო არქიტექტურით გამოირჩევა (არქ. გ. ტერ-მიქელოვი, 1952), რადგან მასში ბოლომდე არ არის გააზრებული მასშტაბის, მოცულობათა თანაფარდობისა და ცალკეული დეტალების დამუშავების საკითხები[148].

1947 წელს ჩატარდა კონკურსი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის დაპროექტებისათვის (ცირკის წინ)[149].

მარჯანიშვილის ქუჩისა და პლეხანოვის პროსპექტის გადაკვეთაზე ეწყო-

---

147 Новый Тбилиси. «Заря Востока». 1950, 28.11, № 266.

148 Н. Джанберидзе, М. Карбелашвили, С. Кицурашвили. Архитектура Тбилиси. Тб., 1967., стр. 122.

149 იხ. ქვემოთ.

ბა ფართო მოედანი, რომელიც ორი მხრიდან შემოიფარგლა საცხოვრებელი სახლებით (მ. მელია, 1947—49). მოედანი ქალაქის მარცხენა და მარჯვენა ნაპირების მნიშვნელოვან შემაკავშირებელ კვანძს წარმოადგენს.

მელიქიშვილის ვიწრო ქუჩა, რომელიც ქალაქის მეტად მნიშვნელოვანი რაიონს — ვაკეს აკავშირებს ცენტრთან, გაფართოვდა. ახალი მაგისტრალებისა და მოედნების ირგვლივ ძირითადად ახალი, საცხოვრებელი სახლები შენდება. 1946—1949 წლებში თბილისს შეემატა 49.500 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი[150]. მაგრამ ჩვეულებრივ შენდება თითო-თითო სახლი, რაც არაეკონომიურია და მხატვრულ სიჭრელესაც იწვევს. ცალკეული სახლების მშენებლობის დროს ყოველთვის არ ითვალისწინებენ ქალაქის სპეციფიკას და ხშირად შენობა თავისი „მორთული“ ფასადით მეორეხარისხოვან ქუჩაზე გამოდის. ეზოს მხრიდან კი, რომელიც ქალაქის ბევრი ადგილიდან აღიქმება, იგი უყურადღებოდაა დატოვებული[151]. ხშირად სახლები ერთმანეთზეა მიდგმული, არა ჩანს კვარტალის დამუშავების არავითარი ცდა. სახლები ჩამწკრივებულია ერთ რიგად, გამორიცხულია შიდაკვარტალური სივრცის მიზანშეწონილი განაწილება. საცხოვრებელი სახლების უმრავლესობას ეზო ან სულ არ გააჩნია, ან თუ აქვს, მეტად უმნიშვნელოა.

ქუჩის განაშენიანებაში უგულებელყოფილია შენობათა შორის სივრცობრივი პაუზები, რაც მნიშვნელოვანია და ქალაქში ხედების გახსნის საშუალებასაც წარმოადგენს. მელიქიშვილის ქუჩაზე რომ იყოს ინტერვალები, ეს მეტ ცხოველხატულობას შეიტანდა მაგისტრალის საერთო მხატვრულ სახეში და მეტად გამოავლენდა ქალაქის თავისებურებას[152].

ქალაქის არქიტექტურულ სახეში გაჩნდა შენობები ვერტიკალური, კოშკური ნაწილებით, რომლებიც ყოველთვის როდი იყო გამართლებული და უარყოფითად მოქმედებდა როგორც მხატვრულ სახეზე, ისე მშენებლობის ღირებულებაზე[153].

კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის გამწვანებას. 1950 წლისათვის ქალაქის მწვანე მასივის საერთო ფართობი 2.200 ჰექტარს შეადგენს[154]. ვა-

---

150 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესია. „კომუნისტი“. 25.7. 1950 № 160.

151 Р. Агабабян. Архитектурный облик Тбилиси. «Заря Востока», 1954, 10.7, № 161.

152 ნ. ჯანბერიძე. საბჭოთა არქიტექტურული სტილის ზოგიერთი საკითხისათვის. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952. 6. 1, № 1.

153 იხ. ნ. ჯანბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურის ზოგიერთი საკითხი. „მნათობი“ 1955. № 6, გვ. 149.

154 «Заря Востока», 1950, 28.11, №266.

კის საცხოვრებელი რაიონის ბოლოს 120 ჰექტარის ტერიტორიაზე იქმნება ახალი პარკი (არქ. ქ. დგებუაძე, ე. ციციშვილი), რომელიც ხრიოკ ადგილზე გაშენდა 1946—1951 წლებში[155]. იგი გაშენებულია ვაკეზე და ტერასებად ადის მთის ფერდობებზე კუს ტბისაკენ, რომლის წყალი გამოყენებული იქნება ხელოვნური ჩანჩქერისათვის. დიდი და მცირე შადრევნები, კიბეები განუყოფელი ელემენტებია რეგულარულად დაგეგმილ პარკისა, რომელიც თანდათანობით ტყის მწვანე მასივში გადადის. პარკში კინოთეატრისა და რესტორნის გარდა აშენებულია სტადიონი 36.000 კაცისთვის.

შეიქმნა გენერალური გეგმით განსაზღვრული წყალსაცავი — „თბილისის ზღვა", რომელიც რწყავს 80.000 ჰექტარ მიწას. იორის წყლებმა დაფარა ადგილი, რომელიც სამ ნახევრადმომშრალ მლაშე ტბას ეკავა. წყლის სარკემ 13,5 კვ. კმ ტერიტორია დაფარა. „ზღვის" სიგრძე 9 კმ-ია, ხოლო საშუალო სიგანე — 1,5 კმ. მის ნაპირებზე გაშენდა პარკი (გ. ანდრიაძე, მ. ჯაფარიძე, ს. კინწურაშვილი, გ. მელქაძე, ე. ციციშვილი, 1952), რომელიც თბილისელთა დასვენების შესანიშნავ ადგილს წარმოადგენს. თბილისის ზღვის გარშემო კეთილმოსაწყობი ტერიტორიის საერთო ფართობი 850 ჰექტარია.

ამრიგად, რეკონსტრუქციის სამუშაოების თანმიმდევრული ჩატარებით თბილისში და სხვა ქალაქებშიც ხორციელდება გენერალური გეგმით გააზრებული ქალაქთმშენებლობითი იდეები, შენდება ახალი ქალაქები, დასახლებული რაიონები, სახეს იცვლიან ძველი ქალაქები. ამ დიდსა და მრავალფეროვან მუშაობას წარმატებებთან ნაკლიც ახლდა: ქუჩების ცალკეული უბნები, რომელთა ფასადები „გაფორმებული" იყო სხვადასხვა სტილისა და ეპოქათა არქიტექტურული ელემენტებით, აქვეითებდნენ არქიტექტურულ გამომსახველობას და კომპოზიციის ერთიანობას. იმ დროის არქიტექტურაში გამეფებული ზედმეტობა და პომპეზურობა შეეხო ქალაქთმშენებლობასაც. სიმეტრიული აგების სქემა, რომელშიც პროექტის დამუშავება არ შეეფერება საერთო მასშტაბს, რელიეფს, ქალაქის სპეციფიკას — ძალზე ხშირია; კვარტალთა პერიმეტრული განაშენიანება, ქუჩის გასწვრივ უწყვეტი რიგები სახლებისა უსაფუძვლოდ იქცა ყველაზე გავრცელებულ ხერხად ქალაქთა რეკონსტრუქციასა და მშენებლობაში. იშვიათია საინეინრო თუ არქიტექტურული თვალსაზრისით კომპლექსური გადაწყვეტის მაგალითები.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. როგორც წესი, ძირითადი მაგისტრალების გასწვრივ წარმოებდა (მელიქიშვილის ქუჩით ვაკისაკენ, ჩელუს-

---

[155] კულტურის და დასვენების ახალი კერა. „კომუნისტი" 1951, 1. 6, № 102. Новый парк в Ваке «Заря Востока», 1951, 1.6, № 102.

კინელთა ქუჩა და სხვ.); ფართოვდებოდა მაგისტრალები, რომლებიც თანამედროვე მოძრაობის პირობებს ეფარდებოდა. მაგრამ რეკონსტრუირებულ მაგისტრალთა განაშენიანება არ მოიცავდა მიმდებარე კვარტალების რეკონსტრუქციას, იგი არ სცილდებოდა თვით ქუჩის ვიწრო ზოლის ფარგლებს, რაც აქვეითებდა მის ყოფითსა თუ სანიტარულ-ჰიგიენურ მნიშვნელობას[156].

ეს შეცდომები, რომლებიც დამახასიათებელია საერთოდ საბჭოთა ქალაქთმშენებლობისათვის, ეხება ქართულ არქიტექტურასაც. ეს შეცდომები დაგმობილ იქნა პარტიისა და მთავრობის 1955 წლის 4 ნოემბრის დადგენილებაში „პროექტირებაში და მშენებლობაში ზედმეტობათა აღმოფხვრის შესახებ". მაგრამ ქალაქთა რეკონსტრუქციისა და განაშენიანებისთვის გაწეული უდიდესი მუშაობა, რომელიც ქალაქების მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს მკვეთრად აუმჯობესებდა, მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ქალაქთმშენებლობის დარგში მიღწეულ დიდ წარმატებებზე მეტყველებდა.

6 1941—1954. საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა

სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების მეოთხე ხუთწლიან გეგმაში საბინაო მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ დამტკიცებული კანონი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—50 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ, აგრეთვე ერთ-ერთ ამოცანად სახავდა ხალხის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო დონის ამაღლებას, რაც ფართოდ გაშლილ საბინაო მშენებლობასაც გულისხმობდა. მეოთხე ხუთწლედის მანძილზე საქართველოში 1146 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი აშენდა[157]. გეგმით დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებლად საჭირო იყო ინდუსტრიული და ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდების დანერგვა მშენებლობაში, ამასთან დაკავშირებით კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ტიპობრივ პროექტირებას, რომელიც ჩვენთან ჯერ კიდევ ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენდა. ჩამორჩებოდა პროექტირების სერიული მეთოდის დამუშავება, არქიტექ-

---

156 Основы советского градостроительства. М., 1966. გვ. 221.

157 Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции Тб., 1967, გვ. 297.

ტურულ-გეგმარებითი და კონსტრუქციული ელემენტების უნიფიკაცია და საბინაო მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ჯერ კიდევ ომის წლებში, 1944 წელს, დაიწყო მშენებლობა რუსთავში, სადაც მცირესართულიანი საცხოვრებელი სახლები იკავებდა შიდაკვარტალურ და შეორეხარისხოვან ქუჩების ტერიტორიას, ხოლო მაგისტრალური ქუჩები გაშენდა მრავალსართულიანი შენობებით.

ქალაქის მშენებლობის პირველ ეტაპზე ერთი და ორსართულიანი სახლები შენდებოდა. მცირესართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, გარდა იმისა, რომ ადგილობრივი საშენი მასალების, მარტივი მექანიზაციის, დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის გამოყენებას ეყრდნობა და ბინების საექსპლოატაციოდ სწრაფად ჩაბარების შესაძლებლობას სახავს, საქართველოს პირობებში ის უპირატესობაც აქვს, რომ მწვანე ნარგავების საშუალებით თავიდანაა აცილებული მზისაგან გადახურება; უფრო თავისუფლად თავსდება ღია საზაფხულო სათავსები (ტერასები, აივნები, ლოჯიები და სხვ.); ანტისეისმურ ღონისძიებათა ნაკლები სირთულე და მშენებლობის გაიაფებისათვის საცხოვრებელი სახლების სპეციალური ტიპების (მაგ. ღია კიბის უჯრედით) გამოყენებაც მის დადებით მხარეს შეადგენს[158]. რუსთავში მცირესართულიანი სახლების მშენებლობა სხვადასხვა პროექტების მიხედვით წარმოებდა. მეტი გავრცელება ჰპოვა ერთბინიანმა კოტეჯებმა, რომლებიც ოთხ ოთახს შეიცავდა.

აღნიშნული საცხოვრებელი სახლები ითვალისწინებდნენ ადგილობრივ პირობებს. როგორც წესი, ჰქონდათ აივანი და ცალკეულ ელემენტთა დამუშავებაც ქართული არქიტექტურული ტრადიციებიდან გამომდინარეობდა.


გარდა ინდივიდუალური პროექტებისა, 1948 წლიდან მშენებლობა წარმოებს ტიპობრივი პროექტებით, ერთსართულიანი ერთ და ორბინიანი სახლებისათვის 151-ე სერიით (არქ. მ. ჭკადუა, ნ. სოლოვიოვა, ს. რევიშვილი, გ. თელია, ინჟ. ი. ჯაფარიძე) და არქ. ლ. სუმბაძის სერიული № 209, ტიპობრივი პროექტით, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში (ქუთაისის ავტოქარხნის დასახლება, გორის ბამბეულის კომბინატის დასახლება, საბჭოთა მეურნეობები და სხვ.), არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამ პროექტის მიხედვით საცხოვრებელი სახლები გაშენდა რუმინეთის ქალაქ ვიქტორიაშიც. ეს სერია შედგება ოთხი პროექტისაგან (ოთხბინიანი, რვა-

---

[158] В. Гагошидзе. Проектирование экономичных квартир и секций в условиях юга. Тб., 1961, გვ. 6.

ბინიანი. კუთხის ათბინიანი და კურდონერით გადაწყვეტილი თორმეტბინიანი). სერიის ყველა სახლი შედგენილია გვერდის სექციის ორი ტიპისა და ერთი კუთხის სექციებისაგან. ბინათა ტიპები ოთხია: ოროთახიანი, სამოთახიანი და ორი ოთხოთახიანი.

ოთახები ერთმანეთთან კარგადაა დაკავშირებული და სანკვანძისა და სამზარეულოს ბლოკთან ერთად კომპაქტურ ბინას ქმნის. აქ დამახასიათებელია



რვაბინიანი საცხოვრებელი სახლი, სერია № 209-2. პირველი სართულის გეგმა.

ის, რომ კიბის უჯრედი ღიაა და აივანშია გამოტანილი, რაც გარკვეულ ეკონომიურობას აღწევს. კონსტრუქციული და არქიტექტურული ელემენტები უნიფიცირებულია. შენობის გარე სახეში გამოირჩევა ხის ღია აივნები და კიბის მარში.


მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დამტკიცებული ტიპობრივი პროექტების უქონლობის გამო მშენებლობა ძირითადად ინდივიდუალური პროექტებით წარმოებდა, მაგრამ მშენებლობის გაიაფებისათვის დაინერგა პროექტთა განმეორებითი გამოყენება, რაც გარკვეულ ეფექტს აღწევდა.

პროექტთა სხვადასხვაგვარი დამუშავება ბინებში სხვადასხვაგვარ პირობებს ქმნიდა, ხშირი იყო შეუსაბამობა საცხოვრებელ თუ დამხმარე სადგომთა ფართობის განსაზღვრაში, რაც, ბუნებრივია, ბინათა, სექციების და მთლიანად სახლის ეკონომიურ მაჩვენებლებზე დიდად მოქმედებდა. მაგალითად, ქ. რუსთავისათვის გამოყენებულ პროექტებში ოროთახიან ბინებში დამხმარე ფართობი მერყეობს 15,2 კვ. მეტრიდან 29,28 კვ. მეტრამდე, სამოთახიანში —

18,48 კვ. მ-დან 39,9 კვ. მ-მდე, ოთხოთახიანში კი 19,17 მ²-დან 39,8 კვ. მეტრამდე[159].

საბინაო მშენებლობის საკითხებს დიდი ყურადღება ექცევა. თბილისის საქალაქო XX პარტიულ კონფერენციაზე აღნიშნული იყო, რომ საბინაო მშენებლობის ტემპები ძალზე უნდა გაძლიერდეს. რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 3—4-ჯერ მეტი უნდა აშენოს, ვიდრე აშენებდა[160]. და ეს მაშინ, როცა აღინიშნება, რომ „თბილისში არასდროს არ შენდებოდა ასე ბევრი საცხოვრებელი სახლი"[161]. მიუხედავად უწინდელთან შედარებით გაზრდილი ჰასშტაბებისა, ბინათმშენებლობა ჯერ ვერ აკმაყოფილებდა მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. პარტიის XIX ყრილობამ (1952) დასახა საბინაო მშენებლობის განვითარების პროგრამა.

საცხოვრებელი სახლების დაგეგმარების გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკაში სისტემატურად ეწყობა კონკურსები: 1947 წ. 3—4—5 სართულიან საცხოვრებელი სახლისა, 1948 წელს 4—5 სართულიანისა. პროექტების უმრავ-



რიგითი სექცია. 3-3. არქ. ვ. კედიას საკონკურსო პროექტი. 1948.

ლესობა, მიუხედავად ინდივიდუალური მიდგომისა, საქართველოსათვის დამახასიათებელ საერთო გეგმარებით პრინციპს ემორჩილება. აღსანიშნავია არქ. ვ. კედიას პროექტი, რომელშიაც სამოთახიანი ბინები გადის აივანზე, რომლის

---

159 В. Гагошидзе. Архитектурно-планировочные решения квартир и секций в условиях Грузии. М., 1952.

160 Важнейшие задачи городского строительства Тбилиси: «Заря Востока» 1951, 6.2, № 30.

161 На стройках Тбилиси: «Заря Востока» 1951, 7.6, № 132.

გაბარიტებში სამმარშიანი კიბის უჯრედიც თავსდება. აივნები დაკავშირებულია საცხოვრებელ ოთახთან და სამზარეულოსთანაც, მაშასადამე ბინის განუყოფელ კომპონენტს შეადგენს. მაგრამ საერთო ოთახი, ფაქტიურად, გასასვლელს წარმოადგენს, ცუდად ნათდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საერთო დაგეგმარებაზე. ხალხური საცხოვრებლის საინტერესო იდეას ემყარება ა. ნიკოლაიშვილის სექცია, სადაც ოთახები ერთმანეთთან დერეფნის გარეშეა დაკავშირებული, ხოლო აივანი ბინის მთელ სიგრძეზეა მიდგმული. გ. კანდელაკის პროექტში სამეურნეო ვერანდა სიღრმეში შედის და ფაქტიურად ქმნის ლოჯიას, რომელსაც უკავშირდება საერთო ოთახი. კედლის შეტეხვა ართულებს კონსტრუქციასაც და აღნიშნულ ფართობსაც კონკრეტულ დანიშნულებას უკარგავს, რადგან საცხოვრებელ ოთახსა და დამხმარე სადგომს შორის გაურკვეველ შუალედს წარმოადგენს. ასევე ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის ლოჯიის ადგილი და მისი ბინასთან კავშირი მ. მელიას სექციაში. შედარებით მკაფიო დაგეგმარებით გამოირჩევა ი. ჩხენკელის სექცია, თუმცა მასში გადაუწყვეტელია სანკვანძის მდებარეობა და მასთან დაკავშირებით ოთახთა განლაგება. საინტერესოა მ. შავიშვილისა და გ. ჩიგოგიძის მიერ 1952 წ. დამუშავებული სექციები ქუთაისის ავტოქარხნის დასახლებისათვის, რომლებშიაც ყველა ძირითადი მოცულობითი და გეგმარებითი ელემენტი უნიფიცირებულია აგურის მოდულის საფუძველზე — 130 მმ ჰორიზონტულ და 150 მმ ვერტიკალური მიმართულებით (კიბის უჯრედები, სამზარეულო, მსუბუქი ბეტონის საფენები გადახურვისთვის, კარებისა და ფანჯრების ხვრელობები, კონსოლური აივნები, კარნიზი და სხვ.) მაგრამ ამ სექციების ნაკლია ბინათა გაზრდილი ფართობი იმდროინდელ მოქმედ ნორმებთან შედარებით და საცხოვრებელი ფართობის ნაწილის მოქცევა დამხმარე ფართობში[162].


მიუხედავად ნაკლოვანი მხარეებისა, ტიპობრივი პროექტების სერიის შექმნა ხელს უწყობდა კვარტალების დამთავრებული სახით განაშენიანებას და თანდათან ნერგავდა მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებს.

სამშენებლო-საწარმოო ბაზის განმტკიცებამ და გაძლიერებამ, საშენი მასალების წარმოების ზრდამ ხელი შეუწყო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ხვედრითი წონის მომატებას საერთო საბინაო მშენებლობაში. მშენებლობა უპირატესად ინდივიდუალური პროექტებით წარმოებდა, ზოგ-

---

[162] Р. Агабабян, И. Цицишвили, Г. Чигогидзе. О типовых жилых секциях для строительства в Грузинской ССР. «Арх. СССР», 1958, № 11. გვ. 28. და მათივე «О типовых жилых секциях в условиях Грузии: «Труды Груз. Политехнич. института», 1957, № 7.


ჯერ გამოყენებული იყო განმეორებითი პროექტები. მაგრამ ასაშენებელ საცხოვრებელ სახლთა რაოდენობა გადაუდებელ საკითხად სვამდა ტიპობრივი დაპროექტების აუცილებლობას და მათ მიხედვით მშენებლობას. 1950 წელს არქ.



ჭუთაისის ავტოქარხნის დასახლება. რიგითი სექცია.

ი. ჩხენკელი აპროექტებს 4—5 სართულიანი საცხოვრებელი სახლების ტიპობრივ სექციებს, რომლებიც 1953 წელს დამტკიცდა.

სერია 9 სექციისაგან შედგება: 6-რიგითია, 2 გვერდისა და ერთი — კუთ-



ტიპობრივი სექცია. ი. ჩხენკელი.

ხისა. არქიტექტურულ-სამშენებლო ელემენტების უნიფიკაციის წყალობით მიღწეულია ცვალებადობის შესაძლებლობანი, მთელი სერიისათვის მიღებუ-

ლია კორპუსთა ერთი სიგანე, კონსტრუქციული სქემა ეყრდნობა ორმალიან გრძივ კედლებს. ეს სქემა რაციონალური კონსტრუქციული და გეგმარების საფუძველს ქმნის.

საცხოვრებელი ოთახები ფართობისა და დანიშნულების მიხედვით მკაფიოდაა დანაწილებული. საძადილო ოთახი და სამზარეულო უშუალოდ უკავშირდება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ვერანდას, რომელიც ეზოს მხარესაა და ზაფხულის დღეებში, ფაქტიურად, ზრდის საძადილო ოთახის ფართობს. ხოლო მისი იზოლირება სხვა ბინებისაგან აუმჯობესებს ექსპლუატაციის პირობებს. სანიტარული და სამზარეულო ბლოკის სქემები ქარხნული წესით დამზადების შესაძლებლობას ქმნის.

პროექტი ითვალისწინებს ორიენტაციის ცვალებადობასაც. ბინები უზრუნველყოფილია გამჭოლი ან კუთხის განიავებით საცხოვრებელი ოთახების საშუალებით.

მგაგრამ სერიაში არ არის ბინების მრავალფეროვნება. თან, დიდი ოთახის ფართობი შედარებით მცირეა. ერთ-ერთ სექციაში ოროთახიან ბინას მხოლოდ ცალმხრივი ორიენტაცია აქვს (Р 2—2—2). კუთხის სექციების სამოთახიან ბინებში დამხმარე ფართობი საგრძნობლადაა შემცირებული და სხვ.

მიუხედავად ამ ნაკლისა, ეს ტიპობრივი სექციები თავის დროისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და 1953 წლიდან საბინაო მშენებლობა ძირითადად მათ მიხედვით წარმოებდა.


როგორც აღინიშნა, ინდივიდუალური პროექტებით აშენებული საცხოვრებელ სახლების როლი იმდროინდელ ბინათმშენებლობაში დიდია. რეკონსტრუირებული მაგისტრალები, მოედნები შენდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით. მათ გარკვეული ქალაქთმშენებლობითი ფუნქცია ეკისრებათ. თბილისში მარჯანიშვილის მოედანზე, ვაგზლის მოედანზე, მტკვრის სანაპიროზე, საქართველოს სამხედრო გზაზე, უნივერსიტეტის, ჩელუსკინელთა და სხვა ქუჩებზე აშენებული სახლები აქტიურად „მონაწილეობენ“ აღნიშნულ მაგისტრალთა რეკონსტრუქციაში, წარმართავენ კიდეც მათს არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ინდივიდუალური პროექტირებისა, ზოგჯერ განაშენიანება კომპლექსურია (მაგ. ჩელუსკინელთა ქუჩის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე). მაგრამ მიუხედავად ამისა, განაშენიანება ხაზოვან-პერიმეტრიულ პრინციპზეა დამყარებული და არქიტექტორები „თავის“ ყოველ ცალკეულ სახლს „გამოსაჩენი“ ფორმებით ამკობენ და ხშირად არა თუ ერთიან მხატვრულ სახეს, განაშენიანების სიმაღლესა და ქუჩის სილუეტსაც არ იცავენ. თვით შენობათა არქიტექტურა კი მონუმენტურობის,

დეკორაციულობის შექმნისკენაა წარმართული. მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა საბინაო კომფორტი, ბინათა მოხერხებულობა, არატიპობრივი, ინდივიდუალური მშენებლობა აფერხებდა ინდუსტრიალიზაციის დანერგვას, აქვეითებდა ეკონომიურ ეფექტიანობას.

საცხოვრებელი სახლების ქალაქთმშენებლობითი ფუნქციის გამოვლენის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს მარჯანიშვილის მოედნის რეკონსტრუქცია და ერთმანეთის პირდაპირ, ორი საცხოვრებელი სახლის აშენება (მ. მელია, 1947-49). ეს სახლები ქმნიან ახალ მოედანს. ამის გამო შენობათა კონფიგურაცია შეტეხილია, პლეხანოვის პროსპექტის მხარეს ისინი უერთდებიან ძველ განაშენიანებას, ხოლო შემდეგ, შეღრმავებით — გაფართოებული მოედნის წითელ ხაზს. ამგვარად სახლები ორგანულადაა ჩართული ძველი ქუჩის დინებაში, და ახალი მოედნის მოხაზულობასაც თვითონვე ქმნიან (ტაბ. 59).

ორივე შენობა ხუთსართულიანია, ფასადის ფორმები მარტივი და წყნარია. ორივე სახლის გეგმის კონფიგურაცია და მოცულობის სილუეტი ერთნაირია. მსგავსია ფასადთა კომპოზიცია და დეტალები, მოპირკეთება და ფასადთა ფერი. ფასადთა დამუშავების საერთო ხასიათი ანსამბლურ განაშენიანებას ემსახურება. პლეხანოვის პროსპექტისაკენ მიმართულ გამოწვეულ ნაწილს ბელვედერები ამთავრებს, რაც აგრეთვე გამოყოფს პროსპექტისაკენ მიმართული ღერძის მნიშვნელობას.

უფრო ადრე აშენებული საცხოვრებელი სახლი № 83—85 ექვსსექციანია, რომელთაგან ორი რიგითია, ორი — გვერდის და ორიც — კუთხისა. სახლში სულ 60 ბინაა; ბინების შიგნით მკაფიოდაა დიფერენცირებული საცხოვრებე-




თბილისი. საცხოვრებელი სახლი მარჯანიშვილის მოედანზე. № 83/85. რიგითი სექცია.

ლი თუ დამხმარე სადგომები. დერეფანში არის ჩაშენებული კარადა. ოთახთა ზონირება, მათ შორის კავშირი მოხერხებულია. კარგად მყარდება კავშირი სამ-

ზარეჟულოსა, სასადილო ოთახსა და სამეურნეო აივნებთან. მაგრამ ასეთი აივნები ყველა ბინას არა აქვს. შენობის ნაკლია ისიც, რომ ზოგიერთი ბინა გამჭოლი განიავების საშუალებას მოკლებულია ზოგში განიავება კიბის უჯრედის საშუალებითაც კი არ ხერხდება. სერიოზულ ნაკლია აგრეთვე ბინათა ორიენტაცია: მთავარი ფასადი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს უყურებს — აქეთკენაა მიმართული ცალმხრივი ბინები, ისევე, როგორც ორმხრივი ბინების დიდი ნაწილი. უკეთეს მხარეს, ეზოსაკენ გადის, ძირითადად, კიბის უჯრედი, დამხმარე სადგომები და საცხოვრებელი ოთახების მცირე რაოდენობა; კუთხის 6-სართულიან ნაწილს ლიფტი არა აქვს. ბინათა ფართობი არსებულ ნორმებთან შედარებით გადაჭარბებულია, ოროთახიანში — 32%-ით და სამოთახიანში 20%-ით. მომატებულია დამხმარე ფართობიც. შერჩეულია სამზარეულოსა და სანკვანძის 4 ტიპი; ზოგჯერ საპირფარეშო და აბაზანა გაერთიანებულია, თან ისინი ნათდებიან მეორე სინათლით: ზოგჯერ ერთ-ერთი მათგანი ბნელია და ა. შ. ყველაფერი ეს თავის დაღს ასვამს ბინათა საერთო ხარისხს[163].

ბინების გაცილებით უკეთესი გადაწყვეტაა მოპირდაპირე, № 86—90 საცხოვრებელ სახლში, რომელიც მეორე რიგში აშენდა. ჯერ ერთი, შენობა თავი-



თბილისი. საცხოვრებელი სახლი მარჯანიშვილის მოედანზე. № 86/90. რიგითი სექცია.

სი ფასადით მიმართულია შედარებით უკეთეს მხარეს (ჩრდილო-აღმოსავლეთით) და ამიტომ ფასადის მხარეს მდებარე ოთახები ქვეყნის მხარეთა მიმართ

---

163 Д. Гдзелидзе. Опыт проектирования и строительства 4—5 этажных жилых домов в гор. Тбилиси. М., 1955, გვ. 92—93.

უკეთეს პირობებშია. ყველა ბინას აქვს სამეურნეო-ყოფითი ვერანდები, ყველა უზრუნველყოფილია გამჭოლი განიავებით. ესეც საკმარისია იმისათვის, რომ აშკარად გამოჩნდეს ამ სახლის უპირატესობა პირველთან შედარებით.

ბინათა დაგეგმარება, კავშირი ოთახებს შორის მოხერხებულია. ბინებში არ არის გასასვლელი ოთახები. ოთახების კარგი სიღრმე, პროპორციები, სამზარეულოს დაკავშირება ოთახებთან და სამეურნეო აივანთან მცხოვრებთ კარგ პირობებს უქმნის. მართალია, აქაც ბინების ცალკეული ფართობები გადაჭარბებულია. და არ არის მცირეოთახიანი ბინები, (რაც შეუძლებელს ხდის ამ სექციათა მასობრივი დანიშნულებისათვის გამოყენებას) მაინც, საცხოვრებელი სახლის საერთო დაგეგმარება და გადაწყვეტა, როგორც დავინახეთ, გარკვეული ღირსებებით ხასიათდება.

ფასადთა კომპოზიცია მთლიანად ექვემდებარება მოედნის ანსამბლური განაშენიანების ამოცანას. შენობათა მკაცრი სიმეტრია მოედნის ჩაკეტილ სივრცეს ქმნის. შენობები გვერდის ნაწილებზე მოთავსებული კოშკური აქცენტებით გამოყოფენ მოედნიდან პროსპექტისაკენ გასასვლელს, იმავე დროს, ხაზს უსვამენ პროსპექტის მიმართულებას. ორივე შენობის საერთო იერი ერთნაირია. ის ნიუანსები, რომლებიც მათ განასხვავებს, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველია, მაგრამ თავისთავად, საკმაოდ მნიშვნელოვანი. ორივე შენობის ფასადები სამ ჰორიზონტულ რეგისტრს ქმნიან, რომლებიც სიმაღლეზე პირველ, მეორე და დანარჩენ სამ სართულს აერთიანებენ. ქვედა სართული მაღაზიებს განეკუთვნება და იგი მოპირკეთებულია რუსტირებული ქვით. ზედა რეგისტრი რუსტიკას იმეორებს შელესვით, ხოლო ზედა სამი სართული გლუვი შელესილი ზედაპირითაა წარმოდგენილი.

ამ შენობის ფასადის სიბრტყე მორთულია ფანჯრების და კარების პროფილირებული და ორნამენტულ საპირეებით, მოწყობილია ლოჯიები, გაძლიერებულია ცალკეულ ელემენტების გამომსახველობა (აივნების მოაჯირები), ღრმა და რელიეფურია ორნამენტული მოტივები. შენობა ღია ფერითაა შეღებილი. ამ არქიტექტურული ხერხის საშუალებით არქიტექტორმა მიაღწია ორივე ნაგებობის ფასადთა წონასწორობას[164].

არქიტექტორმა ვერ აიცილა ფასადთა ორნამენტული სამკაულებით და ელემენტებით მორთვის ცდუნება. თუმცა, ისინი მაინც და მაინც არ ჭარბობენ, მაგრამ დეკორაციულ ფრიზს, პარაპეტის ორნამენტულ ჩანადგარებს, მცირე

---


164 მ. ლორქიფანიძე, ი. ციციშვილი, ქართული საბჭოთა არქიტექტურის მორიგი გამარჯვება: „კომუნისტი“, 1951, 29.3. № 74.

შპილებს, ფრონტონებს ეკლექტიზმის ელემენტები შეაქვთ ფასადის არქიტექტურაში.

1949 წელს დამთავრდა 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა თბილისში, ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე (არქ. ა. მიმინოშვილი).

შენობა პატარაა, იგი 10 ბინას შეიცავს და მისი ფრონტი სულ 22 მეტრზეა გადაჭიმული. ფასადი „ჩაშედილია“ ვიწრო ქუჩის (რომლის სიგანე ხუთ მეტიოდე მეტრია) მკვიდრო განაშენიანებაში და მისი კომპოზიცია ვერტიკალურ ხასიათს ატარებს (ტაბ. 60₂).

სექცია ორი ბინისაგან შედგება. კიბის უჯრედზე გამოდის 3 და ოთხოთახიანი ბინები. ფასადი სამხრეთისაკენაა მიმართული — აქეთ მხოლოდ საცხოვრებელი ოთახებია მოთავსებული. ეზოსკენ კი მიმართულია სამზარეულო და



თბილისი. საცხოვრებელი სახლი ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე. ტიპობრივი სექცია.

სასადილო, რომლებიც სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ვერანდაზე გადიან. სასადილო ოთახს აქვს ღრმა დასასვენებელი ალკოვი ორი საწოლისათვის, რომელიც აივანზე გადის. ამრიგად, სამოთახიანი ბინა ფაქტიურად შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ოთხოთახიანი, ხოლო ოთხოთახიანი ხუთოთახიანად, რადგან ეს ალკოვი დამატებით იზოლირებულ კუთხეს ქმნის. ოთახები ღრმაა, რაც თავიდან იცილებს გადახურებას.

სანიტარული კვანძი დაყოფილია. აბაზანა ბინის სიღრმეშია და საწოლთა-

ნაა დაკავშირებული, ხოლო საპირფარეშო დერეფანთან მდებარეობს. ყველა ბინას ფასადის მხარესაც აქვს აივნები. ბინები ორ მხრივ ნიავდება.

ბინის ასეთი გადაწყვეტა არ არის მოკლებული მოხერხებულობას, მაგრამ მას სერიოზული გეგმარებითი და ეკონომიური ხარვეზები აქვს. ბინების ფართობი ძალზე გადაჭარბებულია — სამოთახიანი 60%-ით, ხოლო ოთხოთახიანი 55%-ით მეტი იყო ნორმებთან შედარებით (სამოთახიანი ბინის საცხოვრებელი ფართობი 80,3 კვ მეტრია, ხოლო ოთხოთახიანისა — 100 კვ მეტრამდე). სანიტარული კვანძის განცალკავება, ბუნებრივია, აძვირებს მშენებლობას. თანაც აბაზანის ოთახი ბნელია. დერეფანთან დაკავშირებულია მხოლოდ ერთი ოთახი — სასტუმრო, სხვა ოთახებთან კავშირი მცირე ტამბურითაა. გარდა ამისა, სასადილო ოთახთან მოწყობილი ალკოვი, რადგან სამზარეულოში გასასვლელსაც წარმოადგენს, მიუხედავად ღირსებებისა, რამდენადმე მოუხერხებელია.

ამრიგად, ფართო მასშტაბით ჩაფიქრებული გადაწყვეტა სექციისა, ძალზე სცილდება ეკონომიურობისა და გეგმარების ოპტიმალურ ფარგლებს და აძვირებს მის ღირებულებას.


შენობის ფასადს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. არქიტექტორმა გვერდის ნაწილების შეტეხვით გამოყო ცენტრალური არე, რომელიც ზედა სართულზე ღრმა თაღოვანი ლოჯიით მთავრდება. ეს ლოჯია შეტეხილი გვერდის ნაწილებსაც აერთებს და საერთოდაც წამყვან არქიტექტურულ მოტივს შეადგენს ფასადის არქიტექტურაში. ქვედა სართულის რუსტირებული ქვით მოპირკეთებული ზედაპირი მძლავრ ოპტიკურ და ფერადოვან საფუძველს უქმნის შენობას. ზედა სართულები ბოლნისის ოქროსფერი ტუფითაა მოპირკეთებული და რუხი ცოკოლის შემდეგ მისი ყოერადი ტონი კიდევ მეტ მომხიბვლელობას იძენს. საფასადო სიბრტყე სადაა, მხოლოდ აივანთა ბალიუსტრადიანი პარაპეტების ჩანადგარებია ორნამენტით გამოყოფილი. აივანთა განლაგება მკაცრ სიმეტრიას ემორჩილება. გვერდის ვიწრო ნაწილების შეტეხვა ცენტრალურ არეში აივნის დამჭერ კრონშტეინების ადგილს გამოყოფს. აივნის თაღედის მსუბუქი პროპორცია პასუხობს თბილისური საცხოვრებელი სახლის აივანთა თემას. ლოჯიის ღრმა ჩრდილი კი კიდევ უფრო აძლიერებს მახვილს მასზე. შენობა დაგვირგვინებულია გადმოწეული კარნიზით, რომელიც აგრეთვე მძლავრ ჩრდილს იძლევა და გამოყოფს შენობას საერთო განაშენიანებიდან. საერთოდ, შუქ-ჩრდილის როლი ფასადზე დიდია და ლოჯია, აივნები, კარნიზი და გვერდის ნაწილთა შეტეხვა ამ მხრივ ცხოველხატულობას მატებს ფასადის საერთო მკაცრ დანაწილებას. არქიტექტორმა უგულებელყო გვერდის ფასადები, რომლებიც სრულიად დაუმუშავებელია. ისინი კი ქალაქის

შორი წერტილებიდან ჩანს და ანგარიშგასაწევია განსაკუთრებით მთავარი ფასადის ასე საზეიმო გადაწყვეტის შემდეგ[165].

შენობისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას აძლიერებს მაღალი სამშენებლო ხარისხიც[166].

ეს შენობა მაგალითია იმისა, თუ როგორ ცილდებოდა ინდივიდუალური პროექტებით გაშენებული საცხოვრებელი სახლები მასობრივ ბინათმშენებლობის ამოცანებს, თუმცა არქიტექტორის პროფესიული ოსტატობა ადგილობრივი. პირობების გათვალისწინებაში, ბინის კომფორტის შექმნაში თუ წმინდა მხატვრული ამოცანების გადაწყვეტაში აშკარად ჩანს.

ბინათა მოხერხებულ გადაწყვეტას ემყარება ჩელუსკინელთა ქუჩაზე აგებული სახლები (არქ. ლ. სუმბაძე, 1951-53), რომლებიც აშენებულია პლეხანოვის პროსპექტიდან სადგურის მოედნამდე მაგისტრალის რეკონსტრუქციის დროს (ტაბ. 61_1). ორი, მოცულობითა და არქიტექტურით ერთნაირი საცხოვრებელი სახლი დგას ადრე აგებულ, აგრეთვე საცხოვრებელი შენობის (არქ.



თბილისი. საცხოვრებელი სახლი ჩელუსკინელთა ქუჩაზე № 11. კუთხის სექცია.

ს. დემჩინელი) ორივე მხარეს. შენობები წითელ ხაზზე დგანან. პირველი სართული ბუნებრივი ქვითაა მოპირკეთებული. ფასადებზე გამოირჩევა მაღალი თაღისებრი ნიშები, რომლებიც ორნამენტული ფილებითაა შემკული.

სექცია სამბინიანია. ყოველი სექციის ორი ბინა ორმხრივია, ხოლო ერთი

---

165 П. Володин. Новые жилые дома. М., 1952, стр. 77.

166 Н. Былинкин. Сталинские премии за архитектуру жилых домов: «Архитектура и строительство» 1950, № 4.

—მხოლოდ ეზოს მხარეს გადის. აღსანიშნავია, რომ ორიენტაციის გაუმჯობესებისათვის ავტორი არ დაერიდა კიბის უჯრედისა და სამზარეულოს გადატანას ფასადის მხარეს, რითაც გაუმჯობესდა ოთახთა განიავებაც. ყველა ბინას აქვს სამეურნეო ვერანდები, ოროთახიან ბინაში ვერანდაზე გასასვლელად ფართოდ გასახსნელი კარებია. ასე, რომ, არსებითად აქ დამატებითი ფართობი ჩნდება.

ოთახთა განაწილება რაციონალურია, ზონირება—მკაფიო და ადვილად გასარკვევი. მაგრამ სამოთახიან ბინაში დერეფნიდან მხოლოდ საერთო ოთახში (რა თქმა უნდა, სანკვანძის და სამზარეულოს ბლოკის გარდა), გადიხართ და იქიდან სხვა ოთახებში; ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ცალმხრივი ბინების (ეზოს მხარეს) განიავება არ არის დამაკმაყოფილებელი.

ბინებისათვის სამზარეულოსა და სანკვანძის ერთი ტიპია შერჩეული, გაყვანილია ნაგვის გამტარი და სხვ.


შენობის ფასადი სამ ნაწილადაა დანაწევრებული ისე, რომ ქვედა რეგისტრი გამოყოფილია და ჰორიზონტალური ზოლების სიმაღლე ზევითკენ თანდათანობით იკლებს. ქვედა ნაწილი ზედა შელესილი კედლისაგან განსხვავებით, ქვითაა მოპირკეთებული და ამითაც გამოყოფილია. ზედა სართული პილასტრებითაა დაყოფილი და საერთო დამამთავრებელ აბზაცს წარმოადგენს. ფასადზე მთავარ აქცენტს მაინც კიბის უჯრედის ორი ვერტიკალური ნიშა ქმნის, რომლებიც სიმეტრიულადაა მოთავსებული სამი სართულის სიმაღლეზე. მათი ზედაპირი ორნამენტული ხალიჩითაა დაფარული, რომელიც უნიფიცირებული ნახატის ფილებისაგან არის აწყობილი[167]. კედლის დეკორაციულ ხასიათს პასუხობს სარკმელთა მოხაზულობა ამ სიბრტყეზე. არქიტექტორს ყოველგვარი წვრილმანი აქვს გათვალისწინებული ფასადის საერთო გადაწყვეტაში. ასე, მაგ. აივნების ტიპები პასუხობენ ფასადის კომპოზიციურ აგებულებას. მეორე სართულზე ყველა ხვრელობი აივნითაა, რომელთაგან ცენტრალური გამოყოფილია საფეხუროვანი კრონშტეინით. მესამე და მეოთხე სართულის აივნები უკვე სხვაგვარ რიტმს ემორჩილებიან, ხოლო მეხუთეზე კი — ფრანგული აივნებია. ე. ი. ისინი ფასადზე თავისებურ სქემას ქმნიან, რომელშიაც გათვალისწინებულია მასალის, მოცულობის თუ რიტმის ცვალებადობა. ამდენად არქიტექტორი ფასადს დეკორაციულ გადაწყვეტას უმორჩილებს, რომელიც საცხოვრებელი სახლის სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

---

167 ფილები თავიდან კერამიკული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მშენებლობის დროს ისინი ცემენტის ნაკეთობით შეიცვალა. იხ. ლ. სუმბაძე. მრავალსახა ორნამენტი. თბ., 1963, გვ. 5.

სექციათა მოხერხებული და ეკონომიური გადაწყვეტის გამო პროექტი მიღებული იყო განმეორებითი გამოყენებისათვის.

პროექტთა განმეორებითი გამოყენების პრაქტიკა გარკვეულ ეკონომიურობას იწვევდა, მაგრამ ბინათა კომფორტის თვალსაზრისით ყოველთვის ვერ აღწევდა მიზანს. მაგალითად, ამავე ჩელუსკინელების ქუჩაზე № 23/25 საცხოვრებელი სახლი (არქ. ა. თევზაძე, ი. კასრაძე, 1954) ზოგიერთი ცვლილებით იმეორებდა მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე სახლს. მაგრამ აქ იგი ორიენტი-



თბილისი. საცხოვრებელი სახლი ჩელუსკინელთა ქუჩაზე № 23/25. რიგითი სექცია.

რებული იყო ჩრდილო-დასავლეთით, საითკენაც მიმართულია მხოლოდ საცხოვრებელი ოთახები, ხოლო უკეთეს მხარეს — სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (იგი ეზოსაკენ იყო), გატანილია კიბის უჯრედი და დამხმარე სადგომები. ასევე, ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ერკერთა გამოყენებაც ზაფხულის დღეებში აუარესებს ოთახების ინსოლაციას. ამას ემატება ისიც, რომ ზოგ ბინაში გამჭოლი განიავება სამზარეულოთი ხორციელდება, რაც აგრეთვე მოუხერხებელია. ბინების ნახევარზე მეტს არა აქვს სამეურნეო აივნები და სხვ.

შენობის ფასადი საერთო განაშენიანებაში ყურადღებას იპყრობს ერკერების მოცულობებით, რომლებიც ორი სართულის სიმაღლისაა და გარკვეულ რიტმს ქმნის. მაგრამ, საერთოდ, შენობა არ გამოირჩევა საბჭოთა არქიტექტურაში იმდროისათვის შემუშავებული ცნობილი ნიმუშებისაგან, რომლებითაც მშენებლობას აწარმოებდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. ამის ერთერთი მიზეზი სწორედ აღნიშნული ერკერები იყო. ერკერები თბილისის საცხოვრებელი სახლისათვის, რომელიც ყოველთვის მაქსიმალურად იყენებს კედლის გახსნის შესაძლებლობას, ნაკლებად მისაღები იყო. ლოჯიები, ტერასე-

ბი, აივნები თბილისისა და საერთოდ, საქართველოს პირობებში კლიმატური პირობებით იყო ნაკარნახევი და არქიტექტორებიც ანგარიშს უწევენ ამ აუცილებლობას (საცხოვრებელი სახლები ჰავჰავაძის პროსპექტსა და პეკინის ქუჩებზე — არქ. ქ. ფორაქიშვილი-სოკოლოვა, ი. ჩხენკელი, 1954—1755; სანაპიროზე—მ. მელია, 1955 და სხვ.) თუმცა, ზოგიერთი სახლის გადაწყვეტისას აივნები და ლოჯიები ფასადის საერთო კომპოზიციური სახითაა ნაკარნახევი და არა ბინათა უკეთესი გადაწყვეტის მოთხოვნილებით. ამიტომ, ბინები ერთსადაიმავე სახლში ხშირად თანაბარ პირობებში არ არის (მაგ. აღნიშნული სახლი პეკინის ქუჩაზე), მაგრამ „ისეთი თბილი და ზაფხულში ცხელი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, სახლების უაივნობა ჰიგიენისა და კეთილმოწყობის თვალსაზრისით, არამც თუ არას გზით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს, არამედ, პირიქით, ხუროთმოძღვრების იმ მთავარი დებულების უხეშ დარღვევასაც წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ყოველი ქვეყნის მშენებლობა და ნაგებობათა თვისებები უპირველესად ადგილობრივ ბუნებასა და ჰავასთან უნდა იყოს შეგუებული. ამიტომაც ეხლა მაინც გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, რომ რაც მრავალ საუკუნეთა გამოცდილებამ ცხელი ქვეყნების, მათ შორის ძველ საქართველოს ხუროთმოძღვრებასაც დიდ ნაგებობასათვის სტოების, ანუ შიგნითი კარიბჭეების, ხოლო ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლებისათვის, აივნებისა და ქორედების საჭიროება და აუცილებლობაც კი შეაგნებინა, თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრებისათვისაც ანგარიშგასაწევ და სავალდებულო დებულებადაც კი უნდა იქნეს მიჩნეული“[168].

საცხოვრებელი სახლის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე ყველა კომპონენტი, ბუნებრივია, თავის გავლენას ახდენს შენობათა ფასადებზე. ამიტომ, საცხოვრებელი სახლის გარეგნული იერი თავის სპეციფიკურ სახეს ატარებს. მაგრამ ცალ-ცალკე სახლების გაშენების პრაქტიკის დროს, მაგისტრალებზე ინდივიდუალური მშენებლობისას, ავტორები არ იშურებდნენ ენერგიას ფასადთა მეტად გამოვლენისათვის. საცხოვრებელი სახლები გამონაკლისს არ შეადგენს არქიტექტურის საერთო მიმართულებაში. მხატვრული გამომსახველობის საშუალებათა ზედმეტობანი თანაბრად ვრცელდებოდა საცხოვრებელ სახლებზეც. ჰავჰავაძის პროსპექტზე საცხოვრებელი სახლის (ქ. ფორაქიშვილი-სოკოლოვა, 1954) სამი სართულის აივნების რიგი გაერთიანებულია თავისებური თაღოვანი „პორტიკით“, რომელიც კრონშტეინებზეა შემდგარი და მთელი თავისუფალი არე ორნამენტული ჩანადგარითა აქვს შევსე-

---

168 ი. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. 1. თბ., 1946. გვ. 196.

ბული (ტაბ. 60$_1$). ეს ზედმეტი „ნაგებობა“ ფარავს შენობის ხვრელობებს. გადატვირთული კარნიზი, ორნამენტული ფრიზი მთელ სიგრძეზე მხოლოდ ვნებს ფასადის მხატვრულ სახეს. რამდენად უკეთესად გამოიყურება ის ფრაგმენტი, რომელზედაც ლოჯიათა თაღია სადად დატოვებული. უზარმაზარი ფრიზით დაფარული და კარნიზით დაგვირგვინებული პარაპეტი ამთავრებს საცხოვრებელ სახლს ჭავჭავაძის პროსპექტისა და რიგის ქუჩების კუთხეში (რ. მუშკუდიანი, 1950). ფალიაშვილის ქუჩაზე „საქნახშირის“ საცხოვრებელი სახლის ფასადზე, ასეთივე გაუმართლებელი ელემენტებია მოკაზმული კრონშტეინები და კაპიტელები, პილასტრებთან ერთად. სადარბაზო შესასვლელის თავზე ფანჯარა დაფარულია გამჭოლი, მაგრამ მეტად მძიმე, ორნამენტული ჩანადგარით, რომელიც აბნელებს კიბის უჯრედს, რომ არაფერი ითქვას ორნამენტის სიტლანქეზე. მორთულობით გატაცების კიდევ ერთი დამახასიათებელი „წვრილმანია“ ე. წ. ფრანგული აივნების პარაპეტის გაფორმება ცემენტისა თუ ბეტონის ორნამენტული ჩანადგარებით. ეს ჩანადგარები ფასადებზე მხოლოდ დეკორაციულ ლაქებს ქმნიან, მაგრამ ისე, რომ ხვრელობები უფრო სარკმლებს წარმოადგენენ. ვიდრე აივანზე გამოსასვლელ კარებს. ღია აივნების ნაცვლად ასეთი ჩანადგარიანი ფრანგული აივნები არც მეტ ჰაერს იძლევიან და ზედმეტ ხარჯებსაც იწვევდენ.

ამრიგად, ასეთი „წვრილმანებიც“ კი — მორთულობის ელემენტები, რომლებიც მექანიკურადაა შენობის ფასადებზე მიდგმული, არა თუ ხელს არ უწყობს ფუნქციური მოხერხებულობის შექმნას, არამედ აქვეითებს ნაგებობათა საექსპლოატაციო თვისებებს, უშლის ჰაერისა თუ სინათლის ნორმალურ შეღწევას შენობაში და სხვ.

აღნიშნული თვისებები, მეტ-ნაკლებად, ინდივიდუალური პროექტით აშენებულ თითქმის ყველა საცხოვრებელ სახლს ახასიათებდა. განსხვავება ისაა, რომ ზოგი მეტად მიისწრაფოდა დეკორაციულობისადმი, ზოგი ნაკლებად. დანარჩენი კი პროფესიულ ოსტატობასა და ნიჭზე იყო დამოკიდებული. მაინც უნდა ითქვას, რომ დეკორაციულობა მრავალსართულიანი სახლების პირობებში საცხოვრებელი სახლისათვის სიკოხტავის, შეიძლება ინტიმურობის მინიჭების სურვილის შედეგიც იყო.

ამის მაგალითია საცხოვრებელი სახლი პლეხანოვის პროსპექტზე (ი. ჩხენკელი, 1950), რომლის ბინები უზრუნველყოფილია სამეურნეო ვერანდებით, ორმხრივი განლაგებითა და განიავებით, მოხერხებული ზონირებით. შენობის ფასადი, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალზე გამოდის, ქვედა სართულზე, მაღაზიების წინ, თაღოვანი გალერეის სახითაა გადაწყვეტილი

(ტაბ. 61_2), ხოლო ზევით, ცენტრალური არე, ორი სართულის სიმაღლეზე, დეკორაციულ სწორკუთხა ნიშას უკავია, რომლის ფონი — სვეტებს უკან ორნამენტული ხალიჩითაა მოფენილი. კარნიზს მთელ სიგრძეზე მიყვება ორნამენტული ფრიზი. ფასადის პროპორციები, მხატვრულ ლაქათა განლაგება, ქართული მორთულობის შესაფერი სამკაულები — კაპიტელის ნახატი იქნება, თუ კედლის ორნამენტი, გემოვნებითაა შერჩეული და შედგენილი. მაგრამ ნიშის შედგმა კედლის სიღრმეში, აივანთა ხაზგასმული დეკორაციული ფორმები ხელოვნურია, არ გამომდინარეობს ბინათა პირობების გაუმჯობესების ამოცანიდან და ამიტომ სახლის საერთო არქიტექტურაში ზედმეტია.

რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან საბინაო მშენებლობის ფართო მასშტაბით გამოირჩევა სოხუმი, რომელშიაც მრავალი ახალი საცხოვრებელი სახლი აშენდა. ომის შემდგომ ხუთ წელიწადში ქალაქის საბინაო ფონდი კომუნალური და საუწყებო სახლების აშენების წყალობით 43.600 კვ მეტრი ფართობით გაიზარდა[169].

ქალაქის ცენტრში აშენდა საცხოვრებელი სახლები უ. ბაქრაძის პროექტით. (ლენინის ქუჩა, განმეორებული გამოყენება, 1947—1949). სახლი სამსექციანია და ორ და სამოთახიან ბინებისაგან შედგება. საცხოვრებელი ოთახები ქუჩისკენ, ცალმხრივადაა განლაგებული (ტაბ. 62_2). ეზოს მხარეს კი კიბის უჯრედი და დამხმარე სადგომებია, რომელთაც სამეურნეო ვერანდებიც აქვთ. ქუჩის მხარეს ბინებს ლოჯიების სამმალიანი თაღედი ერტყმის. კუთხე მომრგვალებულია, ასეთივე კონფიგურაციისა არის აქეთ გამოსული საერთო ოთახიც. ოთახთა განლაგება ანფილადურია და ყველა ოთახს არა აქვს დერეფანთან კავშირი. ოთახთა ცალმხრივი ორიენტაციის გარდა გართულებულია განიავების საკითხიც, რომელიც თუ ხერხდება მხოლოდ სამზარეულოს საშუალებით. ბოლომდე არ არის დამუშავებული განაპირა სექციაც.


შენობის ქვედა სართული მაღაზიებს უჭირავს და მისი კედლის სიბრტყე ვიტრინების ფართო ხვრელობებით არის დაცხრილული. ეს სართული სხვებისაგან განსხვავებით რუსტიკითაა დამუშავებული და სადა ფრიზითაა გამოყოფილი. ზედა სართულების ცენტრალური არე, ისევე როგორც შენობის კუთხე მთელ სიმაღლეზე ლოჯიების თაღედით არის გამოყოფილი. თაღედი დიდი ორდერითაა გადაწყვეტილი, რომელსაც ქვედა სართულზე, გვერდებზე კიდევ სვეტები აქვს მიდგმული, რომლებიც სრულიად ზედმეტ ელემენტს წარმოადგენენ და მხოლოდ ამცირებენ, ისედაც არც თუ მაინცადამაინც ვრცელ ინ-

---

[169] ა. კ ო კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. შენდება და ღამაზდება ქალაქი სოხუმი: „კომუნისტი". 1951, 7. 6, № 132.

ტერკოლუმნიუმს. დიდი ორდერიც მასიური კაპიტელით ამძიმებს ფასადის არქიტექტურას და არღვევს საერთო არქიტექტურულ მასშტაბს. სხვა შემთხვევებში, განმეორებული პროექტები განირჩევა სხვადასხვა ნიუანსებით, მაგრამ შენობის საერთო სახეს არ ცვლის.

ბინების ცალმხრივ განლაგებას ემყარება საცხოვრებელი სახლის სექციებიც წერეთლისა და მშვიდობის ქუჩების კუთხეში (არქ. ს. ცინცაბაძე ტაბ. 62₁). ზოგ ბინაში სანკვანძი დაშორებულია სამზარეულოს და ცალკე სველ წერტილებს მოითხოვს, ბინების ცალმხრივი განლაგების გამო სანკვანძი და




სურათი. საცხოვრებელი სახლი წერეთლისა და მშვიდობის ქუჩების გადაკვეთაზე. რიგითი სექცია.

სამზარეულოს ბლოკიც ორივე მხარესაა, მაგრამ ფასადის მხარეს მისთვის მაინც მოხერხებული ადგილია მოძებნილი (ციბის უჯრედის წინ). ოთახები კარგი პროპორციისაა და ერთმანეთს დერეფნის საშუალებით უკავშირდება. სამოთახიანი ბინა კომპაქტურია, მაგრამ განიავების საკითხი აქაც მოუგვარებელია. სამეურნეო ვერანდა ყველა ბინას არა აქვს, ისევე როგორც სინოპში აგებულ 24 ბინიან სახლს (არქ. ო. ლითანიშვილი, თ. მაჭარაშვილი, 1953), თუმცა სექციათა გადაწყვეტა ამ სახლში ეკონომიურია. აქ გაუგებარია ციბის უჯრედის ზედმეტი მონაკვეთი, რომელიც მხოლოდ ფასადის კომპოზიციის ფორმალური გადაწყვეტისათვის არის. არქიტექტორების სურვილმა ფასადის მოცულობითი ელემენტებით გაცოცხლებისა, (რაც ლოჯიების მიდგმით მთელ ფრონტზე, უკვე საკმარისი უნდა ყოფილიყო), სრულიად ზედმეტი აქცენტები გამოიწვია. მათ არც ფუნქციური და არც მხატვრული თვალსაზრისით გამართლება არა აქვთ.

სადა და მკაფიო გეგმა აქვთ სექციებს ლენინის ქუჩაზე მდებარე სახლებში № 37 (არქ. კოდოლაშვილი, 1952) და № 35 (არქ. ო. ლითანიშვილი, თ. მაჭარაშვილი, 1953). ყველა ბინას აქვს ვრცელი ვერანდა ეზოს მხარეს. თუ პირ-


ველ სახლში მხოლოდ სამოთახიანი ბინებია ორმხრივ განლაგებული და ამით ბუნებრივია, უკეთესი პირობები აქვთ, მეორე საცხოვრებელ სახლში, რომელ-



სოხუმი. საცხოვრებელი სახლი ლენინის ქ. № 37. გეგმა

შიაც 32 სამოთახიანი ბინაა, ყველა ორმხრივი განლაგებითა და გამჭოლი განიავებით არის. მაგრამ აქ ბინები მოკლებულია აივნებს, ქუჩის ფასადზე, მხოლოდ ფრანგული აივნებია, ისიც მხოლოდ ორ სართულზე. ფასადი სიბრტყობრივ გადაწყვეტას ემორჩილება, მხოლოდ შესასვლელებს ესმის მახვილი, მეორე სართულის კედლის თაღედის თემა, მეოთხე სართულის ფრანგული აივნები არავითარ სივრცობლივ აქცენტს არ სვამს. შენობის საერთოდ სადა ფასადს მდიდრული კარნიზის კონტრასტული შეფარდება ამთავრებს. შენობის ფასადი თითქოს გამონაკლისს შეადგენს ლოჯიებითა და აივნებით გადაწყვეტილ, კაპიტელებით, ორნამენტული ჩანადგარებით და ბალუსტრადიანი პარაპეტებით მორთულ საცხოვრებელ სახლების საერთო მწკრივში, რომელთა და-

მუშავება ზოგჯერ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა არქიტექტურის აშკარა გავლენის ქვეშაა. (ე. წ. ფიზიკოსების საცხოვრებელი სახლი თბილისის გზატკეცილზე დასასვენებელ სახლს ან სანატორიუმს მოგვაგონებს).



სოხუმი. საცხოვრებელი სახლი ლენინის ქ. № 35 ტიპობრივი სექცია.

არქიტექტურულ ზედმეტობათა თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე „მეშახტეთა“ საცხოვრებელი სახლი ქუთაისში, ცენტრალურ მოედანზე (არქ. ი. კახიანი, მ. შავიშვილი, 1954), რომელიც ლოჯიებით, ვერანდებით კარგ საბინაო პირობებს ქმნის, მაგრამ კოშკის სხვადასხვა ორდერის, შეტეხილი პარაპეტების, ორნამენტული როზეტებისა და სხვ. გამოყენება ამახინჯებს შენობის გარეგნულ სახეს და. რაღა თქმა უნდა, გაუმართლებელ ხარჯებს იწვევს.

ასე რომ, საცხოვრებელი სახლებისათვის რეპრეზენტატული, პარადული იერის მიცემისა და დეკორაციულად „მდიდრული“ ფასადების შექმნის სურვილმა, ფაქტიურად, უტილიტარული და მხატვრული ამოცანების ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია. შედეგი კი თანაბრად მოქმედებდა როგორც ეკონომიურ მხარეზე, ისე მხატვრულზეც.

ამ პერიოდში კი საბინაო მშენებლობაშიც მთელი რიგი პროგრესული მომენტები შეინიშნება. მშენებლობის ნაკადური მეთოდების დანერგვა, განსაკუთრებით რუსთავის მშენებლობაში; უნიფიცირებულ ელემენტების ქარხნული წესით დამზადება და გამოყენება; კომპლექსური მშენებლობა — ცალკეული მოედნების. მაგისტრალების განაშენიანება (რუსთავის განაშენიანება; მარჯანიშვილის მოედანი; ჩელუსკინელთა ქუჩა თბილისში და სხვ.); ტიპობრივი პროექტების შექმნა და დანერგვა — რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პერს-

პექტიული მშენებლობისათვის. მაგრამ ყველაფერი ეს არ იმსახურებდა სათანადო ყურადღებას, ისევე, როგორც ამ პერიოდში თვით ბინის დაგეგმარების თვალსაზრისით მიღწეული წარმატებანი, რაც მის ევოლუციაზე მეტყველებდა. ეს უმთავრესად, ადგილობრივი პირობებით ნაკარნახევ საკითხებს შეეხებოდა. ორიენტაციის გათვალისწინება, დამხმარე ნაგებობათა მნიშვნელობა, ოთახთა ზონირება და მათი კავშირი სანკვანძისა და სამზარეულოს ბლოკთან ბევრ სახლში, როგორც დავინახეთ, სავსებით დამაკმაყოფილებლად იყო გადაწყვეტილი. მაგრამ როგორც გზა და გზა აღვნიშნავდით, ხშირად ამ პერიოდს ახასიათებს უკვე მიღწეულის უგულებელყოფა. საცხოვრებელი სახლების დაპროექტებაში გამოჩენილი „ინდივიდუალიზმი“ არა მარტო ქუჩების ანსამბლურ განაშენიანებას უარყოფდა, არამედ კონსტრუქციულ თუ სხვა სამშენებლო დეტალების სიმრავლეს იწვევდა, უფრო და უფრო აშორებდა საცხოვრებელი სახლის არქიტექტურას მასობრივი ბინათმშენებლობის პრობლემებისაგან. საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას ისეთი საკითხის გაუთვალისწინებლობა, როგორიც ეზოების, ბავშვთა და სპორტული მოედნების მოწყობაა — საბინაო მშენებლობის კიდევ ერთ ხარვეზზე მიუთითებდა. ხოლო სრულიად გაუმართლებელი „მხატვრული“ ზედმეტობანი ხელს უშლიდნენ ინდუსტრიალიზაციის მეთოდების დანერგვასა და აძვირებდნენ მშენებლობას. მასობრივი საბინაო მშენებლობის გადაუდებელი ამოცანა კი ყურადღების მიღმა რჩებოდა.

7 1941—1954. საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი

ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წლებში დაიწყო მშენებლობა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებისა, რომელთა რიცხვი თანდათანობით მატულობდა და ომის შემდგომ პერიოდში მრავლად მოეფინა რესპუბლიკის ქალაქებს. 1944 წელს მიმდინარეობდა თეატრების მშენებლობა ქუთაისში, ზუგდიდში და ჭიათურაში, ცოტა მოგვიანებით, ახალ ქალაქებსა თუ დასახლებულ პუნქტებში საცხოვრებელი სახლების მასობრივ მშენებლობასთან ერთად, მათთან კომპლექსში იგებოდა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებიც.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობა ფართოდ გაიშალა თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში. ადმინისტრაციული შენობები, სკოლები და საბავშვო ბაღები, უმაღლესი სასწავლებლების კორპუსები, თეატრები, მუზეუმები, რკინიგზის სადგურის შენობები, სანატორი-

უმები და დასასვენებელი სახლები ამ მხრივ ჩატარებულ დიდ მუშაობაზე მეტყველებენ.

ომის შემდგომ პერიოდში ტარდება კონკურსი ადმინისტრაციული შენობების დასაპროექტებლად (მთავრობის სახლის წინა კორპუსი 1946; „საქნახშირის“ ადმინისტრაციული სახლი თბილისში 1945; საოლქო ადმინისტრაციული შენობები თბილისსა და ქუთაისში, 1951 წ; 1947 წელს ჩატარდა დიდი კონკურსი მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის დაპროექტებისათვის და სხვ.).

დაიხვეწა გეგმის მოხერხებულობის მხრივ საბავშვო და სასკოლო შენობები, რომლებიც განმეორებითი პროექტებით შენდება სხვადასხვა ადგილას (საბავშვო ბაღი — არქ. გ. მელქაძე, შ. ყაველაშვილი, 1953; საშუალო სკოლა — არქ. ვ. სარქისოვი და ლ. ხარაშვილი, 1951 და სხვ.); მთავრდება პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთავარი კორპუსის მშენებლობა (მ. ნეპრინცევი, 1954), შენდება ახალი კორპუსები პოლიტექნიკურ (მ. შავიშვილი, 1954), ზოოვეტერინარულ (ს. რევიშვილი, 1954) პედაგოგიურ (ვ. ქორქაშვილი, 1953) ინსტიტუტებისა.

შენდება სამრეწველო დანიშნულების ნაგებობები — ხრამჰესი (არქ. მ. ჩხიკვაძე, 1949), შამპანკომბინატი თბილისში (მ. შავიშვილი, 1953), ორთაჭალის ჰიდროელექტრო სადგური (ო. ბაგრატიონი, თ. მარგველაშვილი, 1954—55) და სხვ. რკინიგზის ახალი სადგურები აშენდა სოხუმში (ლ. და ლ. მუშკუდიანები, 1951), ბორჯომში (ნ. პოჩეპცოვა, 1951), ახალ ათონში (გ. ლეჟავა, 1954), თბილისში (ფლიგელის კორპუსები, გ. ტერ-მიქელოვი, 1952).

ახალი სასტუმროები აშენდა თბილისში (ნ. ფირცხალაიშვილი, გ. თავდგირიძე, 1954), წყალტუბოში (ვ. ოლტარჟევსკი, ბ. სობოლევსკი 1950), გორში (ა. ქურდიანი, ქ. ფორაქიშვილი).

დიდი გამოცოცხლებაა საკურორტო მშენებლობაში. წყალტუბოში შენდება სანატორიუმები (მეშახტეთა — არქ. მ. მელეგი, გ. ხიმშიაშვილი, 1953; რკინიგზელთა—არქ. ვ. ვექილოვა და ნ. პოჩეპცოვა, 1953) და სააბახანო № 6 (მ. ტარასოვი, გ. ხიმშიაშვილი, 1950), ტყიბულში აშენდა ერთდღიანი სანატორიუმი (არქ. ვლ. ალექსი-მესხიშვილი, 1949), კვერეთში დასასვენებელი სახლი (ზ. მინდორაშვილი, 1954) და სხვ.

შენდება კულტურულ-საგანმანათლებლო, ფიზკულტურული და თეატრალური ნაგებობანი. თბილისში აშენდა რკინიგზელთა სახლი (გ. ტერ-მიქელოვი, 1952), კინოთეატრი „ისანი“ (გ. კანდელაკი, ლ. ხარაშვილი, 1949), ზუგდიდში თეატრი (მ. ნეპრინცევი, 1944) და სტადიონი (ი. კასრაძე, 1949); თეატრები აშენდა ჭიათურაში (კ. ჩხეიძე, მ. ჩხიკვაძის მონაწილეობით, 1949), ბათუმში

(ლ. ტეპლიცკი. 1953) საზაფხულო თეატრი იქვე (კ. ჯავახიშვილი, ბ. კირაკოსიანი, 1949), სოხუმი (მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძის მონაწილეობით; 1952), ქუთაისში (შ. თავაძე, მ. შავიშვილი, 1951) და სხვ.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა არქიტექტურაში ყველაზე მეტად აისახა ის ნიშნები, რომლებიც საბჭოთა არქიტექტურაში ჯერ კიდევ ომამდელი პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი და ახლა მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი უფლებები. ეს იყო რეტროსპექცია — არქაულ ფორმათა გამოყენება, რომელიც მემკვიდრეობის ათვისების ლოზუნგით წარმოებდა. ფუნქციური ამოცანების გადაწყვეტის, ფუნქციური და ეკონომიური შესაბამისობის ნაცვლად, მთავარი ყურადღება ფასადთა თუ ინტერიერთა მდიდრულ მორთულობაზე გადავიდა. მონუმენტურობის, იმპოზანტურობის გადმოცემა არქიტექტურაში თითქმის უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა გახდა. ამისათვის საზოგადოებრივი ნაგებობანი ფართო ასპარეზს შლიდნენ.

მორთულობისკენ მისწრაფების ტენდენცია გამოვლინდა მასობრივი მშენებლობის ისეთ ობიექტებშიც, როგორიც იყო სკოლები, საბავშვო ბაღები და სხვა. ამ მხრივ, დამახასიათებელია, რომ ნაცვლად ადგილობრივი პირობების გათვალისწინებისა, რაც მაგალითად სასკოლო მშენებლობაში თავის სპეციფიკურ გადაწყვეტას თხოულობს (მით უმეტეს, სამხრეთის პირობებში, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სათავსოთა გადახურების პირობებში და მიზანშეწონილია ერთსართულიანი სკოლები შიდა ეზოებით, ბუნებასთან დაკავშირებით და სხვ[170]), აპროექტებდნენ უკვე ტრადიციულად მიღებულ 3—4 სართულიან სკოლებს, რომლებშიც ბოლომდე ვერ ითვალისწინებდენ ყველა მოთხოვნილებას, მიუხედავად ზოგი დადებითი გეგმარებითი მოშენტისა (მაგ. არქ. ბ. სარქისოვისა და ლ. ხარაშვილის პროექტი, 1951). სამაგიეროდ პილასტრები, დეკორაციული პორტალი და სხვ. „მხატვრული" მომენტები გამოხატავენ ზრუნვას ფასადთა გაფორმებისათვის.

მაკრან ყველაზე მეტად აღნიშნული ტენდენცია ე. წ. „უნიკალურ"— ე. ი. ადმინისტრაციულ, თეატრალურ ან სხვა მსგავს ნაგებობებში გამოიხატა ამ მხრივ აღსანიშნავია სანატორიუმთა და დასასვენებელი სახლების მშენებლობაც. ბუნებრივია, ყველა ნაწარმოები თანაბრად როდი ატარებდა ამ ფორმალურ-ესთეტიკური მეთოდის ნიშნებს. ამ დროს იქმნება ისეთი შენობებიც, რომელთა არქიტექტურა გამოირჩეოდა გეგმარებისა თუ სხვა საკითხების გააზრებული დამუშავებით და არქიტექტურულ-მხატვრული ამოცანების საინტერესო გადაწყვეტით.

1945 წელს არქიტექტორი არჩილ ქურდიანი დაკვეთით ადგენს მთავრო-

[170] История Советской архитектури. М., 1962 გვ. 272.

ბის სახლის მთავარი (წინა) კორპუსის პროექტს (ტაბ. 63). ხოლო 1946 წელს კვლავ შედგა კონკურსი საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი (წინა) კორპუსის პროექტის შესადგენად. მასში უნდა მოთავსებულიყო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო[171]. წინა კონკურსთან შედარებით, შეიცვალა ტერიტორიის საზღვრებიც: თუ უწინ მთავარ კორპუსს სკოლის ტერიტორიაც უნდა დაეკავებინა და ჩიტაძის ქუჩიდან ლ. უკრაინკის ქუჩამდე უნდა გადაჭიმულიყო, ახლა შენობისათვის მხოლოდ ძველი კორპუსის წინ მდებარე მონაკვეთი იყო გამოყოფილი.

წარმოდგენილ იქნა არქიტექტორების ა. ქურდიანისა და მ. მელიას (ქ. ფორაქიშვილი-სოკოლოვას მონაწილეობით), მ. შავიშვილის, მ. ნეპრინცევის, ვ. კოკორინისა და გ. ლეჟავას, ი. ჩხენკელის პროექტები. კონკურსის ჟიურიმ 1946 წლის 7ივნისის სხდომაზე უკეთესად ცნო პროფ. ვ. კოკორინისა და არქიტექტორ გ. ლეჟავას მიერ შედგენილი პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა მშენებლობისათვის.

კოკორინისა და ლეჟავას პროექტი, მხატვრული ჩანაფიქრითა და კომპოზიციური გადაწყვეტით, მკვეთრად განირჩეოდა კონკურსზე წარმოდგენილი ყველა პროექტისაგან. ავტორები აგრძელებდნენ ძველი პროექტის ერთერთ წამყვან თემას — პროპილეებს, რომელსაც იყენებდნენ მთელი ხაგებობის საერთო კომპოზიციურ ცენტრად. ისინი მინისტრთა საბჭოსა და უმაღლეს საბჭოს კორპუსებს მკაფიოდ აცალკევებდნენ.

სჩვა ავტორებიც, რა თქმა უნდა, თავისებურად უდგებოდნენ საკითხის გადაწყვეტას. მაგრამ ამოცანისადმი მიდგომაში მათ ბევრი რამ საერთოც ჰქონდათ: პროექტთა უმრავლესობაში შენობა მოცემულია მთლიანი ფრონტით, ძეუტეხავად პროსპექტის ხაზზე (ჩხენკელი, ნეპრინცევი, შავიშვილი—III ვარიანტი), რაც ხელს უწყობდა ქუჩის განაშენიანებაში შენობის ბუნებრივად ჩართვას.

გეგმის გადაწყვეტისას ავტორები დერეფნულ სისტემას ირჩევენ — ზოგნი ოთახების ცალმხრივი განლაგებით, ზოგნი კი ორმხრივით. მთავარი ვესტიბიულები და სხდომათა დარბაზი გეგმის ცენტრშია დაგეგმილი.

თუ შავიშვილისა და ნეპრინცევის პროექტში დარბაზის ცენტრალური მდებარეობა შიდა ეზოს არქიტექტურას გამომსახველობას არ უკარგავდა, ქურდიანისა და მელიას, აგრეთვე ჩხენკელის პროექტებში დარბაზი ვერ თავსღებოდა ორგანულად გენერალურ გეგმაში

ავტორები მთავრობის სახლის არქიტექტურულ სახეს წყვეტენ კლასიკუ-

171 საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურის შესახებ იხ. ნ. ჯ ა ნ ბ ე რ ი ძ ე. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურა. თბ. 1957.

რი არქიტექტურის ფორმებით. თითქმის ყველა პროექტი დიდი ორდერითაა დამუშავებული.

ა. ქურდიანისა და მ. მელიას პროექტში (ვარიანტებით) საერთო შთაბეჭდილებას არღვევს გვერდების მშრალი დამუშავება. დარღვეულია ფასადის არქიტექტურულ ელემენტთა ურთიერთკავშირი. მ. შავიშვილის პროექტში ძირითად ვარიანტში ფასადის შიგნითკენ შეზნექილი ხაზი პროსპექტს კარგად ვერ დაუკავშრიდებოდა. ცოკოლი ცუდად ერწყმის შენობას, ხოლო ფასადის გვერდებს გადაწყვეტა — როგორც ცოკოლის, ისე მთელი კედლისა, ვადატვირთულია მორთულობით. მ. ნებრინცევის პროექტი რუსული კლასიციზმის მოდერნისტულ გადამღერებას წარმოადგენდა. პორტიკს, რიზალიტების დამუშავებას, პარაპეტის კარტუშს — მშრალი აკადემიზმის დაღი ახზის.

ი. ცხენკელის პროექტში კურდონერიანი ვარიანტი (ტაბ. 63) მოცემულ ადგილს ნაკლებად შეეფერებოდა, რადგანაც ზედმეტად ტეხდა პროსპექტის ხაზს.

1953 წელს დამთავრდა საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი (წინა) კორპუსის მშენებლობა ვ. კოკორინისა და გ. ლეჟავას (ვ. ნასარიძის მონაწილეობით) პროექტის მიხედვით.


საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსი, ზედა, „ბ“ კორპუსის პროსპექტის მხრივ წინ ამოეფარა და ამით მთავარი მნიშვნელობა მოიპოვა. შენობის წინ გამწვანებული ტერასებია, ტერასების შუაში ფართო საზეიმო კიბეებს პროპილეებში მივყავართ. კიბეების ორივე მხარეს, ფასადის წინ, სკულპტურული ჯგუფებია. ტროტუარსა და ტერასებს შორის ფართო მისასვლელია ავტომანქანებისათვის (ტაბ. 64).

შენობა ზევით ეზოს მხარეს, უერთდება ძველ კორპუსს. იგი მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს ფრთებისაგან შედგება. რომლებიც განცალკევებულია, შუაში, შენობის მთელ სიღრმეზე, პროპილების გამჭოლი ღერძით. ეს ორი ფრთა ერთმანეთს უკავშირდება ზედა სართულში მოწყობილი გადასასვლელებითა და მთავარი ფასადის ერთიანი თაღედით. მთელი შენობა წარმოგვიდგება, როგორც ერთი მთლიანი არქიტექტურული ორგანიზმი.

მაღალი თაღები, რომელიც თავისებურ, ერთიან ორდერს ქმნის, მთავარ ფასადზე მოცულობითია, გვერდის ფასადებზე კი კედლის სიბრტყეზე აყოლებული პილასტრების სახითაა შენობის საფუძველს რუხი ფერის კურსების ტეშენიტის ცოკოლი წარმოადგენს. შენობის ცენტრი პროპილეების თავზე დაგვირგვინებულია რელიფიური სამკუთხა ფრონტონით: გადაშლილ დროშათა ფონზე მოცემულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი. ფასადის ორივე განაპირა მხარეს, თაღედის კამარის სივრცეს ანტები ფარგლავენ. თაღედის

ღია ხუთმეტ მალთაგან ცენტრალური სამი თაღი შეესაბამება შენობის ორ ფრთას შუა დატოვებულ გასასვლელს — პროპილეებს.

პროპილეების ფართო კიბეებს შევყავართ ღია ეზო-ვესტიბიულში (ტაბ. 65). აქ, მარჯვნივ, უმაღლეს საბჭოს, ხოლო მარცხნივ — მინისტრთა საბჭოს მდიდრულად მორთული შესასვლელებია. პროპილეები გრძელდება მთელი გამჭოლი ღერძის გაყოლებით — აღწევს შიდა ეზოს, რომლიდანაც ფართო კიბეები ათარბეგოვის ქუჩისაკენ მიემართება. ამრიგად, გამჭოლი ღერძი გადის მთავრობის სახლის მთელ სიგრძეზე და შენობას ერთ კომპლექსად კრავს.



საქართველოს სსრ მთავრობის სახლი. ცოკოლის სართულის გეგმა.

გეგმით საფასადო კორპუსის ორივე ფრთა წარმოადგენს წაგრძელებულ სწორკუთხედს, რომლებიც ერთიანდება გადასასვლელებით.


უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ჯგუფში კომპოზიციურ კვახძს გრძივ და განივ ღერძთა გადაკვეთაზე მოთავსებული ვესტიბიულები წარმოადგენენ. ამ კვანძის გარშემო და მასთან კავშირში ჯგუფდება ყველა დახარჩენი სადგომი. დერეფნები, რომლებიც გარს ერტყმიან ვესტიბიულს, აკავშირებენ ამ სადგომებს ერთმანეთთან და სართულებს შორის.

მინისტრთა საბჭოს ვესტიბიული ერთ სივრცეში აერთიანებს შენობის ცოკოლსა და ოთხივე სართულს. იგი ზედა სინათლითაა განათებული: ძიხის სახურავიდან ჩამოსული მზის შუქი უხვად ფენს სინათლეს დარბაზის მთელ სივრცეს (ტაბ. 65₁).

დერეფანი-გალერეა, რომელიც გარს ერტყმის ვესტიბიულს, აივნების სახით გამოდის „ატრიუმის“ მხარეს. სადგომები განაწილებულია ამ დერეფნის გარშემო.

მეოთხე სართული შენობაში აერთიანებს საფასაო კორპუსის ორივე ჯგუფს ამ პროსპექტის მხარეზე და ეზოსაკენ მოთავსებული გადასასვლელებით მყარდება კავშირი მინისტრთა საბჭოსა და უმაღლეს საბჭოს ჯგუფებს შორის.

უმაღლეს საბჭოს ფრთის გეგმაც იმავე პრინციპზე აგებული, რომელიც მინისტრთა საბჭოს უდევს საფუძვლად. აქაც ვესტიბიული წარმოადგენს ცენტრალურ ბირთვს, რომელსაც გარს ერტყმის სამუშაო ოთახები. მაგრამ უმაღლეს საბჭოს ჯგუფში, გარდა სამუშაო ოთახებისა, არის სხდომათა დარბაზი, რამაც. ბუნებრივია, ცვლილება შეიტანა როგორც ზედა სართულების გადაწყვეტაში (დარბაზი ორსართულიანია), ისევე ქვედა სართულებში (სამი სართულის სიმაღლის ვესტიბიული დარბაზის ქვეშ, ცხადია, ზედა სინათლით აღარ ნათდება).



თბილისი. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსი. პირველი სართულის გეგმა. 1-2— ვესტიბიული 3-კაბინეტები.

როგორც დავინახეთ, შენობის გეგმა წარმოადგენს ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შემდგარ ერთ მთლიან ორგანიზმს. დაგეგმარების ძირითადი პრინციპი ორივე შემადგენელი ნაწილისათვის საერთოა. ეს არის გეგმის ძირითადი კომპოზიციური ბირთვი — ვესტიბიული და მის პერიმეტრზე სადგომთა

და კიბის უჯრედის განაწილება. ეს უდევს საფუძვლად როგორც მიხისტრთა საბჭოს, ასევე უმაღლეს საბჭოს ჯგუფთა გეგმას.

ერთი სართულის გეგმა თითქმის ტიპობრივია სხვა სართულებისათვის (სხდომათა დარბაზი გამონაკლისს შეადგენს). ავტორები დაგეგმარების ერთიან, ძირითად პრინციპს იცავენ და ავითარებენ მას სადგომთა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. თუმცა უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ჯგუფები ატარებენ საერთო ხასიათს, ემორჩილებიან დაგეგმარების ერთიან სისტემას, ისინი სრულიად ინდივიდუალურნი არიან.

ძველი კორპუსის П-სებრი გეგმა, რომელიც კურდონერად გამოდიოდა პროსპექტზე, ახლა მეოთხე მხრიდანაც ჩაიკეტა და რუსთაველის პროსპექტზე შეიქმნა ერთიანი შენობა. ის ძიება პროპილეების გადაწყვეტისა, რაც თან სდევდა ძველი კორპუსის კონკურსის ეტაპებს, აქ გადაწყდა ,მიიღო საბოლოო სახე. პროპილეების გამჭოლი ღერძი გახდა საერთო კომპოზიციის ცენტრი. ამ ხერხის მთელი ღირსება იმაშია, რომ იგი ფუნქციურად სავსებით გამართლებულია. ამ შინა კომპოზიციის ღერძის შექმნით დამყარდა კავშირი შენობისა გარემომცველ სივრცესთან. მთლიანი ორგანიზმის დაუშლელად მოხდა ფუნქციური დიფერენციაცია შემადგენელ ჯგუფთა შორის. გამოიყო ოთხივე მბაოეს გარშემორტყმული შიდა ეზო, როგორც დაგეგმარების ერთერთი ძემადგენელი ელემენტი.

მთელი ნაგებობის წამყვანი კომპოზიციური ღერძის—პროპილეების—სივრცობლივი გადაწყვეტა ქმნის გარე სივრციდან შინაგანზე თანდათანობით გადასვლის თავისებურ საფეხურს. ადამიანი ჯერ არ არის შენობაში შესული, მაგრამ უკვე არქიტექტურული ნაგებობის „მაორგანიზებული გავლენის“ ქვეშ იმყოფება. აქედან შენობაში შესვლისას მას ხვდება მაღალი, ნათელი ვესტიბიული ერთიანი სივრცით, რის შემდეგ იგი შედის სამუშაო ოთახებში. ე. ი. აქ სივრცობლივი გადაწყვეტის თანდათანობით აღქმა ხდება. გარე სივრცე შიდას ჰარმონიულად უკავშირდება. შიდა და გარე სივრცე თითქოს ერთიანდება.


ჩვენ დავინახეთ, რომ მინისტრთა საბჭოს შენობის სადგომთა ძორის ძთავარი ვესტიბიული წარმოადგენს ცენტრალურ კვანძს, რომლის გარშემო ჯგუფდება სხვა ოთახები. მას მთავარი ადგილი აქვს მიკუთვნებული, რაც ხაზგასმულია როგორც თვით მისი ადგილით გეგმაში, ისე სხვადასხვა მხატვრული ხერხებისა და საშუალებების, არქიტექტურულ-სივრცობლივი, თუ მხატვრული მორთულობის ელემენტების გამოყენებით. მისი სივრცე აერთიანებს შენობის სადგომებს, როგორც ჰორიზონტულად, ისე ვერტიკალურად. ყოველი სართული უკავშირდება მას. შექმნილია კომპოზიციის ვერტიკალური ცენტრული ღერძი, რომელსაც ემორჩილება მთელი დაგეგმარება.

ვესტიბიულის საერთო კოლორიტი ფერთა დაპირისპირებაზე იგება. კედლების მოყვითალო ტონს, ძლიერ მჟღერი, პოლიქრომიული ნახატით შედგეხილი იატაკი უპირისპირდება. ასევე გამოიყოფა ვესტიბიულში მუქი ყვითელი ფერის სვეტები. იატაკის მუქი ფერები და გეომეტრიული ნახატი მტკიცე საფუძველს წარმოადგენს ინტერიერის საერთო კოლორიტში. წითელი, ნაცრისფერი, მოშავო და თეთრი ფერების სხვადასხვა ვარიაციები ერთიან ფერადოვან გამას ადგენენ. რაც ნათელ ვესტიბიულში მტკიცე აქცენტს იძლევა.

თეთრი მარმარილოს ფართო კიბეები ორგანულადაა ჩართული ვესტიბიულში.

ვესტიბიულის ცენტრული კომპოზიცია, მისი ვერტიკალური ღერძი, გაწონასწორებულია ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დანაწევრებათა ურთიერთკავშირით. ვერტიკალურ ელემენტთა მეტრული განლაგება ქმნის ჰორიზონტულ რიგს, რაც ვერტიკალურ ღერძს აწონასწორებს. კედლის დანაწევრება. მისი პროპორციები მკაფიოდ ხდის ინტერიერის კომპოზიციურ გადაწყვეტას, აადვილებს მის წაკითხვასა და გაგებას.

თუ მინისტრთა საბჭოს ვესტიბიული, თავისი ერთიანი თავისუფალი სივრ-



საქართველოს სსრ მთავრობის სახლი, განივი განაკვეთი.

ცით, მაინც მკაცრ საქმიან სახეს ატარებს, უმაღლესი საბჭოს ვესტიბიული შეტად არის მორთული დეკორაციულ-მხატვრული ელემენტებით.

გრანდიოზული ჯვაროვანი კამარით გადახურული ვესტიბიულის სივრცე

ერთიანებს შენობის სამ სართულს. ჯვაროვანი კამარა ეყრდნობა ვესტიბიულის პერიმეტრზე განლაგებულ 22 მძლავრს სვეტს. სართულები მკაფიოდაა გამოყოფილი, როგორც აივნებად გამოსული დერეფნების, ისე მძლავრი ანტაბლემენტის საშუალებით.

მინისტრთა საბჭოს ვესტიბიულთან შედარებით აქ სულ სხვა პროპორციებია, არქიტექტურა მასიური, მძიმეა.

დანაწევრების მთავარ ელემენტს დიდი ორდერი წარმოადგენს. გარდა თავისი არქიტექტურული ფორმებისა, იგი ფერითაც გამოიყოფა ინტერიერში: ხელოვნური მარმარილოს შავი სვეტები, მუქი ფრიზი და კაპიტელები— ბრინჯაოსმაგვარი იერით — მკაფიოდ გამოირჩევიან საერთო კოლორიტში.

ერთ-ერთი მთავარი როლი ვესტიბულის არქიტექტურაში გრანდიოზულ ჯვაროვან კამარასა და მის მორთულობას ენიჭება. კამარას კუთხეებში ბცეხარეული ორნამენტი ავსებს. ქართული ჰედური ხელოვნების ნიმუშებიდან აღებული მოტივები, რთულ, მაგრამ მკაფიოდ აღსაქმელ ნახატს ქმნიან.

უმაღლესი საბჭოს ვესტიბიულის არქიტექტურა თავისი მასშტაბურობით და ფორმათა მონუმენტალობით ამაღლებულ განწყობილებას ქმნის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ის შთაბეჭდილება, ის ტონუსი, რომელიც მინისტრთა საბჭოს ვესტიბიულშია, მაინც არ არის. ამაში თავის როლი ითამაშა. ბუხებრივი განათების ნაკლებობამ. შესაძლებელია ამაზე მოქმედებდეს ფერთა კონტრასტებზე აგებულ საერთო კოლორიტში, მუქი შავი სვეტები და ანტაბლემენტიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვესტიბიულის არქიტექტურა მსხვილი მასშტაბით არის გადაწყვეტილი. მაგრამ ავტორები ზოგჯერ სცილდებიან საზღვარს და ზოგიერთ ელემენტს ზედმეტად ზრდიან, რაც, რა თქმა უნდა, მასშტაბურობასთან პირდაპირ პროპორციული არ არის: მასშტაბურობას მარტო ცალკეულ ელემენტთა აბსოლუტური ზომები როდი განსაზღვრავენ. ორდერში სვეტებისა და კაპიტელების ურთიერთფარდობა ისეთია, რომ კაპიტელი ზედმეტად მასიური ჩანს. ამას კიდევ უფრო აძლიერებს სვეტების ენტაზისი. სვეტი ყელთან განსაკუთრებით ვიწროა. ამის გამო, თუ ცალკე აღებული სვეტისთავი შეეფარდება ავტორების მიერ ვესტიბიულისათვის შერჩეულ მასშტაბს — სვეტთან ერთად (და ასე იკითხება იგი ყოველთვის) იგი ჰარმონიულობას ჰკარგავს, სვეტს ეკარგება სიმძლავრე, თუმცა სინამდვილეში იგი მზიდავი ელემენტია — დეკორაციულს ემსგავსება.

ამ სვეტისათვის ზომები ზედმეტი სიმძიმის შთაბეჭდილებას ტოვებს აგრეთვე პირველი სართულის გალერეაში.

ვესტიბიულიდან ზევით ასვლისას მოსვლელმა უნდა გაიაროს პირველი სართულის დერეფნის ქვეშ. მისი სიმაღლე მხოლოდ სამ მეტრს აღწევს. ძალიან, სამსინათლიანი ვრცელი ვესტიბიულიდან ამ დაბალი გადახურვის ქვეშ გავლა უსიამოვნო გრძნობას იწვევს.

უმაღლესი საბჭოს სესიებისათვის განსაზღვრული სხდომათა დარბაზი 920 კაცს იტევს.

დარბაზი წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. იატაკი თანდათან მაღლდება და ხედვისთვის კარგ პირობებს ქმნის. დარბაზში თავიდანვე იგრძნობა კომპოზიციური მახვილი პრეზიდიუმის ადგილზე: ესტრადა ხაზგასმულია ინტერიერის ყველა მხატვრულ საშუალებათა მისკენ მიმართვით. შეწყვილებული სვეტები, მათ შორის დიდი თავისუფალი მალი, შეტეხილი არქიტრავი და კედლის შუბლზე ემბლემატური კარტუში აქცენტს სვამენ მასზე.

დარბაზის ინტერიერის ძირითად დანაწევრებას ორი სართულის სიმაღლის დიდი ორდერი წყვეტს.

ჰერის ძირითადი არე უკავია მინის გადახურვას. ჰერი საფეხურებად გადადის კედელზე. ქვედა საფეხური, ჰედური ხელოვნების ნიმუშებიდან აღებული მოტივის ორნამენტით მორთული, მხოლოდ დარბაზის გრძივ მხარეებზეა და ამითაც ხაზი ესმება დარბაზის წაგრძელებულ ფორმას.

დარბაზი ნათელია, მისი მოთეთრო-მოყვითალო საერთო ფერი კიდევ უფრო ნათელს ხდის მას, აქ ყოველთვის უხვი სინათლეა. ორნამენტთა ფონის მოცისფრო დაფერვა გამოყოფს და მკაფიოდ აჩენს მათ ნახატს.

სკამების მუქი ფერი, მოკრიალებული ხის მუქი ყავისფერი ზედაპირი ძლიერი მახვილია დარბაზის ფერადოვან გამაში.

დარბაზის არქიტექტურაში თავი იჩინა ზოგმა ნაკლმა. თუ ხედვისთვის დამაკმაყოფილებელი პირობებია, დარბაზის აკუსტიკა ძალზე ცუდია. აღსანიშნავია ვრცელი ფოიეს უქონლობა დარბაზთან, რაც ასეთი ხალხმრავალი სათავსოსათვის აუცილებლად საჭირო იყო. თვით დარბაზის მხატვრული დაშუშაებაც ზედმეტადაა დატვირთული მორთულობის ელემენტებით. იარუსის ყრუ პარაპეტი „მძიმეა“, მაშინ როცა ხით მოპირკეთებული ქვედა ლოჟები უფრო „მსუბუქად“ გამოიყურება. იარუსთა ასე გადაწყვეტა მდგრადობას უკარგავს მათ. მსატვრულად დასრულებული არ არის ორნამენტული ფრიზისა და კარტუშის ადგილი ესტრადის თავზე, ისევე როგორც კედლისსვეტების გახლაგება მის უკანა კედელზე. მიუხედავად ხაზგასმული ჰორიზონტული აბზაცებისა, რთული თავისებური ანტაბლემენტი ძალზე მასიურია და სხვ.

ასეა მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზშიც: შეწყვილებულ თეთრ სვეტებზე დაყრდნობილი ჰერი, რომელიც შიგნით კიდევ არის წახნაგებით დაყო-

ფილი, მოცულობითი ორნამენტებით მორთული პლაფონი, ქმნიან ერთგვარ ცენტრს. ეს მხედველობით ამცირებს სადგომის ნამდვილ ზომებს და გარდა ამისა უხერხულობას იწვევს ფართობის მთლიანად ათვისებაში. ეს დარბაზიც გადატვირთულია სამკაულებით.

მთავრობის სახლის ამ კორპუსში არის ოთახები, რომლებიც ემსჯვერპლა ვესტიბიულთა გარშემო ოთახთა განლაგების პრინციპს და ბუნებრივი სიხათლით საკმაოდ არ ნათდება (განსაკუთრებით პროპილეების მხარეს გამომავალი ოთახები). საერთოდაც, ავტორებს თვით სამუშაო ოთახთათვის მეტი ადგილი უნდა დაეთმოთ და ამით გაეზარდათ შენობის სასარგებლო ფართობი.

შენობაში კინო-დარბაზისათვის ადგილი მოხერხებულადაა ნაპოვნი. დარბაზი მოთავსებულია ერთი ფრთიდან მეორეში გადასასვლელ ნაწილში, ფასადის შუბლის „ულან". მაგრამ დარბაზის არქიტექტურა მეტ სისადავეს თხოულობდა. პილასტრთა უხეში, წაგრძელებული სვეტისთავები და სოფიტები — უმასშტაბონი არაინ — ეს ზედმეტი ელემენტებია.

თუ ფასადთა არქიტექტურის გადაწყვეტისას ავტორები ინარჩუნებენ ერთიან მხატვრულ ენას, შენობის ინტერიერში ამ სიძნელეს ყოველთვის ვერ სძლევენ. ეს აშკარად ჩანს ორი მთავარი ვესტიბიულის შედარებისას. უმაღლეს საბჭოს ვესტიბიულის ნაკლოვანებანი ნაწილობრივ ამის შედეგსაც წარმოადგენს. მინისტრთა საბჭოს ვესტიბიულის ნათელი კოლორიტი, ფორმათა სიმსუბუქე, დახვეწილი პროპორციები — იმ პრინციპულ მომენტებს წარმოადგენენ, რომლებიც ჰქმნიან საერთო შთაბეჭდილების ტონუსს, ამაღლებულ გახწყობას. უმაღლესი საბჭოს ვესტიბიულში ავტორებმა ვერ შეძლეს ამის შენარჩუნება ე. ი. ამ პრინციპების ხორცშესხმელად ვერ მოძებნეს სათანადო მხატვრული საშუალებანი, რაც მაყურებელს თვალში ხვდება, განსაკუთრებით მინისტრთა საბჭოდან უმაღლეს საბჭოში გადასვლისას.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის წინა კორპუსი ერთიანი არქიტექტურული ორგანიზმია, რომელშიაც ძირითად, წამყვან თემას ძოხუძეხტური თაღედი წარმოადგენს. საერთო კომპოზიციაში, ფასადთა გადაწყვეტასა და დანაწევრებაში, მზიდავ და საზიდ ელემენტთა გამოვლენაში ეს თაღედი —თავისებური ორდერი—მთავარ როლს თამაშობს. იგი მკაფიოდ საზღვრავს მთელი არქიტექტურული მოცულობის მასშტაბს. იგია განმსაზღვრელი შენობის მხატვრული სახის შექმნაშიაც. თაღედი აერთიანებს შენობის იდეურ-მხატვრული სახის გახსნის ყველა კომპოზიციურ ხერხს (მაღალი ლოჯია, პროპილეები, საზეიმო კიბეები და სხვ.). სწორედ ამიტომ, ფუნქციურად დიფერენცირებული ჯგუფები უმაღლესი სახელმწიფოებრივი ორგანოებისა (მინისტრთა საბჭო—უმაღლესი საბჭო), იკითხება არა როგორც ურთიერთისაგან მოწყვეტილი, არამედ როგორც ორი ნაწილისაგან შედგენილი ერთი ორგანული მთლიანი.

მაგრამ თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ თაღედი ფუნქციური დახიშხუ-ლებიდან არ გამომდინარეობს და შენობის მაღალი შინაარსის გამოხატვის სა-მუალებადაა ნახმარი. მართლაც, არსებული ორიენტაციისას, ლოჯიას პირდაპი-რი დანიშნულება არა აქვს, მაგრამ ავტორებმა რესპუბლიკის ყველაზე მნიშვნე-ლოვან ნაგებობაში იგი საზეიმო განწყობილებისათვის გამოიყენეს.

თაღედი მოცულობითი არქიტექტურული ფორმაა, რომელიც დაკავშირე-ბულია და ემორჩილება შენობის ძირითად ფრონტალურ გადაწყვეტას, კედლის შთაბეჭდილების შესაქმნელად არქიტექტორებმა იხმარეს თავისებური ხერხი: კაპიტელებით არ დაამთავრეს ბოძები. ბოძისა და კედლის სიბრტყე ორგახულად ერწყმის ერთმანეთს, რამაც დიდად შეუწყო ხელი კედლის ერთიანი სიბრტყის შთაბეჭდილების შექმნას ცოკოლიდან კარნიზამდე.

ავტორებმა დიდი ყურადღება მიაქციეს შენობის ცენტრის პროპორციებს, რადგანაც ფასადის კომპოზიცია ფრონტალურია და ყველაზე სრულად მისი აღქმა სწორედ ცენტრში დგომის დროს ხდება.

აქ „ოქროს კვეთის“ ტრიადის გარდა, საყურადღებოა ფრონტონისა და თაღედის თავზე კედლის თავისუფალი სიბრტყის ურთიერთფარდობაც. კრონ-შტეინებზე დაყრდნობილი სარტყელი აწეულია და ამითაც კიდევ უფრო უსვამს ცენტრს ხაზს. ამ სარტყელის ზევით აწევა ამავე დროს აუმჯობესებს საერთოდ შენობის ცენტრალური ნაწილის პროპორციებს. რომ შევუფარდოთ კედლის სიბრტყე სარტყელის ჩათვლით ფრონტონის სიმაღლეს—ისინი დაახლოებით ისეთსავე დამოკიდებულებაში არიან, როგორც ზემოთ მოყვანილი ნაწილები. ამრიგად, კედლის თარაზული დანაწევრება ჰარმონიულ თანაფარდობაშია. ავ-ტორები მექანიკურად არ გაჰყვნენ პროპორციათა აგების სქემას, რაზედაც დიდ და მცირე მონაკვეთთა თავისუფალი აღება ბეტყველებს.

საფასადო ლოჯიის კედლის ხვრელობთა ზომები თავისუფალ კედლის სიბ-რტყესთან შედარებით მცირეა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ თვით სადგომ-თათვის ისინი ძირითადად საკმარის სინათლეს იძლევიან — ფასადზე ვიწროდ ჩანან, რაც, ბუნებრივია, მოქმედებს საერთო შთაბეჭდილებაზე. ზედა ფახჯრე-ბის ალათთა თაღისებრი მომრგვალებაც მხედველობით ავიწროებს ფახჯრის გაბარიტებს. აივნის ჰორიზონტალურ ზოლს შეეძლო ნაწილობრივ გაესწორე-ბია ეს, რომ ქვის პარაპეტი შეტეხვით არ გადადიოდეს კედელზე.

როგორც აღვნიშნავდით, შენობაში მომსვლელი ხვდება საზეიმო, პარა-დული შესასვლელით. პროპილეების სვეტნარის საზეიმო რიტმი მეტად ეფექ-ტური და მდიდარია. შენობასთან მიახლოვებისას მაყურებელი აღიქვამს ლო-ჯიის დიდებულ ჯვაროვან კამარას და თაღედის მწყობრ რიტმს, შემდეგ ეზო-საკენ მცირე ინტერვალია კიბის ერთი მარშით. აქ შენობის პროპილეებში გა-

მომავალი ფასადები დამუშავებულია მსგავსად მთავარი ფასადის ლოჯიის კედლისა. ამ ინტერვალის შემდეგ მომსვლელი შედის ღია ეზო-ვესტიბიულში, სადაც შენობის ორივე ჯგუფში შესასვლელი მკვეთრად არის ხაზგასმული ეკლარის თეთრი ქვით შესრულებულ მდიდრულად ორნამენტირებული პორტალებით. (ტაბ. 62_2).

ამ მცირე ეზო-ვესტიბიულის „მაღალი“ სივრცე გახსნილია, ძაგრამ იძავე დროს, მაინც შემოფარგლული—ორ მხარეს სვეტების საშუალებით, ძეორე ორ მხარეს კი კედლის სიბრტყით. ამ ეზოში შესვლისთანავე, ერთბაშად იპყრობს ყურადღებას მძლავრი პორტალები, რომლებიც მასშტაბით, თვალსაჩინოებით, ხუროთმოძღვრის მიერ მათთვის მიკუთვნებული ადგილითა და მნიშვნელობით, მასალით — თანაბარმნიშვნელოვანია და, იმავე დროს, მკაფიოდ იხდივიდუალიზებულიც (ეს ერთი შეხედვითვე იგრძნობა).

მთელი შენობის ფასადთა არქიტექტურის დეკორაციულ-მხატვრული ძოგენტი აქ ყველაზე მეტად ძლიერდება. მკაცრ, თავშეკავებულ და, იმავე დროს, ნამდვილად საზეიმო არქიტექტურულ ფორმებს ავტორებმა მხატვრული კონტრასტი შეუქმნეს შენობაში შესასვლელთან.

იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც თავის დროისათვის ეროვნული თავისებურებით გამოირჩეოდნენ საქართველოს სსრ მთავრობის სახლს განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება. არქიტექტორები ცდილობენ ცალკეულ შტრიხებით კი არა, მთლიანი არქიტექტურული გააზრებით შექმნან შენობა, რომელიც სოციალისტური სინამდვილის შესაფერი ეროვნული ნაწარმოები იქნება. არქიტექტორებმა არ მიჰყვეს ხელი შენობის ქართული ისტორიული ელემენტებით „გაფორმებას“, არამედ შეძლეს ქართული არქიტექტურის ახლებური გააზრება. ინტერიერის გადაწყვეტა ემყარება ქართული არქიტექტურისათვის ასე დამახასიათებელ ცენტრულ ღერძს. აქ გაღრმავებულია და ახლებურადაა წარმოდგენილი მონუმენტური ნაგებობის სივრცობლივი გადაწყვეტის ხალხური ტრადიცია, რომელიც საერო ხუროთმოძღვრებაში „დარბაზით“ შექმნილი სივრციდან გამომდინარეობს. ასე, მაგ. არქიტექტორებმა მინისტრთა საბჭოს ვესტიბულის ერთიანი სივრცე შექმნეს მსოფლიო ხუროთმოძღვრებაში ცნობილი კომპოზიციის — ცენტრალური სივრცის გარშემო გალერეის მოთავსების (რომის ბაზილიკები, რენესანსული სასახლეები და სხვ.) გზით, მაგრამ ვერტიკალური ღერძის გარშემო მათი განლაგებით ახალი გადაწყვეტა მოგვცეს. ეს ხაზგასმულია ზევით, გადახურვასთან დარბაზული „დედაბოძის“ ტიპის სვეტების დაყენებით, რაც ზედა განათებას რომაულ ატრიუმებთან, ან სხვა ზედა სინათლის მომცემ კომპოზიციურ გადაწყვეტასთან კი არ აკავშირებს, არამედ ქართულ დარბაზებთან.

შენობის ერთიან მოცულობად გადაწყვეტა, მაღალი თაღედის თავისებური ორდერის შექმნა ქართული არქიტექტურის ტრადიციებთანაა დაკავშირებული. რომ შექმნილიყო მთლიანი კედლის სიბრტყის შთაბეჭდილება, გამოიყენეს სრულიად ახალი ხერხი — კაპიტელით არ გადაკვეთეს სვეტი და ამით შენობის ცოკოლამდე კედლის ერთიანი სიბრტყის გადმოცემას მიაღწიეს. ამით თანამედროვე ნაგებობაში ახლებურად წარმოადგინეს „ქართული მოხუმხტალური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი სიმდიდრეთაგანი, ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებათაგანი — კედელი, ქვის მტკიცე კედელი“[172] ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ყრუ კედლის სიბრტყე აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს თანამედროვე ნაგებობისათვის, მაგრამ თუ იგი ორგანულად გამომდინარეობს შენობის არსიდან. სამხრეთის პირობებში მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორები კარგად გრძნობენ ქართული მორთულობის სპეციფიკას, მის ხასიათს, და დეკორაციული მოტივებიც ძირითადად გემოვნებითაა შედგენილი, მაინც მორთულობა შენობაში (ეს ინტერიერს ეხება) აშკარად ზედმეტად არის ნახმარი. ვესტიბიულთა პლაფონის, კაპიტელების, პარაპეტების მორთულობა; სამუშაო ოთახების, კაბინეტების, მცირე სხდომათა დარბაზების „გაფორმება“ არ სცილდება ზედმეტობათა იმ საერთო სურათს, რომელიც დამახასიათებელია იმდროინდელი ქართული არქიტექტურისათვის საერთოდ. მაგრამ მთავრობის სახლის არქიტექტურაში საბჭოთა ადმინისტრაციული სახლის შინაარსის გახსნა, მისი მკაფიოდ გამოვლენილი ფუნქციური აღნაგობა, მთლიანი მონუმენტური არქიტექტურულ-მხატვრული სახე აშკარად გამოირჩევა ქართული საბჭოთა არქიტექტურის საერთო ფონზე.

მთავრობის სახლის წინა კორპუსის აშენებამ რუსთაველის პროსპექტზე კავშირგაბმულობის სახლის ულაზათო შენობის (ტაბ. 14_2) რეკონსტრუქციის საკითხი ახლა უკვე გადაუდებლად დააყენა. ამ შენობის რეკონსტრუქციისათვის პირველად გამოცხადებული კონკურსიდან თითქმის ოცი წელი იყო გასული, როცა შენობამ ახალი იერი მიიღო. რეკონსტრუქციის პროექტის ავტორი კვლავ ივ. ჩხენკელი იყო.[173]

კავშირგაბმულობის სახლის ფასადის გადაკეთება მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენდა. ფასადის შეცვლას არ უნდა გამოეწვია ცვლილება შენობის გეგმარებაში. მხატვრული თვალსაზრისით ამოცანას ართულებდა ისიც, რომ

---

172 გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1936, გვ. 156.

173 ვ. ბერიძე. ხუროთმოძღვრის დღიური: „საბჭოთა ხელოვნება“ 1935, № 5. გვ. 80. ნ. ჯანბერიძე — ქართული საბჭოთა არქიტექტურის ახალი ნაწარმოებები; „საბჭოთა ხელოვნება“, 1954, № 5, გვ. 10.

174 „საბჭოთა ხელოვნება“. 1955, № 6, გვ. 6.

პროსპექტის სიგანესთან შედარებით შენობას დიდი სიმაღლე ჰქონდა... მისი გადაკეთებისას უნდა მოძებნილიყო ისეთი მასშტაბი, რომელიც შენობის აბსოლუტურ სიმაღლეს შეანელებდა და შეეფარდებოდა პროსპექტის საერთო განაშენიანებას.

შენობას მოეხსნა კოშკი, რომელიც უადგილო და შემთხვევითი იყო. ძველი შენობის კედელს კურსების ტეშენიტის რუხ ცოკოლზე დამყარებული, ეკლარით მოპირკეთებული თეთრი კედელი აეფარა, რომლის მთელი სიმაღლე ძირითადად დანაწევრებულია სამ ჰორიზონტულ ჯარედ: დაბალი ცოკოლი, შემდეგ ორი სართული, რომელსაც გამოყოფს საგანგებო სარტყელი; დასასრულ, — ძლიერ შვერილ პილონებზე დაბჯენილი თაღედი. ფასადის არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითად თემას ფასადის ჰორიზონტალური დანაწევრების ზედა რეგისტრის დეკორაციული თაღედი წარმოადგენს. იგი სამი სართულის სიმაღლეზე ევლება გარს შეწყვილებულ ფანჯრებს და დამუშავებულია ვიწრო კუთხის სვეტებით. ფასადს ამთავრებს ქართული არქიტექტურის ძეგლებით შთაგონებული კარნიზი (ტაბ. 67₂).

ფასადი თავიდან ბოლომდე ადვილად აღსაქმელი ფორმებით და ელემენტებითაა დამუშავებული, დაუტვირთავია. მცირერიცხოვან სამკაულთა დამუშავება ისეა შერჩეული, რომ ორნამენტი თავისუფლად იკითხებოდეს. ასეა გადაწყვეტილი აივნებისა და სარკმელების ლითონის სახეებიანი მოაჯირი, რომლის ნახატის მოტივები აღებულია ქართული ჭედური და არქიტექტურული ორნამენტიკიდან.

ავტორმა გაითვალისწინა შენობის მდებარეობა პროსპექტის კონკრეტულ მონაკვეთზე. აქ ქუჩა უხვევს და ამიტომ ფასადის ფრონტის ნახევარი, — ოფიცერთა სახლის მხარეს შეღუნულია. ამით ფასადის სიბრტყე უკავშირდება ქუჩის დინებას და კარგად ეგუება მას. ფასადის ფრონტალური კომპოზიცია ისეა გადაწყვეტილი, რომ თაღების ორ მხარეს არათანაბარი სიბრტყეები რჩება. მთავრობის სახლის მხარეს კედლის არე უფრო ფართოა, რაც ერთგვარ მიმართულებას აძლევს გამვლელს. მთავარ არქიტექტურულ თემად თაღედის არჩევა ნაკარნახევია ქუჩის ანსამბლში შენობის ორგანულად ჩართვის საჭიროებით. პროსპექტის ერთ მონაკვეთზე შეიქმნა თაღედის მწყობრი რიტმი (პიონერთა სასახლე. მთავრობის სახლი, კავშირგაბმულობის სახლი), რაც მეტ მთლიანობას ანიჭებს პროსპექტის ამ მნიშვნელოვან ნაწილს.

მართალია, შენობა მაინც დიდი ჩანს პროსპექტის სიგანესთან შედარებით (1:1,4), მაგრამ დისპროპორციას ანელებს ის, რომ მის წინ პროსპექტის პერპენდიკულარული ქუჩაა გახსნილი. ამით იზრდება სივრცე შენობის წინ და, თუ

ორმხრივ განაშენიანებაში ქუჩისა და შენობის ასეთი შეფარდება არ არის სასურველი, აქ ეს ნაკლებ შესამჩნევი ხდება.

ფასადის არქიტექტურა ერთ-ერთი მაგალითია აღნიშნული პერიოდის შემოქმედებითი მიმართულებისა. შენობაზე აღარაფერი დარჩა ჰორიზონტულად გადაჭიმულ სარკმელთა მთლიანი ზოლებისგან, სამაგიეროდ, კედელი შეიმოსა თაღების რიტმით, მიუხედავად იმისა, რომ პილონებად ქცეული თაღები თვით შენობიდან პროსპექტზე მზერას ძალზე ზღუდავს (მცირდება ხედვის ჰორიზონტი, რაც უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს სარკმელებიდან გადმოხედვისას), ამ მცირე დეტალშიაც ჩანს, რომ ფასადის დეკორაციული გადაწყვეტა მთავარია, იგი პირველ პლანზეა წამოწეული, თუმცა, როგორც ზევით აღინიშნა, ფასადზე დეკორაციული მოტივები ძირითადად ტაქტითაა ნახმარი და თვით თაღედის თემაც კონკრეტულ ამოცანას ემორჩილება.

თბილისში აგებულ ადმინისტრაციულ შენობათა შორის მრავალმხრივ და მახასიათებელია „საქნახშირის“ სახლი (მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძე, 1953), რომელიც იმავე რუსთაველის პროსპექტისა და მოედნის კუთხეში აშენდა. (ტაბ. 67_1).

რუსთაველის მოედანი მეტად მნიშვნელოვანი კვანძია ქალაქის ცენტრისა. იგი ერთმანეთთან აკავშირებს მარჯვენა და მარცხენა ნაპირის მაგისტრალებს. მისი მდებარეობა მტკვრის სანაპიროდან ზევით ამოსვლისას გარკვეულ ამოცანებს სახავს მოედნის დაგეგმარებისა თუ არქიტექტურულ-მხატვრული სახის გადაწყვეტის დროს. ამიტომ, ვიდრე „საქნახშირის“ ადმინისტრაციული შენობის დაპროექტება დაიწყებოდა, გამოცხადდა კონკურსი თვით მოედნის ხუროთმოძღვრების გადაწყვეტისათვის, რადგან მოედნის არქიტექტურული ორგანიზება მისი რეკონსტრუქციის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია.

კონკურსში, რომელიც 1945 წელს ჩატარდა, მონაწილეობდნენ ქალაქის წამყვანი არქიტექტურული ძალები. ყველა ავტორი მოედანს კომპაქტურ, შეკრულ სახეს ანიჭებდა, უმრავლესობას წრის ან არასრული წრის კონფიგურაცია ჰქონდა არჩეული. აზრთა სხვადასხვაობა იყო ქანდაკების ადგილის შესახებ. არქიტექტორები ი. ზაალიშვილი, თ. ფოცხიშვილი, რ. იზაშვილი თავიანთ პროექტზე ქანდაკების უკან მოედანს ტერასისებრ ამუშავებდნენ, რითაც, რელიეფის კარგად ათვისებასთან ერთად, მოედანს მეტი სივრცე და ქანდაკებასაც არქიტექტურული ფონი ექმნებოდა. არქ. მ. ჩხიკვაძისა და კ. ჩხეიძის პროექტში ქუჩის განტვირთვისათვის ესტაკადა იყო გამოყენებული. მიუხედავად საპროექტო წინადადებათა საკმაო მრავალფეროვნებისა, პროექტები მოკლებული იყო რეალურ საფუძველს და ამოცანა ამოუხსნელი რჩებოდა.

მოედნის დაგეგმარების კონკურსის შემდეგ გამოცხადდა კონკურსი უკვე

თვით „საქნახშირის“ ადმინისტრაციული სახლის პროექტზე. მასში მონაწილეობა მიიღეს: 1. გ. ხიმშიაშვილმა და რიჟინაშვილმა (ტაბ. 66₃); 2. ზ. და ნ. ქურდიანებმა და ლ. ჯანელიძემ; 3. ი. ზაალიშვილმა და რ. იზაშვილმა; 4. ა. ნიკოლაიშვილმა (ტაბ. 66₁); 5. მ. შავიშვილმა; 6. მ. ჩხიკვაძემ და კ. ჩხეიძემ; 7. ა. თევზაძემ, კრავჩენკოს მონაწილეობით; 8. მ. კალაშნიკოვმა და ნ. ფარემუზოვამ; (ტაბ. 66₂). 9. ი. ჩხენკელმა და ლ. ჰაჯიბეილიმ; 10. ს. ლენტოვსკიმ და ს. ფიცხელაურმა (კონკურსის გარეშე). 1946 წლის თებერვალში ჟიურიმ განიხილა ეს პროექტები და მ. ჩხიკვაძისა და კ. ჩხეიძის პროექტს მიანიჭა გამარჯვება.

მიუხედავად პროექტთა განსხვავებისა, მათ მაინც ჰქონდათ საერთო მომენტები, როგორც გეგმის გადაწყვეტაში, ისე ფასადის კომპოზიციაშიც. ფასადის ძირითად ელემენტად ავტორები გრძივ თაღედს იღებენ, რომელსაც ზოგი სივრცობლივად იძლეოდა (ლენტოვსკი-ფიცხელაური; ჩხენკელი—ჰაჯიბეილი; ზაალიშვილი—იზაშვილი: თევზაძე; ნიკოლაიშვილი; ჩხიკვაძე—ჩხეიძე), ზოგი—დეკორაციულად—იგი კედელზე იყო მიდგმული (ხიმშიაშვილი-რიჟინაშვილი; კალაშნიკოვი—ფარემუზოვა). მთავარ შესასვლელს ავტორთა ნაწილი რუსთაველის პროსპექტის მხრიდან ათავსებდა (შავიშვილი; ქურდიანები—ჯანელიძე; ნიკოლაიშვილი), სხვები მოედნისა და პროსპექტის კუთხეში (თევზაძე; ხიმშიაშვილი-რიჟინაშვილი); ხოლო მესამენი მოედნის მხრიდან (ზაალიშვილი-იზაშვილი; ლენტოვსკი—ფიცხელაური; ჩხენკელი—ჰაჯიბეილი).

შენობის კუთხის მოცულობითი გადაწყვეტისას ავტორები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ერთნი შენობის კოშკის ვერტიკალური აზიდვით მოედანზე დომინანტს ქმნიდნენ, მეორენი — შენობას მთლიანად წყნარ პორიზონტულ მასად წარმოადგენდნენ (შავიშვილი; ზაალიშვილი — იზაშვილი; კალაშნიკოვი—ფარემუზოვა). ნიკოლაიშვილის პროექტში შენობას მოედანზე ამაღლებული მოცულობა ჰქონდა, მაგრამ მას ზედმეტი აქცენტის მნიშვნელობა არ ჰქონია მინიჭებული. ფასადთა არქიტექტურა პროექტებში სხვადასხვაგვარადაა დამუშავებული. ზოგი ავტორი ცდილობდა არქიტექტურულ ფორმათა და მოტივთა თავშეკავებული ხმარებით სისადავისთვის მიეღწია — ხშირად კი შედეგი არქიტექტურული სახის გაუბრალოება იყო (ნიკოლაიშვილი, თევზაძე). პროექტთა მეორე ნაწილი ზედმეტად ტვირთავდა შენობას არქიტექტურული სამკაულით.

კონკურსი პროექტთა არქიტექტურულ-მხატვრული ღირსებების მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისა არ ყოფილა. პროექტთა უმრავლესობას აკლდა აზრის დახვეწა და დამთავრებულობა.

გამარჯვებულ პროექტში (მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძე) წარმოდგენილი იყო

ყველა ძირითადი პრინციპი, რომლებიც შემდეგ მშენებლობაშიც განხორციელდა.

„საქნახშირის“ სახლით დაიწყო რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქცია. დაინგრა მოძველებული, უსახური შენობები. პროსპექტის სიგანემ 20 მეტრის ნაცვლად 32-ს მიაღწია, გაფართოვდა მოედანიც.

მშენებლობა ორ რიგად დაიყო. პირველად რუსთაველის პროსპექტისაკენ გამოსული ნაწილი აშენდა — 1953 წელს იგი თითქმის მთლიანად დამთავრებული იყო. მართალია, ეს ნაწილი საექსპლოატაციოდ გადაეცა, მაგრამ მას აკლდა შიდა ორგანიზაციის ისეთი მნიშვნელოვანი კვანძები, როგორიცაა მთავარი ვესტიბიული, სადარბაზო კიბეები, დარბაზი და სხვ., რაც მეორე რიგის მშენებლობას მიეკუთვნა.

შენობა პროსპექტის წითელ ხაზს უსწორდება. ხუთსართულიანი ჰორიზონტალური მასივი მოედნისკენ მაღალი, 55 მეტრიანი კოშკით მთავრდება, ხოლო პროსპექტზე პირველი სართულის მთელი ფრონტი ღია დაბალ გალერეას უჭირავს. მის ცენტრალურ ნაწილში ღია სივრცობლივი გასასვლელია ეზოსაკენ.

თაღედს ორივე მხრიდან წინგამოწეული ნაწილი ჰკრავს: მოედნისკენ—ეს კოშკია, ხოლო პროსპექტისკენ — რიზალიტი, რომლის დეკორაციული დამუშავების ზედა რეგისტრის თემა მეორდება ჰორიზონტალური მოცულობის ზედა სართულებში (კედლის სიბრტყიდან წინ გამოწეულ მოჩარჩოებაში ჩასმული ლოჯია). კედლის ხვრელობებით დაცხრილული სიბრტყე მესამე სართულზე მომრგვალებული აივნებითა და ფესტონებიან მოჩარჩოებაში ჩასმული კარების რიტმითაა გამოყოფილი. შენობას ამთავრებს რთული, აჟურული პარაპეტით დაგვირგვინებული კარნიზი.


ხვრელობთა მასშტაბი კოშკურ ნაწილში, რომელიც მსხვილად რუსტირებულ ცოკოლოზეა დაფუძნებული, შეცვლილია, იგი სხვადასხვაგვარია კოშკის ორ მხარესაც. კოშკის ზედა, სარტყელით გამოყოფილი ნაწილი ღია, მაღალი ჰაეროვანი თაღედითაა გახსნილი და მას საფეხუროვანი ფრიზი ამთავრებს. მის თავზე კი წახნაგოვანი მაღალი ბელვედერია, მოოქროვილი შპილით დაგვირგვინებული.

მთელ შენობას ბოლნისის მოვარდისფრო-ოქროსფერი ტუფი მოსავს. ცოკოლი და თაღედის სვეტები — ოდნავ მომწვანო იერის მქონე მუქი ნაცრისფერი ბორჯომის გრანიტითაა მოპირკეთებული და მყარ ფერადოვან საფუძვლს უქმნის მთელს შენობას.

მშენებლობა ბოლომდე დამთავრებული არ არის და მთელ რიგ საკითხებზე, განსაკუთრებით შიდა სივრცის გადაწყვეტაზე ან ინტერიერის დამუშა-

ვებაზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ დამთავრებული ნაწილი სრულ შესაძლებლობას იძლევა აღინიშნოს ნაგებობის არქიტექტურის ძირითადი თვისებები.

შენობაში მთავარი შესასვლელი დაგეგმილია რუსთაველის მოედნიდან. აქედან ფართო შესასვლელებით შედიხართ ვრცელ ვესტიბიულში, რომლიდანაც მარცხნივ კოშკის ნაწილში მოთავსებული მრგვალი კიბეები ერთმანეთ-



თბილისი. „საქნახშირის“ ადმინისტრაციული შენობა. პირველი სართულის გეგმა.

თან აკავშირებს სართულებს. ვესტიბიულის ცენტრში ასასვლელია ორმხრივ გაშლილი საზეიმო კიბეებისკენ: აქედან მომსვლელი ვესტიბიულის თავზე მოთავსებულ ვრცელ დარბაზში ხვდება.

შენობაში შესვლა შეიძლება აგრეთვე რუსთაველის პროსპექტის თაღედის სივრცობლივი გასასვლელიდანაც, აქ კიბეების ორი გრძივი მარშით შედიხართ კიბის უჯრედის ჯგუფში, სადაც დერეფანთან შეერთებული მცირე ჰოლებია. დერეფნის ორივე მხარეს კი სამუშაო ოთახებია განლაგებული. დერეფნის გარშემო მოთავსებულ ოთახთა ეს სისტემა მეორდება შენობის ცენტრალური მასივის ყველა სართულზე. შენობის ქვედა სართულზე რიზალიტის მხარეს ფოსტა-ტელეგრაფია მოთავსებული, ხოლო მის სიმეტრიულად, კოშკისაკენ, კაფე.

ამგვარად, გეგმის კომპოზიცია, თუმცა მაინცადამაინც მარტივი არ არის, თავიდანვე ადვილად გასაგებია. ადმინისტრაციულ შენობაში სხდომათა დარბაზი სამუშაო ოთახებისაგან გამოყოფილია ისე, რომ მათ შორის კონტაქტი მყარდება. ვესტიბიული ემსახურება როგორც სხდომათა დარბაზს, ისე სამუშაო ნაწილსაც.

ავტორები შენობის ორ ფრთას (პროსპექტზე და მოედანზე გამომავალთ) კუთხეში კოშკით კრავენ და აქ აწყობენ სართულების დამაკავშირებელ სადარბაზო კიბეებს. კოშკის ზედა ნაწილში წიგნთსაცავია გათვალისწინებული.

სამუშაო ფრთის დერეფნები განიერია. მათთვის მეტი ბუნებრივი შუქის მისაცემად ქუჩის მხარეს მცირე ჰოლებია მოთავსებული. სამუშაო ოთახები ვრცელი და ნათელია, კარგი პროპორციებისაა და შუშაობისათვის სასურველ პირობებს ქმნიან.

მაგრამ რუსთაველის პროსპექტიდან შენობაში შესვლისას კიბის უჯრედთან არავითარი ვესტიბიული არ არის დაგეგმილი. ქუჩიდან მომსვლელი პირდაპირ დერეფანში ხვდება. ეს მაშინ, როცა შენობაში ამ შესასვლელს ფასადზე ავტორებმა მეტად ხაზგასმული მნიშვნელობა მიანიჭეს — სივრცობლივი გასასვლელის მოწყობით. ასეთი საზეიმო შესასვლელის შემდეგ განსაკუთრებით იგრძნობა კონტრასტი გარე სივრციდან შიდაზე გადასვლისას. კოშკურ ნაწილში მოთავსებული კიბის უჯრედიც მეტად ხელოვნურადაა ჩაშენებული მასში.

გავადევნოთ თვალი ფასადთა არქიტექტურას.

რუსთაველის პროსპექტზე გამომავალი ფასადის კომპოზიცია მასათა ურთიერთგაწონასწორებაზეა აგებული. ძირითადი მასის ჰორიზონტალური გადაწყვეტა წონასწორდება ერთი მხრივ კოშკის, მეორე მხრივ კი რიზალიტის ვერტიკალური დამუშავებით. კოშკი და რიზალიტი იმავე დროს ერთ მთელად კრავენ შენობის ძირითად მასებს და ამთავრებენ ფასადის ფრონტალურ კომპოზიციას.

ამ ფასადისა და საერთოდ მთელი შენობის არქიტექტურულ კომპოზიციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შენობის ცენტრალური, ჰორიზონტალურად გადაჭიმული მასივის ქვედა რეგისტრს — ღია, მრავალმალიან თაღებს: იგი სივრცობლივ გასასვლელს ქმნის და ქუჩას აკავშირებს შიდა ეზოს სივრცესთან.

თაღები აქ სრულიად მიზანშეწონილია. მისი გადაწყვეტა კარგად ეგუება სამხრეთის პირობებს და შენობის ორიენტაციას: დღის დიდი მონაკვეთის განმავლობაში მზე ეზოდან ანათებს გასასვლელს და ამით მეტად ეფექტურ ცხოველხატულობას ანიჭებს ფასადს. ეს სივრცობლივი გასასვლელი ჰორიზონტულადაა გადაშლილი და ამით კარგად პასუხობს პროსპექტის დინებას

ისე, რომ ზედმეტ მახვილს არ ჩემულობს. თაღედის პროპორციები, რომლებიც მასში ჩაწერილ კვადრატის დიაგონალებზე იგება, და თვით თაღის შეისრული ფორმა მეტ გამომსახველობასა და ტანადობას ანიჭებს მათ. ავტორებმა კაპიტელებისათვის სადა პროფილი და ნახატი შეარჩიეს, რაც გარკვეულ კონსტრუქციულ ამტანობას ანიჭებს სვეტებს და საერთოდ თაღედს.

თაღედის ხაზგასასმელად სვეტებისათვის სხვა მასალაა შერჩეული: რუხი გრანიტი ერთბაშად გამოიყოფა შენობის ერთიან მოყვითალო ტონზე. გარდა ამისა, თაღედს ზევიდან შემოვლებული აქვს საკმაოდ ძლიერი ჩალიჩი, რაც თითქოს მის ერთგვარ მოჩარჩოებასაც წარმოადგენს.

თაღედის მთელს სიგრძეზე გაშლილი კიბეები გარდა იმისა, რომ ფუნქციურად უფრო მოხერხებულია, ვიდრე მარტო შუაში რომ ყოფილიყო (გარდა სივრცობლივი გასასვლელისა, იგი პირველი სართულის დაწესებულებებსაც ემსახურება), მხატვრულადაც კარგად ეფარდება ჭუჩის ბუნებას. მაგრამ საზეიმოდ გადაწყვეტილი თაღედის შემდეგ, სიღრმეში მოთავსებული მეტად ვიწრო კიბეები უსიამოვნო კონტრასტს იწვევს. მის სივიწროვეს კიდევ უფრო საგრძნობს ხდის ქვისავე პარაპეტი ორივე მხარეს და ზედა მარშის შეტეხილი დამუშავება, რაც ამ შემთხვევაში ფუნქციურად ეწინააღმდეგება კიბის ბუნებას და მხატვრულადაც შეუფერებელია.

მთავარი ფასადი ამ პირველი ჰორიზონტული რიგის შემდეგ გადადის მეორე რეგისტრზე, სადაც ორი სართულის მოჩარჩოებული ფანჯრები, გარკვეული ინტერვალის დაცვით, წყნარ რიტმს ქმნის. მაგრამ თუ ეს ქვედა ორი რეგისტრი ერთმანეთთან დაკავშირებულია გარკვეული ლოგიკით — ზევიდან ქვევით ფორმები თანდათან მსუბუქდება, დეკორაციულობაც მატულობს — ზედა რეგისტრში, ლოჯიათა მეტად მძიმე და გადატვირთული გაფორმება ამოვარდნილია საერთო სახიდან (თავისთავადაც ეჭვს იწვევს ლოჯიათა ფუნქციური დანიშნულება ადმინისტრაციულ სახლზე). ლოჯიების ქვედა კუთხეთა გადაწყვეტა ხაზს უსვამს მათ დეკორაციულობას და ქვის ასე დიდი მასივის „შეკიდვას“ გაუგებარსა და ატექტონიკურს ხდის. ამ ნიშის მოჩარჩოების გაბარიტები თავისთავადაც არღვევენ შენობის საერთო მასშტაბურობას და მისი „მონუმენტურობა“ კიდევ უფრო ავლენს ამას.

გვერდის რიზალიტი, როგორც უკვე ითქვა, ასრულებს იმ ტრადიციულ როლს, რომელსაც საერთოდ, კოშკით დამთავრებული ასიმეტრული კომპოზიცია აკისრებს ხოლმე მას: აწონასწორებს კოშკის ვერტიკალს. ამიტომ იგი კედლის ძირითადი სიბრტყიდან გამოწეულია. მისი მასიურობა ამ თვალსაზრისით სწორია; ორიარუსიანი კუთხის ბურჯები მსხვილი კაპიტელებითა და ბაზებით ანელებენ რიზალიტის ვერტიკალურ სწრაფვას და ჰორიზონტალური,

მომენტი შეაქვთ მასში. ამას ესიტყვება აივნის მძლავრი პარაპეტიც. შენობის ამ მონაკვეთში გამოყენებულია მოსართავი ელემენტები, რომელთა ხასიათი (და არა სიმრავლე) ამძიმებს მას.

შენობა თავისებური, რთული კარნიზით მთავრდება, რომელზეც აჟურული პარაპეტია შედგმული. მაგრამ თუ ლოჯიების თავზე პარაპეტის ნახატი მაინც ეგუება შენობის დეკორის საერთო ხასიათს, სხვაგან მისი თითქოს-და „გუთური“ ბუნება ამოვარდნილია მორთულობის საერთო არქიტექტურულ სახიდან.

ქუჩის დინებაში შენობის ჩასმისას ავტორებმა გაითვალისწინეს რომ აქ პროსპექტი უხვევს და კოშკი მთელ კორპუსთან 10º-იანი კუთხით მოაბრუნეს.

კოშკის მთელ შენობასთან შეფარდების დროს, ავტორები კოშკისა და ჰორიზონტულად დაწოლილ მასებს შორის პროპორციათა ჰარმონულ მწკრივს ემყარებიან. რადგან შენობის ფრონტალური აღქმა (პროსპექტზე გამოსული ფასადისა) მეტად ხანმოკლე ინტერვალში ხდება და თანაც ორტოგონალში მისი ხედვა შეუძლებელია, უმთავრესი ყურადღება თვით კოშკის დანაწევრებათა ურთიერთშეფარდებას ექცევა, რადგან კოშკი შენობაში ყოველთვის—ახლოდან თუ შორიდან განხილვისას მთავარ როლს თამაშობს. იგი ქვევიდან ზევით თანდათან მსუბუქდება. მისი მასივი დიდი ზომის ვერტიკალური ხვრელობებით არის დანაწევრებული. მაგრამ ისინი ისეა განლაგებული, რომ ჰორიზონტულ აბზაცებს ქმნიან და ამით მხატვრულად აწონასწორებენ კოშკის აზიდულობას. კოშკის მთლიანი მასიური კედლიდან კონტრასტულად არის გამოყოფილი ღია, სივრცობლივი თაღნარი. ავტორებმა, სრულიად სამართლიანად, გამოყვეს ეს ნაწილი სარტყლით. აქ იცვლება მხატვრული დამუშავების მანერაც: თუ კოშკის ძირითადი მასა კედლის თავისუფალი სიბრტყის გამოვლენაზეა აგებული, აქ ხვრელობთა სივრცობლივი გადაწყვეტაა მთავარი, ამით კოშკის ზედა ნაწილი შემსუბუქებულია. კოშკზე კარ-სარკმლები მხარეთა მიხედვით ასიმეტრულადაა რაც მეტ ნაირფეროვნებას ანიჭებს მას პერსპექტიული აღქმის დროს. ხვრელობთა საერთო გადიდებული ზომები, რომლებიც თვით კოშკის პროპორციებთან არის შეფარდებული, რეალურად საჭირო კარების ზომაზე გადასვლისათვის სამნაწილიანი ნიშით არის შემზადებული, რომ მისი აბსოლუტური ზომები ამოვარდნილი არ იყოს საერთო მასშტაბიდან.

მაგრამ თუ კოშკისა და შენობის ჰორიზონტული მასივის ურთიერთშეფარდება გათვალისწინებულია, მისი არქიტექტურულ-მხატვრული დამუშავება, როგორც დავინახეთ, სრულიად სხვა ხასიათისაა. არც ელემენტთა დამუშავება, მათი მასშტაბი ან პროპორციები უწყობს ხელს მთელი შენობის არქი-

ტექტურული გადაწყვეტის მთლიანობას. აქ თავი იჩინა კოშკის გადაწყვეტისას ფუნქციური მხარის უგულებელყოფამ (როგორც აღინიშნა, ამ კოშკში, ძირითადად, მხოლოდ კიბის უჯრედია, ზევით გათვალისწინებული წიგნთსაცავი მეტად ნაძალადევად თავსდება ფართობში). თუ შენობის ჰორიზონტალურ ნაწილში კარ-ფანჯრები, უპირველეს ყოვლისა, უტილიტარულ სამსახურს უწევენ შენობას, კოშკში ისინი გადაქცეული არიან წმინდა „მხატვრული“ ამოცანების გადაწყვეტის საშუალებად. ამ წინააღმდეგობამ შინაარსობრივსა და ფორმალურ ამოცანებს შორის, ბუნებრივია თავისი დაღი დაასვა შენობის საერთო მხატვრული სახის ერთიანობას: ნაგებობის მთლიანობა დაირღვა.

კოშკური ნაწილი უკეთ უკავშირდება მოედნის მხარეს გამოსულ ფრთას, სადაც მაღალი და ფართო სარკმლების მასშტაბი კარგად ეფარდება კოშკის ზომებსა და დანაწევრებას.

რაც შეეხება კოშკის მნიშვნელობას ქალაქის ცენტრის საერთო იერის გამოვლენაში, უნდა აღინიშნოს, რომ მისი ვერტიკალი სხვადასხვა მხრიდან იპყრობს ყურადღებას. განსაკუთრებით მომგებიანია ხედი კარლ მარქსის ხიდის მიდამოებიდან, საიდანაც კოშკი მამადავითის ფერდის ფონზე მეტად გამომსახველია. ასევეა ჩელუსკინელთა ხიდის მხრიდანაც, საიდანაც გამელელი ერთი შეხედვით ღებულობს ორიენტაციას ქალაქის ცენტრისაკენ. ქალაქის მარჯვენა ნაპირის ამ მეტად დამახასიათებელ პანორამაში კოშკის ვერტიკალი თავის ადგილს პოულობს. თვით მოედანზე კოშკს, ბუნებრივია, აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის. მაგრამ აქ ანგარიშგასაწევია ისეთი იდეურ-მხატვრული დომინანტი, როგორიც რუსთაველის ქანდაკებაა. ამ ორი სხვადასხვა დანიშნულებისა და ზომის ვერტიკალის ურთიერთდამოკიდებულებაში ერთი აშკარად გამოვლენილი აქცენტის ნაცვლად — ორია, ყურადღება გაორებულია. მიუხედავად იმისა, რომ ქანდაკება რუსთაველის პროსპექტის პერსპექტივს „ჰკეტავს“, ყურადღებას ვერ იმორჩილებს. კოშკის გრანდიოზული ვერტიკალური მასივი პირველობას ისაკუთრებს აღქმის ყველა წერტილიდან.

„საქნახშირის“ სახლის არქიტექტურაში აშკარად იგრძნობა ავტორთა სურვილი ეროვნული ტრადიციების გამოყენებისა. შენობის კომპოზიციაში თაღედის სივრცობლივი გახსნა კარგად ეგუება ადგილობრივ პირობებს, კარგად აკავშირებს შიდა ეზოსა და ქუჩას, მაგრამ ეროვნული ხასიათის მინიშნებისათვის აქ ძირითადად დეკორია გამოყენებული. არის ცდები ძველ არქიტექტურაში ცნობილ მოტივთა ახლებური გამოყენებისა. მაგ. რიზალიტის ორიარუსიანი ორდერის დამუშავება ნაკარნახევია ქართულ ისტორიულ ხუროთმოძღვრებაში ცნობილი ბურჯების თემით (მაგ. ოშკი). მაგრამ, თუ ძველ ძეგლებზე ეს დიდი კაპიტელები და კვარცხლბეკები ესიტყვება ფორმის არქი-

ტექტონიკას, ისინი კონსტრუქციულად მზიდავ ნაწილებზეა, ბურჯებზე, აქ მხოლოდ დეკორაციულ ფუნქციას ატარებენ, რითაც კარგავენ თავის ბუნებას.

სამკაულთა შერჩევისას არ არის დაცული ერთიანობა. ფასადზე ვხვდებით სხვადასხვა ზომისა თუ ხასიათის დეკორაციულ მოტივებს (ფესტონები მესამე სართულის სარკმლებზე, ორნამენტული როზეტები აივნებზე, გირჩები რიზალიტებზე, სამნაწილიანი ნიშა კოშკზე, პარაპეტი და სხვა) ისინი ვერ მოექცენ ერთიან მხატვრულ სისტემაში, ავტორებმა ვერ დაუმორჩილეს ისინი საკუთარ ამოცანას. ამან კი შეუწყობელი მრავალხმიანობა გამოიწვია, ფასადები გადაიტვირთა დეკორაციული ელემენტებით. ამდენად, დეკორის გამოყენების ასეთი გზა მცდარი იყო და ეკლექტიზმს ვერ ცილდებოდა.

შენობის აღნიშნული ნაკლოვანებანი, მოქმედებდნენ მშენებლობის ღირებულებაზეც და მისი გაძვირება გამოიწვია, რაც აღნიშნული იყო კიდეც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „მშენებლობასა და პროექტირებაში ზედმეტობათა აღმოფხვრის შესახებ“[174].

ქართული არქიტექტურის ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის დაპროექტება შეადგენდა. 1947 წ. გამოცხადდა დახურული კონკურსი ამ პროექტის შესადგენად. კონკურსში მონაწილეობისათვის მოწვეულ იქნენ არქიტექტორები ნ. სეევროვი, მ. შავიშვილი, გ. ლეჟავა, მ. მელია, გ. ჯანდიერი, ზ. ქურდიანი და მ. ჩხიკვაძე. მოწვეულ იქნა ა. ქურდიანიც, მაგრამ მან უარი თქვა კონკურსში მონაწილეობაზე, ხოლო არქ. ს. ლენტოვსკიმ კონკურსის გარეშე წარმოადგინა პროექტი. კონკურსი 1947 წ. ივლისში დამთავრდა.

საპროექტო მოცემულობა ითვალისწინებდა აკადემიის კომპლექსის საესკიზო პროექტის შედგენას. კომპლექსი უნდა განლაგებულიყო თბილისში, ჩელუსკინელების ქუჩის, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა, საქ. სამხედრო გზისა და აკურის ქუჩებს შორის მდებარე მონაკვეთზე.

გენერალურ გეგმაში კომპლექსის გეგმარების ძირითად ღერძთა მოცემისათვის დასაბამს ტერიტორიაზე შესასვლელი იძლევა. ბუნებრივია, ამ ადგილას შესასვლელი ორი მხრიდან, საბურთალოს მოედნიდან და ჩელიუსკინელთა ქუჩიდან უნდა მოეწყოს. სწორედ ეს ორი შესასვლელი ქმნის დაგეგმარების ძირითადი ღერძების სქემის სხვადასხვა ვარიანტებს.

ზოგ პროექტში კომპლექსის გეგმარების ამ ძირითადი ღერძის გაგრძელებაზეა მოწყობილი ცენტრალური შესასვლელი ჩელუსკინელთა ქუჩის მხრიდა-

---

[174] „საბჭოთა ხელოვნება“ 1955, № 6, გვ. 6.

ნაც. ასეა მელია—ჯანდიერის, სევეროვის, შაეიშვილის, ლენტოვსკის, ლეჟავას, ჩხიკვაძის პროექტებში. სევეროვის, ზ. და ნ. ქურდიანების და ს. რევიშვილის, მელია-ჯანდიერის და შავიშვილის პროექტებში გრძივი და განივი ხეივნები ისეა შედგენილი, რომ ცალკეულ ნაგებობებთან მისვლა და ინსტიტუტთა განლაგება უფრო მოხერხებული იყოს.

არქ. მ. ჩხიკვაძის იდეა, რომ აკადემიის ინსტიტუტთა კომპლექსი წარმოედგინა, როგორც ერთიანი ორგანიზმი. თავისთავად მეტად საინტერესო იყო, რადგან კომპლექსის შემადგენელ ნაწილებს ორგანულად ჰკრავდა, მაგრამ ერთის შეხედვით ამ ეფექტურ კომპოზიციას ზედმეტი გიგანტურობის კვალი დაყენებოდა (ტაბ. 69_2). თან ინსტიტუტთა შენობებს დამხმარე ნაგებობათათვის ადგილი არ რჩება და თუ მოიძებნება, იგი დაარღვევს საერთო ამაღლებულ მხატვრულ სახეს.

ნ. სევეროვის გენერალური გეგმა ორი მთავარი ურთიერთპერპენდიკულარული ღერძით მარტივ სქემას ქმნის, რომლის ირგვლივ მწვანე მასივია, მასში გაფანტული შენობებით. აქ ავტორი ერთნაირი კონფიგურაციის შენობათა სიმეტრულ განლაგებას კი არ იძლევა, არამედ ცალ-ცალკე დანიშნულებისადა-მიხედვით დგამს შენობებს. შენობათა ასეთი თავისუფალი, მწვანე მასივში გაფანტული განლაგება ქმნის დამოუკიდებელ ჯგუფებს, რომლებიც ერთი მთლიანის ნაწილებადაა წარმოდგენილი.

დიდ როლს ანიჭებს გამწვანებას არქიტექტორი გ. ლეჟავაც. მის პროექტში ინსტიტუტთა შენობები უფრო მკაცრადაა განაწილებული, აქ ბატონობს მკვეთრად გამოხატული ცენტრი ძირითადი ღერძისა (ტაბ. 69_3).

ამ პროექტებისაგან განსხვავებით ლენტოვსკის პროექტი ეყრდნობა ქუჩების ხისტ სისტემას. ტერიტორია იყოფა რამდენიმე მონაკვეთად, რომლებიც ქუჩებით ერთიანდება. ასე გადაწყვეტილი კომპლექსი ემსგავსება ქალაქური ტიპის რაიმე დასახლებას, სადაც „კაზიონური“ ნაგებობებით ჩამწკრივებული ქუჩები მოსაწყენ ერთფეროვნებას იწვევენ.

ძირითადი ღერძის განსხვავებულ განლაგებას ვხედებით ლეჟავას პროექტში. თუ სხვა პროექტებში, ძირითადად, მთავარი ღერძი გეომეტრიულ ღერძს მარცხნივ სცდება და ისე კვეთს კომპლექსის ტერიტორიას, გ. ლეჟავასთან იგი ჩელუსკინელების ქუჩისკენ მდებარე ხევს უერთდება. ბორცვის გამყოფი ხევი პლატოზე ასასვლელ ბუნებრივ გზას წარმოადგენს.

ფასადის ფრონტი არაპარალელურია ჩელუსკინელთა ქუჩის მიმართ, თანაც ბორცვზეა, საკმაოდ დაცილებით წითელ ხაზიდან. ეს, ბუნებრივია, ქუჩიდან ხედვისას მის დაფარვას გამოიწვევს, მაგრამ ავტორი ამას არ ერიდება

რადგან ნაკვეთის ძირითადი ღერძი, რომელიც ბორცვისკენ მიმართულ ხევზე კიბეების სახით გრძელდება, აორგანიზებს ხიდთან შექმნილ მცირე მოედანს, თვით ღერძიც სანაპიროს რეკონსტრუქციით თავის გაგრძელებას პოულობს, ხოლო მოედანი, მცირე არქიტექტურული ფორმებითა და ფართო კიბეებით, არა მარტო აქცენტს სვამს აკადემიის შესასვლელზე, არამედ საზეიმო იერსაც ანიჭებს მას.

ავტორები სხვადასხვაგვარ მნიშვნელობას ანიჭებენ საბურთალოს მოედნიდან შესასვლელ და ჩელუსკინელთა ქუჩის მხრიდან მიმართული ღერძების კვანძს.

არქ. ქურდიანის ჯგუფი გულუხვად უთმობს აკადემიის ტერიტორიას საბურთალოს მოედანს, რომელიც გრძელდება ამ მონაკვეთში. აქ კვანძის მნიშვნელობა საგრძნობლად გადაჭარბებულია (მოედანი 2 ჰექტარია, თან მოედნიდან გადასვლა ტერიტორიის შიდაღერძებზე ფაქტიურად გადაუწყვეტი დარჩა).

გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, ბორცვზე ნაგებობა უნდა აიგოს ტერიტორიის სამხრეთ და დასავლეთ საზღვრებიდან საგრძნობი მოცილებით (50—60 ?). თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩელუსკინელთა ქუჩა არც თუ ისე განიერია (26 მ) და რომ მოცემულობით შენობის სიმაღლეც (3—4 სართ.) განსაზღვრულია, გამოდის, რომ ჩელუსკინელთა ქუჩიდან ბორცვზე მდგომი შენობა ან ნაწილობრივ გამოჩნდება ან სრულიად არა (ამას ადასტურებს გრაფიკული ანალიზიც.).

ამიტომ, სრულიად სწორად მოიქცა არქ. გ. ლეჟავა, რომ არ დაერიდა შენობის ღრმად შეწევას (135 მ) მთელ ფრონტზე, მაგრამ სამაგიეროდ ხევზე გახსნა ხედი. აქ მოთავსდა კიბეები, საზეიმო ხასიათი კიდევ უფრო გაძლიერდა მცირე მოედნის შექმნით და სანაპიროს რეკონსტრუქციით.

თერთმეტსართულიან სახლთან მდებარე მხარეზე ქურდიანის ჯგუფი, ჩხიკვაძე და შავიშვილი ცირკის სიმეტრიულ კიბეებს აპროექტებდნენ. მხოლოდ ჩხიკვაძის პროექტშია ამ კიბეთა ღერძი ლოგიკურად დამთავრებული: მას შენობის მოცულობა ჰკეტავს. ქურდიანის ჯგუფის პროექტში კიბეების პერსპექტივის დამთავრება (ქანდაკებით) მეტად ხელოვნურია.

მოედანი რომ აკადემიის ბორცვის მხარეს ისევე „გახსნილი“ ყოფილიყო, როგორც იგი ცირკის მხარესაა, მაშინ შესაძლებელია ამგვარ სიმეტრულ გადაწყვეტას მხატვრული ეფექტიც მოეხდინა, როგორც, ვთქვათ, ჩელუსკინელთა ქუჩის დამწყებ, მაორგანიზებელ ელემენტს. მაგრამ „თერთმეტსართულიანი“ სახლის კოშკური ნაწილი, და საერთოდ მოედნის არსებული კომპოზიცია, ასიმეტრულია და მასში ასეთი წმინდა გეომეტრიული გადაწყვეტა დისონანსს შეიტანს, გაერთიანების ნაცვლად დაარღვევს არქიტექტურულ მთლიანობას.

რადგან სიმეტრული განლაგება მხატვრულ ერთიანობას არ ნიშნავს. ამას ემატება ისიც, რომ ცირკის კიბეების ღერძი ამცდარია თვით შენობის ღერძს, რაც უკვე გაუგებარია — მის სიმეტრიულად კიდევ კიბეების მოწყობა წამოსწევდა ცირკის კიბეების მნიშვნელობასაც და, ამრიგად, ხაზს გაუსვამდა ამ გაუგებრობასაც.

სხვაა, როცა საზეიმო კიბეებისათვის ავტორები იყენებენ ჩელუსკინელთა ქუჩასთან არსებულ ხევს, საიდანაც ეფექტური მისასვლელის მოწყობა შეიძლება ბორცვის ზედა პლატოსაკენ. ამას სხვადასხვა მხატვრული საშუალებებითა და მიდგომით, თითქმის ყველა არქიტექტორი უწევს ანგარიშს. სხვა პროექტებისაგან განსხვავებით ლეჟავას პროექტში ძირითადი ღერძი აერთიანებს საბურთალოს მხრიდან შემოსასვლელს სწორედ ამ ხევთან, სადაც იდგმება ცენტრალური ნაგებობაც. ამით ავტორმა ნაკვეთის თავისუფალი ათვისების შესაძლებლობა შექმნა, თუმცა ვერ აიცილა ცენტრალური შენობის ფრონტის დახრილი კუთხით განლაგება ჩელუსკინელთა ქუჩის მიმართულებასთან შეფარდებით.

ჩელუსკინელთა ქუჩისაკენ მიმართულ ფასადებს პროექტებში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ყველა ავტორს პროექტში არქიტექტურული მახვილი სწორედ აქ აქვს დასმული. როგორც უკვე აღინიშნა, მთავარი შენობები ავტორთა ნაწილს თავისუფლად აქვს განლაგებული (სეეროვი, ლენტოვსკი), სხვებს თაღოვანი გადასასვლელებით შეერთებული ერთიანი შენობა გა დაუჭიმავთ მთელ ფრონტზე — მელია — ჯანდიერი, ქურდიანის ჯგუფი, შავიშვილი, ლეჟავა (მ. ჩხიკვაძის პროექტი სრულიად განსხვავებული ორიგინალური კომპოზიციისაა და ამ დაყოფას არ ეფარდება). ამ მეორე ჯგუფის ავტორთა უმრავლესობას ფასადთა ძირითად გამაერთიანებელ ელემენტად ორდერი აქვს გამოყენებული. მ. შავიშვილის პროექტში ფასადს მთელ სიგრძეზე ორდერის ერთიანი მეტრი გაჰყვება, რომელიც გარკვეულ ადგილას წყდება და პარაპეტების აწევითა და არქიტრავის ნაცვლად თაღის გაკეთებით მახვილებს სვამს, ზოგჯერ კი თავისუფალი კედლის სიბრტყის დატოვებით პაუზებს ქმნის (ტაბ. 68₂). ცენტრში მთავარი შენობა დიდი ორდერითაა გადაწყვეტილი, მისი პორტიკის კოლონადა და გუმბათი თავიდანვე იპყრობს ყურადღებას. ქურდიანის ჯგუფსაც (ტაბ. 68₁) ძირითად თემად ლოჯიის ორდერი აქვს გამოყენებული— სწორედ ამითაა ხაზგასმული ამ ფრონტზე მთავარ ნაგებობათა მნიშვნელობა, რომელთაგან უმთავრესს დამატებითი შესასვლელის პორტალი და გუმბათიც უსვამს ხაზს. გ. ლეჟავას პროექტში (ტაბ. 69₃) კედლის სვეტთა ორდერი ქმნის ფონს, რომელზედაც მთავარი შენობის პორტიკის მაღალი თაღედი და გუმბათის ცილინდრი აშკარა აქცენტად ჩანს. ზემოთდასახელებულთა-

გან განსხვავებით მ. მელიას პროექტში ფასადის სიბრტყე სადაა, გამოირჩევა ერკერები, ხოლო ცენტრალური ნაწილის გაზრდილი მოცულობა და მეოთხე სართულის თაღოვანი ლოჯია პირველობას ისაკუთრებს. ამ პროექტებში (გარდა გ. ლეჟავასი) შენობას გრძელი ფრონტის გასაწონასწორებლად ხიდისაკენ კოშკური ნაგებობა ამთავრებს.

ავტორთა მეორე ჯგუფი, რომელიც შენობებს ცალკე დგამს, უფრო მარტივი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. სეეროვი მთავარი კორპუსის ფასადს სამი რიზალიტით გამოჰყოფს, რაც ადვილად იკითხება საერთო წყნარ კედელზე. უმთავრესი მნიშვნელობა ცენტრალურ რიზალიტს ენიჭება. სეეროვს ამ ფრონტზე, თუმც მთავარ კორპუსისაგან საკმაოდ მოცილებით, გამოაქვს დამხმარე, საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობა.

პროექტთა უმრავლესობაში ცენტრალური კორპუსი ჩელუსკინელთა ქუჩასთან საზეიმო კიბის მარშითაა დაკავშირებული. და თითქმის ყველა შემთხვევაში ამ კიბეებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. მაგრამ თუ ლეჟავას პროექტში ეს კიბეები თავისი მასშტაბით და არქიტექტურული იდეის ხასიათითაა უკვე სავსებით გამოვლენილი, ლენტოვსკის, შავიშვილისა და განსაკუთრებით კი სეეროვის პროექტში იგი მცირე არქიტექტურულ ფორმათა უზომო რაოდენობით — უტრირებულია (ტაბ. 69_1). ჩელუსკინელთა ქუჩიდან შესასვლელის მოწყობისათვის კარგ პირობებს ქმნის არსებული ბუნებრივი ხევი. მაგრამ პროექტებში ზედმეტადაა გამოხატული ჩელუსკინელთა ქუჩის მნიშვნელობა (ეს რა თქმა უნდა, თვით საპროექტო მოცემულობამაც განაპირობა).

სრულიადაც არ უნდა იყოს გამორიცხული მთავარი შესასვლელის მოწყობა საბურთალოს მოედნიდან. ეს მ. ჩხიკვაძის პროექტში (ტაბ. 69_2). საკმაოდ საინტერესოდ არის მოცემული. ავტორის იდეა (სხვაა, რომ მან სათანადო ხორცშესხმა ვერ ჰპოვა) საზეიმო შესასვლელთა რიგს ქმნის და ძირითადი კორპუსიც ერთიანი კომპლექსის შიდა ნაწილშია მოთავსებული.

შენობა შეიძლება თვით ჩელუსკინელთა ქუჩიდან არც კი გამოჩნდეს, ყოველ შემთხვევაში მის მთელ სიგრძეზე. ქუჩის გადაჭარბებულმა შეფასებამ არა მარტო თვით ფასადთა არქიტექტურა დააჭუცმაცა, არამედ ბორცვის ოპტიკური შესუსტება გამოიწვია, შენობები „მძიმედ“ დააწვა მას. ზედა წერტილებიდან ეს „სიმძიმე“ არ იგრძნობა, ქვევიდან, ქუჩიდან კი შესამჩნევი იქნება.

აკადემიის კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს ჩელუსკინელთა ქუჩისა და მტკვრის სანაპიროს კუთხე შეადგენს. ამ ადგილს ავტორთა უმრავლესობა მხატვრული აქ-

ცენტისათვის იყენებს. (ეს სრულად უგულებელყოფილი აქვს სეეროვს, რომელსაც ამ ადგილას საცხოვრებელი სახლი აქვს დაგეგმილი).

გ. ლეჟავას პროექტში ეს კუთხე უფრო ნეიტრალურ გადასასვლელს წარმოადგენს. აქ დადგმული ქანდაკება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადგილობრივი მნიშვნელობისაა და ქალაქიდან აქცენტირებისათვის ის თვით აბსოლუტური ზომებითაც არ გამოდგება. გაშლილი სივრცე აქ ისევ მთავარი შენობის გუმბათოვან ნაწილს უხსნის ხედს, და ამდენად, ყურადღებას ისევ კომპლექსის საერთო აქცენტზე ამახვილებს.

აკადემიის კომპლექსის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანია ფასადები მტკვრის გაყოლებით. ბორცვზე შემდგარი შენობები მტკვრის მეორე ნაპირის დიდი მონაკვეთიდან ჩანს. ყველა ავტორი ფასადთა ამ ფრონტს ჰორიზონტალური გადაშლით იძლევა, სადაც აქა-იქ სხვადასხვა აქცენტებია დასმული. თუ მ. ჩხიკვაძის, ზ. ქურდიანის ჯგუფისა და გ. ლეჟავას პროექტებში შენობები დაგეგმილია მტკვრის პარალელურად, დანარჩენ ავტორებს თავისუფალი განლაგება აქვთ არჩეული. მაგრამ თუ მ. შავიშვილთან ეს თავისუფალი განლაგება მაინც სიმეტრიულ გადაწყვეტას ემყარება, ლენტოვსკისთან იგი ერთ სისტემაში არ არის მოქცეული. აქ მოცემულობით პირველი რიგის სამშენებლო ობიექტები გამოდის და როგორც უკვე გ. ლეჟავას პროექტით განხორციელებული შენობები გვიჩვენებენ, მტკვრის პარალელურად „მშრალად“ მოცემული ფასადები მეტად მოსაწყენი შეიქნა. აქ, გარდა შენობათა გამიზნულად თავისუფალი განლაგებისა, სადაც გამწვანებაც თავის როლს ითამაშებდა, თვით ფასადებზე სივრცობლივი ელემენტების შეტანა პირველხარისხოვან მოთხოვნილებად ისმება. საკონკურსო პროექტების შედარება აშკარად გვიჩვენებს, რომ სრულიად სადად მოცემული ფასადები ასე დიდ ფრონტზე (ვთქვათ, მელია-ჯანდიერის პროექტი) გაცილებით მოსაწყენია, ვიდრე მაშინ, როცა ფასადებში სივრცობლივი ელემენტებია ჩართული (ჩხიკვაძე, ქურდიანის ჯგუფი). ეს ბუნებრივიცაა, ჩრდილ-სინათლე ცხოველხატულობას ანიჭებს და „აცოცხლებს“ შენობებს ასეთ დიდ ფრონტზე.

საბურთალოს მოედნის მხრივ შესასვლელის მოწყობა ავტორებს სხვადასხვაგვარად ესმით. უმრავლეს შემთხვევაში აქ მახვილია დასმული (მელია, ქურდიანი, შავიშვილი, ლენტოვსკი). სეეროვი რიგით გადაწყვეტას იძლევა, ხოლო ლეჟავა აგრეთვე მახვილს სვამს, მაგრამ მოედანზე სხვა ძირითად აქცენტს გულისხმობს. ასეთი მიდგომა საბურთალოს მოედნის არსებული რთული არქიტექტურული სახის დროს მისაღებია, რადგან ხელს შეუწყობს ქუჩის წყნარი დინების შექმნას, რაც სპორტის სასახლის ერთიანი მოცულობითაც

გრძელდება. ზედმეტი აქცენტისათვის (მოპირდაპირე მხარეს უკვე არსებულ შენობების პირობებში), აქ ადგილი აღარ რჩება.

პროექტებისათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო ფასადთა პილასტრებით, როზეტებითა თუ სხვა სამკაულით მორთვა, გუმბათების, მცირე კოშკებით, შპილების, სამკაულთა სამკუთხა მოჩარჩოებისა და სხვა ამგვარ ელემენტთა ფართოდ გამოყენება. ზოგიერთ პროექტებში ქანდაკებას გადაჭარბებული მნიშვნელობა და ადგილი ენიჭება (მაგ., საზეიმო კიბის გადაწყვეტა შავიშვილის, სევეროვის პროექტებში). თუ ავტორები ფასადებზე არავითარ მხატვრულ ფორმასა და ელემენტებს აღარ ხმარობდნენ, მაშინ სისადავემდე კი არა, გაუბრალოებამდე მიდიოდნენ (მაგ., მელიას ინსტიტუტთა კორპუსები და სხვ.).


საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის პროექტებში არქიტექტორთა სამშენებლო ინდუსტრიის ჩამორჩენილობით გამოწვეული შებოჭილობაც იგრძნობა. არც ერთ პროექტში არ არის რაიმე ახალი მონაპოვარი, კონსტრუქციისა თუ საშენი მასალების ხმარების მხრივ. იმ სადგომებშიც კი, სადაც აუცილებლად საჭიროა მეტი სინათლე (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები და სხვ.) მაინც ჩვეულებრივი უკვე შერჩეული არქიტექტურული მოდული მეორდება, რის გამოც ვერც ამ ობიექტთა რაციონალური გადაწყვეტა იყო მიღწეული და ვერც მოსაწყენ ერთფეროვნებას ვერ აღწევდნენ თავს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის დაპროექტების კონკურსმა ქართულ არქიტექტურას პრინციპულად ახალი ვერაფერი შესძინა. იგი გამოხატავდა იმ პროფესიულ დონეს, რომელსაც ქართულმა საბჭოთა არქიტექტურამ ამ პერიოდისათვის მიაღწია; მაგრამ ის მნიშვნელობა, როგორც თავის დროისათვის ჰქონდათ მთავრობის სახლისა და მუზეუმ „მეტეხის“ დაპროექტების კონკურსებს, მას არა ჰქონდა.

გიორგი ლეჟავას პროექტი იმ დროისათვის ყველაზე უკეთ პასუხობდა საერთო ამოცანათა კომპლექსს, რომელიც აკადემიის დაპროექტების დროს წარმოდგება. ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით, ტერიტორიის დაგეგმარების, ობიექტთა განაწილებისა და საერთო არქიტექტურული გადაწყვეტით იგი გამოირჩევა სხვა პროექტებისაგან. სწორედ ამიტომ იგი დაედო კიდეც საფუძვლად მშენებლობას.

ქუთაისის ცენტრალურ ქუჩაზე აშენებულმა ადმინისტრაციულმა სახლმა (მ. შავიშვილი, 1947) სრულიად უცვალა სახე ქალაქის ამ მეტად მნიშვნელოვან მონაკვეთს (ტაბ. 70_1). მწვანეში ჩაფლული ქუჩა ცალი მხრიდან ესაზღვრება მოედანზე გამოსულ სკვერს და მასთან ერთად ცხოველხატულ სახეს ანიჭებს ქალაქის ცენტრს. ის გარემოება, რომ სკვერის გარშემო მდებარე ქუ-

ჩები მოკლეა, ერთგვარად ხელს უწყობს ცენტრის მკვეთრად გამოყოფას და მის ათვისებას. ვრცელი, ფართო მოედანი მწვანე მასივის საშუალებით ორგანულად ერთვის ამ კვარტალს და თავს უყრის მოედნის, სკვერის და მისი მომიჯნავე ქუჩების კომპლექსს. არქიტექტორმა, იმ მიზნით, რომ ადმინისტრაციული შენობისათვის ქუჩის განაშენიანებაში წამყვანი მნიშვნელობა მიენიჭებინა, ფორმათა და მოცულობათა აქცენტირებას კი არ მიმართა, არამედ ქუჩის სიღრმეში, განცალკევებით მოათავსა იგი. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ შენობაზე მახვილი დასმულიყო, მაგრამ ისე, რომ მას საერთო განაშენიანებაში ზედმეტი მნიშვნელობა არ მიეღო, არ „ამოვარდნილიყო“ მისგან.



ქუთაისი. ადმინისტრაციული შენობა. მეორე სართულის გეგმა.

შენობის გეგმა მარტივია. მასში მოთავსებულია ქალაქის აღმასკომი და პარტიის საქალაქო კომიტეტი. ამიტომ გეგმა სიმეტრიულად, ორ ნაწილად იყოფა და აღნიშნულ დაწესებულებებს თანაბარი მონაკვეთები უკავიათ. შენობის გეგმა წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, რომელსაც ეზოსაკენ ორივე მხარეს გვერდის მოკლე შვერილები აქვს. მომსვლელი ფასადის ცენტრალური ნაწილის წინ, თითქმის მთელ ფრონტზე, მოთავსებულ კიბეების რამდენიმე საფეხურის გავლის შემდეგ ხვდება ღია გალერეის ვიწრო სივრცეში და აქედან შედის შენობაში. სამი შესასვლელი სიმეტრიულადაა გან-

ლაგებული ცენტრსა და განაპირა მხარეებში. მცირე ტამბურის შემდეგ, დერეფნის გარშემო ორივე მხარეს სამუშაო ოთახებია განლაგებული. დერეფნის კუთხეებში ორივე მხარეს მოთავსებული კიბის უჯრედი თავიდან არ ჩანს, მაგრამ დერეფნის გახსნილი მხარე მხოლოდ მისკენაა მიმართული და ამიტომ მომსვლელი სწორედ მისკენ მიემართება. გვერდის ფრთებში, ცენტრალური ნაწილისაგან განსხვავებით, სამუშაო ოთახები დერეფნის ცალ მხარესაა განლაგებული.

მეორე სართულზე მოთავსებულია მთავარი სადგომები. მთავარი კაბინეტი — მისაღები ოთახით, სამუშაო ოთახებითა და სანკვანძით, გვერდის ფრთაში კი სხდომათა დარბაზია, რომლის წინ, ეზოს მხარეს კულუარებია დამხმარე კიბის უჯრედით. ეს გეგმა სიმეტრიულად მეორდება შენობის ორივე მხარეს.

ამ სართულის ცენტრალური ნაწილის თითქმის მთელ ფრონტზე ღია ტერასაა, რომელიც აერთიანებს მისკენ გამოსულ ოთახებს და ამდენად ღია გადასასვლელსაც წარმოადგენს შენობის ორი შემადგენელი ნაწილის დაკავშირებისათვის. ეზოს მხარეს კი სამუშაო ოთახებია.

შენობის მესამე და მეოთხე სართულებზე დერეფნის გარშემო მოთავსებულია სამუშაო ოთახები და კაბინეტები.

გეგმის ორგანიზაცია, ფუნქციური თვალსაზრისით, სიძნელეებს არ იწვევს, ოთახები ნათელი და ვრცელია, კარგი პროპორციებით. მაგრამ შენობის ორ ნაწილად გაყოფამ გაართულა რიგი საკითხებისა, რაც შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა. შენობას ფაქტიურად არა აქვს ვესტიბიულები, რაც ასე მნიშვნელოვანია ხალხმრავალ დაწესებულებაში. შესასვლელთან მოთავსებული მცირე ტამბური (16 კვ. მეტრის ფართობით) ვესტიბიულის მაგივრობას ვერ ასრულებს. ეს სივიწროვე თან სდევს მომსვლელს კიბის უჯრედსა თუ დერეფნებში. ვიდრე სამუშაო ოთახებში მიხვიდოდეთ, შიდა სივრცე ჩაკეტილია, ვიწროა. დერეფნის შუაში გაყოფამ დაახშო სივრცის ის „გარდამავალი“ ელემენტი, რომელიც გარედან სამუშაო ოთახებზე გადასვლისთვის იყო საჭირო. მოუხერხებელია დამხმარე სადგომების უქონლობა სართულებზე. მეორე სართულზე სანკვანძი მხოლოდ კაბინეტებთან არის, ზედა სართულებზეც სანკვანძების ადგილი შეუფერებელია და რაოდენობაც არასაკმარისი. ორ დაწესებულებას შორის კავშირი თვით შენობაში არ მყარდება (აღნიშნული ტერასა მაინც შემთხვევითია) და სხვ.

თეთრი ეკლარის ქვით მოპირკეთებული ოთხსართულიანი შენობა დგას კურსების ტეშენიტის რუხი ფერის დაბალ ცოკოლზე.

მთავარი ფასადი ორ სიბრტყედაა გადაწყვეტილი. ცენტრალური, ამაღლე-

ბული, ნაწილი წინ არის წამოწეული, ხოლო გვერდის ფრთები ვიწროა და სიღრმეში შეწეული. ცენტრალურ არეს წინ, ქვედა სართულზე, ცხრამალიანი თაღედი გასდევს, ხოლო მისი ძირითადი არე სამი სართულის სიმაღლის კედლისსვეტებით იყოფა.

გვერდის ფასადები მარტივია. ისინი იმეორებენ მთავარი ფასადის დაყოფას ორ ძირითად ჰორიზონტულ ნაწილად. კედლის სადა სიბრტყე სარკმლებითაა დაცხრილული.

მთავარი ფასადის ორ სიბრტყედ წარმოდგენა და წინ გალერეის მიდგმა სივრცობლივ ნიუანსებს ქმნის, რაც შენობის ერთიან მასივს გარკვეულ პლასტიკურობას ანიჭებს. მთავარი ფასადი ისეა დამუშავებული, რომ ჰორიზონტალურ რიგს წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდეს, რითაც იგი კარგად უკავშირდება ქუჩის დინებას. ფასადის კომპოზიცია გაწონასწორებულია ვერტიკალურ და ჰორიზონტულ ნაკვეთთა ურთიერთშეფარდებით. სამსართულიანი კედლისსვეტების ვერტიკალური სწრაფვა, რომელსაც გვერდით სარკმელთა რიგი ესიტყვება, წონასწორდება თვით ცენტრალური არის კედლის სიბრტყეში შეწევით. შექმნილია ჰორიზონტალურად „გაწოლილი“ სწორკუთხედი, რომლის დიაგონალი ფასადის გამოწეულ სწორკუთხედზე გავლებულ დიაგონალის პარალელურია. ჰორიზონტულ აბზაცს ქმნის აგრეთვე გალერეის მოცულობა, მესამე სართულის აივანთა ზოლიც, რომლის პარაპეტის ჰაეროვანი გამჭოლი ნახატი თითქოს ამსუბუქებს შენობას ზევითკენ. მაგრამ, ყველაფერ ამასთან ერთად ფასადის კომპოზიცია ცენტრალურ არეზე მკაფიო მახვილს ქმნის.

გვერდის ფრთები ამ ფასადზე კედლის მეტ სიბრტყეს იძლევა. თუ ცენტრში ინტენსიურადაა განლაგებული ხვრელობები, აქ მეტი თავისუფალი კედელია. ფანჯარათა თითო რიგი სიმაღლეზე ერთგვარ მოჩარჩოებას უქმნის კედელში შეტანილ ცენტრალურ არეს.

ამრიგად, სიბრტყეთა ცვალებადობით და დეკორაციული დამუშავებით ცენტრალური არე საკმაოდ არის აქცენტირებული. დეკორაციული კედლის სვეტები, სარკმელთა მოჩარჩოება და მარაოსებრი სამკაულით მორთული ტიმპანი, აივნების პარაპეტის ნახატი, მრგვალი როზეტები და სხვ., თავიდანვე იქცევენ ყურადღებას. შენობას ამთავრებს ფოთლოვანი ორნამენტის ნახატით მორთული კარნიზი.

მორთულობაში ხაზგასმულია წმინდა დეკორაციული მხარე. სხვადასხვა ელემენტების გამოყენებისას ავტორი არ ცდილობს კონსტრუქციული ილუზიის შექმნას. ამაზე მეტყველებს თუნდაც კედლისსვეტების ვიწრო მომრგვალებულ „კონად“ წარმოდგენა, მასთან შეფარდებული ვიწრო კაპიტელი და სხვ. ამ სვეტებს მზიდავი ელემენტის არავითარი „პრეტენზია“ არა აქვთ,

მიუხედავად კედლის შეტეხვისა, რაც ანტამბლემენტის თავისებურ სახეს ქმნის. ასევეა კარნიზის ფოთლოვან ორნამენტზე დაყრდნობაც და სხვ.

თაღედის პროპორცია და ზომები კარგად არის შერჩეული. პროპორციისათვის ავტორი იყენებს ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში თაღედის აგების უკვე შემუშავებულ ხერხს, რაც თავის მხრივ ემყარება თაღედის შეფარდებებს ქართულ ისტორიულ არქიტექტურაში.

ძველ ქართულ არქიტექტურაში ასეთი თაღედის პროპორციული გადაწყვეტა საუკუნეების მანძილზე შეიძლება კონსტანტურად ჩაითვალოს (რა თქმა უნდა, არა აბსოლუტური გაგებით). რიგ ძეგლებზე თაღედის მალისა და სიმაღლის შეფარდება მასში ჩახაზული წრის სამი რადიუსით განისაზღვრება ან კი მასში ჩაწერილი კვადრატის დიაგონალით აგებული სწორკუთხედში — ე. ი. გვერდების შეფარდებით $1:\sqrt{2}$.

ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში არქიტექტორები ფართოდ იყენებენ ამ თაღედის თემას და ძირითადად იცავენ კიდეც მათ პრინციპულ წყობას.

არქიტექტორი დეკორს თავშეკავებულად, ზომიერად ხმარობს. როგორც აღინიშნა, დეკორაციული მორთულობა ქართულ ისტორიულ არქიტექტურის რეპერტუარს ემყარება, თუმცა ნახატი თავისუფალია. დეკორი შეფარდებულია ფასადის საერთო გადაწყვეტასთან, ძირითად სამკაულად სიბრტყობლივი ორნამენტია (პარაპეტი, ფანჯრის მოჩარჩოება). მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, მკვეთრი კონტრასტისთვის, ნახმარია მოცულობითი ფორმები (როზეტები). ქართული ტრადიციული სვეტების კონა ფოთლოვანი ორნამენტისა და იონიური ვოლუტებით შედგენილი კაპიტელით მთავრდება. კაპიტელს ორიგინალური ნახატი აქვს.

ავტორის მიზანი, რომ მარტივი და სადა ორნამენტული მორთულობა შექმნას, ყოველთვის ვერ აღწევს შედეგს და სისადავის ნაცვლად, სქემატური და მშრალი ორნამენტია მიღებული. ასეთია მესამე სართულზე სარკმლების თაღედში მომწყვდეული მარაოსებრი ორნამენტი, რომელიც თითქოს იმეორებს ცნობილ დეკორაციულ მოტივს ქართული ხუროთმოძღვრებიდან, მაგრამ მეტად სქემატურია და უღიმღამო. თაღედის კაპიტელებზე ფონის დიდი არე დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, თან მასში ჩასმული ემბლემაც ხელოვნურად გამოიყურება.

ნახატის სიხისტესთან ერთად უნდა აღინიშნოს შესრულების სიმშრალეც. ორნამენტს აკლია ის ლაზათი, რომელიც მზის სხივების დაცემისას ცხოველხატულობას და სიცოცხლეს შემატებდა მათ. ყოველთვის არ არის გათვალისწინებული ორნამენტის დაცილება თვალისგან, ამის შედეგად „ამოვარდნილია“

კარ-სარკმლების ვიწრო და დაწვრილმანებული ორნამენტული მოჩარჩოებახი მეორე და მესამე სართულებზე.

ამრიგად, არქიტექტორმა ქუთაისის ადმინისტრაციული შეხობა კარგად ჩაწერა ქუჩის დინებაში, შექმნა ფასადის სადა კომპოზიცია, რომელშიაც ძორთულობის ელემენტები პასუხობენ საერთო არქიტექტურულ ხასიათს, მაგრამ შენობის მოკაზმულ ფასადებს უკან იმალება ფუნქციური ხასიათის ნაკლოვანებანი, შესაძლოა ერთი შეხედვით უმნიშვნელო, სინამდვილეში კი ანგარიშგასაწევი.

ქუთაისის ცენტრის რეკონსტრუქციაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა თეატრის შენობამ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენებულ ამ დანიშნულების ნაგებობათაგან ყველაზე დიდია. იგი 1100 მაყურებელს იტევს (არქ. შ. თავაძე, მ. შავიშვილი).

თეატრის მშენებლობა 1933 წელს დაიწყო არქიტექტორ შ. თავაძის პროექტის მიხედვით. (ტაბ. 70_2). ავტორი ამ პროექტის შესახებ წერდა, რომ „ეს თეატრი არის როგორც კამერული, ისე მასობრივი წარმოდგენებისათვის. იგი წარმოადგენს ყრილობების, სადემონსტრაციო, საზეიმო და საკოხცერტო დარბაზს“[175]. გეგმაში ოვალური მოხაზულობის თეატრი 2.000 კაცს იტევდა და ტრანსფორმაციის შესაძლებლობა ჰქონდა: დარბაზის გადაკეთებით იქმნებოდა ვრცელი მოედანი, რომელზედაც გარდა მასობრივი სანახაობისა, სპორტული შეჯიბრებაც შეიძლება ჩატარებულიყო[176].

შემდგომში მაყურებელთა რიცხვი ჯერ 1500-მდე, შემდეგ 900 კაცამდე შეამცირეს[177].

1940 წელს, მაშინ, როცა ამოყვანილი იყო მთელ პერიმეტრზე ცოკოლისა და პირველი სართულის კედლები მთლიანად, ხოლო სასცენო მხარეს მესამე სართულის ნაწილიც, მოხდა მშენებლობის კონსერვაცია. მშენებლობა 1944 წელს განახლდა. არქიტექტორმა მ. შავიშვილმა 1945 წლის დასაწყისში წარადგინა ესკიზი, ხოლო პროექტი მუშავდებოდა და დამტკიცებულ იქნა 1945—1947 წლებში. პროექტი, მოცემულობის თანახმად, ითვალისწინებდა მშენებლობის გაგრძელებას უკვე აშენებულ ნაწილთა გამოყენებით, მაყურებელთა

---

175 შ. თ ა ვ ა ძ ე — როგორი იქნება ქუთაისის თეატრი: გაზ. „მუშა და კოლმეურნე“, 1933. 24. 11, № 270.


176 მშენებლობა სახალხო სახსრებით დაიწყო. იხ. „მუშა და კოლმეურნე“ 1934, 24.4, № 169.

177 შ. თ ა ვ ა ძ ე — სოციალისტური ხუროთმოძღვრების მორიგი გიგანტი. „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 1—2.

რიცხვი 900-დან 1100-მდე გაიზარდა და ამ პროექტის მიხედვით მშენებლობა 1955 წელს დამთავრდა[178].

თეატრი აგებულია ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. იგი თავისუფლადაა განლაგებული და მთელი კვარტალი უჭირავს (ტაბ. 71$_1$).

გეგმით იგი წარმოადგენს ოვალს, რომლის ოთხივე მხარე სიმეტრიულად



ქუთაისი. თეატრი. გეგმა.

[178] „Комсомолец" 1955, 6.11, № 264; „Заря Востока", 1955 7.11, № 265; „სტალინელი", 1955, 5.11 № 219.

განლაგებული შესასვლელებითაა გამოყოფილი. ამათგან მოედნისკენ მიმართულ მთავარ შესასვლელს ოთხი შეწყვილებული სვეტებიანი პორტიკი ეკვრის. შესასვლელი მოედნის დონიდან აწეულია (ცოკოლის სართულის სიმაღლით) — მისკენ ფართო კიბეები და ორივე მხრიდან პანდუსებია მიმართული.

ცოკოლის სართული მოედნისა და ქუჩების საერთო დონეს ეთახაბრება (წინა პროექტით იგი მიწით იყო პირველ სართულამდე დაფარული). აქ შესასვლელები გვერდის მხრიდანაა: ცენტრში საწყობები და სავენტილაციო კამერაა, გვერდის ორივე მხარეს კი ადმინისტრაციული, სამეურნეო სადგომები და საბილეთო სალაროებია.

გვერდის შესასვლელებს, რომლებიც ოვალის მცირე ღერძს ემთხვევა, მარცხნიდან ლოჟებისაკენ მივყავართ. აქ მცირე ვესტიბულია კიბის უჯრედით. ამ შესასვლელის საწინააღმდეგო მხარეს საწყობია მოთავსებული.

მთავარი შესასვლელიდან მაყურებელი ტამბურით ვესტიბიულში ხვდება. სადგომების მოხაზულობა მიყვება ოვალის ხაზს, ამითაა გამოწვეული მათი წაგრძელებული მოცულობაც.

მაყურებელთა დარბაზი გეგმაში წრის სამ მეოთხედს იკავებს, იგი ნალისებრი ფორმისაა. მისი ერთიანი სივრცე სამ იარუსს აერთიანებს. პარტერი თანდათანობით მაღლდება. უკან მთელ რკალზე ლოჟებია.

დარბაზს კულუარები და ვრცელი ფოიე ერტყმის. მეორე და მესამე სართულზე ფოიე ორსინათლიან სივრცეშია გაერთიანებული. აღსანიშნავია, რომ მთავარ პორტიკთან მდებარე კიბის უჯრედებს მხოლოდ მეორე სართულზე ავყავართ, ხოლო უფრო ზევით განაპირა კიბის უჯრედებით უნდა ავიდეთ. მეოთხე სართულზე ფართობის უდიდესი ნაწილი (რომელიც ქვევით ფოიესთვისაა დათმობილი), თეატრალური ხელოვნების მუზეუმს უკავია. მუზეუმს დამხმარე (საწყობები და სხვ.) სადგომებიც აქვს.

ზედა სართულებზე სცენისაკენ ბუფეტი, ორსინათლიანი სარეპეტიციო დარბაზი და სამხატვრო სახელოსნოა.

სასცენო ნაწილში ცოკოლის სართულზე დამხმარე სადგომებია. სცენას ორივე მხარეს ფართო და ღრმა უბეები აქვს. სცენის უკან მოთავსებულია მსახიობთა საპირფარეშოები, რეჟისორის და სხვა ოთახები, რომელთა შუაში მსახიობთა გამოსასვლელი ფოიეა. მეორე და მესამე სართულები მსახიობთა საპირფარეშოებს, გრიმიორთა, დასვენების და სხვა ოთახებს უკავიათ, ხოლო მეოთხეზე სახელოსნოებია მოთავსებული.

ამდენად, თეატრის გეგმა ითვალისწინებს სასურველ პირობებს, როგორც მაყურებლისათვის, ისე მსახიობთა და ტექნიკური პერსონალისათვის. იგი მკაფიოა, მაყურებელთა და სასცენო ნაწილები შეიცავენ თითქმის ყველა სავალ-

დებულო სადგომს და ორგანულად უკავშირდებიან ერთმანეთს. თეატრის გეგმა მოგვაგონებს ძმ. ვესნინების ხარკოვის თეატრის საკონკურსო პროექტის (1931) პრინციპებს[179]. პროსცენიუმის შემოწვეა დარბაზისაკენ, სცენის მოხაზულობა ღრმა უბეებით, მსახიობთა ოთახების დაკავშირება სცენასთან, ისევე როგორც ბუტაფორიის შესანახი სადგომებისა და სხვა, მოხერხებულია.

მაყურებელთა ნაწილში დარბაზის გარშემო მოთავსებულია გალერეები, ფოიე-კულუარები ვრცელ სადგომებს წარმოადგენენ. არქიტექტორს გათვალისწინებული აქვს ტერასები და ლოჯიებიც, რომლებიც თბილ დღეებში დიდ მნიშვნელობას იძენენ.

ფოიეთა და კულუარების ინტერიერთა დამუშავება უმთავრესად სივრცობლივ გადაწყვეტაზეა დამყარებული. ღრმა პერსპექტივები, რომლებსაც სვეტების რიგი აძლიერებს, ერთი სივრციდან მეორეზე კონტრასტული გადასვლა (კულუარებისა და ფოიეთა ურთიერთდაკავშირება), მრავალფეროვნებას იწვევს. ფოიეთა სხვადასხვაობა მათი სიმაღლის, არქიტექტურული დამუშავების, ფერის მხრივ — ინდივიდუალობას ანიჭებს ყოველ იარუსს. თუ კულუარების დამუშავება სადაა და მხოლოდ არქიტექტურულ ფორმათა სადა გამოვლენას ეყრდნობა, ფოიეთა სახე უფრო საზეიმო ხასიათს ატარებს, აქ განსაკუთრებით გამოიყოფა სვეტებისა და პლაფონის დამუშავება. პლაფონის არე თითქმის ყველა შემთხვევაში კონსტრუქციულ კოჭებს ავლენს და ამიტომ მოცულობითი წახნაგებითაა დასერილი, რომელთა ფონი ორნამენტული მოხატულობით ივსება. კაპიტელები, ელექტროარმატურა, ჭერის მოხატვა დეკორაციულ აქცენტებს სვამს ინტერიერის საერთო სივრცეში. დეკორაციულობის გასაძლიერებლად ხშირად ნახმარია ზედმეტი არქიტექტურული ელემენტები. მაგალითად, ორსინათლიან ფოიეში კედლებთან მიდგმული სვეტები ავიწროებენ სივრცობლივ გასასვლელებს და მხატვრულადაც ხაკლებ ეფარდებიან ანტრესოლიან კედლის დამუშავებას. აქ მხატვრული ენის ერთიანობა ვერ არის დაცული.

ინტერიერის მხატვრული „გაფორმება“ განსაკუთრებით საგრძნობია მაყურებელთა დარბაზში (ტაბ. 72_1), რომლის კედლები მთელ სიმაღლეზე (ქვედა ლოჟების რიგის გამოკლებით) დაფარულია მოხატული ორნამენტული ნოხით, რომელიც ზევით კედლის თაღოვანი არშიით მთავრდება. კედლიდან პლაფონზე გადასვლა კრონშტეინებით ხდება. ჭერის ცენტრალური არე ორხაძეხტულ ჩარჩოში ჩასმულ წრეს უჭირავს, რომლის გარშემო კვლავ მოხატულობაა. პლაფონის ცენტრში ჩამოშვებულია ბროლის ნახევარსფეროთი დამთავრებული ბრინჯაოს გამჭოლი ორნამენტით შედგენილი ჭაღი.

[179] Г. Бархин. Архитектура театра. М., 1947, გვ. 95—97.

პორტალის კედელი ისევ მთლიანად დაფარულ ორნამენტულ ხალიჩას წარმოადგენს, რომელზედაც გამოიყოფა პორტალის ფართო, ორნამენტითვე დაფარული არშია. აქ ორნამენტული ხალიჩა თაბაშირშია ნაძერწი და ამიტომ რელიეფურ ფონს ქმნის (განსხვავებით იარუსთა კედლის მოხატულობისა), რაც ჩრდილ-სინათლის დაცემით კიდევ უფრო გამოიყოფა. ორნამენტულ სამკაულს მცენარეული მოტივი უდევს საფუძვლად. ყველა დეკორაციული ელემენტი ფოთლოვანი ნახატის ვარიაციებს წარმოადგენს.

დეკორაციულობისადმი მისწრაფება დარბაზის ინტერიერში აშკარად გადაჭარბებულ მორთულობაში გამოიხატა. გარდა იმისა, რომ ხშირად ხანძარია თავისი დანიშნულებით სრულიად ზედმეტი ელემენტები (მაგ. კრონშტეინები პორტალის კედელთან და სხვ.) დეკორის ხასიათი (მოხატულობა, რელიეფური ორნამენტული კედლები, სვეტები და ფესტონები ლოჟებზე, თაღედი იარუსის კედელზე და სხვ.) არ არის ერთიანი და ნაცვლად გარკვეული აქცენტების გამოყოფისა — გადატვირთული, ზედმეტი მორთულობაა. პორტალის კედლის ორნამენტული გაფაწუვეტა ვერ უკავშირდება დარბაზის საერთო არქიტექტურას, რადგან გვერდის ლოჟების გაფორმება სრულიად სხვა ხასიათისაა, ხოლო პორტალის მოჩარჩოება სივიწროვის შთაბეჭდილებას ქმნის.

თეატრის მოცულობა დაბალ ცილინდრს წარმოადგენს, რომელსაც გეგმაში გრძივი და განივი ღერძების გასწვრივ პორტიკები ერტყმის. განსაკუთრებითაა ხაზგასმული მთავარი პორტიკი, რომელიც ოთხ შეწყვილებულ სვეტს ეყრდნობა. პორტიკი შენობის მთელ სიმაღლეზეა და გვერდის კედლებზე დეკორაციული მაღალი თაღედითა და ერთიანი ანტაბლემენტით გადადის. ამით იგი ორგანულადაა დაკავშირებული გვერდის ფასადებთან. შენობის ერთიანი მოცულობა პორტიკებისა და გვერდის ღია ლოჯიის საშუალებით სივრცობლივ კაშხასავლელებს ქმნის, რაც საერთო სიმეტრიულ კომპოზიციაში ცხოველხატულ აქცენტებს სვამს. განსაკუთრებით ეფექტურია გვერდის ჩრდილოვანი ლოჯიებით შექმნილი მძლავრი ლაქები.

ფასადთა გამაერთიანებელ თემას თაღედი წარმოადგენს. მიუხედავად განსხვავებული ხასიათის, მალისა თუ საერთო გაფორმებისა, იგი მაინც არ კარგავს მთლიანობას. პორტიკი არქიტრავული გადაწყვეტის გამო გამოყოფილია საერთო მოცულობისაგან, მაგრამ მისგან გამოთიშული არ არის.

ავტორებმა, შენობისათვის გარემომცველ პირობებთან შეფარდებული მასშტაბის მისაცემად, პორტიკის წინ საზეიმო კიბეებით და გვერდის პახდუსებით აამაღლეს დონე. ამით შენობის პროპორციები უკეთ „ჩაჯდა" მოედნის სივრცეში და, თანაც, თეატრმა ხაზგასმული პარადული მისასვლელი მიიღო. კარგად არის მოძებნილი გვერდის ლოჯიების მასშტაბიც, რომელიც უპასუხებს ცილინდრის ჰორიზონტალურ გადაწყვეტას.

ისევე. როგორც ინტერიერში, დეკორი ქართული არქიტექტურის ორხა-მენტული მოტივებისა და საერთო გაფორმების პრინციპებს ეყრდნობა. ასეა შედგენილი ეკლარის ქვის კედელზე ვიწრო და მაღალი კედლის თაღები, ლოჯიათა სვეტების კაპიტელები, მოჩარჩოებანი გვერდის პორტიკებზე და სხვ. მთავარი პორტიკის კაპიტელთა ელემენტები აგრეთვე ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების რეპერტუარიდან არის აღებული, მაგრამ მათი ხასიათი ორიგინალურია. კოლონების ვიწრო სვეტების „კონად“ წარმოდგენაც ქართული არქიტექტურის მოტივებითაა ნაკარნახევი, ისევე, როგორც რთული კარნიზის მორთულობის ელემენტები და სხვ. მაგრამ თუ დიდი ორდერის, გვერდის ლოჯიების თაღედის დეკორი გამიზნულია და თეატრალური ნაგებობის ამაღლებული, მონუმენტურ-დეკორატიული ფორმებით გადმოცემას ემსახურება, ზოგან დეკორი სრულიად ზედმეტია (კედლის სიბრტყეები პორტიკებს და ლოჯიებში. გუმბაფის გარშემო, სცენის კოლოფზე და სხვ.) ზოგი კი არც ჩანს არსაიდან. (მაგ. სცენის კოლოფის მორთულობა).

თეატრალური შენობები შენდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

ჭიათურის თეატრი აგებულია ძველი კლუბის ადგილზე. კლუბის მშენებლობა არ იყო დამთავრებული, როცა იგი თეატრად გადაკეთდა. თავდაპირველად აქ ხის კლუბის შენობა იყო, რომელიც 20-იანი წლების ბოლოს დაიწვა. შემდეგ, 1941 წელს, დაიწყო ახალი კლუბის მშენებლობა, მაგრამ მის გახორციელებას ომმა შეუშალა ხელი[180].

1944 წელს გადაწყდა რომ, უკვე ამოყვანილი ნაწილები გამოეყენებინათ თეატრალური შენობის ასაგებად. უმთავრესი ცვლილება წინ პორტალისა და სასცენო ნაწილების მიშენებით იყო გამოწვეული. მშენებლობა 1949 წელს დაიწყო და დამთავრდა. თეატრის პროექტის ავტორია კ. ჩხეიძე (მ. ჩხიკვაძის მონაწილეობით).

თეატრი ჭიათურის ცენტრალური მოედნის განაპირა მხარეს დგას (ტაბ. 72₁). ფონად მას მწვანეში ჩაფლული მთის კალთა აქვს. რელიეფი მთიანია და თეატრის გვერდის ფასადი სხვა სიმაღლის ტერასაზე გადის, ვიდრე მთავარი ფასადის მხარეა.

ქუჩიდან მთავარი შესასვლელი ღია კიბეებითაა მოწყობილი ფასადის ორი მხრიდან. ცოკოლის სართულში სალაროს ვესტიბიულია მოთავსებული.


მთავარი, საზეიმო შესასვლელი რომელიც ფასადზე ვიტრაჟითაა აქცენ-

---

[180] Б. Лордкипанидзе. Театр им. А. Церетели в Чиатурах. «Архитектура и строительство», 1950, № 8. გვ. 23; Театр в городе Чиатура. «Советское искусство», 1951, 3.3, № 18.

ტირებული, მთავარი პორტალის ტერასიდანაა: აქედან შედიხართ პირველ სართულზე, მთავარ ვესტიბიულში. სალარისთა ვესტიბიულს, რომელიც ცოკოლის სართულშია, ცალკე შესასვლელები აქვს.

ფოიე-კულუარები სამ მხრიდან ერტყმის გარს მაყურებელთა დარბაზს. ვერტიკალურად ისინი ერთმანეთთან იქცე კუთხეებში, ორივე მხარეს, მოწყობილი კიბის უჯრედებითაა დაკავშირებული. სართულებზე ფოიე მეორდება.



ჰიათურა. თეატრი. გეგმა.

მეოთხე სართულზე, მარჯვენა მხარეს, მისი ადგილი სარეპეტიციო დარბაზს უჭირავს. მანამდე კი ლოჟასთან მდებარე დასვენების ოთახია, თავისი სახკვახძით.

დარბაზი სცენისაკენ წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. იარუსთან ერთად, რომელიც სამი მხრივაა დარბაზთან შემოფარგლული, იგი 600 ადგილს ითვლის. გეერდის ორივე მხარეს შუა სიმაღლეზე გადმომდგარია მოძრგვალებული ფორმის ლოჟა (ტაბ. 72₂).

დარბაზში შესასვლელები მოწყობილია სცენასთან ახლო, პარტერში ადგილები ამფითეატრად მაღლდება.

სცენას ორივ მხარეს უბეები აქვს. აქვეა სხვადასხვა დამხმარე სადგომები და სახელოსნოები. ორ სართულზე სცენის უკან განლაგებულია მსახიობთა საპირფარეშოები, მაგრამ არსებული პირობებითა და რეკონსტრუქციის სირთულით გამოწვეულმა შეზღუდულობამ ყველაზე მეტად აქ იჩინა თავი. გაუთვალისწინებელია სცენისათვის რიგი სავალდებულო მოთხოვნილებისა. მაგალითად, პორტალისაგან გვერდის კედლების დაშორება არა საკმარისია; სასცენო ნაწილის კარები მცირეა — დეკორაციების შეტანა ძნელდება; სცენის სიღრმე მცირეა და მოძრავი წრე სცენის კოლოფის უკანა კედელს ეკვრის; არ არის მსახიობთა ფოიე: თეატრს აკლია საამქროები, სახელოსნოები[181].

საერთოდაც, შენობის გეგმას ეტყობა ძველი შენობის გადაკეთებით გამოწვეული იძულებითი სივიწროვე, რაც არა მარტო ზოგიერთ დამხმარე სადგომს განლაგებაშია (მაგ. სანკვანძის მოუხერხებელი ადგილები), არამედ დარბაზის ბოლოს ფოიესათვის ადგილის უქონლობაშიც ჩანს (დარბაზის სივრცის ფარდით გადატიხვრა, რა თქმა უნდა, იძულებითი საშუალებაა).

შენობის შიგნით უმთავრესი ყურადღება მაყურებელთა დარბაზს ეთმობა. აქაა კონცენტრირებული სახვითი ხელოვნების შესაძლებლობანი, თუმცა ფოიებიც არ არის მთლად სადად დატოვებული, ისინი მოხატულია ტრაფარეტული ორნამენტებით.

მაყურებელთა დარბაზში დიდი ადგილი ეთმობა ორნამენტულ მორთულობასა და მოხატულობას (ტაბ. 72_2). კარების მოჩარჩოება, რომელიც კედლის მთელ სიმაღლეზე გრძელდება, ლოჟათა პარაპეტი და აივნის საფუძველი, იარუსთა პარაპეტები, თითქმის მთელი კედლის სიბრტყე იარუსთა შორის და პორტალის მოჩარჩოება დეკორაციული ელემენტებით, ორნამენტული სამკაულითა და ფერწერული მოხატულობითაა გამოყოფილი. ჭერზე გადასვლა კრონშტეინებითა და ორნამენტული არშიის ორი რიგით ხაზგასმული კარნიზით ხდება.

დარბაზი ღია ყვითელი ტონითაა შეფერილი, რომელზედაც გამოირჩევა სკამებისა და ლოჟათა ფარდების ღვინისფერი—მოწითალო ფერადოვანება.

დარბაზის გვერდის კედლები სიმეტრიულადაა დაშუშავებული ორივე მხარეს. ქვედა რეგისტრი — იატაკიდან იარუსის გადახურვამდე — სამი სექციისაგან შედგება, რომელთა ზედა ნაწილი მუქ ლურჯ ფონზე ჭედური ხე-

---

181 გ. ძ ნ ე ლ ა ძ ე. თეატრის სასცენო ნაწილის დაპროექტება. „საბჭოთა ხელოვნება", 1954, № 1—2, გვ. 82.

ლოენების რეპერტუარიდან აღებული მოოქროვილი ორნამენტითაა დაფარული.

იარუსთა პარაპეტი მოხატულია ოქროსფერი ორნამენტული როზეტების რიგით. როზეტთა და ქვედა ორნამენტთა ფონი, ისევე, როგორც სხვა შემთხვევაში, იმეორებს დარბაზის საერთო ღია მოყვითალო ტონს. ეს ნახატი მეორდება ლოჟების პარაპეტზეც, რომელიც ორნამენტულ არშიებით დაყოფილ დიდი ზომის მომრგვალებულ კრონშტეინებზეა შემდგარი.

შესასვლელთა მოჩარჩოება რთული ნახატითაა შედგენილი (ორნამენტული ფართო არშია, შეწყვილებული პილასტრები, არქივოლტები) ნიშანში მოთავსებულია ბიუსტი. ტიმპანს ზევით შეწყვილებული თაღედი ედგმება, რომელთა არე ფერწერული მოხატულობითაა შევსებული: მოცემულია ქართველ მსახიობთა პორტრეტები (აქ მხატვრობა, ისევე როგორც პლაფონისა, როპერტ სტურუას ეკუთვნის).

პლაფონის ცენტრალური არე ორნამენტით მოჩარჩოებულ წრეს უკავია. ამ მოჩარჩოებიდან იწყება პლაფონის ფერწერული მოხატულობა, რომელზედაც სოფელში გამარჯვების ზეიმის სცენაა გამოხატული. პლაფონის კომპოზიციაში ფიგურები წრეხაზთანაა მოთავსებული, ისიც მხოლოდ სცენისაკენ მიმართულ მხარეს. წრის იარუსისკენ მდებარე ნაწილში მხოლოდ დროშის დრაპირებაა. პლაფონის ცენტრალური არე თავისუფალია, იგი ცის ფონს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ პლაფონის კომპოზიცია მრავალფიგურიანია, იგი ისეა გადაწყვეტილი, რომ ფიგურები წრეხაზის ნახევარზე ერთ რიგს ქმნის. მისი სცენისაკენ მიმართვა აღქმის ნორმალურ პირობებს უქმნის დარბაზში მყოფთ, რადგან ფიგურათა გამოსახულება მაყურებელთა წინაა, ხოლო წრის მეორე მხარე, როგორც აღინიშნა, მხოლოდ დროშის ფერადოვან ლაქას უჭირავს. საერთო ზეიმში ცალკეული ჯგუფებია გამოყოფილი—სოფლის მშრომელთა, ფრონტიდან დაბრუნებულ მეომართა, სოფლელი მხედრისა თუ სხვა ფიგურათა რაკურსი, მოძრაობა, საერთო რიტმი კარგად არის მოძებნილი და ამაღლებულ განწყობას ქმნის. ამას კიდევ უფრო უსვამს ხაზს პლაფონის კოლორიტის მაჟორული ტონალობა, რომლის საერთო გამაში მოშვინდისფრო-მოწითალო ტონი ჭარბობს (ამაში თავის როლს თამაშობს დრაპირების დიდი ფართობიც).

ამრიგად, დარბაზის მხატვრულ დამუშავებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ დეკორისათვის არქიტექტორს გამოყოფილი აქვს ადგილები, რომლებსაც არქიტექტურული ფორმები კარნახობენ. სცენის პოტალი, კარები, ლოჟები, იარუსის მოაჯირი ქმნიან დეკორისათვის გამოყოფილ არის საზღვრებს. კედლის დანარჩენი სიბრტყე სადაა, ასე რომ თვით სამკაუ-

ლის ადგილი ემორჩილება ინტერიერის საერთო არქიტექტურულ ფორმებს. მორთულობის ძირითად ელემენტებად გამოყენებულია ქართულ ხელნაწერთა თავსართავების მოტივები და ჰედური ხელოვნების ნიმუშებიდან აღებული სამკაული. ასეა დამუშავებული იარუსთან მიმდებარე კედლის არე თუ კარებს მოჩარჩოება. სცენის პორტალი, ისევე, როგორც კრონშტეინებზე დაყრდნობილი პლაფონის კარნიზი, ქვაში ნათალი ორნამენტებითაა მოკაზმული.

უნდა აღინიშნოს, რომ ორნამენტის გადმოცემისას ყოველთვის შეინახება შერჩეული. დეკორის რთული ხლართებს მოუხედავად ნახატი თავისუფლად იკითხება. ხელნაწერთა მორთულობაში დანახულია არქიტექტურული ხასიათი. მაგრამ მორთულობა მაინც „ზედაპირულია", მიდგმულის შთაბეჭდილებას ვერ აღწევს თავს (შეადარეთ დეკორაციული კედლისსვეტები ნამდვილ, კონსტრუქციულად საჭირო, სვეტს დარბაზის ბოლოში). სხვა მასალით და სხვა მასშტაბით გადმოცემული, იგი კარგავს სიფაქიზეს და ემოციურობასაც. აშკარად ჩანს, რომ იგი ხელოვნურია, არ პასუხობს აქ გამოყენებული მასალის სპეციფიკას. ჰედური ორნამენტების გამოყენებამ შემდგომში ფართო გავრცელება ჰპოვა და ფაქტიურად, ყოველ კონკრეტული შემთხვევის მიუხედავად, მასალის, თვალიდან დაცილების მანძილის, მასშტაბის შეცვლის გამო, შედეგი ერთი და იგივე იყო.

ფასადთაგან მთავარი ყურადღება მოედნისკენ მიმართულს ექცევა. ფაქტიურად, შენობის მთელი მოცულობა მთავარ პორტალურ ნიშაზე გადასვლას ამზადებს. გვერდის შელესილი ფასადები სრულიად მარტივია, მთელი აქცენტი პორტალზეა გადატანილი. მისი წინ გამოწეული მოცულობა უმთავრესია სედვის ყველა წერტილიდან.

მთავარი ფასადი ბაზალტის ქვის რუსტირებულ სტილობატზეა დამყარებული. აქ სამკუთხა ტიმპანით დამთავრებული თაღოვანი პორტალია, რომლის ორივე მხარეს ღია კიბეებია სიმეტრიულად განლაგებული. პორტალი მოპირკეთებულია ბოლნისის ტუფით და, გარდა ხერელობის პროფილირებისა და სადა კარნიზისა, მის სიბრტყეზე არავითარი სამკაული არ არის. კაპიტელები და ლილვების კონა ხაზს უსვამენ პორტალური თაღის მნიშვნელობას. ნიშის შიდა კედელი სამი სართულის სიმაღლეზე, რომელიც სამ თაღოვან შოჩარჩოებაშია გაერთიანებული, ნაჭედი რკინის ვიტრაჟითაა გამოყოფილი. ასე რომ ვიტრაჟის სამი ზოლი ვერტიკალურ მახვილებს ქმნის ფასადის კომპოზიციაში. ვიტრაჟი შედგება მარტივი ნახატისაგან, რომელიც გრეხილ ელემენტებს აერთიანებს.

არქიტექტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქანდაკებას. პორტალის საფასადო ხაზზე, სტილობატის თავზე, აკაკის (ვის სახელსაც ატარებს თეატრი) სა-

ვარძელში მჯდომი ფიგურაა, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, ხოლო ფრონტოხის კეხზე მოსაჯახამში გაბვეული ხელებაწვდილი ქალის ფიგურა — გამარჯვების სიმბოლო (ქანდაკებების ავტორია ვ. თოფურიძე). აკაკის სტატიკური კომპოზიცია ორგანულად ერთვის ფასადის წყნარ ფორმებს, ხოლო ქალის ჩქვეთრად დინამიკური ფიგურა, წინ გადადგმული ენერგიული ნაბიჯით, ხელების მოძრაობითა და აფრიალებული მოსასხამის დრაპირებით, მხატვრულ კონტრასტზეა აგებული. აკაკის ქანდაკება ახლო აღქმისთვისაა, ფორმათა მოდელირება რბილია და ქანდაკებას ინტიმური განწყობილება შეაქვს ფასადის მონუმენტურ იერში. მაღალი და ღრმა ნიშის, ამ თავისებური პორტიკის, არჩიტექტურის სადა, მკაცრი გადაწყვეტა, რომელიც ფორმათა, მასალისა და ფერის ურთიერთდაკავშირებაზეა დამყარებული, მოხდენილი პროპორციები და კედლის სადა სიბრტყეებთან ქანდაკებების დაკავშირება (როცა თითოეულ მათგანს კონკრეტული ფუნქცია ეკისრება) მეტ გამომსახველობას ანიჭებს შენობის არჩიტექტურას.

როგორც დავინახეთ, ინტერიერის აშკარა დეკორაციულობასთან შედარებით, ფასადების გადაწყვეტა მკაცრია, ისიც აშკარაა, რომ მთავარი საზრუნავი შენობის არჩიტექტურის გადაწყვეტისას, ფუნქციური მხარე კი არა, ფორმალურ-ესთეტიკური ამოცანის გადაწყვეტაა.

ქალაქ სოხუმში თეატრის მშენებლობა გადაწყდა ხანძრისაგან დანგრეული ძველი შენობის ადგილზე, მაგრამ ისე, რომ ძველი თეატრის გადარჩენილი კედლები და სართულშუა გადახურვები გამოეყენებინათ. ხანძრისაგან ყველაზე მეტად დარბაზი და სცენა დაზარალდა, დაიწვა ხის ყველა ნაწილი, ხოლო ლითონისა უვარგისი გახდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 1901 წელს აშენებულ ძველ თეატრს თავიდანვე ბევრი რამ აკლდა ნორმალური ექსპლოატაციისათვის, გასაგები გახდება, რომ არჩიტექტორები, ფაქტიურად, სრულიად ახალი თეატრის დაპროექტების წინაშე იდგნენ (პროექტის ავტორია მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძის მონაწილეობით; მშენებლობა დამთავრდა 1952 წელს. ტაბ. 73)[182].

მაყურებელთა რიცხვი (750) რეკონსტრუქციის შემდეგ არ იცვლებოდა. უწინ ძალზე ურიგო სასცენო ნაწილი მკვეთრად უნდა გაუმჯობესებულიყო, ხოლო გეგმა უნდა შეცვლილიყო არსებულ ძირითად სადგომთა (მაყურებელთა დარბაზი, ფოიე, სცენა) გაბარიტებისა და განლაგებაზე დაყრნობით. არსებულ კედელთა და ხვრელობთა გამოყენების აუცილებლობა, ბუნებრივია, გარკვეულ შეზღუდვასა და დაპროექტების გართულებას იწვევდა.

---

182 «Заря Востока», 1952, 21. 12, № 300.

თეატრი მდებარეობს ქალაქის ცენტრში ზღვის პირას. მას კვარტალის კუთხე უჭირავს. მთავარი ფასადით შენობა ზღვისაკენ, სანაპიროზე მდებარე რუსთაველის ქუჩაზე გადის, გვერდის ფასადი მიასნიკოვის ქუჩას მიყვება, ხოლო ორი დარჩენილი ფასადი კვარტალის საერთო განაშენიანებას ერწყმის.

თეატრი სამსართულიანია. კარ-ფანჯრებს კედლის მცირე ფართობი უჭირავს. მთავარ ფასადზე ხაზგასმულია შესასვლელი, რომელიც თითქმის სამი სართულის სიმაღლის პორტალის ნიშითაა წარმოდგენილი. ნიშა ორნამენტირებული ვიტრაჟითაა შევსებული.

ქვედა სართული უხეშად ნათალი ქვის წყობითაა ნაგები. კედლის სიბრტყეზე სადა ქვით გარშემოვლებული შესასვლელები (გვერდის ფასადზე სარკმელებიც) გამოდის. ზედა ორი სართული წარმოადგენს თეთრი ეკლარის ქვის ერთიან სიბრტყეს. ფასადზე ნიშებია თეატრალურ მოღვაწეთა ბიუსტებით.

შენობა მთავრდება გადმოშვერილი, კრონშტეინებზე დაყრდნობილი კარნიზით, რომელიც მთავარ ფასადზე ორ ადგილას პარაპეტითაა ამაღლებული.

მთავარი შესასვლელი რუსთაველის ქუჩის მხრიდანაა. თვით შენობაში შესვლამდე მცირე მოედანია, რომელიც შენობის მთავარი ფასადის ფროხტის წინ დეკორაციულ შადრევანს უკავია.


მაყურებელი, სასალარო ვესტიბულის გავლის შემდეგ, გარდერობსა და შემდეგ, კიბის მარშით, ზედა სართულის ფოიეში ხვდება, ზევით ასვლა სასალარო ვესტიბიულიდან გვერდის კიბეებითაც შეიძლება გარდერობის თავზე პარტერის ფოიეა, რომელიც, ერთი მხრივ, მთავარ, ორსინათლიან, ფოიეს უერთდება, ხოლო საწინაღმდეგო მხარეს — სარეპეტიციო დარბაზს.

ფოიედან ხვდებით პარტერსა და ორსინათლიან მთავარ ფოიეში, რომლის ერთიანი სივრცე სამი მხრიდან ორივე იარუსზე თაღედითაა გარშემორტყმული, ხოლო მეოთხე მხარეს კრცელი ვიტრაჟითაა აქცენტირებული.

მიასნიკოვის ქუჩის მხრიდან მოწყობილია შესასვლელი ადმინისტრაციისა და მსახიობთათვის. ცალკე შესასვლელია ლოჟაშიც, რომელიც მცირე ფოიეს, დასასვენებელ ოთახსა და სანკვანძის ბლოკს აერთიანებს.

სცენა ძველთან შედარებით გაფართოვდა — სიღრმეში 15 მეტრით „შეიწია". მასზე მიდგმულ ფლიგელში მოთავსებულია სხვადასხვა სახელოსნოები. მსახიობთა საპირფარეშოები პირველ სართულზეა. ფართობის სიმცირის გამო არქიტექტორი შებოჭილი იყო და სცენას არა აქვს რიგი სავალდებულო კომპო-

ნენტებისა (მაგ. უბეები), მოუხერხებელია კავშირი სახელოსნოებსა და სცენას შორის და სხვ.[183].



სოხუმი. თეატრი. გეგმა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ არქიტექტორმა გეგმის გადაწყვეტისას მაქსიმალურად გამოიყენა არსებული პირობები და შეკრულ კომპაქტურ დაგეგმა-

183 აღსანიშნავია, რომ სცენის გაბარიტები. მისი სიღრმე, სიმაღლე, პორტალის სიგრძე სიმაღლე, წრის დიამეტრი და სხვ., თითქმის ზუსტად ემთხვევა 1937 წ. ტიპობრიეი პროექტის გაბარიტებს. იხ. Г. Бархин. Архитектура театра. М. 1917. გვ. 213.

რებას მიაღწია. დარბაზი, ვესტიბიული, ფოიეები და სხვა დამხმარე სადგომები საკმაოდ რთულ ორგანიზმს ქმნიან, მაგრამ ყველგან დაცულია ურთიერთკავშირის ლოგიკა და, რაც მთავარია, გათვალისწინებულია მათი სივრცობლივი გადაწყვეტა. ფოიეთა ინტერიერის დამუშავებას საფუძვლად ედება მკაცრული კონტრასტი უდევს, რაც უმთავრესად სადგომთა სივრცობლივ გადაწყვეტითაა მიღწეული.

ორსართულიანი ფოიე თავიდანვე გამოხატავს ავტორის მისწრაფებას თეატრალური ნაგებობისათვის ხაზგასმული დეკორაციულობის მინიჭებისა (ტაბ. 73ა). ფოიეს სივრცე შეძლებისდაგვარად გაბსნილია. გვერდის თაღედი აფარაოებს ცენტრალურ სივრცეს. პლაფონის დარბაზული „გვირგვინის“ თემაც ამისთვისაა გამიზნული. ამ სივრცობლივი თავისუფლების შეგრძნებას ხელს უშლის ძალზე დიდი ზომის ჰაღი, რომელიც ბროლითაა დახუნძლული და ტოხს ქმნის არქიტექტურული დეკორის გამოყენებაში გამოხატულ მორთულობის საერთო „მდიდრულ“ ხასიათში. მოჯირთა პარაპეტები, კაპიტელები, როზეტები, კარნიზი და სხვ. გამოიყოფა თავისი მოკაზმულობით. აღსანიშნავია, რომ რაკი ინტერიერის მხატვრული დამუშავების ძირითად თემას ქართული დარბაზის ხურთმოძღვრული პრინციპები საზღვრავს, დეკორის ნახატი ხეზე კვეთილობის ნიმუშებითაა ნაკარნახევი, რითაც არქიტექტორი კიდევ უფრო აძლიერებს ასოციაციას ხალხური შემოქმედების ნიმუშებთან. თუმცა ქვაში (ან თაბაშირში) გადატანილი ორნამენტები კარგავენ თავის სპეციფიკას.

არქიტექტურის საერთო საზეიმო იერში თავისი ფუნქცია ეკისრება ფერსაც. მუქი ვარდისფერი კედლების ფონზე ოქროსფერი როზეტები, მოთეთრო-მოყვითალო არქივოლტები, მოოქროვილი კაპიტელები გამოყოფენ მორთულობას.

მეორე იარუსის ფოიე ღია თაღედით უკავშირდება ორსართულიანი ფოიეს ძირითად სივრცეს. თაღედი გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს შედარებით მკაცრად გადაწყვეტილ ამ დარბაზის ინტერიერში.

ქართული ორნამენტია გამოყენებული მეორე ფოიეშიც, რომლის კედლებიდან პლაფონის ცენტრალურ არეზე გადასვლა დეკორაციული მოხატულობით არის გამოვლენილი.

ორიარუსიანი ფოიე სივრცით თუ დეკორაციული გადაწყვეტით თავის გარშემო აერთიანებს ფოიეებს თუ სხვა დამხმარე სადგომებს. მისი ხაზგასმული დეკორაციულობა გრძელდება მაყურებელთა დარბაზში, რომლის არქიტექტურაში აშკარადაა გამოყოფილი პლაფონი და სცენის პორტალი. სცენისაკენ ყურადღება გამახვილებულია გვერდის ლოჟების გაფორმებით. მათი პარაპეტები, კედლის არის ორნამენტული მორთულობა, ფესტონები თაღშიც—ზედმეტად

ტვირთავენ არქიტექტურულ ფორმებს, სცენის პორტალის მოჩარჩოება ჯედური ხელოვნების რეპერტუარიდან აღებული მოოქროვილი ორნამენტით, კიდევ უფრო აძლიერებს ამ შთაბეჭდილებას.

პლაფონის ძირითადი არე მკვეთრად გამოყვლენილ, ორნამენტული წნულისაგან შემდგარ წრეს უკავია, რომელიც ისეთივე კვეთის კოჭებით გადადის საყრდენ კედლებზე ამით პლაფონის წრის გარეშე დარჩენილი არე ცალკეულ სეგმენტებად იყოფა. თვით წრეს შიგნიდან სავენტილაციო ხვრელები მოსდევს, ხოლო ორნამენტული ჩანადგარები ამ ხვრელებით ცალკე გამოყოფილ ყოველ სექციაში ცენტრში მთავარი — სამიარუსიანი, ბროლის დიდი ჰაღია, პლაფონის ყველა ძირითადი ელემენტი ოქროთია გაძლიერებული. წრისა და კოჭების პროფილი მძიმე, მასიურია და ვერ ეგუება დარბაზის საერთო მასშტაბს. ხოლო ორნამენტების სიჭარბე პორტალთან, მართალია გასაგებსა ხდის, ავტორის აზრს — გაამახვილოს ყურადღება სცენისკენ, მაგრამ ზედმეტი მორთულობით ღლის თვალს.

დარბაზს აქვს ძალზე სერიოზული ნაკლოვანება: ზედა იარუსის ბეკრი ადგილი „მკვდარია", არ არის გათვალისწინებული ხედვის ნორმალური პირობები.

ფასადთა საერთო იერი სადაა. ქვედა რეგისტრის უხეში ქვის კვადრებით დამუშავება მტკიცე საფუძველს უქმნის ზედა, კედლის სადა ზედაპირს, რომელსაც კარგად ამთავრებს პარაპეტებით გაწყვეტილი, გადმოწეული, მაგრამ ნსუბუქი კარნიზი. მიუხედავად იმისა, რომ აქ ყველა არქიტექტურული ელემენტი დეკორაციული საშუალებებით არის გაძლიერებული, ისეთი კომპოზიცია, სადაც კედლის თავისუფალ სიბრტყეს დიდი ადგილი ეთმობა, გადამწყვეტი აღმოჩნდა. თვალი აღიქვამს თეთრი ქვის კედლის თავისუფალ არეს, რომელშიაც ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით დაშორებული ხვრელობები ვერ არღვევენ ერთიანი კედლის მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ მძლავრი ლაჟვარდი შექმნილი შესასვლელზე, რომელიც ღრმა თაღს ქმნის. ეს ნიშისებრი პორტალი არა მარტო შესასვლელზე ამახვილებს ყურადღებას, არამედ შენობის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე მიგვითითებს. მისი ფუნქციური დანიშნულება სპეციფიკურად გამოყვლენილი მხატვრული საშუალებებით: ორნამენტული მოჩარჩოებითა თუ რთული ვიტრაჟით. შესასვლელები სამი თაღითაა გამოყოფილი, ხოლო თვით ვიტრაჟი ორი ნაწილისაგან შედგება, რომელშიც თეთრი ალებასტრის ორნამენტული ჩანადგარები გამოყოფენ ცენტრალური არის მუქი ფერის ორნამენტს. ფერთა კონტრასტი ვიტრაჟზე, მისი ცენტრალური ნაწილის მუქი ფერი მძლავრ ლაჟვარდს ქმნის შესასვლელზე და საერთო თეთრ ფონზე მნიშვნელოვნად გამოყოფს მას. არქიტექტორმა აქ არ გამოიყენა თუ-

ატრალურ შენობათა ტრადიციული პორტიკები, არ დაერიდა შენობის თითქოს „რიგით“ ფასადებს. მოცულობით ფორმებს საერთო სიბრტყობრივი გადაწყვეტა ამჯობინა, მაგრამ საჭირო აქცენტებისათვის იგი დეკორს იშველიებს. არა ფორმათა მონუმენტურობით, არამედ მათი დეკორაციულობით სურს გამოხატოს თეატრალური ნაგებობის სპეციფიკური ხასიათი. ამ თვალსაზრისით, სოხუმის თეატრი გამოირჩევა იმდროინდელი სხვა თეატრალური შენობებისაგან.

ფასადის ხაზგასმული იმპოზანტურობის ნაცვლად არქიტექტორი საზეიმო განწყობას შენობის წინა მოედნის გადაწყვეტით ქმნის. შენობის წინ მოწყობილია დეკორაციული შადრევანი, რომლის ზღაპრული გრიფონები და წყლის მძლავრი ნაკადი თითქოს უკვე იწყებენ თეატრალურ წარმოდგენას. შადრევანს შენობის გრძელი ფასადის საკმაოდ დიდი მონაკვეთი აქვს ფონად, ხოლო მცირე მოედანი პორტალის წინ თავისუფალია ხალხის მისასვლელად.

ფორმათა ორნამენტული აქცენტები ახლო წერტილებიდან აღქმისთვისაა გათვალისწინებული. შორიდან მხოლოდ კარ-სარკმელთა ლაქებია საგრძნობი. დეკორი ქართული არქიტექტურის რეპერტუარს ექვემდებარება. ზოგან მოგეჩვენებათ, რომ გადმოტანილია თითქმის მთლიანი ფორმებიც კი, იმდენად დიდია მსგავსება (მაგ., შეწყვილებული სარკმლები აივანზე და სხვ.). ყოველივეს არ არის დაცული მორთულობის ლოგიკა. ასე, მაგ., მეორე სართულის სწორკუთხა მოჩარჩოებაში მომრგვალებულ მოხაზულობაზე გადასვლა და შემდეგ კი მისი ფესტონებით გაფორმება ხელოვნურია. ზედმეტად კამერულია ნიშები თეატრალურ მოღვაწეთა ბიუსტებით, რომლებიც თავისი მასშტაბით უფრო ინტერიერის ელემენტებს წარმოადგენენ, ვიდრე ექსტერიერისა.

როგორც აღინიშნა, თუ ფასადებზე დეკორი ცალკეულ ელემენტთა მეტად გამოვლენას უწყობს ხელს, ინტერიერში მისი როლი მატულობს და ხშირად დეკორაციულ სიშარბეში გადადის.

თუ სოხუმის, ჰიათურის, ქუთაისის თეატრალურ შენობებში არქიტექტორები ცდილობენ ქართული არქიტექტურის მემკვიდრეობის გამოყენებას, ბათუმის თეატრი „კლასიკური“ ხუროთმოძღვრების ფორმების გამოყენებაზეა დაფუძნებული. მას ლიკბნეხტის ქუჩისა და რევოლუციის მოედნის შორის მდებარე კვარტალი უკავია. შენობის წინ ვრცელი მოედანია.

ბათუმის თეატრის მშენებლობის ისტორია 1932 წლით იწყება, როცა ლიკბნეხტის ქუჩაზე მდებარე თეატრის სცენის რეკონსტრუქცია გადაწყდა. რამაც, ბოლოს, თეატრის ახალი შენობის დაპროექტება გამოიწვია. 1933 წელს პროექტი შედგა კიდეც.

ამ პროექტით თეატრის არქიტექტურა გეომეტრიულ ფორმათა ურთიერთკავშირზე იგება, ბეტონის ვრცელ სიბრტყეებს სარკმელთა ვერტიკალური

და ჰორიზონტალური სარტყლები ჰკვეთენ. შენობის გეგმა შეგუებულია მიწის მონაკვეთთან. თეატრის ძირითად მასივს გვერდზე ვესტიბიულისა და ფოიეთა ფრთა ერთვის. პროექტისათვის დამახასიათებელია სასცენო ნაწილის დეტალური დამუშავება,

მშენებლობა ამ პროექტით დაიწყო, მაგრამ 1935 წელს იგი დაწუნებულ იქნა, როგორც „კონსტრუქტივისტული“ და ახალი პროექტის შედგენა დაევალა მოსკოვის საბჭოს მეორე საარქიტექტურო სახელოსნოს. 1936 წლის დასაწყისში მიღებულ იქნა არქ. ტეპლიცკის მიერ შედგენილი პროექტი (ტაბ. 74). იგი ლიკბნეხტის ქუჩის და რევოლუციის მოედნის შუა მდებარე მთელი კვარტალის დაგეგმარებას გულისხმობდა. რევოლუციის მოედნისაკენ ტრიუმფალური თაღი და საზეიმო კოლონადა ჰკრავდა სივრცეს. მთელი შენობა ფორმათა პომპეზურობითა და მთავარი პორტიკის გადაჭარბებული მორთულობით გამოირჩეოდა.

გეგმის გადაწყვეტა წინა პროექტის პრინციპებს იცავდა: მთავარ მოცულობასთან მიდგმული იყო ვესტიბიულის და ფოიეთა ფრთა.

დარბაზის ოთხიარუსიანი სივრცე, ფოიეთა და ვესტიბიულთა ვრცელი სადგომები ძალზე ზრდიდნენ თეატრის მოცულობას. ამიტომ 1936—37 წლებში ჩატარებული სამშენებლო სამუშაოები შეაჩერეს და 1939 წლის დასაწყისში მშენებლობა კვლავ გაგრძელდა იმავე ავტორის ახალი პროექტის მიხედვით. საომარი ომის დაწყებასთან დაკავშირებით მშენებლობა კონსერვაციას ეცა, ხოლო 1946 წელს კვლავ განახლდა და დამთავრდა 1952 წელს[184].


წინა პროექტებისაგან განსხვავებით თეატრს გვერდის ფრთა ჩამოეცალა და მხოლოდ მთავარი კორპუსის გაბარიტებში მოთავსდა. მაყურებელთა რიცხვი 850 კაცით განისაზღვრა.

წრეში ჩახაზულ მაყურებელთა დარბაზს სამი მხრიდ ფოიე ერტყმის. გამოირჩევა ცენტრალური ფოიე, რომელიც სამი სართულის ერთიან სივრცეს აერთიანებს. გეგმა მარტივია, შენობის მთლიანი მოცულობა ჩასმულია სწორკუთხედში, რომელიც თანაბრად იყოფა სასცენო და მაყურებელთა ნაწილებად. მაგრამ გეგმას ნაკლიც აქვს როგორც სასცენო, ისე მაყურებელთა ხაწილებში. მაყურებელთა დარბაზის მოხაზულობა სწორედ არ ითვალისწინებს ადგილთა განლაგებას, რის შედეგად ოთხმოცამდე ადგილი „მკვდარია“, რაც საკმაოდ დიდი რიცხვია ასეთი მოცულობისათვის.

სცენას არა აქვს გვერდის უბეები, მსახიობთა საპირფარეშოები სცენასთან დაშორებულია (ზედა სართულებზეა), მცირეა სარეპეტიციო დარბაზის

184 Новый Батумский театр. «Заря Востока», 1952, 13. 2. № 37; «Заря Востока», 1952, 24. 4. № 98; «Советское искусство», 1952, 5. 3, № 19. „კომუნისტი“ 1952, 1. 3, №52.

გაბარიტები (განსაკუთრებით სიმაღლე), სცენაზე სამუშაო აივნებზე მოსვედრა გართულებულია შორი მანძილის მოვლით. საწყობების, სახელოსნოების საჭირო რაოდენობის უქონლობაც აფერხებს მუშაობას[185].



ბათუმი. თეატრი. გეგმა.

შენობის ინტერიერი შედარებით სხვა მსგავს ნაგებობებთან სადაა, მის მხატვრულ სახეში მთავარ როლს ორდერული სისტემა თამაშობს. ფოიესა და მაყურებელთა დარბაზში იგია უმთავრესი (ტაბ. 75₂). მაგრამ დეტალების დამუშავება, მოხატულობა ძალზე სქემატური, „ძმრალია“ და მოდერნულ ხასიათს ატარებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ცენტრალური ფოიეს პლაფონის მოხატულობა „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე, რომელიც უგემოვნობის აშკარა კვალს ატარებს. დარბაზის ინტერიერში ხელოვნურად ჩადგმულის შთაბეჭდილებას ტოვებს დიდი ორდერი სცენის ლოჟებთან თუ იარუსთა ცეხტრში.

შენობის ინტერიერსა და ექსტერიერის გადაწყვეტაში კლასიცისტური

---

185 გ. ძნელაძე. თეატრის სასცენო ნაწილის დაპროექტება. „საბჭოთა ხელოვნება“, 1954, № 1—2, გვ. 81. თეატრალურ ნაგებობათა დაპროექტებისას, არქიტექტორები თავს არიდებენ საწარმოო სახელოსნოების ცალკე კორპუსში მოთავსების პრაქტიკას, რაც ძირითადი ნაგებობის მოცულობასაც ამცირებს და საჭირო სადგომებით უზრუნველყოფს მას. იხ. „Deutshe Bauzeitschrift“ 1957, № 5.

ფორმების გამოყენებით დაცულია ერთიანობა ფასადები იმეორებს თეატრის ცნობილ სქემას: ცენტრალური პორტიკი დიდი ორდერით, სამკუთხა ფრონტონითა და ორმხრივი სადარბაზო კიბეებით გამოყოფს შენობას გარემომცველი განაშენიანებისგან. დიდი ორდერის თემა მეორდება გვერდის ფასადების პილასტრებში, ამათ შორის კრონშტეინებზე შესმული თეატრალური ხიღბებია, რომლებიც ხაზს უსვამენ ნაგებობის დანიშნულებას (ტაბ. 75_1).

წახნაგოვანი მოცულობით დამუშავებული კვადრები ცოკოლის სართულზე მძლავრ საფუძველს ქმნიან, რომელზედაც მყარადაა მოთავსებული ნაგებობის სამი სართული. თუ მთავარი და გვერდის ფასადების არქიტექტურა ერთიან სახეს ატარებს, უკანა ფასადის ცენტრალური არე სრულიად სხვა არქიტექტურულ თემაზეა აგებული. სარკმელთა და აივანთა შეტეხილი კონტური, გვერდის მრგვალი სარკმლები მოდერნულ იერს აძლევენ შენობას. ფასადის მთლიანობა ირღვევა, მიუხედავად კომპოზიციის სიმეტრიული გადაწყვეტისა. ეს ფასადი მეტ ყურადღებას იმსახურებდა, რადგან მოედანზე გადის (ტაბ. 76_1).

ამგვარად, რესპუბლიკაში აგებული უმთავრესი თეატრალური ნაგებობანი, მიუხედავად ინდივიდუალური გადაწყვეტისა, შეიძლება მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც ატარებენ იმ დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც იმდროინდელი არქიტექტურისათვის საერთოა და რომლებიც უპირატესად გამოიხატა მოხუმხტურობის, დეკორატიულობისაძმი მისწრაფებაში. იოლად იქნა მიეწყებული ის მუშაობა, რომელიც ჩატარებულ იქნა თეატრალურ ნაგებობათა დაპროექტებისათვის (მაგ. კულტურის სახლის კონკურსი 1931 წლისა და სხვ.)

არქიტექტურული პროექტირება, ფაქტიურად, ასცდა სწორ ძიმართულებას. პირველ პლანზე, ფუნქციური გადაწყვეტისა და მოხერხებულობის, მშენებლობის ეკონომიურობისა და ინდუსტრიალიზაციის ნაცვლად, ფასადთა „გაფორმება“ გადმოვიდა. არქიტექტორები ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ შენობისათვის მორთულობა არ მოეკლოთ, „ჭართული“ იყო იგი, თუ არა. ყველაფერმა ამან გამოიწვია ცრუ პომპეზურობა, რასაც ზედმეტობა ახლდა როგორც ეკონომიური, ისე მხატვრული თვალსაზრისითაც.

ეს გორში აშენებულ მუზეუმის შენობასაც შეეხება, რომელშიც ავტორმა (ა. ჭურდიანი) ვერ შეძლო ბოლომდე მიეყვანა შენობის საფუძვლად დადებული საინტერესო არქიტექტურული ჩანაფიქრი. „საზეიმო“ ხასიათის გამოვლენის საშუალებად აქაც ჭარბი დეკორაციული ელემენტებია გამოყენებული (ტაბ. 76_2).

გორის მუზეუმის მშენებლობა 1948—55 წლებში მიმდინარეობდა[186]. ავტორმა, როგორც ამას მოცემულობა თხოულობდა, შენობას საზეიმო სახე მის-

186 ნ. ჯ ა ნ ბ ე რ ი ძ ე. ხუროთმოძღვარი არჩილ ჭურდიანი. თბ. 1964, გვ. 40.

ცა და ისე გადაწყვიტა, რომ ქალაქისათვის შიგ ცენტრში არქიტექტურული აქცენტი შეექმნა. ამისათვის ორსართულიან ნაგებობას კუთხეში მან მიადგა მაღალი კოშკი, რომელიც ქალაქში შესვლისთანავე მრავალი წერტილიდან იპყრობს ყურადღებას.

მთავარი ფასადი სკვერისკენაა მიპყრობილი. იგი ორსართულიანია; მეორე სართული ეყრდნობა მონუმენტურ თაღედს, რომელიც მთელ ფრონტზე გასდევს ფასადს. ეს სართული მაღალია და მისი თავისუფალი კედლის სიბრტყე დანაწევრებულია აჟურული ორნამენტული ჩანადგარით დაფარული, მოვრძო სარკმელებით.

შენობას მძლავრი, მორთული კარნიზი აგვირგვინებს, მის ზევით კი ფიგუროვანი პარაპეტი. აღმოსავლეთით მიდგმული კოშკი, როგორც უკვე აღინიშნა, გორის განაშენიანებაში ძირითად ვერტიკალურ მახვილადაა ქცეული კოშკს მეორე მხრიდან აგრძელებს მომრგვალებული კორპუსი, რომელიც მთავარსა და ეზოს ფასადებს შორის გარდამავალ ნაწილს წარმოადგენს. ამ კორპუსში წიგნთსაცავი, სამკითხველო და ბიბლიოთეკაა, რომელთაც ცალკე შესასვლელი აქვთ.

მთავარი შესასვლელი სკვერის მხრიდანაა. პირველ სართულში მას ადმინისტრაციული-სამეურნეო სადგომებისაკენ მივყავართ, ცენტრალური, საზეიმო კიბეებით კი მეორე სართულზე—საექსპოზიციო დარბაზების და აუდიტორიისაკენ.

კოშკური ნაწილი გამოყენებულია მხოლოდ როგორც გადმოსახედი ბაქანი (კიბის უჯრედთან არსებული ოთახების მოწყობა ნაძალადევია).

მთავარი ფასადის არქიტექტურას მეტყველი, საზეიმო სახე აქვს. დიდი სივრცობლივი გალერეისა და კედლის თავისუფალი სიბრტყის კონტრასტზე აგება, კარგად მიგნებული პროპორციული შეფარდება, კედლის ყრუ სიბრტყის გამოვლინება მონუმენტურობას მატებს ფასადს. ორნამენტული ჩახადგარებით დაფარული სარკმლები მწყობრ რიტმს ქმნიან. სარკმელთა აზიდული ფორმა ეკონტრასტება თაღედის დამჯდარ პროპორციებს.

ფასადის ორნამენტული ფრიზი კარნიზთან ერთად დამამთავრებელ დეკორაციულ აბზაცს ქმნის, მაგრამ აჟურული პარაპეტი უკვე ზედმეტ მორთულობაზე მეტყველებს.

თუ მთავარი ფასადის საერთო კომპოზიცია მშვიდია, ამას ვერ ვიტყვით ქუჩის ფასადზე. აქ სხვადასხვაგვარია როგორც თვით მოცულობები (ძირითადი ფასადის გვერდის მხარე, კოშკი, მომრგვალებული კორპუსი და ა. შ.), ისე ფასადთა დამუშავების ხასიათიც. თითქოს ამ მოცულობებს გამაერთიანებელი ელემენტი აკლიათ. ყოველი არქიტექტურული ფორმა ფასადის ცალკეული ძო-

ნაკვეთის მასშტაბით იფარგლება. ამ შემთხვევაში მარტო მასალა ერთიანობის ამოცანას ვერ ძლევს.

კომპაქტი „გამოთიშულია" არქიტექტურული კომპოზიციიდან. მისი დამუშავება (განსაკუთრებით ზედა ნაწილისა) გადატვირთულია არქიტექტურული დეკორით, თეატრალურია.

მასათა და მოცულობათა სიმრავლე (ცენტრალური ნაწილი, კომპაქტი, ძოძრგვალებული მოცულობა და სხვ.) ვერ იკვრება ერთ ორგანიზმში, რაც განსაკუთრებით გვერდის ფასადიდან იგრძნობა.

მთავარი ფასადის არქიტექტურის საზეიმო ხასიათი ვერ არის ბოლომდე გატანილი ქუჩის ფასადსა და ინტერიერში (მაგ. ვესტიბიულის დამუშავება) — მათი დეკორაციული ელემენტებით გადატვირთვის გამო. დეკორის ჭარბი, გაუმართლებელი ხმარება საწინააღმდეგო ეფექტს აღწევს.

ამ პერიოდში მრავლად აგებული საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათაგან ჩვენ მხოლოდ ნაწილი განვიხილეთ, განხილულიც აშკარად გაძოხატავს იმდროინდელი არქიტექტურული შემოქმედების საერთო ტენდენციას. საზოგადოებრივი ხასიათის შენობებში ყველაზე მეტად გამოჩნდა არქიტექტორთა მისწრაფება, რომ შეექმნათ მონუმენტური, იმპოზანტური შენობა. რომლის არქიტექტურაში მთავარი ყურადღება გარეგნულ, წმინდა „მხატვრულ", ამოცანებს ექცეოდა და არა დანიშნულების შესაფერ, ფუნქციურად სწორად გადაჭრილ, მართალ არქიტექტურულ სახეს. მხატვრულ ამოცანათა გადაწყვეტის საშუალებად კი ტრადიციათა ათვისება იგულისხმებოდა. ძირითადად, ეს იყო ქართული არქიტექტურული მემკვიდრეობის ათვისების ცდა, ნაკლებად კი კლასიკური არქიტექტურული ფორმებისა. ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ უნდა აღინიშნოს 1950 წ. ტერ-მიქელოვის პროექტით აშენებული რკინიგზელთა სახლი თბილისში, პლეხანოვის პროექტზე, რომელიც „უვრაჟული" არქიტექტურის სამაგალითო ნიმუშად გამოდგება. ამ შენობაში ავტორს არც უცდია რაიმე ახალი შეექმნა, ყველაფერი მკაცრად ემორჩილება არქიტექტურის ცხობილ (ამ შემთხვევაში „რენესანსულ—ბაროკულ") ჭრესტომატულ ფორმებს.

8 შემოქმედებითი მიმართულება

როგორც აღინიშნა, ქართული საბჭოთა არქიტექტურის მეორე პერიოდისათვის მემკვიდრეობის ათვისების პრობლემაა ძირითადი. იგი იქნა აღიარებული როგორც მხატვრული საშუალება სოციალისტური არქიტექტურის შექმ-

ნის გზაზე და სწორედ ის აერთიანებს 30-იანი წლებისა და ომის შემდგომი პერიოდის შემოქმედებით მიმართულებას. თუ 20-იან წლებში იგი წარიმართა, ერთი მხრივ, ეროვნული არქიტექტურისაკენ მისწრაფების, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი შემოქმედებითი მიმართულების გზით (რომლის საფუძველს რაციონალიზმი და კონსტრუქტივიზმი შეადგენდა), 30-იანი წლებიდან მემკვიდრეობის ათვისება ხდება წამყვანი მოვლენა არქიტექტორთა შემოქმედებაში. იგი ქართულ არქიტექტურაში ორი მიმართებით გამოვლინდა: ერთი მხრივ ეს იყო კლასიციზმის არქიტექტურული მემკვიდრეობის, ხოლო მეორე მხრივ ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრული ტრადიციების ათვისებისა და გამოყენების ცდა.

მაგრამ ვიდრე ძველი არქიტექტურული ფორმების გამოყენება აშკარად იჩენდა თავს, 30-იანი წლების პირველ ნახევარში იგრძნობოდა მისწრაფება იმპოზანტურობის, მონუმენტურობისადმი. ამაში დიდი როლი ითამაშა საბჭოების სასახლის მშენებლობის საბჭოს 1932 წლის 28 თებერვლის, ჩვენ მიერ უკვე მოხსენებულმა, დადგენილებამ, რომელშიც მითითებული იყო როგორც არქიტექტურული „გაფორმების“ (sic!) მონუმენტურობა, ისე მემკვიდრეობის ათვისების საკითხებიც. თუმცა იქ აღნიშნული იყო, რომ ძიება უნდა წარიმართოს თანამედროვე არქიტექტურულ-სამშენებლო ტექნიკის მიღწევებზე დაყრდნობით, არქიტექტურულმა პრაქტიკამ უფრო წინა რეკომენდაციებს გაუწია ანგარიში. ეს ტენდენციები საბჭოთა არქიტექტურაში განსაკუთრებით აშკარად ჩანს საბჭოების სასახლის კონკურსში, ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში კი ამის მაგალითია საქართველოს სსრ მთავრობის სახლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის საკონკურსო პროექტები. აქ წარმოდგენილ პროექტებში ჯერ ყოველთვის არ იგრძნობა წარსული ხუროთმოძღვრული ფორმების გამოყენება, ხოლო სურვილი—შეიქმნას „მონუმენტური“ ნაგებობა, აშკარაა. მაგრამ თანდათანობით ხდება ერთგვარი „შეზავება“ მონუმენტური ფორმებისა ტრადიციებთან და ამის ნიმუშია სწორედ მთავრობის სახლის დაპროექტება და თვით ზედა კორპუსის არქიტექტურა, რომელიც კარგად გამოხატავს გარდამავალ საფეხურს 30-იან წლების დასაწყისის არქიტექტურაში. აქ გარდა აღნიშნულისა, ჯერ კიდევ ვხვდებით კონსტრუქტივისტულ ფორმებს და მასთან ერთად ძველი ისტორიული ფორმების გამოყენებასაც. შემინული ვერტიკალები თანაარსებობენ კაპიტელებით მორთულ თაღოვან ლოჯია-გალერეებთან თუ კედლის სიბრტყის დეკორაციულ დამუშავებასთან. ძიების რთული გზა, როცა ჯერ არ არის დაძლეული ოციანი წლების კონსტრუქტივიზმი და ბოლომდე არ არის გააზრებული ტრადიციების ათვისების პრო-

ბლემა, ნებსით თუ უნებლიეთ ეკლექტიზმის ელემენტებს ნერგავდა შენობის საერთო არქიტექტურაში.

ამრიგად, გარდამავალ საფეხურზე არქიტექტურას ჯერ არა აქვს ჩამოცილებული კონსტრუქტივისტული ფორმები, მაგრამ არც კლასიკური ფორმებია ჩამოყალიბებული. ამიტომ მეტად საგრძნობია წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, თითქოს მარტივ, სადა, არქიტექტურულ ფორმებსა, ხოლო მეორე მხრივ, დეკორაციულ ელემენტებს შორის, რომლებიც ისტორიული არქიტექტურიდან აღებულ პრინციპებსა და ხშირად პირდაპირ გადმოღებულ მოტივებსაც კი ეყრდნობა.

კლასიკური არქიტექტურული „პრინციპების“ დანერგვას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მის არქიტექტურაში გამოვლენილი ობიექტური კანონზომიერებანი ყველა შესაძლებლობას ქმნიდა შექმნილიყო ყოველმხრივ დამთავრებული, გააზრებული ნაწარმოები, პროპორციული აგებითა თუ ფორმათა ურთიეთშეფარდებით, მორთულობის ელემენტების ურთიერთკავშირითა და სხვ. ე. ი. ფაქტიურად, „აკადემიური“ პროექტები, რომლებიც არქიტექტურული გადაწყვეტის კლასიკურ ნორმებს ემორჩილებოდა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ საბჭოთა არქიტექტურის ზოგიერთი გამოჩენილი ოსტატის ღრმა ცოდნა და მხატვრული ტაქტი კლასიკური არქიტექტურის გამოყენებისას, იმდროინდელი არქიტექტურის საერთო ფონზე გამოარჩევდენ მათ ნაწარმოებებს კომპოზიციური თუ ცალკეულ დეტალთა გამოყენების გადაწყვეტით, მხატვრული გემოვნებითა და დახვეწილობით (მოვიგონოთ თუნდაც აკად. ი. ჟოლტოვსკის სკოლა). დასასრულ, საბჭოთა არქიტექტურულ მეცნიერებაში და სასწავლო პროგრამებში კლასიკური არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშების შესწავლა, პუბლიკაციები მათ შესახებ საგრძნობ სტიმულს იძლეოდა მათი გამოყენებისათვის თანამედროვე არქიტექტურაში.

ყველაფერი ეს თავის გამოვლენას პოულობდა ორდერულ, „უვრაჟულ“ არქიტექტურულ ფორმებსა და კომპოზიციებში, რომლებიც კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების ლოზუნგით ინერგებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს უფრო იოლ გზას ქმნიდა არქიტექტორთა ფართო წრისათვის რაიმე ობიექტის არქიტექტურულ სახეზე მუშაობისას, მაგრამ სამაგიეროდ ხშირად მიმბაძველობის ფარგლებს ვერ სცილდებოდა, რაც იმთავითვე იწვევდა კრიტიკულ შენიშვნებს: „ჩვენში მიმბაძველთა შორის არიან „პრინციპულნი“. რომლებიც, მაგ. მხოლოდ კლასიკას ბაძავენ. ზოგი მათგანი ამაყად აცხადებს, ისინი-ზოგ-ზოგები კი არა, „კლასიკოსები“ არიან, პალადიოს და სხვათა მიმდევარნი.

და უნდა ნახოთ ამ „კლასიკოსთა“ ნაწარმოებები, — მაინც როგორ ცუდად ბაძავენ ისინი: მათში არ არის არც ის პროპორციები, არც ის შეფარდებები, რომლითაც სამართლიანად იამაყებდენ ძველი კლასიკოსები“[187].

მემკვიდრეობის ათვისებას ეკვემდებარებოდა ეროვნულ არქიტექტურულ ტრადიციათა გამოყენებაც, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ქართული საბჭოთა არქიტექტურის ჩასახვისთანავე დაისვა არქიტექტორთა წინაშე, მაგრამ ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე არქიტექტურამ თავიდანვე გამოავლინა ის საერთო მისწრაფება ეროვნული თვითგამოხატვისადმი, რომელიც რევოლუციის შემდეგ უწინ ჩაგრულმა ერებმა მიიღეს. ოცდაათიან წლებში, მას შემდეგ, რაც კონსტრუქტივიზმი უარყოფილ იქნა, ეროვნული ფორმის შექმნის ტენდენცია გაძლიერდა და მემკვიდრეობის ათვისების საერთო მიმდინარეობაში მთავარი ადგილი დაიკავა. მაგრამ თავიდან მისი გამოხატულება არქიტექტურაში იფარგლებოდა ქართული ისტორიული არქიტექტურის ტრადიციული ფორმების გარეგნული, მექანიკური გამოყენებით. თაღი და დეკორაციული სამკაული გახდა გარდუვალი ატრიბუტები „ქართული ფორმის“ შექმნის გზაზე. ამას მაშინვე აღნიშნავდენ: „არასაკმარისადაა გაშლილი მუშაობა ქართული არქიტექტურის მდიდარი მემკვიდრეობის ათვისებისათვის. ბევრი ჩვენთაგანი ჯერ ვერ ჩაწვდა მისი კლასიკური ნიმუშების თავისებურებებს, ვერ ჩაწვდა ქვის ხუროთმოძღვრების დიდი კულტურის საიდუმლოებას, არ სწავლობს ძველ სამოქალაქო არქიტექტურას და ხალხური ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ნიმუშებს. აქედან — ძველი სტილების მექანიკური გამოყენება, რასაც ხშირად ფორმალიზმამდე მივყავართ“[188]. ქართული არქიტექტურის ფორმათა და ელემენტთა გამოყენება საერთო მონუმენტურობასთან ერთად ვრცელდება როგორც საზოგადოებრივ ისე საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში. „ამ შენობათა პარადული იერი გასულ საუკუნეთა ტრადიციული ხერხებისა და ფორმების საშუალებით იქმნებოდა. ასე, მოსკოველი არქიტექტორები იყენებდნენ იტალიური რენესანსის მოტივებს, ლენინგრადელები — რუსული კლასიციზმისას. რესპუბლიკებში ეროვნული ტრადიციების არასწორ გამოყენებას არქაული ფორმების გაჩენა მოსდევდა“[189]. მაშასადამე, ტრადიციულ ფორმათა გამოყენება.

---

187 С. Инцкирвели. По поводу стиля. Единовременная газета к съезду архитекторов. Тб. Февраль. 1936.

188 ვ. შავიშვილი. სიტყვა არქიტექტორთა 1 საკავშირო ყრილობაზე «Известия», 1937, 20.6. № 143. «Архитектурная газета» 1937, 21.6. № 43.

189 Советская архитектура за 50 лет. М., 1968, стр. 82.

არქიტექტურაში ქმნიდა იმ სტილისტიკურ ნიშნებს, რომლებიც ზედმეტ მორთულობაში გამოიხატებოდა. ეს ზედმეტობანი, მიუხედავად იმისა, რენესანსული, რუსული კლასიციზმის თუ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ფორმათა გამოყენების შედეგი იყო, პრინციპული თვალსაზრისით არაფერს ცვლიდა. უფრო მეტიც, თუ კლასიკური არქიტექტურის შემთხვევაში არქიტექტორები ორდერულ საწყისებზე დამყარებულ, უკვე შემუშავებულ, სქემებს მიმართავდენ, ეროვნული ფორმების გამოყენებისას ისინი მთლიანად საკუთარ თავზე იყვენენ მინდობილნი, რაც კიდევ უფრო ართულებდა საერთო სურათს, რადგან მაღალ პროფესიონალიზმს და მხატვრულ ტაქტს მოითხოვდა.

არქიტექტურულ ზედმეტობათა აღმოფხვრის საჭიროებაზე, როგორც ზევითაც აღვნიშნავდით, იმთავითვე მიუთითებდნენ. ამის მაგალითია სსრკ სახკომსაბჭოს 1939 წლის 21 ივლისის დადგენილება „საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების შესახებ“, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ორგანიზაციებს ევალებათ „არ დაუშვან გაუმართლებელი არქიტექტურული ზედმეტობანი (მაღალი პარაპეტები, ფრონტონები, ზედმეტად დიდი კარნიზები, მაღალი თაღები, ლოჯიები და სხვ.).“

თუ ოციანი წლებისათვის, როგორც ზევითაა აღნიშნული, „ქართული არქიტექტურის“ შექმნისათვის ძირითადად იყენებენ ციხესიმაგრეთა, კოშკებისა და მასივური თაღების ფორმებს, ახლა პირველ პლანზეა ხაზგასმული დეკორაციულობა, მიღწეული ორნამენტული მორთულობის გამოყენებით. ეროვნული ფორმა არქიტექტურაში გაგებული იყო არა როგორც ნაგებობის შინაარსისაგან განუყოფელი, ორგანული, არამედ გარედან მოხვეული და ხელოვნურად მიზრდილი მასზე. იგი ხშირად არ შეეფერება არც იდეურ შინაარსს, არც ფუნქციურ დანიშნულებას, არც მორთულობის ლოგიკას. თვით ხუროთმოძღვრული ორნამენტი, განსაკუთრებით ომის შემდგომ ეტაპზე, გამოყენებულია მასალისა და დანიშნულების სპეციფიკის გაუთვალისწინებლად. ასე იყო გადმოტანილი ორნამენტები ხეზე კვეთილობისა ან ჭედური ძეგლებიდან ქვაში (უფრო ხშირად თაბაშირში) — გადიდებული ზომებით, აღქმის დიდ მანძილზე. ეს კი შინაგან გამართლებას, ორგანულობას უკარგავდა მათ. „ჩუქურთმის არშიისა და ჭრელის ძველი სახის გადმოხატვა და გადმოღება ცხოველი შემოქმედება არ არის. ამიტომაც, იგი მკვდარ მარაგს წარმოადგენს და მას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ატყვია. იგი მკვდარ მარაგად დაგვრჩება, თუ რომ ჩვენმა ხელოვნებამ ამ მხატვრული შემოქმედების ფრიად მნიშვნელოვანი

დარგის გამოცოცხლება ვერ შესძლო“ — წერდა აკად. ივ. ჯავახიშვილი[190].

ეროვნული ფორმის ძიების რთული გზა მოჩანს მთავრობის სახლის კონკურსის ეტაპებზე, „დინამოს“ სტადიონის საკონკურსო მასალებში, შემდეგ თვით ამ აშენებულ ობიექტებში, საქართველოს პავილიონში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის“ კონკურსში. მთავრობის სახლის წინა კორპუსი. თეატრალური ნაგებობანი (ქუთაისი, ჭიათურა) საქნახშირის ადმინისტრაციული სახლი და სხვა შენობები აგრძელებენ ამ ძიებას. ცალკეული ქართული ან ფსევდოქართული ელემენტების გამოყენებიდან დაწყებული, თანდათანობითი გაღრმავება ეროვნული ფორმების გაგებისა, როცა ეს ფორმა მთლიანი ჩანაფიქრის გააზრების შედეგია — გამოხატავდა ქართული არქიტექტურული ფორმებისადმი დამოკიდებულების ამ რთულ გზას. მაგრამ ეს გზა არ უნდა იყოს გაგებული, როგორც პირდაპირი შედეგი ქრონოლოგიური დაცილებისა. 30-იანი წლებისა და ომის შემდგომი ათწლედის განმავლობაში იცვლებოდა, იზრდებოდა არქიტექტორთა საერთო პროფესიული დონე, მაგრამ ფაქტიურად, პრინციპული მიდგომა ეროვნული არქიტექტურის გადაწყვეტისადმი უცვლელი რჩებოდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძველი არქიტექტურული ფორმების ეკლექტიკური, მექანიკური გადმოღება 30-იან წლებშიც გვხვდება და 40-იანშიც; 30-იან წლებშიც არის მაგალითები ეროვნული ფორმების ლოგიკური გააზრებისა, როცა მოცემულია ცდა მთელი შენობა ტრადიციული ხუროთმოძღვრული პრინციპებით იყოს გადაწყვეტილი და 40-იანშიც. სხვაა, რომ ომის შემდგომი არქიტექტურა, განსაკუთრებით იმპოზანტური, საზეიმო, „მდიდრული“ გახდა, რასაც მთლიანად საბჭოთა ხუროთმოძღვრებაში ბიძგს აძლევდა გამარჯვებული ხალხის საერთო პატრიოტულ გრძნობათა ამაღლება-აღტკინება. მაგრამ ეს პრინციპულ მხარეს არ ცვლის. ამიტომაა ეს პერიოდი ერთიანი სწორედ სტილის განვითარების თვალსაზრისით. ამ პერიოდის შემოქმედებითი მიმართულების სტილისტიკური ნიშნები მემკვიდრეობის ათვისებაზეა დამყარებული: ერთ შემთხვევაში კლასიკური, ხოლო მეორე შემთხვევაში ეროვნული არქიტექტურული ნიმუშებისა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ომის შემდგომ პერიოდში კლასიკური არქიტექტურული მემკვიდრეობა უმეტესად — ცალკეული გამონაკლისების გარდა — ადგილს უთმობს ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციების გამოყენებას. ომის შემდგომი არქიტექტურა აგრძელებს 30-იანი წლების სტილისტიკურ მიმართულებას. გრძელდება ომამდელი გზა. ცვლილებებია რაოდენობრივ და

---

[190] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის I. თბ., 1946, გვ. 197.

არა ხარისხობრივ მაჩვენებლებში: მეტი იმპოზანტურობა, მონუმენტურობა, მორთულობა, დეკორი და სხვ. და არა რაიმე განსაკუთრებით ახალი. არქიტექტურის სტილისტიკურ მიმართულებაში სულ უფრო და უფრო ძლიერდება მისწრაფება მონუმენტალობისა და ძველ ფორმათა გამოყენებისადმი, რასაც არქაიზაციისაკენ მიჰყავდა იგი. მაგრამ იმ ნაწარმოებებთან ერთად, რომლებსაც, მიუხედავად ქვაში „ნაციონალური“ ორნამენტების ამოკვეთისა, არაფერი აქვს საერთო ქართულ ხელოვნებასთან, იქმნება ისეთებიც, რომლებშიც ნაპოვნი იყო მართალი მხატვრული სახე, ხოლო „ეროვნულის“ ცნება არა მორთულობათა მიწებებაში ჩანდა, არამედ ფუნქციურ და დეკორაციულ კომპონენტთა გააზრებაში. ასეთ ნაწარმოებებში თაღები და ორნამენტები ბუნებრივ და დამაჯერებელ გამოყენებას პოულობდნენ და მხოლოდ უწყობდნენ ხელს შენობის სპეციფიკური ხასიათის ამაღლებას[191].

როდესაც ამ პერიოდის შემოქმედებით მიმართულებაზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაზე გავლენა მოახდინა სოციალისტური რეალიზმის პრინციპების გაგებამ, გამომუშავებულმა სახვითი ხელოვნებისათვის. ხელოვნების სხვა დარგებთან და ლიტერატურასთან შეფარდებულ დებულებათა მექანიკური გადმოტანა არქიტექტურაზე არ ითვალისწინებდა მის სპეციფიკას, რომელიც დაკავშირებულია წარმოებასთან და სამშენებლო ტექნიკასთან, ეკონომიკასთან, ლანდშაფტთან და სხვა ბუნებრივ პირობებთან და სხვ. „სიმართლის მსგავსი სახვით ხელოვნებაში უშუალოდ იწვევდა ასოციაციას სინამდვილესთან. და სინამდვილის ასეთი გაგების არქიტექტურაზე გადატანისას, დაიწყეს სიმართლის ძებნა არა არქიტექტურის შეფარდებით იმ ამოცანებთან და საშუალებებთან, არამედ არქიტექტურის შეფარდებით რაღაც უკვე ნანახთან. თითქოს, თუ სახვითი ხელოვნების ნაწარმოები უნდა გამოსახავდეს ცხოვრებას, გამოსახავდეს მსგავსებით, მაშინ არქიტექტურაც უნდა ქმნიდეს რაღაცის მსგავს რასმე, როგორც ჩანს, იმის მსგავსს, რაც უკვე შექმნილა არქიტექტურის მიერ წარსულში“[192].

სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ასეთმა გავულგარებამ გამოიწვია ის, რომ სამშენებლო ტექნიკის ახალი მიღწევებითა და მეთოდებით ნაგებ შენობებს ძველი სტილის ფორმალური ნიშნებით ამკობდნენ, რომლებიც უცხო იყო თანამედროვე საცხოვრებლის სოციალური ფუნქციისა და შენობათა ტექ-

---

191 В. Бериидзе. Изобразительное искусство и архитектура Грузии. сб. Путь советского искусства. М., 1968, გვ. 225.

192 А. В. Иконников. Путь советской архитектуры. კრებული Путь советского искусства. М., 1968, გვ. 209.

ტონიკისათვის და ესთეტიკურ ღირებულებას კარგავდა". არასწორად იყო გაგებული თვით არქიტექტურული „ფორმაც", რომელიც შენობის მხოლოდ გარეგნულ გამოხატულებაში იყო დანახული. სოციალისტური რეალიზმის სრულიად სამართლიანი ფორმულა სოციალისტური შინაარსისა და ეროვნული ფორმის შესახებ, არქიტექტურაში ფაქტიურად შეიცვალა რეტროსპექციული აკადემიზმის მაგალითებით. მემკვიდრეობის ათვისების სფეროდან ამოვარდა უახლესი მემკვიდრეობა, თუნდაც კონსტრუქტივიზმი, რომელიც უარყოფილ იქნა მთლიანად, მისი დადებით და უარყოფით თვისებებთან ერთად. მემკვიდრეობის დიაპაზონის შეგნებული შემოფარგვლა. უკვე თავისთავად შეცდომა იყო. ოციანმა წლებმა საბჭოთა არქიტექტურაში კი შექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც ძველი წარმოდგენა არქიტექტურულ სახეებზე შეცვლილი იყო ახალ სოციალურ, ტექნიკურ და ესთეტიკურ ამოცანებთან შეფარდებული წარმოდგენით. ამ ეტაპზე საბჭოთა არქიტექტურა მსოფლიო ხუროთმოძღვრების მოწინავე პოზიციებზე გავიდა. ამ მიღწევების განვითარება კი ხელოვნურად იქნა შეჩერებული: „მოწოდება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შესაქმნელად სწორად რომ გაგებულიყო, მხოლოდ უნდა გაეძლიერებინა ჩვენი ხუროთმოძღვრების ხასიათი (არა მარტო მხატვრული, არამედ მატერიალურიც), მის ერთიან ინტერნაციონალურ საფუძვლებთან ერთად.

მოხდა კი პირიქით — მემკვიდრეობის ათვისების ლოზუნგი, როგორც საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობდა ეროვნული სოციალისტური არქიტექტურის შექმნას, გაგებულ იქნა ფორმალურად. ამიტომ ათვისებამ დაიწყო გარდაქმნა, არსებითად, „მითვისებად"[193].

საბჭოთა არქიტექტურის ახალი შინაარსი თავსდებოდა ძველ ფორმებში, რომლებიც ასახავდნენ მხოლოდ მონუმენტურობასა და სიდიადეს. მაგრამ კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ როცა მნიშვნელოვანი ისტორიული გარდაქმნები ხდებოდა, მოშველებული იქნა წარსულის „სულები, სესხულობდენ მათგან სახელებს, ...კოსტიუმებს და სიძველით ნაკურთხ სამოსელში", თამაშდებოდა ახალი აქტი ისტორიისა[194].

არქიტექტურული მეკვიდრეობის ცალმხრივი გაგება გამოიხატებოდა მატერიალურ და ფუნქციურ მხარეს მოწყვეტილ ცალკეულ მხატვრულ ელემენტების გამოყენებაში. ამ მხრივ ტრადიციების როლი, როცა ის მარტო მორ-

---

[193] Ю. С. Яралов. Проблема национального и интернационального в советской архитектуре. М., 1968, გვ. 45.

[194] К. Маркс, Ф. Энгельс. Об искусстве. М., 1937, გვ. 38.

თულობაში გამოიხატებოდა, რა თქმა უნდა, გადაჭარბებით იყო შეფასებული და აფერხებდა არქიტექტურის საერთო განვითარებას. ამასთან ერთად, ძველ ხელოსნურ შრომასთან დაკავშირებული არქიტექტურული ფორმები თავისთავადაც აფერხებდნენ მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დანერგვას, მასობრივ მშენებლობას. მეორე მხრივ, სამშენებლო ტექნიკის იმდროინდელი საერთო დონეც, რა თქმა უნდა, ზღუდავდა არქიტექტორთა შესაძლებლობებს, თუმცა არ განსაზღვრავდა შემოქმედებითი მიმართულების მთლიან სურათს.

მაგრამ ხომ არ ნიშნავს ყოველივე ზემოთქმული, რომ მემკვიდრეობის ათვისების საკითხის დასმა თავისთავად არ იყო სწორი? რა თქმა უნდა, არა! მემკვიდრეობის ათვისების საკითხს სოციალისტური კულტურის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება: მისი გადაჭრა უშუალოდ გამომდინარეობს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებიდან ამ საკითხზე. ლენინი გვასწავლის, რომ „მარქსიზმმა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა იმით, რომ მარქსიზმმა არა თუ უკუაგდო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაპოვარნი, არამედ, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ადამიანის აზრისა და კულტურის ორიათას წელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში. ნამდვილი პროლეტარული კულტურის განვითარებად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ შემდგომი მუშაობა ამ ნიადაგზე და ამავე მიმართულებით“[195].

ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებებს შესწევთ უნარი მათ წარმომშობ ამა თუ იმ ეკონომიკურ ბაზისზე უფრო ცხოველმოქმედი და სიცოცხლისუნარიანი იყვნენ. ისინი ახალი საზოგადოებრივი წყობის დროსაც განაგრძობენ არსებობას, რადგანაც გარდუვალი ესთეტიკური მნიშვნელობა აქვთ და წარმოადგენენ კულტურულ მემკვიდრეობას.

არქიტექტურაში მემკვიდრეობას წარმოადგენენ როგორც სამოქალაქო, ისე საკულტო-რელიგიური ძეგლები, რომლებშიც ცოტათი თუ ბევრად არის გამოხატული ერის ფსიქიკური წყობა. არ შეიძლება დავიწყება იმისა, რომ როგორც მატერიალური, ისე სულიერ სიმდიდრის ნამდვილი შემოქმედი ხალხია. და სწორედ ის ნაწარმოები უძლებს საუკუნეთა მსვლელობას, რომელშიც გამოხატულია ხალხის მოწინავე იდეები. მაგრამ მემკვიდრეობის ათვისება როდი ნიშნავს მზამზარეული ფორმების გადმოღება-გამოყენებას. სოციალისტური კულტურა ძველი კულტურის უბრალო გაგრძელება კი არ არის, არამედ ხარისხობრივად ახალი მოვლენაა. ხუროთმოძღვრებაში ეროვნულ ტრა-

---

[195] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — თხზ. ტ. 31. გვ. 381.

დიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ეროვნული ტრადიციები, დანახული მხოლოდ ორნამენტების ჭარბ გამოყენებაში, ეროვნული ფორმის გარეგნული გამოვლენაა. მორთულობისადმი სიყვარული ჩვენი ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, მაგრამ დეკორი ყოველთვის უნდა ემორჩილებოდეს არქიტექტურული ორგანიზმის საერთო გადაწყვეტას და ორგანულად უნდა შედიოდეს მასში. ეროვნული ტრადიციები მხოლოდ სამკაულებში და ორნამენტებში კი არ გამოიხატებიან, არამედ გულისხმობენ ნაგებობის ადგილობრივ პირობებთან, ჰავასთან, გარემოსთან თავისებურ შეფარდებას. და რაც მთავარია, ამ ტრადიციების გამოყენება უნდა ემორჩილებოდეს თანამედროვე საბჭოთა ადამიანის პრაქტიკული და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ძირითად ამოცანას, მაშინ შეიქმნება სადა, გამართლებული სახეები, სადაც მორთულობა და დეკორიც გარკვეულ არქიტექტურულ ლოგიკას დაემორჩილება[196].

არქიტექტურის ეროვნული თავისებურებანი არ შეიძლება გარეგნულ საშუალებად გამოიყენო, უკვე აგებულ შენობას მარტო ისტორიული ძეგლებიდან გადმოტანილი დეკორი ვერ მიანიჭებს „ეროვნულ ფორმას“. ეროვნულ თავისებურებებად მიჩნეულ უნდა იქნას ის ორგანული, რაც შენობის სამშენებლო, კონსტრუქციულ, გეგმარებით და ესთეტიკურ მხარეშია ჩაქსოვილი. მიუხედავად იმისა, რომ დეკორი თავისი ფორმებით მნიშვნელოვნად უსვამს ხაზს შენობის სპეციფიკურობას, ეროვნული თავისებურებანი მაინც უფრო ქალაქთმშენებლობით და გეგმარებით ხერხებში, მასათა და მოცულობათა ურთიერთშეფარდებაში, ადგილობრივ მასალათა, კომპოზიციური პრინციპების და პროგრესულ ტრადიციულ ფორმათა გადამუშავებაში ჩანს. ამას უნდა დაემატოს ფსიქიკური წყობა, რომელიც ხალხის ხასიათის წარუშლელ და განუმეორებელ ნიშანს ასვამს არქიტექტურულ ნაწარმოებს (როგორც კულტურის და ხელოვნების სხვა დარგებსაც)[197].

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ნიშანი ამ პერიოდის არქიტექტურული შემოქმედებისა, რაც არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სინთეზს შეეხება. 30-იანი წლებიდან მოყოლებული საბჭოთა არქიტექტურაში დიდ როლს თამაშობს ქანდაკება, ფერწერა, მოზაიკა და სხვ. დეკორაციული ხელოვნების საშუალებანი გამოყენებულია იდეური შინაარსის გაღრმავებისათვის და ზოგჯერ ეს რეალისტური თხრობითაა მიღწეული, ზოგჯერ კი დეკო-

---

[196] ნ. ჯანბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურის ზოგიერთი საკითხი. „მნათობი“ № 6 1955, გვ. 149.

[197] Ю. Яралов. დას. ნაშრომი. გვ. 24.

რაციულ-პირობითი გადაწყვეტით. ხელოვნებათა სინთეზი ხელს უწყობს მონუმენტურობის გამოხატვას, რაც ასე დამახასიათებელია ამ პერიოდისათვის. თუ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობაზე რელიეფური პანოები რევოლუციურ თემატიკას გამოხატავენ და ამასვე ესიტყვება ფერწერული პანო დარბაზში, ჰიათურის თეატრის არქიტექტურაში, გამარჯვების პათეტიკური თემის გახსნასთან ერთად, მოცემულია თეატრალურ მოღვაწეთა პორტრეტები, რაც შენობის კონკრეტულ დანიშნულებას ეპასუხება. ზოგან ქანდაკება პასიური მორთულობის ფარგლებში თემატიკურადაც არ უკავშირდება შენობის დანიშნულებას (მაგ. კინო „რუსთაველი") და სხვ. ასე, რომ არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სინთეზი სხვადასხვაგვარადაა გამოვლენილი სხვადასხვა ნაწარმოებში, მაგრამ საერთო არქიტექტურულ სახეზე თავის გავლენას ყოველთვის ახდენს. ამრიგად, ხელოვნებათა სინთეზის დარგში ძიებანი ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარეა ამ პერიოდისა.

როდესაც ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების მეორე პერიოდზე ვლაპარაკობთ, როგორც უკვე ითქვა კიდეც, ზევით აღნიშნული კრიტიკული შენიშვნები არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ამ დროისათვის არქიტექტურულ შემოქმედებას არაფერი დადებითი გააჩნდეს. პირიქით, ჩვენ აღვნიშნეთ მთელი რიგი მიღწევებისა, როგორც ქალაქთმშენებლობის დარგში, ისე ცალკეული ობიექტების არქიტექტურულ გადაწყვეტაში, მაგრამ ამ პერიოდის ბოლოსათვის განმსაზღვრელი აღმოჩნდა სწორედ ის მცდარი ტენდენციები, რომლებზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი და რომლებმაც საბჭოთა არქიტექტურა მთლიანად და ქართული საბჭოთა არქიტექტურაც, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, მიიყვანა როგორც ეკონომიურ-ტექნიკურ, ისე მხატვრული ხასიათის შეცდომებამდე, რამაც თავისი სრული ანარეკლი ჰპოვა პარტიისა და მთავრობის 1954—55 წლების ისტორიულ მითითებებში.

* * *

ამრიგად, ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების მეორე პერიოდი არქიტექტურული შემოქმედების მეტად რთულ სურათს სახავს. საბჭოთა საქართველოს მიღწევები მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა თუ კულტურის დარგში ფართო ასპარეზს უშლის არქიტექტურას. მშენებლობის ხარაჩოებშია მთელი რესპუბლიკა. 30-იანი წლების დასაწყისშივე იწყება გრანდიოზული მუშაობა ქალაქთმშენებლობის დარგში და ამ პერიოდის ერთ-ერთი უველაზე დიდი მიღწევა სწორედ ქალაქთა გენერალური გეგმების შედგენა-

დამუშავება და მათ საფუძველზე ქალაქთა საფუძვლიანი, გეგმაზომიერი რეკონსტრუქცია იყო. გენერალურ გეგმებზე მუშაობა ახალგაზრდა ქართველ არქიტექტორთათვის სერიოზულ სკოლად გადაიქცა: გაიზარდა ქალაქთმშენებელ არქიტექტორთა კადრები, რომელთაც შემდგომში დიდი სამუშაოს გაწევა დაეკისრათ. ომის შემდგომ პერიოდში ახალი ქალაქების თუ დასახლებათა გაშენება ამ მიღწევების აშკარა გამოხატულებაა. მშენებლობის უფრო რაციონალური მეთოდების დანერგვა, როგორიც იყო, მაგალითად, ნაკადური მეთოდი (განსაკუთრებით რუსთავის მშენებლობაზე), პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა და ხელს უწყობდა მშენებლობის უფრო სწრაფი ტემპების დამყარებას.

მაგრამ დიდი მნიშვნელობის სარეკონსტრუქციო და საქალაქთამშენებლო ღონისძიებების დროს შენდებოდა მხოლოდ საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებით პომპეზურად გაფორმებული ქუჩის ფრონტი, კვარტალთა კომპლექსურ განაშენიანებისა და კეთილმოწყობის გარეშე. სამაგიეროდ, შენობები მდიდრულად ირთვება სხვადასხვა დეკორაციული ელემენტებით. პარტიის მითითებები კლასიკური მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების აუცილებლობის შესახებ თანდათანობით არა სწორ გამოხატულებას იძენდა. არქიტექტურაში მთავარი გახდა მონუმენტურობის, ფასადთა და ინტერიერთა იმპოზანტური ფორმებით და დეკორაციული სამკაულით მორთვის ამოცანები, რაც გაუმართლებელ რეტროსპექტივიზმს, არქაიზმს და ეკლექტიზმს იწვევდა. ასეთმა მიდგომამ ყურადღება ჩამოაცილა საბჭოთა მშენებლობის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც იყო მასობრივი მშენებლობა, მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების, ტიპობრივი პროექტირების ახალი კონსტრუქციებისა და საშენი მასალების დანერგვა-განვითარება, დაღი დაასვა მშენებლობის ეკონომიურ მხარეს. დავიწყებულ იქნა, რომ არქიტექტურა მატერიალურ-ტექნიკურ და იდეურ-მხატვრული მხარეების ორგანული მთლიანობაა; ფაქტიურად, არქიტექტურაში უტილიტალური და მხატვრული ამოცანების ურთიერთდაპირისპირება მოხდა. ეს შინაგანი წინააღმდეგობანი არქიტექტურაში იწვევდა სახელმწიფო სახსრების უყაირათო ხარჯვას, შენობათა ფუნქციური მხარისადმი ნაკლებ ყურადღებას, ფორმალურ-ესთეტიკურ ამოცანათა ცალმხრივ გაგებას. არქიტექტორები ხშირად შენობისათვის ვითომდა ეროვნული ფორმის მიცემისათვის, ფასადებს სრულიად უსაფუძვლოდ რთავენ და ტვირთავენ ზედმეტი ორნამენტული თუ სხვა სამკაულით. ეს ზედმეტობა არქიტექტურაში თანაბრად მავნებელი იყო როგორც ეკონომიის, ისე მხატვრულ სფეროში.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის ბევრ არქიტექტურულ ნაწარმოებში ჩანს ავტორთა ნიჭი, მაღალი პროფესიონალიზმი, შემოქმედები-

თი საკითხების ღრმა გააზრება, ამის შედეგად იქმნებოდა შენობები, რომელთა გავლენა ცალკეული ქუჩების, მოედნებისა თუ საერთოდ, ქალაქთა არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში — დიდია. არქიტექტურაში მორთულობით გატაცებისა და ზედმეტობათა კრიტიკული შეფასებისას, ერთი ხელის მოსმით არ უნდა იქნას უარყოფილი ის დიდი მუშაობა, რომელიც არქიტექტორთა მიერაა ამ დროისათვის გაწეული.

პარტიამ და მთავრობამ 1954—55 წლის ისტორიული მითითებებით განვითარების ახალი გზა დაუსახა საბჭოთა არქიტექტურას. დაგმობილ იქნა ზედმეტობანი არქიტექტურულ შემოქმედებაში; მშენებლობის ტექნიკურ და ეკონომიურ მხარეს. პროექტირებასა და მასობრივ მშენებლობას, ახალი საშენი მასალებისა და კონსტრუქციების დანერგვას, მშენებლობის საერთო ინდუსტრიალიზაციას და უახლესი მიღწევების გამოყენებას ფართო გასაქანი მიეცა.

ნაწილი მესამე

1955—1968

1 არქიტექტურის განვითარების საერთო პირობები

1954 წლის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ მოწვეულმა მშენებელთა, არქიტექტორთა და სამშენებლო მრეწველობისა და საპროექტო დაწესებულებათა მუშაკების მეორე საკავშირო თათბირმა შეაჯამა უკანასკნელ წლებში ჩატარებული მუშაობა და აღნიშნა, რომ სამრეწველო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა ჩამორჩა ხალხის გაზრდილ მოთხოვნილებას და ვერ იდგა ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობათა დონეზე. აღინიშნა, რომ მშენებლობის საქმის ძირეული გაუმჯობესების გადამწყვეტი პირობაა სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება. საპროექტო ორგანიზაციების მუშაობაში მთავარი — ტიპობრივი დაპროექტება უნდა გამხდარიყო.

თათბირზე სამართლიანად აღინიშნა, რომ სამშენებლო საქმის ნაკლოვანებათა ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი არქიტექტორთა ცუდი მუშაობა იყო. საცხოვრებელ თუ საზოგადოებრივ ნაგებობათა პროექტების შედგენის დროს არქიტექტორთა ნაწილი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მშენებლობის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ეკონომიურობა, შენობათა დანიშნულებრივი გადაწყვეტა და მშრომელთათვის საუკეთესო სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა.

პარტია არაერთხელ მიუთითებდა, რომ ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობებზე ზრუნვა — ჩვენი არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. უმაღლესი პრინციპია და რომ ის გამოხატულებას უნდა პოულობდეს ეკონომიურ, ტექნიკურად მიზანშეწონილ, მაღალმხატვრულ არქიტექტურულ ნაწარმოებებში. მაგრამ ზოგიერთი არქიტექტორი ყოველსავე ამას უგულებელყოფდა; დაციწყებულ იყო შენობის ფუნქციური მხარე, მისი დანიშნულება, მოხერხებულობა, ეკონომიურობა და მთავარი ყურადღება ექცეოდა ფასადთა დეკორატულ გაფორმებას. შენობათა არქიტექტურამ პომპეზური სახე მიიღო.

აღნიშნულმა თათბირმა რადიკალური გარდატეხა მოახდინა არქიტექტუ-

რისა და მშენებლობის საქმეში, რასაც დიდად შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირების შესახებ“ (23. 8. 1955), რომელშიც დასახული იყო მშენებელთა გადაუდებელი ამოცანები, რაც უნიფიცირებულ ელემენტთა გამოყენებაში, ახალი საშენი მასალების თამამ გამოყენებაში ისახებოდა. დადგენილებაში აღნიშნული იყო რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა დამზადების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, მსხვილი ბლოკებისა და პანელების გამოყენების, სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვის აუცილებლობა.

1955 წლის 4 ნოემბერს გამოქვეყნდა პარტიისა და მთავრობის დადგენილება „დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ“[1], რომელმაც მოუწოდა არქიტექტორებსა და მშენებლებს, საპროექტო დაწესებულებებს ძირეულად გარდაექმნათ თავიანთი მუშაობა, ფართოდ დაენერგათ ტიპობრივი პროექტები, გაბედულად აეთვისებინათ ჩვენი და საზღვარგარეთის მშენებლობის მოწინავე მიღწევები და შეურიგებელი ბრძოლა ეწარმოებინათ არქიტექტურაში ფორმალიზმის გამოვლინების და მშენებლობაში ზედმეტობის წინააღმდეგ. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „საბჭოთა არქიტექტურას უნდა ახასიათებდეს სიმარტივე, მკაცრი ფორმები და ეკონომიური გადაწყვეტა. შენობათა და ნაგებობათა მიმზიდველი სახე უნდა იქმნებოდეს არა მოგონილი, ძვირადღირებული დეკორაციული სამკაულების გამოყენების გზით, არამედ იმით, რომ არქიტექტურული ფორმები ორგანულად იყოს დაკავშირებული შენობათა და ნაგებობათა დანიშნულებასთან მათი კარგი პროპორციებით, აგრეთვე მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების სწორი გამოყენებით და სამუშაოთა მაღალი ხარისხით“[2].

ამ ისტორიულ დოკუმენტში გამოვლენილი ნაკლოვანებების ანალიზი მოგვცა საბჭოთა არქიტექტორთა II ყრილობამ, რომელიც 1955 წლის დეკემბერში შედგა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ყურადღება არქიტექტურისა და მშენებლობისადმი აისახა პარტიის XX ყრილობის დოკუმენტებში, ხოლო 1957 წლის 31 ივლისს გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საბჭოთა კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“, რომელშიც არქიტექტორთა და მშენებელთა წინაშე დასმული იყო უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა, საბ-

---

1 „საბჭოთა ხელოვნება“, 1955, № 6, გვ. 5.

2 იქვე, გვ. 8.

ჭოთა ქვეყნის მშრომელთა კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველყოფის შესახებ, რაც საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში პრინციპული ხასიათის სიახლეზე მეტყველებდა[3].

საბინაო მშენებლობის ასეთი მასშტაბის სამუშაოთა წარმოება ერთი მხრივ მაღალხარისხოვანი ტიპობრივ პროექტების შედგენას გულისხმობდა, ხოლო მეორე მხრივ, სამშენებლო ინდუსტრიის მზარდ განვითარებას. ცხადდება კონკურსები ტიპობრივ საცხოვრებელ სახლებზე ახალი ტიპების ბინებით. 1956 წელს საკავშირო სახმშენი, სსრკ არქიტექტორთა კავშირი აცხადებენ ღია და დახურულ კონკურსებს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მკვეთრმა გაუმჯობესებამ მშენებლობაში ხარისხობრივი ცვლილებები გამოიწვია. საბჭოთა კავშირი ცემენტის წარმოებით უკვე 1956 წელს მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა, გაიზარდა ანაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა ხვედრითი წონა, შეიცვალა სამშენებლო საქმის წარმოების სისტემა და სხვ.

ყველაფერი ეს ვრცელდებოდა მოკავშირე რესპუბლიკებზეც და, რა თქმა უნდა, საქართველოზეც. ორმოცდაათიანი წლების შუამიჯნიდან მოყოლებული, მასობრივი საბინაო მშენებლობა ხორციელდება მხოლოდ ტიპობრივი პროექტებით და სახლები შენდება მსხვილი ბლოკებისაგან, პანელებისაგან, მოცულობითი სივრცობლივი ბლოკ-ოთახებისაგან, რაც ინდუსტრიული მშენებლობის პროგრესულ მეთოდებზე მეტყველებდა.

ქართველ არქიტექტორთა და მშენებელთა მთელი ყურადღება მიმართულია იმ ამოცანების გადაწყვეტისაკენ, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მიერ იყო დასახული ასე ფართოდ გაშლილი მშენებლობის ფრონტზე.

1955 წლის, ოქტომბერში შედგა საქართველოს არქიტექტორთა ყრილობა, რომელმაც ცალკე განიხილა ტიპობრივი დაპროექტებისა და საბინაო მშენებლობის საკითხები საქართველოში[4]. 1955 წელს გაიმართა მშენებელთა, არქიტექტორთა, სამშენებლო მრეწველობის და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკთა თათბირი, რომელიც არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და სამშენებლო დარგში ახალი ამოცანების გადაწყვეტის საკითხებს მიეძღვნა[5]. იმავე წლის ივნისში მოეწყო ახალგაზრდა არქიტექტორებისა და მშენებლების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ამ საკითხებთან დაკავშირებით ახალგა-

---

[3] О развитии жилищного строительства в СССР, М., 1957.

[4] «Заря Востока», 1955, 21—23. 10, № 250—252.

[5] „კომუნისტი“, 1966, 20.9, № 220.

ზრდა თაობის ამოცანებს იხილავდა[6]. 1957 წლის ნოემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი რესპუბლიკაში საბინაო და კომუნალური მშენებლობის მდგომარეობის და გაუმჯობესების შესახებ და სხვ.[7] ყველა აღნიშნული ღონისძიება იმ დიდი მუშაობის ნაჩვენებელია ,რომელიც რესპუბლიკაში მიმდინარეობდა არქიტექტურული და სამშენებლო საქმის სასწრაფო გაუმჯობესებისათვის.

ქართველი არქიტექტორები წარმატებით მონაწილეობენ საკავშირო კონკურსებში საცხოვრებელი სახლების დაპროექტებაზე. ერთი ასეთი კონკურსთაგანი იყო 1956 წლის საკავშირო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ცნობილმა არქიტექტორებმა. ეს პროექტები უმთავრესად მსხვილ ბლოკიან მშენებლობას ეყრდნობა, გამოყენებულია ახალი კედლის მასალები, რომლებიც მშენებლობას მნიშვნელოვნად აიაფებდა (ფიბროლიტი. „პენოსილიკატი“ და სხვ.).

ქართველ მშენებელთა პრაქტიკაში შემოდის ნატურალური ზომის მაკეტების აშენება, რომელიც ცხადად აჩვენებდა ამა თუ იმ პროექტის სიავკარგეს. 1958 წელს თბილისის სამშენებლო გამოფენის მოედანზე აიგო „საქსახპროექტისა“ და „საქსოფლპროექტის“ რიგითი სექციების ოროთახიანი ბინები და მოხდა მათი დემონსტრაცია-გასინჯვა.

არქიტექტორების წინაშე დაისვა საკითხი მასობრივი ბინის ისეთი ტიპის შექმნისა, რომელიც ინდუსტრიული მეთოდებით მშენებლობას შეეფარდებოდა. ხოლო თვით გეგმარების თვალსაზრისით უნდა შედგენილიყო ახალი ეკონომიური ბინა, რომელიც, წინა წლებში აგებულ ბინათაგან განსხვავებით— როცა ბინაში ხშირად რამდენიმე ოჯახს ასახლებდენ — ერთი ოჯახისათვის იყო განკუთვნილი. ეკონომიური ბინების შექმნისათვის ცალკეულ ბინათა ფართობი მცირდებოდა; შემცირდა დამხმარე სადგომების ფართობი. შეიცვალა ბინათა სიმაღლე, მცირდებოდა საერთოდ ნორმები, რაც საბინაო მშენებლობას აიაფებდა.

მაგრამ, ბუნებრივია, მარტო პროექტირების ხარისხის ამაღლებით ამოცანა დაძლეული ვერ იქნებოდა. საჭირო იყო სამშენებლო ინდუსტრიის დონის მკვეთრი ამაღლება. მართლაც, თუ 1945 წელს რესპუბლიკაში ცემენტის წარმოება 74 ათას ტონას უდრიდა, 1960 წელს იგი 1.256 ათას ტონამდე ავიდა. რკინა-ბეტონის ანაკრები და ბეტონის კონსტრუქციები 1958 წელს 164,5 ათას კუბ. მეტრის მოცულობით გამოდიოდა, ხოლო 1965 წელს მათი მოცულობა 706 ათას კუბურ მეტრამდე ავიდა საშენი მასალების საერთო პრო-

[6] „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1956, 2. 6. № 66.

[7] „კომუნისტი“, 1957, 13.11, № 267.

დუქციის წარმოება 1960 წელს 1950 წელთან შედარებით 354%-ით გაიზარდა და ა. შ.[8]

მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია ყველაზე მეტად შეეხო არქიტექტურის ყველაზე მასობრივ დარგს — საბინაო მშენებლობას. არქიტექტორთა და მშენებელთა საზრუნავი გახდა ბინათმშენებელი მრეწველობის და სამშენებლო წარმოების მაქსიმალური მექანიზაციის დანერგვა. შეიქმნა მსხვილი პემზა-ბეტონის ბლოკების და დაძაბულ-არმირებული რკინა-ბეტონის ფილა-ფენილის პოლიგონები. თბილისში, რუსთავში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში მშენებლობა ინდუსტრიული მეთოდებით წარმოებს — ძირითადად მსხვილი ბლოკებისაგან, აგრეთვე პანელებისაგან და სივრცობლივი მოცულობითი ბლოკოთახებისაგან. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი იყო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის თვალსაზრისით. ამ სახლის ყველა სამონტაჟო სამუშაოს 80 პროცენტი წარმოებს ქარხანაში, სადაც ცალკეულ სამშენებლო დეტალებისაგან ხდება ლოჯიებით, სამზარეულოთი და სანკვანძით გამზადებული საცხოვრებელი ოთახების დამონტაჟება.

სახლთსაშენი ქარხნები შენდება თბილისში, რუსთავში და ბიჭვინთაში, სადაც გამოყენებული იყო „გიპროსტროინდუსტრიის“ სისტემა, ხოლო ბათუმში ასეთივე ქარხანა ინჟ. ვ. ლაგუტენკოს სისტემას ეყრდნობა

50-იანი წლების დასასრულისათვის თბილისის მშენებლობაზე სამუშაოთა ყველა ძირითადი პროცესი მექანიზებულია — ამათგან ბეტონის მოსამზადებელი და ჩასხმის სამუშაოებისა 99%-ით; ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოებისა 89%-ით; მიწის სამუშაოთა—95%-ით და სხვ. 1959 წლიდან მწყობრში ჩადგა სასაქონლო ბეტონის ქარხანა, საბეტონო კვანძი. ამ საწარმოებში სამუშაო პროცესები, ინერტული და მჭიდა მასალების გადმოტვირთვით დაწყებული და მზა პროდუქციის გადმოზიდვით დამთავრებული, მთლიანად მექანიზებულია. სხვადასხვა განყოფილებები და საამქროები აღჭურვილია დისტანციური მართვით. ასეთი მექანიზებული ბეტონის დასამზადებელი წარმოება პირველი იყო მთელს ამიერკავკასიაში[9].

პროექტირებასა და მშენებლობაში ჩაბმულია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სამეცნიერო კადრები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტი, ტიპობრივი და ექსპერიმენტული პროექტი-

---

[8] Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции. Тб., 1967, стр. 87—88.

[9] ა. მ ე ლ ა ძ ე — საბინაო მშენებლობა თბილისში. „მეცნიერება და ტექნიკა“. 1961, №5, გვ. 46.

რების ზონალური ინსტიტუტი „თბილზნიეპი“, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის, სამშენებლო კონსტრუქციებისა და სანტექნიკის კათედრები, ჰიდროენერგეტიკისა და ნაგებობათა კვლევითი ინსტიტუტი, საწარმოო ლაბორატორიები და სხვ.

სამშენებლო მეცნიერების განვითარებაში უმთავრესი ყურადღება ექცევა რესპუბლიკის ადგილობრივი პირობების თავისებურებებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც საქართველოს მთიან რელიეფს, რთულ ტოპოგრაფიას გულისხმობს და სეისმური აქტივობის მქონე რაიონების სპეციფიკითაა წამოჭრილი „საქართველოს პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს გარსების თეორიის გამოყენებას პრაქტიკაში. რკინა-ბეტონის თხელკედლიანი გარსები, ნაკლები თოვლის დატვირთვისა და სახურავის შედარებით სიმჭატის გამო, საქართველოში დიდ ეფექტს აღწევს. ამ მიმართულებით, დიდი მალების გადასახურავად შემუშავდა ნაკრები დამრეცი სფერული გარსის ორიგინალური კონსტრუქცია და სხვ.[10].

მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდებისა და შრომის მექანიზაციის დანერგვამ შედეგები არ დააყოვნა. მარტო თბილისში, საბინაო მშენებლობაში 1957—60 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა გაცილებით მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე წინა 12 წლის განმავლობაში.

საცხოვრებელ სახლებთან ერთად, დიდი ყურადღება ექცევა ახალ გეგმითა და კონსტრუქციებით უფრო რაციონალური, უფრო ეკონომიური მასობრივი საზოგადოებრივი შენობების ტიპების შექმნას. მასობრივი მშენებლობა საქართველოში ამ დროისათვის წარმოებს ტიპობრივი პროექტებით, რომელთა კატალოგი მოიცავს საცხოვრებელ სახლების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო და კულტურულ — საგანმანათლებლო დაწესებულებათა 83 დასახელებას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1964 წელს აშენებულ საცხოვრებელ სახლთაგან, ტიპობრივი პროექტებითაა აშენებული 97,3%.

მშენებლობის ინდუსტრიალიზაციამ განსაზღვრა საცხოვრებელი რაიონების მსხვილი მასივებით განაშენიანება. პერიმეტრულად განლაგებული შენობები შეცვალა თავისუფალმა განაშენიანებამ. ქალაქთმშენებლობაში წამყვანი მნიშვნელობა დაიკავა საცხოვრებელი რაიონების და მიკრორაიონების დაპროექტებამ, რომელთა ტერიტორია არ იკვეთება სატრანსპორტო მაგისტრალებით. საცხოვრებელთა შორის განლაგებულია სკოლები, საბავშვო ბაღები, ბაგები. მაღაზიები და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულე-

---

[10] ო. ონიაშვილი, ზ. წილოსანი. სამშენებლო მეცნიერების მიღწევები საქართველოში. „მეცნიერება და ტექნიკა“. 1961, № 5, გვ. 16—17.

ბანი ცალკე პროექტდება, ზოგჯერ კი საცხოვრებელი სახლების ქვედა სართულებშია მოთავსებული.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა არქიტექტურა სრულიად ახალ სახეს იღებს. პრინციპულად იცვლება არა მარტო კონსტრუქციული აგებულება, არამედ კომპოზიციურ-სივრცობლივი და მხატვრული გადაწყვეტაც. ამ ნაგებობებში ისევე, როგორც ქალაქთა რეკონსტრუქციაში საერთოდ, თავისი ადგილი დაიკავა არქიტექტურის და ხელოვნების სინთეზმა. ახალ მასალათა და კონსტრუქციათა გამოყენებამ, თანამედროვე სამშენებლო ტექნიკის დანერგვამ, თვით არქიტექტურის არსის სწორად გახსნამ და გაგებამ ამ შენობების მხატვრული მხარე მეტად დაუახლოვა თანამედროვე ესთეტიკურ მოთხოვნილებას. ახალმა სამშენებლო ტექნიკამ შეცვალა არქიტექტურის დეკორაციული მორთულობით „გალამაზება“, შენობათა ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარეს ოპტიკური სიმსუბუქე განსაზღვრავს, რაც შენობის შემადგენელ ნაწილთა ქარხანაში დამზადებითაა შეპირობებული.

მაგრამ ზემოთ თქმულის მიხედვით არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს არქიტექტურის ამ ბოლო ეტაპზე ყველაფერი მხოლოდ პროგრესული გზით მიმდინარეობდეს. ძველი ტენდენციების მოსპობა არც ისე იოლი იყო. ეს შეეხება როგორც პროექტთა გეგმარებითს, ისე მხატვრულ ხარისხსაც. ეს შეეხება ქალაქთმშენებლობით ღონისძიებებსაც. მიუხედავად ტიპობრივი პროექტების მიხედვით გაშლილი მშენებლობისა, მცირე იყო პროექტთა ნომენკლატურა და არსებულიც ბევრ კორექტივს მოითხოვდა. საცხოვრებელი კვარტალებისა და რაიონების განაშენიანება ხშირად მოკლებული იყო რიგ აუცილებელ კომპონენტებს. არ იყო დაცული დაგეგმარების პროექტის ყველა უბანი და სხვ. მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია პირველ ხანებში მხოლოდ ტექნიკურ ამოცანათა გადაწყვეტისაკენ წარიმართა, ამას დაემორჩილა სტანდარტისა და ტიპიზაციის დანერგვა, ხოლო მხატვრულ-ესთეტიკური მხარე მეორე პლანზე აღმოჩნდა. საცხოვრებელი სახლის ესთეტიკური მხარის შეცვლა, რაც ცრუ, ზედმეტ დეკორაციული ელემენტების ჩამოცილებაში, ფასადთა სადა და მარტივად გადაწყვეტაში ჩანდა, პროგრესული მომენტი იყო ბინათმშენებლობაში. მაგრამ განაშენიანების თანაბარსიმაღლიანობამ, კომპოზიციური ხერხების ერთგვაროვნობამ, კეთილმოწყობის სამუშაოების შეუსრულებლობამ, ფერისა და სივრცითი ელემენტების შეუფასებლობამ, იმ ფაქტმა, რომ თვით საცხოვრებელი არქიტექტურა ჯერ ძალიან ბევრ კორექტივს მოითხოვდა, კვარტალების უსახური, შაბლონური იერი გამოიწვია.

არქიტექტორთა და მშენებელთა მუშაობა პარტიისა და მთავრობის, საუ-

წყებო სახელმწიფო ორგანოების სისტემატური ზედამხედველობის ქვეშაა დაყენებული. სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, 1966—70 წლის ხუთწლიანი გეგმის დირექტივები კონკრეტულ ამოცანებს სახავენ ქალაქთმშენებლობის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დარგებში. ყველა ღონისძიება მიმართულია მშრომელთა შრომის, დასვენების, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ.

მასობრივ მშენებლობაში თანდათანობით იხვეწება არქიტექტურულ — სივრცობლივი გადაწყვეტა, რომელიც განაშენიანების კომპლექსურ ხასიათშია მოხატული. სტანდარტისა და ტიპობრიობის მხატვრული შესაძლებლობანი ავლენს თავის სახეს. ეს აშკარად ჩანს საცხოვრებელი სახლების ახალ პროექტებში. მნიშვნელობის ინდუსტრიალიზაცია მხატვრულ-ესთეტიკური ამოცანების სფეროში ისახება. ამის შედეგად შენდება მთელი კომპლექსები (მაგ. კურორტი ბიკვინთა) და ცალკეული ნაგებობები, რომელთაც გზადაგზა ქვემოთ განვიხილავთ.

ქართველ არქიტექტორთა სერიოზულ წარმატებებზე მეტყველებს თბილისის ახალი გენერალური გეგმის შედგენაც, რომელიც 1962 წელს დაიწყო. ქალაქ თბილისის სახეცვლილების ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარეა ახალი სატრანსპორტო საშუალების—მეტროპოლიტენის გაყვანა და ამუშავება, რასაც ისეთი ბუნებრივი პირობების ქალაქისათვის, როგორც თბილისია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ბოლო ეტაპისათვის დამახასიათებელია ქართული არქიტექტურული სკოლის დიდი წარმატებანი, რამაც საერთაშორისო აღიარება ჰპოვა. 1967 და 1969 წლების არქიტექტორთა საერთაშორისო კონგრესებზე საქართველოს ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულები უმაღლეს ჯილდოებს იმსახურებენ[11].

ქართველ არქიტექტორთა წინაშე, ისევე, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის არქიტექტორების წინაშე, თანამედროვე სამშენებლო ტექნიკის შესაძლებლობათა გამოყენების რთული შემოქმედებითი ამოცანები დაისვა. ეს კი ახალ შესაძლებლობებს სახავს ქართული საბჭოთა არქიტექტურის სტილისტიკური თავისებურებების ჩამოყალიბების გზაზე.

---

[11] ნ. ჯ ა ნ ბ ე რ ი ძ ე, თანამედროვეობის სიდიადით. „საბჭოთა ხელოვნება", 1967, № 10, გვ. 43; თ. კ ვ ი რ კ ვ ე ლ ი ა. გამარჯვებათა წელი. „ლიტერატურული საქართველო". 1967. 7. XI.

2 ქალაქთა დაგეგმარება და განაშენიანება

მთავრობისა და პარტიის 1954—1955 წლების ზევით აღნიშნულ ღონისძიებათა და დადგენილების შედეგად, ახალ ასპექტში იქნა წარმოდგენილი მეშაობა ქალაქთმშენებლობის დარგშიც, რომელშიაც ბევრი საკითხი სრულიად ახლებურ მიდგომას მოითხოვდა. მშენებლობის ინდუსტრიალიზაციამ, ტექნიკურმა საწარმოო აღჭურვილობამ და ტიპობრივი პროექტების ფართო მასშტაბმა რეალური შესაძლებლობა შეუქმნეს ქალაქთმშენებლობის იმ პროგრესული პრინციპების ხორცშესხმას, რომლებიც საბჭოთა არქიტექტურის ახალი ამოცანებიდან გამომდინარეობდნენ.

სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური პროგრესის ახალ მოთხოვნილებათა შედეგად საბჭოთა ქალაქთმშენებლობამ ამ ეტაპზე პრინციპული ხასიათის ცვლილებანი განიცადა. საწარმოო ძალთა რაციონალური განლაგება, განსახლების სისტემა, ქალაქთა განვითარებისა და ზრდის პერსპექტიულობის განსაზღვრა, ტრანსპორტი, სანიტარული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ქალაქთმშენებლობის ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკა, არქიტექტურულ-მხატვრული გამომხატველობისა და ქალაქთა სპეციფიკიდან გამომდინარე თავისებურებების გათვალისწინება — იყო საკითხთა ის უმთავრესი წრე, რომლებმაც სხვა პრობლემებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს[12].

ქალაქთმშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ 1960 წელს მოწვეულ, ქალაქთმშენებლობის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილ თათბირს.

ქართველი არქიტექტორები მუშაობენ რაიონულ დაგეგმარებაზე და საცხოვრებელი რაიონების, კვარტალებისა და მიკრორაიონების შექმნაზე. მთელი რიგი ქალაქებისათვის ახალი გენერალური გეგმები დგება. 50-იანი წლების შუამიჯნაზე უკვე მუშავდებოდა ზოგიერთ ქალაქთა გენერალური გეგმები, რომლებიც ამ ახალი ეტაპის დასაწყისში დამთავრდა. ამიტომ გზადაგზა ხდებოდა მათი შესწორება, რაც ახალი ამოცანებით იყო გამოწვეული.

1956 წლისათვის საქართველოში 32 ქალაქი და 32 ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი იყო (1939 წელს მათი რიცხვი, შესაბამისად 27 და 24 იყო). მნიშვნელოვნად გაიზარდა საქალაქო მოსახლეობის რაოდენობაც. თუ 1940 წელს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში 1.066 ათასი კა-

[12] Советская архитектура за 50 лет. М., 1968, გვ. 257.

ცა ცხოვრობდა, 1956 წელს ქალაქის მოსახლეობამ 1530 ათასს მიაღწია. ამის მიზეზი იყო როგორც ქალაქის ტიპის ახალი დასახლებული პუნქტების წარმოშობა, ისე ქალაქის მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მატება[13].

ორმოცდაათიანი წლების მიწურულში მთავრდება მუშაობა ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, ცხინვალის და სხვა ქალაქების გენერალურ გეგმებზე. მართალია, ეს პროექტები ჯერ მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა ახალი ეტაპის მოთხოვნილებებს, მაგრამ თანდათანობით იხვეწებოდა, თავის დროისათვის კი, საინტერესო მასალას შეიცავდა.

1956 წელს დაპროექტებული გენერალური გეგმა ქალაქ ქუთაისისათვის (არქ. ა. ნიკოლაიშვილი, შ. ლომთაძე) უკვე არსებული პროექტის პრინციპებს ემყარებოდა, თუმცა ახალი ტერიტორიის ათვისება და ზოგიერთი კორექტივი მას ახლებურ იერს ანიჭებდა. გეგმა გათვალისწინებული იყო 1955—70 წლებისათვის. ქალაქის ზრდას პროექტი ვარაუდობდა სამხრეთის მიმართულებით, გეგუთისა და პატრიკეთის ტერიტორიის ათვისებით, სადგურ ბროწეულამდე, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გასწვრივ. ქალაქის ტერიტორიული ზონირება ისეთივე დარჩა, როგორც წინა პროექტში იყო. სამრეწველო ზონა სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთის მხარესაა მოთავსებული. საცხოვრებელი კვარტალებიდან სამხრეთის ნაწილში, მაშველი არხის მიდამოებში გადადის სხვადასხვა საწარმოები, რომლებიც კვების მრეწველობას ემსახურებიან.

გენგეგმაზე მკვეთრადაა გამოყოფილი ქალაქის გრძივი და განივი მაგისტრალები და გამოვლენილია მათი ქალაქგეგმარებითი ფუნქციები.

ქუთაისის განაშენიანებული ტერიტორია რიონის ორივე ნაპირის გასწვრივ, დაახლოებით, 7 კმ-ზე გრძელდება. რიონის მარცხენა მხარეთში სამოსახლო ტერიტორიას ნაკლები სიგანე აქვს, ვიდრე მარჯვენა ნაპირზე. ქალაქისათვის დამახასიათებელია ტერიტორიის გაფართოება აღმოსავლეთით და დასავლეთით, ცენტრალური რაიონების გასწვრივ. საავტომობილო ქარხნის ტერიტორია რიონის ნაპირიდან მნიშვნელოვნადაა დაცილებული. და საერთოდ კი დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძის მიმართულებით დასახლებული ტერიტორია 10 კმ-ან ფარგლებში თავსდება. გენერალური გეგმა ითვალისწინებს ქალაქის ამ სპეციფიკას და ზრდას სამხრეთისაკენ (ჩრდილო-სამხრეთის ღერძის მიმართულებით ქალაქის ტერიტორია დაახლოებით 6 კმ-ის მანძილზეა დასახლებული) გეგმავს, იმ მიმართულებით, საითაც ქალაქი ბუნებრივადაც იწევს. აღსანიშნავია, რომ ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის შემდეგ ვარიან-

---

[13] საქართველოს ისტორია. III. თბ. 1960, გვ. 297.

ტში (არქ. შ. ლომთაძე და დ. ნაცვლიშვილი) მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს. მუხნარის ტერიტორიაზე ნავარაუდევია დასვენების და ფიზკულტურული კომპლექსი. ლითოფონის ქარხნის სამხრეთით მდებარე ტერიტორია ზოოლოგიური პარკისათვის 300 ჰექტარამდე ფართობის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა[14].

60-იანი წლების დასაწყისისათვის ქუთაისში საცხოვრებელი მასივების მშენებლობა ნაწილდება სამ ძირითად რაიონში: პლეხანოვის ქუჩასთან მიმდებარე კვარტალში, სოხუმისა და წულუკიძის ქუჩების გადაკვეთაზე და ავტოქარხნის დაბის სამ კვარტალში. თითოეული მათგანი 10 ჰექტარი ფართობის ტერიტორიას მოიცავს.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში გრძელდება სამუშაოები სოხუმის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის პროექტზე. დამუშავდა ტექნიკურ-ეკონომიური საფუძვლები და 1958 წელს დამთავრდა გენერალური გეგმის დაპროექტებაც (ა. ნიკოლაიშვილი, ე. ბაგრატიონი, გ. თელია, დ. ბერულავას მოსაწილეობით).

სოხუმი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებითა და ბალნეოლოგიური რესურსებით ისეთ ქალაქებს მიეკუთვნება, სადაც ადმინისტრაციული, სამრეწველო-სატრანსპორტო და კულტურული მნიშვნელობა დიდადაა დამოკიდებული ქალაქის საკურორტო დანიშნულებისაგან. ნოტიო, სუბტროპიკული ჰავა, მზიანი დღეების დიდი რაოდენობა, მცენარეულობის სიმდიდრე, მოხერხებული პლაჟი და სამკურნალო თერმულ-მინერალური წყლები—მნიშვნელოვან კურორტად გვისახავს მას. ამ ფაქტორს დიდი როლი ენიჭება ქალაქის რეკონსტრუქცია-განაშენიანებაშიც.

ქალაქი ზღვის ნაპირზე სიგრძეზეა გადაჭიმული და თუ ამ მიმართულებით მას ათეულზე მეტი კილომეტრი უკავია, ცენტრალურ ნაწილში მისი სიღრმე 1,2 კმ-ს არ აღემატება. ზღვის ნაპირის შეზნექილი მოხაზულობა გუმისტის კონცხსა და მდ. კელასურს შორის ქარისაგან დაცულ ფართო ყურეს ქმნის. ჩრდილოეთის მხრიდან ქალაქი იფარგლება კავკასიონის ქედის განშტოებით, რომელიც ამფითეატრად ეშვება დაბლობი ნაწილისაკენ.

ქალაქი გაშენებულია ძირითადად სწორხაზოვანი დაგეგმარებით, რომელშიც ქუჩების ხშირი ქსელი წვრილ კვარტალებს ქმნის (1—2 ჰა). ქაოსურადაა განაშენიანებული დასავლეთი ნაწილი.

საცხოვრებელი უბნები (განსაკუთრებით ომი შემდგომ პერიოდში) კელასურის, ცენტრალური ნაწილის და ტურბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიდამო-

---

[14] ვ. ჯაოშვილი, ქუთაისი, თბ. 1962, გვ. 305.

ებში, თბილისის გზატკეცილზე განლაგდა და შერეული სართულიანობით ხასიათდება.

პროექტი ქალაქის ზრდას ითვალისწინებს გუმისტის კონცხის, ლეჩკოპის პლატოსა და მდ. კელასურამდე აღმოსავლეთის მონაკვეთით ტერიტორიების ათვისების ხარჯზე. ამით ქალაქის ტერიტორია ერთიორად იზრდება. ვიწრო კვარტალები ერთიანდება და მათი გამსხვილებით არსებული ქუჩების უმრავლესობა შიდა კვარტალურ გასასვლელებად იქცევა. სატრანსპორტო მაგისტრალებად დატოვებულია ძირითადი ქუჩები. შეიძლება ეს სისტემა პროექტში ბოლომდე დაცული არ იყოს, მაგრამ პრინციპული გადაწყვეტა ასეთია.

სამრეწველო ზონა ძირითადად თავსდება „ლეჩკოპში“, რკინიგზის ხაზის მიღმა.

საკურორტო მშენებლობისათვის სამოსახლო ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებია შერჩეული: აღმოსავლეთით ჯინოპიდან კელასურამდე; ცენტრალური ნაწილის ზღვისპირა ზოლში, გუმისტის კონცხის სამხრეთ დასავლეთ სანაპირო ნაკვეთზე. ბესლეთის რაიონში საკურორტო ზონა გაფართოვდა — გუმისტიდან კელასურამდე და ზღვისკენ მიმართული სხვა ტერიტორიებიც შეუერთდა მას (ტაბ. 77).

მწვანე მასივს 501 ჰექტარი უკავია და ერთ სულ მოსახლეზე საერთო საქალაქო გამწვანების დაახლოებით 45 კვ. მეტრი მოდის.

ქალაქის განაშენიანების ძირითადი არქიტექტურულ-გეგმარებითი აქცენტი ზღვისპირა ზოლზეა გადატანილი, კელასურის სადგურიდან გუმისტამდე. მის კეთილმოწყობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სოხუმის დაგეგმარებაში აღსანიშნავია მაგისტრალური ქუჩების ზღვის მიმართ ისეთი მდებარეობა, რომ ზღვის ჰაერის ნაკადის მოძრაობა უზრუნველჰყოფს მათ განიავებას.

ქალაქის საერთო სახეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერცელი ცენტრალური მოედანი, რომელიც 4 ჰექტარის ფართობს მოიცავს. მისი თავისუფალი სივრცე კარგად ესიტყვება ქალაქის ხასიათს.

პროექტი ითვალისწინებს სატრანსპორტო საკითხებს. ასე, მაგ. მთების ჩრდილო-აღმოსავლეთის მჭიდროდ დასახლებული მხარის ცენტრთან დაკავშირებისათვის მოწყობილია მთის ირგვლივ გარშემოსასვლელი გზა, რომელიც იმავე დროს, ცენტრალურ ნაწილსაც განტვირთავს ზედმეტი ტრანსპორტისაგან, გათვალიწინებულია სატრანსპორტო ქუჩა-გასასვლელის მოწყობა ესტაკადასთან და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროექტი კარგად ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს და სწორად განსაზღვრული ზონირების საშუალებით

ქალაქის ტერიტორიის ბალანსი სასურველ შედეგებს აღწევს, იგი ჯერ კიდევ არ არის გათავისუფლებული დაპროექტების ძველი ხერხებისაგან. ამიტომ კვარტალთა დამუშავება მათ გამსხვილებას ეყრდნობა და არა მიკრორაიონებად გადაწყვეტას. ქუჩებისა და მაგისტრალების ფუნქცია ყოველთვის ზუსტად არ არის განსაზღვრული. ასე, მაგ. სოხუმში მხოლოდ ლენინისა და საბჭოს ქუჩას აქვს საგრძნობი სიგანე (38 და 51 მეტრი). პროექტით კი, საბჭოს ქუჩა გადაქცეულია შიდაკვარტალურად, მაშინ, როცა უფრო ვიწრო ქუჩებს მაგისტრალურის ფუნქცია აქვთ მინიჭებული. დამუშავებას მოითხოვდა რკინიგზის ჩიხის გადაწყვეტაც სატრანსპორტო ზონისათვის („ლეჩკოში") და სხვ.

ტერიტორიის და კეთილმოწყობის სამუშაოთა ღირებულების ეკონომიის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება შენობათა სართულიანობის განსაზღვრას. არსებული სართულიანობა შეცვლას, გაზრდას მოითხოვდა, რადგან პროექტი 4 სართულზე მაღალ ნაგებობას არ გულისხმობდა. ეს, ისევე, როგორც საკარმიდამო ნაკვეთებზე მშენებლობის შემცირება, ტერიტორიის რაციონალური ათვისების, ეკონომიურობის და მხატვრული თვალსაზრისითაც საჭირო იყო.

უინტერესო როდია იმის აღნიშვნა, რომ უფრო გვიან, 1966 წელს, საკავშირო კონკურსი სოხუმის სასტუმროს დაპროექტებაზე სწორედ ამ ნიშნით ჩატარდა, რის შედეგადაც ამჟამად ზღვის პირას შენდება 25-სართულიანი შენობა გამარჯვებული პროექტის მიხედვით (არქ. ვ. აბრამიშვილი, რ. ბაირამაშვილი, დ. მორბედაძე; კონსტრუქტორი შ. გაბაშვილი). შენობის მაღლივი მოცულობა ახალი ელემენტია ქალაქის საერთო განაშენიანებაში და ზღვის მხრიდან მნიშვნელოვან აქცენტს შექმნის სოხუმის სანაპიროს სილუეტში.

მაღლივი შენობების აგებას კიდევ მეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი რელიეფის მქონე ქალაქისათვის, როგორიცაა ბათუმი. თუ სოხუმი ამფითეატრად ეშვება ზღვისაკენ, ბათუმის რელიეფი სწორია და ე. წ. „პაობისაკენ" უფრო დაბლდება. აქ, ეკონომიურ მიზანდასახულობასთან ერთად, მაღალი ელემენტების წმინდა მხატვრული ფუნქციაც მეტად გამოვლინდება[15]. აქ

[15] სართულიანობის ცვალებადობის დროს უნდა დაზუსტდეს ეკონომიურობის მაჩვენებლები. თუ 5 — სართულიან განაშენიანებიდან, ეთქვათ, 9 სართულზე გადასვლა ქალაქის ტერიტორიის გამოყენების ეფექტს 25—35%-ით ზრდის და ამასთან შეფარდებით ამცირებს საერთო-საფართობო ხარჯებს, სართულიანობის შემდგომი ზრდა ასეთ ეფექტს აღარ იძლევა. 12—16 სართულიანი სახლების ღირებულება გაცილებით მეტია (მეორე ლიფტის, კიბის უჯრედის და საერთო დერეფნების ზრდის გამო, კონსტრუქციის გაძლიერების გამო და სხვ. Я. Рабай. Экономический эффект повышения этажности в застройке г. Ростов-н/Дону. Сб. Застройка жилых районов и микрорайонов в условиях юга СССР. Ростов-н/Дону, 1967, стр. 27.

ზღვის ნაპირზე საერთო სილუეტს შექმნის ვერტიკალები ცის უსასრულო ფონზე.

1956 წელს დაპროექტდა ბათუმის რეკონსტრუქციისა და განაშენიანების ახალი გეგმა (ა. ნიკოლაიშვილი, ლ. სუმბაძე, კ. ჯავახიშვილი, ნ. ფარემუზოვა, დ. ცენტერაძის მონაწილეობით), რომლის პერსპექტიული პერიოდი 1955—1980 წლებს მოიცავდა.

კონცხზე გაშენებულ ქალაქში ურთიერთგადამკვეთი ქუჩები ზღვისაკენ — პორტისა თუ პლაჟისაკენ — მიემართება. ბათუმი მცირე ზომის კვარტალებითა და ხშირი ქუჩების ქსელითაა დასერილი.

ბათუმის დაგეგმარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს რკინიგზის ტრანსპორტის განლაგება წარმოადგენს. ამჟამად ქალაქი შუაზეა გაკვეთილი რკინიგზის ხაზით. ვინაიდან ქალაქში ერთ დონეზე გადაკვეთა მიუღებელია, ხოლო დონეების შექმნის შესაძლებლობა რელიეფის გამო გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს, პროექტი არსებულ სადგურს აუქმებს და გადააქვს იგი მთის ძირში, დაპროექტებული ქუჩის გასწვრივ. ლიანდაგისაგან განთავისუფლებული ჰავჰავაძის ქუჩა ქალაქის საერთო სისტემაში ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალურ ქუჩად იქცევა.

რკინიგზის ერთი განშტოება საზღვაო სადგურისკენ მიდის, რომ სატრანსპორტო მგზავრებს მოხერხებული პირობები შეექმნათ.

ქალაქის ტერიტორიის ზრდა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით კახაბერის დაბლობისაკენაა გათვალისწინებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ქალაქის განვითარება იძულებითია, რადგან საუკეთესო ტერიტორია—მახინჯაურის საკურორტო ზონისაკენ — დაცავებულია 20-იან წლებში გაშენებული სამრეწველო რაიონით.

საკურორტო ზონისათვის და დასასვენებელი სახლების განლაგებისათვის მოცემულია სამხრეთის მაღლობები, ზღვის სანაპირო და დასავლეთის პარკის მიმდებარე ტერიტორია. ეს შედარებით იზოლირებული ადგილებია ქალაქის ხმაურისაგან და ტრანსპორტისაგან.

დასავლეთ ნაწილში დაგეგმილი ვრცელი პარკი ითვალისწინებს მწვანე ნარგავთა ზრდას ქალაქისათვის.

ქალაქის ფუნქციური ზონირება ინარჩუნებს უკვე ჩამოყალიბებულ სქე-

მას. საცხოვრებელ რაიონთა გაფართოება ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია ნავარაუდევი.

პროექტში ეშვს იწვევდა სამოსახლო ტერიტორიის გავრცელება „ჭაობის“ ზონაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერიტორია შედარებით თავისუფალი იყო, მრავალსართულიანი ნაგებობისათვის რთულ საინჟინრო მომზადებას თხოულობდა (საძირკველთა მომზადება, წყლის გადაყვანა, ვერტიკალური დაგეგმარების სირთულე და სხვ.). პროექტის შემდგომ ვარიანტში გამოყენებულ იქნა საცხოვრებელი რაიონისათვის ზღვისპირა პარკის ტერიტორიაც, რომელიც უკეთეს პირობებს ქმნის.

1956 წელს შედგა ქალაქ ფოთის დაგეგმარების ახალი პროექტი (ა. ნიკოლაიშვილი, ვ. კედია, გ. თოთიბაძე), რომელიც ეყრდნობოდა ძველ გეგმას, მაგრამ მნიშვნელოვანი კორექტივებით განირჩეოდა მისგან. ჯერ ერთი, ძველი პროექტისაგან განსხვავებით, ცენტრალური რაიონის დაგეგმარება უფრო დეტალურად ითვალისწინებდა კონკრეტულ პირობებს და, ამიტომ, არ იყო არსებული რადიალურ-რგოლური სისტემის ისეთი გავლენის ქვეშ, როგორც ძველი პროექტი. ცენტრალური ნაწილის სამხრეთი ნაწილი აღარ გამოყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის ღერძს, არამედ მთელ ტერიტორიას უქვემდებარებს უკვე არსებულ, ჩამოყალიბებულ ცენტრს. მეორე: მდინარე რიონის ძველი კალაპოტის ჩრდ. განშტოება ამოვსებულია და ქუჩების გაგრძელებით კუნძული ორგანულად უკავშირდება პორტისა და რკინიგზის სადგურის შემაერთებელ ქუჩას; ე. ი. ქალაქ ფოთის არსებული დარაიონება, გამოწვეული მდინარე რიონის ძველი კალაპოტით (ცენტრალური ნაწილი ადმინისტრაციული ცენტრით და მალთაყვის რაიონი, კუნძულის რაიონი და „ნაბადას“ რაიონი, რომელიც მოთავსებულია ჩრდილოეთ ნაწილში) ფაქტიურად იცვლება, რადგან კუნძული უერთდება „ნაბადას“ ტერიტორიას, რომელიც ძირითადად სამრეწველო ობიექტების მშენებლობისათვისაა განკუთვნილი.

მდინარე რიონის მოქმედი კალაპოტიდან წყლის ნაწილის არხის საშუალებით გადმოშვება ქალაქში არსებულ კალაპოტში, დიდად შეუწყობს ხელს ქალაქის სანიტარულ პირობებსაც და თან „აცოცხლებს“ უმოქმედო კალაპოტს.

სანაპირო მხარის გამწვანებისა და სანაპირო ქუჩის გაყვანით საცხოვრებელი ზონა უკეთეს პირობებში აღმოჩნდება, რადგან განტვირთული იქნება ტრანსპორტის მოძრაობისაგანაც.

ნიკოლაძის კუნძული გათვალისწინებულია პარკისათვის, რომელშიაც სპორტული კომპლექსია მოთავსებული. კუნძული ორმხრივ, ხიდების საშუალებითაა დაკავშირებული ქალაქის სხვა ნაწილებთან.

კოლხიდის ამოშრობა, ნავსადგურის რეკონსტრუქცია ქალაქის ზრდას იწვევს. მოსახლეობის რიცხვი 1980 წლისათვის ვარაუდით 66.000 კაცს მიაღწევს. თუ 1938 წელს საცხოვრებელი სახლები ძირითადად ერთსართულიანი იყო, 1955 წლიდან დაიწყო ოთხსართულიანი განაშენიანება. რეკონსტრუქციის პროექტით ცენტრიდან სართულიანობა თანდათანობით იკლებს პერიფერიისაკენ: განაშენიანების ასეთი თანმიმდევრობა ემორჩილება ქალაქის სილუეტის ჩამოყალიბების გარკვეულ არქიტექტურულ ხერხს.

ომის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, ქალაქში დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა. აიგო საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი. მარტო 1959 წელს ქალაქის მუშათა საცხოვრებელ ფართობს 5950 კვ. მეტრი შეემატა[16]. ქალაქის საბინაო ფონდი უმთავრესად ნავსადგურის ტერიტორიაზე იზრდება. დიდი მუშაობა ჩატარდა მალარიასთან კეთილმოწყობისათვის. დასასვენებელმა და სხვა ნაგებობებმა, გამწვანებულმა გზამ, საერთო კეთილმოწყობამ გაზარდა საბავშვო კურორტის პოპულარობა, რომელიც ფაქტიურად ქალაქის გარეუბანს წარმოადგენს.

ქალაქთა სწრაფი განვითარება გენერალურ გეგმათა ხშირ კორექტირებას მოითხოვდა, მით უმეტეს, რომ ქალაქთა რეკონსტრუქციის და განვითარების გეგმები ჯერჯერობით მთლიანად ვერ ითვალისწინებს ქალაქთმშენებლობის ახალ, პროგრესულ ტენდენციებს. უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით მუშაობა წარმოებს თითქმის ყველა აღნიშნული ქალაქის რეკონსტრუქციის გეგმაზე.

ფაქტიურად, ამ ტენდენციების გამომხატველ ერთ-ერთ პირველ მაგალითს წარმოადგენდა ქ. თბილისში საბურთალოს საცხოვრებელი რაიონის დაგეგმარების დეტალური გეგმა, რომლის მიხედვით მშენებლობა 1956 წელს დაიწყო (არქ. შ. ყავლაშვილი, ა. ბაქრაძე, დ. გძელიძე, ი. ყავლაშვილი ტაბ. 78). ქალაქის თავისუფალი ტერიტორია აგურის ქარხნის დასავლეთით, რომელიც 300-მდე ჰექტარს აღწევს, ითვალისწინებს გამსხვილებულ საცხოვრებელ კვარტალებს 45.000 კაცისათვის. კვარტალები უზრუნველყოფილია მომსახურების აუცილებელი ქსელითა და ტრანსპორტით. თუ ქალაქის კვარტალების ფართობი საშუალოდ 0,6 ჰექტარს არ აღემატება, აქ იგი 10—12 ჰექტარს მოიცავს. მრავალსართულიანი განაშენიანებისათვის გამოყოფილია კვარტალები 100 ჰექტარი ფართობით, ხოლო ინდივიდუალური მშენებლობა 40 ჰექტარზე თავსდება. პროექტით საცხოვრებელ კვარტალთა შემადგენლობაში, გარდა საცხოვრებელი სახლებისა, შედის გამწვანებული ტერიტორია, სპორ-

---

[16] ა. მიქაძე, ფოთი. თბ. 1963 გვ. 61.

ტული და სათამაშო მოედნები, საცურაო აუზები და სხვ. საცხოვრებელ კვარტალებს შორის ტერიტორიაზე თავსდება სკოლა და სხვა საბავშვო დაწესებულებანი, მაღაზიები, სასადილო და სხვ. ამგვარი დაწესებულებანი კი სპეციალურ შენობებშია მოთავსებული.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამწვანებას. პროექტით 45 ჰექტარი ეთმობა რაიონული დანიშნულების პარკს, სტადიონით, ზამთრის საცურაო აუზითა და სხვა მცირე მოედნებით. შიდა კვარტალური გამწვანება თითო სულზე 11,8 მ²-ს ითვლის. საცხოვრებელი კვარტალების პროცენტი 22-ს უდრის, ხოლო საცხოვრებელი ფართობი 1 ჰექტარზე 4300 კვადრატული მეტრია[17].

მშენებლობის განხორციელების დროს გამოვლინდა უარყოფითი მხარეები, რომელთაგან ზოგი თვით პროექტისაგან გამომდინარეობდა, ზოგი კი მისგან გადახვევით იყო გამოწვეული. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორებმა თავი ვერ დააღწიეს საბურთალოს ამ რაიონის უკვე არსებულ სქემას, რომელსაც ერთმანეთთან ახლო მდებარე პარალელური, თითქმის ერთნაირი სიგანის (35—45 მ) მაგისტრალები ედო საფუძვლად. პავლოვისა და ვაჟა-ფშაველას პროსპექტებს ამ რაიონში თითქმის ერთიდაიგივე ფუნქცია დაეკისრა, რამაც კვარტალთა არარაციონალური დაგეგმარება გამოიწვია. საცხოვრებელ კვარტალთა სიმყუდროვეზე უარყოფითად მოქმედებს ურთიერთპარალელური ქუჩების მოწყობა ნუცუბიძისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩებს შორის. პროექტით გათვალისწინებული ვრცელი პარკი მშენებლობის დროს გაუქმდა და საცხოვრებელ რაიონს ასე მნიშვნელოვანი მწვანე მასივი მოაკლდა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე მთავარი მაგისტრალის ბოლოს საცხოვრებელი კვარტალის შეცვლა ინსტიტუტებითა და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებებით, რაც აგრეთვე ართულებს სატრანსპორტო და სხვა საკითხებს.

საბურთალოს საცხოვრებელი მასივი გაშენდა ჯერ 4—5 სართულიანი, ხოლო შემდგომ 8 — სართულიანი საცხოვრებელი სახლებით (ტაბ. 79—80), მაგრამ ტიპობრივ პროექტში ასარჩევი ვარიანტების უქონლობამ საცხოვრებელი კვარტალების მოსაწყენი ერთფეროვნება გამოიწვია. აქ არ არის გამოყენებული მხატვრულ-ესთეტიკური ერთიანობის შექმნის შესაძლებლობა. „ან-

---

17 Ш. Кавлашвили. Новый жилой район в Тбилиси. «Архитектура СССР», 1958, № 11, стр. 27.

სამბლის ესთეტიკურ ზემოქმედებას უნდა განსაზღვრავდეს არა ცალკეული სახლი, როგორც დამთავრებული ნაწარმოები, არამედ შენობათა სერია, რომელთაგან სივრცობლივი კომპლექსის ფორმირება ხდება"[18]. საბურთალოს საცხოვრებელ კვარტალებში კი ერთმანეთის მიყოლებით ჩადგმული სახლები, სივრცობლივი თავისუფლების მიუხედავად, ერთგვაროვან, მახვილებს მოკლებულ, სურათს ქმნის. არქიტექტორები კმაყოფილდებიან ტიპობრივი პროექტების მექანიკური მორგებით, უკვე გამოყენებული განაშენიანების მრავალგზის გამეორებით. სახლების ერთნაირი სიმაღლე არა მარტო ცალკეულ ქუჩების, არამედ მთელი რაიონის სილუეტს უკარგავდა გამომსახველობას. ვაჟა-ფშაველას პროსპექტის განაშენიანების გაუმჯობესებისათვის გადამუშავდა ტიპობრივი პროექტი და მშენებლობის შემდგომი ეტაპი 8 სართულიანი სახლების მშენებლობამ განსაზღვრა. მაგრამ ახლა ეს შენობები გამწკრივდა უსახურ და ერთგვაროვან რიგად. მხოლოდ სიმაღლის შეცვლა არ ახდენდა მთლიანობის შთაბეჭდილებას: არქიტექტურული ანსამბლების სისტემის შექმნის ნაცვლად, მივიღეთ 5 ან 8-სართულიანი საცხოვრებელ სახლებით შედგენილი ცალკეულ ნაწილების სქემატური მონაცვლეობა. იმის მაგალითად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო განაშენიანებაში ცალკეული აქცენტების შექმნას, გამოდგება ერთ-ერთ კვარტალში სტაბილური იზოტოპების ქარხნის მშენებლობა (არქ. ა. გოგვაძე, 1964); ქარხანა გამოიყოფა თავისი აბსოლუტური ზომებით და თუმცა მისი ვერტიკალი გამოძახილს ვერ პოულობს მთელი მასივის არქიტექტურულ-სივრცობლივ კომპოზიციაში იგი მაინც მნიშვნელოვან მხატვრულ აქცენტს ქმნის.

თბილისში გაშენებული მეორე მნიშვნელოვანი საცხოვრებელი მასივია დიღომი, რომლის მშენებლობა 1960 წელს დაიწყო (ი. ჩხენკელი, ნ. მიქაძე, ჯ. ჯიბლაძე). მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე 150 ჰექტარი ტერიტორია 25 ათასი მოსახლისთვისაა გათვალისწინებული (ტაბ. 81$_1$).

დიდუბის ხიდთან დაწყებული ხეივანი 50 მეტრითაა გაფართოებული და მის ორივე მხარეს განლაგებულია სამოსახლო ტერიტორია, რომელიც ოთხი მიკრორაიონისაგან და ორი საცხოვრებელ კვარტალისაგან შედგება. ყოველი მათგანი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებებით გაერთიანებულ საცხოვრებელ კომპლექსს შეადგენს. მიკრორაიონის ფართობი 16 — 23 ჰექტარს, ხოლო კვარტალებისა — 6 ჰექტარს ითვლის. სკოლები

---

[18] А. Иконников, Г. Степанов. Эстетика социалистического города. М., 1963, стр. 63.

და საბავშვო დაწესებულებანი განლაგებულია განცალკევებულ ტერიტორიაზე ისე, რომ სასკოლო ფართობი მიკრორაიონის საპარკო და სპორტულ მოედნებთან არის გაერთიანებული. სასწავლო დაწესებულებისათვის გამოყოფილი ტერიტორია იზოლირებულია და მისკენ მიმავალი გზები ტრანსპორტს არ კვეთენ. ერთ-ერთ მიკრორაიონში ტერიტორია ორგანიზებულია საცხოვრებელი სახლების ცალკეული ჯგუფებით. მოსახლეობის სრული კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით. დაგეგმარების დეტალური პროექტით, ორი კვარტალისათვის განკუთვნილი სკოლა მიმდებარე ფიზკულტურული სექტორის ტერიტორიაზე იგება და ამით ეს კვარტალები განსხვავებულია მიკრორაიონებისაგან.

საცხოვრებელი სახლების მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 80 ჰექტარია, განაშენიანების პროცენტი კი — 20. საცხოვრებელი ფართობი გაანგარიშებულია 9 კვადრატული მეტრი — თითო სულზე.

უკვე არსებულმა მდგომარეობამ შეუძლებელი გახადა ქალაქისა და სატრანზიტო გზების ჩამოცილება საცხოვრებელი ტერიტორიიდან, ამიტომ მაგისტრალთა გასწვრივ განაშენიანება იზოლირებულია მწვანე ნარგავთა მნიშვნელოვანი ზოლებით.

საცხოვრებელი მასივის მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობს მსხვილ საწარმოთა, მაგისტრალების, პარკების მშენებლობა. აშენდა კინოსტუდიის მთელი ქალაქი. დიდუბის ხიდთან შენდება მტკვრის სანაპიროს საყრდენი კედელი. გამწვანების სანერგე ტერიტორია გამოყენებულია კულტურისა და დასვენების პარკისათვის, ხოლო სანაპიროსა და დიდუბის ხიდიდან მომავალი მთავარი მაგისტრალის მარცხენა მხარეზე არსებულ, სახლებისათვის გამოუსადეგარ ტაფობზე გათვალისწინებულია გაშენდეს ფიზკულტურული პარკი სტადიონით 10.000 კაცისთვის.

საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების ერთგვაროვნებამ თავისი უარყოფითი თვისებანი აქაც გამოავლინა: ბინათა ტიპების პროცენტული შემადგენლობა არ ეფარდება მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურას, განსხვავებული ორიენტაციისას შეზღუდულია სახლების განლაგება, შეზღუდულია სართულიანობა და სხვ.[19]

დიღმის რაიონში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დაპროექტდა ექსპერიმენტული საცხოვრებელი რაიონი 45,6 ათასი კაცისთვის, რომელიც ოთხ მიკრორაიონად იყო დაყოფილი, თითოეულში 11,4 ათასი მცხოვრებით (არქ. გ. ბერიძე,

---

19 Н. Микадзе. Жилой массив Дигоми. «Строительство и архитектура», Тб., 1963, № 1, стр. 8.

ბ. მამნაიშვილი, ნ. მიქაძე, ა. ღოღობერიძე, ა. ყრუაშვილი), (ტაბ. 82).[20] პროექტი არ განხორციელებულა, მაგრამ მისი გადაწყვეტა იმსახურებს ყურადღებას. საცხოვრებელი სახლების გრძივი კომპლექსები შიდა ეზოებს ქმნიან, ხოლო მტკვრის მხარეს, საზოგადოებრივი დანიშნულების გამწვანებული ტერიტორიებია, სადაც ბავშვთა ბაღები-ბაგები, სკოლები და აქტიური დასვენების ნაკვეთებია. ცალკე ჯგუფშია გატანილი სასკოლო რაიონული კომპლექსი 2500 მოსწავლისთვის. საზოგადოებრივი ცენტრი მოთავსებულია მტკვრის ნაპირას — იგი კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების, სპორტულ ნაგებობათა და პარკის კოოპერირებულ კომპლექსს წარმოადგენს. სატრანსპორტო საკითხთა გადაწყვეტა სრულიად აკმაყოფილებს მიკრორაიონის მოთხოვნილებებს.

პროექტი ყოველდღიური და პერიოდული მომსახურების კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობათა ახალ ფორმებს იძლეოდა, რაც გამოხატულებას პოულობდა ყოველდღიური მომსახურებისათვის შერჩეულ ბლოკში, რომელიც 4000 კაცისთვის იყო გაანგარიშებული. აღსანიშნავია ექსპერიმენტული მიკრორაიონების საცხოვრებელი ფონდის მაღალი სიმჭიდროვე. მიკრორაიონის ტერიტორიის საცხოვრებელი ფართობი ერთ ჰექტარზე (ბრუტო) 4000 კვ. მეტრს შეადგენს, ხოლო სიმჭიდროვე საცხოვრებელი ტერიტორიის ჰექტარზე (ნეტო) — 8.300 კვ. მეტრს. ამით პროექტი სახავდა ქალაქის ტერიტორიის განაშენიანებისათვის გამოყენების რაციონალურ გადაწყვეტას. მთელი მასივის განაშენიანება განზრახული იყო გაზრდილი სართულიანობით (4-დან 16-მდე, უკანასკნელის უპირატესი გამოყენებით). სახლები უპასუხებდა მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებლებს და მომავალში საცხოვრებელი ნორმის გაზრდის შესაძლებლობას იძლეოდა.

საბურთალოსა და დიღმის საცხოვრებელი რაიონები, ისევე როგორც ახალი საცხოვრებელი კვარტალები 26 კომისრისა და ღრმაღელეს ტერიტორიაზე გვიჩვენებს რომ ორმოცდაათიანი წლების შუამიჯნიდან მთელს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მარტო თბილისში, კომპლექსური განაშენიანების მასივების ინდუსტრიული მეთოდებით მშენებლობის შედეგად, 1958—1962 წლებში 2,2-ჯერ მეტი საცხოვრებელი სახლი აშენდა, ვიდრე წინა პერიოდში ამდენივე წლის მანძილზე. მხოლოდ სამ საცხოვრებელ მასივში აშენდა 200.000 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობისა, რომელშიაც 25 ათასი კაცი ცხოვრობდა[21].

---

[20] Экспериментальный жилой район в Тбилиси. Выпуск сектора научно-техн. информации и изучения зарубежного опыта ТБИЛЗНИИЭП.

[21] Н. Джаши. Архитектура социалистического Тбилиси, Тб., 1963, გვ. 128.

მაგრამ, ამასთან ერთად, ამ საცხოვრებელ რაიონებს ის უარყოფითი ნიშნებიც ჰქონდა, რომლებიც ესთეტიკური მხარის შეუფასებლობაში გამოვლინდა და რაც აგრეთვე დამახასიათებელია იმ დროის საცხოვრებელ მასივთა მშენებლობისათვის. შეზღუდულობა ტიპობრივ პროექტთა არჩევაში და მშენებლობის დაბალი ხარისხი ბევრად განსაზღვრავდა უსახური საცხოვრებელი რაიონების მოსაწყენი სახლების ერთფეროვნებას.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს საცხოვრებელი სახლები შენდება ქალაქის ცენტრშიც და ისინი ხშირად წამყვან მნიშვნელობას იძენენ ქუჩების საერთო განაშენიანებაში. ამის მაგალითია საცხოვრებელი სახლი სანაპიროზე, კარლ მარქსის ხიდთან (გ. მელქაძე, შ. ყავლაშვილი, ლ. ხარაშვილი, 1960; ტაბ. 95. გ), რომელიც სანაპიროს ამ მონაკვეთზე განაშენიანების წამყვანი კომპონენტის როლს ასრულებს. მაგრამ მშენებლობა ცენტრალურ რაიონებში ყოველთვის როდი ითვალისწინებს კონკრეტული ადგილმდებარეობის სპეციფიკას. ხეთაგუროვის ქუჩის 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლებით განაშენიანება (წინა წლებისაგან განსხვავებით, 1965 წლიდან საცხოვრებელი სახლების მშენებლობა უმთავრესად 8 სართულიანი შენობებით ხორციელდება) ფარავს ქალაქის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანს და შენობათა ფასადებიც ამ რაიონის განაშენიანებაში თითქოს შემთხვევით მოქცეულ ერთფეროვან სიბრტყეთა რიგს წარმოადგენენ.

უკანასკნელი ხანის საბინაო მშენებლობაში, რომელიც ქალაქის მაგისტრალების, ქუჩების თუ ცალკეული უბნების განაშენიანების თვალსაზრისითაა საინტერესო, გამოირჩევა ვარაზისხევის განაშენიანება, სადაც ერთმანეთთან მიდგმული კოშკური სახლები, აივნების და ფასადთა მთელ ფრონტზე შეტეხილი სიბრტყეებით გაერთიანებულნი, საფეხურებად არიან განლაგებულნი და კარგად შეეფერებიან რთულ რელიეფს (არქ. რ. ბაირამაშვილი, ნ. შოშიტაიშვილი, 1968, ტაბ. 96[1]).

თანდათანობით იხვეწება მსხვილი საცხოვრებელი რაიონების დამთავრებული კომპლექსების არქიტექტურული გადაწყვეტა. მუშავდება საცხოვრებელი მიკრორაიონების განაშენიანების პრინციპები, რომლებიც ადგილობრივი რელიეფის, ჰიგიენური პირობების გათვალისწინებაზე და პირველადი საცხოვრებელი კომპლექსისა და მომსახურების ქსელის რაციონალურ დაკავშირებაზეა აგებული. თბილისის გარდა, ასეთი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა მიმდინარეობს რესპუბლიკის თითქმის ყველა დიდ ქალაქში: ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში. რუსთავში დიდი მშენებლობაა გაშლილი მარჯვენა სანაპიროზე, რომლის დაგეგმარების დეტალური პროექტი თავიდან არის შედგენი-

ლი (არქ. ლ. სუმბაძე, მ. მელიქიშვილი, შ. ბაღაშვილი, თ. წერეთელი, დ. გოშაძე. 1966; ტაბ. 83). ცენტრალური რაიონის დაგეგმარება პარალელური მაგისტრალების სისტემას ემყარება.

ბათუმში, გარდა საცხოვრებელი კვარტალებისა, თვით ქალაქის ცენტრში აშენებენ 12 სართულიან კოშკურ საცხოვრებელ სახლებს, რომლებიც ახალ სილუეტს ქმნიან ქალაქის საერთო განაშენიანებაში (ტაბ. 95).

60-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მშენებლობა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დასახლებისა, რომელიც 20.000 მცხოვრებისთვისაა გათვალისწინებული (არქ. ბ. ინაშვილი, დ. ოდიშარია, ვ. სიხარულიძე, ი. ხეჩინაშვილი, კ. ხატიაშვილი, კ. ჩხეიძე)[22]. 200 ჰექტარზე მოთავსებული ტერიტორია დაყოფილია თავისუფლად განლაგებულ მიკრორაიონებად, რომლებიც მწვანე მასივითაა გამოყოფილი. მიკრორაიონის ტერიტორია 23 ჰექტარს მოიცავს და 5.000 მცხოვრებლისთვისაა ნავარაუდევი. სამ პერიოდად დაყოფილი მშენებლობა ექსპერიმენტულ მსხვილპანელიან და კარკასულ-პანელოვანი საცხოვრებელი სახლებით განაშენიანებას გულისხმობს, რომელიც სხვადასხვა სართულიანობაზეა (5-დან 16 სართულამდე) აგებული. პროექტში მიღწეულია კომპაქტურობა, საცხოვრებელი კომპლექსი კარგად უკავშირდება მომსახურების პირველად ქსელს, სატრანსპორტო საშუალებებს და სხვ.

საცხოვრებელი კომპლექსების განაშენიანება — დაგეგმარების გარდა, დიდი ყურადღება ექცევა ქალაქების სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, რომლებშიც ორმოცდაათიანი წლების ბოლოსათვის დამახასიათებელია სატრანსპორტო პრობლემების მოწესრიგება, ახალი მაგისტრალების შექმნა და ძველის გაფართოება, სანაპიროების გაყვანა და სხვ.

1958 წელს თბილისის ცენტრში, ელბაქიძის დაღმართთან გაყვანილ იქნა ახალი მაგისტრალი. ხევში 22 მეტრის სიმაღლის ესტაკადის მოწყობამ ნაწილობრივ განტვირთა რუსთაველის მოედანი ტრანსპორტისაგან. ამით, ფაქტიურად, მასთან მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია დაიწყო. მეტად მნიშვნელოვან ქალაქთმშენებლობით ღონისძიებას წარმოადგენდა ქალაქის ორი უმთავრესი საცხოვრებელი რაიონის — ვაკისა და საბურთალოს შემაერთებელი მაგისტრალების გაყვანა ვარაზისხევში (1957) და ვაკის ბოლოს (1959; ტაბ. 83[2]), ეს უკანასკნელი კლდეშია ჩაჭრილი და მრავალკილომეტრიანი შემოვლის ნაცვლად, უმოკლესი გზით აკავშირებს ამ რაიონებს ერთმანეთთან და ქალაქის ცენტრალურ ნაწილთანაც.

---

22 В. Сихарулидзе. Экспериментальный жилой поселок Маднеули. ТБИЛЗНИЭП. Информация № 3, 1964, გვ. 14.

თბილისში გრძელდება სანაპიროების შენება. თუ 1940 წელს სანაპიროთა სიგრძე მხოლოდ 3 კმ იყო, 1966 წელს იგი 13,5 კილომეტრამდე ავიდა. მტკვარმა ქალაქის დიდ მონაკვეთზე ორგანიზებული კალაპოტი მიიღო, ხოლო მისი ნაპირები მნიშვნელოვან სატრანსპორტო მაგისტრალებად გადაიქცა.


სანაპიროთა კეთილმოწყობამ აღადგინა თბილისის განვითარების ძველი ტენდენცია; რაც ქალაქის მტკვართან დაკავშირებასა და სანაპირო ზონის მნიშვნელობაში იყო გამოხატული. ქალაქის ზრდის თვალსაზრისითაც მტკვრის სანაპირო ზონას დიდი როლი ეკისრება, როგორც თბილისის ხაზოვანი კომპოზიციის გამომხატველს. მაგრამ სანაპიროთა არქიტექტურული გადაწყვეტა ყოველთვის როდი იყენებდა იმ შესაძლებლობას, რომელსაც ადგილობრივი პირობები ქმნიდა. საცხოვრებელი სახლების დიდი ფრონტი მტკვრის გასწვრივ, როცა შენობები პირდაპირ სანაპირო მაგისტრალებზე გამოდის, საკითხის საბოლოო გადაწყვეტას არ ნიშნავს, რადგან არ არის გამოყენებული გამწვანების ფართო შესაძლებლობა. სანაპირო არ არის გამოყენებული როგორც სუფთა ჰაერის რეზერვუარი, რომელიც მიკროკლიმატზე იმოქმედებს. მეორე მხრივ, რაკი სანაპირო სატრანსპორტო მაგისტრალს წარმოადგენს, აქ სავალდებულოა საცხოვრებელი განაშენიანების იზოლაცია სავალი ნაწილისაგან. ბუნებრივი პირობების გამოყენების კარგ მაგალითს წარმოადგენს დასკვნების ზონასა და საცურაო აუზის კომპლექსის დაგეგმარების პროექტი „რიყეს" მიდამოებში (შ. ყავლაშვილი. რ. კიკნაძე, ვ. ჭურთიშვილი, 1965, ტაბ. 64.), სადაც გათვალისწინებულია როგორც თვით სანაპიროს ტერიტორია, ისე კლდის ვერტიკალური კედელი, საიდანაც ძველი ქალაქის შესანიშნავი პანორამა იშლება. ამორტიზებულ, 2-3 სართულიანი საცხოვრებლად უვარგისი სახლების ადგილზე იქმნება მასობრივი დასვენების ზონა, რომელიც მწვანე მასივში განლაგებულ საცურაო აუზებს უკავიათ. აუზების გარშემო დაპროექტებულია ხელოვნური პლიაჟი, სოლარიუმი და აერარიუმი, 8 ჰექტარზე გადაჭიმული დასვენების პარკი ადმინისტრაციულ-სამომსახურო პერსონალის, სპორტულ-გამაჯანსაღებელ, დასვენების, საბავშვო და გასართობათა ზონებადაა დანაწევრებული. კლდის ზედა პლატო ლიფტებით ჩართულია საერთო კომპოზიციაში და აქ კაფე-რესტორანია დაპროექტებული (ტაბ. 84ა) დასვენების ზონა უზრუნველყოფილია ავტოსადგომითა და მომსახურების სხვა ელემენტებით.

ტერიტორიის განაშენიანებას პარტერული ხასიათი აქვს. ამით დაცულია ძველი ქალაქის მასშტაბურობა, ხოლო გახსნილი სივრცე კარგად ავლენს მის

მხატვრულ იერს. კომპლექსი გამაჯანსაღებელ ზონას ქმნის ქალაქის ცენტრში, რითაც აგრძელებს სანაპიროს გეგმარებაში (განსაკუთრებით მარჯვენა ნაპირზე, მარქსისა და ბარათაშვილის ხიდებს შორის), ჩასახულ ჯანსაღ ტენდენციას, რომელიც სპორტულ მოედნებთან მწვანე მასივის მშენებლობას გულისხმობდა.

ამ ტერიტორიის რეკონსტრუქცია დაიწყო ბარათაშვილის ახალი ხიდის აგებით (შ. ყავლაშვილი, ვ. ქურთიშვილი; კონსტრ. გ. ქარცივაძე, 1965 ტაბ. 65), ხიდის ორიარუსიანი მშვიდი ჰორიზონტალი ორგანულად ჩაერთო ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცხოველხატული უბნის პანორამაში. ქუჩათა დონის აწევით შერბილდა ბარათაშვილის აღმართის კუთხეც.

ხიდის არქიტექტურა გადაწყვეტილია ხიდთმშენებლობის ყოველგვარი ტრადიციული ატრიბუტების გარეშე, იგი მკაცრ ფუნქციურ გადაწყვეტას ემყარება. თვით ორიარუსიანი ხიდის პრინციპი ძალზე მოხერხებულია თბილისისათვის. ზედა, ღია იარუსი უმთავრესად ტრანსპორტისთვისაა გამოყოფილი, ხოლო ქვედა, გადახურვის ქვეშ მოთავსებული — ქვეითთათვის, ზაფხულის ცხელ დღეებში იგი სასიამოვნო ჩრდილოვან გადასასვლელს ქმნის. იარუსთაშორის თავისუფალ სივრცეში მოთავსებულია საგამოფენო დარბაზი (ტაბ. 85ე) და კაფე. ხიდი გარშემო განლაგებულ მაღალ წერტილებზე მოწყობილი მძლავრი ნათურებით ნათდება. მასზე არ არის არავითარი ლამპიონები, რომლებიც ძველი ქალაქის შესასვლელში დაარღვევდენ საერთო კოლორიტს. ამით, მიუ-



თბილისი. ბარათაშვილის სახ. ხიდი. განივი განაკვეთი.

ხედავად თავისი აბსოლუტური ზომებისა, ხიდი თავისი არქიტექტურით ზედმეტ ყურადღებას არ იჩემებს და ნეიტრალურ ფონს ქმნის ამ მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობის მქონე რაიონში. ხიდი ჰარმონიულად „ჩაიწერა“

გარემომცველ ლანდშაფტში. ამ ხიდის არქიტექტურის შედარებისას ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების წინა ეტაპზე აგებულ ხიდებთან (მაგალითად, წინა ნაწილში განხილულ დიდუბის ხიდთანაც) აშკარაა დიდი ძვრა შემოქმედებითი მიმართულების თვალსაზრისით, რაც ყოველგვარ ზედმეტ დეკორაციულობას მოკლებულ კომპოზიციაშია გამოხატული.

მეტეხის ტაძრის რაიონის რეკონსტრუქციამ სრულიად უცვალა სახე ძველი ქალაქის ამ მნიშვნელოვან მონაკვეთს (ტაბ. 86₁). ტაძრის წინ დაინგრა ყოველგვარ ინტერესს მოკლებული ახალი ნაგებობანი, გათავისუფლდა ტერიტორია, ქვის ფილებით მოშანდაკდა ტაძრის წინა ვრცელი ბაქანი და ქვის პარაპეტი შემოევლო კლდის ნაპირს. ტაძრის წინ, კლდის კონცხზე დაიდგა ვახტანგ გორგასლის ძეგლი, რომელიც 1958 წელს ჩატარებული კონკურსის შედეგად იყო მიღებული[23] (მოქანდ. ე. ამაშუკელი. არქიტექტორები — თ. კანდელაკი, დ. მორბედაძე, რომლებიც ბორცვის კეთილმოწყობის და რეკონსტრუქციის ავტორებიც არიან.).

ქანდაკების ადგილი კონცხის პირას ისეა შერჩეული, რომ მას რაც შეიძლება ხედვის მეტი წერტილი ჰქონდეს. თავისთავად ეს ართულებდა ქანდაკების გადაწყვეტას, რადგან აღქმის შორი და ახლო წერტილების სიმრავლე ხედვის სხვადასხვა კუთხეს ქმნის და ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქანდაკების სილუეტს ფასში, პროფილში, სამ მეოთხედში და ყველა სხვა შემთხვევაში. თუ ყველაზე მეტად დაცილებული ხედვის წერტილებიდან ქანდაკება სილუეტის სახით იკითხება, თვით მეტეხის ბორცვზე ქანდაკებასთან უშუალოდ მისვლის შესაძლებლობაა და ამიტომ იგი დეტალურ დამუშავებას თხოულობს. მოქანდაკემ კარგად გაართვა თავი ამოცანას. ცხენოსანი ფიგურა გადაწყვეტილია მკაცრად და მკაფიოდ. ფიგურა თავისუფლად და ამაყად ზის ცხენზე. ზეაწეული ხელი — მტკიცე ჟესტი, ნიშანი შეურყეველი გადაწყვეტილებისა, ძლიერებას მატებს ქანდაკებას, ხოლო მისი ექსპრესიული დაძაბულობა შინაგან დინამიკურობას ანიჭებს, ერთი შეხედვით, თითქოს სტატიკურ კომპოზიციას.

ქანდაკება ორგანულად უკავშირდება სადა კვარცხლბეკს და მასთან ერთად ქმნის ვერტიკალს, რომელიც კონტრასტულადაა კლდის ჰორიზონტულ დინებასთან. მართალია, ყრუ პარაპეტის ზომები და გლუვი ზედაპირი სავსებით ვერ მოერგო კლდის ბუნებრივ სახეს, მაგრამ ამ რთული ანსამბლის შემადგენელ კომპონენტთა ურთიერთკავშირი და გახსნილი სივრცე, სადაც ძირი-

---

23 კონკურსის შესახებ იხ. ნ. ჯანბერიძე. კონკურსი ვახტანგ გორგასალის ძეგლის პროექტზე. „საბჭოთა ხელოვნება", 1959, № 2, გვ. 22.

თადი აქცენტი თვით ტაძრის მნიშვნელობაზეა გადატანილი. ეფექტურ კომპოზიციას ქმნის.

მონუმენტური ქანდაკება თბილისში — ერთ-ერთი ახალი დამახასიათებელი მხარეა ქალაქის საერთო იერისათვის. „ქართველის დედა“ (მოქ. ე. ამაშუკელი, 1958) კომკავშირის ხეივანზე, ფაქტიურად ქალაქის ემბლემად იქცა. სოლოლაკის ქედზე აღმართული 20 მეტრიანი სიმბოლური ფიგურა ქალაქის მრავალი წერტილიდან მოჩანს. გორგასლის რეკონსტრუირებულ ქუჩაზე აღიმართა 300 არაგველისადმი მიძღვნილი მონუმენტი (ა. ბაქრაძე, 1961). ობელისკის კომპოზიცია ვერტიკალურად აღმართული ტრაპეციული მოსაზღვრობის სვეტისა და რელიეფიანი კუბის ურთიერთდაკავშირებაზეა დამყარებული. ქვით მოფენილი მოედანი უქრობი ცეცხლით, გამაერთიანებელ საფუძველს უქმნის ნაგებობას. საერთო კომპოზიცია მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობასაც გულისხმობს, რითაც ქალაქის ამ კონკრეტული ადგილის კეთილმოწყობის და მონუმენტის შექმნის ერთიანი ამოცანაა გადაწყვეტილი (ტაბ. 86₂).

უზარმაზარი ტრაპეციის მოცულობა ვიწრო მხრით ქუჩის მიმართულებას მიყვება და ამით ხაზს უსვამს მის დინამიკურობას. ხოლო მისი ღერძისადმი პერპენდიკულარულად დადგმულ კუბს სტატიკური მომენტი შეაქვს საერთო კომპოზიციაში: იგი ყურადღებას აჩერებს, პაუზას სვამს ამ ადგილას. ქვაზე ამოკვეთილი რელიეფები ლაკონიურად გამოხატავს გმირობის თემას. შეიძლება სადავო იყოს რელიეფის აბსოლუტური ზომა, ან კუბის კონფიგურაცია, მაგრამ მონუმენტის მთლიანი იერი ამაღლებულ განწყობას ქმნის, კარგად ეგუება ქუჩის გაშლილ სივრცეს და მნიშვნელოვან აქცენტს ანიჭებს საერთო განაშენიანებას. ობელისკის ვიწრო მხარე მთელ სიმაღლეზე უპირავს წარწერას — ლადო ასათიანის ლექსის სტრიქონებს. ასოები დეკორაციულია მასშტაბიც კარგადაა მოძებნილი. მაგრამ ადგილის სივიწროვისა და უზარმაზარი სიმაღლის გამო ტექსტის წაკითხვა თითქმის შეუძლებელია. ამდენად, ტექსტის შინაარსობლივი მხარე მიზანს ვერ აღწევს და წარწერა მხოლოდ მორთულობადაა გადაქცეული[24].

გორგასლის ქუჩის რეკონსტრუქციამ გააფართოვა მეტად მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალი და ძველი ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი — სეიდაბადი ფართო, თანამედროვე ქუჩით დააკავშირა მტკვრის ნაპირთან და ქალაქის ცენტრთან. ფაქტიურად ეს მტკვრის სანაპიროს შემდგომ გაშენებას წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობა ქალაქის ძველ უბნებში კიდევ უფრო იზრდებოდა. მეტეხის ბორცვის და მასზე მდებარე მეტად კოლორიტული სა-

---

[24] ნ. ჯანბერიძე. ხელოვნებათა სინთეზის საკითხისათვის. „მნათობი“. 1963. № 8. გვ. 156.

ცხოვრებელი განაშენიანების შენარჩუნებასა და მოხერხებული სატრანზიტო სწრაფგამტარ მაგისტრალის შექმნას მტკვრის მარცხენა ნაპირზე ემსახურება კლდეში გაყვანილი გვირაბი (ტაბ. 87₁). აქ სანაპირო ქუჩის გაგრძელება შეუძლებელი იყო ერთი მხრივ მტკვრის ვიწრო კალაპოტის, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული კლდის გამო. სანაპიროს გაყვანა შეცვლიდა არსებულ მასშტაბს და საერთო გარემოცვას დაუკარგავდა განსაკუთრებულ მომხიბვლელობას, რაც კლდეზე გადმოკიდებული აივნიანი სახლებითაა განსაზღვრული. ამიტომ ამ მონაკვეთზე სწრაფგამტარი მაგისტრალი გვირაბში გრძელდება. არქიტექტორებმა (ვ. ბახტაძე, რ. კიკნაძე, შ. ყავლაშვილი) გაითვალისწინეს ამ უბნის სირთულე ძეგლების არსებობისა თუ რელიეფის მხრივ (გვირაბიდან გამოსვლისას დაცულია „გოგილოს“ გოგირდოვანი აბანო). ესტაკადის მოთავსება შესაძლებლობას იძლევა მდინარის ყველაზე ფართო მონაკვეთში დაპროექტდეს ელინგი და საწყლოსნო-სპორტული კლუბი.

გვირაბის გაყვანა და მაგისტრალის გაგრძელება მეტეხის ბორცვის ძირში, ბუნებრივია, მთლიანად ამ რაიონის რეკონსტრუქციის საკითხსაც აყენებს. პროექტი ითვალისწინებს ძველი, ამორტიზებული სახლების შეცვლას, მაგრამ ამ უბნის სივრცობლივ-მოცულობითი გადაწყვეტისადმი ტრადიციული მიდგომით. განაშენიანების ქვედა სამი სართული გათვალისწინებულია ტერასებიან სახლებისათვის, რომელთა შორის ამოზრდილია უფრო მაღალი კორპუსებიც, თუმცა განაშენიანების წინა ხაზი 2—3 სართულს არ აჭარბებს. ტერასების მოწყობა, მთელი კომპლექსის საფეხუროვანი განაშენიანება, კლდეზე გადმოსახედი და სათამაშო მოედნების მოწყობა ეთანხმება აქაური არქიტექტურის უკვე ჩამოყალიბებულ ხასიათს.

ამრიგად, აღნიშნული პროექტი, „რიყის“ რეკონსტრუქციის პროექტთან ერთად, მეტეხისა და მტკვრის ნაპირების რეკონსტრუქცია მეტყველებენ იმ რეალურ ღონისძიებებზე, რომლებიც ქალაქის ძველი რაიონის რეკონსტრუქციას თანამედროვე ქალაქთმშენებლობითი პრობლემების (თუნდაც სატრანსპორტო პრობლემის) გადაწყვეტას უკავშირებს, აუმჯობესებს საცხოვრებელ-საყოფაცხოვრებო პირობებს და ითვალისწინებს დასვენებისა და ფიზიკური განვითარების საკითხებსაც. ძველი თბილისის უბნები — დედაქალაქის რეკონსტრუქციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია და არქიტექტურული საზოგადოების ყურადღების ცენტრშია[25]. აქ სწორედ ის შემთხვევაა, როცა ძვე-

---

25 ძველი თბილისის რეკონსტრუქციის მეტად საყურადღებო საკითხებია წამოჭრილი ე. ბერიძის წერილში „შევუნარჩუნოთ თბილისს თბილისური სახე“. „ლიტერატურული საქართველო“, 1968, 17. V, № 19.

ლი ქალაქის რეკონსტრუქციის სირთულე გამომდინარეობს სოციალური ცხოვრების პროგრესული ფორმების აქტიური განვითარებიდან, სატრანსპორტო და სხვა პრობლემათა გამწვავებიდან, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბებული ცენტრის მეტ-ნაკლებად რადიკალურ რეკონსტრუქციას, ძველი ანსამბლების ფუნქციური და მხატვრული გააზრების ახალ ფორმებს მოითხოვს, მოითხოვს ახალ მასშტაბურ, სივრცობრივ და სტრუქტურულ შეფარდებებს[26].

ყველაზე დიდ სირთულეს ძველი ქალაქის საცხოვრებელი უბნები წარმოადგენს. სადაც ბინებში თანამედროვე კომფორტის შეტანამ არ უნდა დაარღვიოს როგორც ცალკეული საცხოვრებელი სახლების ძველი იერი, ისე მათი ადგილი და მნიშვნელობა საერთო კომპლექსში. მთელ რიგ შემთხვევებში დაცვის ობიექტს წარმოადგენს არა ცალკეული სახლები, არამედ მათ მიერ შედგენილი კვარტალები, მთლიანი უბნები. უარის თქმა მოხერხებულ ბინებზე და თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილ სადგომებზე შეუძლებელია[27]. შესაძლოა ასეთ საცხოვრებელ სახლებში ძველი ფასადების მიღმა თანამედროვე ბინების მოწყობაც არ მოხერხდეს თბილისური საცხოვრებელი სახლების სპეციფიკის გამო. მაშინ ყველაზე ხელსაყრელია — მცხოვრებთა განსახლება, რაც ბინების მკვეთრი გაუმჯობესების შესაძლებლობასაც იძლევა.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ქალაქთმშენებლობით პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირებას, ახალ მაგისტრალთა პრობლემას, ძველი ქუჩებისა და მოედნების რეკონსტრუქციას. ტარდება რიგი კონკურსებისა, რომლებიც ქალაქთა სხვადასხვა კვანძების გადაწყვეტის გაუმჯობესებას გულისხმობს. ასეთი კონკურსები ჩატარდა თბილისში სადგურის, გმირთა მოედნის, რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციისათვის.

კონკურსი რუსთაველის მოედნის სარეკონსტრუქციოდ (1965) თავისთავად გულისხმობდა სატრანსპორტო საკითხის გადაწყვეტას არა მარტო მოედანზე, არამედ რუსთაველის პროსპექტზე და მის გაგრძელებაზე ფილარმონიის მშენებარე კორპუსამდე. ამასთან ერთად, უნდა გადაწყვეტილიყო მოედნის სივრცობლივი კომპოზიცია, რუსთაველის ძეგლის ადგილი, ადმინისტრაციული შენობის დაგეგმარება, მეტროპოლიტენის სადგური და სხვ.

კონკურსში წარმოდგენილ იქნა პროექტები: 1. საპროექტო ინსტიტუტის „ქალაქმშენსახპროექტისა“ (ვ. კედია, გ. ცხაკაია, გ. ჯაბუა, გ. ავსაჯანიშვილი ტაბ. 88₂); 2. „თბილქალაქპროექტისა“ (ი. ზაალიშვილი, თ. გორგაძის, ა. ლო-

[26] О. Швидковский. Памятники художественной культуры и проблемы реконструкции исторического центра Москвы. Monumentorum Tutela. Ochrana Pamiatok. 3. Bratislava. 1967 გვ. 139.

[27] Н. Баранов. Композиция центра города. М., 1964, стр. 119.

მიძის, გ. ოშაყმაშვილის, თ. ქურდიანის მონაწილეობით, ტაბ. 87$_2$): 3. „თბილქალაქპროექტისა“ (ო. კალანდარიშვილი, გ. ფოცხიშვილი, ვ. თუთბერიძე: ტაბ. 88$_1$): 4. „თბილზნიეპისა“ (კ. ჩხეიძე, ტაბ. 88$_3$.)[28].

საკონკურსოდ წარდგენილი ყველა პროექტი ითვალისწინებდა რუსთაველის პროსპექტის გასწორების უკვე ცნობილ არქიტექტურულ იდეას, რაც „საქნახშირის“ წინ მდებარე კაპიტალური საცხოვრებელი სახლის აღებას მოითხოვს[29]. ეს კი რუსთაველის მოეღანს, „ზარია ვოსტოკას“ შენობიდან მოყოლებული, ათავისუფლებს მარჯვენა მხრის განაშენიანებისგან, იგი გახსნილია და გადაჰყურებს მტკვრის სანაპიროს. მაგრამ ეს გადაწყვეტა ყველა პროექტში თანაბრად როდი ემორჩილება აღებულ არქიტექტურულ თემას. „ქალაქმშენსახპროექტის“ ვარიანტში რუსთაველის პროსპექტის გადასროლა ქვედა პარალელური მაგისტრალის ესტაკადაზე, ფაქტიურად აქარწყლებს ამ იდეის მთელ ღირსებას, რადგან ესტაკადა დაფარავს აქედან ხედს. „თბილზნიეპის“ ვარიანტში სატრანსპორტო კვანძი მარჯვნივაა, ხოლო საზოგადოებრივი მოედანი მარცხნივ, „საქნახშირის“ სახლისაკენ. რაც აგრეთვე ეწინააღმდეგება მოედნის მტკვრისკენ გახსნის იდეას.

რუსთაველის ძეგლს ახალ მოედანზე პროექტთა უმრავლესობა ბორცვისკენ აქცევს, ეს უკეთესია, ვიდრე მისი დადგმა მოედნის სიღრმეში, ადმინისტრაციული სახლის წინ („თბილზნიეპი“), უკეთესია ხედვის მრავალი წერტილის შექმნის, განათებისა და სილუეტის გამოვლენის შესაძლებლობის თვალსაზრისით.

კონკურსმა გვიჩვენა რუსთაველის პროსპექტის ტრანსპორტისაგან განტვირთვის ორგვარი შესაძლებლობა — ზედა და ქვედა პარალელური მაგისტრალის შექმნის საშუალებით (ზედა—ლენინის მოედნიდან, ძერჟინსკისა და არსენას ქუჩის გავლით — ბარნოვის ქუჩისაკენ, ქვედა კი — კოლმეურნეობის მოედნიდან ძნელაძის ქუჩით, ვაკე-საბურთალოსაკენ). თვით რუსთაველის პროსპექტზე სატრანსპორტო მოძრაობას დამპროექტებელთა ერთი ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს, მეორენი კი პროსპექტს მხოლოდ ქვეითთა მოძრაობისთვის იყენებენ. ი. ზაალიშვილის კოლექტივის პროექტში ტრანსპორტი მიწის ქვეშ გადის პროსპექტის გაყოლებით. ამოსასვლელი გვირაბები, მოძრავი ტროტუარები აკავშირებენ დონეებს ერთმანეთთან.

---

26 ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი პრემია ი. ზაალიშვილის კოლექტივის პროექტს მიენიჭა, თუმცა პროექტის შემდგომი დამუშავებისათვის სხვა ავტორების წინადადებებიც იქნა მიღებული.

29 იხ. ზევით.

პარალელური მაგისტრალების გაყვანას თბილისის ცენტრისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან იგი რეალურად დასვამს რუსთაველის პროსპექტის საზოგადოებრივი ტრანსპორტისაგან განთავისუფლების საკითხს, არსებული პირობები (მაგისტრალების დაცილების რადიუსი, პროსპექტის სიგრძე და სხვ.) ამის შესაძლებლობას იძლევა[30].

რუსთაველის მოედნისა და მასთან მიმდებარე ქუჩების კომპლექსში მნიშვნელოვანია მოედნის გაბარიტები. ავტორები, უმთავრესად, მოედნის ჰიპერტროფირებულ ზომებს იძლევიან (მაგ. „ქალაქმშენსახპროექტის“ ვარიანტში მოედნის ზომებია 400—450×130 მეტრზე) და იგი კარგავს ორგანიზებული სივრცის შთაბეჭდილებას — შედარებით ვიწრო ქუჩებიდან შემოსვლისას დიდი სივრცე ძალზე კონტრასტული იქნება. ამან განაპირობა ისიც, რომ მოედანი მხატვრულად შეუკრავია, მასზე მოთავსებულ ყოველ ელემენტს თავისთავადი მნიშვნელობა აქვს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამ კონკურსმა წამოაყენა, იყო ადმინისტრაციული შენობის სიმაღლის განსაზღვრა. გარდა ერთი პროექტისა („ქალაქპროექტის“ ჯგუფისა — არქ. ო. კალანდარიშვილი, გ. ფოცხიშვილი, ჯ. თუთბერიძე), ყველა მაღლივ კომპოზიციას იძლევა[31]. ზოგი პროექტით შენობის სიმაღლე ერთნახევარჯერ აღემატება „საქნახშირის“ კოშკის სიმაღლეს. ასეთი ვერტიკალური მოცულობა არა მარტო თვით ადგილზე (ლენინის ქუჩიდან) დაფარავს მთაწმინდის — ქალაქის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქცენტის ხედს, არამედ სხვადასხვა წერტილებიდან დაარღვევს თბილისის ინდივიდუალური რელიეფით გამოწვეულ მკვეთრად ჩამოყალიბებულ სპეციფიკურ სახეს, რაც მტკვრის სანაპიროდან მთაწმინდისაკენ აყოლებული ამფითეატრით არის შეპირობებული.

„ივერიის“ შენობის გარდა, დამატებითი ვერტიკალური აქცენტების შექმნა გადატვირთავს ხედს, ვერ უპასუხებს მთაწმინდის ერთიან მასშტაბს და დაარღვევს თბილისის მარჯვენა სანაპიროზე გადაშლილ ცენტრალური რაიონის მთლიან სახეს[32].

1966 წელს თბილისში გაიხსნა მეტროპოლიტენი, რომლის აშენება პირ-

---

30 Основы советского градостроительства. I. М., 1966,

31 „თბილზნიეპის“ პროექტის სხვადასხვა ვარიანტში, ადმინისტრაციული შენობის სიმაღლე მოცულობათა სხვადასხვა განლაგების შესაბამისად 21, 11, 15 და 6 სართულითაა წარმოდგენილი. ასეთ პრინციპულ საკითხში ამგვარი მერყეობა გაუგებარს ხდის ავტორის პოზიციას.

32 იხ. ნ. ჯანბერიძე. ეპოქისა და ქალაქის შესატყვისი (დღევანდელობა, არქიტექტურა და შენებლობა). „კომუნისტი“, 1965. 4. VIII, № 182.

ველხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტია ისეთი ქალაქისათვის, როგორიც თბილისია[33]. როცა ქუჩები ვიწროა და, უმეტესად, მათი გაფართოების არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს, როცა მგზავრთა გადაყვანა დიდად ინტენსიურია, მეტროპოლიტენი სატრანსპორტო პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს. პირველი რიგის მშენებლობის მიწისქვეშა ტრასის სიგრძე 6,3 კილომეტრს შეიცავდა და 6 საღგურისაგან შედგებოდა, შემდგომში მათ 3 სადგური დაემატა.

ფართოდ გაშლილმა სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა, ქალაქის ზრდამ და ამასთან დაკავშირებით წამოჭრილმა ახალმა ამოცანებმა გადაუდებელ საკითხად დასვა თბილისის ახალი გენერალური გეგმის დამუშავება. 1960 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით თბილისის ახალი საზღვრები შემოიფარგლა, რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად ე. წ. „დიდი თბილისის“ ტერიტორია განისაზღვრა 260 70 ჰექტარით[34].

დაგეგმარების ახალ გენერალურ პროექტზე მუშაობა 1962 წელს დაიწყო. პერსპექტიული პერიოდის შეცვლამ შემდგომში ცვლილებები გამოიწვია. პროექტი გათვალისწინებულია 1968—2000 წლებისათვის (ი. ჩხენკელი, ჯ. ჯიბლაძე, გ. ჯაფარიძე, გ. შავდია; ეკონომისტები ლ. ლორთქიფანიძე, ი. ბოლქვაძე; ტაბ. 89).

თბილისი, რომელიც მარცხენა ნაპირზე ზემო-ავჭალიდან ლოჭინის სევამდე 30-32 კმ სიგრძეზე გადაიჭიმა, ხოლო მარჯვენა ნაპირზე დიღმის ახალი საცხოვრებელი რაიონიდან კიროვის რაიონის სამხრეთ დაბოლოებამდე 20 კილომეტრიან ზოლს შეადგენს, წვრილმანი კვარტალებით, შერეული განაშენიანებითა და ტერიტორიის მკაფიო ფუნქციური დანაწილების უქონლობით ხასიათდება. ცალკეულ რაიონებს შორის არათანაბრადაა განაწილებული მწვანე ნარგავები. სანიტარულ-ჰიგიენური პირობები მოითხოვენ სანიტარულ „გარღვევებს“ სამრეწველო, სატრანსპორტო თუ საცხოვრებელ ზონებს შორის. ქალაქის თანამედროვე მდგომარეობა მოითხოვს მის კომპაქტურ გადაწყვეტას მთლიანობაში, საქალაქო ტერიტორიის რელიეფის გათვალისწინებას განაშენიანების მაქსიმალური დაკავშირებისათვის ბუნებრივ გარემოცვასთან, ორგანიზებული ურთიერთკავშირის დამყარებას საერთო-საქალაქო და რაიონულ ცენტრებს შორის, ცენტრებსა და საწარმოო ადგილებს შორის.

პროექტი სააგარიშო ვადებისათვის ქალაქის მოსახლეობას 1250 ათასი

---

[33] „კომუნისტი“. 1966. 9. 1. № 7; „Заря Востока“. 1966. 9. 1. № 7

[34] „კომუნისტი“. 1961. 14. 1. № 11.

კაცით საზღვრავს (1970 წლის 1 იანვრისათვის მოსახლეობის რიცხვი 889 ათასს უტოლდება), შემდგომი ზრდის შეზღუდვით თბილისის აგლომერაციის დასახლებული პუნქტების სისტემის განვითარების ხარჯზე.

ახალი გენერალური გეგმით ქალაქი ითვისებს დიღმის, გლდანის, ავჭალისა და ვარკეთილის ტერიტორიას და თავსდება მთებითა და ხეობებით შემოსაზღვრულ ბუნებრივ ფარგლებში. ქალაქის განაშენიანებაში შეტანილია თბილისის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, რითაც ქალაქი იძენს კარგი ტემპერატურული რეჟიმის, გამწვანებულ და წყლის სივრცის მჭონე ნაკვეთებს. ამ ტერიტორიის ათვისებით ქალაქი იზრდება სიგანეში და ხაზოვანი განვითარების ტენდენციის შენარჩუნების მიუხედავად, ქალაქის გეგმის კომპოზიცია გარკვეულ ცვლილებას განიცდის. ამით განსხვავდება ახალი გენერალური გეგმა ქალაქის განვითარების არსებული სტრუქტურისაგან.

ქალაქის რაიონების ერთმანეთთან და ცენტრთან დაკავშირებისათვის გეგმა ითვალისწინებს რიგ გრძივ და განივი მიმართულების სწრაფგამტარი მოძრაობის მაგისტრალებს.

გენერალური გეგმა სახავს ამჟამად არსებული დიდი სიმჭიდროვის ცენტრის თანდათანობით რეკონსტრუქციას. თანამედროვე მოთხოვნილების შესაფერი მისასვლელი გზების და ავტოსადგომთა შექმნისა და რეგულირებისათვის, საზოგადოებრივ-ადმინისტრაციულ და სავაჭრო დაწესებულებათა წინ მწვანე ზონების შესაქმნელად ტერიტორიის გაფართოებაა საჭირო. მარტო სარეკონსტრუქციო სამუშაოები ამისათვის არ კმარა და, ამიტომ, პროექტი ცენტრს ავითარებს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თბილისის ზღვისაკენ, სადაც თავსდება სპორტული კომპლექსი, სამედიცინო ცენტრი, საზოგადოებრივ-სავაჭრო ნაგებობები და სხვ. ესეც ახალი პროექტის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარეა (ტაბ. 90_1).

თბილისის განვითარების ახალი გენერალური გეგმა ითვალისწინებს ქალაქის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქციას და ძეგლების რესტავრაციას და მათ გამოვლენას ძველი ქალაქის ერთიან არქიტექტურულ-მხატვრულ კომპლექსებში. მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით ძველ ქალაქში გამოყოფილია სამი ზონა, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას მოითხოვენ და ქალაქის ტერიტორიის ისტორიულ დაყოფას ეფარდებიან. კონკრეტულად არის მითითებული ამ რაიონში შემდგომი მშენებლობის შესაძლებლობა, განაშენიანების სიმაღლე და სხვ.

ამგვარად, ფუნქციური ზონირება ისე, რომ ძირითადი სამოსახლო ტერიტორიის განლაგება კეთილმოქმედი მიკროკლიმატით გამორჩეულ ახალ რაი-

ონს მოიცავდეს; ქალაქის ფარგლებში და მის ირგვლივ 5—15 კილომეტრის რადიუსით დასვენების ზონების მოწყობა; საერთო-საქალაქო ცენტრის სისტემის ფორმირება უკვე ჩამოყალიბებული მიმართულებით (მტკვრის გასწვრივ რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტის მიმართ და შემდგომ სამგორის წყალსაცავის მიმართულებით); მოსახლეობის რაციონალური სატრანსპორტო მომსახურება განუწყვეტელი მოძრაობის მაგისტრალების შექმნით: ძველი ქალაქის რეკონსტრუქციისა და ძეგლთა დაცვის საკითხების გადაწყვეტა, როგორც ერთიანი ორგანიზმისა — ახალ ნიშნებს ანიჭებდა ქალაქ თბილისის გენერალურ გეგმას.

ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შედგენასთან ერთად მუშავდება ქალაქის ცალკეულ რაიონების დაგეგმარების დეტალური პროექტები. ამათგან საინტერესოა საგარეუბნო ადგილის — გლდანის დაგეგმარება, რომელიც პროექტით ახალ საცხოვრებელ მასივს წარმოადგენს (არქ. თ. ბოჭორიშვილი, ბ. ოდიშარია ტაბ. 90_2). ხევისა და საგზატკეცილო გზას შორის მოთავსებული ტერიტორიის ბუნებრივ პირობებთან შეფარდებით საცხოვრებელი მასივის დაგეგმარება ემორჩილება მთავარი ქუჩის კომპოზიციურ ღერძს, რომლის ორივე მხარეს საცხოვრებელი ზონებია. ასი მეტრის სიგანის ბულვარი—მთავარი ქუჩა ცენტრში საზოგადოებრივი და სავაჭრო შენობებითაა გაწაშენიანებული. ისინი ავსებენ მეორე სართულის ზოლს, რომელიც ქვეითთა სასიარულოდ არის განკუთვნილი, ხოლო ქვედა იარუსი სატრანსპორტო მოძრაობისთვისაა. ზედა ტროტუარი უკავიათ ფეხით მოსიარულეთ, ქვევით კი — მისასვლელებია საწყობებისაკენ, გარაჟებისა და ავტოსადგურებისაკენ და სხვ. ე. ი. საცხოვრებელი მასივის ცენტრის გადაწყვეტა სივრცობლივ კომპოზიციას ემორჩილება და მოხერხებულ პირობებს ქმნის მცხოვრებთათვის.

1968 წელს დამთავრდა საკურორტო კომპლექსი ბიჭვინთაში. იგი ერთიანი გეგმის მიხედვითაა გაშენებული (არქ. მ. პოსოხინი, ა. მნდოიანცი, ვ. სვირსკი, ი. პოპოვი, კონსტრ. ს. შკოლნიკოვა და ვ. ნიკოლაევა)[35]. ზღვაში სამკუთხედად შეჭრილი კონცხის ნაპირზე მარადმწვანე ფიჭვნარის გარემოცვაში ცად აიზიდა 7 ხუთმეტსართულიანი სასტუმრო-პანსიონატი (ტაბ. 91). მათთან ერთად დამხმარე საყოფაცხოვრებო-კულტურული დანიშნულების ნაგებობანი ქმნიან ერთიან ანსამბლს, რომელშიაც ფუნქციური დიფერენცირება. გარკვეული დაგეგმარების პრინციპებზეა დამყარებული. სავაჭრო ცენტრიდან მოყოლებული, საზღვაო სადგური, საცხოვრებელი კორპუსები, სასადილო

[35] П. Ивацевич. Курортный комплекс «Пицунда». «Архитектура СССР», 1969, № 11, გვ. 11. ნ. ჯანბერიძე. ბიჭვინთის მოზაიკა. „ლიტერატურული საქართველო". 1968. 9. 8. № 31

ბლოკები და სხვა ნაგებობანი ემორჩილებიან საკურორტო ორგანიზაციის მარტივ სქემას და საცხოვრებელი კორპუსების კომკური მოცულობანი საერთო კომპლექსიდან ისეა გამოყოფილი, რომ ფუნქციური თუ მხატვრული თვალსაზრისით არ კარგავენ კავშირს მეზობელ ნაგებობებთან. პირიქით, დაგეგმარების პრინციპული ჩანაფიქრი ერთიანი ანსამბლის შექმნისაკენაა, მიმართული.

კურორტის ტერიტორია სამ ზონადაა დაყოფილი და თვით კურორტის გარდა, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და მომსახურე პერსონალის დასახლებისაგან შედგება. საკურორტო ზონა მოქცეულია ზღვის ნაპირსა და ფიჭვნარს შორის, სასტუმრო-პანსიონატების შვიდი კორპუსის გარდა, რომლებშიაც 3000 დამსვენებელი თავსდება, მასში კურზალი (სასადილოთი, მაყურებელთა დარბაზით, ბიბლიოთეკით, საბილიარდოთი და სხვ.), სასადილო, ღია საცურაო აუზი, საზაფხულო კინოთეატრი, საზღვაო სადგური შედის.


კურორტის აღმოსავლეთით საადმინისტრაციო-სამეურნეო ზონაა განთავსებული, რომელშიაც შედის ფაბრიკა-სამზარეულო სასადილოთი, სამრეცხაო, საბოილერო, საწყობები, სახელოსნოები და სხვა. დამხმარე ნაგებობანი შედის. ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია საადმინისტრაციო-სავაჭრო ცენტრი, ფოსტა-ტელეგრაფი, მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებანი და სხვ.

მომსახურე პერსონალის დასახლების ზონა ერთსართულიან ხისა და 4-სართულიან პანელიან საცხოვრებელ სახლებს უკავიათ, რომელთა შორის აგებულია საბავშვო ბაღი, სკოლა და სხვ.

აღნიშნულ ზონათა შორის კავშირი მოხერხებულად მყარდება. გათვალისწინებულია ქვეითად მოსიარულეთა საჭიროებაც. სატრანსპორტო მოძრაობისათვის დასახლების ჩრდილოეთით გაყვანილია სპეციალური გზა (სატვირთო მანქანებისათვის).

არქიტექტორებმა სასტუმრო-პანსიონატების კომკური კომპოზიციით მიაღწიეს ტერიტორიის ეკონომიურ გამოყენებას, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა უნიკალური ფიჭვნარის არსებობის პირობებში. გარდა ამისა, მათ შორის დაცილების დიდი მანძილი უკეთეს მიკროკლიმატს ინარჩუნებს და მხატვრული თვალსაზრისითაც მომხიბვლელ პანორამას ქმნის. შენობათა შორის სხვადასხვა მანძილს და დამხმარე ნაგებობათა ჩადგმას მრავალფეროვნება შეაქვს ერთიან ანსამბლში. მთელი საკურორტო ზონა წარმოდგენილია, როგორც ერთიანი სივრცობლივი ორგანიზმი; ამას დიდად უწყობს ხელს მცირე არქიტექტურული ფორმები და არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის სინთეზი (ტაბ. 91—92).

ბიჭვინთის დაგეგმარების სტრუქტურამ — დიდ, თავისუფალ სივრცესა და მწვანე გარემოცვაში ერთიანი სანაპირო ზოლის გასწვრივ განაშენიანებამ ახალი სივრცობლივი შეფარდებანი, ახალი კომპოზიციური ხერხები წამოაყენა. პლასტიკური საშუალებანი თუ ქანდაკებები, ძველი სტელების პირები თუ მო-



ბიჭვინთა. გენერალური გეგმა.

ზაიკითა და სხვადასხვა რელიეფებით შემკული დეკორაციული კედლები გამაერთიანებელ საშუალებას წარმოადგენენ. ქანდაკება გარეთაა გამოტანილი, შენობათა ინტერიერის მორთულობისათვის გამოყენებულია კამერული ჰედური რელიეფი, ხალხმრავალ სადგომებში კი — კედლის მხატვრობა.

მთელ ტერიტორიაზე თამამად არის გამოყენებული როგორც თანამედროვე მხატვართა ნამუშევრები, ისე მულაჟები ძველი ქართული სტელებისა თუ ცხოველთა გამოსახულებისა. ამ უკანასკნელთ შემეცნებითი ფუნქციაც ეკისრება: სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დამსვენებელი უნებურად ეცნობა ძველი ქართული პლასტიკის ნიმუშებს (ის კი უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ, როცა ეს ნიმუშები ძალზე ახლოსაა შენობასთან, ისინი ვერ „უძლებენ" თხუთმეტსართულიან შენობათა მასივს და კარგავენ მასშტაბურობას. მაგალითად, ცხენის ფიგურა თუ სტელა „ბზიფის" კორპუსთან ძალზე პატარა მოჩანს შენობის მოცულობასთან შეფარდებით).

მოხდენილად და ზომიერადაა გამოყენებული ჰედურობაც. განსაკუთრებით გამოირჩევა საზღვაო ვაგზლის კედელი (ავტ. ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე, ტაბ. 92₃), რომლის სიბრტყე ექსტერიერიდან შენობის დარბაზში შედის, ჰედური რელიეფებიც, რომლებიც მას მიყვება, შესაბამისად იცვლის მასშტაბსაც და დამუშავების სიღრმესაც. გარე კედელზე საზღვაო ემბლემატიკა მსხვილი და მკაცრი მოხაზულობისაა, მაშინ, როცა შიდა კედელზე შავი ზღვის სანაპიროს რუკა ინტერიერისათვის შესაფერი ზომისაა და უფრო დაწვრილმანებულია. მინის კედელი მათ შორის ხაზს უსვამს ამ კონტრასტს, მაგრამ ხელს არ უშლის, რომ მნახველმა მთლიანობაში წარმოიდგინოს კედლის მოხატული სიბრტყე.

კინოთეატრის კედელზე თავისებური ვიტრაჟი, რომლის განცალკავებული ელემენტები ზღვის მცენარეულთა თუ ცხოველთა გამოსახულებას წააგავს, განსაკუთრებულ ეფექტს აღწევს ხელოვნური განათების დროს (მხატვ. ქოქიაშვილი ტაბ. 92₂); ნახატის მკაფიო კონტური, ბროლის გულების ფერადოვნება, ხელოვნური შუქის მალული წყარო, დასასრულ, ფიგურათა გაბარიტები შორიდანვე იპყრობენ მაყურებლის ყურადღებას. კინოთეატრის გვერდის კედლები თითქოს ერთი ხელის მოსმითაა ამოკაწრული (მხატვ. ელგუჯა ბერძენიშვილი, ტაბ. 91₂). კომპოზიციის ხაზგასმული დეკორაციულობა კედელზე ქმნის „ამოძრავებულ" ორნამენტულ ნახატს, რომლის ექსპრესიულობა შინაარსობლივ მხარეს ემორჩილება.

საცურაო აუზის კედლის თავისუფალი ნახატი, რომელიც თითქოსდა ფერადი ლენტების აფრიალებითაა შედგენილი, მაყურული ჟღერადობით მნიშვნელოვან მახვილს სვამს ტყის ფონზე (ე. ბერძენიშვილი).

ბიჭვინთის არქიტექტურულ კომპლექსში „კურზალი" ერთ-ერთი ხალხმრავალი შენობაა. აქ არის ვრცელი სასადილო, სხვადასხვა თამაშობისთვის განკუთვნილი ოთახები, ბიბლიოთეკა და სხვ. მათ გასაფორმებლად ზოგან ჰე-

დური რელიეფებია გამოყენებული, ზოგან კედლის მსატვრობა. განსაკუთრებით გამოირჩევა სასადილო დარბაზის უზარმაზარი კედლის მოხატულობა (ნ. იგნატოვი). მიუხედავად ხაზგასმული დეკორაციულობისა და პირობითობისა, რაც მას „თანამედროვე“ ხასიათს ანიჭებს, ეს ფრესკა ქართული მხატვრობის ასოციაციებს იწვევს, ცალკეული დეტალების გამოსახულება იქნება ეს თუ საერთო ხასიათი ნახატისა, რომელშიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფიროსმანისეული სული ტრიალებს.

არქიტექტურისა თუ სახვითი ხელოვნების ჰარმონიული შერწყმის მრავალფეროვნებაში განსაკუთრებით გამოირჩევა მოზაიკა (მხატვ. ზ. წერეთელი), რომელიც გამოყენებულია როგორც ინტერიერში, კედლის სიბრტყეებზე, ისე სანაპიროზე, ცალკე კედლების სახით. გადაწყვეტის ხასიათით და, რაც მთავარია, მძლავრი ემოციურობით ყურადღებას იპყრობს მოზაიკური კედელი სასადილო კორპუსის რესტორან-ბარში.

გვერდითი კედლის მთელ სიგრძეზე მუქი შავი ფონის ფილები მოჩარჩოებულია არასწორი მოხაზულობის ჩამქრალი წითელი ფერით, რაც ქმნის კედელზე „ჩამოკიდებულ“ მოზაიკურ, „სიმძიმისაგან“ ალაგ-ალაგ ჩამოწეულ ხალიჩას. ამ მრუდ ხაზს ემორჩილება თითქმის მთელი ნახატი, იგი გამოხატავს ცალკეულ შემადგენელ ელემენტთა ფორმას, მაგრამ ამ ნახატის შემადგენლობა მეორე პლანზე გადადის და ყველაფერი ექვემდებარება ფერს.

მოზაიკის საერთო ფონი ძირითადად მონაცრისფროა, მაგრამ იგი შედგენილია სხვადასხვა ღია ტონის (მწვანე, ფირუზისფერი, მოთეთრო) ხმარებით. ამ წყნარ, მრავალფეროვან, მაგრამ ტონალობით მაინც ნეიტრალურ ფონზე სხვადასხვა მოხაზულობისა და ასიმეტრიულად გაფანტული წრის თავისუფალ ნახატში ზოგან ჯვარია, ზოგანაც კონცენტრული ხაზები, რომლებიც ისეთ გეომეტრიულ სხეულებს ქმნიან, რომ ძნელია რაიმე სახელი გამოუძებნო. ეს სხეულები გამოიყოფა საკმაოდ მუქი მოჩარჩოებით, რომელშიც თვალმარგალიტივითაა ჩასმული მონარინჯისფრო-წითელი ქვები. კედელი მსგავსად ხევსურული ქარგული ორნამენტისა, ამღერებულია ფერთა ჰარმონიული შეფარდებით და ცალკეული ქვების გამოყოფილი ჟღერადობით. ფერთა სიმრავლე ქმნის ერთ მაჟორულ სიმფონიას, რომელიც მნახველს პირველი შეხედვისთანავე ამაღლებულ განწყობას აღუძრავს და წარუშლელ შთაბეჭდილებას უქმნის.

კორპუს „ოქროს ვერძთან“ განლაგებულ მოზაიკურ კედლებზე (ტაბ. 92₁), წინა კომპოზიციებისაგან განსხვავებით, აშკარად გამოირჩევა სიუჟეტური ქარგა. „მზე და მთვარე“ თვით კედლის თავისუფალი მოხაზულობითაა ნა-

კარნახევი და მზეც და მთვარეც აყოლილია მის კონფიგურაციას. სხვადასხვა ფერადოვანი ნაპრებისაგან შედგენილი ფონი გაერთიანებულია ზედ მიმოფანტულ ვარსკვლავთა ერთიანი ნახატითა და ფერით, ხოლო მეორე, მის პერპენდიკულარულად მდგარ სწორკუთხა კედელზე ნახატი სიმეტრიულ კომპოზიციას ექვემდებარება. სიმეტრიულად განლაგებული თევზები გაფანტულია სხვადასხვა ფერის სეგმენტებით შედგენილ ზღვაში, რომელიც, მიუხედავად ფერთა სიმრავლისა, საერთო კოლორიტს არ არღვევს. წყლის ფონი არ ემორჩილება „ფერწერულ“ მანერას — ერთი ფერი თანდათანობით კი არ გადადის მეორეში, არამედ ხაზგასმითაა გამოყოფილი სეგმენტები, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს კედლის დეკორაციულობას.

აღსანიშნავია, რომ კედლის იმ მხარეს, რომლის ფონად ზღვაა, მხატვარი უფრო ნაზ ტონებს იყენებს („მზე და მთვარე“), მაშინ, როცა მეორე მხარეს, რომელსაც ფონად მუქი ნაძვნარი აქვს — მჭახე, ლოკალური ტონებია ნახმარი („რვაფეხა“).

„ბტრედისა“ ან „სიცოცხლის ხის“ კომპოზიციებში მთელი კედელი წარმოადგენს ხაზის განუწყვეტელი მოძრაობით შექმნილ ფონს, რომლის შუაში ერთ შემთხვევაში ხეა გამოსახული, ხოლო მეორეში — მტრედი. ეს კედელი ბიჭვინთის უძველესი მოზაიკითაა შთაგონებული.

შემდგომში საკურორტო ზონის კომპლექსს დაემატა სკულპტურული გამოსახულებანი, რომელთა ხაზგასმული დეკორაციულობა მთლიანი გადაწყვეტის საერთო ხასიათს შეესატყვისება, მიუხედავად მკვეთრად გამოვლენილი ინდივიდუალურობისა.

ქართულ საბჭოთა არქიტექტურულ პრაქტიკაში ბიჭვინთა პირველი მაგალითი იყო, როცა ხელოვნებათა სინთეზი ასე ფართო, ქალაქთმშენებლობითი მასშტაბით განისაზღვრა, როცა მხატვრულ გადაწყვეტას დაემორჩილა არა ცალკეული შენობა (მისი შიდა თუ გარე სახე) ან გარემომცველი სივრცის რაიმე მონაკვეთი, არამედ, საკურორტო ზონის მთელი ტერიტორია. ამიტომ მისი მნიშვნელობა, გარდა ფუნქციური დანიშნულებისა, ესთეტიკურ-მხატვრული ამოცანის კომპლექსური გადაწყვეტის თვალსაზრისითაცაა აღსანიშნავი.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის უკანასკნელი პერიოდისათვის დამახასიათებელია რაიონული გეგმარების პროექტების შედგენა, რომელთა შორის გამოირჩევა თბილისის სამრეწველო და შავი ზღვის საკურორტო რაიონების პროექტები.

1967 წელს შედგა თბილისის სამრეწველო რაიონის რაიონული დაგეგმარების პროექტი (ვ. ფაფერაშვილი, ი. ლიბერმანი, მ. მამულაიშვილი, ი. ყანდარელი, ა. ლომთაძე). თბილისის სამრეწველო რაიონის ტერიტორიას, რომე-

ლიც 15 ადმინისტრაციულ რაიონს მოიცავს, მთელი რესპუბლიკის თითქმის მეოთხედი უკავია. მისი მრეწველობა რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის დიდ ნაწილს იძლევა, რაიონის ტერიტორიის არქიტექტურულ-გეგმარებითი ორგანიზაცია ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მრეწველობის განვითარების რადიკალურ შეზღუდვას და იმ მცირე ქალაქების ფართო განვითარებას, რომლებიც თავისი განლაგებითა და შრომითი რესურსებით გამოირჩევიან (გორი, ხაშური, კასპი, საგარეჯო, ბოლნისი, მარნეული). პროექტით თბილისიდან სამხრეთისაკენ ვითარდება ახალი სამრეწველო ცენტრი მძიმე ინდუსტრიისა — კაზრეთი-მარნეულის რაიონში, იფარგლება რუსთავის განვითარება და ახალი ქალაქები — თანამგზავრები (სართიჭალა, საგურამო) იქმნება. ადგილობრივი დასვენებისა თუ ტურიზმისათვის გათვალისწინებულია მცირე ქალაქებისა და დასახლებათა (დუშეთი, ყაზბეგი, დმანისი და სხვ.) განვითარება.

შავი ზღვის ნაპირის საკურორტო რაიონის რაიონული დაგეგმარების პროექტი (შ. გიგოლაშვილი, ვ. ფაფერაშვილი, ა. ლომთაძე, მ. მამულაიშვილი, ი. ყანდარელი, 1968) აგრეთვე 1980—2000 წლებისთვისაა განსაზღვრული და შავი ზღვის სანაპირო რაიონის ვიწრო ზოლს მოიცავს 328 კმ-ის მანძილზე. სანაპირო ზოლზე არსებობს 19 კურორტი, 30.000 ადგილის საერთო ტევადობით. პროექტით კი, საკურორტო რაიონის სიმძლავრე მნიშვნელოვნად იზრდება და საბოლოოდ ხუთას ათასზე მეტ საწოლს ითვალისწინებს, ისე რომ საპლაჟო რესურსები გამოყენებული იქნება 5,1 კვ მეტრის ნორმით ერთ სულზე. პროექტით იგულისხმება ტრანსპორტის, სამშენებლო ინდუსტრიის, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, კანალიზაციის განვითარება, მთელ სანაპიროზე კეთილმოწყობა და გამაგრება შავი ზღვის ნაპირისა, აგრეთვე ვრცელი პარკების მოწყობა და სხვ.

რაიონული დაგეგმარების პროექტთა მნიშვნელობა მეტად დიდია სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის და არქიტექტორ-მგეგმარებელთა, სამეცნიერო-ეკონომიურ დარგთა სპეციალისტების დიდი შრომის ნაყოფს წარმოადგენს

3 საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა

სამშენებლო წარმოების ინდუსტრიალიზაცია, როგორც აღინიშნა, უპირველესად მასობრივი მშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვან უბანს — საცხოვრებელი სახლის არქიტექტურასა და მშენებლობას შეეხო. მოწინავე ინდუს-

ტრიის ბაზაზე სადა, ეკონომიური, მაგრამ მეტყველ არქიტექტურულ კომპლექსთა შექმნა, არქიტექტორთა გადაუდებელ ამოცანად იქცა. განსაკუთრებული როლი მიენიჭა ტიპობრივი დაპროექტების საკითხებს, რომლის მნიშვნელობა ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლების სფეროს სცილდება და მხატვრულ ამოცანათა საკითხებსაც მოიცავს. ბუნებრივია, საბჭოთა არქიტექტურის მიმართულების შეცვლა, ინდუსტრიული მეთოდებისა და ტიპობრივი პროექტების საყოველთაო გამოყენებისა და დანერგვის პირობები უცბად ვერ გამოიღებდა სასურველ შედეგებს. საჭირო იყო დრო. თავდაპირველი მშენებლობის ობიექტები ჯერ კიდევ მთელ რიგ ნაკლოვან მხარეს ატარებდა, რაც შემდგომში გზადაგზა სწორდებოდა.

ბინათა ტიპობრივ სექციების უნიფიცირებული სერიის შემუშავება იძლეოდა ოთახების სხვადასხვა რაოდენობისა და პირობების შექმნის შესაძლებლობას, სადაც სანკვანძი, სამზარეულო და სხვა კომპონენტები სტანდარტიზაციის საფუძვლებს ემორჩილებოდა. არქიტექტორთა წინაშე დაისვა საკითხი ეკონომიურ ბინების შექმნისა, რომლებიც ცალკე ოჯახებისათვის იყო გამიზნული და მკვეთრად აუმჯობესებდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო-საბინაო პირობებს. ეკონომიური ბინების შექმნისათვის აუცილებელ პირობად დაისვა საკითხი ცალკე ბინების საერთო ფართობის შემცირებისა. დამხმარე სადგომთა ფართობის, სამზარეულოთა შემცირება, გასასვლელი ოთახებისა და გაერთიანებული სანკვანძის შექმნა და შემდეგ სიმაღლის შემცირება ბინათა გაიაფების საშუალებას იძლეოდა. ბინათა ახალი პარამეტრები, ბუნებრივია, დაგეგმარების ახალ ხერხებსა და საშუალებებს მოითხოვდა. 1 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება 10—12%-ით შემცირდა, ხოლო ბინათა ღირებულება 30—40%-ით 1959—54 წლების ტიპობრივ პროექტებთან შედარებით.

საქალაქო საბინაო მშენებლობის ძირითად ტიპად, როგორც ყველაზე ეკონომიური, 4—5 სართულიანი სახლები იქცა, რადგან სიმაღლეთა შემცირებამ (1958 წლიდან ნორმა 2,5 მეტრამდე დავიდა) ლიფტის აუცილებლობა მოხსნა და კონსტრუქციებიც უფრო გაამარტივა. ამასვე ემყარებოდა ქვედა სართულიდან მაღაზიათა გატანა. შეიცვალა ფართობების მიხედვითა და ოთახების შემადგენლობით ბინათა დიფერენცირების სურათიც. გაიზარდა ერთოთახიან ბინათა რიცხვი (30—33%), ხოლო სამოთახიანებისა შემცირდა (15—20%), რაც გამოწვეული იყო მისწრაფებით, რაც შეიძლება სწრაფად უზრუნველყოფილიყო ყოველი ოჯახი ცალკე ბინით.

მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანი მხარეებისა, რომელსაც ტიპობრივი პროექტები შეიცავდნენ და რომელთა შესწორება შემდგომში გზადაგზა ხდე-

ბოდა, მშენებლობის ინდუსტრიალიზაციამ და ტიპობრივმა დაპროექტებამ საბინაო მშენებლობის მასშტაბების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. უკვე 1961 წელს საბინაო მშენებლობის 95% საქართველოში ტიპობრივი პროექტებით ხორციელდებოდა. თუ რესპუბლიკის ქალაქებში საცხოვრებელი ფართობი 1921—66 წლებში 10.808 ათას კვ. მეტრს შეადგენდა, მხოლოდ 1959—65 წლებში ჩაბარებულ იქნა 4.368 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი[36]. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ თუ 60-იან წლებში ინგლისში ყოველ ათას კაცზე 6 ბინა იყო აშენებული, საფრანგეთში — 7, შვეიცარიაში — 9 და გფრ-ში — 10, საქართველოში ამ პერიოდში ყოველ ათას მცხოვრებზე 14 ბინა შენდებოდა[37]. ახალი მშენებლობის ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარეს საცხოვრებელი კვარტალების, მასივების, მიკრორაიონების კომპლექსური განაშენიანება წარმოადგენს. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მოსახლეობის დიდი ნაწილი დააკმაყოფილა ახალი ბინებით.

ტიპობრივი პროექტებით ასე ფართოდ გაშლილი მასობრივი მშენებლობა ფაქტიურად პირველად წარმოებდა მთელ რესპუბლიკაში და ამიტომ ბუნებრივია, მას ბევრი ნაკლი ჰქონდა როგორც სამშენებლო პრაქტიკის, ისე პროექტირების თვალსაზრისითაც. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა პროექტებმა სახე უცვალეს საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ-მხატვრულ გადაწყვეტას, გაამარტივეს ფასადები, ჩამოაცილეს მათ ზედმეტი სამკაული, მაინც ვერ იქნა მიღწეული ახალი საცხოვრებელი რაიონების მიმზიდველი არქიტექტურული სახე, რასაც ხელს უშლიდა ზოგჯერ შენობათა სართულიანობის შეზღუდვა, ზოგჯერ კი თვით სექციების გადაწყვეტა.

საცხოვრებელი სახლის ტიპობრივი პროექტის შედგენისას გარკვეულ სირთულეს იწვევდა საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიის ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება, რადგან ტემპერატურის, თუ სეისმურობის ცვალებადობა სხვადასხვა პირობებში აყენებს ცალკეულ რაიონებს. საქართველოს IV და ნაწილობრივ III კლიმატურ რაიონებში შეყვანა მთლად ზუსტად ვერ უპასუხებდა მოთხოვნილებას[38]. საჭირო იყო საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების ყოველი სერიის საგრძნობი გაზრდა, რათა გა-

---

[36] Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской Социалистической революции. Тб., 1967, გვ. 297.


[37] დ. გ ე ლ ე ი ძ ე. კვლავ საცხოვრებელი სახლის გამო. „ლიტერატურული საქართველო", 1967. 12. 5. № 20.

[38] Р. Агабабян, И. Цицишвили, Г. Чигогидзе. О типовых жилых секциях для строительства в Грузинской ССР. «Архитектура СССР», 1958, № II, გვ. 28.

თვალისწინებული ყოფილიყო საქართველოს სხვადასხვა რაიონების დამახასიათებელი კონკრეტული კლიმატური პირობები.

IV სამშენებლო-კლიმატურ ზონაში (საქართველოს ზონა) მოქცეული რესპუბლიკების ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ პროექტირება ამ თვალსაზრისით მკაცრ დიფერენცირებას მოითხოვს და უნდა ემორჩილებოდეს სამშენებლო-კლიმატურ ზონირებას, ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების იმ კომპლექსის გათვალისწინებით, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ შენობათა ტიპოლოგიაზე[39].

1956 წელს სსრკ სახმშენმა და სსრკ არქიტექტორთა კავშირმა მოაწყეს საკავშირო კონკურსი საცხოვრებელი სახლის ტიპობრივი პროექტების შესადგენად, რომელშიაც საქართველოდან წარდგენილი პროექტებიც დაჯილდოვ-



რიგითი სექცია 3-2. 1956 წ. საკავშირო კონკურსის მასალებიდან. (არქ. მ. შავიშვილი, ზ. ცქიტიშვილი, ა. კირთაძე; ინჟ. გ. ომაძე. გ. კოტეტიშვილი, ს. ციპლაკოვი).

და[40].ქალაქის ტიპის 5 სართულიან სახლის რიგითი სექცია (2—3) აღინიშნა მეორე პრემიით (არქ. მ. შავიშვილი, ზ. ცქიტიშვილი, ა. კირთაძე, ინჟ. გ. ომაძე, გ კოტეტიშვილი, ს. ციპლაკოვი). სახლი რიგითი და განაპირა სექციებისაგან შედგება, რომლებიც, სათანადოდ, ორ და სამბინიანია. რიგით სექციებში ბინაში შესვლა სამმარშიანი კიბის უჯრედიდან შემინული ლოჯიის საშუალებით შეიძლება. აქ ლოჯია ამავე დროს სამზარეულოსა და საერთო ოთახის დამაკავ-


---

39 К. Биркая. О типологической направленности в типовом проектировании жилища Закавказья. ТБИЛЗНИЭП. Сб. научн.-техн. информации. № 4. 1967 გვ. 5, და მისივე— Природно-климатическое районирование территории Закавказья. ТБИЛЗНИЭП. Информация № 7, 1965, გვ. 4.

40 В. Гагошидзе. Проектирование экономических квартир и секций в условиях юга. Тб., 1961, გვ. 43.

შირებელსაც წარმოადგენს. ბინებს ორმხრივი განიავება და ორიენტაცია აქვს. სანკვანძი გაერთიანებული ტიპისაა. პროექტის ერთ-ერთი ნაკლია სექციის მცირე სიგანე (8,40 მ.), ე. ი. ბინების მცირე სიღრმე, რაც მზისაგან გადახურებას გამოიწვევს.

ინდივიდუალური აივნიდან აქვს შესასვლელი 3 და 2 ოთახიან ბინებს იმ პროექტში, რომელიც მესამე პრემიით აღინიშნა და 4 სართულიანი სახლისათვის იყო განკუთვნილი (არქ. ი. ჩხენკელი, რ. ბაირამაშვილი, ა. ჯიბლაძე, ი. ყავლაშვილი, ნ. ჯობაძე, ინჟ. დ. ქაჯაია, გ. შანიძე). კიბის სამმარშიანი უჯრედი ეზოსკენაა გატანილი. ერთოთახიან ბინაში სხვებისგან განსხვავებით, შესასვ-




რიგითი სექცია 3-1-2. 1956 წ. საკავშირო კონკურსის მასალებიდან. (არქ. ი. ჩხენკელი, რ. ბაირამაშვილი, ჯ. ჯიბლაძე, ი. ყავლაშვილი, ნ. ჯობაძე, ინჟ. დ. ქაჯაია, გ შანიძე

ლელი პირდაპირ კიბის უჯრედიდან არის. ბინებში საერთო ოთახი გასასვლელია ორ და სამოთახიან ბინების ეზოს აივნების ნაცვლად ერთოთახიან ბინას ლოჯია აქვს ფასადის მხარეს.

თუ აღნიშნული სექციები განივი მზიდავი კედლებით შექმნილ კონსტრუქციულ სქემას ეყრდნობა, 48 ბინიანი სახლის სექცია გრძივი მზიდავი კედლებითაა (არქ. ზ. ქურდიანი, ს. რევიშვილი, გ. თავდგირიძე, დ. ჩოფიკაშვილი, ინჟ. ნ, მესხი ე. კაზანჯიანის მონაწილეობით). კიბის უჯრედიდან პირდაპირ ოთახებში შედიხართ. ორ და სამოთახიან ბინებში ეზოს მხრივ სამეურნეო აივანია, ხოლო ერთოთახიან ბინებს აივანი ქუჩის მხარეს აქვთ. განიავება ორმხრივია. გეგმა საკმაოდ კომპაქტურია. ნაკლად უნდა ჩაითვალოს ოთახთა ცუდი პროპორციები და კონფიგურაცია, ერთოთახიანი ბინების ცალმხრივი ორი-

ენტაცია და საერთოდ ქვეყნის მხარეთა მიმართ ბინების განლაგების შეზღუდვა და სხვ... ეს პროექტი წამახალისებელი პრემიით აღინიშნა.



რიგითი სექცია 3-1-2. 1956 წ. საკავშირო კონკურსის მასალებიდან. (არქ. ზ. ქურდიანი, ს. რეჟიშვილი, გ. თაქდგირიძე; ინჟ. ნ.მესხი).

საკონკურსო მასალამ საკმარისი მრავალფეროვნება გამოავლინა. პროექტები გარკვეული ეკონომიური გადაწყვეტით გამოირჩევა. უნდა აღინიშნოს პროექტი გალერეის ტიპის 56 ბინიანი საცხოვრებელი სახლისა (მ. ჯანდიერი, გ. ლეჟავა), რომელშიც ბინები ორი ძირითადი კიბითა და დამხმარე, მხოლოდ ერთ სართულზე ამავალი კიბეებითაა დაკავშირებული, ისე, რომ ოთხსართულიან სახლში მესამე სართული დერეფანი-გალერეით არის გამოყოფილი.


ბინათმშენებლობაში სიახლე შეჰქონდა მსხვილბლოკიანი საცხოვრებელი სახლების აგებას (არქ. შ. დავითაშვილი, კონსტრუქტორი ნ. მესხი. პირველი სახლი 1956 წელს აშენდა ლენინის ქუჩაზე). შენობა იგება ოთხ-ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლების უნიფიცირებულ ტიპობრივ სექციებისაგან. კედლები პემზა ბეტონის ბლოკებისაგან შედგება და საფასადო მხრიდან ეკლარის ბუნებრივი ქვითაა მოპირკეთებული. ბლოკების სისქე ყველა სართულზე 40 სმ-ია, გადახურვა — 24 სმ-ის სიმაღლის მქონე ღრუტანიანი პემზა-რკინა-ბეტონის საფენებითაა განხორციელებული[41].

1958 წელს დამტკიცებულ იქნა ტიპობრივი პროექტი, რომელიც საფუძვ-

---

41 Н. Джанберидзе, С. Кицурашвили. Архитектура Советской Грузии. М., 1958, გვ. 2.

ლად დაედო ძირითად მშენებლობას რესპუბლიკაში (არქ. ზ. ქურდიანი, ს. რევიშვილი, გ. თავდგირიძე, დ. ჩოფიკაშვილი), იგი 3—5 სართულიან სახლებისათვის იყო გათვალისწინებული.



ტიპობრივი საცხოვრებელი სახლის გეგმა. სერია 1-Г-450с.

სექციის კომპაქტური ხასიათი, ბინების შედარებით ეკონომიურობა, ორმხრივი განიავების შესაძლებლობა, სანკვანძის კიბის უჯრედთან განლაგება ორ და სამოთახიან ბინებში, კონსტრუქციული ელემენტების მცირე ნაირფეროვნება გარკვეულ ღირსებებს ანიჭებდა ამ პროექტს. მაგრამ გასასვლელი ოთახის არსებობა ოროთახიან ბინებში, ერთოთახიანი ბინების ცალმხრივი ორიენტაცია და ლოჯიის უქონლობა, გაერთიანებული სანკვანძი, სამზარეულოს ძალზე მცირე ფართობი (5,23 მ²), საკუჭნაოს უქონლობა და სხვ., უარყოფითად მოქმედებს პროექტის სიავკარგეზე. ამას ემატება მთავარი და ეზოს ფასადების არატოლფასოვანი გადაწყვეტა (რის გამოც კვარტალების ამ სექციებით სხვადასხვაგვარი განაშენიანების შესაძლებლობა ძალზე მცირდება), მიდგმული ლოჯიების მონტაჟის სირთულე და სხვ.[42]. ასე, რომ, ამ სექციას ფაქტიურად მკვეთრად გამოხატული მთავარი ფასადი აქვს, რაც საცხოვრებელი რაიონების განაშენიანებისას ძალზე ზღუდავს მისი გამოყენებისას რაიმე ვარირებისა და მრავალფეროვნების შესაძლებლობას (რამაც საკმარისი დაღი

[42] Р. Агабабян, И. Цицишвили, Г. Чигогидзе. Архитектурная практика Грузии. «Архитектура СССР», 1960. № 7 გვ. 14

დაასვა მთელ რიგ ახალ საცხოვრებელ რაიონებს — იხ. საბურთალოს განაშენიანება, წინა თავში).

1960 წელს, როცა საცხოვრებელ სახლებს სიმაღლე მოუმატეს, შეიცვალა ამ სახლების არქიტექტურული იერი. „ქალაქპროექტში“ დამუშავდა 8 სართულიანი სახლების ტიპობრივი პროექტი, რომლის მიხედვითაც ჯერ აგურით, აშენებდნენ. შემდეგ კი ეს პროექტი მსხვილბლოკიან მშენებლობისათვის გამოიყენეს. მაგრამ გეგმა უცვლელად იქნა დატოვებული, მხოლოდ არსებულ სექციებს ფასადის მხრიდან, სახლის მთელ ფრონტზე მიედგა ლოჯიათა ბადე, რამაც გარკვეული ცხოველხატულობა შეიტანა შენობათა არქიტექტურაში. მაგრამ გეგმარების აღნიშნული ნაკლოვანებანი უცვლელი დარჩა, პირიქით, აგურით ნაშენ სახლებში შემცირდა ფართობი, ლიფტის ჩადგმამ შეავიწროვა ლოჯიები და სხვ.

5 სართულიანი სახლების მშენებლობა მოცულობით-გეგმარებითი მაჩვენებლებით და ღირებულებით უფრო ხელსაყრელია, მაგრამ თუ საექსპლოატაციო ხარჯებს გავითვალისწინებთ 8 სართულიანი სახლები უფრო ეკონომიური გამოდის ვიდრე ნაკლებ სართულიანი სახლები[43]. ამიტომ დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი) ასეთი სახლების მშენებლობას გარკვეულ უპირატესობა ენიჭებოდა. 60-იანი წლების შუახანიდან, წინა წლებისაგან განსხვავებით, საბინაო მშენებლობა მსხვილ ქალაქებში ძირითადად 8-სართულიანი სახლებით წარმოებდა. 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო 14-სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაც. როგორც ითქვა, ასეთმა სახლებმა ახალი გამომეტყველება მიანიჭა საცხოვრებელ რაიონებს, მაგრამ ტიპობრივ პროექტთა გამოყენებისას არსებული შეზღუდულობა განსაზღვრავდა მათ უსახურ არქიტექტურულ იერს, რასაც სახლების მოსაწყენი ერთფეროვნება იწვევდა. ცალკეულ არქიტექტორთა მეცადინეობა, რომ უფრო მოხერხებულ გეგმარებით საწყისებზე შეექმნათ საცხოვრებელი სახლის ახლებური იერი საერთო სურათს ვერ ცვლიდა, რადგან არ შეეფერებოდა იმ მასშტაბებს, რომლებითაც უკვე აგებული იყო ცალკეული კვარტალები, რაიონები, მასივები.

არსებულ ტიპობრივ პროექტთა გაუმჯობესება საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გადაუდებელ ამოცანად რჩებოდა. რესპუბლიკაში მიღებული აღნიშნული მსხვილბლოკიანი ტიპობრივი სახლების სერია (I—Г—450 С), რომლის მიხედვით მშენებლობა დიდი მასშტაბით მიმდინარეობდა, დროთა განმავლობაში ვეღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს. მაგრამ სამშენებლო

---

[43] Е. Гаприндашвили. Экономическая эффективность улучшения конструктивных решений городских жилых зданий в условиях Грузинской ССР. Тб., 1967, გვ. 11.

ინდუსტრიამ აითვისა და ააწყო მსხვილი ბლოკების წარმოება, რომლის რეკონსტრუქცია-გადაკეთება, ბუნებრივია, დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვდა. ამიტომ დაისვა ახალი სერიის შექმნის საკითხი, რომელიც 60-იანი წლების ბოლოსათვის არქ. შ. ყაველაშვილის და ს. კაციტაძის, კონსტრუქტორ რ. შიოშვილის პროექტში იქნა ასახული. ახალი სერია ითვალისწინებს ნორმების უკანასკნელ მოთხოვნილებებს და სამშენებლო ინდუსტრიის ნაწარმს იყენებს იმ სახით, რომელიც აღნიშნული 8 სართულიანი მსხვილბლოკიანი სახლებისთვის იყო განკუთვნილი.


არსებული პროექტის შესწორებით არქიტექტორებმა მიაღწიეს მის საფუძვლიან გარდაქმნას: გაუმჯობესდა ბინათა გეგმარებითი ორგანიზაცია, შესაძლებელი გახდა მათი გამოყენება სხვადასხვა ქალაქთმშენებლობითი ვარიანტებით, რაც კონტრასტული განაშენიანების ყველა პირობას ქმნიდა (ტაბ. 95_1).

საცხოვრებელი სახლები დაყოფილია ბლოკ-სექციებად, რაც როგორც ბინათა შერჩევაში, ისე მიკრორაიონთა განაშენიანებაში ვარიანტების შესაძლებლობას ქმნის. გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების განსხვავებული მოცულობით-სივრცობლივი გადაწყვეტა (გრძელი ფრონტით, „წერტილოვანი“ გადაწყვეტა და სხვ.) პროექტი შეიძლება გამოყენებულ იქნას სიბრტყობრივ ან გართულებულ პერიმეტრიან მოცულობებში, რაც ცალკეულ საცხოვრებელ სახლებს სრულ ინდივიდუალობას ანიჭებს.

ახალი სერია ემყარება სხვადასხვა ბლოკ-სექციების ბლოკირების პრინციპს, კიბის უჯრედის, ლიფტებისა და ნაგვისგამტარის ჩანადგარის მოწყობის გზით. კორპუსთა შორის ჩადგმული კიბის უჯრედი შესაძლებლობას ქმნის სახლი დაიდგას რთულ რელიეფზე 1/2 სართულის სხვაობით. კიბის უჯრედის გამოყოფის წყალობით ლიფტი იზოლირებულია საცხოვრებელი სექციისაგან, ეზოს მხარეს შექმნილია სარეცხის საშრობი, მოწყობილია ვერანდა—ლოჯია რის შედეგადაც ორგანიზებულია მცხოვრებთა ერთობლივი დასვენება, რაც თავისებური გამოხატულებაა ქართული საცხოვრებელი სახლის ტრადიციებისა.

არსებული სერიისაგან განსხვავებით, რომელშიაც მხოლოდ ბინათა სამი ტიპია, ახალ სერიაში ტიპობრივ ბინათა რაოდენობა გაზრდილია ხუთოთახიანამდე, ერთოთახიან ბინათა რიცხვის მაქსიმალური შემცირებით (სერია ითვალისწინებს ერთნახევაროთახიან ბინებს ორმხრივი განიავებით). გაუმჯობესებულია ბინათა დაგეგმარება: ნორმების შეფარდებით გაზრდილია სასარგებლო ფართობი, სამზარეულოს ფართობი აყვანილია 6,8 და 8 კვ. მეტრამდე. გაუმჯობესებულია ოთახთა პროპორციები, ოთახები გაფართოვდა. თუ არსე-

ბულ სერიაში კიბის უჯრედი ემსახურებოდა მხოლოდ სამ ბინას, ახალში — კიბე გათვალისწინებულია ოთხი ბინისათვის, ლიფტებიც მეტ ბინას ემსახურება.



ტიპობრივი საცხოვრებელი სახლის ახალი სერია.


გაუმჯობესებულია სადგომთა ფუნქციური ურთიერთკავშირი — საერთო ოთახისა სამზარეულოსთან, ლოჯიასთან, დერეფანთან; საწოლი ოთახებისა სანკვანძთან და სხვ. ბინათა ფართობი დიფერენცირებულია ოჯახის შემადგენლობის მიხედვით. მარტოხელათათვის და ორ სულიანი ოჯახისათვის ბინათა საანგარიშო ფართობი საშუალოზე ოდნავ მეტია, ხოლო მრავალსულიანი ოჯახისათვის იგი ცოტა ნაკლებია. ოროთახიან ბინებში საერთო ოთახის ფართობი 18 მეტრზე არა ნაკლებია, სამ და მეტ ოთახიანში — 20 კვ. მეტრი. ორი სულისათვის (მშობლებისათვის) განკუთვნილი საწოლი ოთახის ფართობი 12 კვ. მეტრზე ნაკლები არ არის, ხოლო მეორე საწოლი — ბავშვებისათვის — 10 კვადრატულ მეტრზე არა ნაკლებია. მომატებულია საბაზანო ოთახის, დერეფნის გაბარიტები. არსებულ ტიპობრივ პროექტებისაგან გან-

სხვაებით, გაზრდილია ჩაშენებული კარადების რაოდენობა. ყველა ბინას აქვს სამეურნეო საკუჭნაო, ჩაშენებული კარადა, ანტრესოლი.

პირველ სართულში მოწყობილია სადარბაზო ვესტიბიული. აქ არის სადგომები საგორავების, ველოსიპედების შესანახად, საკუჭნაო და სხვ. დამუშავებულია სახლების ტიპები მაღაზიების გარეშე და სავაჭრო დარბაზებითაც, კლუბებით, თამაშობათა ოთახებით, ოჯახური ზეიმის ოთახით და სხვ...

ტიპობრივი პროექტების ახალი სერიის შექმნა სერიოზულ ნაბიჯს წარმოადგენს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის გაუმჯობესების საქმეში. თვით ბინების უკეთესი გეგმარების გარდა, იგი საცხოვრებელი რაიონების სივრცობრივი კომპოზიციის გაცოცხლებისა და გამრავალფეროვნების პერსპექტივებს სახავს. სხვადასხვა ფრონტისა და სართულიანობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ტიპობრივი ბლოკ-სექციების გამოყენებით აამაღლებს საცხოვრებელი მასივების განაშენიანების ესთეტიკურ გამომეტყველებას.

1960 წელს თბილისში, საბურთალოს ახალი საცხოვრებელი რაიონის ერთერთ კვარტალში აშენდა ოთხ სართულიანი 32 ბინიანი ექსპერიმენტული საცხოვრებელი სახლი გალერეის ტიპისა, რომელიც სივრცობლივი მოცულობითი



თბილისი. ექსპერიმენტული საცხოვრებელი სახლის სექცია.

ბლოკ-ოთახებისაგან არის აგებული (არქ. გ. ჩახავა; ტაბ. 94₁);[44]. იგი ოროთახიანი ბინებისაგან შედგება. ყველა ბინას ლოჯია აქვს. ოთახები ერთმანეთისა-

---

[44] Советская Архитектура. Ежегодник. 1961. М., 1963, გვ. 48; В. Гагошидзе. Проектирование экономных квартир и секций в условиях юга. Тб., 1961, გვ. 51; Р. Агабабян, П. Цицишвили, Г. Чигогидзе. Архитектурная практика Грузии. «Арх. СССР», 1960. № 7, გვ. 15.

ვან გამოყოფილია ჩაშენებული კარადებით, რომლებიც ტიხარს ქმნიან. ბინებში ჩაშენებული ავეჯი სხვა შემთხვევებშიაც გამოიყენება (დერეფანში, სამზარეულოში). სანკვანძი გაერთიანებულია. ბინების სასარგებლო ფართობი 54.49 კვ. მ., ხოლო საცხოვრებელი ფართობი — 32,3 კვადრატული მეტრია. ყველა ბინა ორმხრივი განიავებითაა. ბინები გაერთიანებულია 1,2 მეტრის სიგანის მქონე შეკიდებული გალერეით და სართულების მიხედვით ერთი ცენტრალურ ნაწილში მოწყობილ ანაკრები რკინა-ბეტონის ღია ორმარშიანი კიბეებითაა დაკავშირებული. ამრიგად, ბინებში შესასვლელი ეზოს მხრიდან არის და ნაცვლად ჩვეულებრივ სახლების სამი კიბისა, აქ საკმარისი აღმოჩნდა ერთი. რაც ეკონომიურია. თავისთავადაც, ღია კიბის მარშის მოწყობა, როცა იგი მთლიანადაა გამოტანილი შენობიდან, სავსებით ეგუება ადგილობრივ კლიმატურ პირობებს.

სახლის შემადგენელი მოცულობითი ბლოკები ქარხანაშია დამზადებული (ტაბ. 93₃). ბლოკ-ოთახების აწყობა მოხდა ქარხანაში, დეტალების დამზადების ადგილას. ამ სახლის აგებისას 80% ყველა სამონტაჟო სამუშაოებისა სწორედ ქარხანაში წარმოებს. ბლოკების წონა (10 ტ.) ისეთია, რომ შესაძლებელი ხდება არსებული საშუალებებით მათი ტრანსპორტირება. სახლის აშენებისას გამოყენებული იყო რკინა-ბეტონის ელემენტთა სამი ნაირსახეობა, რომელთაგანაც შედგენილია სახლის მზიდავი ჩონჩხი (გადახურვის ფილა ოთახებისათვის, გადახურვის ფილა სამზარეულოსა თუ სანკვანძისათვის და რკინა-ბეტონის სვეტები) კედლისათვის გამოყენებულია პემზაბეტონის პანელები.

ასეთი სახლის მშენებლობა ბევრ უპირატესობას შეიცავდა. ჯერ ერთი, დამზადების სრულ ინდუსტრიალიზაციასთან ერთად, მცირდება კვალიფიციური მუშახელის საჭიროება; იზრდება შრომის ნაყოფიერება სამშენებლო მოედანზე, საცხოვრებელი ფართობის ღირებულების შემცირებასთან ერთად, უმჯობესდება ხარისხი, მცირდება მშენებლობის ვადები და სხვ.

მაგრამ ეს სახლები მაინც უპერსპექტივო აღმოჩნდა, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ სახლში უწესოდ ჩაასახლეს მდგმურები (ჩაასახლეს მრავალსულიანი ოჯახები). იმავე დროს, გეგმარების ზოგი მომენტი (გალერეის ტიპი) ახალი ყოფისათვის მაინც შეუფერებელი აღმოჩნდა, დასასრულ, ამ სახლებს სახელი გაუტეხა დაბალმა სამშენებლო ხარისხმაც.

ამ სახლში გამოყენებული გალერეის ტიპი სხვა სახლების შემთხვევაშიაც არ იკიდებდა ფეხს, იმის გამო, რომ საერთო აივნიდან შესასვლელის მოწყობა, როცა აივანზე გამვლელი ნებსით თუ უნებლიეთ მიმოიხილავს ოთახებს, საკმაოდ სერიოზულ ნაკლოვანებად დარჩა. დამხმარე სადგომების ოთახებსა და აივნებს შორის მოთავსება მთლიანად ვერ სპობდა ამ უხერხულობას.

გალერეის ტიპი, რომელსაც უპირატესობა აქვს, თუ მარტოხელა და მცირერიცხოვანი ოჯახებისთვის იქნება გამოყენებული, საზოგადოებრივ საყოფაცხოვრებო მომსახურებას თხოულობს, რადგან იგი, ფაქტიურად, სასტუმროს ტიპის საცხოვრებელია. ამიტომ, მისი დატვირთვა მრავალსულიანი ოჯახებით თავისთავად განაპირობებდა წარუმატებლობას სახლების ექსპლოატაციის დროს. რაც შეეხება ღია კიბეს, იგი გარკვეულ ეკონომიურობას ემყარება. ასეთი კიბეები გამოყენებულ იქნა სხვა საცხოვრებელ სახლებშიც (მაგ. 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლი 55 ბინით, რომელიც 1960 წელს აშენდა. არქ. რ. აღაბაბიანი, ვ. გაგოშიძე, ტ. ჩიგოგიძე (ტაბ. 93₂). მაგრამ თავისებურ ლოჯიაში ჩადგმული კიბის უჯრედი ხშირად მტვრის ბუდედ იქცევა, რაც ექსპლოატაციის პროცესში მოუხერხებელია. ხოლო თუ საფასადო სიბრტყე ჟალიუზებით იქნა შევსებული (როგორც ეს თბილისში მცხეთის ქუჩაზე აშენებულ საცხოვრებელ სახლშია, არქ. რ. ბაირამაშვილი, თ. კანდელაკი, დ. მორბედაძე, 1962 ტაბ. 96₂), მაშინ ფაქტიურად, დიდი განსხვავება შემინული კედლისაგან არც კი არის.

საცხოვრებელი სახლების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები ინდუსტრიულ საბინაო მშენებლობაში ძირითად მიმართულებად მსხვილპანელოვან სახლთმშენებლობას სახავენ, რომლის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება: თუ 1963 წელს რესპუბლიკაში მსხვილპანელიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა 33,6 ათას კვადრატულ მეტრ ფართობს იძლეოდა, 1955 წლისათვის ამ რიცხვმა 55,6 ათასს მიაღწია.

მსხვილპანელოვან სახლთმშენებლობას მთელ ჩვენს ქვეყანაში მეტად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. 1958 წელთან შედარებით, მსხვილპანელოვან სახლთმშენებლობაში საცხოვრებელი ფართობის ერთი კვ. მეტრის ღირებულება 1965 წელს 18%-ით შემცირდა, ხოლო შრომის დანახარჯი და შენობის წონა — ერთი ორად. ამასთან, საცხოვრებელი ფართობის ღირებულება აგურის სახლებთან შედარებით 13%-ით დაბალია[45]. ქარხნული დამზადების მოწინავე მეთოდები, ბინათსაშენი ქარხნების ფართო ქსელი მთელ ქვეყანაში, საწარმოო სიმძლავრის ზრდა მსხვილპანელოვან მშენებლობას დიდ პერსპექტივებს უსახავს.

1959 წელს საქართველოს სახმშენმა მოაწყო კონკურსი 3—4—5 სართულიან მსხვილპანელოვანი საცხოვრებელი სახლების დასაპროექტებლად. სახლები 1—5 ოთახიანი ეკონომიური ბინებისაგან უნდა შემდგარიყო. პროექტის საფუძველს საქართველოში აგებული (თბილისის, რუსთავისა და ბიჭვინთის

[45] Д. Цабадзе. Типовое, но не однотипное! М., 1968, გვ. 4.

„გიპროსტროიინდუსტრიის“, აგრეთვე ბათუმის ინჟ. ვ. ლაგუტენკოს სისტემის სახლსაშენი კომბინატების) პროდუქცია წარმოადგენდა.

პროექტები ემყარება გრძივ ბიჯს, რომელიც 320 და 260 სმ-ს უტოლდება, ხოლო განივი, ავტორთა შეხედულების მიხედვით, 576 სმ-მდე იზრდება. ლაგუტენკოს სისტემის შემთხვევაში განივი ბიჯი განსაზღვრული იყო 500 სმ-ით.


კონკურსზე საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა იყო წარმოდგენილი. ბინები განირჩეოდენ როგორც ოთახთა შემადგენლობით, ისე დამხმარე სადგომთა გადაწყვეტით, საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ლოჯიებით კიბის უჯრედის ტიპით (ღია თუ დახურული), სანკვანძის სახეობითა (გაერთიანებული თუ განცალკევებული) და სხვ. ინდუსტრიული მშენებლობის მეთოდებისთვის გათვალისწინებული სექციები ეკონომიურ, ერთ ოჯახისათვის განკუთვნილ მოხერხებულ ბინებს ქმნიდენ. ამ მხრივ გამოირჩეოდა „ქალაქმშენსახპროექტის“ პროექტი (არქ. მ. გარაყანიძე, გ. მირიანაშვილი, გ. ნანობაშვილი, ს. რევიშვილი, ო. თუხარელი, დ. ჩოფიკაშვილი, ინჟ. თ. თევზაძე), „საქსახპროექტისა“ (არქ. ლ. სუმბაძე, ინჟ. ა. გეურჩოვი), „საქსახკვებმრეწვისა“ (არქ. ლ. ჯანელიძე), „საქსოფლპროექტის“ (არქ. გ. გიგოლაშვილი, ინჟ. მ. ცენტერაძე), არქ. ვ. გაგოშიძისა და ინჟ. დ. ლომაძის პროექტი და სხვ.

არქიტექტურულ-გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიური ხარისხის ამაღლებისათვის და ოპტიმალური კონსტრუქციულ-გეგმარებითი პარამეტრების დადგენისათვის აღნიშნული პროექტები საკმაო მასალას და პირობებს ქმნიდნენ, თუმცა მშენებლობა მაინც „გიპროსტროიინდუსტრიის“ IV კლიმატურ ზონისთვის განკუთვნილ, სახლსაშენი კომბინატების სერიულ მოწყობილობათა პარამეტრებთან შეფარდებული ტიპობრივი პროექტის (სერია 1—464C) მიხედვით წარმოებდა. მის მიხედვით დაიწყო მშენებლობა 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლებისა თბილისის 26 კომისრის რაიონის III მასივში (ტაბ. 94_2).

ეს ტიპობრივი სერია, რომელშიც მზიდავი განივი კედლების ბიჯი 2,60 და 3,20 მეტრია, გამოყენებული იყო სსრკ ყველა რესპუბლიკაში. გეგმარებითი — კონსტრუქციული სქემა პანელების დამზადების იოლ შესაძლებლობას ქმნის, რადგან ისინი მთლიანად ოთახის გაბარიტებთანაა შეფარდებული. რკინა-ბეტონის ტიხრები, ხმისსაიზოლაციო და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან ერთად, მზიდავ ელემენტებსაც წარმოადგენენ. ვიწრო ბიჯი ამცირებს ცემენტისა და ლითონის ხარჯვას და ამსუბუქებს გადახურვის და მზიდავი კედლების წონას, ასეთი სახლების ქარხნული დამზადების

მაჩვენებელი 80%-ს ეთანაბრება, რაც მის ტექნიკურ-ეკონომიურ ღირსებას მოწმობს.

მაგრამ აღნიშნულ სერიას მნიშვნელოვანი ხარვეზები ჰქონდა. საცხოვრე-




მსხვილპანელოვანი საცხოვრებელი სახლი. სერია 1-464ყ. რიგითი სექცია. 1-2-3. (მესამე მასივი ოთხსართულიანი სახლები).

ბელ სექციებში ყველა ბინა არ არის უზრუნველყოფილი ორმხრივი განიავებით. საერთო ოთახები გასავლელია, სამზარეულოს მცირე ფართობი აქვს, სანკვანძი გაერთიანებულია, მიშენებული ვერანდები, ოთახთა მცირე სიღრმისა და სიმაღლისას კიდევ უფრო აუარესებდა სადგომთა ინსოლაციის პირობებს. ვერანდასთან სამზარეულო არ არის დაკავშირებული, რაც მოუხერხებელია, ისევე, როგორც ოთახთა ვიწრო განი, რომელიც ავეჯის განლაგებისათვის ვერ ქმნის შესაფერ პირობებს. საცხოვრებელი სახლის ეს ტიპი ბინათა შეზღუდულ რაოდენობას მოიცავს და ამის გამო შენობათა ნაირსახეობის შესაძლებლობა გამორიცხულია. 3 — სექციიანი საცხოვრებელი სახლი ერთ, ორ და სამოთახიან რიგით სექციისა და გვერდის ერთ და ოროთახიანი ბინებისაგან შედგება. როგორც აღინიშნა, ბინები უნიფიცირებულ საცხოვრებელ სექციებს ეყრდნობა, რომლებიც მზიდავ განივი კედლების მოდულითაა განსაზღვრული. ოთხ და ხუთოთახიანი ბინების უქონლობაც დიდ უხერხულობას ქმნიდა მრავალსულიანი ოჯახების შესახლების დროს.

სახლთსაშენი ქარხნების წარმოების მოუქნელი ტექნოლოგია ზღუდავდა ტიპობრივი პროექტების შემდგომ გაუმჯობესებას. ტიპობრივი დეტალების დიდი რაოდენობა და სხვადასხვა წონა, მშენებლობის ანტისეისმურ მოთხოვნილებათა უგულებელყოფა აგრეთვე მთელ რიგ წინააღმდეგობას ქმნიდა წმინდა ტექნიკურ-სამშენებლო თვალსაზრისითაც.

ეს პროექტი შემდგომში გადამუშავებულ იქნა (არქ. დ. ცაბაძე) და განივი კედლების ერთიანი მალის შექმნით (3,2 მ)[46], ანაკრები დეტალების ტიპობრივ ელემენტთა შემცირებით გაუმჯობესდა ბინათა დაგეგმარება, გაიზარდა დამხმარე ოთახთა ფართობი, გასავლელი ოთახები მოისპო. მიდგმულ ვერან-



მსხვილპანელოვანი საცხოვრებელი სახლი ერთიანი ბიჯით. სექცია 1-2-3. (დ. ცაბაძე)

დების ნაცვლად ჩაშენებული ლოჯიები იქნა გამოყენებული, რაც კონსტრუქციულად უფრო მიზანშეწონილია და თან მის ტრანსფორმაციისა და საცხოვრებელ ოთახთან გაერთიანების უკეთეს პირობებს ქმნის[47]. ამასთან ერთად, შემცირდა ღირებულება, რკინა-ბეტონის ანაკრები პროდუქციის ხარჯვა, გაიზარდა ბინათსაშენ ქარხანათა წარმადობა.


---

46 საქართველოში მსხვილპანელოვანი სახლების კონსტრუქციული სქემის შემდგომი სრულყოფისათვის პერსპექტივულია განივი ბიჯის გაზრდა, რაც მოცულობით — გეგმარებითი გადაწყვეტის ნაირფეროვნების შესაძლებლობას გაზრდის და თავისუფალი დაგეგმარების პირობებს შექმნის. ნახ. Экономическая эффективность улучшения конструктивных решений городских жилых зданий в условиях Грузинской ССР. Тб., 1967, გვ. 13

47 Д. Цабадзе. Некоторые особенности крупнопанельного домостроения в Грузинской ССР. Тб., 1967. დისერტაცია გვ. 66.

ამ პროექტის მიხედვით თბილისში, 26 კომისრის რაიონის III მასივში, თავდაპირველად აშენებულ იქნა ორსექციიანი (სამბინიანი სექცია: 1—2—3) სახლი (ტაბ. 94₃). აღნიშნულ ღირსებებთან ერთად, გრძივი ბიჯის გაზრდამ ანაკრები ნაწარმის ტიპებიც საგრძნობლად შეამცირა, რაც ბინათსაშენი ქარხნის შესაძლებლობას აფართოებდა. ხუთ სართულიანი საცხოვრებელი სახლები ფასადთა არქიტექტურითაც გაუმჯობესდა, რისთვისაც საკმარისი აღმოჩნდა ისეთი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, დეტალი, როგორიც ჩაშენებული ლოჯიებია. მაგრამ ერთტიპოვანი სახლებით მშენებლობისას არ იყო შესაძლებლობა ტერიტორიის პირობებისა და რელიეფის შესატყვისი ნაირსახეობის, ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატური და ქალაქთმშენებლობითი საკითხების მრავალმხრივი გადაწყვეტისა. ამის გამო მშენებლობა სახლების მოსაწყენ ერთფეროვნებას კვლავ ვერ სცილდებოდა.

ამ თვალსაზრისით პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა ტიპობრივი ბლოკ-სექციების გამოყენება (არქ. დ. ცაბაძე, 1965), რომელიც კონფიგურაციით, სართულიანობითა თუ ბინათა შემადგენლობით ყველაზე გამოსადეგი ვარიანტების გამოყენების მეთოდს ემყარებოდა. ორსექციანი 5-სართულიანი



მსხვილპანელოვანი საცხოვრებელი სახლი ერთიანი ბიჯით. 1965 წლის მშენებლობა.


საცხოვრებელი ბლოკი ნაკვეთის პირობებთან შეფარდებით იდგმება ცალკე ან ბლოკირებით. ბლოკის ფრონტის სიგრძე — 32 მ, ესიტყვება დეფორმაციული ნაკერის ოპტიმალურ ბიჯს. სახლების ბლოკირება განაშენიანების მრავალფეროვნებისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. აღსანიშნავია, რომ ერთიანი სამშენებლო პარამეტრების გამოყენებისა და ნაკეთობათა რაოდენობის შეზ-

ღუდული რიცხვის გამო, ტიპობრივი ბლოკების დამზადება ქარხნების წარმადობაზე არსებით გავლენას არ ახდენდა.[48]

სართულიანობის გაზრდა რენტაბელური აღმოჩნდა არსებული ქარხნების საწარმოო შესაძლებლობების გამოყენებისას. თანაც ასეთ პირობებში ქარხანა შეუფერხებლად გადადის მრავალსართულიან სახლების დამზადებაზე.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ხუთზე მეტ სართულიანობის შემთხვევაში სახლის ღირებულება მატულობს, რაც ძირითადად დაკავშირებულია ლიფტების, ნაგვისგამტარების მოწყობასთან. მიუხედავად ამისა, ხუთსართულიანი პანაშენიანებიდან ცხრასართულიანზე გადასვლა საკმაოდ ადიდებს ქალაქის ტერიტორიის გამოყენების ეფექტს და რენტაბელურია.

უფრო გვიან („თბილზნიეპის“ პროექტი, 1966)[49] დამუშავდა 9 სართულიანი მსხვილპანელოვანი საცხოვრებელი სახლის პროექტი, რომელიც ისევ 2,6 და 3,2 მეტრიან ბიჯს ემყარება. ბინათა ორმხრივი ორიენტაცია, ოთახთა ზონირება, გამჭოლი ან კუთხის განიავება ყველა ბინაში (ერთოთახიანის ჩათვ-



ცხრასართულიანი ოთხსექციანი მსხვილპანელოვანი საცხოვრებელი სახლი 90 ბინისათვის. რიგითი სექცია 3-2.


ლით) კარგ პირობებს ქმნიან. მოხერხებულია სამზარეულოს დაკავშირება სასადილო ოთახთან და ლოჯიასთან. ჩაშენებული ავეჯი ზრდის ბინათა კომფორტს. ოთახებში გათვალისწინებულია ტრანსფორმაციის შესაძლებლობა,

[48] Д. Цабадзе. Типовое, но не однотипное. М., 1968. გვ. 34.

[49] Г. Хизанишвили. Новые проекты 9-этажных крупнопанельных жилых домов серии 1 — 464 АС. ТБИЛЗНИЭП. Информация № 7, 1966, გვ. 14.

რაც ჩასახლებული ოჯახის კონტინგენტის ცვალებადობას ესიტყვება. გეგმა კომპაქტურია, განსაკუთრებით კი სამ და ოთხოთახიან ბინათა სექციები. წინა პროექტებისაგან განსხვავებით, ამ სერიაში კვლავ არის აღდგენილი განივი კედლების დაცილების 2,60 მ ბიჯი, რაც მაინც სივიწროვეს ქმნის ოთახებში. რიგით სექციებში საერთო ოთახი, რომელიც ლოჯიას უკავშირდება, ღრმაა და, თუმცა თვით ოთახი ნორმებით დაშვებულ შეფარდებას არ აკარბებს, მასთან მიდგმული ლოჯია არღვევს ინსოლაციის ნორმალურ პირობებს.

საინტერესო საცხოვრებელი სახლები შენდება ქალაქ ბათუმში, სადაც გამოყენებულია მსხვილპანელოვანი საცხოვრებელი სახლების კოშკური, ანუ „წერტილოვანი“ ტიპი. კიბის უჯრედთან ოთხი ბინის დაკავშირება უზრუნველყოფს ბინებისათვის ორმხრივ ორიენტაციასა და სხვა ჰიგიენურ პირობებს. ერთსექციანი 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი 48 ბინისაგან შედ-



ბათუმი. მსხვილპანელოვანი კოშკური სახლის ტიპობრივი სართულის გეგმა.

გება სამ ოროთახიან და ერთ სამოთახიან ბინისაგან ყოველ სართულზე. ბინები გეგმაში კვადრატის პერიმეტრზე ისეა განლაგებული, რომ კუთხეებს ავსებენ, რითაც ბინას ორმხრივი ორიენტაცია და კუთხის განიავება ენიჭება.

ყველა ბინა აივანზე და ლოჯიაში გამოდის. ოთახთა ზონირება, პროპორციები. სანკვანძთან და სამზარეულოსთან კავშირი საძილე და სასადილო (საერთო) ოთახებისა — მოხერხებულია.

ასეთი ტიპის სახლებს, რაკი ერთი კიბის უჯრედი და ლიფტი ოთხ ბინას ემსახურება, მთელი რიგი ეკონომიური უპირატესობანი ენიჭება, რაც განსაკუთრებით საგრძნობია რთული რელიეფისა და სეისმურ პირობებში. ამას ემატება შენობათა მომხიბვლელი არქიტექტურულ-მხატვრული გამომსახველობაც.

ბათუმის კოშკური სახლების ფასადები გეგმარების საერთო არქიტექტურულ გადაწყვეტას ემორჩილება. ორ მხარეს შეწყვილებული აივნებია ცენტრში მთელს სიმაღლეზე ხაზგასმული, ხოლო სხვა ფასადებს სართულების მიხედვით აივანთა ჰორიზონტული ზოლი მიყვება, ხოლო კიბის უჯრედის მხარეს ვერტიკალური ჟალუზებია გამოყოფილი. ფასადები სადა და მარტივია. ძირითად აქცენტებს აივანთა რიტმი სვამს. გვერდის ფასადების მცირე გაბარიტიანი სარკმელები თითქოს მასშტაბს უცვლიან მთელს ნაგებობას და მეტ სიმაღლეს ანიჭებენ კოშკს, რომლის გვერდებისა და სიმაღლის შეფარდება სასიამოვნო ვერტიკალურ მოცულობას ქმნის (ტაბ. 95₂).

ამრიგად, თანდათანობით იხვეწება მსხვილპანელოვანი საცხოვრებელი სახლების არქიტექტურულ-მხატვრული სახე, უმჯობესდება გეგმარება. მსხვილპანელოვან სახლების კონსტრუქციულ-სამშენებლო შესაძლებლობათა ცვლა უფრო მეტად გამოავლენს მასობრივი საცხოვრებელი სახლის ამ ყველაზე მეტად პერსპექტივული ნაირსახეობის ყველა მხარეს. რაციონალური გეგმარებით — კონსტრუქციული სქემა, საქარხნო პროდუქციის უნიფიკაციისა და სახლთსაშენი კომბინატების მაღალ წარმადობასთან ერთად, უნდა ერთიანად წყვეტდეს საბინაო კომფორტის ყველა საკითხს.

უკვე მიღებული გამოცდილების შედეგად, ახლებურ გადაწყვეტას თხოულობდა ისეთი საკითხები, როგორიცაა სახლების სართულიანობა, სადგომთა სიმაღლე, ვერანდა-ლოჯიების დაგეგმარება და სხვ., რომლებიც კონსტრუქციულ გადაწყვეტასთან ერთად, ბინათა საერთო კომფორტის გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული. სახლების სართულიანობის შესახებ უკვე არაერთგზის აღინიშნა: ეს საკითხი დაკავშირებული იყო ვერტიკალური კომუნიკაციებით გამოწვეულ ხარჯებთან და საერთო ღირებულების ზრდასთან. ამიტომ ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ასეთი მშენებლობის რენტაბელობა ეკონომიური თვალსაზრისით, ხოლო თვით სადგომთა სიმაღლის განსაზღვრა დაკავშირებულია ჰაერის ჰიგიენური ნორმის უზრუნველყოფასთან. საცხოვრებელი სადგომების არასაკმარისი კუბატურის შემთხვევაში, ახალ ჩასასახლებელ ბინებში

ჰაერის ჰიგიენური ნორმა უმჯობესია უზრუნველყოფილ იქნას სიმაღლის გაზრდით და არა საცხოვრებელი ფართობის მომატებით. ჰაერის კუბატურის მომატება 10%-ით სადგომთა სიმაღლის ხარჯზე, იწვევს ღირებულების გაზრდას 3,4%-ით მაშინ, როცა ფართობით გაზრდილი კუბატურა ღირებულებას 5%-ით ზრდის. ტიპობრივი პროექტების სექციებში ოთახთა სიღრმე, რომელიც ზოგ შემთხვევაში ოთახთა ორმაგ სიგანესაც კი აღემატება, 2,5 მ სიმაღლის ოთახებში ვერ უზრუნველყოფს ინსოლაციის ნორმატულ მოთხოვნილებას. ამ მიმართულებით კორექტივი სამშენებლო პარამეტრების ჰიგიენურ მოთხოვნილებებთან შეფარდებისათვის უნდა იქნას შეტანილი ან კორპუსის სიღრმის მომატებით, ან სართულის სიმაღლის გაზრდით. ეს უკანასკნელი კი ეკონომიური თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელია. საერთოდაც, როგორც მეცნიერული მონაცემები ასაბუთებენ, საცხოვრებელ სადგომთა სიმაღლის მომატება გამართლებულია არა მარტო ჰიგიენური, არამედ ტექნიკურ-ეკონომიური მოსაზრებებითაც[50]. და მართლაც, 60-იანი წლების მეორე ნახევარში საცხოვრებელ სახლების ტიპობრივ პროექტებში ოთახთა სიმაღლე გაზრდილი იყო მსხვილბლოკიან საცხოვრებელ სახლებში 2,70, ხოლო მსხვილპანელოვანში 2,8 მ-მდე.

ბინების დაგეგმარებაში იხვეწება ოთახთა ზონირების საკითხები, რაც დაკავშირებულია მთლიანი კომპლექსის (ორიენტაცია, განიავება და სხვ.) გაღაწყვეტასთან. სანკვანძის დიფერენცირებული დაგეგმარება, ლოჯია-ვერანდები, ჩაშენებული საკუჭნაოები და კარადები აუმჯობესებს საექსპლოატაციო პირობებს. სწორდება საცხოვრებელ და დამხმარე სადგომთა ზომები.

უნდა აღინიშნოს, რომ ბინათა ტიპები მათ შემადგენლობათა მიხედვით არ ემორჩილებოდა ქალაქთა დემოგრაფიულ სტრუქტურას, რამაც საცხოვრებელ სახლთა მექანიკური მშენებლობა გამოიწვია. ამიტომ ჩასახლების კონტინგენტი ვერ კმაყოფილდება ნორმალურად. სამზე მეტი ოთახიანი ბინების სიმცირე ან უქონლობა, ერთოთახიანი ბინების დიდი რიცხვი უარყოფითად მოქმედებდა საბინაო საკითხის გადაწყვეტაზე.

მასობრივი ბინათმშენებლობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ერთერთ ყველაზე სერიოზულ საკითხს წარმოადგენს არქიტექტურასა და მშენებლობაში. პარტიის პროგრამაში აღნიშნულია, რომ სკკპ ამოცანად სვამს გადაწყვეტილ იქნას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ყველაზე მწვავე პრობლემა — საბინაო პრობლემა[51].

---


50 Д. Цабадзе. Некоторые особенности крупнопанельного домостроения в Грузинской ССР.: დისერტაცია, Тб. 1967, გვ. 82 და შემდეგ.

51 Материалы XXII съезда КПСС. М., 1962, გვ. 390.

ამრიგად, აღნიშნული ეტაპისათვის ყველაზე მეტად მასობრივი ბინათმშენებლობაა დამახასიათებელი. საცხოვრებელი რაიონების სტრუქტურის გადაწყვეტა, ორგანიზებული სივრცის შექმნა, რომელიც ეკონომიურობის და მოხერხებულობის პრინციპებს ემყარება მიმართულია მცხოვრებთა მრავალმხრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ.

ამ პერიოდში აშენებულ ცალკეულ საცხოვრებელ სახლთაგან აღსანიშნავია რამდენიმე, რომლებიც ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების წინა ეტაპების ნაწარმოებთაგან განირჩევა სადა, ლაკონიური არქიტექტურული ფორმებით. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს 200-ბინიანი სახლი თბილისში სანაპიროზე, მარქსის ხიდთან (გ. მელქაძე, შ. ყავლაშვილი, ლ. ხარაშვილი, 1964, ტაბ. 93[3]), რომლის მშენებლობა რამდენიმე რიგად მიმდინარეობდა. პროექტმა მნიშვნელოვანი სახესხვაობა განიცადა. თეთრმეტი სექციისგან შედგენილი საცხოვრებელი სახლი 1—2—3 ოთახიანი ბინებისაგან შედგება, რომელთაგან შენობის ცენტრალურ ნაწილში მხოლოდ ერთი და ოროთახიანი ბინებია, პირველ სართულში მოთავსებულია კინოთეატრი, ჭორწინების სახლი, პოლიკლინიკა, მაღაზიები. მოედანთან მდებარე 10-სართულიან ნაწილში ღია კიბის უჯრედზე სხვადასხვა შემადგენლობის ბინები გამოდის. ეს სექცია განსხვავებულია სხვებისაგან და გალერეის ტიპის პრინციპზეა დამყარებული[52].

ყველა ბინას აქვს გამჭოლი განიავება, ღრმა ლოჯიები დამატებით სასარგებლო ფართობს მატებენ ბინებს. ოთახთა სასიამოვნო პროპორციები, აივნე-



თბილისი. საცხოვრებელი სახლი სანაპიროზე (კამოს ქ. № 2) ცენტრალური ნაწილის ტიპობრივი სართულის გეგმა.

---

[52] Т. Квирквелия. Тбилиси. М., 1969, გვ. 110. ნახ. აგრეთვე «Советская архитектура». Ежегодник. М., 1963. გვ. 46.

ბი, ლოჯიები მყუდრო, მოხერხებულ ბინებს ქმნიან. თუმცა დაგეგმარებას აქვს ნაკლოვანი მხარეებიც: შენობის სხვადასხვა მონაკვეთში ბინებს ორიენტაციის მხრივ თანაბარი პირობები არა აქვთ, სასადილო ოთახები მოცილებულია სამზარეულოს, ლიფტების მოთავსება ავიწროვებს და აბნელებს ოთახებს და სხვ.

შენობის საერთო არქიტექტურა მთლიანად ემყარება სამხრეთულ პირობებს, რაც თავის ანარეკლს პოულობს ფასადთა გადაწყვეტაშიც. შენობას სანაპიროს დიდი მონაკვეთი უკავია და ფასადის სიბრტყეში ფერადოვანი მახვილების შექმნით საერთო განაშენიანებაში მაჟორულ აქცენტს სვამს. თეთრი ეკლარის ქვით მოპირკეთებული სადა კედლის სიბრტყე, კვადრატული პროპორციის სარკმლებით, შეწყვილებულ ლოჯიათა ღრმა ჩრდილით, ორნამენტული აჟურული ვერტიკალური ჩანადგარებით — ეფექტურ კომპოზიციას ქმნის. ავტორებმა შეძლეს ფორმათა სისადავე, მოცულობითი ელემენტები, ფერი დაემორჩილებინათ ერთიანი ამოცანისათვის და, მიუხედავად ფასადთა ფრონტის სიდიდისა და აღქმის მრავალი წერტილის არსებობისა, შეექმნათ სავსებით გაწონასწორებული, შეკრული კომპოზიცია. როგორც ითქვა, სანაპიროს ამ მონაკვეთზე განაშენიანების წამყვანი კომპონენტის როლს ასრულებს[53].

თავისი არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით ასევე საინტერესოა ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი მცხეთის ქუჩაზე (რ. ბაირამაშვილი, თ. კანდელაკი, დ. მორბედაძე, 1962), რომლის მომრგვალებული საფასადო ფრონტი კარგად ერწყმის ქუჩის საერთო დინებას. ქვედა სართულის ქვის ერთიან ცოკოლზე შემდგარ სახლში ცხოველხატულ აქცენტებს ქმნის ლოჯიათა დაწოლილი სწორკუთხედები და გამჭოლი ვერტიკალებით დაყოფილი კიბის უჯრედი. ფასადის კომპოზიცია მიმზიდველია. ფორმათა სისადავითა და ზარტივი გადაწყვეტით.

თბილისში, ვაკის რაიონში, შენდება 72-ბინიანი საცხოვრებელი სახლი (არქ. ო. ჯაყელი, დ. ცხაკაია, 1968), რომელიც, მართალია, გადაჭარბებულ ფართობს შეიცავს, მაგრამ საინტერესოა გეგმარებითი მომენტებით (ტრანსფორმაციისათვის გათვალისწინებული „თავისუფალი“ სივრცე, სამზარეულო-სასადილოს ბლოკი და სხვ.). აქ გათვალისწინებულია კლიმატური პირობებით და ადგილობრივ ჩვევებით ნაკარნახევი კომფორტი. ორ სართულზე გადაწყვეტილი ღია ეზო-ტერასები მყუდრო ადგილებს ქმნიან ბავშვების თამაშობათა

---

53 ნ. ჯანბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურა. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1961. № 5, გვ. 32.

და ვეგეტარული შეხვედრებისათვის. ბლოკური ტიპის ამ გეგმარებითი ხერხის გამოყენებით ავტორები მიუახლოვდნენ ქართული საცხოვრებელი სახლის ტრადიციულ გადაწყვეტას, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ღია აივნებს, ტერასებს, სადაც მცხოვრებლები ბევრ დროს ატარებენ. საცხოვრებელი ბლოკები რელიეფზე ცხოველხატულ კომპოზიციას ქმნიან.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ვარაზისხევის განაშენიანება (არქ. რ. ბაირამაშვილი, ნ. შოშიტაიშვილი, 1968), სადაც სხვადასხვა სიბრტყეებით ერთმანეთზე მიდგმული მაღალი კორპუსები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ფასადის მთელ ფრონტზე აივნებითა და არქიტექტურული დამუშავების ხასიათის ერთიანობით. აღმართზე საფეხუროვანი მოცულობები საცხოვრებელი განაშენიანების მეტად მიმზიდველ მონაკვეთს ქმნიან (ტაბ. 96_1).

აღნიშნული მაგალითები ამახვილებენ ყურადღებას საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში მხატვრულ ამოცანათა მნიშვნელობაზე, რაც კვლავ მასობრივი ბინათმშენებლობის საჭირბოროტო საკითხად რჩება.

4 საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათა არქიტექტურა

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ახალ ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადა საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა არქიტექტურამ. ტიპობრივი პროექტებისა და მშენებლობის ინდუსტრიალიზაციით შეპირობებული ახალი ამოცანები ახლებურად წარმოადგენდენ საზოგადოებრივ შენობებს, როგორც მათი გეგმარებით-ფუნქციური, ისე სივრცობლივ-მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისითაც.

ფართოდ გაშლილი საბინაო მშენებლობა, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მოითხოვდა მასობრივ საზოგადოებრივ შენობათა ტიპების გაუმჯობესებას. მასობრივი მშენებლობის საზოგადოებრივი შენობები არქიტექტორთა და მშენებელთა ყურადღების ცენტრში მოექცა. სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგები, საავადმყოფოები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, კინოთეატრები და სავაჭრო დაწესებულებანი საერთო საქალაქთმშენებლო ამოცანების, ახალი საცხოვრებელი კვარტალების და მიკრორაიონების, დასასვენებელ ზონათა მეტად მნიშვნელოვან კვანძებს ქმნიდნენ, რომელთა დაგეგმარება გამომდინარეობდა მშრომელთა საყოფაცხოვრებო თუ კულტურული მოთხოვნილებიდან და ეფარ-

დებოდა არქიტექტურის ახალი მიმართულების პრინციპებს. ამის შედეგად მკვეთრად ამაღლდა მასობრივი მშენებლობის საზოგადოებრივი შენობების რიცხვი. 1961 წელს აშენებული იყო 25 სასკოლო შენობა 15,7 ათას მოსწავლისათვის, 1965 წელს კი 54 სასკოლო შენობა ჩაბარდა, რომლებიც 23 ათას მოსწავლისათვის იყო გაანგარიშებული[54]. 1939 წელს აშენებულ სანატორიუმებში 8,4 ათასი საწოლი იყო, 1966 წელს ეს რიცხვი 19,9 ათასამდე გაიზარდა, ხოლო დასასვენებელი სახლებისა, შესაბამისად 5,8 ათასიდან 9,9 ათასამდე[55].

მასობრივი მშენებლობის საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა ტიპობრივი განპირობებულება არა მარტო კონსტრუქციულ სამშენებლო ინდუსტრიალიზაციას, მის გაუმჯობესებას გულისხმობდა, იგი ცვლიდა ძველ შეხედულებებს სასკოლო თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებზე. დაისახა ახალი გეგმარებითი და მოცულობით-სივრცობლივი კომპოზიციური შესაძლებლობანი. ფართო გავრცელებას პოულობს პავილიონური და ცალკე მოცულობითი ბლოკებით შედგენილი შენობები. სასკოლო შენობები გულისხმობენ საერთო-საგანმანათლებლო სკოლის ახალ, ფართო პერსპექტივებს. მისი განუყოფელი ელემენტები ხდება სახელოსნო-ლაბორატორიები. ადგილობრივი პირობების გამოყენება ცალკეული ბლოკების დაკავშირების შესაძლებლობას ქმნის გადასასვლელების სახით. შიდა ეზო გამოიყენება გაზაფხულზე და შემოდგომაზე რეკრეაციისათვის და სხვ. (სკოლა 520 მოსწავლეთათვის. არქ. ა. აბეზჰუსი, ვ. ბერლინი, ა. დუბსონი, რ. ფაიერშტეინი. 1957).

სავაჭრო დაწესებულებათა პავილიონები ტიპობრივი პროექტებით შენდება მთელს რესპუბლიკაში. კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების ახალ ტიპებს წარმოადგენენ ახალ საცხოვრებელ მასივებში და მიკრორაიონებში აგებული მოსახლეობის მომსახურების პირველადი ბლოკები.

საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები იგება სხვადასხვა ქალაქებში. ფართოა საზოგადოებრივ ნაგებობათა დანიშნულების დიაპაზონი. გარდა უკვე ცნობილი ტიპებისა, არქიტექტორები მუშაობენ ახალ, ხალხმრავალი ღონისძიებებისათვის განკუთვნილ, ნაგებობათა დაპროექტებაზე. მათ რიცხვს განეკუთვნება სპორტის სასახლე თბილისში (არქ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. კაბრაძე, კონსტრუქტორი დ. ქაჯაია, 1961), რომელმაც თავიდანვე მიიპყრო ყურადღება კონსტრუქციული და ხუროთმოძღვრული გადაწყვეტის სიახლით.

---

[54] Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции. Тб., 1967. გვ. 301.

[55] იქვე, გვ. 271.

სასტუმროთა ძველ ტიპებს შეემატა ტურიზმის გაფართოებასთან დაკავშირებული ტიპები მოტელებისა და კემპინგებისა. თბილისში შენდება სასტუმროები „აფხაზეთი“ (არქ. თ. შუბლაძე, 1962), „კოლხეთი“ (თ. თევზაძე თ. ნ. ჯობაძე, 1963), „ივერია“ (ო. კალანდარიშვილი ი. ცხომელიძის მონაწილეობით, 1967), დიღმის მოტელი (არქ. ო. ქოჩაკიძე, ა. სლავინსკი, ი. ჩიკვაიძე, 1962); ბათუმში — უნივერსალური მაღაზია (არქ. გ. ფოცხიშვილი, 1965) და კინოთეატრი (არქ. ნ. აბაშიძე, 1962). წყალტუბოში — ახალი საბაზანო შენობები (არქ. ი. ზაალიშვილი, კონსტრ. დ. ქაჯაია, ნ. მესხი, 1960). დიღომში აშენდა სას.-სამეურნეო ინსტიტუტი (არქ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გაბაშვილი, 1967), კრწანისში — ზოოვეტერინალური ინსტიტუტის შენობა (არქ. ო. თუხარელი ვ. ბირკაიას მონაწილეობით). თბილისში აიგო უნივერსიტეტის ახალი კორპუსი (არქ. მ. შავიშვილი, შ. კაჭკაჭიშვილი, ს. ბეჟანოვი, მ. შუბლაძე, კონსტრ. მ. ლომიძე, 1968). ჩატარდა კონკურსი საუნივერსიტეტო ქალაქის დასაპროექტებლად. ქალაქი სხვადასხვა სასწავლო და საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობათა რთული კომპლექსისაგან შედგება (კონკურსის პირველ ეტაპზე გაიმარჯვა შ. კაჭკაჭიშვილის, ვ. კედიას, ს. რევიშვილის და ა. საბაშვილის პროექტმა). მიმდინარეობს კომპლექსის შემდგომი დამუშავება. მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა თბილისის მეტროპოლიტენის სადგურების არქიტექტურული გადაწყვეტა.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა არქიტექტურამ დიდი ცვლილებები განიცადა, როგორც საერთო გადაწყვეტის, ისე ინტერიერის დამუშავების მხრივ. განვითარების უკანასკნელი ეტაპებისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული გამომსახველობის თავისებურება სწორედ ამ ნაგებობებში გამოვლინდა ყველაზე მეტად. ეს ეხება არა მარტო წმინდა არქიტექტურულ-მხატვრულ მხარეს, არამედ საინჟინრო-კონსტრუქციულ გადაწყვეტას, ახალ საშენ მასალათა გამოყენებას და სხვ. შენობათა საინჟინრო მოწყობილობათა დონე (ჰაერის კონდიცირება, განათების რთული სისტემები, აკუსტიკური დანადგარები და სხვ.). ახლებურად ავლენს ნაგებობათა სახეს. თამამი კონსტრუქციული შესაძლებლობანი (დიდი მალის გუმბათები და სხვ.) პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნილებებს. ალუმინის, ორგანული მინის, პლასტიკების, ხის პანელების და სხვათა გამოყენება ახალ გამომეტყველებას ანიჭებს ახალ არქიტექტურულ ფორმებს, იმავე დროს, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების არქიტექტურულ-მხატვრულ გადაწყვეტაში დიდ ადგილს იკავებს მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნება.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ახალ ეტაპზე პირველი მნიშვნელოვანი წარმატება იყო სპორტის სასახლის დაპროექტება-მშენებლო-

ბა (არქ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. კასრაძე, კონსტრ. დ. ქაჯაია, 1961 ტაბ. 97), რომელიც ყურადღებას იპყრობდა, როგორც მხატვრული სახის გადაწყვეტით, ისე კონსტრუქციულ-საინჟინრო თავისებურებით. ეს იყო, ფაქტიურად, პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელშიც გამოჩნდა ახალი ფორმის ძიება, რაც ახალი კონსტრუქციებისა და მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების გამოყენების გზით იყო მიღწეული.

თბილისში სპორტის მრავალადგილიანი სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობის საკითხი ჯერ კიდევ 1952 წელს დაისვა, მაგრამ რეალურად პროექტზე მუშაობა 1955 წელს დაიწყო, როცა სასახლისთვის ადგილი გამოიყო ყოფ. საბურთალოს ბაზრის ტერიტორიაზე. 1956 წელს პროექტი გამოტანილ იქნა ფართო სამსჯავროზე, ხოლო 1957 წელს მშენებლობა დაიწყო[56].

სპორტის სასახლისათვის შერჩეულ იქნა კვადრატი (88×88 მ) რომლის ცენტრალური ფართობი, აგრეთვე კვადრატულსავე (76×76 მ) სადემონსტრაციო დარბაზს უჭირავს (ტაბ. 97₂). მის პერიმეტრზე მოთავსებულია ამფითეატრად ამაღლებული ტრიბუნები 9305 მაყურებლისათვის. ეს რიცხვი 1200 ადგილით იზრდება პარტერში დამატებითი ადგილების განლაგების შემთხვევაში.

მაყურებლები დარბაზს სამი მხრიდან ავსებენ. მეოთხე (უკანა) მხარეს სპორტსმენთა და მომსახურე პერსონალის შესასვლელია. ადმინისტრაცია პირველ და მეორე სართულებს შორის არის განლაგებული და მოხერხებულად უკავშირდება ყველა სადგომს. შენობის სამი სართულიდან — ერთი მიწაშია ჩაღრმავებული და დარბაზის დატვირთვა-ევაკუაცია მეორე სართულის დონიდან ხდება, საიდანაც შენობა მიწის ზედაპირთანაა გათანაბრებული. ფოიე-კულუარები შენობის ორი იარუსის მთელ პერიმეტრზეა. შენობაში, ძირითად სადემონსტრაციო დარბაზთან ერთად, არის ორი სატანვარჯიშო დარბაზი. სპორტსმენებს ემსახურება გასასვლელების, ფოიესა და სხვა დამსმარე სადგომებისაგან შემდგარი სპეციალური ბლოკი.


შენობა უზრუნველყოფილია კინო, რადიო და სატელეფონო მოწყობილობითა და კაბინებით, სავენტილაციო კამერებით კონდიციონირებული ჰაერის მოწოდებისათვის, ხელოვნური ყინულის შესაქმნელი რთული მოწყობილობითა და სხვ.

დარბაზი გადახურულია რკინა-ბეტონის ანაკრები გარსის გუმბათით. გარ-

---

[56] Ю. Кастрадзе, Д. Каджая. Дворец спорта в Тбилиси. «Строительство и архитектура». Тб., 1961, № 9—10, გვ. 9.

სი წარმოადგენს სფერული ფორმის მონოლითურ რვაწახნაგოვან კონტურში ჩადგმულ ასაკრებ რკინა-ბეტონის კონსტრუქციას. ასაკრები გარსის ელემენტები წახნაგოვანი კონსტრუქციისაა. წახნაგებს შორის სივრცე გადახურულია რკინა-ბეტონის თხელი ფილით. დაწყობილი ელემენტების ყოველი რიგი



თბილისი. სპორტის სასახლე. პირველი სართულის გეგმა. 1—დარბაზი,; 2—ფოიე; 3—გარდერობი.

სალტეს ქმნის და 5 სალტე ავსებს გუმბათის მთელ სიმაღლეს. ამ კონსტრუქციის განსაკუთრებული ღირსება ის არის, რომ იგი აიკრიბება ძვირადღირებული და შრომატევადი ხარაჩოების გარეშე და მზა ელემენტების მონტაჟზეა დამყარებული[57].


ასაკრები გუმბათის 76-მეტრიანი მალი საბჭოთა კავშირში უდიდესი იყო.

---

[57] Ю. Штаерман, Г. Зоделава, П. Гутидзе. Наблюдение за монтажем и испытание сборной железобетонной оболочки. «Строительство и архитектура». Тб., 1961, № 9—10, გვ. 12.

რაკი ასეთი კონსტრუქციის აგების გამოცდილება არ იყო, წინასწარ კონსტრუქცის შესამოწმებლად[58] აგებულ იქნა 30-მეტრიანი საცდელი გუმბათი.

კონცენტრული სალტეებით შედგენილ გარსულ კონსტრუქციაში ყოველი მონტირებული სალტე შემდგომი სალტისათვის საყრდენს წარმოადგენდა და ასე შეიქნა გუმბათის შედარებით დამრეცი გადახურვა, რომელიც კარგად



სპორტის სასახლე. განაკვეთი.

უფარდება შენობის ინტერიერის ერთიან სივრცეს, მის მასშტაბს. სწორედ ამ თვალსაზრისით უკეთესია, რომ გუმბათი შენობის გარე კონტურზე კი არაა აგებული, არამედ მასზე დაყრდნობილ წახნაგებზეა შედგმული.

ამრიგად, შენობის კომპოზიცია მარტივია და ცენტრულ-გუმბათოვანი ღერძის გამოვლენას ემორჩილება. მარტივი გეგმის წყალობით შენობის ექსპლოატაცია მოხერხებულია. განსაკუთრებით კარგადაა გადაწყვეტილი დარბაზის დატვირთვა-ევაკუაციის საკითხები. შენობის კუთხეებში მოთავსებული ოთხი განიერი კიბის უჯრედი, ფოიედან ამფითეატრში მიმართული ოთხ-ოთხი კიბე ოთხივე მხარეს მოხერხებულად ყოფს მთელს დარბაზს სექტორებად. მოხერხებულია დამხმარე სადგომების განლაგება-განაწილება; სპორტსმენთა და ადმინისტრაციის ბლოკის იზოლირება ისე, რომ დარბაზთან

---

58 О. Опиашвили. Оболочки покрытия и их исследования в условиях Грузии. «Строительство и архитектура». Тб., 1961. № 9—10, გვ. 5.

კავშირიც დამყარებულია: მთავრობის ლოჟების შესასვლელისა და დამხმარე სადგომების მოწყობა და სხვ:

მაგრამ როცა ამ შენობის გეგმაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს სერიოზული ხარვეზები, რომლებიც ზღუდავს დარბაზის გამოყენებას. ზამთრის მთელ რიგ სპორტულ შეჯიბრებათა ჩასატარებლად. თბილისის სპორტის სასახლის ასპარეზის ზომები 23×45 მეტრის სწორკუთხედში თავსდება და ჰოკეისა და ფიგურული ციგურაობისათვის შეუფერებელია. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ხელოვნური ყინულის მოედნის შესაქმნელი მოწყობილობით აღჭურვილი დარბაზი უნდა ითვალისწინებდეს ზამთრის სპორტის სახეობათა ჩატარებას, რომ არც ერთ დიდ სპორტულ დარბაზს, რომელიც ზამთრის სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებასაც ითვალისწინებს, არ აქვს ასე უცნაურად მცირე ზომის ასპარეზი, როგორიც სპორტის სასახლეს"[59]. ამას ემატება ისიც, რომ იარუსებად აღმართული ტრიბუნები არენის ვიწრო მხარეს, ვერ ქმნის ყურების ნორმალურ პირობებს ყველა ადგილიდან, რადგან სედვის კუთხის არედან ამოვარდნილია მოედნის ტრიბუნასთან ახლომდებარე მონაკვეთი.

შენობის ექსპლოატაციისას მისი გამოყენება კინო-საკონცერტო ღონისძიებათა ჩატარებისათვის გართულებულია აკუსტიკური ნაკლოვანებების გამო.

შენობის ინტერიერის გადაწყვეტა სადაა და მკაცრ საქმიან სახეს ატარებს. ნათელი ფოიე-კულუარები დარბაზში მაყურებელთა განაწილებას ემსახურებიან. ამიტომ ისინი გრძივი მიმართულების სივრცობლივ მონაკვეთებს ქმნიან დარბაზის ოთხივე მხარეს. ვესტიბულის ფუნქცია აქ ეკისრება ღია სტოა-გალერეას, რომელიც გარე სივრციდან ინტერიერზე გადასვლის პირველი საფეხურია. ფოიე-კულუარიდან მომსვლელი დარბაზის შუასიმაღლეზე ხედება და მის წინ უცბად თავისუფალი, ვრცელი სივრცე იშლება. ეს, კონტრასტზე დამყარებული, მეტად ეფექტური გადასვლა თითქოს აფართოვებს დარბაზის სივრცეს, უფრო მოცულობითად წარმოადგენს მას. სკამების ყვითელი—მოყავისფრო ტონი ჟღერადი ფერადოვანი აქცენტია საერთო ნეიტრალურ ტონალობაში, რომელშიაც გუმბათის პერფორირებული ალუმინის ფირფიტებით მოპირკეთებული არე ერთიანი კოლორიტის შექმნას ემორჩილება.

ქუჩიდან, შენობის გარე მასების აღქმის შემდეგ, ინტერიერის ვრცელ სივრცეზე გადასვლა დამყარებულია შენობის ერთიან კომპოზიციურ გააზრებაზე

---

[59] გ. ჩიგოგიძე. სიმართლე ხუროთმოძღვრებაში, „საბჭოთა ხელოვნება" 1962, № 10, გვ. 87.

და ცენტრული ვერტიკალური ღერძის გამოვლენას ემორჩილება. უინტერესო როდია იმის აღნიშვნა, რომ შენობის გარე სიმაღლე 16 მეტრია, ხოლო დარბაზისა შიგნით — 34 მეტრი. ეს აბსოლუტური ზომები პირდაპირ მოქმედებს მხატვრული ზემოქმედების ხარისხზე და ზემოთ აღნიშნული სივრცობლივი კონტრასტი მეტად ემოციურია. ამით სპორტის სასახლის ავტორებმა მიაღწიეს ქართული ისტორიული არქიტექტურისათვის ასე დამახასიათებელ სივრცის გამოვლენის სურათის შექმნას, რაც ასოციაციებს სწორედ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკურ ძეგლებთან იწვევს.

უკვე აღინიშნა, რომ გუმბათის მოთავსება რვაწახნაგზე, შენობის კონტურის შიგნით, ხელს უწყობს კვადრატიდან გუმბათზე მხატვრულ გადასვლას. პლაფონისა და ქვედა სარტყლის მთელ დიამეტრზე წრეებში ჩადგმული ელექტროგასანათებელი არმატურა „ორნამენტულ“ ნახატს ქმნის ინტერიერში, რომელიც თავისი მასშტაბითა და სიმარტივით შეფარდებულია არქიტექტურის საერთო ხასიათთან.

გუმბათის გადაწყვეტა გარკვეულ საფეხურებს ქმნის შენობის ფასადთა აღქმის დროსაც [60]. ჯერ ერთი, იგი აშკარად გამოყოფს სხვადასხვა გეომეტრიულ ფორმათა მნიშვნელობას. ღია თაღედზე დაყრდნობილი შემინული ჰორიზონტული რეგისტრი მთელს პერიმეტრზე კონტრასტული საფუძველია გუმბათის გლუვი სიბრტყისათვის. მაგრამ გუმბათის მოცულობა მძიმე რომ არ ყოფილიყო, არქიტექტორებმა მუბუქი ფარანი და თეთრი ფერი გამოიყენეს. პირველი ხაზს უსვამს გუმბათის მასშტაბს და ამთავრებს შენობას, ხოლო მეორე აერთიანებს ფასადის ამ უმთავრეს ელემენტებს. გუმბათის შიგნით შეწევა ახლო მანძილიდან ავლენს მხოლოდ საფასადო სიბრტყეთა ელემენტებს, რადგან გუმბათი არ ჩანს. ხოლო შორიდან მზერას წარმოუდგება მთელი შენობა.

არქიტექტორები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ფასადის ჰორიზონტულ დანაწევრებას, რომელიც ორ რეგისტრადაა წარმოდგენილი. ქვედა რეგისტრია თაღოვანი გალერეა, რომელიც ლოჯიის სიღრმის გამო ერთიან ჰორიზონტულ ლაქად იკითხება. ხოლო ზედა რეგისტრი შენობის გარშემო შემინული სიბრტყეა, რომელიც მთელ სიგრძეზე რამდენიმე მზისსაცავი სარტყლითაა დაყოფილი და გარს ევლება მთელს შენობას, როგორც უწყვეტი

---

60 ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ვერც სპორტის სასახლემ შეაღწია ის ხარვეზი, რომელიც ორჯონიკიძის მოედანს ახასიათებს არქიტექტურული სიუხველისა და სხვადასხვა მასშტაბურობის თვალსაზრისით (ტაბ. 98_1).

ფრიზი. ქვედა რეგისტრი უფრო მასიურია, აქ კედლის როლიც არაა მეორეხარისხოვანი. ეკლარის თეთრი ქვის კვადრებით მოპირკეთებული კედელი მტკიცე საფუძველს წარმოადგენს, ხოლო მასში მოთავსებული თაღედი თავისი პროპორციული აგებულებით, მსუბუქი ბურჯებითა და მათი კედლის სიბრტყესთან გაერთიანებით (ბურჯებს არავითარი იმპოსტები ან კაპიტელები არა აქვთ, კედელი ბოლომდე ეშვება) გარკვეულ ჰაეროვნებას და სიმსუბუქეს ანიჭებს მთელს შენობას. თაღედის ერთიანობას ავტორებმა იმითაც გაუსვეს ხაზი, რომ ზევიდან დეკორაციული თაღედი შემოავლეს მთელს სიგრძეზე. ამ დეკორაციული თაღედის პროფილი ფასადის ბრტყელ ზედაპირზე ხაზოვან ნახატს ქმნის. თაღედის წინ, კიბეთა საფეხურებში გადაზრდილი შენობის დაბალი ცოკოლი ერთიანი რუხი ტუშენიტის ქვითაა მოპირკეთებული და თავისებურ პოდიუმს შეადგენს შენობისათვის, მაგრამ ისე, რომ ზედმეტ მნიშვნელობას არ იჩემებს, თითქმის შეუმჩნეველია.

თაღედის თავისებური ინტერპრეტაცია აგრძელებს ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში უკვე ცნობილ თემას და ახლებურად წარმოგვიდგენს მას. ის, რომ კედელი გრძელდება ვიწრო ბურჯებში (შესაძლოა მთავრობის სახლის შორეულ ანერკლთანაც გვქონდეს საქმე) გამოხატავს არქიტექტურული ფორმის სისადავეს, მაგრამ დეკორაციულობაზე ავტორები უარს როდი ამბობენ (სწორედ ამის ილუსტრაციაა ზემოთ აღნიშნული დეკორაციული თაღედი გალერეის თავზე).

თვით გალერეის მოთავსება ფასადის თითქმის მთელს სიგრძეზე, როგორც ზევითაც ითქვა, თავისებურ ვესტიბულს უქმნის ნაგებობას — ღია ვესტიბულს, რომელიც ჩრდილოვანი გადასასვლელია და ეგუება სამხრეთის პირობებს.

ავტორებმა მოსაპირკეთებელი მასალებითა თუ ჩრდილოვანი ღია თაღედით, მათი პროპორციული აგებულებით თუ მთელი ორგანიზმის სივრცობლივი გადაწყვეტის ბასიათითა და მთელი შენობის საერთო იერით, არქიტექტურა დაუმორჩილეს ადგილობრივ გარემოს. ამაში გამოიხატა მათი ერთერთი ღნიშვნელოვანი წარმატებაც.

სპორტის სასახლეში ჩანს ძველ და თანამედროვე ტრადიციათა ცოცხალი კავშირი[61], მიუხედავად იმისა, რომ შენობაში არ არის ისტორიული ხუროთმოძღვრული ფორმები ან ძველი ქართული არქიტექტურის არსენალი-

---

61 ამას სამართლიანად მიუთითებენ ა. ყურავლიოვი და ს. ხან-მაჰომედოვი წიგნში «Советская архитектура. М., 1968. გვ.. 76.

დან აღებული დეკორაციული[62] სამკაულები. ამ შენობაში ახალი არქიტექტურული მიმართულების ძიებანი დაეყრდნო ადგილობრივ ტრადიციებს, რომლებიც მოცულობით-სივრცობლივი კომპოზიციის გადაწყვეტას გულისხმობდა და არა უკვე ცნობილ ცალკეულ არქიტექტურულ ფორმათა გამოყენებას.

60-იანი წლების დასაწყისიდან ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში მწვავედ ისმის ეროვნული ტრადიციების ახლებურად გადაწყვეტის საკითხი, მავრამ თავს იჩენს ტენდენცია, რომელიც ცალკეულ დეკორაციულ მოტივთა და ელემენტების გამოყენებას ეყრდნობა და ხშირად კი ძველი ქართული ხელოვნების ცალკეულ დარგთა აღორძინებასაც. შენობათა არქიტექტურაში და განსაკუთრებით ინტერიერში თანდათანობით იმკვიდრებს ადგილს ჭედური ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ძველი, საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართული ოქრომჭედლობის მეტად თავისებურ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოდერნიზებულ (ახალ ამოცანებთან შეფარდებულ) ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

ამ მხრივ საზოგადოებრივ შენობათა არქიტექტურაში გარკვეული როლი ითამაშა თბილისის ქორწინების სახლისა და მუსიკალური კომედიის თეატრის ინტერიერებმა.

ქორწინების სახლი (არქ. შ. ყაველაშვილი, რ. კიკნაძე, 1965. ტაბ. 98ა) მოთავსებულია სანაპიროზე მდებარე საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულში[63].

ქორწინების სახლისათვის გამოყოფილი ფართობი თავიდან მაღაზიისათვის იყო განკუთვნილი, მისთვის იყო ამოყვანილი კედლები. ამან, ბუნებრივია, ქორწინების სახლის დაგეგმარება რამდენადმე შეზღუდა.

ქორწინების სახლის გეგმა მარტივია. მიმსვლელი პირდაპირ ხვდება ვრცელ დარბაზში, რომელსაც ვესტიბულისა და მოსაცდელის ფუნქცია აქვს დაკისრებული. მის მარცხნივ სივრცე ორ იარუსად იყოფა. ქვევით საბანკეტო დარბაზისაკენ გასასვლელია — აქ გარდერობია. აქვეა სხვადასხვა დამხმარე სადგომები. ანტრესოლზე, რომელზედაც ფართო კიბეებს ავყავართ, მოთავსებულია ოთახები სუვენირებისათვის, დოკუმენტთა რეგისტრაციისა და ადმინისტრაციისათვის. ვესტიბულს მარჯვნივ ეკვრის ქორწინების ოთახი.

გეგმა ისეა შედგენილი და ისეა სივრცობლივად გადაწყვეტილი, რომ თავიდანვე აგრძნობინებს მომსვლელს სადგომების მნიშვნელობას. შესასვლელის

---

62 Б. Лордкипанидзе. Творческие успехи архитекторов Грузии. «Архит. СССР» 1967. № 9, გვ. 11.

63 იხ. ნ. ჯანბერიძე, ქორწინების სახლის არქიტექტურა. „საბჭოთა ხელოვნება" 1966 №2.

პოთავსება „საქმიან“ ნაწილთან, ადვილად გასაგებს ხდის მოძრაობის გრაფიკს, ხოლო კიბეები კარნახობს მიმართულებას.

სადგომები სრულიად აკმაყოფილებენ სამუშაოს სპეციფიკით გამოწვეულ მოთხოვნილებებს და ყველა პირობას ქმნიან, როგორც მომსვლელთათვის, ისე აქ მომუშავეთათვის.

არქიტექტორებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს სივრცობლივ გადაწყვეტას-ჯერ ერთი, მთავარი საფასადო ფრონტი მთლიანად არის გახსნილი და მინის სიბრტყეებით არის შევსებული. აქ სწორადაა გამოყენებული მინის, როგორც საშენი მასალის, მხატვრული შესაძლებლობანი. ინტერიერი დაუკავშირდა, თითქოს გაუერთიანდა გარე სივრცეს. ეს კი ისეთი ხალხმრავალი დაწესებულებისათვის, როგორც ქორწინების სახლია, აუცილებელი იყო, მით უმეტეს, რომ უფრო მეტად ვრცელი დარბაზების შექმნის შესაძლებლობა ფიზიკურად აღარ არსებობდა. არქიტექტორებმა ამ ერთიანობას კიდევ უფრო გაუსვეს ხაზი ტროტუარის გამწვანების შენობაში შეტანით. გამწვანება გრძელდება მინის კედლის შიგნითაც, რაც თვით ინტერიერშიც მეტად მომხიბლავ მხატვრულ ეფექტს იძლევა (ტაბ. 99_3).

შიდა და გარე სივრცის გაერთიანების ამოცანასვე ემსახურება ჭერის განათებაც, რომელიც ერთიანია, როგორც გარეთ, ისე ვესტიბულშიც.

შენობის შიგნით, როგორც ზევითაც აღინიშნა, სადგომთა დიფერენციაცია მნიშვნელობის მიხედვით სივრცობლივი გადაწყვეტითაცაა ხაზგასმული: მოსაცდელი-ვესტიბული და ქორწინების ოთახი გაცილებით მაღალი და თავისუფალია. საბანკეტო დარბაზის მნიშვნელობაც რომ გამოეყოთ, ავტორებმა აქაც სივრცობლივ დამუშავებას მიმართეს და ერთადერთი შესაძლებლობა გამოიყენეს — მიწის სიღრმეში ჩაწევით აამაღლეს იგი.

ვესტიბულ-მოსაცდელის ყრუ კედელი ბოლნისის ტუფითაა მოპირკეთებული. ძარღვებით დასერილი მოყვითალო-ოქროსფერი ბოლნისის ტუფი ძალზე უწყობს ხელს საზეიმო იერის გადმოცემას. ამ შესანიშნავი მასალის ინტერიერში გამოყენება მეტად დიდ ეფექტს იძლევა. ჩვენს შემთხვევაში ეს ძით უფრო შესამჩნევია მინის „გახსნილი“ კედლის სიბრტყის გამო, რადგან ტუფით მოპირკეთებული კედელი თითქოს შენობის ფასადსაც განეკუთვნება. ბოლნისის ტუფი ქმნის ფონს, ამიტომ დარბაზის კონსტრუქციული სვეტები სხვა მასალით, ალუმინის ვერტიკალური ლარტყებითაა მორთული (ტაბ. 99_2).

ავტორები მკაცრად იცავენ ერთიან მასშტაბს. სვეტი ოპტიკურად რომ ძალზე მაღალი არ გამოსულიყო, მას თავისებური ბაზა და კაპიტელი შეუქმნეს (პირველი — ლარტყების გადაჭრით, ხოლო მეორე — ლარტყების დაცილებით იატაკის დონიდან).

ბოლნისის ტუფით მოპირკეთებულ ამ კედელზე მოთავსებულია, სპილენძის ჭედური რელიეფები, რომლებიც ისეა განლაგებული, რომ ვესტიბიულის ერთიან სივრცეს თითქოს ცალკეულ მონაკვეთებად ჰყოფს. ამასვე პასუხობს ავეჯის განლაგება და გარედან გამწვანების შეტანაც. ამით ვესტიბიულის დიდი სივრცე ერთგვარ ოფიციალურობას იცილებს და უფრო ინტიმური ხდება, თუმც საზეიმო იერს იგი ოდნავადაც არ კარგავს. ჭერის ნაცრისფერი, ხორკლიანი შელესვა და ვიწრო გასანათებელი ხვრელები სადგომის სადა და მკაცრ არქიტექტურას ექვემდებარებიან.

კედელზე სამი რელიეფიანი ფირფიტაა მიმაგრებული (ავტორი მოქანდაკე ირაკლი ოჩიაური). ამ ფირფიტებს, გარდა ზომისა, სიმაღლე და პროპორციებიც სხვადასხვა აქვთ. დარბაზისაკენ ახლო მდებარე რელიეფი გაცილებით უფრო დიდია და მაღლაა შეკიდებული. დანარჩენი ორი — ერთმანეთთან ახლოს, ისინი, თითქოს ერთ ლაქას ქმნიან. სამივე რელიეფში თითქოს ერთიანი თხრობა გრძელდება: მიჯნურობა, მშობლების დალოცვა, ბედნიერი ოჯახი.

ეს რელიეფები, უფრო სწორად, ორი რელიეფისაგან შემდგარი ჯგუფი და — ცალკე შეკიდული რელიეფი, განსხვავდება არა მარტო კომპოზიციური აგებულებით, არამედ მხატვრული გადაწყვეტითაც. თუ პირველში ნახატი „გაჰედილია“ ფორმატში და კადრირებულია, მეორეში იგი თავისუფალ სივრცეშია მოთავსებული. თუ პირველში ნახატი, სახეები რომანტიკულია თავისი, ბუნებით, მეორეში — უფრო მიწიერია, „რეალისტური“. პირველში უფრო დეკორაციულობაა ხაზგასმული, მეორეში — ნატურიდან მიღებული შთაბეჭდილება. განსხვავებულია რელიეფის დონეც, მეორე — უფრო ღრმაა, ჰორელიეფს უახლოვდება.

კომპოზიცია ყველა შემთხვევაში დახვეწილია, შესრულება — მაღალტექნიკური. იგრძნობა ოსტატის მტკიცე ხელი.

მაგრამ აქ უნებლიედ მაინც ისმის ერთი საკითხი. რაკი მთელი კედელი ქვისაა, ხომ არ იქნებოდა უფრო ბუნებრივი აქ ქვაშივე გამოკვეთილი სამკაული? მაშინ რელიეფი უფრო ორგანულად „ჩაჯდებოდა“ კედლის სიბრტყეში, დაკიდებული სურათის შთაბეჭდილებას კი არ შექმნიდა, არამედ ქვის ერთიან ორგანიზმს, ერთ მასალაშივე გამოყვანილ დეკორაციულ აქცენტებს.

ქორწინების ოთახის გრძივი ღერძი გეგმაში პერპენდიკულარულია ვესტიბულისადმი. შემსვლელი თანდათანობით აღიქვამს მის სივრცეს. მოპირდაპირე კედელი მომრგვალებულია. მთავარ კედელზე ჰაბუკისა და ჭალიშვილის სპილენძზე ნაჭედი რელიეფია მოთავსებული (მოქანდ. ი. ოჩიაური). კედელთა მორთულობა ეს არის და ეს. მაგრამ ეს ერთადერთი აქცენტი იმდენად მძლავ-

რია, რომ თავისი ემოციურობით ამაღლებულ განწყობას იწვევს და ხაზს უსვამს რიტუალის მაღალ მნიშვნელობას (ტაბ. 99$_1$).

რელიეფის კარგად ნაპოვნი მასშტაბი, მისი ადგილი და ხელოვნური განათება კიდევ უფრო გამოყოფს მას ინტერიერში. გვერდიდან დაცემული სინათლე ხაზს უსვამს და მკვეთრად ავლენს რელიეფის დამუშავებას, მოჭედვის სიღრმეს.

თვით რელიეფის კომპოზიცია ორი, ერთმანეთზე მიდგმული თავების ოვალებისაგან შედგება. ქალიშვილის თავი სამი მეოთხედითაა, ხოლო ვაჟისა წინიდან, en face, რელიეფი შემოჭრილია კონტურზე. თავების ოვალს მხოლოდ ქალის თმებისა და სამკაულის ვერტიკალი არღვევს. ასიმეტრიულობა აცოცხლებს, თუ შეიძლება ითქვას, მრავალფეროვანს ხდის კომპოზიციას. ქალის სამ მეოთხედით მოცემა არა მარტო თავს აღწევს მოსალოდნელი გამეორებისაგან, არამედ თვით დეკორაციული დამუშავების მეტ შესაძლებლობასაც იძლევა (ქალის თმები, სამკაული). თმების ტალღისებრი ნახატი ერთგვარი ორნამენტის როლს ასრულებს რელიეფზე.

გვერდის გოფრირებული კედელი, რომელიც მოპირდაპირე კედლისაგან განსხვავდება ფერითაც და ფაქტურითაც, ჩრდილ-სინათლის თამაშით აცოცხლებს სადა სიბრტყეს. ამ ოთახში ავეჯსაც აქტიური როლი ენიჭება. სპეციალური ნახატის მიხედვით გაკეთებული მაგიდა მასიურია, მნიშვნელოვანი თავისი სიმძიმითა და ფორმით. დარბაზი მაგიდის თავზე მოთავსებული ჭაღით ნათდება. ჭაღი წრეში შეკიდებულ სანთლისებრი ვერტიკალური ღეროებისაგან შედგება. ღეროებში მოთავსებული სარკისებრი ნათურები დაჭორწინებულთა დგომის ადგილზე კონცენტრირებულ შუქს ფენს. ამრიგად ელექტროარმატურაც სადგომის მთავარ იდეას ემსახურება. ეს, შეიძლება ოდნავ თეატრალური ხერხია, აქ თავის ადგილზეა და ეფექტურიცაა.

ამ დარბაზში ქორწინების სახლის არქიტექტურა კულმინაციას აღწევს და, როგორც უკვე ითქვა, მძლავრ ემოციურ აკორდს ქმნის.

საბანკეტო დარბაზის კედლები მუხის ვერტიკალური ლარტყებითაა მოპირკეთებული. იატაკი დეკორაციულ ლაქას უქმნის სადგომის არქიტექტურას. სადგომის სიმაღლე რომ არ „შემცირდეს“ ელექტროარმატურა ჭერშია ჩამალული, კედლის თაროები მორთულია კერამიკული ჭურჭლით.

ქორწინების სახლში ინტერიერის დამუშავებას ავტორები ყოველთვის უფარდებენ სადგომის დანიშნულებას. ასეა ტრანსპორტის სააგენტოს ოთახშიც. მუქ მწვანე ხორკლიანი ზედაპირიდან კედელზე მოკრიალებული სპილენძით მოხაზული რუკის სქემაა, რომლის სადა, მაგრამ მეტყველი ნახატი წარწერებით, ქალაქთა ემბლემებითა და ტრანსპორტის საშუალებათა გამოსახუ-

ლებით ლაკონურ, მომხიბვლელ რეკლამას წარმოადგენს და კედელსაც მოხდენილად ამკობს.

გზადაგზა აღვნიშნეთ და კიდევ ვიმეორებთ, რომ ქორწინების სახლის ინტერიერის მხატვრულ გადაწყვეტაში დიდ როლს თამაშობს ავტორების მიერ სპეციალური შედგენილი ავეჯი, რომლის არა მარტო გარეგანი მოხაზულობა, მასალა და ფერი, არამედ განლაგებაც მტკიცედ შემუშავებულ გეგმას ემორჩილება: მისი გადაადგილება დაარღვევდა ავტორთა ერთიან ჩანაფიქრს.

ქორწინების სახლის შესასვლელის გადაწყვეტა უკავშირდება იმ შენობის საერთო არქიტექტურას, რომელშიც მოთავსებულია იგი. ცენტრალური ნაწილი მინის ფართო სიბრტყეებითაა წარმოდგენილი და ეფარდება შენობის მთელ სიმაღლეზე ატყორცნილ ლოჯიათა რიტმს. შენობის ფასადის ეს ქვედა რეგისტრი კონტრასტულადაა გამოყოფილი ლოჯიათა რიგებისაგან და იგი ხაზგასმულია ალუმინის ფურცლებით მოპირკეთებულ ფართო შებლით, რომელიც სიგრძეზე გასდევს ცენტრალურ ნაწილს.

ქორწინების სახლში შესასვლელი ცენტრალურ ღერძს ემთხვევა, მაგრამ მისი დამუშავება ასიმეტრიულია. შესასვლელის მარცხნივ მოთავსებული დიდი ჰორელიეფი თავიდანვე გაგრძნობინებთ ამას. მაგრამ წონასწორობა არ ირღვევა, რადგან სკულპტურული პანოს ზომები კარგად ეფარდება როგორც მთელი ფასადის, ისე ქვედა სართულის მასშტაბს.

სკულპტურული პანო „დალოცვა“ (მოქანდ. გ. ოჩიაური) ლაკონიურად გადმოგვცემს ქორწინების მაღალ მნიშვნელობას. ფიგურები აღჭურვილია შრომისა და სამხედრო ატრიბუტებით, რაც ამ ფაქტის განზოგადებას ემსახურება. აქ ძუნწად, ჭარაგმულად, მაგრამ მეტყველადაა ნათქვამი ბარაქაზე, შრომასა თუ გამარჯვებაზე, საყოველთაო სიხარულზე.

ჰორელიეფისთვის შერჩეულია ეკლარის ქვის საკმაოდ დიდი ფართობი, რომლის გვერდების თანაფარდობა კვადრატს უახლოვდება. კომპოზიცია მრავალფიგურიანია. ფიგურები შესმულია კვარცხლბეკზე, რომელიც ერთდროულად ცოკოლის როლსაც ასრულებს.

კომპოზიცია ერთ სიბრტყეშია წარმოდგენილი. ფიგურები ფონზე ისეა განლაგებული, რომ მათ შორის თავისუფალი არე რჩება. ეს აადვილებს რელიეფის აღქმას. მხოლოდ ბავშვია დედის ფიგურასთან შერწყმული, მაგრამ იგი შედარებით უფრო მოცულობითია და ამიტომ კარგად იკითხება. მიუხედავად ფიგურების ასეთი თავისუფალი სივრცობლივი გადაწყვეტისა, ისინი თითქმის მთლიანად ავსებენ კედლის არეს. დარჩენილი ფართობი სხვადასხვა ატრიბუტებითაა შევსებული.

მოქანდაკე ფიგურებში ხაზს უსვამს ადამიანის ჯანსაღ სხეულს — ამითაა

გამოწვეული ანატომიური აგებულების ოდნავი შეცვლაც. მოცულობათა რბილი გადასვლებით მიღწეულია შუქ-ჩრდილის ეფექტი, რომელიც პლასტიკურობას, ცხოველხატულობას მატებს ქანდაკებას.

ქანდაკების ხაზგასმული დეკორაციულობა ერწყმის საერთო არქიტექტურული დამუშავების პრინციპს. ადამიანთა მომღიმარი სახეები მაჟორულ ჟღერადობას ანიჭებს თვით ქანდაკებასაც და მთელ არქიტექტურულ გადაწყვეტასაც თავიდანვე წარმართავს: დეკორაციული მორთულობა ქორწინების სახლის შინაარსის გამხსნელ აქტიურ ძალადაა ქცეული.

ქანდაკება ორგანულადაა დაკავშირებული არქიტექტურასთან. ამას ვერ ვიტყვით გვერდის ფასადზე მოთავსებულ რელიეფზე „ახალგაზრდობა“, რომელიც ამოვარდნილია საერთო სურათიდან როგორც შესრულების ხასიათით, ისე თვით ნასატითაც და „მოდერნული“ იერი დაჰკრავს.

მუსკომედიის თეატრის რეკონსტრუქცია განსაზღვრულ იქნა ხანძარსაწინააღმდეგო მოსაზრებებით, რამაც, ფაქტიურად, ახალი შენობის აგება გამოიწვია[64].

ო. ლითანიშვილმა არქიტექტორ თ. მაჭარაშვილთან თანამშრომლობით წარმოადგინა პროექტი, რომლის განხორციელებამ იმდენად გარდაქმნა ნაგებობა, რომ ახლა ძნელიც კი არის იმის გახსენება, თუ როგორ გამოიყურებოდა ძველი შენობა, რომელიც თეატრის მოთხოვნილებებს ვერაფრით აკმაყოფილებდა.

რეკონსტრუქცია რთულდებოდა იმითაც, რომ არსებული ტერიტორია გამორიცხავდა თავისუფალი მიშენების შესაძლებლობას. ძველი კედლები შეიცვალა საყრდენებით, სცენის პორტალმა გადმოინაცვლა წინ, რაც ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენდა სცენის გაფართოებისათვის. შეიქმნა განსხვავებული დონეები, რამაც შესაძლებელი გახადა დარბაზის გადიდება (460 ადგილიდან იგი 760-მდე გაიზარდა), ამფითეატრისა და გადასასვლელების მოწყობა და ა. შ.

მსახიობთათვის მოეწყო მოხერხებული საპირფარეშოები. მოხერხებულად განლაგდა სადგომები ადმინისტრაციისათვის.

გეგმა თავისუფალი გადაწყვეტით ხასიათდება. ფართობის სიმცირის გამო ავტორები ერიდებიან სადგომთა დიფერენცირებას კედლებით. ამისათვის ისინი აჟურულ ტიხრებს იყენებენ, რაც არ აქუცმაცებს ერთიან მოცულობას და ისე გამოყოფს ამა თუ იმ შემადგენელ ნაწილს. ფოიე შეადგენს ერთიან სივრ-

---

[64] Н. Джанберидзе. Город и художник. «Декоративное искусство СССР». 1966. № 8, გვ. 10.

ცეს, რომელიც დაყოფილია ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. მისგან გასახდელის გამოყოფის მიზნით არქიტექტორებმა გამოიყენეს ლითონის აჟურული ვიტრაჟი რომელიც არ არღვევს ფოიეს სივრცობლივ მთლიანობას. ცალკე არის მოწყობილი ბუფეტიც, თუმცა მასაც არა აქვს იზოლირებული კედლები. სათავსოს სივრცე მხედველობით რომ უფრო გაზრდილიყო, ერთ-ერთი გვერდითი კედელი მთლიანადაა დაფარული სარკით, მოპირდაპირე, ბაღში გამავალი კი შემინულია. ბუნების ხედი აირეკლება სარკის დიდ სიბრტყეში და სათავსოს ზომები თითქოს ორკეცდება. V-სებრი ორი საყრდენი მოპირკეთებულია თეთრი მარმარილოს თხელი, ნამტვრევი ფილებით. (ტაბ. 100_1).

მოპირკეთების იგივე მოტივი მეორდება გვერდის კედელზე, რომელიც ფოიეს მაყურებელთა დარბაზისაგან გამოჰყოფს. კედლის მთლიან სიბრტყეზე მოთავსებულია სპილენძზე ნაჭედი რელიეფი (მოქანდ. კ. გურული).

კომპოზიცია „ავთანდილის სიმღერა“, რომელიც აგებულია რუსთაველის პოემის მოტივზე, მოიცავს რამდენიმე განცალკევებულ რელიეფს. მხედრის ცენტრალური ფიგურა რამდენადმე მსხვილია დანარჩენებზე, რომლებიც შინაარსობლივადაც ექვემდებარებიან მას. კომპოზიციის ერთგვარი გეომეტრიულობა, მოძრაობის ტეხილი ნახატი ხაზს უსვამს რელიეფის პირობით დეკორაციულობას, ხოლო ოქროსფერი ჭედურობა, თვალისმომჭრელ თეთრ ფონზე, ინტერიერში საზეიმო განწყობას ქმნის. აღქმის წერტილების სიახლოვის გამო, ნახატი დამუშავებულია საკმაოდ დეტალურად, სამოსელზე გამოხატულია წვრილი ორნამენტული მორთულობაც კი.

ფოიეს კედლები მოპირკეთებულია ბოლნისის ტუფით. ეს ქვა ინტერიერში ეფექტურადაა გამოყენებული და ხელს უწყობს საერთო საზეიმო განწყობილების შექმნას.

ფოიეს ერთიანი სივრცე გრძელდება ბუფეტისაკენ, რომელიც გვერდზე ეკვრის ფოიეს და გამოყოფილია რადიატორებით, რომლებიც ისეა განლაგებული, რომ თავისებურ ორნამენტს ქმნის. მაგრამ, ამავე დროს იგი ტიხრის როლს ასრულებს, „ფარგლავს“ ბუფეტისა და ფოიეს სივრცეს.

გვერდის კედელზე ამოყვანილია ფიქალი ქვის ტრადიციული ქართული ბუხარი. მისი მონუმენტურობა ხაზგასმულია ქვის შავი ფერით, აქ უნებლიედ გახსენდებათ ხალხური საცხოვრებელი სახლის აივანი, ასევე ბუხრით დამთავრებული. აქ არქიტექტორებმა ეს მოტივი ფოიეს საერთო დეკორაციულ ხასიათს დაუმორჩილეს. ამიტომ, იგი არ არის „ამოვარდნილი“. საერთო სახიდან და მისი ხელოვნური განათებაც აგრძელებს თეატრალურ-მხატვრულ ეფექტს. ეს დეტალი კონკრეტულ ამოცანას ემორჩილება. ამიტომაც ავტორებმა „აივნის პარაპეტიც“ შიგნითკენ შეაქციეს, ე. ი. განალაგეს სწორედ იქ, სადაც ის მარ-

თლა საჭირო იყო. ჰერი გაკეთებულია ხის ფიცრებით და გამოყოფილია ფოიეს პლაფონის უხეში ფაქტურისაგან. ფიცრები თითქოს ბუნებრივ გადახურვას წარმოადგენენ ამ თავისებური „აივნისათვის“. აქვე გამომავალი საველტილაციო ხვრელი გაფორმებულია ჰედური რელიეფებით: თავისუფლად განლაგებული მამაკაცისა და ქალის თეატრალური ნიღბებით. ეს ალეგორიული გამოსახულებები გაერთიანებულია მუზების გამოხატვის ერთიანი თემით.

ფოიეს ხაზგასმული დეკორაციულობა გრძელდება მაყურებელთა დარბაზშიც, მაგრამ დარბაზი ფოიესთან შედარებით კონტრასტულია, როგორც სივრცის გადაწყვეტით, ისე ფერადოვანი ჟღერადობითა და მასალით. თუ ფოიეს სივრცე „გახსნილია“, დარბაზში, მიუხედავად იმისა, რომ იგი „თავისუფალია“, სივრცე მაინც ჩაკეტილია. მაყურებელთა დარბაზი სწორკუთხოვანი ფორმისაა, მაგრამ მისი კედლების გაფორმება, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს დარბაზი ოვალური იყოს (ტაბ. 100₂) ამაში მთავარ როლს თამაშობს საჰმხრივ შემორტყმული ზედა რეგისტრი, რომელიც ასბოცემენტის ღარებითაა მოპირკეთებული და გოფრირებულ ზედაპირს ქმნის. მისი მომრგვალებული ფორმა გამოძახილს პოულობს ორკესტრის ორმოს ნახატშიცა და სავარძლების განლაგებაშიც დარბაზის პირველ რიგებში.

სადა, მაგრამ აგრეთვე დეკორაციულ ფონს წარმოადგენს ხის ლარტყებით მოპირკეთებული კედლები. მათი ღია მოყავისფრო ტონი თითქოს ნეიტრალურ ფონს უქმნის ქვევით სავარძლებით შექმნილ წითელ ლაქას და ზევით კი, თეთრ ჰაეროვან პლაფონს. თითქმის შეუმჩნეველი ელექტროგანათება აძლიერებს ჟღერადობას.

დარბაზის ინტერიერი მკაცრადაა გადაწყვეტილი. ყველაფერი მასალის ფაქტურისა და ფერის გამოვლინებაზეა აგებული.

დარბაზის პლაფონი ორიგინალურია, მჭიდროდ დაჭიმული თეთრი ქსოვილის ლენტები ადგენენ წნულის კვადრატულ ნახვრეტებს რომლებიც სავენტილაციო მიზნებს ემსახურება. ფერის კონტრასტულობა, მასალისა და ნახატის სიმსუბუქე დარბაზის არქიტექტურას განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს.

მუსკომედიის თეატრის შენობაში არ არსებობს დეტალი, უყურადღებოდ რომ იყოს დარჩენილი. არქიტექტორები ცდილობენ ყველაფერი საერთო დეკორაციულ ხასიათს დაუმორჩილონ. ასეა გადაწყვეტილი ლითონის ვიტრაჟი ფოიეში და კარის სახელურებიც კი. ღია ტერასაზე წყლის მცირე აუზში ფერადოვანი მოზაიკის იატაკის დაფენილი (გაფორმებაში აქაც თეატრალური თემაა გამოყენებული).

პარკში მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო აუზი, რომელიც ხელოვნური

ქვისაგან გაფორმებულია თეატრალური დეკორაციის სახით. ე. ი. მორთულობა კვლავ შენობის შინაარსთან და დანიშნულებასთან არის დაკავშირებული. არქიტექტორებმა ყველა ხერხი თეატრალური ნაგებობის ხასიათის გახსნას დაუმორჩილეს. ეს ოპერეტის თეატრია, რომლის მსუბუქი ჟანრი თითქოს არქიტექტურული საშუალებითაც ვლინდება. მცირე მოცულობის თეატრში საზეიმო განწყობა იქმნება და ამისათვის თავისებურ პრელუდიას მაყურებელი არქიტექტურულ გარემოში პოულობს. ამითაა გამართლებული საერთო დეკორაციულობა. არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სინთეზიც სწორედ ამ მიზანს ემორჩილება.

ამრიგად, ქორწინების სახლისა და მუსკომედიის თეატრის ინტერიერთა მხატვრული გადაწყვეტა შენობათა შინაარსიდან გამომდინარე კონკრეტულ ამოცანებთანაა დაკავშირებული. ამითაა გამართლებული დეკორაციულ საშუალებათა გამოყენებაც. იმდროინდელი ქართული სახვითი ხელოვნებისათვის მეტად დამახასიათებელი მოვლენა — ჰედური ხელოვნების აღორძინება, აქ თავის ასპარეზს პოულობს და აყვანილია მონუმენტური დეკორაციული გამომსახველობის დონემდე. ჰედურობამ, რომელიც აქამდე „მცირე ფორმათა“ წარმომადგენლად ითვლებოდა, გადალახა „კამერულობის“ მასშტაბი[65]. ეს სიახლე იყო, რომელმაც არქიტექტურაში ეროვნული თავისებურება შეიტანა, რადგან იგი ქართული ხელოვნების აღნიშნულ ეტაპს ესიტყვებოდა და მხოლოდ მისთვის იყო დამახასიათებელი. თვით ინტერიერის მხატვრული დამუშავების თვალსაზრისითაც, რომელიც თანამედროვეობას ემყარებოდა ფორმათა სისადავის, ლაკონურობის, სივრცობლივი ამოცანის ახლებური გადაწყვეტისა და სხვ. საშუალებათა გამოყენების მიხედვით, ამ ნაწარმოებებს გარკვეული როლი ენიჭებოდათ ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ამ ახალ ეტაპზე.


საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისში, ბუნებრივ ტერასებზე აშენდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომპლექსი (არქ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გაბაშვილი, 1967), რომლის მოცულობა თავიდანვე იპყრობს ყურადღებას[66]. დიდ ფრონტზე ჰორიზონტულად გადაშლილი ნაირსიმაღლის მოცულობები ორგანულადაა ამოზრდილი გარემომცველი პეიზაჟიდან. გზატკეცილიდან ამოსული ფართო კიბეების ზოლები კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს შენობას ბუნებასთან (ტაბ. 101_2).

---

65 В. Беридзе Изобразительное искусство и архитектура Грузии. Сб. Путь советского искусства. М., 1968. გვ. 233.

66 ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი. საუბილეო საჩუქარი, „ლიტერატურული გაზეთი“. 1967. 7. XI. № 44 — 45 და მისივე — Современное и национальное. «Заря Востока». 1969. 19. II, № 42.

შენობის ცენტრალური, გრძელი მონაკვეთი უჭირავს სასწავლო კორპუსს, რომელიც 2500 სტუდენტისათვისაა განკუთვნილი. მარცხნივ მას სააქტო დარბაზისა და ბიბლიოთეკა—წიგნსაცავის ბლოკი ეკვრის, ხოლო მარჯვენა მხრიდან—სპორტული ბირთვი დახურული და ღია მოედნებით. სასწავლო ნაწილის კორპუსს პერპენდიკულარულად სამი ფრთა აქვს მიდგმული ეზოს ჩხრიდან: ამ ფრთებში სასწავლო ოთახები დერეფნის ორ მხარესაა განლაგებული. ფართო, ვრცელი ვესტიბული აერთიანებს და ერთდროულად ემსახურება სააქტო დარბაზის, ბიბლიოთეკისა და სასწავლო კორპუსის სადგომებს.



თბილისი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. პირველი სართულის გეგმა.

სააქტო დარბაზი სასწავლო კორპუსის ფრონტიდან წინ გამოდგმულ დაბალ მოცულობას ქმნის, ხოლო ბიბლიოთეკა ისეა დაგეგმილი, რომ შიდა ეზოს ეკვრის. განაპირა მარჯვენა მხარეს სპორტული ბირთვი პერპენდიკულარულადაა მიდგმული გრძივ ღერძთან, რომელიც ამის გამო კომპაქტურად მთავრდება. გეგმა ისეა შედგენილი, რომ სასწავლო კორპუსთან დაკავშირებული ყველა სადგომი მოხერხებულია და, ამასთან ერთად, შიდა ეზოები და მწვანე უბეები, რომლებიც მჭიდროდ აკავშირებენ შენობას ბუნებასთან — წყნარ, მიმზიდველ კუთხეებს ქმნიან.

შენობის გრძელი ფრონტის ღერძის მიმართულება შესვლისთანავე იგრძნობა ვრცელი, ანტრესოლიანი ვესტიბიული მიჰყვება ამ ღერძს და გასასვლელს მიუთითებს შენობაში მოსულს. ვესტიბულის სივრცე თავისუფალია, გახსნილია (ტაბ. 102_2) ორმხრივ მას მთელს სიგანეზე მინის ფართო სიბრტყეები მოსავს და ამით გარე ანტურაჟი „შემოაქვს“ შენობაში. ვესტიბულის ძირითად ელემენტს შეადგენს კიბის მარში, რომლის თავისუფალი მოხაზულო-

ბა მიჰყვება ანტრესოლის მთელს სიგანეს და ხაზის დინებას ემორჩილება. თეთრი, მრგვალი, სადა სვეტები ამოზრდილან მარმარილოს მუქი იატაკიდან: ანტრესოლის სართულთან შეხვედრისას ისინი თითქოს კვეთენ მას და ისე აღიმართებიან ნათურათა ხვრელობებით დაცხრილულ გლუვზედაპირიან ჭერისაკენ. სვეტთა ვერტიკალებს ესატყვისება მოაჯირის ვიწრო, ტანადი რიკულები. ნათელი, ვრცელი ვესტიბული გაჟღენთილია ჰაერითა და მძლავრ ეროიან თავისუფალ სივრცეს ქმნის. დარბაზისაკენ გასასვლელი აქცენტირებულია ლაკონიური, ჟღერადი წითელი ფერით შესრულებული ფრესკით (მხატვ. გ. მესხიშვილი), რომელიც უზარმაზარი აპლიკაციასავით ეკვრის კედელს და მკაცრი, მეტყველი კონტურითაა გამოვლენილი.

800 კაცისთვის განკუთვნილი დარბაზის ინტერიერს მკაცრი საქმიანი. სახე აქვს. აქ ეფექტს ახდენს ერთიანი მთლიანი დიდი სივრცე, რომელიც გვერდებისა და სიმაღლის მოხდენილი შეფარდებითაა განსაზღვრული და ფერთა მარტივი კონტრასტი, რაც თეთრი კედლების ხესთან და სავარძლების მწვანე სამოსელთან დაკავშირებით არის მიღწეული.

ბიბლიოთეკისა და წიგნსაცავის ბლოკს განსაკუთრებული სიმყუდროვე და ინტიმურობა აქვს. ამაში თავის როლს ასრულებენ მწვანე ეზოს პერგოლები და საჩრდილობლები. ბიბლიოთეკა თითქოს გამოყოფილიც არის და, იმავე დროს, განუყოფელი ნაწილია მთელი კომპლექსისა, მოხერხებულია მისასვლელად ყოველი მხრიდან.

სასწავლო კორპუსიც მაქსიმალურად უკავშირდება ბუნებრივ გარემოცვას. სარეკრეაციო უბეები აუდიტორიათა შორის, დიდი მწვანე ეზოების შემოტანა გვერდის ფრთებთან, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. სადემონსტრაციო მოწყობილობით აღჭურვილი სხვადასხვა ფართობის აუდიტორიები სწავლისათვის მოხერხებულ პირობებს ქმნიან. აქ უნდა აღინიშნოს დენდროლოგიური მუზეუმი, რომელიც თავისი ექსპოზიციით და საერთო გაფორმებით შენობის ერთ-ერთი საინტერესო სადგომია.

სპორტული დარბაზის ფრთა ისეა მოწყობილი, რომ სასწავლო კორპუსთანაც არის დაკავშირებული და იზოლირებულიც არის მისგან. დარბაზის გვერდის კედელი გახსნილია მინის სიბრტყეებით და ღია მოედნების განუყოფელი ნაწილი ხდება.

ამრიგად, შენობის კომპოზიცია თითქმის სიმეტრიულია, მაგრამ შინაგანი დინამიკურობით ხასიათდება. მკაფიო გეგმა ერთიან სივრცობლივ ორგანიზმშია გაერთიანებული და შემადგენელი ნაწილები ისეა დიფერენცირებული, რომ გათიშულნი კი არ არიან, ცალკე ჯგუფებს კი არ ქმნიან, არამედ მთლიანის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ბუნებრივ გარემოცვაში ორგანული ჩაწერა,

გარე და შიდა სივრცის ურთიერთდაკავშირება — არქიტექტორთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი იყო.

შენობის ფასადთა დამუშავება სავსებით შეეფარდება გეგმის გადაწყვეტას. ავტორები პირდაპირ გადმოგვცემენ ფასადებზე სადგომთა დანიშნულების ხასიათს. ასეა ხვრელობებით დაცხრილული სასწავლო კორპუსი და ყრუ კედლის სიბრტყით წარმოდგენილი დარბაზები. გეგმის შინაგანი სიმეტრიული წყობა ფასადის მასებში ასიმეტრიულ გამოსახულებას იღებს. ამაში ისევ კომპლექსის შემადგენელ ნაწილთა ფუნქციური დიფერენციაცია ამბობს თავის სიტყვას. ამით ფასადის საერთო გადაწყვეტა დინამიკურობას იძენს და მკაფიოდ გამოყოფს კორპუსთა დანიშნულებას მთელს კომპლექსში. შესასვლელი მკაფიოდაა ხაზგასმული კიბეთა მარშითა და შემდეგ ღია პორტიკით. დარბაზის ყრუ კედელი გაცოცხლებულია ქვის აჟურული ვიტრაჟებით, ისინი ეკლარის თეთრი ქვით მოპირკეთებულ სიბრტყეებზე მკვეთრ დეკორაციულ ლაქებს ქმნიან, რომლებიც აგრეთვე ასიმეტრულადაა განლაგებული, სხვადასხვა ზომისაა და ამითაც პასუხობს ფასადთა საერთო კომპოზიციის გადაწყვეტას. დარბაზის ყრუ კედლის სიბრტყეს შეეფერება სასწავლო კორპუსის დასაწყისში გლუვი კედელი, რომელიც შემდეგ ოთხი სართულის სიმაღლეზე სარკმელთა ხვრელობებითაა დანაწევრებული კორპუსის ბოლომდე: საფასადო ღერძის მიმართულება გრძელდება და დაბალი მოცულობით სპორტული დარბაზის აგრეთვე ყრუ კედელს უერთდება. ამდენად, თვალი ცურავს ფასადის გრძელ ზედაპირზე, მკაფიოდ აღიქვამს შემადგენელ ნაწილებს, მაგრამ არსად არ ჩერდება, ვიდრე მთლიანად არ აღიქვამს შენობის მთელს კომპოზიციას, ერთ მთლიან ორგანიზმში წარმოდგენილს.

აქ ისევ იჩენს თავს კედლის თავისუფალი არის გამოყენების ტრადიცია, რომელიც ამ დროს სხვა შენობებშიც შეინიშნება. მიუხედავად მინის დიდი სიბრტყეებისა, ლოჯიების ბადით დაფარული ფასადებისა, არქიტექტორები ინარჩუნებენ ყრუ კედელს. იგი ზოგჯერ მთელ მოცულობას ფარავს (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ტაბ. 106_1), ზოგჯერ პილონების სახითაა გამოყვანილი (ტელეცენტრის შენობა, ტაბ. 106_2), ზოგჯერ შენობის მთელ ფასადზე ეკრანივითაა აფარებული და რელიეფებითაა დამუშავებული (სასტუმრო „კოლხეთი“; ტაბ. 101_1), მაგრამ ყველგან იგრძნობა, რომ არქიტექტორი იოლად ვერ თმობს კედელს, რომელიც ტრადიციულია სწორედ იმით, რომ ხშირად უფრო შესაფერია სამხრეთის პირობებისათვის, ვიდრე ღია, თავისუფალი სიბრტყეები.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობა მკაცრ, სადა არქიტექტურულ ფორმათა გამოყენების პრინციპზეა დამყარებული, მაგრამ ისე, რომ ყოველი შემადგენელი ნაწილი შენობისა მთლიანის განუყოფელია, რომ ყველაფერი

ამოზრდილია ბუნებრივ გარემოცვიდან, ორგანულადაა ჩამჯდარი მასში. შენობის აბსოლუტურმა ზომებმა, მოცულობათა ურთიერთშეფარდებამ და დანაწევრების საერთო პროპორციებმა ბუნებრივად შეუხამეს ნაგებობა ბორცვიან, ტერასებად გადაშლილ სივრცეს.

გარემოსთან დაკავშირების სხვა, კონტრასტული ხერხია გამოყენებული სასტუმრო „ივერიის“ კომპოზიციაში (არქ. ო. კალანდარიშვილი, თანაავტორი ი. ცხომელიძე; 1967).

ოცდაორსართულიანი სასტუმრო აღიმართა ელბაქიძის დაღმართის ესტაკადასთან. მისი ვერტიკალური მოცულობა კარგად მოჩანს თბილისის ცენტრალური რაიონის მრავალი წერტილიდან. იგი პირველობას იჩემებს მამადავითის მთის სილუეტისა და ცის ფონზე. ქალაქის შუაგულს ახალი დომინანტი გაუჩნდა. მამადავითიდან მტკვრისაკენ ამფითეატრად გადაშლილმა ქალაქის მარჯვენა მხარემ ახალი იერი მიიღო[67].


„ივერია“ მრავალმხრივაა საინტერესო: ჯერ ერთი, თვით ფაქტი ქალაქის უველაზე მაღალი სახლის აშენებისა, შემდეგ მისი არქიტექტურულ-მხატვრული მხარე, და, ბოლოს, ქალაქმშენებლობითი საკითხების გადაწყვეტა, რაც ამ მონაკვეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

თბილისი ხასიათდება მკვეთრად ჩამოყალიბებული მასშტაბურობით, რომელიც განსაზღვრულია მამადავითის მთის. მისი ბორცვების გაშენებით, რუსთაველის პროსპექტის და მტკვრის კალაპოტის აბსოლუტური ზომებით. ქალაქის ცენტრალური მონაკვეთი ისეა გაშენებული, რომ მიუხედავად არსებული სახლების მხატვრული სიჭრელისა, მას მაინც ერთიანი სახე აქვს და ეს სწორედ მისი მასშტაბურობითაა შეპირობებული. საკმარისია ერთი მცირე დისონანსიც კი, რომ ეს ერთიანობა დაირღვეს (გავიხსენოთ სამხატვრო აკადემიის ახალი კორპუსი და სხვ.).

სასტუმრო „ივერიისათვის“ ადგილი მოხერხებულადაა შერჩეული. აქვე უნდა ითქვას, რომ იგი ახორციელებს იმ პროდუქტის იდეას, რომელიც რუსთაველის პროსპექტის გასწორებას გულისხმობდა[68]. ელბაქიძის დაღმართის რეკონსტრუქციასთან ერთად, მინიშნებული იყო ადგილი სასტუმროსთვისაც: ბორცვი ესტაკადასთან, რომლიდანაც შენობა რუსთაველის პროსპექტისა და სანაპიროსკენაა მიმართული. შენობა შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად იყო ჩამოცილებული რუსთაველის პროსპექტისაგან და რაც შეიძლება მეტადაა გაშოწეული სანაპიროსაკენ. ამან კი შესაძლებლობა მისცა ავტორს მაღალ კომპოზიციაზე ეფიქრა.

67 ნ. ჯანბერიძე, სასტუმრო „ივერია“. „ლიტერატ. საქართველო“. 1967, № 44—45, 7, 11 და მისივე На высоте „Зари Востока“. 7.2.69. № 32.

68 იხ. ზეით, გვ. 263.



თბილისი. სასტუმრო „ივერია". პირველი სართულის გეგმა. 1—ვესტიბიული, 2—ადმინისტრატორი; 3—მომსახურების ბიურო; 4—ფოიე; 5—რესტორნის ვესტიბიული; 6—რესტორანი; 7—კვების ბლოკი.

სასტუმროს გეგმა ორი აშკარად დიფერენცირებული ნაწილისაგან შედგება. ერთი — თვითონ სასტუმროს მოცულობაა, ხოლო მეორე—რესტორნის ბლოკი, რომელიც საკმაოდ რთულ ორგანიზმს წარმოადგენს. აქ არის დიდი რესტორანი, კაფე და საბანკეტო დარბაზები და ყველა საჭირო სადგომი, რომელიც კომპაქტურად ერწყმის სამზარეულოს ჭსელს. მისასვლელები ისეა განსაზღვრული, რომ ყველა ამ სადგომში დამოუკიდებლივ ეხვედებით. რესტორნის ბლოკში შესასვლელი ქალაქიდანაცაა ცალკე მოწყობილი, მაგრამ იგი მაინც სასტუმროს განუყოფელი ნაწილია.

სასტუმროს შესასვლელი ორი ურთიერთპერპენდიკულარული ღერძის გადაკვეთაზეა. გრძივი მიმართულებით თვით სასტუმროსაკენ მიდიხართ, ხოლო განივი მიმართულებით — რესტორნისაკენ. მათ შორის ვრცელი შიდა ეზოა. შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა არჭიტექტორის მისწრაფება ყველაფერი სივრცობლივ გადაწყვეტას დაუმორჩილოს. შენობის შიდა იერიცა და ქალაქის ულამაზესი ხედი, რომელიც აქედან იშლება, უმალვე აღიქმება. არჭიტექტორმა თითქოს გახსნა უზარმაზარი სარკმელი, რომელიც ქუჩიდან ქალაქში იყურება. ვესტიბიულში, მოსაცდელში, შიდა ეზოსა თუ რესტორანში თქვენ იზოლირებული კი არა ხართ ქალაქისაგან, არამედ განუმეორებელი თბილისური პეიზაჟის გარემოცვაში ხართ (ამას ხელს უწყობს შენობის მთელ პერიმეტრზე მოთავსებული აივნები, გადმოსახედები, ტერასა სახურავზე და სხვ).

სასტუმროს კორპუსის გეგმა მარტივია. იგი ოთახებისა და დერეფნის ორმხრივ განლაგებაზეა დაფუძნებული. ინტერიერი მოკლებულია ყოველგვარ ზედმეტ მორთულობას. ასევე ლაკონიურია ყველა საზოგადოებრივი სათავსოს ინტერიერი, სადაც მხატვრული სახის განმსაზღვრელი ზოგჯერ ხელოვნური სინათლეა, ზოგჯერ კი — ჭედურობა, კედლის მოხატულობა ან ფერადი ქვებისაგან შედგენილი ვიტრაჟი.

„ივერიაში“ თანამედროვე არჭიტექტურის საერთო, თითქოს-და ნეიტრალური, ფონი გამოყენებულია ცალკეული დეკორაციული ჩანართებისათვის, რომლებიც, როგორც წესი, ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობითაა შესრულებული. ავტორმა თანამედროვე კომფორტით შემკულ შენობაში კარგად გამოიყენა მორთულობის ტრადიციული ხერხები. შენობის ინტერიერში იგი თამამად იყენებს სხვადასხვა დეკორაციულ მოტივებს, მაგრამ ისინი ყოველთვის მხატვრული ტაქტითაა გამოვლენილი და გარკვეულ ლოგიკას ემყარება.

„ივერიის“ მაღლივი ნაწილის სწორად ორიენტირებული მოცულობა გაწონასწორებულია რესტორნის ბლოკის აშკარად გამოხატული ჰორიზონტულობით, რომელიც იმისათვის, რომ უკეთ „გადაებას“ სანაპიროზე გადამდგარ

ბორცვს, ჰორიზონტულად გადაჭიმული აბზაცებითაა დანაწევრებული. ტერასებისა თუ სახურავების მკვეთრი პარალელური ხაზები ფერითაცაა გამოყოფილი. შენობის საერთო მომწვანო ფონზე თეთრი ქვა ხაზს უსვამს ამ ელემენტებს და მაღალ მოცულობასთან გამაერთიანებელ საშუალებასაც წარმოადგენს.

შენობა საერთო მოცულობითა და ფერადოვანი ჟღერადობით გამოიყოფა შენობასთან ახლო მისვლისას ხაზგასმულია შესასვლელები — სასტუმროს კორპუსში ღია სივრცითი მონაკვეთით, ხოლო რესტორანში კი — გამოყოფილი კიბეებით და დეკორატული სკულპტურული ფრიზით (მოქანდ. გ. კალაძე).

„ივერია“ ადგილის შერჩევითა და ღია აივნების რიტმით პასუხობს ქალაქის საერთო იერს, თორემ ექსტერიერისა და ინტერიერის დამუშავებაში თითქოს განგებაა უგულებელყოფილი თხრობა იმ ქალაქის სპეციფიკაზე ან ისტორიაზე, რომელშიაც შენობა დგას. და ამ ხაზგასმულ რესპექტაბელურ „საერთაშორისო“ გადაწყვეტაში აქა-იქ შეყვანილია, როგორც განძეულობა, ხელოვნების ნიმუშები[68]. ისიც უნდა ითქვას, რომ თვით სასტუმროს თემაც ამისათვის შესაფერ პირობებს ქმნიდა. ჩამოსულთათვის პირველი შთაბეჭდილებისთანავე ადგილობრივ ტრადიციებთან კონტაქტი გარკვეულ მიზანს ემორჩილება. ამიტომ ავტორი არ ერიდება დეკორაციულ საშუალებათა და ხერხების მრავალფეროვნებას. მოზაიკური პანოები და ვიტრაჟები, სკულპტურული ფიგურა და თუშური ხალხური ხალიჩები — შენობაში გამოყენებულია სხვადასხვა დარგის მხატვრული ნიმუშები. მაგრამ აქ არ არის პროფესიული ან ხალხური ხელოვნების რეტროსპექციული ჩვენება, ყველაფერი ემორჩილება თანამედროვეობას და ასახავს სწორედ იმ სტილისტიკურ ნიშნებს, რომლებიც „ივერიის“ არქიტექტურის თანადროულია. ასეა გადაწყვეტილი სახინკლის ინტერიერი, რომელშიაც ბოლნისის ტუფით მოპირკეთებულ კედელს კარგად ეთანხმება ხის მოჯირი და ჭედური რელიეფები; შიდა ეზოს კედელზე მოფენილია კერამიკული ჭურჭლეულის თემაზე შექმნილი მოზაიკური პანო, რომელიც რესტორნის მხრიდან ფონს უქმნის სკულპტურულ ფიგურას და ამთავრებს შიდა ეზოს „ინტერიერს“; ასეა ხალიჩები კაფეში ან ხორუმის თემაზე შესრულებული ჟღერადი გობელენი საბანკეტო დარბაზში და სხვ.

მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩევა ა. გორგაძის მიერ შესრულებული ჭედური რელიეფები ვესტიბიულიდან მომსახურების ბიუროსაკენ

---

[68] Н. Воронов. Национальное искусство в современной архитектуре. «Дек. искусство СССР». 1970. № 2. გვ. 14.

გასასვლელ დეკორაციულ ტიხარზე (ტაბ. 104_1). ეს კვადრატული ჩანადგარები მთლიანადაა დაფარული ჰედური რელიეფებით, რომლებზედაც ძირითადად ცხოველების გამოსახულებაა ხაზგასმული დეკორაციულობით გამოვლენილი. აქ ჩვენ არ შევუდგებით ცალკეულ კომპოზიციათა დეტალურ განხილვას, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ეს ნაწარმოები ქართული ჰედური ხელოვნების ახალ საფეხურზე მეტყველებს, როცა ჰედურობის სპეციფიკა მაქსიმალურადაა გამოვლენილი. თუ ქორწინების სახლში ან მუსკომედიის თეატრში ჰედუ[illegible]ის ხიძუმები ძირითადად ლითოხე ოელიეფის გადმოცემასთან არის დაკავშირებული და უფრო მონუმენტურობისაკენაა მიმართული, აქ ფირფიტებს შენარჩუნებული აქვს კამერულობა, რაც, როგორც კომპოზიციის გადაწყვეტითა და საერთო ნახატით, ისე შესრულების მანერითაცაა ხაზგასმული.

მორთულობის ელემენტებს არქიტექტორი მეტად თავშეკავებულად ხმარობს და მხოლოდ გარკვეული აქცენტისათვის იყენებს. თითოეულ მათგანს თითქოს აუცილებელი ადგილსამყოფელი აქვს მიჩნეული. ამიტომ არქიტექტურა დეკორაციული ლაქებით არ არის გადატვირთული, ამიტომვე დეკორაციული მახვილები არ ითქვიფება ერთმანეთში და ინდივიდუალობას ინარჩუნებს.

ზოგან თვით არქიტექტურულ-კონსტრუქციული ელემენტებია ისე გადაწყვეტილი, რომ დეკორაციული თავიდანვეა გამოვლენილი. ასეთია ხვეული კიბის მარში რესტორნის ვესტიბიულში, რომლის მოხდენილი პროპორციები და ნახატი სწორედ მის დეკორატულობას უსვამს ხაზს (ტაბ. 104_2). ამას ხელს უწყობს ვიტრაჟის ფონი, რომელიც გამოირჩევა შემადგენელი ნაწილების მსხვილი ნახატითა და ფერადოვანი ჟღერადობით. ხალხურ ქსოვილთა თემაზე დამყარებული ეს ვიტრაჟი აერთიანებს ორი სართულის სივრცეს და ხაზს უსვამს კაფესაკენ გასასვლელს. ეს მხატვრული აქცენტი, რომელიც მთავარი ვესტიბიულიდან ჰკეტავს პერსპექტიულ ხედს, საკმარისი აღმოჩნდა ინტერიერის „გაცოცხლებისათვის“. ავტორი კარგად გრძნობს, რომ მინის ვრცელმა სიბრტყეებმა შესაძლებელია ფერადოვანი სიჭრელე გამოიწვიოს და ამიტომ ფერს ზედმეტად აღარ იყენებს.

ის, რომ ინტერიერში „შემოტანილია“ გარემომცველი პეიზაჟი, გარკვეულ ამოცანებს სახავდა რესტორანში ფრესკის კოლორიტის გადაწყვეტისას. რესტორნიდან მოჩანს ქალაქის დიდი სივრცე ჭრელი სახურავებითა და შენობათა ფასადებით. ინტერიერის კედელზე ან უფრო მძლავრი ფერადი ლაქა უნდა შექმნილიყო, ან პირიქით, ფერზე უარი უნდა ეთქვათ — ამ ორსავ შემთ-

ხვევაში კონტრასტი იქნებოდა ყველაზე მეტად გამომსახველი. სინამდვილეში კი ფრესკის ჩამქრალი ტონები თითქოს „აირია“ ქალაქისა და თვით ხალხმრავალი ინტერიერის ფერადოვან სურათში და ამიტომ ცოტა ნეიტრალურიც დარჩა, მიუხედავად უეჭველი მხატვრული ღირსებებისა (მხატვ. ბ. ბერძენიშვილი).

რესტორნის განაპირა კედლის მთელი ზედაპირი ფრესკის ჰორიზონტულ ზოლს უჭირავს. სოფლის საყოფაცხოვრებო სცენებისაგან შემდგარ კომპოზიციაში ფიგურები და აქსესუარები თითქმის მთლიანად ავსებენ კედლის არეს. ფონი „განყენებული“ და ნეიტრალურია, თუმცა პერსონაჟთა მოქმედება კონკრეტულია და გამოხატავს მხიარულების (ცეკვა-სიმღერა), პურ-მარილის კალოობისა და სხვ. სცენებს. ცალკეულ სცენათა კომპოზიცია ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული, პირიქით, ხაზგასმითაა გამოყოფილი არა მარტო სხვადასხვა ჟანრული მომენტები, არამედ ცალკეული ჯგუფებიც კი. ავტორი არ ისახავს მიზნად, რომ მთელი კედელი ერთ კომპოზიციურ გადაწყვეტას დაემორჩილოს და უფრო მეტიც, შეგნებულად არღვევს საერთო მასშტაბურობას, ცვლის ხედვის კუთხეს. აქცენტები ამის გამო არა თანაბრადაა განაწილებული, როგორც ცალკეულ სცენებში, ისე კედელზე მთლიანად. ასე, მაგ. ერთმანეთში გარდამავალ სხვადასხვა სიუჟეტურ სცენებში, როცა მათი კომპოზიცია არ არის შემოფარგლული, კალოობის სცენა თითქოს თავისთავშია ჩაკეტილი და თუნდაც ფიგურათა ზომებითაც პირველობას იჩემებს.

ამრიგად. შექმნილია არა ერთიანი დეკორაციული ლაქა, არამედ სიუჟეტური სურათი, თუმც მეტად დეკორაციულად გადაწყვეტილი, რომელშიაც თხრობითი მხარე მაინც ითხოვს ყურადღებას და აიძულებს თვალს ამბის შინაარსით დაინტერესდეს. ამიტომ. ფრესკა ილუსტრაციის ხასიათს ატარებს.

მაგრამ ფრესკის ხაზგასმული დეკორაციულობა, შინაგანი დინამიურობა, მკაცრი კოლორიტი, გადმოცემის უშუალობა და შესრულების ოსტატობა თავისთავად მნიშვნელოვან ნაწარმოებად აქცევენ მას, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მკიდრო კავშირი ფრესკასა და გარემოცვასთან ვერ დამყარდა[69].

„ივერიის“ ინტერიერების დამუშავებაში, მიუხედავად მხატვრული ელემენტების სხვადასხვაობისა, მიღწეულია მათი გაერთიანება, რაც ხაზგასმული დეკორაციულობით, სიბრტყობლივი დამუშავებითა და სხვა სტილისტიკური ნიშნების ერთიანობაშია გამოხატული. აქ ქართული გამოყენებითი ხელოვნე-

---

69 სამართლიანად აღნიშნავს ნ. ვორონოვი ზემოთხსენებულ წერილში, რომ თავისი ხასიათით ეს ფრესკა სადგომის ფონს კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ არსს უნდა გამოხატავდეს. იქვე, გვ. 15.

ბის ნიმუშებს რაღაც განსაკუთრებული, „ქართული“ არქიტექტურული ფონი კი არ ექმნება, რომ არქიტექტურას ეროვნული ხასიათი მიეცეს. ამ მხრივ, იგი მკვეთრად განირჩევა სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა ინტერიერების გადაწყვეტისაგან, სადაც ეროვნული არქიტექტურის ტრადიციების პრობლემა თვით ცნობილ არქიტექტურულ ფორმათა და ელემენტთა გადმოტანითაა ნაკარნახევი. ზოგჯერ ეს მეტად ხელოვნურ იერს ატარებს და თეატრალურობას აღწევს. ასეა მაგ. რესტორან „მარანის “გაფორმება მცხეთაში (არქ. ლ. კენჭოშვილი, 1968), სადაც „აღდგენილია“ ძველი ქართული საცხოვრებლის — „დარბაზის“ ინტერიერი, თავისი დედაბოძითა და ერდოთი (ტაბ. 105_2). ტურისტებისათვის განკუთვნილი ასეთი „ეკზოტიკა“ ეროვნული არქიტექტურის განვითარების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არაფრით განსხვავდება ოცდაათიანი და ორმოციანი წლების სტილიზატორული, რესტავრატორული ნიმუშებისაგან. განსხვავება არის, მაგრამ არა პრინციპული მიდგომის მხრივ, არამედ მაღალი პროფესიონალიზმისა და დახვეწილი გემოვნების თვალსაზრისით.

რესტორან „დარიალში“ (არქ. ი. ზაალიშვილი, თ. ჩხეიძე, 1967; ტაბ. 105_1) მრავალფეროვანი საშუალებებია გამოყენებული, მაგრამ შექმნილია ერთიანი ანსამბლი. თავიდანვე იგრძნობა მისწრაფება ეროვნულ ტრადიციებზე შეიქმნას ინტერიერის მხატვრული სახე. ამისათვის კი ორივე დარბაზში განსხვავებული მიდგომაა გამოყენებული. ერთში — ფერწერული ტილოების ფონია ტონის მიმცემი, მეორეში — რელიეფებით დამუშავებული ქვის კედელი. ამ ორ დარბაზს ტრადიციული ქართული ავეჯის ახლებური გამოყენება აერთიანებს. თუ პირველ დარბაზში ფერია გადამწყვეტი, მეორეში — ნეიტრალურ ქვის კვადრების ფონზე — რელიეფები და სხვა ცალკეული დეტალები (ამიტომ ლურჯი ფერის ჩითის სუფრებიც კი მეორეში უფრო გამოირჩევა). აქ არის ახლებურად გადაწყვეტილი რელიეფი („მუსიკა“, ნ. ერგემლიძე, თ. ნუცუბიძე), რომელიც თავისი მასშტაბითვე გამოირჩევა სხვა, ძველი მოტივებით შედგენილი რელიეფისგან. რელიეფის ხაზგასმული მოჩარჩოება თითქოს ჩამოკიდებული სურათის შთაბეჭდილებას ქმნის და ზედმეტად გამოყოფს მას (როთაც არღვევს კიდეც ქვის რელიეფის ორგანულობას), იგი ნახატითა და საერთო ხასიათითაც გამოირჩევა ძველი ძეგლებიდან გადმოღებული ნიმუშებისაგან. აქ თვალში გეცემათ სტილიზაცია, რომელიც საერთო შთაბეჭდილებას სულ თან სდევს, თუმც დარბაზთა საერთო დეკორაციული იერი გემოვნებითაა აღბეჭდილი და ინტერიერი სასადილოსთვის საჭირო მყუდროებას აღწევს.

პირველ დარბაზში საკამათოა ფიროსმანის ცნობილი ტილოების პირდაპირი გადმოღება. ისე, რომ ნებისმიერადაა შეცვლილი ორიგინალთა ზომები.

ასეთი რეპროდუქცია ვერ ახდენს შთაბეჭდილებას, პირები მხოლოდ მოგონებას იწვევენ. კედლის გაჭედილი მოხატულობა, სის მოპირკეთება, ბუხარი, მორთულობის ელემენტთა სიმრავლე — მხატვრულ სიჭრელეს იწვევს.

ამრიგად, სურვილი ეროვნული არქიტექტურის შექმნისა, ამ შემთხვევაშიც ვერ გასცდა სტილიზაციის საზღვრებს. შემოქმედებითი მიმართულების განვითარების თვალსაზრისით ამაში სიახლე არ ჩანდა. თუმცა აშკარად გამოხატული მაღალი პროფესიონალიზმი განსაზღვრავს ეფექტს, რომელსაც ეს ინტერიერები ახდენს.

ასეა, თუ ისე, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათა არქიტექტურაში ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ბოლო ეტაპის ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარედ ინტერიერთა გადაწყვეტაში ეროვნული თავისებურების გამოვლენის ტენდენცია ისახება. თუ შენობათა საერთო არქიტექტურაში, მათ მთლიან გააზრებაში ეს მხოლოდ ცალკეულ ნაგებობებში შეინიშნება, შენობათა შიდა არქიტექტურა ამ ამოცანას თითქმის ყოველთვის ეხმაურება. ამ ტენდენციის განვითარების პროცესი გრძელდება.

შენობათა უმრავლესობა მოქცეულია საერთაშორისო არქიტექტურული ნორმების სფეროში, რომელშიაც რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და მინის ერცელი ზედაპირი აყალიბებს მხატვრულ სახეს. ასეთია ხელნაწერთა ინსტიტუტი მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსში (გ. ლეჟავა, ვ. ცუხიშვილი, 1965; ტაბ. 106$_1$), ტელეცენტრი (ა. ქურდიანი, 1966; ტაბ. 106$_2$), უნივერსიტეტის ქიმიურ-მათემატიკური ფაკულტეტის კორპუსი (მ. შავიშვილი, შ. კაჭკაჭიშვილი ს. ბეჟანოვი, მ. შუბლაძე, კონსტრ. მ. ლომიძე, 1968 ტაბ. 107$_1$), ადმინისტრაციული სახლი სადგურის მოედანზე თბილისში (გ. მელქაძე, 1968 ტაბ. 107$_2$) და სხვ. თუმცა ხშირად სამხრეთის პირობებში მინის დიდი ფართობები შენობათა გადახურებას იწვევს, მაინც არქიტექტორები ვერ უვლიან გვერდს მისი გამოყენების ცდუნებას. ამის გამო, ბევრ შენობაში, რომელთა ფუნქციური გადაწყვეტა თუ საერთო არქიტექტურულ-მხატვრული იერი მოწონებას იმსახურებს, მინის დიდი ზედაპირები შენობის ექსპლოატაციაში გარკვეულ უხერხულობას იწვევს. ასეა თბილისის ტელეცენტრის შენობაში, ხელნაწერთა ინსტიტუტის შენობაში და სხვ.. ამ ერთმანეთისგან განსხვავებულ შენობებს, მიუხედავად ზევით აღნიშნული ტენდენციისა, რომ შენარჩუნებულ იქნას კედლის სიბრტყის მნიშვნელობა, უმთავრესად აერთიანებთ მისწრაფება შეიქმნას თანამედროვე არქიტექტურისათვის ასე დამახასიათებელი ოპტიკური სიმსუბუქე. ამაში თავისი როლი ენიჭება მინის დიდ სიბრტყეებს, რომლებიც ზოგჯერ არ ეთანხმება ქვეყნის მხარეთა ორიენტაციას და სადგომების გადახურებას იწვევს.

როგორც უკვე აღინიშნა, რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეტროპოლიტენის გაბსნას, რომელიც მშენებლობის ორ რიგს მოიცავდა და 11 კმ-ის სიგრძეზე ორი მიწისზედა და შვიდი მიწისქვეშა სადგურისაგან შედგება[70]. თბილისის მეტროპოლიტენი მიწისქვეშა ტრანსპორტით ერთმანეთთან აკავშირებს ქალაქის ხუთ რაიონს. საწყისი სადგური „დიდუბე“ ორი სამრეწველო რაიონის შესაყართანაა, რომლებიც ერთმანეთისაგან გაეყოფა რკინიგზის ხაზების რამდენიმე განშტოებით. რკინიგზის ხაზების ქვეშ გაყვანილ გადასასვლელთან კომპლექსში მოწყობილი ვესტიბიული მოხერხებულად ემსახურება ორივე რაიონის მოსახლეობას. შემდეგი სადგური „ელდეპო“ ლენინის რაიონის სამრეწველო საწარმოების ზონაშია. ეს ორივე სადგური მიწისზედაა და 1,4 კმ-ის მონაკვეთს ემსახურება. „ელდეპო“ რკინაბეტონის ესტაკადაზეა მოწყობილი. ამის შემდეგ მიწისქვეშა ნაწილი გრძელდება. სადგურები თავისი საინჟინერო-კონსტრუქციული თუ არქიტექტურული გადაწყვეტით განსხვავებულია. „ოქტომბრის“ და „სადგურის მოედანი“ სამკამაროვანი, პილონური ტიპისაა, ხოლო „მარჯანიშვილის მოედანი“. „რუსთაველის მოედანი“ რვა მალიანი სვეტების ტიპისაა და შესრულებულია ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამკამაროვანი კონსტრუქციებით. მოსაპირკეთებელ მასალებად ნახმარია გრანიტი, მარმარილო, მოჭიქული ფილები, პლასტიკატები, მინა, ალუმინი და სხვ.[71].

საინჟინერო ნაირსახეობა თავისთავადაც საკმაოდ მოქმედებს სადგურების არქიტექტურულ გადაწყვეტაზე. ბუნებრივია, მიწისზედა სადგურები სრულიად განსხვავებულ სახეს ატარებენ და აქ ყველაფერი კონსტრუქციული არსის გამოვლენას ემორჩილება[72]. „დიდუბის“ პლატფორმაზე (არქ. ნ. ლომიძე, გ მოძმანიშვილი) მხატვრულ ეფექტს ანაკრებ კოლონებზე შედგმული მონოლითური რკინა-ბეტონის თხელკედლიანი გარსების გადახურვა ქმნის, რომლის მოხაზულობა მსუბუქ ფორმებს იძლევა. ქვევით დავიწროებული სვეტები, ლითონის მსუბუქ კრონშტეინებზე შემდგარი მუხის სკამებითა და საზურგეთა ჰორიზონტული ზოლებით, სასიამოვნო პროპორციულ დანაწევრებას ქმნის და სრულიად საკმარისი მხატვრული აქცენტი შეაქვს სადა და მარტივ არქიტექტურულ სახეში.

---

70 ვ. გოცირიძე, თბილისის მეტროპოლიტენი. „კომუნისტი“, 1967. 1.11, № 257.

71 В. Гоциридзе, Б. Пачулия. Тбилисский метрополитен в строю действующих. «Метрострой». 1966. № 1. გვ. 5.

72 Г. Модзманишвили. Архитектура наземных станций. «Метрострой». 1966. № 1, გვ. 16.

მეტროპოლიტენის სადგურების პროექტებში, ბუნებრივია, თავდაპირველად ძალზე საგრძნობი იყო ჩვენში არსებული პრაქტიკის გავლენა, მით უმეტეს, რომ საინჟინრო სქემაც არ იძლეოდა დიდი თავისუფლების შესაძლებლობას. მაგრამ თანდათანობით, სადგურები გარკვეულ ინდივიდუალობას იძენენ. უნდა აღინიშნოს, რომ მათი არქიტექტურა კარგად შეეფარდება ქალაქის საერთო მასშტაბს. თუ მიწისზედა პავილიონებში გეგმისა და ინტერიერის გადაწყვეტისას არქიტექტორები უფრო თავისუფალნი არიან, მიწისქვეშა სადგურებში ისინი მკაცრად ემორჩილებიან კონსტრუქციულ საფუძვლებს. მაგრამ არქიტექტორები მაინც იყენებენ ყველა შესაძლებლობას, რომ განსხვავებული ინტერიერები შექმნან. ასე, მაგ. „ლენინის მოედნის“ ქვედა სადგურის (არქ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, ქ. კობახიძე) გადაწყვეტაში მეჩხერად განლაგებული საყრდენები, სხვა სადგურებისაგან განსხვავებულ, თავისუფალი სივრცის შექმნის შესაძლებლობას იძლევა და ავტორები კარგად იყენებენ მას (ტაბ. 109_1). გვერდით დადგმული პილონები და მოპირკეთების ღია ტონი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. სივრცობლივი ამოცანის გადაწყვეტას ემორჩილება ზედა სადგურიც (რ. ბაირამაშვილი, დ. მორბედაძე), რომელიც სავაჭრო ცენტრის ერთიან შენობაშია ჩადგმული. მისი წინ გამოწეული გადახურვა და სიღრმეში შედგმული ცილინდრული მოცულობა გარე სივრციდან შიდაზე გადასვლის ჰარმონიულ საფეხურს ქმნის.

მეტროპოლიტენის სადგურების არქიტექტურაში პილონებისა და სვეტების პროპორციული აგებულება, ფერი განსაზღვრავს საერთო შთაბეჭდილებას. ეს მცირე შესაძლებლობა მაინც ანიჭებს გარკვეულ ინდივიდუალობას სხვადასხვა სადგურებს. პერსპექტივის ჩამკეტი განივი კედელი თითქოს ყველა შემთხვევაში დეკორაციული ელემენტისათვის არის გამოყენებული. თუ „რუსთაველის მოედანზე“ (არქ. ლ. ჯანელიძე; ტაბ. 108_2), ეს კედელი ლითონზე ნაჭედ, წრეში ჩახატულ დინამიკურ კომპოზიციას ეთმობა (მოქანდ. ე. ამაშუკელი), „ლენინის მოედანზე“ (ტაბ. 109_1) და „მარჯანიშვილის მოედანზე“ (არქ. ი. ყავლაშვილი, ნ. ქვარცხავა, გ. მელქაძე, თ. მიქაშავიძე, ტაბ. 109_2) დიდი ზომის სკულპტურული ჰორელიეფია ჩამაგრებული (თავისთავად, ერთი ხერხის გამოყენება, მიუხედავად განსხვავებული მასალისა და კედელზე ქანდაკებისათვის შერჩეული ადგილისა, მაინც ერთფეროვნების კვალს ატარებს). სადგურ „ოქტომბერში“ (არქ. თ. თევზაძე; ტაბ. 110_1) რევოლუციის თემაზე შესრულებული პანო (მხატვ. ნ. იგნატოვი) პლაკატური ხასიათისაა, ხოლო „სადგურის მოედანზე“ (არქ. ვ. აბრამიშვილი) ჭედურ რელიეფს მხოლოდ ემბლემის მნიშვნელობა ენიჭება. ასეთივე დანიშნულება აქვს შეკუმშულ მუშტების გამოსახულებას „26 კომისრის“ სადგურზე (არქ. ს. რევიშვილი, ზ. ჭიჭინაძე).

განსაკუთრებული დეკორაციული ფუნქცია ეკისრება სადგურ „300 არაგველის“ (არქ. გ. ბათიაშვილი) კედელს, რომელიც მთლიანად დაფარულია ლითონითა და მასზე შესრულებული ჰედური რელიეფით, რომლის სტატიკური კომპოზიცია სიბრტყობლივი, თითქოს-და „გრაფიკული“ ნახატითაა შედგენილი (მოქ. თ. გიგაური, ტაბ. 110₂).

ზედა პავილიონებისა და მიწისქვეშა სადგურების არქიტექტურა უმთავრესად ემყარება მათი მხატვრული დაპირისპირების პრინციპს[73]. ეს განსაკუთრებით საგრძნობია, როცა ზედა სადგურები მთლიანად მინის სიბრტყეებშია მოქცეული (26 კომისარი“, „300 არაგველი“), მაგრამ სხვა შემთხვევებშიც მიდგომა არქიტექტურულ-სივრცობლივი გადაწყვეტისადმი კონტრასტს ემყარება: ასეა მაგ. „ლენინის მოედანზეც“, სადაც ზედა ინტერიერის ჩაკეტილი სივრცე ქვედა სადგურის თავისუფალი სივრცისათვის თავისებურ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს და უფრო საგრძნობს ხდის მის ღია სივრცობლივ ხასიათს. ზედა პავილიონების დიდი შემინული სიბრტყეები (მაგ. „ოქტომბერი“), რომლებიც მომსახურების სადგომებისა და გასასვლელის მოცულობებს აერთიანებს, შესაძლებლობას იძლევა გარემომცველი ბუნებაც მოექცეს ინტერიერის სფეროში[74].

თბილისის მეტროპოლიტენის არქიტექტურაში მისთვის ინდივიდუალური სახის მინიჭება არ არის თვითმიზნად გადაქცეული. სადგურების არქიტექტურული სახე ემყარება ფუნქციური დანიშნულების სადა გადმოცემას და ამდენად საბჭოთა მეტროს არქიტექტურაში შემუშავებულ ტრადიციულ ფორმებსაც. ხელოვნებათა სინთეზი ერთ-ერთი წამყვანი კომპონენტია არქიტექტურისათვის ადგილობრივი ხასიათის მინიჭებაში.

60-იანი წლების ქართულ არქიტექტურაში დიდ ადგილს იკავებს საზოგადოებრივ ნაგებობათა დაპროექტება. მათგან მრავალი ჯერ მშენებლობის პროცესშია, მაგრამ საპროექტო მასალებიც გარკვეულ წარმოადგენას იძლევა მათ შესახებ და გვაჩვენებს, რომ მთელ რიგ საერთო ნიშნებთან ერთად, მათში თანდათანობით ისახება ინდივიდუალურიც, როცა მოცემულია ცდა ახალი გამომსახველობა მიენიჭოს უკვე ცნობილ კომპოზიციურ ხერხებს.

ასეთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თერთმეტსართულიანი სასტუმროს პროექტი ბაკურიანში (არქ. ვ. კედია). შენობა ერთ და ორადგილიან კომ-

---

73 ს. კანწურაშვილი. მეტროს ახალი სადგურები. „ლიტერატურული საქართველო“. 1967, 7.11, № 44—45.

74 Т. Тевзадзе. Художественный облик станции «Октябрьская». «Метрострой». 1966. № 1. გვ. 17.

ფორტული ნომრებისაგან შედგება და 315 სტუმრისათვისაა გათვალისწინებული (ტაბ. 111_1). მთავარი, მაღლივი მოცულობა გაწონასწორებულია ორივე მხრივ მიდგმული ვესტიბიულისა და სასადილო ბლოკის ჰორიზონტალებით. მთავარი კორპუსის მთელ სიგანეზე გადაჭიმულია ღია აივნები, რომლებიც მძლავრ აქცენტს სვამენ და „მაღალი“ შენობის ფასადს საზგასმულ ჰორიზონტალობას ანიჭებენ. მთელი არქიტექტურული ეფექტი აგებულია მკაცრ გეომეტრიულ მოცულობათა და ფორმათა ურთიერთშეფარდებაზე, რაც მთელი შენობის გამომსახველ დინამიკურ კომპოზიციას ქმნის.

საირმეში მშენებარე სასტუმრო ნაწილია კომპლექსისა, რომელიც საძილე კორპუსის, საკონცერტო დარბაზისა და რესტორნისაგან შედგება (არქ. ი. ზაალიშვილი, თანავატორი თ. გორდაძე). ადგილი კარგადაა შერჩეული კურორტის ცენტრში, ბორცვზე. საძილე კორპუსის გეგმაში მრავალწახნაგა ვერტიკალური მოცულობა „ამოსულია“ სამსართულიანი კორპუსისაგან. გადასასვლელები სასტუმრო კორპუსს საკონცერტო დარბაზის ჰორიზონტულ მოცულობასთან აკავშირებენ. კომპლექსის შემადგენელ ელემენტთა არქიტექტურა გეომეტრიულ მოცულობათა ფორმებისა თუ ფასადთა მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისით კონტრასტებზეა აგებული. ვერტიკალური ნაწილის ღია ლოჯია-აივნები უპირისპირდება სამსართულიანი მოცულობის „კოლოფებში“ ჩაკეტილ აივნებს. ყველაფერი ეს თავის მხრივ გამოყოფილია საკონცერტო დარბაზის სიბრტყობლივი გადაწყვეტისგან. მართალია, არქიტექტურაში იგრძნობა არქიტექტურულ ფორმათა და ელემენტთა სხვადასხვაობა და ერთიანი მასშტაბის დარღვევა, რაც ზედმეტ დიფერენციაციას იწვევს საერთო კომპლექსის შემადგენელ ნაწილებს შორის, მაგრამ პროექტი გამოირჩევა ბევრ სხვა, „თანამედროვედ“ გადაწყვეტილ, სასტუმროთა კორპუსებისაგან, რომლებიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ქალაქებისათვის და ცნობილი არქიტექტურული თემის მრავალგზის გამეორებას წარმოადგენს.

თბილისში ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების გასაყართან შეიქმნა ვრცელი მოედანი, რომელიც მოეწყო კინო-საკონცერტო დარბაზის დიდი როტონდის წინ (ი. ჩხენკელი; ტაბ. 111_3) ქალაქის ცენტრალური ნაწილის მნიშვნელოვანი მაგისტრალის ვიწრო განშტოებასთან ასეთი მოცულობის აგებამ ცალკეულ შენობათა აღება გამოიწვია. ტრამვაის ხაზის მოხსნის შემდეგ, ტრანსპორტის მოძრაობა პროექტით ორ დონეზეა გათვალისწინებული: საბურთალოს და სადგურის მხრიდან მიწისქვეშა გვირაბი ათავისუფლებს კიროვის პარკის წინ მდებარე ვიწრო ქუჩას და იგი ქვეითთა მოძრაობისთვის დარჩება. ვაკისკენ მიმავალი ტრანსპორტი მიწისზედა სახისაა. რელიეფის სპეცი-

ფიკამ, მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების სხვადასხვა დონემ შესაძლებლობა მისცა არქიტექტორს დაეპროექტებინა მცირე დარბაზი ცალკე შესასვლელით, ფოიეთი და დამხმარე სადგომებით. იგი დიდი დარბაზის სცენის ქვეშაა და მოხერხებულადაა მოთავსებული მთელი შენობის საერთო გეგმაში.

დიდი დარბაზი 2500 კაცს იტევს, გეგმით ნალისებრია, სიგანეშია გასული და ერთიანი ამფითეატრითა და ზემო იარუსითაა გადაწყვეტილი, ფოიე სალტესაით ეკვრის დარბაზს აქედან ქალაქისაკენ გახსნილი ხედია. ფოიე აერთიანებს შენობის შიდა სივრცეს გარემომცველ პეიზაჟთან. ინტერიერის თავისუფალი სივრცე საზეიმო ხასიათს ანიჭებს შენობის არქიტექტურას,

კინო-საკონცერტო დარბაზის ახლოს, კიროვის პარკის ჩრდილოვან კუთხეში, მაღალი ხეებით დაფარულ ხევის პირას, შენდება საჰადრაკო კლუბი (არქ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. ღუდუშაური) თავისი გაბარიტებით ეს მცირე შენობაა. იგი ყურადღებას იპყრობს გეგმის მკაფიო ორგანიზაციით. ფასადთა მთლიანი შემინვა თითქმის მთელ ქალაქზე ხსნის ხედს. შიდა სივრცე არქიტექტორებმა ცალკეულ სადგომთა პროპორციულ აგებულებას დაუმორჩილეს. ოთახთა გვერდების, სიმაღლის კარგად ნაპოვნი შეფარდებები განსაზღვრავენ არქიტექტურული გადაწყვეტის ეფექტს.

რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში შენდება საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც 450 სამუშაო ადგილიან უნივერმაღს, გრიბოედოვის სახელობის თეატრს და მეტროპოლიტენის სადგურს აერთიანებს (არქ. რ. ბაირამაშვილი, დ. მორბედაძე, ლ. მეძმარიაშვილი, თანაავტორი ბ. გორდეზიანი, ტაბ. 111₂). მიუხედავად სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა შეთავსებისა, მიღწეულია მხატვრული სახის ერთიანობა. პროსპექტის გაყოლებით გადაჭიმულია უნივერმაღის შენობის ფასადი მთლიანი კედლის სახით, რომელიც მარჯვნივ მეტროპოლიტენის ზედა სადგურითაა ფლანკირებული. წინ გამოწეული მძლავრი საჩრდილობელი აგრძელებს საერთო ფასადის ქვედა რეგისტრის ფრონტალურ ხაზს. მის ქვეშ მეტროს ვესტიბულამდე მოთავსებული ღია სივრცე დამატებით სივრცობლივ საფეხურს ქმნის ქუჩასა და სადგომს შორის. ბრტყელი გადახურვა გამოყენებულია კაფესთვის. უნივერმაღის ცენტრალური მოცულობა არქიტექტურულ ფორმათა კონტრასტით გამოიყოფა. ფართო ინტერვალებით განლაგებული სვეტების მეტრი გრძელდება ზედა იარუსის დანაწევრებაში. ასე, რომ ფასადის კომპოზიცია ვერტიკალურად მკვეთრად გამოყოფილი სამი ჰორიზონტული რეგისტრითაა გადაწყვეტილი. ძირითადი, შუა მოცულობის კედელი მძლავრ აქცენტს ქმნის.

პროპილეები შენობის ცენტრში პროსპექტს აკავშირებს შიდა ეზოსთან,

რომელიც თეატრის ღია ვესტიბულადაა წარმოდგენილი. ფასადის ნეიტრალურ კედელზე მოხატული კედელი მხატვრული აქცენტის მნიშვნელობას იძენს.

ამ მსხვილი სავაჭრო-საზოგადოებრივი ცენტრის შექმნა ქალაქის ყველაზე „ცოცხალ“ ქუჩაზე, რა თქმა უნდა, გადატვირთავს მას და ქვეითთა მოძრაობის პრობლემას ართულებს (ამის გათვალისწინებით ავტორებმა გაჭრეს ახალი ქუჩა-კიბეები შენობის გვერდით). ამ შენობის აშენება მთავარ მაგისტრალზე ქმნის გამომხატველ აქცენტს, რომელიც არ არღვევს პროსპექტის საერთო განაშენიანების მასშტაბს.

დედაქალაქში მშენებარე სხვა ნაგებობათაგან აღსანიშნავია აგრეთვე „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია (ა. ჭურდიანი, გ. ჭურდიანი), რომელიც სრულიად უცვლის სახეს ძველ ნაგებობას. სტადიონის ოვალის გარშემო განლაგებული პილონები აფართოებენ ტრიბუნებს, რომლებზედაც მაყურებელთა რიცხვი თითქმის ერთიორად იზრდება. სტადიონის კონსტრუქციული საფუძველი დაუფარავად ავლენს არქიტექტურული ნაგებობის არსს. სტადიონის მშენებლობა მიმდებარე ტერიტორიის არსებით რეკონსტრუქციას გამოიწვევს, რადგან მისასვლელებისა და ტრანსპორტის სადგომისათვის დიდი ადგილია საჭირო.

სპორტულ ნაგებობათა შორის აღსანიშნავია აგრეთვე საცურაო აუზი 5.000 მაყურებლისათვის (გ. აბულაძე, რ. კიკნაძე, შ. ყავლაშვილი), და საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდი ველოტრეკი (ნ. შოშიტაიშვილი). ველოტრეკისათვის მოხერხებულად შერჩეული ადგილი შესაძლებლობას იძლევა სამხრეთის ტრიბუნა მთის ფერდობზე იყოს შეფენილი, რაც აიაფებს მშენებლობას. ბუნებრივ რელიეფზე მდებარე ტრიბუნა ჩაწერილია ბუნებრივ გარემოცვაში, ხოლო მოპირდაპირე — ჩრდილოეთის ტრიბუნა ორიარუსიან კონსტრუქციაზეა განლაგებული და მასთან კონსტრასტს ქმნის. ხის საფენიანი ბილიკი დახრილადაა დაჯრდნობილი რკინა-ბეტონის ბოძებზე. ევაკუაციის თუ ხედვის პირობები გარკვეულ კომფორტს ანიჭებს ველოტრეკს.

საინტერესოა რუსთაველის პროსპექტზე ცენტრალური ტელეგრაფის შენობის პროექტი (არქ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, თ. მიქაშავიძე). შენობის დაპროექტებამ უკვე რამდენიმე ეტაპი გაიარა. თავდაპირველი მაღლივი კომპოზიცია შეიცვალა არსებული განაშენიანების სიმაღლესთან შეფარდებული მოცულობით. პროექტის დამუშავება გრძელდება, მაგრამ შენობის არქიტექტურის ძირითადი პრინციპები უკვე გამოიკვეთა. ორი შიდა ეზოს პერიმეტრზე განლაგებული დარბაზები და სამუშაო ოთახები კომპაქტურ ჯგუფს ქმნიან. ქვედა სართული გახსნილია და სივრცობლივ გადასასვლელებს ქმნის ცალკეულ ნაწი-

ლებთან. ქუჩა-კიბეები აკავშირებენ სხვადასხვა დონეებს. ფასადი აგებულია ვერტიკალურ თუ ჰორიზონტულ „მზისმჭრელების“ გადაკვეთაზე და მისი არქიტექტურა, მიუხედავად სრულიად განსხვავებული სახისა, შეფარდებულია მის გვერდზე არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობასთან (ჰორიზონტული დანაწევრების ზედა რეგისტრი, პილონები და სხვ.). ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ბოლო დროის ნაგებობებში აშკარად შეიმჩნევა „ინდივიდუალური ჩაკეტილობა“, როცა ახალი შენობის არქიტექტურა არ უწევს ანგარიშს არსებულ გარემოცვას და „ამოვარდნილია“ ამა თუ იმ ქუჩისა თუ მოედნის განაშენიანების არქიტექტურულ-მხატვრულ გადაწყვეტიდან. (მაგ. ცეკავშირის სახლი, რომელსაც თავისთავად საინტერესო კომპოზიცია აქვს, საშენმა მასალამ „ამოაგდო“ განაშენიანებიდან და კიდევ უფრო გაუსვა ხაზი მის გარშემო მდებარე მონაკვეთზე გაშენებულ შენობათა სიპრელეს).

ზოოვეტინსტიტუტის შენობა, რომელიც კრწანისში შენდება (ო. თუხარელი, ვ. ბარკაიას მონაწილეობით, პროექტი 1960 დამუშავდა), გადაწყვეტილია ბიბლიოთეკის, კონფერენც-დარბაზისა, სპორტდარბაზის და სამუშაო ოთახების მოცულობათა ურთიერთშეფარდებაზე. მაგრამ მთელი კომპლექსის დაყოფა ცალკეულ ნაწილებად არ არღვევს არქიტექტურის მთლიანობას.

მშენებლობაში მყოფი ობიექტები ქართველ არქიტექტორთა გაზრდილ ოსტატობაზე მეტყველებს. ისინი არა მარტო ახლებურ იერს მიანიჭებენ ქალაქთა არქიტექტურას, არამედ თანამედროვე ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების პრინციპების ჩამოყალიბებაში თამაშობენ მნიშვნელოვან როლს.

5 შემოქმედებითი მიმართულება

ორმოცდაათიანი წლების შუა მიჯნიდან ქართული არქიტექტურა, მთელ საბჭოთა ხუროთმოძღვრებასთან ერთად, მკვეთრად შემობრუნდა გახვითარების ახალი გზისაკენ. როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, პარტიისა და მთავრობის ცნობილი დადგენილებებისა და მითითებების საფუძველზე დაისახა ახალი მიმართულება, რომელიც რაციონალურ, ყოველგვარ ზედმეტობებს მოკლებულ არქიტექტურულ შემოქმედებას ემყარება. არქიტექტურამ ახალი სტილისტიკური ნიშნები მიიღო. არქიტექტურულ ფორმათა სიმკაცრე და სისადავე, ნაგებობათა ოპტიკური სიმსუბუქე, გამომსახველობის პალიტრის შემცირება, ძირითად საშენ მასალებად რკინა-ბეტონის, ლითონისა და მინის გამო-

ყენება. ხელოვნებათა სინთეზი — თანამედროვე არქიტექტურული შემოქმედების მნიშვნელოვანი კომპონენტები გახდა.

არქიტექტურამ ახალი ამოცანები დააყენა პრაქტიკოს არქიტექტორთა წინაშე. შენობის ფუნქციურ გადაწყვეტასთან ერთად, ამ საკითხების სფეროშია სამშენებლო კონსტრუქციები და მასალები, მშენებლობის ხარისხმა კი ერთ-ერთი წამყვანი მნიშვნელობა მოიპოვა. და მართლაც, არასოდეს არ ჰქონია მას ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ახლა, როცა უბრალო ბეტონის მასაში გამოვლენილ სიბრტყეებსა თუ მოცულობებს წამყვანი ადგილი უჭირავს შენობის არქიტექტურაში, როცა სადა კონსტრუქციებმა უამრავი დაუმალავი, ურთიერთპარალელური თუ პერპენდიკულარული ხაზები შექმნა. ცუდად განხორციელებულ ყოველგვარ დეტალს შეუძლია მხატვრულადაც დიდი ზიანი მიაყენოს მთელს შენობას.

არქიტექტურის ახალი შემოქმედებითი მიმართულების ძიება მჭიდროდ დაუკავშირდა საკითხს თვით არქიტექტურის არსის შესახებ.

არქიტექტურა თავისი ჩასახვიდან, არსებობის მთელ მანძილზე, ადამიანის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ამ ამოცანის გადაწყვეტა ხდებოდა იმ დროისათვის შესაფერ ტექნიკურ-მატერიალურ ბაზაზე დაყრდნობით, ე. ი. არქიტექტურა ყოველთვის გამოხატავდა თავისი დროის სამშენებლო საქმის დონესა და მიღწევებს, იგი მატერიალურ-ტექნიკური და იდეურ-მხატვრული მხარეების ორგანული მთლიანობაა. ამაშია მისი, როგორც ხელოვნების დარგის, სპეციფიკა. არქიტექტურაში უტილიტარული და მხატვრული ამოცანების ურთიერთდაპირისპირება მცდარია. თვით ამ დარგის უტილიტარული მხარე, მისი ფუნქციურობა მხატვრულად, ესთეტიკურადაა გააზრებული: არქიტექტურა ხელოვნების სფეროა და იგი გამოხატავს იმ იდეებს, რომლებიც ამოძრავებენ ამა თუ იმ დროის ხელოვნების მოწინავე სხვა დარგებსაც.

არქიტექტურული ნაწარმოები შეიცავს კონსტრუქციულ-მატერიალურ მხარეს, მაგრამ არქიტექტურა, როგორც ხელოვნების დარგი, ამით სრულიადაც არ კარგავს თავის სპეციფიკას, რადგანაც ამ კონსტრუქციულ მხარეს გამოხატავს მხატვრული საშუალებებით. მხატვრული საშუალების გამოყენებით იქმნება სილამაზე, რომელიც სარგებლიანობისაგან განუყოფელია, ისევე, როგორც განუყოფელია ტექნიკური და იდეურ-მხატვრული ამოცანების გადაწყვეტა. მარქსისტული ესთეტიკის თვალსაზრისით, არქიტექტურის არსს შეადგენს განუყოფელი, ორგანული ურთიერთკავშირი მის უტილიტარულ-ტექნიკურსა და იდეურ-ესთეტიკურ მხარეს შორის. უტილიტარულ-პრაქტიკულ და ტექნი-

კურ ამოცანათა გადაწყვეტა არ უნდა იყოს გათიშული იდეურ-მხატვრულ ამოცანებთან[75].

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ახალ ეტაპზე, წინა პერიოდისაგან განსხვავებით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა პროექტირებისა და მშენებლობის ეკონომიურობის საკითხებს. ეკონომიურობა ყოველთვის იყო ჭეშმარიტი არქიტექტურული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი და დიდ ხუროთმოძღვართა ზრუნვის საგანი. ცნობილი საბჭოთა ხუროთმოძღვარი ი. ფომინი 1934 წელს წერდა, რომ ზედმიწევნითი ეკონომიურობა არის ხუროთმოძღვრული აზრის ღრმა კონდენსირების ნიშანიო. „მაშინაც კი, როცა ჩვენი ქვეყანა ძალზე მდიდარი გახდება და ჩვენ ყოველი საცხოვრებელი სახლისა და საზოგადოებრივი ნაგებობისათვის უხვად მოგვცემენ ოქროს, მარმარილოს, წითელ ხეს, ძვირფას ბროლს, მაშინაც კი არქიტექტორისა და მშენებელ-კონსტრუქტორის ნაწარმოებისაგან უნდა მოვითხოვოთ განსაზღვრული ეკონომია. ფლანგავს ის, ვინც არ იცის მასალის, ადამიანის შრომის ფასი, ვისაც არ ესმის ჭეშმარიტი ხელოვნების აზრი“[76]. მაგრამ ეს დებულება ხშირად მივიწყებული იყო, ახლა კი მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა დღის წესრიგში, არქიტექტურული პროექტირების და მშენებლობის საკითხები მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს.

მაგრამ ახალი არქიტექტურული მიმართულების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა შინაგან წინააღმდეგობათა დაძლევის გზით.

თავდაპირველად ჩვენი სამშენებლო ინდუსტრია, ბუნებრივია, ვერ აყვა არქიტექტურულ პროექტირებას, რადგან არქიტექტორებმა სახელმძღვანელოდ მსოფლიო არქიტექტურულ პრაქტიკაში უკვე ცნობილ მოტივებს მიმართეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი არ იყო ჩვენთვის ორგანული და ამიტომ მათი გამოყენება გავლენების სფეროს ვერ სცილდებოდა. მაგრამ ეს იყო თავისებური რეაქცია, უფრო სწორად—ზრდის პროცესის გამოხატულება მას შემდეგ, რაც საბჭოთა არქიტექტურას ჩამოეცალა ის მანკიერი ფორმები, რომლებიც „პომპეზური“ არქიტექტურის კანონებით იყო შეპირობებული. მას შემდეგ, რაც აღიარებულ იქნა, რომ საჭიროა უცხოური არქიტექტურის პროგრესულ მოვლენათა გათვალისწინება-გამოყენებაც, ბევრი აყვა მზამზარეულ ფორმებს, ცნობილი არქიტექტურული სახეების გადმოღებას. ეს განსაკუთრებით ეხებოდა მინის დიდი სიბრტყეებისადმი სწრაფვას, რასაც სამხრეთის პი-

---

75 ნ. ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურის ზოგიერთი საკითხი. „მნათობი“. 1955. № 6, გვ. 147.

76 იქვე, გვ. 147.

რობებში შენობის ექსპლოატაციის თვალსაზრისით ზოგჯერ სავალალო შედეგიც მოყვებოდა: აიგო შენობები, რომლებშიც ქვეყნის მხარეთა მიმართ ორიენტაციის გაუთვალისწინებლობის გამო იყო ოთახები, რომლებიც თბილ დღეებში გამოუყენებელი ხდებოდა გადახურების გამო.

მაგრამ, თავისთავად, თანამედროვე არქიტექტურის ჩამოყალიბებაში საშენი მასალისა და კონსტრუქციის მნიშვნელობა ძალზე დიდია. იგი ერთ-ერთი განმსაზღვრელი მხარეა მისი არსისა. ტიპობრივი პროექტირებისა და მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე გადასვლა, მასობრივ მშენებლობაში უნიფიცირებული დეტალების ფართო გამოყენება, რკინა-ბეტონის კონსტრუქციების თამამი დანერგვა არქიტექტურის ხარისხობრივ ცვლილებებს გამოხატავდნენ. არქიტექტურული პროექტირების გარდაქმნასთან ერთად, მკვეთრად გამოვლინდა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის — სტანდარტის მნიშვნელობა.

მაგრამ მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, ტიპიზაციისა და სტანდარტის დანერგვა თავდაპირველად მიმდინარეობდა მხოლოდ ტექნიკურ შესაძლებლობათა ფარგლებში და ესთეტიკური მხარე ვერ პოულობდა თავის ანარეკლს. ამან მასობრივ ინდუსტრიულ მშენებლობას საგრძნობი დაღი დაასვა და გამოიწვია ერთფეროვანი, უღიმღამო საცხოვრებელი რაიონებისა და კვარტალების გაშენება. სხვადასხვა ადგილას, ან სხვადასხვა ქალაქებში გაშენებული ასეთი კომპლექსები არაფრით არ განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან და თავისთავადაც მოსაწყენ ერთფეროვნებას ქმნიდნენ. არქიტექტურულ შემოქმედებაში თითქოს ორი ნაკადი გამოიყო: ტიპობრივი პროექტებით მასობრივი მშენებლობა და ინდივიდუალური პროექტების მიხედვით „უნიკალური", საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათა აგება[77]. მასობრივ მშენებლობაში უმთავრესი ყურადღება მიიპყრო არქიტექტურული პროექტირების ეკონომიურმა მხარემ. შენობათა ფუნქციური, ეკონომიური და სამშენებლო-ტექნიკური თვისებები წამყვანი გახდა მასობრივ მშენებლობაში, მაგრამ ისე, რომ ესთეტიკური ამოცანების მიღმა დარჩა. მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, უნიფიკაციის პირობებში ფასადთა არქიტექტურამ ჩამოიცილა ზედმეტი, ცრუ დეკორაციული ელემენტები. ეს გასაგებიცაა, რადგან მასობრივ მშენებლობაში ცალკეულ სახლს იმდენი მნიშვნელობა არ ენიჭება, რამდენადაც მთლიანი კომპლექსების არქიტექტურულ-სივრცობლივ გადაწყვეტას. მაგრამ ახალი საცხოვრებელი კომპლექსების განაშენიანების კომპოზიციათა ერთფეროვნებამ, გარ-

---

[77] Л. Бабаян. Национальное своеобразие архитектуры на современном этапе. «Советская архитектура». 1970. № 19. გვ. 62.

კვეულმა შტამპმა, რომელიც ფართოდ მოედო მშენებლობას, კეთილმოწყობის ნაკლოვანებებმა, სილუეტის შეუფასებლობამ (ერთი სიმაღლის შენობათა მწკრივები), მოპირკეთების ერთფეროვნებამ მონოტონური, მოსაწყენი კვარტალები შექმნეს. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე მშენებლობის კლიმატური და სამშენებლო ზონირების არაზუსტი დიფერენცირება, რაც განსხვავებული ტიპების შექმნის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ყველაფერ ამასთან ერთად ტიპობრივი პროექტების შემუშავებისას, არ მიექცა სათანადო ყურადღება ესთეტიკურ-მხატვრულ საკითხებს, მიუხედავად იმისა, რომ თვით ტიპობრივი პროექტირების პრინციპი სრულიადაც არ გამორიცხავს შენობათა მხატვრული გააზრების შესაძლებლობას. პირიქით, ფართო სივრცობლივი კომპოზიციური გადაწყვეტის შესაძლებლობანი გზას ხსნის იმისაკენ, რომ „გადალახულ იყოს წინააღმდეგობა სტანდარტსა, მსხვილელემენტიან ნაგებობათა ყოველისმომცველ უნიფიკაციასა და ქალაქის, მიკრორაიონის განუმეორებელი სახის შექმნას შორის[78]. მხოლოდ 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან არქიტექტორთა შემოქმედებაში, ტიპობრივი პროექტების კორექტირებისა თუ ახალი პროექტების შექმნისას, გამოჩნდა ზრუნვა მასობრივ მშენებლობაში ტექნიკურ-სამშენებლო თუ მხატვრულ-ესთეტიკური საკითხების ერთიანობაზე.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა, ან „უნიკალურ“ შენობებში, რომელთა მშენებლობა ინდივიდუალური პროექტებით წარმოებდა, ახალი შემოქმედებითი მიმართულების ჩამოყალიბების პროცესი თანდათანობით მიმდინარეობდა. თავდაპირველად შეიმჩნევა მხოლოდ მორთულობისაგან თავისუფალი ფასადები ან ისევ „უვრაჟული“, თუმც თანამედროვე არქიტექტურული ნიმუშებისაგან გადმოღებული, სახეები, ხოლო შემდეგ გამოჩნდა არქიტექტურულ შესაძლებლობათა ახალი, ღრმა გააზრება.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ახალი ამოცანების გადაწყვეტისას, პროფესიული ოსტატობის ზრდის პროპორციულად, კვლავ გამოჩნდა ეროვნული თავისებურების გამომხატველი ტენდენციები. ავტორები თანდათანობით თავისუფლდებიან ძველი ფორმებისა თუ ახალი, მაგრამ ცნობილი კომპოზიციის გამოყენებისაგან და იქმნება დამოუკიდებელი, ინდივიდუალური არქიტექტურული ნაგებობანი, რომლებშიაც ადგილობრივი ჩვევები მთელი ორგანიზმის საერთო გააზრებაში იგრძნობა.

ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც მას გარკვეულ თავისებურებას ანიჭებს, თანდათანობით სულ

---

78 А. Иконников, Г Степанов. Эстетика социалистического города. М., 1963. стр. 63.

უფრო მჭიდროდ უკავშირდება ინტერნაციონალური ხუროთმოძღვრების იმ პრინციპებსა და ფორმებს, რომლებიც ზოგადკაცობრიული გამოცდილების საგანძურს წარმოადგენს და საყოველთაობისა და ერთიანობის ნიშნებს ატარებს. ეროვნულისა და ინტერნაციონალურის პრობლემა არქიტექტურის ახალ ეტაპზე თეორიისა თუ პრაქტიკის მეტად მნიშვნელოვან საკითხს შეადგენს.

მიუხედავად სხვადასხვაგვარი მიდგომისა, ეროვნული თავისებურებანი თავის გამოხატულებას პოულობენ თავისი არქიტექტურული ხასიათით განსხვავებულ შენობებში. ზოგჯერ ეს ტენდენცია „ილუსტრაციულ“ სახეს ატარებს (სასტუმრო „კოლხეთი“), ზოგჯერ შენობის „ნეიტრალური“ არქიტექტურა თავისებურ ფონს წარმოადგენს ხელოვნებათა სინთეზისათვის, რომელიც სწორედ. ადგილობრივი ტრადიციებთაა ნაკარნახევი (სასტუმრო „ივერია“) და სხვ. ტრადიციათა ათვისების პრობლემა ახლა სრულიად ახლებურ გადაწყვეტას გულისხმობს, როცა იგი ცალკეულ ტრადიციულ მოტივთა გამოყენებაში კი არა, არამედ, მთლიან არქიტექტურულ სახეშია გამოვლენილი. ეს ტენდენცია თანაშედროვე ქართულ არქიტექტურაში განსაკუთრებით შენობათა შიდა მხატვრულ სახეში გამოიხატა და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტერიერთა დამუშავება ფაქტიურად პირველად იქნა აყვანილი მხატვრული ამოცანების დონეზე[79]. ამის პირველ ნიმუშებად ქორწინების სახლისა და მუსიკალური კომედიის თეატრის ინტერიერთა გადაწყვეტა მოგვევლინა.

აქ აღინიშნება კიდევ ერთი მხარე თანამედროვე არქიტექტურის შემოქმედებითი მიმართულებისა — ეს არის არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სინთეზი. მისი ერთი მხარეა მონუმენტური ქანდაკება და დეკორაციულ-მონუმენტური ხელოვნების სხვა ფორმები, რომლებიც ახალ იერს ანიჭებს ქალაქის ამა თუ იმ რაიონს და აქტიურად მონაწილეობს ქალაქთმშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, ხოლო მეორე მხარეა — თვით შენობათა ექსტერიერსა თუ ინტერიერში მათი გამოყენება. 300 არაგველის ძეგლსა (არქ. ა. ბაქრაძე) და ფოთის მონუმენტში (მოქ. ე. ამაშუკელი, არქ. ვ. დავითაია) საქმე გვაქვს ისეთ გადაწყვეტასთან, რომელიც სრულიად ახლებურად წარმოადგენს ქანდაკებასთან მიმდებარე ქალაქის მონაკვეთს. აღსანიშნავია ფოთის მონუმენტის მაორგანიზებელი როლი მთელი მოედნის არქიტექტურულ გადაწყვეტაში, მისი მასშტაბი, პლასტიკური საშუალებანი. ფოთის მონუმენტის აგება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მანამდე უღიმღამო მოედნისათვის ახლებური

---

[79] В. Беридзе. Изобразительное искусство и архитектура Грузии. Сб. Путь Советского искусства. М., 1968. стр. 232.

იერი მიენიჭებინა და მაორგანიზებელი როლი ეთამაშა მის არქიტექტურულ-სივრცობლივ ფორმირებაში.

ხელოვნებათა სინთეზის გამოყენების მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბიჭვინთის საერთო დეკორაციულ გადაწყვეტას — ეს ერთ-ერთი პირველი მაგალითია ასეთი მასშტაბით ანსამბლის შექმნისა.

ხელოვნებათა სინთეზი თანამედროვე საზოგადოებრივი ნაგებობის ინტერიერის თითქოს განუყოფელი ნაწილი შეიქნა. შიდა სადგომების მრავალფეროვან სივრცობლივ კომპოზიციებში დეკორაციული საერთო ხასიათი და აქცენტები — დამახასიათებელ ნიშანთვისებად იქცა.

როგორც აღინიშნა, ინტერიერში აშკარად იგრძნობა მისწრაფება ეროვნული თავისებურებისაკენ. ეს მისწრაფება სხვადასხვაგვარ გამოხატულობას პოულობს. თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოყენება, უკვე თავისთავადაც თავისებურ ელფერს ანიჭებს საერთო არქიტექტურულ სახეს. თანამედროვე არქიტექტურის სადა, ლაკონიური ფორმები ჰარმონიულად უკავშირდება სახვითი ხელოვნების დეკორაციულ, პირობითად გადაწყვეტილ, ნაწარმოებებს. ინტერიერში ისეთი დარგების გამოყენება (ჭედურობა, კერამიკა და სხვ.), რომლებიც მეტად სპეციფიკურია ქართული ხელოვნების სწორედ დღევანდელი ეტაპისათვის, აგრეთვე თავის როლს ასრულებს არქიტექტურულ-მხატვრული სახისათვის ეროვნული იერის მინიჭებაში. მაგრამ, გარდა ამისა, თვით დეკორაციულ მორთულობის ძიებისას არქიტექტორები სხვადასხვაგვარად უდგებიან ამოცანის გადაჭრას. ზოგჯერ ძველი მოტივების (ორნამენტების, რელიეფების) პირდაპირი ციტირება ხდება, ზოგჯერ სტილიზაციის გზით ხდება მათი გადამუშავება, სხვა შემთხვევაში ადგილი აქვს ახლებურ დეკორაციულ მიდგომას, რაც ძველ ხალხურ მოტივებზეა დამყარებული. ასე, რომ ხალხური ფოლკლორის, ეთნოგრაფიული ელემენტები მონაწილეობენ თანამედროვე ინტერიერის გაფორმებაში. მაგრამ „საქართველოში (და ამით იგი განირჩევა ზოგიერთი სხვა რესპუბლიკისაგან) ფოლკლორი და ხალხური მოტივები არა სამუზეუმო ერთნოგრაფიაა, არამედ ცოცხალი დღევანდელი ჩვეულებია, სიმღერები, ცეკვები, ტრადიციები...“[80] და ასე გადმოტანილი ხალხური მოტივები მართლაც გარკვეულ სპეციფიკურობას ანიჭებს შენობათა (უპირატესად ინტერიერთა) არქიტექტურას.

მაგრამ როცა არქიტექტურული ნაწარმოები მთლიანად იმეორებს ცნობილ ხუროთმოძღვრულ ფორმებს და ნაგებობასაც კი („მარანი“ მცხეთაში), ეს უკვე

---

[80] Н. Воронов. Национальное искусство в современной архитектуре. «Декоративное искусство СССР» 1970. № 2. стр. 17.

სტილიზატორობისა და რესტავრატორობის აშკარა კვალს ატარებს. მართალია ძალზე დიდია განსხვავება მასალის შერჩევის, დახვეწილი ნახატისა თუ პროფესიული შესრულების მხრივ, მაგრამ პრინციპული თვალსაზრისით განა ეს მოვლენა დიდად განსხვავდება ოცდაათიანი წლების დასასრულისა და ორმოციანი წლების არქიტექტურაში ძველი ქართული არქიტექტურის ნიმუშების გამოყენებისაგან? აი საკითხი, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა ბოლო დროის არქიტექტურული პრაქტიკის შეფასებისას. ტურისტთათვის „ეკზოტიკური“ ინტერიერების შექმნის სურვილი ამგვარი სტილიზატორობის ძლავრი ბიძგია და არქიტექტურის შემოქმედებითი მიმართულების ძირითადი გეზიდან გადახვევას იწვევს.

მაგრამ ზემოაღნიშნული კი არ უარყოფს, არამედ კიდევ უფრო მკვეთრად გამოყოფს თანამედროვე ეტაპზე ეროვნულ თავისებურებათა ძიების ტენდენციას, რომელიც გრძელდება და შეიძლება ჯერ უფრო პოტენციაშია გამოხატული, მაგრამ მისი ნიშნები, როგორც აღინიშნა, აშკარად ჩანს. იგი მჭიდროდ უკავშირდება ნოვატორულ შემოქმედებას, რომელიც ახლებურ შინაარსს მიანიჭებს ეროვნული ტრადიციების გამოყენებასაც, რაც ადგილობრივი არქიტექტურული სკოლების შექმნის საწინდარს ქმნის. იმ პირობებში, როცა არქიტექტურული ენის „ინტერნაციონალიზაცია“ ხდება, ადგილობრივი არქიტექტურული სკოლის ჩამოყალიბება დიდადაა დაკავშირებული იმ ნოვატორულ ძიებებთან, რომლებიც საერთო სტილისტიკური მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს[81].

ამგვარად, თანდათანობით იკრიბება ის თვისობრივი დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ქართული არქიტექტურის მიმართულების ბოლო ეტაპისათვისაა დამახასიათებელი. ეს სტილისტიკური ნიშნები, დაგეგმარების სადა და მოხერხებულ ფუნქციურ გადაწყვეტასთან ერთად, აერთიანებს ახალ სამშენებლო კონსტრუქციათა და მასალათა, მარტივ არქიტექტურულ ფორმათა, ხელოვნებათა სინთეზისა და ადგილობრივი თავისებურებების გამოვლენის საკითხებს.

შემოქმედებითი მიმართულების, სტილისტიკური თავისებურებების ჩამოყალიბების რთული პროცესი გრძელდება. ამ პროცესის განვითარებისა და ქრონოლოგიური დისტანციის უქონლობის გამო საბოლოო დასკვნების გამოტანა, რა თქმა უნდა, ნაადრევი იქნებოდა.

---

[81] С. Хан-Магомедов. Новаторские поиски и стилизация в «Национальном духе». «Декоративное искусство СССР». 1970, № 8/153. стр. 13.

დასკვნა

როგორც განხილულმა მასალამ დაგვანახა, ქართულმა საბჭოთა არქიტექტურამ თავისი განვითარების ნახევარსაუკუნოვან მანძილზე რთული გზა განვლო. ეს შინაგანი დაძაბულობით აღნიშნული პროცესი ნათლად ვლინდება იმ ძირითადი ეტაპების განხილვის დროს, რომლებიც გამოსახავენ არქიტექტურული მიმართულების ცვლის კანონზომიერებასა და წინააღმდეგობებს, შემოქმედებით მიმართულებათა ჩამოყალიბებისა და განვითარების რთულ, დიალექტიკურ პროცესს.

ქართული არქიტექტურა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კვლავ იბრუნებს თავის შემოქმედებით სახეს, რომელიც გასაბჭოების წინა პერიოდში ფაქტიურად დაკარგული ჰქონდა. ქართული არქიტექტურის წინაშე დაისვა მანამდე არნახული მასშტაბისა და მნიშვნელობის ამოცანები, რომლებიც მშრომელთა ცხოვრების — შრომისა თუ დასვენების პირობების გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული: სოციალისტურმა საზოგადოებრივმა წყობამ არქიტექტურას ახალი გზა დაუსახა. ამ გზაზე ქართულმა საბჭოთა არქიტექტურამ, რომლის განვითარება განუყოფლადაა დაკავშირებული მთელი საბჭოთა ხუროთმოძღვრების ისტორიასთან, კოლოსალურ წარმატებებს მიაღწია. ქართული საბჭოთა არქიტექტურის გზა წინააღმდეგობათა დაძლევის შინაგანად დაძაბულ, შემოქმედებით პროცესს წარმოადგენდა, რომელიც თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა სტილისტიკურ ნიშნებს ავლენდა, მაგრამ მას ყოველთვის აერთიანებდა სოციალისტური სინამდვილისათვის შესაფერი არქიტექტურული სახის ძიება, იგი ასახავდა იმ ძირითად იდეურ პრინციპებს, რომლებიც საერთოდ საბჭოთა ხელოვნების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა.

ახალი ცხოვრებით ნაკარნახევი ამოცანები, სრულიად ახალი თემატიკა, ახალი ნაგებობები, რომლებიც თავისი იდეური დატვირთვითა და სოციალური მნიშვნელობით სრულიად განსხვავებული იყო მანამდე არსებულთაგან და საბჭოთა ადამიანზე ზრუნვით იყო შთაგონებული, არქიტექტურას ახალ გზას უსახავდა. ეროვნული არქიტექტურული კადრების შექმნა, რაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო, არქიტექტურულ ფრონტზე წარმატებათა საწინდარს ქმნიდა.

განვითარების პირველსავე ეტაპზე გამოჩნდა ახალი სახეებისა და ფორმათა ძიების პროგრესული ტენდენციები, რომლებიც ახალ სოციალურ, ტექნიკურ და ესთეტიკურ ამოცანებს სახავდა საბჭოთა არქიტექტურის წინაშე. შემდგომ ეტაპზე მემკვიდრეობის ათვისების პრობლემის არასწორად გაგებამ სერიოზული შეცდომები გამოიწვია. მაგრამ არ იქნება სწორი თუ ვიტყვით, რომ მთელი შემოქმედებითი პრაქტიკა მცდარ პოზიციებზე იდგა. ოცდაათიან წლებშიც გვესახება ქალაქთმშენებლობისა თუ ცალკე ობიექტთა არქიტექტურაში პროგრესული მოვლენები, რომელთაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა შემდგომი განვითარებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში მათ მცდარი ტენდენციები ვერ დაძლიეს. ამას ხელი შეუწყო ომის შემდგომ პერიოდში სიამაყისა და პატრიოტიზმის გრძნობით ნაკარნახევმა პომპეზურობამ და მონუმენტურობისაკენ მისწრაფებამ. მხატვრულ მხარეზე ცალმხრივმა და ყალბად გაგებულმა ზრუნვამ ხუროთმოძღვრებას მოაკლო ფუნქციური, ეკონომიური თუ სხვა ხასიათის მეტად მნიშვნელოვანი სპეციფიკური თვისებები. ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო საბჭოთა ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი პოზიციების გადასინჯვა და რადიკალური გარდაქმნა. შენობათა მასობრივი ტიპების აგების ინდუსტრიულ მეთოდებზე გადაყვანა, ახალ სამშენებლო კონსტრუქციათა დანერგვა და გამოყენება არქიტექტურის ხარისხობრივ ცვლილებებზე მეტყველებდა.

თავისი არსებობის პირველსავე წლებიდან ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში თვალნათლივ გამოიკვეთა განვითარების ძირითადი ხაზი, რაც ახალი არქიტექტურის ეროვნულ ხუროთმოძღვრების ტრადიციებზე შექმნას ემყარებოდა. ეროვნული არქიტექტურის პრობლემა ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე სხვადასხვაგვარადაა გამოვლენილი, ზოგჯერ არასწორადაა გაგებული, რაც აფერხებს კიდეც მის წინსვლას, მაგრამ იგი მაინც რჩება ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად. პირველ ეტაპზე, ეროვნული ტრადიციების გამოვლენისადმი მისწრაფებასთან ერთად, ქართული საბჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა არ-

ქიტექტურის ახალი მიმართულების დანერგვას, მიმართულებისა, რომელიც რაციონალისტურ და კონსტრუქტივისტულ არქიტექტურაზე იყო დაფუძნებული. განვითარების ეს ორი ხაზი ძირითადად პარალელურად მიემართებოდა, მიუხედავად ზოგიერთი, ფაქტიურად უმნიშვნელო, ცდისა არ მოხდა მათი ორგანული სინთეზი. მეორე ეტაპზე მემკვიდრეობის ათვისების პრობლემა აღიარებულ იქნა, როგორც სოციალისტური არქიტექტურის შექმნის მბატევრული საშუალება და გამოვლინდა ერთი მხრივ კლასიკური (უფრო სწორად კლასიციზმის) ხუროთმოძღვრული პრინციპების, ხოლო მეორე მხრივ, ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების ტრადიციულ ფორმათა გამოყენებაში. მაგრამ ხშირად იგი მატერიალურ თუ ფუნქციურ მხარეს მოწყვეტილ გამფორმებლურ-მხატვრულ ნიშნებში, ფორმალურ-ესთეტიკურ ტენდენციებში გამოიხატებოდა. მესამე ეტაპზე, როცა არქიტექტურულ შემოქმედებაში ძირეული გარდაქმნები მოხდა, გარკვეული ხნის შემდეგ, ტრადიციული თავისებურებანი კვლავ იჩენს თავს, თუმც სრულიად ახლებურ ხარისხშია აყვანილი. ეროვნული თავისებურება მჟიდროდ უკავშირდება ინტერნაციონალურობის პრობლემას.

ჩვენ აქ აღარ ვიმეორებთ იმ დებულებებს, რომლებიც ყოველი ეტაპის დახასიათებისას საკმაოდ ვრცლადაა განხილული და გვიჩვენებს იმ ძირითად ტენდენციებს, რომლებმაც განსაზღვრეს ქართული საბჭოთა არქიტექტურის გზა.

საბჭოთა ხუროთმოძღვრების ძირითადი სპეციფიკური თავისებურებანი — ფართოდ გაშლილი ქალაქთმშენებლობითი სამუშაოები და საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა მასობრივი ხასიათი განსაზღვრავენ ქართული საბჭოთა არქიტექტურის დამახასიათებელ ნიშნებს. მასობრივ ნაგებობათა ტიპიზაცია, მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, ახალი, კონსტრუქციულად და ფუნქციურად უფრო სრულყოფილი, საზოგადოებრივი ნაგებობანი ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების წინაშე ახალ პრობლემებს სვამენ და აქტიურად მონაწილეობენ არქიტექტურის ახალი სტილისტიკური ნიშნების ჩამოყალიბებაში.

საბჭოთა ადამიანის მოთხოვნილებათა ყოველმხრივი დაკმაყოფილება, ტიპობრივი პროექტებით აგებულ მასობრივ ნაგებობათა ფუნქციურ და ესთეტიკურ მხარეთა გაუმჯობესება, საზოგადოებრივ შენობათა ახალი ტიპების შექმნა სამშენებლო პროგრესის ზრდა საფუძვლად უდევს თანამედროვე ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებას.

ტაბულების სია

1 — 1. თბილისი. „ტრამვაელთა“ სახლი. ფრაგმენტი. არქ. დ. ჩისლიევი. 1926.
2. „ტრამვაელთა“ სახლები.

2 — 1. ბათუმი. ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დასახლება. არქ. გაუზნერი. 1930.
2. ბათუმი. ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დასახლება. საცხოვრებელი სახლი.

3 — 1. ბათუმი. საცხოვრებელი სახლი მაიაკოვსკის ქუჩაზე. 1927.
2. ბათუმი. საცხოვრებელი სახლი მარქსისა და კალინინის ქუჩების გადაკვეთაზე. არქ. კლიმენჩენკო. 1930.

4 — 1. ბათუმი. საცხოვრებელი სახლი ლენინის ქუჩაზე. არქ. ცუკანოვი. 1929.
2. ბათუმი. საცხოვრებელი სახლი გორკის ქუჩაზე. 1931—32.

5 — 1. თბილისი. ბანკის მუშაკთა საცხოვრებელი სახლი. არქ. გ. ტერ-მიქელოვი. 1929.
2. თბილისი. საცხოვრებელი სახლი ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში. არქ. იაკუბოვიჩი. 1928.

6 — 1. თბილისი. საცხოვრებელი სახლი საბა-სულხანის ქუჩაზე. არქ. ნ. სევეროვი. 1930.
2. თბილისი. „სპეციალისტების სახლი“. არქ. მ. შავიშვილი, ა. ნიკოლაიშვილი. 1932—35.

7 — 1. ზაჰესი. არქ. ა. კალგინი, მ. მაშავარიანი, კ. ლეონტიევი. 1922—27. საერთო ხედი კაშხალზე.
2. ზაჰესი. საგენერატორო სადგური.

8 — 1. თბილისის ქვესადგური. პროექტი. არქ. ა. კალგინი, მ. მაშავარიანი. 1924.
2. ზაჰესი. საგენერატორო სადგურის ინტერიერი.
3. ზაჰესი. განმანაწილებელ მოწყობილობათა შენობა.

9 — 1. თბილისი. კინოთეატრი პლეხანოვის კლუბის ტერიტორიაზე. ინჟ. გ. დანდუროვი. 1927—28.

2. თბილისი. ამიერკავკასიის რკინიგზის ადმინისტრაციული შენობა. არქ. ნ. მადათოვი. 1930.

10 — 1. თბილისი. ტუბერკულოზის ინსტიტუტი. არქ. კ. ლეონტიევი. 1930.
2. ბორჯომი. ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი. არქ. მ. ბუზოღლი. 1930.

11 — 1. თბილისი. კინო-სტუდია. პროექტი. არქ. მ. ბუზოღლი. 1927.
2. თბილისი. კინო-სტუდია. არქ. მ. ბუზოღლი. 1930.

12 — 1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. პროექტი. არქ. ნ. სეველროვი. 1927.
2. თბილისი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. არქ. ნ. სეველროვი. 1929.

13 — 1. თბილისი. პურის ქარხანა. პროექტი. არქ. ი. ნესტეროვი. 1928.
2. თბილისი. პურის ქარხანა. არქ. ი. ნესტეროვი. 1928—29.

14 — 1. თბილისი. „ზარია ვოსტოკას" რედაქციის შენობა. არქ. დ. ჩისლიევი. 1929.
2. თბილისი. „კავშირგაბმულობის სახლი". არქ. კ. სოლომონოვი. 1932.

15 — 1. თბილისი. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შენობა. არქ. ნ. სეველროვი. 1930.
2. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შენობა. ჩიტაძის ქუჩის ფასადი. პროექტი.

16 — 1. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შენობა. კიბის უჯრედი.
2. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შენობა. ვესტიბიული.

17 — 1. კლუბი სანაპიროზე. პროექტი. არქ. გ. ლეჟავა. (ა. კალგინის ხელმძღვანელობით). 1929—30.

2. აზერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსები. პროექტი. არქ. კალგინი, გ. ტერ-მიქელოვი, გ. ლეჟავა. 1928.

18 — კონკურსი კულტურის სახლის პროექტზე. 1931.
1. პროექტი დევიზით „A3".
2. პროექტი დევიზით „კომბინატი".
3. „საპარას" პროექტი. არქ. შ. თავაძე, კ. მერაბიშვილი.

19 — 1. პროექტი დევიზით „სატურნი".
2. პროექტი დევიზით „14". არქ. მ. შავიშვილი, ა. ნიკოლაიშვილი.
3. პროექტი დევიზით „ნტო".

20 — 1. პროექტი დევიზით „შავი კვადრატი".
2. პროექტი დევიზით „26".
3. პროექტი დევიზით „სსსი". არქ. ი. ყირქესალი, ი. ზაალიშვილი, ს. სატუნცი, ვ. ქორქაშვილი, ქ. დგებუაძე.

21 — თბილისის დაგეგმარების გენერალური გეგმა. არქ. ი. მალოზიომოვი, ზ. ქურდიანი, გ. გოგავა; ეკონომისტი გ. შელეიხოვსკი. 1934.
ფოტო მაკეტიდან.

22 — 1. ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების კვანძი.
2. მარჯანიშვილის მოედანი.
3. მეტეხის ბორცვის და სანაპიროს რეკონსტრუქცია.
4. ძველი ქალაქის რეკონსტრუქცია.

23 — 1. თბილისი. გმირთა მოედანი.
2. თბილისი. ჩელუსკინელთა ხიდი. არქ. ნ. სეველროვი, ინჟ. სლოვინსკი. 1932—35.

24 — 1. თბილისი. ლენინის მოედნის რეკონსტრუქცია. 1934—35.
2. თბილისი. ბარათაშვილის აღმართის რეკონსტრუქცია. 1935.

25 — 1. თბილისი. პარკი მამადავითის პლატოზე. არქ. მ. გინზბურგი. 1935. პროექტი.

26 — 1. რესტორანი და კულტდაწესებულებანი მამადავითის პლატოზე. არქ. მ. გინზბურგი. 1935. პროექტი.
2. თბილისი. რუსთაველის ძეგლი. მოქ. კ. მერაბიშვილი, არქ. შ. თულაშვილი. პროექტი. 1937.

27 — 1. თბილისი. პარკი მამადავითის პლატოზე. გენგეგმა. არქ. ზ. და ნ. ქურდიანები, დენდროლოგი ნ. ციციშვილი. 1938.
2. პარკის მთავარი ხეივანი.

28 — 1. ფოთი. გენერალური გეგმის სქემა. არქ. ა. ნიკოლაიშვილი, ვ. კედია. 1934—35.
2. ბათუმი. მოედანი ქალაქის ცენტრში გენერალური გეგმის მიხედვით. პროექტი. არქ. ი. ყირქესალი, ბ. ლორთქიფანიძე, ლ. სუმბაძე. 1933.

29 — 1. ცხინვალი. ცენტრალური მოედანი გენერალური გეგმის მიხედვით. არქ. რ. აღაბაბიანი, ლ. ვართანოვი, ი. ყირქესალი. 1933.
2. გორი. გენერალური გეგმის სქემა. არქ. ლ. სუმბაძე, ბ. ლორთქიფანიძის მონაწილეობით. 1936—39.

30 — 1. თბილისი. საცხოვრებელი სახლი პლეხანოვის პროსპექტზე. პროექტი. არქ. მ. კალაშნიკოვი. 1935.
2. თბილისი. საცხოვრებელი სახლი მარქსის მოედანზე. არქ. გ. ხიმშიაშვილი. 1936.

31 — 1. თბილისი. საცხოვრებელი სახლი ბარათაშვილის ქუჩაზე. პროექტი. არქ. ს. დემჩინელი, ა. ქურდიანი, გ. ჯანდიერი. 1940.

32 — 1. თბილისი. საცხოვრებელი სახლი ბარათაშვილის ქუჩაზე.
2. თბილისი. საცხოვრებელი სახლი რუსთაველის პროსპექტზე. არქ. ს. ყუბანეიშვილი, ა. ქურდიანი, მ. მელია. 1939.

33 — 1. თბილისი. საცხოვრებელი სახლი გმირთა მოედანზე. თავდაპირველი ვარიანტი. მ. კალაშნიკოვი. 1935.
2. საცხოვრებელი სახლი გმირთა მოედანზე. არქ. მ. კალაშნიკოვი. 1938.
3. საცხოვრებელი სახლი გმირთა მოედანზე. კოშკური ნაწილი.

34 — 1. სოხუმი. საცხოვრებელი სახლი ლენინისა და ჭაჭავაძის ქუჩების კუთხეში. არქ. ა. მიმიშოშვილი. 1937.
2. სოხუმი. საცხოვრებელი სახლი კიროვის ქუჩაზე. 1940.

35 — კონკურსი საქართველოს სსრ მთავრობის სახლის პროექტზე.
1. არქ. ს. ჩერნიშოვის პროექტი. 1932.
2. არქ. მ. ჩხიკვაძის პროექტი. 1933.
3. არქ. ვ. კოკორინის პროექტი. 1934.
4. არქ. ლ. ჯანელიძის პროექტი. 1934.

36 — 1. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ზედა კორპუსი. არქ. ვ. კოკორინი, გ. ლეჟავას მონაწილეობით. 1938.
2. ვესტიბიული.

37 — 1. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. საკონკურსო პროექტი. არქ. ი. ფომინი. 1933.
2. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. საკონკურსო პროექტი. არქ. მ. კალაშნიკოვი. 1933.
3. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. მთავარი ფასადი. პროექტი. არქ. ა. შჩუსევი.

38 — 1. თბილისი. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობა. არქ. ა. შჩუსევი. 1938.
2. ფასადი კვალის ქუჩაზე.
3. სააქტო დარბაზი.

39 — 1. „დინამოს“ სტადიონი. საკონკურსო პროექტი. ა. ქურდიანი, დ. ფომინი. 1933.
2. არქ. მ. მელეგის საკონკურსო პროექტი. 1934.
3. არქ. ა. ქურდიანის საკონკურსო პროექტი. ჰ. ჰრინევსკის მონაწილეობით. 1934.
4. თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. არქ. ა. ქურდიანი. 1935—37.

40 — 1. „დინამოს“ სტადიონი. ტრიუმფალური თაღი.
2. „დინამოს“ სტადიონი. სამხრეთის გალერეა.

41 — 1. ამიერკავკასიის პავილიონი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში. პროექტი. არქ. მ. შავიშვილი, ი. ჩხენკელი, გ. ჩაჩანიძე. 1938.
2. მოსკოვი. საქართველოს სსრ პავილიონი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. არქ. ა. ქურდიანი, გ. ლეჟავას მონაწილეობით. 1939.

42 — 1. ფუნიკულიორის ზედა სადგურის პროექტი. პირველი ვარიანტი. არქ. ზ. და ნ. ქურდიანები. 1936.
2. ფუნიკულიორის ზედა სადგური. პერსპექტივი. არქ. ზ. და ნ. ქურდიანები. ვ. ვოლობუევის მონაწილეობით. 1936.
3. ფუნიკულიორის ზედა სადგური მთავარი ფასადი. პროექტი.

43 — 1. თბილისი. ფუნიკულიორის ზედა სადგური. არქ. ზ. და ნ. ქურდიანები, ვ. ვოლობუევის მონაწილეობით. 1938.
2. ფასადი პარკის მხარეს.

44 — 1. თბილისი. ბალნეოლოგიური კურორტის შენობა. არქ. ბ. კარბინი, ი. ჟიტკოვსკი, მ. კალაშნიკოვი. 1937.
2. თბილისი. კინოთეატრი „რუსთაველი“. პროექტის პირველი ვარიანტი. არქ. ნ. სეეროვი.

45 — 1. კინოთეატრი „რუსთაველი“. პროექტი.
2. თბილისი. კინოთეატრი „რუსთაველი“. არქ. ნ. სეეროვი. 1939.

46 — თბილისის ცირკის საკონკურსო პროექტი.
1. არქ. ა. კალგინი, ნ. მადათოვი, ე. ურუშაძე. 1935.
2. არქ. ვოლკოვიჩი. 1935.
3. არქ. გ. ტერ-მიქელოვი, მ. ჩხიკვაძის მონაწილეობით. 1935.

47 — 1. არქ. გ. ხიმშიაშვილი. 1935.
2. არქ. ვ. ურუშაძე. 1936.
3. არქ. ნ. ნეპრინცევი, ს. სატუნცი. 1936.

48 — 1. თბილისი. ცირკი, არქ. ნ. ნეპრინცევი, ს. სატუნცი, ვ. ურუშაძე. 1940.
2. თბილისი. ცირკი. ფასადის ფრაგმენტი.

49 — 1. გორი. თეატრი. მთავარი ფასადის პორტიკი. არქ. შ. თავაძე, მ. ჩხიკვაძე. 1939.
2. ფოიეს პლაფონი.
3. ცხინვალი. ადმინისტრაციული შენობა. არქ. მ. შავიშვილი. 1937.

50 — 1. ქუთაისი. სასტუმრო. არქ. მ. ჩხიკვაძე. 1937—40.
2. სოხუმი. ადმინისტრაციული შენობის ფლიგელები. არქ. გ. შჩუკო, ვ. გელფრეიხი. 1939.

51 — 1. თბილისი. უნივერსიტეტის ფიზიკო-ქიმიური კორპუსი. არქ. მ. შავიშვილი. 1940.
2. თბილისი. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კორპუსი. არქ. მ. ნეპრინცევი. 1941.

52 — 1. გაგრა. დასასვენებელი სახლი. არქ. ნ. სევეროვი. 1936.
2. გაგრა. დასასვენებელი სახლი. პროექტი.

53 — ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის“ საკონკურსო პროექტები. 1939.
1. არქ. ნ. სევეროვის პროექტი.
2. არქ. მ. კალაშნიკოვის პროექტი.

54 — 1. არქ. ი. ჩხენკელისა და კ. ჯავახიშვილის პროექტი.
2-3. არქ. გ. ლეჟავას პროექტი.

55 — 1. რუსთავი. დაგეგმარების პირველი პროექტი. არქ. ზ. და ნ. ქურდიანები, ა. ქურდიანის მონაწილეობით. მეორე ვარიანტი.
2. რუსთავი. დაგეგმარების პირველი პროექტი. მეოთხე ვარიანტი.
3. რუსთავი. გენერალური გეგმის პროექტი. არქ. ზ. და ნ. ქურდიანები. 1944.

56 — 1. რუსთავი. ქალაქის გეგმის სქემა.
2. რუსთავი. ლენინის მოედანი.

57 — 1. რუსთავი. პირველი მაისის ქუჩა.
2. თბილისი. რუსთაველის პროსპექტისა და მოედანთან მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია. არქ. გ. გალდავა, ო. კალანდარიშვილი, გ. ანდრიაძის და მ. კალაშნიკოვის მონაწილეობით. 1952.

58 — ქუთაისის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის სქემა. არქ. ა. ნიკოლაიშვილი, თანაავტორი შ. გოგოლაშვილი. 1947.

59 — 1. თბილისი. მარჯანიშვილის მოედანი.
2. საცხოვრებელი სახლები მარჯანიშვილის მოედანზე. არქ. მ. მელია. 1947—49.

60 — 1. თბილისი. საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის პროსპექტზე. არქ. ქ. ფორაქიშვილი-სოკოლოვა. 1954.
2. თბილისი. საცხოვრებელი სახლი ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე .არქ. ა. მიმინოშვილი. 1949.

61 — 1. თბილისი. საცხოვრებელი სახლი ჩელუსკინელთა ქუჩაზე. არქ. ღ. სუმბაძე. 1951—53.
2. თბილისი. საცხოვრებელი სახლი პლეხანოვის პროსპექტზე. არქ. ი. ჩხენკელი. 1950.
3. სოხუმი. საცხოვრებელი სახლი თბილისის გზატკეცილზე.

62 — 1. სოხუმი. საცხოვრებელი სახლი წერეთლისა და მშვიდობის ქუჩების კუთხეში. არქ. ს. ცინცაბაძე. 1949.
2. სოხუმი. საცხოვრებელი სახლი ლენინის ქუჩაზე. არქ. უ. ბაქრაძე. 1949.

63 — 1. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის პროექტი. არქ. ა. ქურდიანი. 1945.
2. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის საკონკურსო პროექტი. არქ. ი. ჩხენკელი. 1946.

64 — თბილისი. საქართველოს სსრ მთავრობის სახლი. არქ. ვ. კოკორინი, გ. ლეჟავა, ვ. ნასარიძის მონაწილეობით. 1953.

65 — 1. საქართველოს სსრ მთავრობის სახლი. მინისტრთა საბჭოს ვესტიბიული.
2. შიდა ეზო-ვესტიბიული.

66 — „საქნახშირის“ სახლის საკონკურსო პროექტები. 1946.
1. არქ. ა. ნიკოლაიშვილი.
2. არქ. მ. კალაშნიკოვი, ნ. პარემუზოვა.
3. არქ. გ. ხიმშიაშვილი, ს. რიჟინაშვილი.

67 — 1. თბილისი. „საქნახშირის“ ადმინისტრაციული სახლი. არქ. მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძე. 1953.
2. თბილისი. „კავშირგაბმულობის სახლი“. არქ. ი. ჩხენკელი. 1954.

68 — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საკონკურსო პროექტები. 1947.
1. არქ. ზ. და ნ. ქურდიანებისა და ს. რევიშვილის პროექტი.
2. არქ. მ. შავიშვილის პროექტი.
3. არქ. ს. ლენტოვსკის პროექტი.

69 — 1. არქ. ნ. სეეროვის პროექტი.
2. არქ. მ. ჩხიკვაძის პროექტი.
3. არქ. გ. ლეჟავას პროექტი.

70 — 1. ქუთაისი. ადმინისტრაციული სახლი. არქ. მ. შავიშვილი. 1947.
2. ქუთაისის თეატრის პირველი პროექტი. არქ. შ. თაქაძე. 1933.

71 — 1. ქუთაისი. თეატრი. არქ. შ. თაქაძე, მ. შავიშვილი. 1955.
2. ჰიათურა. თეატრი. არქ. კ. ჩხეიძე, მ. ჩხიკვაძის მონაწილეობილ. 1949.

72 — 1. ქუთაისი. თეატრი. მაყურებელთა დარბაზი.
2. ჰიათურა. თეატრი. მაყურებელთა დარბაზი.

73 — 1. სოხუმი. თეატრი. არქ. მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძის მონაწილეობით. 1952.
2. ფოიეს ფრაგმენტი.

74 — ბათუმის თეატრის პროექტის ვარიანტები. არქ. ტეპლიცკი. 1936, 1939, 1946 წლებში.

75 — 1. ბათუმი. თეატრი. არქ. ტეპლიცკი. 1952.
2. ბათუმი. თეატრი. ფოიე.

76 — 1. ბათუმი. თეატრი. უკანა ფასადი.
2. გორი. მუზეუმი. არქ. ა. ქურდიანი. 1948—55.

77 — 1. სოხუმი. ქალაქის დაგეგმარების სქემა.
2. ბათუმი. ბულვარი სანაპიროზე.

78 — თბილისი. საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი. მაკეტი. არქ. შ. ყავლაშვილი, ა. ბაქრაძე, დ. გძელიძე, ი. ყავლაშვილი. 1956.

79 — თბილისი. ვაჟა-ფშაველას პროსპექტის განაშენიანება.

80 — 1. თბილისი. ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ხედი.
2. თბილისი. საბურთალოს VI კვარტალი.

81 — 1. თბილისი. დიღმის საცხოვრებელი რაიონი. არქ. ი. ჩხენკელი, ნ. მიქაძე, ჯ. ჯიბლაძე. 1959.
2. თბილისი. დიღმის საცხოვრებელი რაიონის ერთ-ერთი კვარტალი.

82 — ექსპერიმენტული საცხოვრებელი რაიონი დიღომში. პროექტი. არქ. გ. ბერიძე, ბ. მამინაიშვილი, ნ. მიქაძე, ა. ღოღობერიძე, ა. ყრუაშვილი. 1963.

83 — 1. რუსთავი. მარჯვენა ნაპირის დაგეგმარების პროექტი. არქ. დ. მელიქიშვილი, ლ. სუმბაძე, ვ. ფაფუაშვილი, ლ. გოშაძე, თ. წერეთელი, შ. ბაღაშვილი; ზ. ხურცილავას და მ. ჩხეიძის მონაწილეობით.
2. თბილისი. ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი ქუჩა. 1959.

84 — თბილისი. „რიყეს" რეკონსტრუქცია და საცურაო კომპლექსი. პროექტი. არქ. შ. ყავლაშვილი, რ. კიკნაძე, ვ. ქურთიშვილი. 1965.

85 — 1. თბილისი. ბარათაშვილის სახელობის ხიდი. არქ. შ. ყავლაშვილი, ვ. ქურთიშვილი; კონსტრ. გ. ქარცივაძე. 1965.
2. საგამოფენო დარბაზი ხიდის მარჯვენა ნაწილში.
3. ხიდის ფრაგმენტი.

86 — 1. თბილისი. მეტეხის რაიონის რეკონსტრუქცია.
2. თბილისი. 300 არაგველთა მონუმენტი. არქ. ა. ბაქრაძე. 1961.

87 — 1. თბილისი. კლდეში გაყვანილი გვირაბი და სანაპიროს რეკონსტრუქცია. არქ. ვ. ბახტაძე, რ. კიკნაძე, შ. ყაველაშვილი. პროექტი. 1968.
2. რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის საკონკურსო პროექტი. არქ. ი. ზაალიშვილი, თ. გორგაძე, ა. ლომიძე, გ. ოშაყმაშვილი, თ. ქურდიანი. 1965.

88 — თბილისის რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქცია. საკონკურსო პროექტები. 1965.
1. არქ. ო. კალანდარიშვილის, გ. ფოცხიშვილისა და ვ. თუთბერიძის პროექტი.
2. არქ. ვ. კედიას, გ. ცხაკაიას, გ. ჯაბუას, გ. ავსაჯანაშვილის პროექტი.
3. არქ. კ. ჩხეიძის პროექტი.

89 — თბილისის დაგეგმარების გენერალური პროექტის სქემა. არქ. ი. ჩხენკელი, ჯ. ჯიბლაძე, გ. ჯაფარიძე, გ. შაედია; ეკონომისტები ლ. ლორთქიფანიძე, ი. ბოლქვაძე. 1962—69.

90 — 1. ქალაქის ცენტრის განვითარება ახალი გენერალური გეგმით მარცხენა ნაპირზე.
2. გლდანის დაგეგმარების პროექტი. არქ. თ. ბოჭორიშვილი, ბ. ოდიშარია. 1968.

91 — კურორტი ბიჭვინთა. არქ. მ. პოსოხინი, ა. მდოიანცი, ვ. სვირსკი, ი. პოპოვი. კონსტრ. ს. შკოლნიკოვა და ვ. ნიკოლაევა; მთ. მხატვარი ზ. წერეთელი. 1968.
1. საერთო ხედი.
2. ერთ-ერთი კორპუსი.
3. კინოთეატრის დეკორატული კედელი. მხატვ. ე. ბერძენიშვილი.

92 — 1. დეკორატული კედელი მოზაიკით. მხატვ. ზ. წერეთელი.
2. კინოსაპროექციო ჯიხური. მხატვ. ვ. ქოქიაშვილი
3. საზღვაო ვაგზლის კედელი. მხატვ. ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვენსკი, ი. ჩიკვაიძე.

93 — 1. თბილისი. მსხვილბლოკიანი საცხოვრებელი სახლები ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე.
2. თბილისი. საცხოვრებელი სახლი პეკინის ქუჩაზე. არქ. ვ. გაგოშიძე, ტ. ჩიგოგიძე. 1960.
3. მოცულობითი ბლოკი-ბინა. არქ. გ. ჩახავა.

94 — 1. თბილისი. მოცულობითი ბლოკებისაგან შემდგარი ექსპერიმენტული საცხოვრებელი სახლი გალერეის ტიპისა. არქ. გ. ჩახავა. 1960.
2. თბილისი. მსხვილპანელოვანი სახლები 26 კომისრის სახ. რაიონის III მასივში.
3. თბილისი. მსხვილპანელოვანი სახლი 26 კომისრის სახ. რაიონის III მასივში. არქ. დ. ცაბაძე. 1965.

95 — 1. თბილისი. ბლოკირებული საცხოვრებელი სახლების პროექტი. არქ. შ. ყაველაშვილი, ს. კაციტაძე; კონსტრ. რ. შიოშვილი. 1968.
2. ბათუმი. კოშკური საცხოვრებელი სახლი.
3. თბილისი. საცხოვრებელი სახლი სანაპიროზე. არქ. გ. მელქაძე, შ. ყაველაშვილი, ლ. ხარაშვილი. 1959—64.

96 — 1. თბილისი. საცხოვრებელი სახლები ვარაზისხევში. არქ. რ. ბაირამაშვილი, ნ. შოშიტაიშვილი. 1968.
2. თბილისი. საცხოვრებელი სახლი მცხეთის ქუჩაზე. არქ. რ. ბაირამაშვილი, თ. კანდელაკი, დ. მორბედაძე. 1962.

97 — 1. თბილისი. სპორტის სასახლე. არქ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, კასრაძე; კონსტრ. დ. ჭაჯაია. 1961.
2. სპორტის სასახლე. დარბაზი.

98 — 1. თბილისი. ორჯონიკიძის მოედანი.
2. თბილისი. ქორწინების სახლი. არქ. შ. ყაველაშვილი, რ. კიკნაძე. 1965.

99 — 1. ქორწინების სახლი. ქორწინების დარბაზი.
2. ვესტიბიული.
3. ვესტიბიულის კუთხე.

100 — 1. თბილისი. მუსკომედიის თეატრი. ფოიე. არქ. ო. ლითანიშვილი, თ. მაჭარაშვილი, 1965.
2. მაყურებელთა დარბაზი.

101 — 1. თბილისი. სასტუმრო „კოლხეთი". არქ. თ. თევზაძე, ნ. ჯობაძე. 1962.
2. დიღომი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. არქ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გაბაშვილი. 1967.

102 — 1. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. საერთო ხედი.
2. ვესტიბიული.

103 — თბილისი. სასტუმრო „ივერია". არქ. ო. კალანდარიშვილი, თანაავტორი ი. ცხომელიძე. 1967.

104 — 1. სასტუმრო „ივერია". ვესტიბიული.

105 — 1. თბილისი. რესტორანი „დარიალი". არქ. ი. ზაალიშვილი, თ. ჩხეიძე. 1967.
2. მცხეთა. რესტორანი „მარანი". არქ. ლ. კენჭოშვილი. 1968.

106 — 1. თბილისი. ხელნაწერთა ინსტიტუტი. არქ. გ. ლეჟავა, ვ. ცუხიშვილი. 1965.
2. თბილისი. ტელეცენტრი. არქ. ა. ქურდიანი. 1966.

107 — 1. თბილისი. უნივერსიტეტის ქიმია-მათემატიკის ფაკულტეტის კორპუსი. არქ. მ. შავიშვილი, შ. კაკაჯიშვილი, ს. ბეჟანოვი, მ. შუბლაძე. კონსტრ. მ. ლომიძე. 1967.
2. თბილისი. ადმინისტრაციული სახლი სადგურის მოედანზე. არქ. გ. მელქაძე. 1968.

108 — 1. თბილისი. მეტროპოლიტენის სადგური „რუსთაველის მოედანი". არქ. ო. კალანდარიშვილი. 1966.
2. მიწისქვეშა სადგური „რუსთაველის მოედანი". არქ. ლ. ჯანელიძე. 1966.

109 — 1. მიწისქვეშა სადგური „ლენინის მოედანი". არქ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, ქ. კობახიძე. 1966.
2. მიწისქვეშა სადგური „მარჯანიშვილის მოედანი". არქ. გ. მელქაძე, ი. ყავლაშვილი, თ. მიქაშავიძე, ნ. ქვარცხავა. 1966.

110 — 1. მიწისქვეშა სადგური „ოქტომბერი". არქ. თ. თევზაძე, რ. კიკნაძე. მხატვ. ნ. იგნატოვი.
2. მიწისქვეშა სადგური „300 არაგველი". არქ. გ. ბათიაშვილი, მოქ. თ. გიგაური. 1967.

111 — 1. ბაკურიანი. სასტუმრო. პროექტი. არქ. ვ. კედია. 1964.
2. თბილისი. სავაჭრო-საზოგადოებრივ ნაგებობათა კომპლექსი. პროექტი. არქ. რ. ბაირამაშვილი, დ. მორბედაძე, ლ. მეძმარიაშვილი, თანაავტორი ბ. გორდეზიანი. 1964.
3. თბილისი. კინო-საკონცერტო დარბაზი. პროექტი. არქ. ი. ჩხენკელი. 1961.

ტაბულები






თბილისი. „ტრამვაელთა“ სახლი
ტი არქ. დ. ჩიხლიევი. 1926.

„ტრამვაელთა“ სახლები.









ბათუმი. საცხოვრებელი სახლი მაიაკოვსკის ქუჩაზე. 1927

ბათუმი. საცხოვრებელი სახლი მარქსისა და კალინინის ქუჩების გადაკეთებაზე. არქ კლიმენტი. 1930



ბათუმი. საცხოვრებელი სახლი ღვნინის ჭეჩაზე. არქ. ცეკანოვი.



ბათუმი. საცხოვრებელი სახლი კორპის ჭეშ







1 თბილისი. ბანკის მეშაქთა საცხოვრებელი სახლი. არქ. გ. ტურ-მირ. 1929

თბილისი. საცხოვრებელი სახლი ლესინისა და ჭელიძეშვილის ქუჩის კუთხეში. 1928.






თბილისი. საცხოვრებელი სახლი საბა-სულხანის ქუჩაზე. არქ. ნ სვეტროვი 1930




2. თბილისი. „სპეციალისტების სახლი". არქ. მ. შავიშვილი, ა. ნი-
კოლაიშვილი. 1932—35.





ზაჰესი მ. ღეორღ

ზაჰესი. საგენერატორო სადგური.



2. ზაქესი. საგენერატორო სადგურის ინტერიერი.






თბილისის ქვესადგური. პროექტი. არქ. კალგინი, მ. შავარიანი. 1924.

ზაქესი განმანაწილებელ ხიდობა






ახალი ტერიტორიაზე
დანგრეული. 1928.



თბილისი. ტუბერკულოზის ინსტიტუტი. არქ. კ. ლეონტიევი 1930.

2. ბორჯომი. ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი არქ. შ. ბუხოღლი. 1930






თბილისი კინოსტუდია. პროექტი არქ. მ. ბეზოღლი. 1927


თბილისი კინოსტუდია არქ. მ. ბეზოღლი. 1930.






[illegible]

[illegible]






თბილისი. პურის ქარხანა. პროექტი. არქ ნესტეროვი. 1928.


? თბილისი. პურის ქარხანა. არქ. ი. ნესტეროვი. 1928






1. თბილისი. „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა არქ. დ. ჩისლიევი. 1929.

2. თბილისი. „კავშირგაბმულობის სახლი“ არქ კ სოლომონოვი. 1932






საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა. არქ. ნ. სვეტიცკოი. 1930.



2. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა. ჩიტაძის ქუჩის ფასადი. პროექტი




სადარბაზოს კიბე



კიბეები





კლუბი სან პიროზე. პროექტი. არქ. გ. ლეჟავა (ა. კალგინის ხელმძღვანელობით). 1929 –3





აზერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსები. პროექტი. არქ. ა. კალგინი, გ. ტერ-მიქელოვი, გ. ლეჟავა. 1928

კონკურსი კულტურის
პროექტზე 1931












პროექტი დეკორით „სატურნი“




პროექტი დეკორით მ. შავიშვილის, ნ. ყოლოშვილის




პროექტი დეკორით „ნეპტუნი“




პროექტი დეტალის




პროექტი დეტალის




3. პროექტი დეტალის „სსსი“. არქ. ყირქვსაული, ი. ზაალიშვილი, ს. სატუნცი, ვ. ქორქაშვილი, ქ. დგებუაძე.







მ ს ბ ბ ს




თბილისის დაგეგმარების ერი გეგმა
არქ. ი. მალოზიომოვი, ზ. ჭურდიანი, გოგაე
ეკონომისტი შელეხოვსკი, 1934.


ფოტო მაკეტიდან.



ილისი. გმირთა


ოხა. ესტეს ის ნ.







1 [illegible] ღვინის მოედან [illegible] 1931 წ.

[illegible] ამჟამად [illegible]







ფანტასტიკური პარკი მამადავითის პლატოზე. არქ. მ. გიხბჯურვი პროექტი



რესტორანი და კულტდაწესებულებანი მამადავითის პლატოზე მ. ვინჩი
1935. პროექტი.




თბილისი. რესთაველის ძეგლი. მოქ. კ. მერაბიშვილი, არქ. შ. თელაშვილი. პროექტი. 1937





პარკის მთავარი სეივანი.


1. თბილისი. პარკი მამადავითის პლატოზე. გენგეგმა არქ. ზ. და ნ. ჭურდიანები. დენდროლოგი ნ. ციციშვილი. 1938.



ფოთი. გენერალური გეგმის სქემა. არქ. ა. ნიკოლაიშვილი, ვ კედია. 1934—35.





2. ბათუმი მოედანი ქალაქის ცენტრში გენერალური გეგმის მიხედვით. არქ. ი. ყირჭესალი, ბ. ლორთქიფანიძე, ლ. სუმბაძე. 1933.



ცხინვალი. ცენტრალური მოედანი გენერა ვალის ვარშანოვი, ყირგესალი, 1933.


გორი. გენერალური გეგმის სქემა. არქ. ლ სუმბაძე, ბ ლორთქიფანიძე, მოსახლეობა 1936--39.





თბილისი. საცხოვრებელი სახლი პლეხანოვის პროსპექტზე. არქ. ა. ჯალიაშვილი
1935.

თბილისი. საცხოვრებელი სახლი მარქსის მოედანზე. არქ. გ. [illegible] 1936







თბილისი. საცხოვრებელი სახლი ბარათაშვილის ქუჩაზე. პროექტი. არქ. ს დემჩენკო, ქურდიანი, გ. ჯანდიერი. 1940.



ხელოვნების სახლი

თბილისი. საცხოვრებელი სახლი რუსთაველის
დიანა. შ ლია. 1939






თბილისი. საცხოვრებელი სახლი გმირთა მოედანზე თავდაპირველი ვარიანტი

საცხოვრებელი სახლი გმირთა მოედანზე არქ მ. ყალაშნიკოვი.



3. საცხოვრებელი სახლი გმირთა მოედანზე. კოშკური ნაწილი.






სოხუმი. სანატორიუმ ლ. ლუნაჩარსკის და ქუჩებიდან კუთხეში. მინაწერი. 1937

სოხუმ







8. Könyvtár 1933




3. sáfj. gimnázium 34m. fűgg. 1934.







[illegible]

წ.წიფლიძის. 1938.





მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. საკონკურსო პროექტი. არქ. ფომინი. 1933.




2. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. საკონკურსო პროექტი. არქ. მ. კალაშნიკოვი. 1933.




მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. მთავარი ფასადი. პროექტი. არქ. შჩუსევი.



ოზურგეთი. მ.ჩაქვეთაძის ნაბიჭვრის არსებული ორღობის შესახვევი



2. ფასადი კუთხის ქუსაზე.





3. სააქტო დარბაზი.


„დინამოს" სტადიონი. საკონკურსო პროექტი. ქურდიანი.




ბ. ... ექტი.



არქ. ქურდიანის საკონკურსო პროექტი ქ. პრინცესის მოს... ...ად. 1934.




4. თბილისი „დინამოს" სტადიონი. არქ. ქურდიანი. 1936—37







„დინამოს“ სტადიონი. სამხრეთის გალერეა




ამერკავკასიის პავილიონი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში.
არქ. ზავრიევი, ხუნდაძე, ჩაჩ ნარე 1938.

ყოფი ქართველოს სსრ პავილიონი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.
ქერდიანი, გ. ლეჟავას მონწილეობით 1939.






ს



ოპერის
ძოხაჭრელიით. 1936.



ფუნიკულორის ზედა სადგური. მთავარი ფასადი. პროექტი.





ი. ფეს კულტორის საცურაო აბ.
ქუთაისში, ზედის მთაწმინდ
1938

ზედის მხარეს











კინოტეატრი „რუსთაველი“ პროექტი
ავტორი „ბაქო“ 1926წ
სექტორი




თბილისის ცირკის საკონკურსო პროექტები.



არქ. ს



არქ ცოცხი. 1935.



არქ. გ. ტურ-მიქელოვი, მ. ჩხეიძის მონაწილეობით. 1935.




ხიმშიაშვილი.



არქ ურუშაძე. 1936.




3. არქ. ნ. ნეპრინცევი, ს. სატუნცი. 1936.










ბლ ფოსი.

მთავარი სცის არქ შ

ცხინვალი ადმინისტრაციული შენობა, არქ მ შარიშვილი 1937











2. სოხუმი. ადმინისტრაციული შენობის ფლ-
გელები არქ. გ. შრეკო. გელვრის 193




















1. არქ. ი. ჩხენკელისა და ... ჯავახიშვილის პროექტი.




ბალოვსების მუზეუმის „მეტეხის" კონკურსის პროექტი. 1939.

3. არქ. ლ. ...ვას პროექტი






რუსთავი. დაგეგმარების პირველი პროექტი არქ. ზ. და ნ. ქურდიანები, ა. ქურდიანის მონაწილეობით. მეორე ვარიანტი.



რუსთავი. დაგეგმარების პირველი პროექტი. მეოთხე ვარიანტი.

რუსთავი. გენერალური გეგმის პროექტი არქ. ზ. და ნ. ქურდიანები. 1944.






1. რუსთავი. ქალაქის გეგმის სქემა.


რუსთავი ლენინის მოედანი.







რუსთავი. პირველი მაისის ქუჩა.

[illegible] დებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია.
გაღდგა. ო. ჯაიანდარიშვილი [illegible] ნდრაძისა
კალაშნიკოვის მოსწრელობით. 195[illegible]





ქუთაისის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის სქემა. არქ. ნიკოლაიშვილი, თანაავტორი შ. გოგოლაშვილი. 1947.




მარჯანიშვილის მოედანი.

საცხოვრებელი სახლები მარჯანიშვილის მოედანზე. არქ. მ. მელია 1947—49.



თბილისი. საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის პროსპექტზე. ქ. [illegible]ლოვა. 1954



2. თბილისი. საცხოვრებელი სახლი ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე. არქ. ა. მიმინოშვილი. 1949.

















საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის პროექტი. არქ. ქორდიანი. 1945.



2. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის საკონკურსო პროექტი (ვარიანტი).




ა.ბილისი. საქართველოს სსრ მთავრობის სახლი არქ
მონაწილეობით. 1953.



საქართველოს სსრ მთავრობის სახლი. მინისტრთა საბჭოს ვესტიბიული


შიდა ეზო-ვესტიბიული.






ხაკო ირშვილის.

„საქნახშირის“ სახლის საკონკურსო
ბი 1916.




სამშ შვილ, ს






თბილისი. „საქნახშირის“ ადმინისტრაციული სახლი. არქ. მ. ჩხეიძე, კ. ჩხეიძე. 1953.




2. თბილისი. „კავშირგაბმულობის სახლი“ არქ. ჩხენკელი. 1954.



ს ნ. ქერდანების და ს. პროექტი


ქ. რუსთავის
დასის სახლისათვის



შეკრება პროექტი


ს ლენინგრადის პროექტი







ორკ. ნ [illegible] რიგის პროექტი.

ნიჟეგოროდის პროექტი.




ორკ. გ. ლეჟავას პროექტი.







1. ქუთაისი ადმინისტრაციული სახლი. არქ. მ. შავიშვილი. 1947




2. ქუთაისის თეატრის პირველი პროექტი. არქ. შ. თავაძე 1933.




ქუთაისი. ვაძე, შვილი.



2. ჭიათურა. თეატრი. არქ. კ. ჩხეიძე, მ. ჩხიკვაძის მონაწილეობით. 1949.




1. სოხუმი. ოპერა. არქ. შ. ძიძიგური. 1952.





ბათუმის თეატრის პროექტის ვარიანტები. არქ. ტეპლიცკი. 1936, 1939, 1946 წლები.

2. ფოიეს ფრაგმენტი.













ბათუმი. თეატრი. ფოიე.









სოხუმი. ქალაქის დაგეგმარების სქემა.

2. ბათუმი. ბულვარი სანაპიროზე.






თბილისი საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი. მაკეტი. არქ. შ. ყაველაშვილი. პაჭრაძე, დ. გძელიძე, ი. ყაველაშვილი. 1956.




თბილისი ვაჟა-ფშაველას პროსპექტის განაშენიანება.



თბილისი. ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ხედი.




2. თბილისი. საბურთალოს VI კვარტალი.






თბილისი. დიღმის საცხოვრებელი რაიონის ერთ-ერთი კვარტალი.








მარჯვენა ნაპირის აკმეთის პროექტი მკლიე სემბაძე, შველა, ლ. გომაძე. წ ბაღში სურათიას და ჩხეიძის ით 1968.




2. თბილისი. ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი ქუჩა. 1959.



ობილისი „რიყეს" რეკონსტრუქცია საკ
რაო კომპლექსი პროექტი არქ. ყაენ შვი
ლი, კუნაძე, გურჯიშვილი 1965.









საგამოფენო დარბაზი მარკვეთა ნაწილში.

თბილისი. ბარათაშვილის სასეირნოს სიდი. არქ. შ. ყაველაშვილი, ვ. ქურთიშვილი; კონსტრ. გ. ქარცივაძე, 1965.




3. სიდის ფრაგმენტი.




თბილისი მეტეხის რაიონის რეკონსტრუქცია.




2 თბილისი. 300 არაგველთა მონუმენტი. არქ. ა. ბაქრაძე. 1961.




თბილისი. კლდეში გაყვანილი გვირაბი და სანაპიროს რეკონსტრუქცია. არქ. ვ. ბახტაძე. კ. კანაძე, შ. ყავლაშვილი. პროექტი. 1968.



2 .რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის საკონკურსო პროექტი. არქ. ზ. ალიშვილი თ. გორგაძე. ლ. მიძე. გ. ოშაყმაშვილი, თ. ქურდიანი. 1965.




1 ო. ყალანდარიშვილის, კ. ფოცხიშვილი ვ. თუთბერიძის პროექტი




თბილისის რესთაველის მოედნის რეკონსტრუქცია. საკონკურსო პროექტები. 1965.


არქ. ვ. კედიას, გ. ცხადაიას, გ. ჯაბუას, გ. აესაკანიშვილის პროექტი.

3 არქ. ვ. ნიჟეიძის პროექტი.







თბილისის დაგეგმარების გენერალური პროექტის სქემა. არქ. ი. ჩხენკელი, ჯ. ჯიბლაძე, გ. ჯაფარიძე, გ. შავდია; ეკონომისტები ლ. ლორთქიფანიძე, ი. ბოლქვაძე 1962—69.



გენერალური გეგმა
ძირითადი სხვა (ტიპიური)
ცენტრის ტ
ობ ის
ლი

368





საერთო ხედი.


კურორტი ბიჭვინთა. არქ. მ. პოსოხინი, ა. მდოიანცი, ე. სვირსკი, ი. პოპოვი. კონსტრ. ს. შოლნიკოვა და ვ. ნიკოლაევა; მთ. მხატვარი ზ. წერეთელი. 1968.

2. ერთ-ერთი კორპუსი.




კინოთეატრის დეკორატიული კედელი. მხატვ. ე. ბერძენიშვილი





1. დეკორატიული კედელი მოზაიკით. მხატვ. ზ. ნერეთელი.

ნინაბარი ქალაქის ხიდზე. მხატვ. ქიქნაძე.




საზღვაო ვაგზლის ველი. მხატვ. ო. ქონიაძე, ა. სლოვინსკი, ნ. ცაცანაშვილი.







1 მსხვილპანელოვანი საცხოვრებელი სახლები ვაჟა-ფშაველა-პროსპექტზე.



2 საცხოვრებელი სახლი პეკინის ქუჩაზე. გაგრიძე, ტ. ნიგოვიძე (ავტ.).

3 მოცულობითი ბლოკი ბინა. არქ. გ. ჩახავა.






ვერტიკალური ბლო შენი 9
პრსპ. არქ.



2. თბილისი. მსხვილპანელოვანი სახლები 26 კომისრის სახ. III მ.სივეში.

3. თბილისი. მსხვილპანელოვანი სახლი 26 კომისრის სახ. რაიონის III მასივეში. არქ დ. ცაბაძე. 1966.








თბილისი. ბლოკირებული საცხოვრ ლი სახლ ბაიდმი ქოშკური სახლი
პროექტი არქ. შ. ყავლაშვილი,
კონსტრ. შროშვილი. 1968.

საცხოვრ ბული სახლი არქ.
შვილი. 1959—64. ლ. ხ




1962.




თბილისი. სპორტის ს ალექსი-მესხიშვილი, კასრაძე; კონსტრ. დ. 1961.

ს პორტის სასახლე. დარბაზი ე













ისტიბიული.



ქორწინების სახლი. ქორწინების დარბაზი.


ვესტიბიულის კუთხე.





ამბრელიი. მუსკომედიის თეატრი ფოიე. ავტ ო. ლითანიშვილი, თ. მაჭარაშვილი. 1965


კერამიკული დარბაზი.






თბილისი. სასტუმრო
არქ. ...ძე.
1962.

დღეს... სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. არქ. ვ... ალექსი-მესხიშვილი.
1967






ოფლო-სამკურნალო ინსტიტუტი ჩუთ ხედი.


კვლევები.







თბილისი. სასტუმრო „ივერი“
არქ. ო. კლასბდარიშვილი,
ავტორი ი. ცხოველიძე. 1967











თბილისი. რესტორანი „დარიალი“ არქ. ზაალიშვილი, ჩხეიძე. 1967



2. მცხეთა. რესტორანი „მარანი“ არქ. ლ. კენჭოშვილი. 1968.




1. თბილისი. ხელნაწერთა ინსტიტუტი. არქ. გ. ლექავა, ვ. ცუხიშვილი. 1965.



2. თბილისი. ტელეცენტრი. არქ. ჭერდიანი. 1966.



თბილისი უნივერსიტეტის ქი-მია-მათემატიკის ფაკულტეტის კორპუსი. არქ. მ. შავიშვილი, შ. ქაჭკ-ჭრიკილი, ს. ბეჟანოვი, მ. შუბლაძე; კონსტრ. მ. ღო-ნიძე. 1968.



თბილისი ადმინისტრაციული სახლი სადგურის მოედანზე არქ. გ. მელქაძე. 1968.







მიწისქვეშა სადგური „ლენინის მოედანი“, არქ. ვ. ლუკინი-მე... ქ. ...ხრეკ

მიწისქვეშა სადგური „მ.ოკახიშვილის მოედანი“ ვ. მელქ ის,
მ.ქავშავაძე, ნ. ქვარცხავა. 1966





მიწისქვეშა სადგური „ოქტომბერი“ არქ. თ. თევზაძე, კონსულ. ნ. ცინცაძე.




2. მიწისქვეშა სადგური „300“ არაგველი“. არქ გ. ბათიაშვილი, მოქ. თ. გიგაური. 1967.



ბაკურიანი. სასტუმრო. პროექტი კედია. 1964.





2. თბილისი სავაჭრო-საზოგადოებრივ ნაგებობათა კომპლექსი. პროექტი. არქ. რ. ბერიაშვილი, დ. მორბედაძე ლ. მეძმარიაშვილი, თანაავტორი ბ. გორდეზიანი. 1964.

3 თბილისი. კინო-საკონცერტო დარბაზი. პროექტი. არქ. ი. ჩხენკელი. 1961.

სარჩევი

შესავალი

ნაწილი პირველი. 1921 — 1932

1. ქართული საბჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბების საერთო პირობები
2. ქალაქთა რეკონსტრუქცია, დაგეგმარება და განაშენიანება 25
3. საბინაო მშენებლობა და საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა 39
4. სამრეწველო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი 49
5. შემოქმედებითი მიმართულება 99

ნაწილი მეორე. 1933—1954

1. არქიტექტურის განვითარების საერთო პირობები 113
2. 1933—1941. ქალაქთა დაგეგმარება და განაშენიანება 131
3. 1933—1941. საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა 152
4. 1933—1941. საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი 170
5. 1941—1954. ქალაქთა დაგეგმარება და განაშენიანება 246
6. 1941—1954. საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა 269
7. 1941—1954. საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი 290
8. შემოქმედებითი მიმართულება 345

ნაწილი მესამე. 1955—1968

1. არქიტექტურის განვითარების საერთო პირობები 361
2. ქალაქთა დაგეგმარება და განაშენიანება 369
3. საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა 399
4. საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი 422
5. შემოქმედებითი მიმართულება 457

დასკვნა 465

ტაბულების სია 469

ტაბულები 477